წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშთა კრებული საქართველოში ვიზიტების შესახებ

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი

ევროპის საბჭო
ქართული / Georgian / Géorgien

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

წამების პრევენციის კომიტეტი დაარსდა ევროპის საბჭოს "წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის" საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 1989 წელს. იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს: "არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას".

წამების პრევენციის კომიტეტი არ არის საგამომძიებო ორგანო, არამედ ის უზრუნველყოფს არასამართლებრივ აღმკვეთ მექანიზმს თავისუფლებააღკვეთილ პირთა დასაცავად წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან. ამდენად, იგი ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლებრივ მუშაობას.

Human Rights in Prisons and Other Closed Institutions

ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში

Funded
by the European Union
and the Council of Europe

COUNCIL OF EUROPE

Implemented
by the Council of Europe

წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშთა წინამდებარე კრებული საქართველოში ვიზიტების შესახებ წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს. იგი გამოიცა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის- „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში"-ფარგლებში.

Present publication of CPT reports on its visits to Georgia is an unofficial translation, published in the framework of the European Union/Council of Europe Joint Programme "Human Rights in Prisons and Other Closed Institutions"

ინგლისური გამოცემა © ევროპის საბჭო

ქართული გამოცემა © ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში"

ფოტო გარეკანზე ©Council of Europe

ორიგინალი ტექსტი წარმოადგენს ევროპის საბჭოს საკუთრებას. წინამდებარე თარგმანი ქვეყნდება ევროპის საბჭოს თანხმობით. ორიგინალთან ქართული ტექსტის იდენტურობაზე პასუხისმგებელია მთარგმნელი დაწესებულება.

ანგარიშებზე საქართველოს ხელისუფლების პასუხების ხილვა შესაძლებელია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/en/states/geo.htm

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშთა კრებული საქართველოში ვიზიტების შესახებ

სარჩევი

1. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (წპკ) ანგარიში საქართველოში 2001 წლის 6-18 მაისის ვიზიტის შესახებ 5

2. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოში 2003 წლის 18-28 ნოემბერს და 2004 წლის 7-14 მაისს ვიზიტის შესახებ 74

3. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოში 2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე ვიზიტის შესახებ 129

4. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, 2009 წლის 27 აპრილიდან 2 მაისამდე ვიზიტის შესახებ 187

5. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოში 2010 წლის 5-15 თებერვალს ვიზიტის შესახებ 224

6. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოში 2012 წლის 19-23 ნოემბერს ვიზიტის შესახებ 277

თარგმანი (*)
CPT/Inf (2002) 14

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (წპკ) ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ

2001 წლის 6-18 მაისის

ანგარიში ქვეყნდება საქართველოს მთავრობის მოთხოვნით

სტრასბურგი, 25 ივლისი

(*) აღსანიშნავია, რომ წინამდებარე მოხსენების ინგლისური ვარიანტი, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე www.cpt.coe.int წარმოადგენს მოხსენების ერთადერთ ოფიციალურ ვარიანტს

წპკ-ს მოხსენების წარდგინების წერილის ასლი 7

წინასიტყვაობა 8

I. შესავალი 9
ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა 9
ბ. მონახულებული დაწესებულებები 10
გ. დელეგაციის მიერ გამართული კონსულტაციები და მიღებული მხარდაჭერა 11
დ. ქვეყნის მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა 12
ე. კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პარაგრაფით გათვალისწინებული პირველი რიგის შენიშვნები 13

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შემოთავაზებული ღონისძიებები 14
ა. პოლიციის დაწესებულებები 14
1. წინასწარი კომენტარები 14
2. წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები 15
3. თავისუფლებააღკვეთილ პირთა არამართებული მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები 21
ა. შესავალი 21
ბ. შეტყობინება დაკავების შესახებ 21
გ. დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება 21
დ. სამედიცინო შემოწმების უფლება 23
ე. უფლებების განმარტება 23
ვ. პოლიციაში დაკითხვა 24
ზ. დაკავების რეგისტრაცია 25
თ. დამოუკიდებელი შემოწმებები 25
4. დაკავებაში ყოფნის საერთო პირობები 25
ა. შესავალი 25
ბ. დროებითი დაკავების იზოლატორები 26
გ. შსს რაიონული განყოფილებების საკნები 27
ბ. სახელმწიფო უშიშროების დროებითი დაკავების იზოლატორი 28
გ. სასჯელაღსრულების დაწესებულებები 28
1. წინასწარი შენიშვნები 28
2. არამართებული მოპყრობა 29
3. პირობები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 30
ა. საყოფაცხოვრებო პირობები 30
i. №5 საპყრობილე 30
ii. №1 საპყრობილე 31
ბ. საქმიანობის ორგანიზაცია 32
4. სამედიცინო სამსახურები 34
ა. შესავალი 34
ბ. სამედიცინო სამსახურები მონახულებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 35
i. თანამშრომლები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 35
ii. სამედიცინო შემოწმება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიყვანისას 36
iii. სამედიცინო ჩანაწერები და კონფიდენციალურობა 37
iv. ტუბერკულოზი 37
გ. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო 39
5. **წპკ**-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები 42
ა. პერსონალი 42
ბ. ურთიერთობა გარე სამყაროსთან 43
გ. დისციპლინა 44
დ. საჩივრის შეტანისა და კონტროლის პროცედურები 45
დ. ფსიქიატრიული დაწესებულებები 46
1. წინასწარი შენიშვნები 46
2. არამართებული მოპყრობა 47
3. თანამშრომლები 47
4. პაციენტების საცხოვრებელი პირობები 48
5. მკურნალობა და რეჟიმი 50
6. პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა 51
7. იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების უფლებების დაცვის გარანტიები 52
ე. დაკავების ადგილები სამხედრო ნაწილებში 54

III. შეჯამება და დასკვნები 55
დანართი I:
წპკ-ს რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოთხოვნილი ინფორმაციის ჩამონათვალი 61
დანართი II:
სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების სია, რომლებთანაც დელეგაციამ გამართა კონსულტაციები 72

<u>წპკ-ს მოხსენების წარდგინების წერილის ასლი</u>

სტრასბურგი
11 დეკემბერი, 2001

პატივცემულო ბატონო გიორგი,

"წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კონვენციის" მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მაქვს პატივი საქართველოს მთავრობას წარვუდგინო წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის მოხსენება საქართველოში 2001 წლის 6-18 მაისს განხორციელებული ვიზიტის თაობაზე. წინამდებარე მოხსენება დამტკიცდა **წპკ**-ს 46-ე სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2001 წლის 6-9 ნოემბერს.

ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო მოხსენების 205-ე პარაგრაფს, რომლითაც **წპკ** თხოვნით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას კომიტეტს წარმოუდგინოს შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები ამ მოხსენებაზე რეაგირების ღონისძიებათა შესახებ. კომიტეტი მადლობელი იქნება, თუ ქართულ ენაზე წარმოდგენილ ანგარიშებს დაერთვება მათი ინგლისური ან ფრანგული თარგმანი. მადლობელი ვიქნებით, თუ საქართველოს ხელისუფლება ასევე მოგვაწვდის აღნიშნული ანგარიშების ელექტრონულ ვერსიებს.

მზად ვარ ვუპასუხო თქვენს ნებისმიერ შეკითხვას **წპკ**-ს მოხსენების, თუ შემდგომი პროცედურების თაობაზე.

და ბოლოს, გთხოვთ ოფიციალურად დაგვიდასტუროთ ამ წერილის მიღება.

პატივისცემით,
სილვია კასალე
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი
მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპის კომიტეტის
პრეზიდენტი

ბ-ნ გიორგი წკრიალაშვილს
იუსტიციის მინისტრის მოადგილეს
იუსტიციის სამინისტრო
რუსთაველის პრ. 30
380046 თბილისი
საქართველო

<u>წინასიტყვაობა</u>

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ყოველი ქვეყნისადმი წარდგენილი პირველი მოხსენება დაიწყოს კომიტეტის მანდატისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ უკეთ იქნეს გააზრებული განსხვავება **წპკ**-სა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს კიდევ ერთი საზედამხედველო ორგანოს, კერძოდ კი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს, პრინციპებსა და მიზნებს შორის.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოსაგან განსხვავებით, **წპკ** არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საჩივრები შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევების თაობაზე წამოჭრილ სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით (ანუ, გამოიტანოს სასამართლო გადაწყვეტილება საქმეზე *ex post facto*).

წპკ კი უპირველეს ყოვლისა წარმოდგენს მექანიზმს **არამართებული მოპყრობის თავიდან ასაცილებლად**, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში კომიტეტს ასევე შეუძლია რეაგირება მოახდინოს მომხდარ ფაქტებზე.

ამგვარად, მაშინ, როცა სასამართლოს საქმიანობა მიზნად ისახავს მართლმსაჯულების განხორციელებას და "დავის გადაწყვეტას" სასამართლო წესით, **წპკ**-ს საქმიანობის მიზანია "დავის თავიდან აცილება" პრაქტიკაში.

აქედან გამომდინარე, თავისი მოვალეობების აღსრულებისას **წპკ**-ს სახელმძღვანელო პრინციპია "პიროვნების მაქსიმალური დაცვა ფიზიკური თუ ფსიქიკური შეურაცხყოფისაგან" (ციტატა მოყვანილია გაეროს 1979 წლის "სამართალდამცავი ორგანოების მოხელეთა ქცევის კოდექსის" და 1988 წლის "დაკავებული და პატიმრობაში აყვანილი პირების დაცვის პრინციპების კრებულიდან", რომლებიც მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ).

წპკ-ს საქმიანობა ემყარება თანამშრომლობის პრინციპს ("წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კონვენციის" მე-3 მუხლი). **წპკ**-ს ამოცანას წარმოადგენს არა საჯაროდ გააკრიტიკოს სახელმწიფოები, არამედ დახმარება გაუწიოს მათ დასახონ გზები იმ "სანიტარული კორდონის" განსამტკიცებლად, რომელიც გამიჯნავს მისაღებ მოპყრობასა და ქცევას მიუღებელისაგან. ამ ამოცანის განხორციელებისას **წპკ** ხელმძღვანელობს შემდეგი სამი პრინციპით:

i) თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ არამართებული მოპყრობის აკრძალვა ატარებს აბსოლუტურ და უპირობო ხასიათს,

ii) არამართებული მოპყრობა, თუნდაც შერბილებული ფორმით, შეუთავსებელია ცივილიზებული ქცევის პრინციპებთან, და

iii) არამართებული მოპყრობა ზიანს აყენებს არა მხოლოდ ამგვარი მოპყრობის მსხვერპლს, არამედ ღირსებას ულახავს იმ მოხელესაც, რომელიც განახორციელებს ან სანქციას აძლევს ამგვარ ქმედებას, რაც საბოლოო ჯამში ზიანის მომტანია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის საზოგადოდ.

წპკ ქვეყნაში ვიზიტის დროს უპირველ ყოვლისა შეისწავლის ფაქტებს არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, იგი:

i) ამოწმებს საერთო პირობებს მონახულებულ დაწესებულებებში;

ii) აკვირდება სამართალდამცავი ორგანოების მოხელეთა და სხვა პერსონალის დამოკიდებულებას თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ;

iii) ესაუბრება თავისუფლებააღკვეთილ პირებს, რათა გაიგოს მათიაზრი (i) და(ii) პუნქტებში ჩამოყალიბებულ საკითხებთან დაკავშირებით და მოისმინოს მათგან ნებისმიერი კონკრეტული საჩივარი, რომელიც მათ შეიძლება ჰქონდეთ;

iv) შეისწავლის იმ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დებულებათა სისტემას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება თავისუფლების აღკვეთა. შემდგომ, **წპკ** ქვეყნის ხელისუფლებას წარუდგენს მოხსენებას, რომელშიც იგი აფასებს ვიზიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ **წპკ**-ს არ გააჩნია უფლებამოსილება დაუპირისპირდეს პრევენციის აზრის მქონე პირებს ან მოითხოვოს ჩვენებების მიღება ფიცის ქვეშ. აუცილებელობის შემთხვევაში, კომიტეტი იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს იმგვარი მოპყრობის შესაძლო ფაქტები, რომელიც ეწინააღმდეგება თავისუფლებაღკვეთილ პირებთან დამოკიდებულების დასაშვებ სტანდარტებს. თავის საქმიანობაში **წპკ**-ს უფლება აქვს დაეყრდნოს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციაში მოცემულ სამართლებრივ სტანდარტებს,

არამედ ადამიანის უფლებათა სფეროს მთელ რიგ სხვა დოკუმენტებს (და მათ განმარტებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამისი ორგანოების მიერ). ამასთან, **წპკ** არ არის ვალდებული იხელმძღვანელოს ამავე სფეროში მოღვაწე სასამართლო და კვაზი-სასამართლო ორგანოების საპრეცედენტო სამართლით, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში კომიტეტს შეუძლია დაეყრდნოს მას ან მიუთითოს მასზე ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში თავისუფლებააღკვეთილი პირებისადმი მოპყრობის შეფასებისას.

ამგვარად, **წპკ**-სა და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

i) სასამართლოს უმთავრესი მიზანია დაადგინოს ჰქონდა თუ არა ადგილი ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დარღვევას, მაშინ როცა **წპკ**-ს ამოცანაა თავიდან აიცილოს თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფიზიკური თუ ფსიქიკური შეურაცხყოფის შემთხვევები; **წპკ** უფრო მომავლისკენაა ორიენტირებული, ვიდრე წარსულისკენ;

ii) სასამართლო ხელმძღვანელობს ხელშეკრულებით განსაზღვრული არსებითი დებულებებით, რომელთაც იგი მიმართავს და ინტერპრეტაციას უწევს თავის საქმიანობაში. **წპკ** არის ვალდებული იხელმძღვანელოს სახელშეკრულებო არსებითი დებულებებით, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მან შეიძლება მიმართოს სხვადასხვა ხელშეკრულებებს, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებულ საპრეცედენტო სამართალს;

iii) როგორც მართლმსაჯულების ორგანო, სასამართლო შედგება ადამიანის უფლებათა სფეროში სპეციალიზირებული იურისტებისგან. **წპკ** კი დაკომპლექტებულია არა მხოლოდ ამ სფეროს იურისტებისაგან, არამედ პროფესიონალი ექიმების, სასჯელაღსრულების საკითხების სპეციალისტების, კრიმინალისტებისაგან, ა.შ.;

iv) სასამართლო რეაგირებს ცალკეული პირებისა თუ სახელმწიფოებისაგან მიღებულ საჩივრებზე, მაშინ როცა **წპკ** *ex officio* მოქმედებს პერიოდული და საგანგებო ვიზიტების განხორციელებით;

v) საქმის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს მხარეებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილება, რომელშიც განსაზღვრულია დაარღვია თუ არა სახელმწიფომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. **წპკ**-ს საბოლოო დასკვნები აისახება მოხსენებაში, სადაც აუცილებლობის შემთხვევაში მოცემულია რეკომენდაციები ან სხვა წინადადებები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება წარიმართოს დიალოგი. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ გაითვალისწინებს **წპკ**-ს რეკომენდაციებს, კომიტეტმა შესაძლოა გააკეთოს ოფიციალური განცხადება ამასთან დაკავშირებით.

I. შესავალი

<u>ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა</u>

1. "წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კონვენციის" (შემდგომში - "კონვენცია") მე-7 მუხლის შესაბამისად **წპკ**-ს დელეგაცია ეწვია საქართველოს 2001 წლის 6-18 მაისს. ეს **წპკ**-ს პირველი ვიზიტი იყო საქართველოში, რომელიც განხორციელდა კომიტეტის 2001 წლის პერიოდული ვიზიტების პროგრამის ფარგლებში.

2. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ **წპკ**-ს შემდეგი წევრები:
სილვია **კასალე**, **წპკ**-ს პრეზიდენტი, დელეგაციის ხელმძღვანელი;
ინგრიდ **ლიკე ელინგსენი**, **წპკ**-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი

ზდენეკ ჰაჯეკი

ვერონიკა პიმენოვი

პიტერ რაინჰარდ შტოფელენი

დავორ სტრინოვიჩი
მათ ეხმარებოდნენ:

ჟან-პიერ რესტელინი (სპეციალისტი სასამართლო მედიცინიაში, თერაპევტი) ექსპერტი

მაკა ბეროზაშვილი (თარჯიმანი) (7-16 მაისი, 2001)

თინა ჩხეიძე (თარჯიმანი) (7-16 მაისი, 2001)

ნინო ღუდუშაური (თარჯიმანი) (6-18 მაისი, 2001)

თამრიკო მიქაძე (თარჯიმანი) (10-12 მაისი, 2001)

ნათია ფორჩხიძე (თარჯიმანი) (6-18 მაისი, 2001)

ნანა შუღლაძე (თარჯიმანი) (7-9 მაისი, 13-16 მაისი, 2001)

მარა წაქაძე (თარჯიმანი) (14-16 მაისი, 2001)

კომისიას თან ახლდა **ნპკ**-ს სამდივნოს წევრები:

ვოლფგანგ რაუ, ჯგუფის ხელმძღვანელი

პეტია ნესტოროვა

ბორის ვოდსი

ბ. <u>მონახულებული დაწესებულებები</u>

3. დელეგაციამ მოინახულა თავისუფლების აღკვეთის შემდეგი ადგილები:

<u>პოლიციის დაწესებულებები</u>

ქუთაისი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის სამმართველო
- შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს №1, №2, №3, №4 და №5 რაიონული განყოფილებები

თბილისი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველო
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონული სამმართველო
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველო
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სამმართველოს პოლიციის №1 განყოფილება
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სამმართველოს პოლიციის №3 განყოფილება
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს პოლიციის №3 განყოფილება
- ტრანსპორტის პოლიციის დეპარტამენტი, თამარ მეფის პრ. 24

სხვა ქალაქები
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. გორის სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. ფოთის სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლა-ტორი

<u>სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს იზოლატორები</u>
- სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორი, თბილისი

<u>სასჯელაღსრულების ადგილები</u>
- №1 საპყრობილე, თბილისი
- №5 საპყრობილე, თბილისი
- ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, თბილისი

ფსიქიატრიული დაწესებულებები
- ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიული საავადმყოფო
დაკავების ადგილები სამხედრო
- ქუთაისის გარნიზონის ჰაუპტვახტი.

დელეგაცია ცოტა ხნით ესტუმრა ასევე ქუთაისის №2 საპყრობილეს, სადაც იგი ესაუბრა ახლადმოყვანილ პატიმრებს და თანამშრომლებს, ასევე გაეცნო სამედიცინო დოკუმენტაციას პოლიციაში დაკავების საკითხების შემოწმების მიზნით.

<u>გ. დელეგაციის მიერ გამართული კონსულტაციები და მიღებული მხარდაჭერა</u>

4. მონახულებული დაწესებულებების ხელმძღვანელებთან შეხვედრების გარდა, დელეგაციამ საუბრები გამართა ქვეყნის სხვა კომპეტენტური ორგანოების ხელმძღვანელებთან და **წპკ**-ს საქმიანობის სფეროში მომუშავე ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ამ უწყებებისა და ორგანიზაციების ნუსხა მოცემულია მოხსენების II დანართში.

5. ხელისუფლების წარმომადგენლებთან დელეგაციის შეხვედრები, როგორც ვიზიტის დასაწყისში, ისე მის დასასრულს, მჭიდრო თანამშრომლობის სულისკვეთებით წარიმართა. **წპკ** დელეგაციისათვის გაწეული დახმარებისთვის მადლობელია იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილის, შინაგან საქმეთა მინისტრისკახათარგამაძის, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის ნუგზარ ბაბუციძის, თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილის მარინა ღუდუშაურის, და ამ სამინისტროების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების. საუბრები გაიმართა ასევე გენერალურ პროკურორთან გია მეფარიშვილთან, გენერალური პროკურორის მოადგილესთან შოთა ასათიანთან, გენერალური პროკურორის მოადგილესთან, სამხედრო პროკურორ ბადრი ბიწაძესთან, საქართველოს სახალხო დამცველთან ნანა დევდარიანთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილესთან რუსუდან ბერიძესთან, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან კონსტანტინე კემულარიასთან.

დელეგაცია მადლობელია ხელისუფლების მიერ შერჩეული ადგილობრივი კოორდინატორის, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის, გიორგი წკრიალაშვილის, მისმიერ გაწეული ქმედითი დახმარებისათვის ვიზიტამდე, ვიზიტის მსვლელობისას და მის შემდგომ.

6. თავისუფლების აღკვეთის მონახულებული დაწესებულებების თანამშრომლებმა დელეგაციას ქმედითი დახმარება გაუწიეს. ეჭვს არ იწვევსის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა **წპკ**-ს ვიზიტის მოსამზადებლად და მისი მანდატისა და საქმიანობის შესახებ ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირების თვალსაზრისით მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამან დიდად შეუწყო ხელი დელეგაციის მუშაობას, და კერძოდ საშუალება მისცა მას შეუფერხებლად შესულიყო თავისუფლების აღკვეთის ყველა მონახულებულ დაწესებულებაში, შეუზღუდავად გადაადგილებულიყო ამ დაწესებულებების ტერიტორიაზე და მოწმეების გარეშე უშუალოდ ესაუბრა თავისუფლებაააღკვეთილ პირებთან.

7. თუმცა, რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დაუბრკოლებელ შესვლას, უნდა აღინიშნოს ორი გამონაკლისი შემთხვევა იმ საერთო პოზიტიური ვითარებიდან, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი. პირველი, დელეგაცია 25 წუთი ელოდა ნებართვას შესულიყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში, თბილისში; ამ დროის განმავლობაში მორიგე თანამშრომელი, როგორც ჩანს, ათანხმებდა მის ზემდგომებთან ჰქონდა თუ არა დელეგაციას იზოლატორში შესვლის უფლება.

მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა 2001 წლის 12 მაისს, როცა დელეგაციის ერთ-ერთი ქვე-

ჯგუფი დაბრუნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ქალაქის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორის ხელმეორედ მოსანახულებლად. მორიგე პოლიციელმა სამმართველოს უფროსის მოადგილის მოსვლამდე არ მისცა დელეგაციას იზოლატორში შესვლის უფლება, რასაც დაახლოებით ნახევარი საათი დასჭირდა.

წპკ გამოთქვამს რწმენას, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი აღარ ექნება მომავალი ვიზიტების დროს.

8. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დაწესებულებების მონახულებისას დელეგაციას გარკვეული პრობლემები შეექმნა მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით. მაგალითად, თბილისის №5 საპყრობილეში ვიზიტის პირველ დღეს დელეგაციას უთხრეს, რომ მთავარი კორპუსის სარდაფში არსებული საკნები თითქმის არასოდეს გამოიყენებოდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ვიზიტის წინა დღეს სარდაფის საკნებში 164 პატიმარი იყო მოთავსებული. უფრო მეტიც, პატიმრებთან საუბრებმა და სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ გამოავლინა, რომ სარდაფში ხშირად ბევრი პატიმარი იმყოფებოდა. ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყო მცდელობა შეცდომაში შეეყვანათ დელეგაცია "კარცერად" წოდებული ორი ოთახის ზუსტ ადგილმდებარობასა და დანიშნულებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ქუთაისის გარნიზონის ჰაუპტვახტის ვიზიტის დასაწყისში დელეგაციას უთხრეს, რომ იქ არავინ მოუთავსებიათ წინა ორი კვირის განმავლობაში; თუმცა სარეგისტრაციო ჟურნალის შემოწმებამ ცხადყო, რომ დელეგაციის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე ჰაუპტვახტში ერთი ახალწვეული იყო დაკავებული.

ამგვარი ქმედებები აშკარად არ შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლში ჩამოყალიბებულ თანამშრომლობის პრინციპს.

დ. ქვეყნის მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

9. 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო მრავალი ურთულესი პრობლემის წინაშე დადგა, როგორიცაა სამოქალაქო ომი, მძიმე ეკონომიკური კრიზისი, მზარდი სოციალური პრობლემები. საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ ეს ფაქტორები უარყოფით ზეგავლენას ახდენს იმ სფეროებზე, რომელსაც კომიტეტის მანდატი მოიცავს. **წპკ**-მა მხედველობაში მიიღო ეს გარემოებები, განსაკუთრებით თავისუფლებააღკვეთილი პირების საერთო ყოფის და მათი ყოველდღიური საქმიანობის გაცნობის დროს. თუმცა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შემაჯამებელ შეხვერდაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი და ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები არანაირად არ ამართლებს განზრახ არამართებულ მოპყრობას.

10. **წპკ**-ს დელეგაციასთან შეხვედრების დროს, საქართველოს ხელისუფლებამ დაუფარავად აღიარა, რომ კორუფცია ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. დელეგაციამ მრავალი დაკავებული პირისგან მოისმინა, რომ განთავისუფლებისათვის მათ პოლიციელებმა ფული მოთხოვეს. ფულის გამოძალვის მცდელობებს აგრეთვე ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებისა და სამედიცინო პერსონალის მხრიდან, რათა მათ პატიმრებისათვის საშუალება მიეცათ ესარგებლათ იმ მომსახურებით, რომელიც მათ კანონით ეკუთვნოდათ ან ესარგებლათ გარკვეული პრივილეგიებით. დელეგაციამ ასევე იხილა ფაქტები, რომლებიც მეტყველებდნენ იმაზე, რომ პატიმრებიდა პაციენტები აშკარად არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, პოლიციელებთან, სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებსა და სამედიცინო პერსონალთან საუბრებმა წარმოაჩინა ის ყოველდღიური სირთულეები, რომელსაც ისინი აწყდებიან დაბალი და ხშირ შემთხვევებში დაგვიანებული ხელფასებისა და იმ უმძიმესი მატერიალური პირობების გამო, რომელშიც მათ უწევთ მუშაობა.

წპკ-სთვის ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლება მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს კორუფციის წინაღმდეგ, როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია სათანადო საკანონმდებლო აქტების მიღება, ანტი-კორუფციული პროგრამისა და სახელმწიფო მოხელეთა ქცევის კოდექსის შემუშავება. გარდა ამისა, როგორც ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყანამ, საქართველომ ხელი მოაწერა კორუფციის წინააღმდეგ კონვენციებს და მონაწილეობს კორუფციის წინააღმდეგ შექმნილი სახელმწიფოების ჯგუფის(ღრ) მუშაობაში. ამ ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მოიცავს მთელ რიგ ღონისძიებებს კორუფციის დაძლევის კომპლექსური სტრატეგიის შექმნის მიზნით, რომელიც ითვალისწინებს პრევენციას, საგანმანათლებლო მუშაობას და შესაბამისი სანქციების განხორციელებას. **წპკ-ს სწამს, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავაც გააგრძელებს შეურიგებელ ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ და ითხოვს ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიმართულია**

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

11. **წპკ**-ს პირველი ვიზიტი საქართველოში შედგა იმ დროს, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და სამართლებრივი რეფორმები. კერძოდ, სასჯელაღსრულების სისტემაახალი გადაცემული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში და ამასთან დაკავშირებული ცვლილებები ჯერ კიდევ არ იყო სრულად გატარებული ამ სისტემაში. გარდა ამისა, **წპკ**-ს მანდატით განსაზღვრულ საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე იყო მიღებული იყო, ან, მათში ახალი შეტანილი იყო სხვადასხვა სახის ცვლილებები. მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილებები ხორციელდება ასევე თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, შეიქმნა სახალხო დამცველის ინსტიტუტი და ეროვნული უშიშროების საბჭო.

წპკ მიიჩნევს, რომ ზემოხსენებულ ცვლილებებს შეავსებს და ეფექტურობას შესძენს სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სისტემების დანერგვა თავისუფლებააღკვეთილპირთა (მათ შორის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში იძულებით მოთავსებული პაციენტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკავებული უცხო სახელმწიფოს მოქალაქეების) რაოდენობის და კატეგორიების შესახებ.

12. ვიზიტის დროს დადგენილი ფაქტების საფუძველზე **წპკ**-ს მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ჩამოყალიბებულია რიგი რეკომენდაციები. ზოგიერთი მათგანი არ საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს და ისინი დაუყოვნებლივ შეიძლება განხორციელდეს. ამასთან ერთად, დანარჩენი რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვან საბიუჯეტო დანახარჯებს მოითხოვს, რაც საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ალბათ, რთულ ამოცანას წარმოადგენს. **წპკ**-ს გააჩნია ინფორმაცია იმ კონკრეტული ინიციატივების თაობაზე, რომლებიც საქართველოს დახმარების მიზნით უკვე ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ როგორც ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. **წპკ**-ს სწამს, რომ ამგვარი ძალისხმევა გაგრძელდება და კიდევ უფრო გაძლიერდება. **წაამების პრევენციის კომიტეტი გამოთქვამს იმედს, რომ წარმოდგენილ მოხსენებაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციები და სხვა შენიშვნები ხელს შეუწყობს პრიორიტეტების განსაზღვრას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კომიტეტის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.**

<u>ე. კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირველი რიგის შენიშვნები</u>

13. ვიზიტის ბოლოს იუსტიციის სამინისტროში გამართულ შეკრებაზე **წპკ**-ს დელეგაცია შეხვდა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებს, რათა გაეცნო მათთვის ვიზიტის მთავარი შედეგები. ამ შეხვედრაზე დელეგაციამ კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ჩამოაყალიბა პირველი რიგის შენიშვნები განსაკუთრებით გადაუდებელ სამ საკითხთან დაკავშირებით.

პირველი შენიშვნა ეხებოდა თბილისის №1 და №5 საპყრობილეების დისციპლინურ საკნებს ("კარცერებს") (მათ შორის დისციპლინურ საკანს პატიმარი ქალების კორპუსში №5 საპყრობილეში). აღნიშნული საკნები ძალიან პატარა, ბნელი და უჰაეროა და მრავალი სხვა თვალსაზრისითაც არადამაკმაყოფილებელია, რის გამოც მათში ადამიანის გაჩერება სრულიად დაუშვებელია. დელეგაციამ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა თხოვნით გაეუქმებინა ეს საკნები.

მეორე შენიშვნა ეხებოდა თბილისის №1 საპყრობილეში მყოფ იმ პატიმრებს, რომლებიც არ სარგებლობენ ყოველდღიურად ჰაერზე ერთსაათიანი გასვლის უფლებით. დელეგაციამ დაბეჯითებით სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ მიეღო ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ყველა პატიმარს გამონაკლისის გარეშე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ყოველდღე არანაკლებ ერთი საათი გავიდეს სუფთა ჰაერზე.

მესამე შენიშვნა გაკეთდა ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან დაკავშირებით, სადაც დელეგაციამ იხილა კარცერად წოდებული ორი საკანი, რომლებიც სრულიად შეუფერებელია ადამიანის მოსათავსებლად ნებისმიერი დროით. დელეგაციამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას უარი თქვას ამ საკნების გამოყენებაზე და მათ ნაცვლად გამოყოს სხვა უფრო შესაფერისი ოთახები იმ პაციენტებისათვის, რომლებიც მარტო მოთავსებას საჭიროებენ.

14. ზემოაღნიშნული შენიშვნები შემდგომში ჩამოყალიბდა **წპკ**-ს პრეზიდენტის 2001 წლის 6 ივნისის წერილში. კომიტეტმა თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას 3 თვის ვადაში წარმოედგინა მისთვის ამ შენიშვნებზე რეაგირების მიზნით გატარებული ღონისძიებების ანგარიში.

დელეგაციამ ასევე ითხოვა 3 თვის ვადაში დასტურის მიღება იმის თაობაზე, რომ:

- გაუმჯობესდა თბილისის №1 საპყრობილეში "საკარანტინო ოთახების" მდგომარეობა;
- ამოღებულ იქნა მოხმარებიდან თბილისის №5 საპყრობილის სარდაფი (მათ შორის "საკარანტინო ოთახები" და სიკვდილმისჯილთა ყოფილი საკნები)
- ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ყველა პაციენტი, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, ყოველდღიურად არანაკლებ ერთი საათისა სარგებლობს ჰაერზე გასვლის უფლებით.

გარდა ამისა, დელეგაციამ კიდევ ერთხელ მოითხოვა დეტალური ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გენერალური პროკურატურის მიერ იქნა გატარებული იმ პირთა საქმეების გამოძიებისა და სამართლებრივი რეაგირების თაობაზე, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ არამართებულ მოპყრობაში და ასევე ინფორმაცია ამ ღონისძიებების კონკრეტული შედეგების შესახებ.

15. 2001 წლის 9 სექტემბრის და 2001 წლის 26 ნოემბრის წერილებით საქართველოს ხელისუფლებამ **წპკ**-ს მიაწოდა ინფორმაცია მიღებული ზომების თაობაზე. გატარებული ზომები განხილულია ამ მოხსენების შემდეგ თავებში. ამასთან, კომიტეტს სურს აქვე მიესალმოს იმ პოზიტიურ სულისკვეთებას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გამოავლინა ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებისა და მათზე რეაგირების თვალსაზრისით.

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შემოთავაზებული ღონისძიებები

ა. <u>პოლიციის დაწესებულებები</u>

1. წინასწარი კომენტარები

16. სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების დაკავებას არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის მაისიდან (და შემდგომში ამ კოდექსში შეტანილი რიგი ცვლილებები და დამატებები).

პოლიციაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. იგი უნდა დაიკითხოს მისი პოლიციაში მიყვანიდან არაუგვიანეს 24 საათისა.[1] ამ დროის განმავლობაში პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო მუშაკები (მოკვლევის ორგანო) და გამომძიებლები აწარმოებენ ეჭვმიტანილის დაკითხვას, ჩაატარებენ სხვა აუცილებელ საგამოძიებო მოქმედებებს, რათა გადაწყდეს უნდა მოხდეს თუ არა ბრალდების წაყენება. ეჭვმიტანილი პირისთვის ბრალდების წაყენების შემთხვევაში, შესაბამისი შუამდგომლობა ეგზავნება მოსამართლეს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების თაობაზე, რომელმაც 24 საათის განმავლობაში უნდა მიიღის გადაწყვეტილება აღნიშნული პირის დაპატიმრებისან აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენების (მაგ. შინაპატიმრობა, გირაო და ა.შ.) ან განთავისუფლების შესახებ.[2] აქედან გამომდინარე, სისიხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილმა პირმა პოლიციის განყოფილებაში შეიძლება დაჰყოს არაუმეტეს 72 საათისა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ პატიმრობამისჯილი ბრალდებული უნდა გადაიყვანონ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საგამოძიებო დაწესებულებაში.

17. უნდა აღინიშნოს ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე (3) და 146-ე (2) მუხლები, რომლის თანახმადაც, პირის დაკავების შემთხვევაში დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულის მიყვანიდან არა უგვიანეს 12 საათისა. ამ დროის განმავლობაში მოკვლევის ორგანო მოიპოვებს დაკავებულის და თვითმხილველთა განმარტებებს და სხვა ნივთიერ მტკიცებულებებს. თუ დადასტურდა თავდაპირველი ეჭვი, მოკვლევის ორგანოს გამო აქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ და შეადგენს დაკავების ოქმს. ამ დოკუმენტების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება პროკურორს ცნობისათვის.

18. სამინისტროების ხელმძღვანელებთან, პროკურატურისა და პოლიციის თანამშრომლებთან შეხვედრებისას დელეგაციამ მოისმინა მრავალი სხვადასხვა განმარტება კანონის ზემოხსენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. დელეგაციასთან შევედრისას ზოგი აღნიშნავდა, რომ ამ მოხსენების მე-17 პარაგრაფში აღნიშნული 12 საათი შედიოდა პოლიციის განყოფილებაში პირის დაკავების 72 საათიან ვადაში. ზოგი მიიჩნევდა, რომ პირის დაკავებიდან გასული პირველი 12 საათი <u>არ შედიოდა ა</u>მ დროში, რადგან იგი ჯერ არ იყო ოფიციალურად ცნობილი ეჭვმიტანილად. აქვე

1 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 12 (3), 72 (2) და 310 (1) მუხლები.
2 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140 და 146 (7) მუხლები

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის პოლიციის განყოფილების დროებითი დაკავების იზოლატორის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დასაშვებია პოლიციაში დაკავების ვადა გაგრძელდეს 7 დღემდე, თუ ამას გამოძიების ინტერესები მოითხოვს.

დელეგაციამ ასევე შეიტყო, რომ დებულება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, რომლის მიხედვითაც პოლიციას შეუძლია პირის 3 საათით დააკავება, გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დაკავებისა და მისგან განმარტებების მიღებისათვის. ეს 3 საათი, როგორც ჩანს, არაღ ირიცხებოდა პოლიციაში დაკავების მაქსიმალური ვადის გამოთვლისას.

წპკ-ს სურს მიიღოს საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და ასევე სრული ანგარიში სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების პოლიციაში დაკავების კანონით დადგენილი ვადებისა და საპროცესო ეტაპების თაობაზე.

19. მიუხედავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ ხსენებული მოთხოვნების და დებულებებისა, დელეგაციამ მრავალი პირისგან მოისმინა, რომ დაკავებული პირები კანონით დაშვებულზე მეტ ხანს (რამდენიმე კვირა ან თვეც კი) იმყოფებოდნენ პოლიციის ერთი და იგივე ან სხვადასხვა განყოფილებებში. სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ გამოავლინა შემთხვევები, როცა ცალკეულმა პირებმა 7 დღემდეც კი დაჰყვეს რაიონული პოლიციის განყოფილებაში საგამოძიებო იზოლატორში მათ გადაყვანამდე[3]. მონახულებულ დაწესებულებებში ასევე გამოვლინდა ფაქტები, როცა დაკავებულ პირები ორ კვირამდეც კი იმყოფებოდნენ პოლიციის იზოლატორებში. ზოგ შემთხვევაში ვადების ამგვარი დარღვევების მიზეზად დასახელდა სასამართლოს დადგენილების დაგვიანებული მიღება ან საპატიმრო დაწესებულებებში დაკავებულ პირთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეები. თუმცა ზოგიერთ სხვა შემთხვევებს ახსნა-განმარტება არ მიეცა.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღოს პოლიციაში დაკავების კანონით დადგენილი ვადების პრაქტიკაში დაცვის უზრუნველსაყოფად.

2. წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფაქტები

20. ვიზიტის დროს დელეგაციამ მოისმინა მრავალი განცხადება პოლიციის მიერ დანაშაულში ეჭვმიტანილების ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ. ზოგიერთი განცხადებით ფიზიკური შეურაცხყოფა იმდენად მძიმეიყო, რომ წამების ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს. თითქმის ყველა ეს განცხადება გაკეთდა იმ პირების მიერ, რომლებსაც დელეგაცია ესაუბრა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ან რომლებიც ცოტა ხნით ადრე პოლიციაში იყვნენ დაკავებული. აღსანიშნავია, რომ მონახულებულ პოლიციის დაწესებულებებში მხოლოდ რამდენიმე ეჭვმიტანილი იყო დაკავებული (24 ადამიანი 19 მონახულებულ პოლიციის დაწესებულებაში)[4]. რამდენიმე მათგანს აშკარად ეტყობოდა ფიზიკური ძალადობის ნიშნები, თუმცა ცხადი იყო, რომ შიშის გამო ისინი თავს არიდებდნენ ამის შესახებ დელეგაციასთან საუბარს და ასევე დელეგაციის შემადგენლობაში მყოფ ექიმების მიერ მათ გასინჯვას.

აღსანიშნავია ასევე, რომ ზოგიერთის აზრით მათ მიმართ უხეშ ფიზიკურ მოპყრობას არ ჰქონია ადგილი მხოლოდ იმის გამო, რომ მათ თავიდანვე აღიარეს დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ისინი იყვნენ ეჭვმიტანილი.

21. განცხადებების თანახმად, ფიზიკურ ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც პოლიციის მიერ მათი დაკავების, ასევე პოლიციის თანამშრომლების მიერ მათი შემდგომი დაკითხვის დროს და ძირითადად ვლინდებოდა სახეში გარტყმის, მუშტით ცემის, წიხლების, პოლიციის ხელკეტების, იარაღის კონდახის და სხვა მაგარი საგნების გამოყენების ფაქტებში. ყველაზე მძიმე შემთხვევებში განცხადებები ეხებოდა ელექტროშოკის, აირწინაღების გამოყენებას, ფეხის გულებზე ცემას და თავდაყირა მდგომარეობაში დაკავებულის იძულებით გაჩერებას. თითქმის ყველა განცხადება ეხებოდა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებაზე პასუხისმგებელ პოლიციის ოპერატიულ მუშაკებს (მოკვლევის ორგანოს). დელეგაციამ ასევე მოისმინა რამდენიმე განცხადება გამომძიებლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირე-

3 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149 მუხლის თანახმად, პოლიციის
მიერ დაკავებული პირები დროებითი ყოფნის იზოლატორში იმყოფებიან

4 სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ გამოავლინა, რომ პოლიციაში დაკავებულთა რაოდენობა შემცირდა დელეგაციის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე და უშუალოდ ვიზიტის განმავლობაში. მაგალითად, შსს თბილისის ქალაქის მთავარი სამმართველოს იზოლატორში, სადაც ამ დაწესებულების დირექტორის თქმით გადმოჰყავთ დაკავებული პირები თბილისის ყველა რაიონული სამმართველოდან, მხოლოდ ორი დანაშაულში ეჭვმიტანილი იმყოფებოდა. სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით, 2001 წლის 7 მაისამდე დაწესებულებაში ჩვეულებრივ იმყოფებოდა 12-17 დაკავებული.

ბით. თითქმის არ ყოფილა განცხადებები დროებითი დაკავების იზოლატორში მომუშავე პერსონალის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის თაობზე.

22. დელეგაციაში შემავალმა ექიმებმა გასინჯეს ზოგიერთი იმ პირთაგანი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას და გამოავლინეს, რომ მათ აღენიშნებოდათ ამგვარი ზემოქმედების რეალური ფიზიკური ნიშნები. შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი კონკრეტული მაგალითები: - ერთ-ერთმა პირმა, რომელსაც დელეგაცია ესაუბრა თბილისის №5 საპყრობილეში განაცხადა, რომ ექვსი დღის წინ, იგი დააკავეს და მიიყვანეს პოლიციის რაიონულ განყოფილებაში, სადაც პოლიციელთა ჯგუფმა იგი მუშტით სცემა და ხელკეტები ურტყა მთელ სხეულზე და თავში. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა, რომ ზურგზე მხრის მიდამოში მას აღენიშნებოდა მოიისფრო-მწვანე ფერის 6X5 სმ ჰემატომა; მარჯვენა მხარეს იღლიის ქვეშ

7X8 სმ და 3X4 სმ სისხლჩაქცევები; მარჯვენა ზედა მხარის არეში 2X1 სმ ჰემატომა; მარჯვენა მხარის უკან 2X1 სმ მოიისფრო-მწვანე ფერის ჰემატომა;

- მეორე პატიმარმა, რომელსაც დელეგაცია ესაუბრა თბილისის №5 საპყრობილეში, განაცხადა, რომ ექვსი დღის წინ, იგი დააკავეს და მიიყვანეს პოლიციის რაიონულ განყოფილებაში, სადაც სცემეს და აწამეს ელექტროშოკით ძველებური ტელეფონის მსგავსი აპარატით. მეორე დღეს იგი გადაიყვანეს პოლიციის სხვა განყოფილებაში, სადაც, მისი განცხადებით, იგი კვლავ სცემეს, სახეზე გაუკეთეს აირწინაღი და ცერი თითი კარებში მოუყოლეს. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა, რომ მას სამ ადგილას ორივე ფეხის წინა არეში აღენიშნებოდა 2X1 სმ მოყავისფრო გამხმარი ნაიარევი; მარცხენა ცერის ფრჩხილის ძირში ახალი სისხლჩაქცევა, რომელიც ფრჩხილის ზედაპირის ნახევარს ფარავდა;

- მესამე პირმა, რომელსაც დელეგაცია ესაუბრა თბილისის №5 საპყრობილეში, განაცხადა, რომ დაახლოებით 9 თვის წინ იგი დააკავეს და დაკითხეს ტრანსპორტის პოლიციის დეპარტამენტში, რომელიც თბილისის ვაგზალთან ახლოს მდებარეობს. მისი განცხადებით დაკითხვის დროს მას გამუდმებით სცემდნენ ხელკეტებით მთელ სხეულზე და განსაკუთრებით ფეხისგულებზე. მან ასევე განაცხადა, რომ იგი აწამეს ელექტროშოკით, კერძოდ კი ხელებზე მიადეს ორი ელექტროდის შემაერთებელი სადენი. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა, რომ მარჯვენა ცერის ძირში მას ჰქონდა დაახლოებით 2 სმ სიგრძის მოვარდისფრო-ყავისფერი გრძივი ჭრილობა, რომელიც შეესაბამებოდა მის ჩვენებას ელექტროშოკით წამებასთან დაკავშირებით;

- ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელსაც დელეგაცია შეხვდა ქუთაისის №2 საპყრობილეში განაცხადა, რომ სამი კვირის წინ, იგი პოლიციამ დააკავა, გონების დაკარგვამდე სცემა და მხოლოდ დროებითი დაკავების იზოლატორში მოვიდა გონზე. სამედიცინო შემოწმებამ გამოავლინა შუბლის მარცხენა არეში 1X0,5 სმ ჭრილობა; მარცხენა პარიეტალურ არეში 1,5 სმ გრძივი ჭრილობა; კეფის არეში 1,5 სმ ჭრილობა; მარცხენა ფეხის წვივის ქვედა ნაწილში 2 სმ ჭრილობა. ყველა ეს ჭრილობა დაახლოებით სამი-ოთხი კვირის იყო და მოვარდისფრო-რუხი ფერი ჰქონდა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის (პატიმრის ციხეში მოყვანის მომენტში აღნიშნული ტრავმული დაზიანებების ჟურნალის და ასევე პატიმართა პირადი სამედიცინო ისტორიის) გაცნობისას დელეგაციამ აღმოაჩინა სამედიცინო შემოწმების დასკვნები, რომლებიც შეესაბამებოდა გამოკითხული პირების განცხადებებს პოლიციის მუშაკთა მიერ მათ მიმართ ჩადენილი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე.

23. **წპკ**-ს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **საქართველოში ეჭვმიტანილ პირებს პოლიციის მიერ დაკავებისას და/ან პოლიციაში მათი ყოფნის პერიოდში (განსაკუთრებით დაკითხვის დროს) ემუქრებათ სერიოზული საფრთხე იმისა, რომ მათ მიმართ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არამართებულ მოპყრობას და ზოგიერთ შემთხვევაში უხეშ ფიზიკურ მოპყრობას/წამებასაც კი.**

24. დელეგაციასთან შეხვედრის დროს ხელისუფლების მრავალმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პოლიციის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფა რეალურად არსებული პრობლემაა. საქართველოს სახალხო დამცველის თქმით "პოლიციის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფა უფრო ნორმაა, ვიდრე გამონაკლისი". პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დელეგაციას ესაუბრა იმ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივების, მათ შორის ადვოკატურისა და სამედიცინო ექსპერტიზის კანონპროექტების შესახებ, რომლებმაც ხელიუნდა შეუწყოს პოლიციაში დაკავებულ პირთა მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის აღკვეთას.

გენერალური პროკურორის მოადგილემ აღნიშნა, რომ იმ პირებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, შემდეგ ხშირად უკან მიაქვთ საჩივარი, რადგან რთულია სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა. გენერალური პროკურატურის მიერ

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2000 წელსა და 2001 წლის დასაწყისში აღიძრა 13 სისხლის სამართლის საქმე პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ფიზიკური შეურაცხყოფისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე. ამათგან 4 საქმე გადაეცა სასამართლოს, 2 შეჩერებულია პროცესუალური მოსაზრებებით, ხოლო 7 საქმე ძიებაშია. აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში სასამართლომ არ მიიღო პროკურორის შუამდგომლობა სამი პოლიციელის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე მათ მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო და ეს პოლიციელები კვლავ სამართალდამცავ ორგანოებში განაგრძობენ მუშობას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თავად აღიარა, რომ მართლაც აქვს ადგილი პოლიციელთა მხრიდან კანონპრევენციის ქმედებებს და განაცხადა, რომ ტარდება ღონისძებები პოლიციაში დაკავებულ პირთა ფიზიკური შეურაცხყოფის აღსაკვეთად. ერთ-ერთი ამგვარი ღონისძიება იყო სამინისტროში გენერალური ინსპექციის შექმნა, რომელიც აწარმოებს მოკვლევას პოლიცილთა მიერ ჩადენილი მართლპრევენციის ქმედებების (მათ შორის ფიზიკური შეურაცხყოფის) თაობაზე შემოსულ საჩივრებთან დაკავშირებით და შეიმუშავებს სანქციებს, რომლებსაც ამტკიცებს მინისტრი ან მისი მოადგილე. ანალოგიური სტრუქტურები შექმნილია ასევე რეგიონალურ დონეზე.

დელეგაციამ ასევე მიიღო სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლების მიმართ 1996-2001 წლებში განხორციელებული სისხლის სამართლის და დისციპლინარული სანქციების შესახებ. **წპკ** მადლობას გამოთქვამს ამ ინფორმაციისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი სამწუხაროდ არ ასახავს თუ რამდენ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პოლიციის მუშაკთა მიერ ჩადენილი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს (მათი არასათანადო ქცევის სხვა ფორმებთან შედარებით).

იმისათვის, რომ **წპკ**-ს სრული წარმოდგენა შეექმნას არსებული ვითარების შესახებ, **იგი სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას მიაწოდოს მას უკანასკნელი 2000 და 2001 წლების მონაცემები იმის თაობაზე, თუ:**

- რამდენი საჩივარი გაკეთდა პოლიციის მუშაკების მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე და რამდენი სისხლის სამართლის/დისციპლინარული საქმე აღიძრა ამასთან დაკავშირებით;

- ინფორმაციას იმ სისხლის სამართლის/დისციპლინარული სანქციების შესახებ, რომლებიც განხორციელდა ამ საჩივრების საფუძველზე. წპკ-ს ასევე სურს მიიღოს დეტალური ინფორმაცია პოლიციის მხრიდან არამართებული მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით საჩივრების შემოტანისა და გამოყენებული დისციპლინარული პროცედურების შესახებ, მათ შორის იმ მექანიზმების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მათ ობიექტურობას.

25. მოხსენების შემდეგ თავებში მოცემულია **წპკ**-ს რეკომენდაციები დაკავებულ პირთა პოლიციის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფისგან დაცვის მექანიზმებისგან მტკიცების თაობაზე (იხ. 35-ე პარაგრაფი). თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სამართლებრივი გარანტიები, მიუხედავად მათი უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, საკმარისი არა რის; ფიზიკური შეურაცხყოფის აღკვეთის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს ერთმნიშვნელოვნად უარის თქმა მის გამოყენებაზე თვით პოლიციის თანამშრომელთა მიერ. ეს გულისხმობს სამუშაოზე მიღების დროს შერჩევის მკაცრი კრიტერიუმების გამოყენებას და სათანადო პროფესიულ მომზადებას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლება უნდა ისწრაფვოდეს პოლიციელთა პრაქტიკული პროფესიული მომზადება წარმართოს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიციელთა სათანადო ქცევა მაღალი რისკის მქონე სიტუაციებში, როგორიცაა ეჭვმიტანილთა დაკავება და დაკითხვა. ეს გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ადამიანის უფლებათა საკითხებზე ცალკე თეორიული კურსების მოსმენა. პოლიციის მუშაკთა პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება უნდა ხორციელდებოდეს ამ სისტემის ყველა დონეზე და ამ პროცესს უწყვეტი ხასიათი უნდა ჰქონდეს. სხვა მიზნებთან ერთად იგი უნდა ემსახურებოდეს ორ ძირითად პრინციპს: პირველი, ნებისმიერი ფორმით ჩადენილი ფიზიკური შეურაცხყოფა ადამიანის ღირსების შემლახავია და აქედან გამომდინარე შეუთავსებელია იმ ფასეულობებთან, რომელიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. მეორე, ფიზიკური იძულების გამოყენება თავიდანვე მცდარი მეთოდია სანდო მტკიცებულებების მოსაპოვებლად. დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით გაცილებით უკეთეს შედეგს გამო იღებს დაკითხვისა და გამოძიების უფრო მოწინავე მეთოდიკის დანერგვა.

ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიციაში დაკავებულ პირებთან ურთიერთობის, კერძოდ კი მათთან საუბრის სწორად წარმართვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ეს ხშირ შემთხვევებში დაეხმარება პოლიციის თანამშრომლებს განმუხტონ პოტენციურად საშიში სიტუაციები. აქედან გამომდინარე, **წპპ იძლევა რეკომენდაციას:**

- განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭოს პოლიციის ყველა რანგისა და კატეგორიის თანამშრომელთა პროფესიულ მომზადებას, მათ შორის თანამედროვე საგამოძიებო მეთოდებსა და პრაქტიკაში. პროფესიონალი პოლიციელების გარდა სწავლებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ასევე სხვა სფეროს სპეციალისტებმა;

- პოლიციელთა სამსახურში მიღების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი უნდა იყოს ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა კომუნიკაბელურობა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ხოლო მათი პროფესიული მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებას.

წპპ ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა და პოლიციის ხელმძღვანელმა მუშაკებმა განუმარტონ პოლიციის თანამშრომლებს, რომ დაკავებულ პირთა მიმართ არამართებული მოპყრობა და ფიზიკური ძალის გამოყენება დაუშვებელია და მკაცრად დაისჯება.

26. რაც შეეხება უშუალოდ დაკავების დროს არამართებული მოპყრობის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებს, **წპპ** სრულად ითვალისწინებს იმას, რომ ეჭვმიტანილის დაკავება ხშირად ძალზედ სახიფათო შეიძლება იყოს, განსაკუთრებით, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს და/ან პოლიციას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ იგი შეიარაღებულია და ამდენად საშიშროებას წარმოადგენს. ზოგჯერ როგორც დაკავებული პირი, ასევე პოლიციის მუშაკები შეიძლება შემთხვევით დაშავდნენ. ეჭვმიტანილის დაკავებისას აუცილებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენება უნდა ხდებოდეს მკაცრად იმ ფარგლებში, რასაც კონკრეტული ვითარება მოითხოვს. ხოლო მას შემდეგ, რაც დაკავებული პირი კონტროლს დაექვემდებარება, არანაირი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს პოლიციის მიერ მის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას.

წპპ იძლევა რეკომენდაციას, რომ პოლიციის მუშაკებს მუდმივად შეახსენონ ეს სავალდებულო მოთხოვნები.

27. ცხადია, რომ მრავალჯერადმა სტრესებმა და დაძაბულმა სიტუაციებმა შესაძლოა მწვავე ფსიქოლოგიური რეაქცია და არაადექვატური ქცევა გამოიწვიოს. **წპპ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია ყველა იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომლებიც ტარდება იმ პოლიციელების დასახმარებლად ვისაც უწევთ ამგვარ სიტუაციებში მუშაობა.**

28. პოლიციის მუშაკთა მხრიდან არამართებული მოპყრობის აღსაკვეთად კიდევ ერთი ქმედითი საშუალებაა სასამართლოს მიერ ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით მიღებული ყველა საჩივრის ზედმიწევნით შესწავლა და სათანადო რეაგირება. ამას უაღრესად დიდი პრევენციული მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით **წპპ** ხაზგასმით მიუთითებს, რომ ყველა პირი, ვის მიმართაც გამოიყენება დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ზომა, პირადად უნდა წარსდგეს იმ მოსამართლის წინაშე, რომელსაც გამო აქვს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების თაობაზე. ეს საშუალებას მისცემს პირს, რომელსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დროულად შეიტანოს საჩივარი ამგვარ ქმედებაზე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი არ ჩივის, თავად ის ფაქტი, რომ იგი შეხვდება მოსამართლეს, ამ უკანასკნელს მისცემს საშუალებას დროულად იმოქმედოს, თუ ის შეამჩნევს დაკავებულ პირზე ფიზიკური ზემოქმედების ნიშნებს (მაგ. სხეულის დაზიანებებს, მის ზოგად ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობას და ა.შ.)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლო სხდომაში "მონაწილეობის უფლება აქვს" ბრალდებულს, რომლის მიმართაც სასამართლოში შეტანილია შუამდგომლობა დაპატიმრების შესახებ. თუმცა ვიზიტის დროს მოპოვებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ ჩვეულებრივ მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ბრალდებულის დაუსწრებლად. **წპპ იძლევა რეკომენდაციას განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები (მათ შორის, თუ ეს აუცილებელია, საკანონმდებლო ცვლილებებიც) იმის უზრუნველსაყოფად, რომ დანაშაულში ბრალდებული პირი, ვის მიმართაც მიიღება გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძების შესახებ, პირადად წარსდგეს იმ მოსამართლის წინაშე, რომელიც იღებს ამ გადაწყვეტილებას.**

29. ცხადია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა პოლიციის მიერ დაკავებულის ფიზიკური შეურაცხყოფის ნიშნები, მოსამართლემ უნდა მოახდინოს შესაბამისი რეგირება. ამასთან დაკავშირებით, **წპპ იძლევა რეკომენდაციას, რომ დაკავების ბოლო ეტაპზე სასამართლოში მიყვანილი ბრალდებულის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება პოლიციის მისდამი არასათანადო მოპყრობის თაობაზე მოსამართლემ უნდა წერილობით დააფიქსიროს, დაუყოვნებლივ გასცეს გან-**

კარგულება სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ბრალდებულის განცხადებაში აღნიშნული ფაქტების გამოძიების მიზნით. ამგვარი მიდგომა უნდა განხორციელდეს მიუხედავად იმისა, აღენიშნება თუ არა ბრალდებულს სხეულის ხილული დაზიანებები. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულს არ გაუკეთებია განცხადება მის მიმართ არამართებული მოპყრობის თაობაზე, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, თუ კი არსებობს სხვა საფუძველი, რაც მას აფიქრებინებს, რომ აღნიშნული პირი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია.

30. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის როლი. მის დასკვნას გადამწყვეტი ხმა ენიჭება სამართალწარმოების პროცესში. ამდენად, აუცილებელია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა იმ საქმეში, სადაც ეჭვმიტანილის განცხადებით ადგილი ქონდა მის მიმართ ფიზიკურ ძალადობას. თბილისის სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტში დელეგაციასთან შეხვედრის დროს, ექიმმა-ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ 1999 წლიდან ისინი უფლებამოსილი არიან მიიღონ მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე უშუალოდ იმ პირებისგან, ვინც აცხადებს, რომ არამართებული მოპყრობის მსხვერპლია, ან მათი ადვოკატებისაგან. ამ ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს თავად დაინტერესებული მხარე. თუმცა გაირკვა, რომ პრაქტიკაში დაკავებულ პირთა სამედიცინო შემოწმება კვლავაც ხორციელდება მხოლოდ გამომძიებლის/პროკურორის მოთხოვნის შედეგად. რაც შეეხება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს, დელეგაციამ აღნიშნა, რომ ისინი მოიცავდა დაკავებული პირის ჩვენებებს, სამედიცინო შემოწმების ობიექტურ შედეგებს და ექიმის მოკლე დასკვნებს.

სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ექიმების მიერ ჩატარებული შემოწმების გარდა, 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლებას. დელეგაცია შეხვდა ერთ-ერთ დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ 1999 წლის მაისის შემდეგ მან მათივე თხოვნით ექსპერტიზა ჩაუტარა 46 პირს, რომლებიც აცხადებდნენ პოლიციელთა მხრიდან მათ მიმართ ფიზიკური ძალადობის შესახებ და სასამართლოსაც მისცეს შესაბამისი ჩვენება. თუმცა, შესაძლოა დამოუკიდებელი ექსპერტიზის მომავალს საქართველოში საფრთხე დაემუქროს სასამართლო ექსპერტიზის შესახებ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ. **წპკ-ს სურს მიიღოს საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით და ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შესახებ ახალი კანონის ასლი.**

31. ახლადშემოსული პატიმრების შემოწმებისას გამოვლენილი სხეულის დაზიანებების სისტემატური აღრიცხვისა და საჭიროების შემთხვევაში ამ ინფორმაციის შესაბამისი უწყებებისათვის მიწოდებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო პერსონალს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს პოლიციელთა მხრიდან არამართებული მოპყრობის აღკვეთის საქმეში. ამ მოსაზრებას სრულად იზიარებს იუსტიციის მინისტრი, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში გასცა ამ საკითხზე სათანადო განკარგულებები. ამ ღონისძიებების შედეგად, 2001 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში დაფიქსირდა, რომ სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა თბილისის №5 საპყრობილეში მიყვანილ 54 და ქუთაისის №2 საპყრობილეში მიყვანილ 35 პატიმარს.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **წპკ**-ს დელეგაციას მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მიყვანის დროს გამოვლენილ სხეულის დაზიანებათა აღრიცხვის პროცედურა შეიძლება გაუმჯობესდეს. ტრავმული დაზიანებების სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც დელეგაციამ ნახა, მოცემული იყო ჭრილობების არასრული აღწერა და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იყო მითითებული პატიმართა მიერ მიცემული ახსნა-განმარტება ამ ჭრილობების წარმოშობის თაობაზე. გარდა ამისა, **წპკ**-მა შეშფოთებით აღნიშნა, რომ სამედიცინო შემოწმება ტარდებოდა პატიმრის ციხეში გადამყვანი პოლიციის მუშაკის/მუშაკების და ციხის სხვა არასამედიცინო პერსონალის დასწრებით. ამგვარი პრაქტიკა წარმოადგენს სამედიცინო კონფიდენციალურობის პრინციპის უხეშ დარღვევას და გარდა ამისა, შეიძლება აიძულოს პატიმარი თავი შეიკავოს სიმართლის თქმისაგან მომხდართან დაკავშირებით.

32. 30-ე და 31-ე პარაგრაფებში მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები და ციხის ექიმების მიერ ახლადმიყვანილი პატიმრის სამედიცინო შემოწმების შედეგების ამსახველი ჩანაწერი უნდა შეიცავდეს: (i) სრულ ინფორმაციას პატიმრის იმ კომენტარების შესახებ, რაც აქტუალურია სამედიცინო შემოწმებისათვის (მათ შორის პატიმრის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას და ნებისმიერ განცხადებას მის მიმართ არამართებული მოპყრო-**

ბისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე); (ii) სრულ ანგარიშს საფუძვლიანი გასინჯვის შედეგად გამოტანილი ობიექტური დასკვნების შესახებ და (iii) ექიმის დასკვნებს (i) და (ii)-სთან დაკავშირებით, სადაც აღინიშნება თუ რამდენად შეესაბამება პატიმრის მიერ გაკეთებული განცხადებები ობიექტური სამედიცინო შემოწმების შედეგებს. ამასთან, ყოველი სამედიცინო შემოწმების შედეგები, მათ შორის პატიმრის პირადი კომენტარები და ექიმის დასკვნები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრისა და მისი ადვოკატისათვის.

ამასთან ერთად, **წამების საწინააღმდეგო კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ ყველა სამედიცინო შემოწმება ტარდებოდეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისა და სხვა არასამედიცინო პერსონალის მოსმენისა და ვიზუალური დაკვირვების გარეშე, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ექიმი თავად ითხოვს გამონაკლისის დაშვებას.**

33. რაც შეეხება იმ ზომებს, რომლებიც მიიღება თუ ციხეში მიყვანილ პატიმარს გამოუვლინდა სხეულის დაზიანებები, დელეგაციას განემარტა, რომ ექიმის დასკვნები გადაეგზავნება ციხის სპეციალური დაცვის სამსახურს, რომელიც ვალდებულია პირველი გაესაუბროს პატიმარს (სხეულის დაზიანებების გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების გარკვევის მიზნით) და შეატყობინოს ამის შესახებ ზედამხედველ პროკურორს, რომელმაც უნდა აწარმოოს მოკვლევა და აუცილებლობის შემთხვევაში აღძრას სისხლის სამართლის საქმე ამ საკითხთან დაკავშირებით. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სპეციალური დაცვის სამსახური ასევე აწვდის ინფორმაციას შინაგან საქმეთა შესაბამისი რაიონული განყოფილებების საგამოძიებო სამსახურებს ან გენერალურ პროკურატურას დაკავებისა და და პატიმრების კანონიერების კონტროლის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით დელეგაციის შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2001 წლის დასაწყისიდან ქუთაისის №2 საპყრობილედან არცერთი საქმე არ გადაუცია პროკურორისათვის (თუმცა ციხის ექიმის განცხადებით ამ პერიოდში ახლადმიყვანილ 35 პატიმარს აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა დაზიანება). **წპკ საქართველოს ხელისუფლებას თხოვს კომენტარს აღნიშნულთან დაკავშირებით.**

წპკ-ს სურს ასევე მიიღოს იმ პროცედურის დეტალური აღწერა, რომელიც უნდა შეასრულოს სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეციალური დაცვის სამსახურმა, თუ პატიმარს ციხეში მიყვანისას აღენიშნება სხეულის დაზიანებები.

გარდა ამისა, წპკ ითხოვს 2001 წლის მონაცემებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებსაც საპაყრობილეში მიყვანისას აღენიშნებოდათ სხეულის დაზიანებები (საპყრობილეების მითითებით);

- ამგვარი შემთხვევების აღმოჩენის, რეგისტრაციისა და შეტყობინების შემდეგ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული ზომების ანგარიში.

34. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემოღებული ახალი წესის თანახმად, პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორებში მიყვანილი ყველა პირი უნდა შემოწმდეს სხეულის დაზიანებაზე. ამ შემოწმებას ძირითადად ასრულებდნენ პოლიციაში მომუშავე ექიმები, თუმცა თუ განყოფილებას არ ჰყავდა ექიმი, შემოწმება ტარდებოდა უშუალოდ პოლიციის თანამშრომელთა მიერ. ამგვარი მდგომარეობა აღინიშნა ქუთაისის შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო დეპარტამენტის დროებითი დაკავების იზოლატორში. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შსს თბილისის ქალაქის მთავარი სამმართველოს ექიმების განცხადებით, აღნიშნული დაწესებულებების

იზოლატორებში მიყვანილი ყველა დაკავებული პირი მოწმდება მათ მიერ. თუმცა ამ დაწესებულებების სამედიცინო ჟურნალებში, რომელთაც დელეგაცია გაეცნო, მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერი იყო გაკეთებული. ამასთან, ეს ჩანაწერები შემოიფარგლებოდა სხეულის დაზიანებათა მხოლოდ მოკლე აღწერით; ჟურნალში არ იყო მითითებული ამ დაზიანებების წარმოშობის თაობაზე თავად დაკავებულის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება და არ იყო მოცემული ექიმის დასკვნა იმაზე, თუ რამდენად შესაბამებოდა აღნიშნული დაზიანებები დაკავებული პირის ჩვენებებს.

იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემოღებულმა ამ ახალმა პროცედურამ ხელშესახები შედეგები გამოიღოს არამართებული მოპყრობის აღკვეთის **თვალსაზრისით, უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორებში მიყვანილი პირების სისტემატური და საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება ხორციელდებოდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ.** ამ თვალსაზრისით, **წინამდებარე მოხსენების 32-ე პარაგრაფში მოყვანილი რეკომენდაციები უნდა იკითხებოდეს *Mutatis Mutandis*.**

3. თავისუფლებააღკვეთილ პირთა არამართებული მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები

ა. შესავალი

35. **წპკ** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა შემდეგი სამი უფლების დაცვას:

- უფლება შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ ოჯახის წევრს, ნათესავს ან ახლობელს, საკუთარი არჩევანის მიხედვით;
- უფლება ისარგებლოს დამცველის მომსახურებით;
- უფლება მოითხოვის ექიმის სამედიცინო შემოწმება.

წპკ მიიჩნევს, რომ ეს სამი უფლება წარმოადგენს არამართებული მოპყრობისაგან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის ძირითად გარანტიას და უნდა ამოქმედდეს თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან (ანუ, პოლიციის მიერ პირის დაკავებისთანავე). აღნიშნული უფლებები უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების მიმართ, არამედ ყველა კატეგორიის თავისუფლებაშეზღუდული პირების (მაგალითად, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების, საქართველოს ტერიტორაზე დაკავებული უცხო სახელმწიფოების მოქალაქებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების, ა.შ.) მიმართ.

36. გარდა ამისა, პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს დაუყოვნებლივ და მათთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოთ მათი უფლებები, მათ შორის ზემოხსენებული სამი უფლება.

ბ. შეტყობინება დაკავების შესახებ

37. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე (1) (ლ) მუხლის თანახმად ეჭვმიტანილს უფლება აქვს შეატყობინის ნათესავებსა და ახლობლებს დაკავების ადგილი და ადგილსამყოფელი. ასევე უნდა აღინიშნოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 138-ე (1) მუხლი, რომლის მიხედვითაც მომკვლევი, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან არაუგვიანეს 5 საათისა (ხოლო არასრულწლოვანის მიმართ – არა უგვიანეს 3 საათისა) მოახდინონ ამგვარი შეტყობინება.

პოლიციის თანამშრომლებმა, რომელთაც დელეგაცია ესაუბრა, განაცხადეს,

რომ შეტყობინების უფლებით დაკავებული სარგებლობს მხოლოდ მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ ოფიციალური დადგენილების გამოტანის შემდეგ. მათი თქმით, ეს უფლება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს დანაშაულში მათი მონაწილეობის თავდაპირველი ეჭვის საფუძველზე. როგორც უკვეა ღინიშნა (იხ. მე-17 პარაგრაფი) დაკავებულმა პირებმა მათი ეჭვმიტანილად ცნობისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე შეიძლება პოლიციაში დაჰყონ მათი იქ მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირი განურჩევლად დაკავების მიზეზისა, თავისუფლების აღკვეთისთანავე (ანუ პირის პოლიციაში მიყვანის მომენტიდან) უნდა სარგებლობდეს მისი დაკავების შესახებ ახლო ნათესავის ან მის მიერ შერჩეული სხვა პირისათვის შეტყობინების უფლებით.

38. დელეგაციის მიერ გამოკითხულ პირთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ პოლიციაში მიყვანიდან მალე მათ მიეცათ შესაძლებლობა ოჯახისათვის ეცნობებინათ მათი დაკავების შესახებ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ პოლიციაში დაკავებული პირებისათვის საკვებისა და სხვა პირველი საჭიროების საგნების მთავარი (თუ არა ერთადერთი) მიმწოდებელი მათი ოჯახის წევრები არიან. თუმცა რამდენიმე ადამიანმა (მათ შორის არასრულწლოვნებმაც) განაცხადეს, რომ მათი დაკავების შესახებ მათი ოჯახის წევრებმა შეიტყეს მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ. გარდა ამისა, ზოგიერთის თქმით, მათ საერთოდ არ მიეცათ საშუალება ოჯახისათვის ეცნობებინათ მათი დაკავების შესახებ.

წპკ სრული გაგებით ეკიდება იმ მოსაზრებას, რომ გამოძიების კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლოა გარკვეული გამონაკლისების დაშვება, რომ დაკავებულ პირს დროებით შეეზღუდოს უფლება შეტყობინოს ოჯახს თუ სხვა მესამე მხარეს მისი დაკავების ფაქტის შესახებ, თუმცა ნებისმიერი ამგვარი გამონაკლისი შემთხვევა უნდა მკაფიოდ განისაზღვროს და შეზღუდვა უნდა ვრცელდებოდეს მაქსიმალურად მოკლე დროით.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც გამონაკლისის სახით შეიძლება გარკვეული დროით შეიზღუდოს დაკავებული პირის უფლება დადგენილ ვადებში შეტყობინოს ოჯახის წევრს, თუ სხვა მესამე მხარეს მისი დაკავების შესახებ, უნდა ნათლად ჩამოყალიბდეს კანონში შესაბამისი დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით (მაგალითად, შეტყობინების ნებისმიერი გადადება უნდა აღირიცხოს წერილობით, მიზეზების მითითებით და უნდა დადასტურდეს პოლიციის ხელმძღვანელი მუშაკის ან პროკურორის ხელმოწერით).

გ. დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება

39. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე (1) მუხლის თანახმად ეჭვმიტანილს უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის (არაუმეტეს სამისა) მომსახურებით ან

აზღაურებით ან სახაზინო წესით. პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ განუმარტოს ეჭვმიტანილს დამცველის მოწვევის უფლება.[5] დამცველის მოწვევის უფლება გულისხმობს დამცველის უფლებას მონაწილეობა მიიღოს დასაცავი პირის დაკითხვებში, პირისპირ შეხვდეს მას მარტო დღეში არაუმეტეს ერთი საათისა და გაეცნოს საქმის გამოძიების მასალებს.[6] აგრეთვეუნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ცალკეული კატეგორიების დაკავებულ პირთა საქმეში, კერძოდ: არასრულწლოვანების, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე, ასევე იმ პირების, რომლებმაც არ იციან სამართალწარმოების ენა ან ჩადენილი აქვთ ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთადა ა.შ.

40. დელეგაციამ მოისმინა კოდექსის აღნიშნული დებულებების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსანი, რომელთაც დელეგაცია შეხვდა, დაბეჯითებით აცხადებდა, რომ დამცველის აყვანის უფლება ძალაში შედის პირის დაკავებისთანავე, თუმცა პოლიციის ოპერატიული მუშაკების თქმით, დანაშაულის ჩადენაში თავდაპირველი ეჭვის საფუძვლიანობის დასადგენად პოლიციის განყოფილებაში მიყვანილ პირებს არა ქვთ ადვოკატის აყვანის უფლება პირველი 12 საათის განმავლობაში, სანამ ისინი ოფიციალურად არ იქნებიან ცნობილნი ეჭვმიტანილებად (იხ. მე-17 პარაგრაფი). მრავალმა პირმა, რომელთაც დელეგაცია ესაუბრა, აღნიშნა, რომ მათ უარი ეთქვათ თხოვნაზე შეხვედროდნენ დამცველს, სანამ მათ ხელი არ მოაწერეს დანაშაულის აღიარებას, რომელშიც მათ ბრალი ედებოდათ. ადვოკატებმა, რომელთაც დელეგაცია შეხვდა, განაცხადეს, რომ მათ ხშირად არ ეძლეოდათ თავიანთ კლიენტებთან დაუბრკოლებელი შეხვედრის შესაძლებლობა და რომ შეხვედრების ხანგრძლივობა (დღეში 1 საათი) მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შედეგად პოლიციის განყოფილებაში მოწმედ გამოძახებული პირები აღარ სარგებლობენ ადვოკატის მომსახურების უფლებით.

41. **წპკ**-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ მისი გამოცდილებით, დაშინების, ფიზიკური შეურაცხყოფისა და სხვა სახის არამართებული მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია სწორედ თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე, რისი არაერთი მაგალითიც გამოავლინა საქართველოში ვიზიტის დროს მოპოვებულმა ინფორმაციამ. აქედან გამომდინარე, პოლიციაში მიყვანისთანავე (ანუ, პოლიციის მიერ პირის დაკავების მომენტიდან) დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება არის მის მიმართ არამართებული მოპყრობის თავიდან აცილების ერთ-ერთი უპირველესი გარანტი. იგი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მათთვის, ვისაც შეიძლება განზრახული ჰქონდეს დაკავებულ პირთა მიმართ ამგვარი მოპყრობა; გარდა ამისა, დამცველს გააჩნია ის ბერკეტები, რომლებიც აუცილებელია არამართებული მოპყრობის შემთხვევაში სათანადო რეაგირებისათვის.

დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება დამცველი ესწრებოდეს ნებისმიერ დაკითხვას მის ეჭვმიტანილად ოფიციალურად აღიარებამდე, თუ მის შემდეგ, იმის და მიუხედავად თუ ვინ აწარმოებს დაკითხვას - მოკვლევის ჯგუფი, გამომძიებელი, თუ პროკურორი. ბუნებრივია, რომ დაკავებული პირის მიერ დამცველთან შეხვედრის მოთხოვნამ ხელი არ უნდა შეუშალოს პოლიციას დაიწყოს გადაუდებელ საკითხებზე პირის დაკითხვა დამცველის მოსვლამდე.

ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, **წამების სააწინააღმდეგო კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიციაში დაკავებული პირების უფლება ისარგებლონ დამცველის მომსახურებით მოქმედებდეს თავისუფლების აღკვეთისთანავე (და არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი ოფიციალურად იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად). დამცველის აყვანის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც კანონის მიხედვით ვალდებულია გამოცხადდეს ან დაჰყოს პოლიციის განყოფილებაში, მაგალითად "მოწმის" სახით.**

42. და ბოლოს, იმისათვის, რომ დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება სრულად ხორციელდებოდეს პრაქტიკაში, უნდა არსებობდეს დაკავებულ პირთათვის იურიდიული მომსახურების სისტემა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლში ნათქვამია, რომ "ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს მათი თანხმობით სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს დამცველი-ადვოკატი, თუ ისინი არასმქონენი არიან".

დელეგაცია შეხვდა რამდენიმე დაკავებულ პირს, რომლებსაც სახაზინო წესით დაენიშნათ დამცველი, თუმცა ბევრმა აღნიშნა, რომ მათ უარი თქვეს სახელმწიფო ადვოკატის მომსახურებაზე, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ ისინი "პოლიციისთვის მუშაობდნენ". ამასთან, ზოგიერთებ-

5 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72(3) მუხლი
6 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84(3) მუხლი

მა, ვინც ისარგებლეს სახელმწიფო დამცველის მომსახურებით, გამოთქვეს უკმაყოფილება მათი მუშაობით.

წპკ-ს სურს მიიღოს დეტალური ინფორმაცია დაკავებული პირების იურიდიული მომსახურების არსებული სისტემის შესახებ, კერძოდ, სახელმწიფო ხარჯზე ადვოკატის მოწვევის პროცედურის, მისი ანაზღაურებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე.

დ. სამედიცინო შემოწმების უფლება

43. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე (1) (ვ) მუხლის თანახმად ეჭვმიტანილს უფლება აქვს "ეჭვმიტანილად პირველივე დაკითხვის შემდეგ მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა". ამ დებულებიდან ნათლად ჩანს, რომ ექიმის მიერ შემოწმების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ დაკავებულ პირებზე, ვინც ოფიციალურად არიან ცნობილი ეჭვმიტანილად.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ პოლიციაში დაკავებულ პირს ჰქონდეს უფლება მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება თავისუფლების აღკვეთისთანავე (და არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ოფიციალურად იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად).

44. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. 34-ე პარაგრაფი), შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შსს თბილისის ქალაქის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორებს ჰყავთ შტატიანი ექიმები, თუმცა დელეგაციამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ექიმს პრაქტიკულად არ ჰქონდა საჭირო მედიკამენტები და სამედიცინო აღჭურვილობა.

სხვა მონახულებული დაწესებულებების თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი იძახებდნენ ექიმს უახლოესი სამედიცინო დაწესებულებიდან ან გადაჰყავდათ დაკავებული პირი საავადმყოფოში. მათ ასევე თქვეს, რომ ისინი წინააღმდეგი არ არიან გამოიძახონ ის ექიმი, რომელსაც დაკავებული მოითხოვს, თუმცა ჩანს, რომ ამგვარი თხოვნა დაკავებულთა მხრიდან ძალზედ იშვიათია. ამასთან, რამდენიმე ადამიანმა, ვისაც დელეგაცია შეხვდა, განაცხადა, რომ მათ ითხოვეს სამედიცინო შემოწმება, მაგრამ მათი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. დელეგაციამ ასევე მოისმინა საჩივრები, რომ პოლიციაში დაკავებულებს მოუხდათ შეეწყვიტათ მათთვის გამოწერილი აუცილებელი მედიკამენტების მიღება.

45. **წპკ იძლევა რეკომენდაციას გამოიცეს სპეციალური ინსტრუქციები პოლიციაში დაკავებულ პირთა სამედიცინო შემოწმების უფლებით სარგებლობის თაობაზე. სხვა საკითხებთან ერთად ამ ინსტრუქციებით უნდა დადგინდეს, რომ:**

- სავალდებულოა დაკმაყოფილდეს დაკავებული პირის თხოვნა ექიმის მიერ მისი გასინჯვის თაობაზე;

- პოლიციაში დაკავებულ პირს აქვს უფლება, რომ პოლიციის მიერ გამოძახებული ექიმის გარდა იგი სურვილის შემთხვევაში დამატებით შეამოწმოს მის მიერ არჩეულმა ექიმმა (თუ ამგვარი შემოწმების ხარჯებს გაიღებს თავად დაინტერესებული პირი);

- ყოველი სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს პოლიციის თანამშრომელთა მოსმენისა და ვიზუალური დაკვირვების გარეშე, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ეს ექიმის უშუალო მოთხოვნით ხდება;

- ყოველი სამედიცინო შემოწმების შედეგები, დაკავებული პირის მიერ მიცემულ ჩვენებებთან და ექიმის დასკვნებთან ერთად ოფიციალურად უნდა დაფიქსირდეს ექიმის მიერ. ამ ინფორმაციის გაცნობის საშუალება უნდა ჰქონდეთ დაკავებულ პირს და მის ადვოკატს;

- სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

ე. უფლებების განმარტება

46. საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, "დაკითხვის დაწყებამდე მომკვლევმა, გამომძიებლმა ან პროკურორმა ეჭვმიტანილს უნდა აცნობოს ეჭვის არსი და განუმარტოს მისი უფლებები". პოლიციის თანამშრომლებმა, რომელთაც დელეგაცია ესაუბრა, აღნიშნეს, რომ ეს მოთხოვნა ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ოფიციალურად არიან ცნობილი ეჭვმიტანილად.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალმა დაკავებულმა პირმა, რომელთაც დელეგაცია შეხვდა, განაცხადა, რომ მათ განემარტათ მათი უფლებები მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ აღიარეს დანაშაული, რომელშიც ისინი იყვნენ ეჭვმიტანილი. როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში ეს მოხდა მხოლოდ პოლიციის მიერ მათი დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

47. პოლიციის ზოგიერთ დაწესებულებაში დელეგაციამ ნახა სპეციალური საინფორმაციო

ფურცელი, რომელშიც მოცემული იყო დანაშაულში ეჭვმიტანილთა უფლებების და მოვალეობების ჩამონათვალი. ამ საინფორმაციო ფურცელში სხვა უფლებებთან ერთად აღნიშნული იყო დაკავებულის უფლება ისარგებლოს ადვოკატის (არაუმეტეს სამისა) მომსახურებით და პირისპირ შეხვდეს მას, დღეში არაუმეტეს ერთი საათისა, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება ეჭვმიტანილად პირველივე დაკითხვის შემდეგ და დაუყოვნებლივ შეატყობინოს ოჯახის წევრებს დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი. პოლიციის თანამშრომელთა თქმით, ეჭვმიტანილ პირს მოეთხოვება ხელი მოაწეროს აღნიშნული ფურცლის ორ ასლს, რომელთაგან ერთი რჩება მასთან, ხოლო მეორე ჩაიკერება მის პირად საქმეში.

წპკ მიესალმება ამგვარი პრაქტიკის შემოღებას, თუმცა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ფურცელი არ ჰქონდა პოლიციის ყველა მონახულებულ დაწესებულებას. გარდა ამისა, დელეგაციასთან საუბარში მხოლოდ რამდენიმე დაკავებულმა პირმა განაცხადა, რომ მათ მართლაც მიიღეს ზემოხსენებული საინფორმაციო ფურცელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავებულთა პირადი საქმეების გაცნობამ გამოავლინა, რომ ხშირად ეს ფურცელი დაკავებულის საქმეში არ ფიგურირებდა.

48. იმისათვის, რომ პოლიციაში დაკავებულ პირებს დროულად და სრულად ეცნობოთ მათი უფლებების თაობაზე **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ პოლიციაში დაკავებული ყველა პირი თავისუფლების აღკვეთისთანავე (და არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ოფიციალურად იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად) უნდა იღებდეს საინფორმაციო ფურცელს მისი უფლებების წერილობითი ჩამონათვალით. ამ ფურცლის შინაარსი უნდა ასახავდეს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულია ამ მოხსენების 37-ე, 41-ე, 43-ე და 45-ე პარაგრაფებში. დაკავებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფურცელი უნდა შედგეს რამდენიმე ენაზე. ამასთან, დაკავებულ პირებს სისტემატურად უნდა ეთხოვოს ხელისმოწერით დაადასტურონ, რომ მათ მიიღეს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ.**

ვ. პოლიციაში დაკითხვა

49. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში ნათქვამია: "ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება". საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის თანახმად, "ჩვენება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ძალდაუტანებლად. ჩვენების მისაღებად ფიზიკური და ფსიქიკური იძულების გამოყენება აკრძალულია". საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXVII თავი აწესრიგებს ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირთა დაკითხვასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, დაკითხვის დასაშვები ხანგრძლივობა, არასრულწლოვანთა დაკითხვა, დაკითხვის მიმდინარეობისა და შედეგების დაფიქსირება და სხვა).

წპკ კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 (3) მუხლის თანახმად, "ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისთვის".

50. ცხადია, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილთა დაკითხვი სხელოვნება ყოველთვის დიდად იქნება დამოკიდებული პრაქტიკულ გამოცდილებაზე. თუმცა **წპკ** მიიჩნევს, რომ რიგ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს ოფიციალური დირექტივები, რაც, მათ სხვა დადებით მნიშვნელობასთან ერთად, საფუძვლად დაედება და გააუმჯობესებს პოლიციელთ აპროფესიულ მომზადებას.

აქედან გამომდინარე, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განავრცოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული დებულებები პოლიციაში დაკითხვის ქცევის კოდექსის შემუშავების გზით.** ქცევის კოდექსმა კიდევ ერთხელ უნდა გაუსვას ხაზი დაკავებულისადმი არამართებული მოპყრობის კატეგორიულ აკრძლვას და სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცვას: დაკავებული პირის სისტემატურად ინფორმირება დაკითხვაში მონაწილე და დამსწრე პირების ვინაობისა და/ან რაოდენობის თაობაზე; დაკითხვის დასაშვები ხანგრძლივობა; დაკითხვებს შორის პაუზები დასასვენებლად და შესვენებები დაკითხვის მსვლელობის დროს; დაკითხვის ადგილი; შეიძლება თუ არა დაკავებულ პირს მოეთხოვოს ფეხზე დგომა დაკითხვის განმავლობაში; იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც იმყოფებიან ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ ან შოკის მდგომარეობაში. კოდექსმა ასევე უნდა განსაზღვროს, რომ დაკითხვის ოქმში სისტემატურად ხდებოდეს დაკითხვის დაწყებისა და დასასრულის, დაკითხვაში მონაწილე პირების ვინაობისა და დაკავებული პირის მიერ დაკითხვაზე გამოთქმული ნებისმიერი თხოვნის დაფიქსირება. განსაკუთრებული კატეგორიის პირთა (მაგ-

ალითად, არასრულწლოვანების, ფსიქიკური ნაკლის მქონე ან ფსიქიკურად დაავადებული პირების) დაკითხვისას უნდა ვრცელდებოდეს მათი უფლებების დაცვის სპეციალური გარანტიები.

ზ. დაკავების რეგისტრაცია

51. დელეგაციის მიერ პოლიციაში დაკავების სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ გამოავლინა, რომ ისინი არასათანადოდაა წარმოებული და არ წარმოაჩენს პოლიციაში ყოფნის სრულ სურათს. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ჟურნალი, თუმცა პოლიციაში პირის დაკავების პერიოდის ამსახველი ინფორმაცია უმეტესწილად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. კერძოდ, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც გამოტოვებულია მონაცემები დაკავებულის პოლიციაში შემოყვანისა და განთავისუფლების/ან სხვაგან გადაყვანის თარიღისა და დროის თაობაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციის მიერ მონახულებულ პოლიციის ზოგიერთ განყოფილებაში (მაგალითად ქუთაისში) საერთოდ არ ხდება ისეთი ჩანაწერების წარმოება, რასაც დაკავების რეგისტრაცია შეიძლება ეწოდოს. ამ დაწესებულებებში ნანახი ეგრეთ წოდებული "შეტყობინებებისა და განცხადებების ჟურნალი" შეიცავდა შერეული ტიპის ჩანაწერებს, როგორც დანაშაულის მსხვერპლთა, ისე მის ჩადენაში ეჭვის საფუძველზე დაკავებულ პირთა შესახებ.

52. ამასთან დაკავშირებით **ნპკ მიიჩნევს, რომ პოლიციაში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვა გაძლიერდება, თუ შემოღებული იქნება საერთო, სტანდარტული და ამომწურავი სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირის შესახებ. ეს ჟურნალი უნდა ასახავდეს დაკავების ყველა ასპექტს და მასთან დაკავშირებულ ქმედებებს (მათ შორის პოლიციაში მიყვანის დროსა და მიზეზს/მიზეზებს; დაკავების შესახებ დადგენილების გამოტანის დროს; იმას, თუ როდის მოხდა დაკავებულისათვის მისი უფლებების განმარტება; ინფორმაციას სხეულის დაზიანებების, ფსიქიკური დარღვევების შესახებ და ა.შ.; ნათესავთან, ადვოკატთან, ექიმთან ან საკონსულოს თანამშრომელთან დაკავშირებასა და/ან მათ ვიზიტებს; საკვების მიღების, დაკითხვის, განთავისუფლების დროს და სხვ.)**

თ. დამოუკიდებელი შემოწმებები

53. დამოუკიდებელი უწყების მიერ პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორების შემოწმების პრაქტიკას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს არამართებული მოპყრობის აღკვეთისა და საზოგადოდ დაკავების სათანადო პირობების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოში პროკურორს ევალება რეგულარულად შეამოწმოს პოლიციის იზოლატორები. ამ ვიზიტების დროს პროკურორს მოეთხოვება შეამოწმოს დაკავების იურიდიული საფუძველი, მისი ხანგრძლივობა, თვალყური ადევნოს მოკვლევის/წინასწარი გამოძიების მსვლელობას და განიხილოს დაკავებული პირების ნებისმიერი საჩივარი.

ნპკ მიესალმება ვიზიტების ამ პრაქტიკას. არამართებული მოპყრობის აღკვეთის მაქსიმალური ეფექტურობის მიზნით, პროკურორის ვიზიტი პოლიციის განყოფილებაში უნდა იყოს მოულოდნელიდა დაწესებულების საკნების შემოწმების გარდა, უნდა გულისხმობდეს დაკავებულ პირთან პირისპირ შეხვედრასაც.

54. პოლიციის იზოლატორების შემოწმება ასევე ხორციელდება საქართველოს სახალხო დამცველისა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ. **ნპკ-ს სურს მიიღოს აღნიშნული უწყებების მიერ პოლიციის დაწესებულებების შემოწმების უახლესი ანგარიშები.**

4. დაკავებაში ყოფნის საერთო პირობები

ა. შესავალი

55. **ნპკ**-ს სურს დასაწყისშივე განმარტოსის კრიტერიუმები, რომლითაც კომიტეტი ხელმძღვანელობს პოლიციაში დროებითი დაკავების ადგილების შეფასებისას.

პოლიციაში დაკავებულთათვის გამოყოფილი ყველა საკანი უნდა იყოს შესაბამისი ზომის და ჰქონდეს სათანადო განათება (ანუ რაც საკმარისი იქნება კითხვისთვის, ძილის პერიოდის გამოკლებით) და ვენტილაცია. სასურველია, რომ საკნებში იყოს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. გარდა ამისა, დაკავებულებს უნდა ჰქონდეთ დასვენების საშუალება (მაგალითად საკანში უნდა იდგეს სკამი ან გრძელი ხის სკამი), ხოლო ღამისთევით მყოფ პირებს უნდა მიეცეთ სუფთა ლეიბები და საბნები.

დაკავებულპირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოთხოვნისთანავე დაიკმაყოფილონ ფიზიოლოგიური მოთხოვნები სუფთა და ნორმალურ პირობებში და შეეძლოთ დაბანა და პირადი ჰიგიენის დაცვა. მათ ყოველთვის უნდა ჰქონდეთ სასმელი წყალი და დროულად მიეწოდოთ

საკვები, მათ შორის დღეში არანაკლებ ერთი სრულყოფილი სადილი (ანუ უფრო ნოყიერი საკვები, ვიდრე მხოლოდ ბუტერბროდი). იმ პირებს, რომლებიც პოლიციაში დაჰყოფენ 24 საათს ან მეტს, უნდა შეძლებისდაგვარად მიეცეთ დღეში 1 საათით სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობა.

ბ. დროებითი დაკავების იზოლატორები

56. ვიზიტის დროს **წპკ**-ს დელეგაციამ მოინახულა დროებითი დაკავების იზოლატორები თბილისში, გორში, ქუთაისში, ფოთსა და წყალტუბოში. ეს დაწესებულებები გამოიყენებოდა ორი კატეგორიის დაკავებულთათვის: სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილებისა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირებისათვის. მონახულებულ დაწესებულებებში ორივე ამ კატეგორიის დაკავებულები ერთსა და იმავე პირობებში იმყოფებოდნენ, ხოლო ზოგჯერ ერთ საკანშიც კი იყვნენ მოთავსებულები.

57. დაკავებაში ყოფნის საერთო პირობები მონახულებული ზოლატორებში ერთმანეთისაგან განსხავდებოდა. ერთგან პირობები იყო ასატანი (მაგ. თბილისის შსს ქალაქის მთავარ სამმართველოში), სხვაგან კი სრულიად არადამაკმაყოფილებელი (მაგ. შსს ქუთაისის რაიონულ განყოფილებაში).

მთლიანობაში, იზოლატორებში მყოფ დაკავებულთა რაოდენობა ვიზიტის დროს დასაშვები იყო და სარეგისტრაციო ჟურნალების მიხედვით ვიზიტამდე სამი თვის განმავლობაში საკნების გადატვირთვის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. **თუმცა, გორის დროებითი დაკავების იზოლატორში ერთდროულად 4 დაკავებული იმყოფებოფდა 8 კვ.მ ფართის საკანში მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ბევრი სხვა საკანი ცარიელი იყო.**

საკნის სათანადო განათება და ვენტილაცია პრობლემას წარმოადგენს ყველა მონახულებულ იზოლატორში. საკანთა უმრავლესობას ჰქონდა მცირე ზომის ფანჯარა, თუმცა გისოსები მნიშვნელოვნად ზღუდავდა ბუნებრივ განათებას. ხელოვნური განათება, რომელიც საკანში დერეფნიდან შედიოდა კარებში ან კედელში ამოჭრილი ხვრელიდან, ძალზე სუსტი იყო. ამის შედეგად ზოგიერთ საკანში (მაგ. ქუთაისსა და ფოთში) თითქმის წყვდიადი სუფევდა. უარღესად არადამაკმაყოფილებელი იყო ასევე საკნების ვენტილაციაც. მათ უმრავლესობაში უჰაერობა და მძაფრი სუნი იყო.

ასევე საგრძნობლად განსხვავდებოდა <u>მონახულებული დაწესებულებების სამშენებლო-ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.</u> შსს თბილისის მთავარ სამმართველოში და ფოთში საკნები ახალი გარემონტებული და სუფთა იყო, თუმცა სხვა იზოლატორებში საკნები შედარებით ძველი, ამორტიზირებული და ბინძური იყო. განსაკუთრებით მძიმე სურათი იყო შსს იმერეთის მხარის ქუთაისის რაიონული განყოფილების იზოლატორში, სადაც კედლები გამჭვარტლული იყო, იატაკი ნესტიანი და ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა.

58. დაკავებულებს ეძინათ ორსართულიან საწოლებზე ან უმატრასო ხის ტახტზე. დელეგაციამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, შსს თბილისის მთავარ სამმართველოსა და ფოთში დაკავებულ პირებს ეძლევათ ლეიბები და საბნები, თუმცა გორში, ქუთაისსა და წყალტუბოში ეს არ ხდება. ზოგ შემთხვევაში საბანი მოაქვს თავად დაკავებული პირის ოჯახს.

რაც შეეხება საპირფარეშოებს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შსს თბილისის მთავარ სამმართველოში საკნებს აქვთ თურქული უნიტაზები, რომლებიც დამონტაჟებულია წელის სიმაღლეზე ამოყვანილი გამყოფი კედლის მიღმა. საკნის შიგნით საპირფარეშოები არის ასევე ქუთაისში, თუმცა მათი შემოწმება არ მომხდარა. სხვა მონახულებული ზოლატორებში მოწყობილია საერთო ტუალეტები. საპირფარეშოში გასვლის თაობაზე დელეგაციას საჩივარი არ მოუსმენია, თუმცა გორსა და წყალტუბოში ტუალეტები განსაკუთრებით ბინძური და მწყობრიდან გამოსულიიყო.

შსს თბილისის მთავარი სამმართველოს გარდა, სადაც დაკავებულებს ეძლევათ ტუალეტის ქაღალდი, სხვა იზოლატორები პირადი ჰიგიენის საგნებით არ მარაგდება. გარდა ამასა, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები (მაგ. გამდინარე წყალი, შხაპი) ანუ აღრესად შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს.

59. **წპკ**-ს შეშფოთება გამოიწვია აგრეთვე დროებითი დაკავების იზოლატორებში არსებულმა მდგომარეობამ დაკავებულთა საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თბილისში დაკავებულები მცირეოდენ საჭმელს მაინც იღებდნენ (ჩაის დილას და საღამოს, წვნიანსა და პურს შუადღისას) იმავე შენობაში განთავსებული პოლიციის სასადილოდან. სხვა იზოლატორებში დაკავებულთა საკვებით უზრუნველყოფა არ ხდება. საკვები ოჯახის წევრებს მოაქვთ. იმ დაკავებულებს, რომელთაც არა აქვთ კონტაქტი ოჯახთან, სხვა დაკავებულები უყოფენ საკვებს ან პირა-

დად პოლიციელები ზრუნავენ მათ კვებაზე.

60. პოლიციის ზოგიერთ დაწესებულებაში, დელეგაციამ იხილა დაკავებულთა ჰაერზე გასაყვანად მოწყობილი სპეციალური ტერიტორიები (მაგ. შსს თბილისის მთავარ სამმართველოში, გორსა და ფოთში), თუმცა აღმოჩნდა, რომ ჰაერზე გასვლის საშუალება ეძლეოდათ მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაკავებულ პირებს და ისიც არარეგულარულად. ამგვარი საშაულება არ ჰქონდათ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილებს. რაც შეეხება სხვა იზოლატორებს, მათ საერთოდ არ ჰქონათ სუფთა ჰაერზე გასაყვანად მოწყობილი სპეციალური ტერიტორიები.

61. მონახულებულ დროებითი დაკავების იზოლატორებში პირობები მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია მათში თავისუფლებაშეზღუდული პირების ხანგრძლივი პერიოდით გასაჩერებლად. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. პარაგრაფი 19) დანაშაულში ეჭვმიტანილებს ზოგჯერ უწევთ ამ იზოლატორებში ორ კვირამდეც კი ყოფნა, ხოლო რაც შეეხება იმ პირებს, ვინც ადმინისტრაციულ სასჯელს იხდის, მათ შეიძლება ამგვარ ჯანმრთელობისათვის საზიანო პირობებში ოცდაათ დღემდეც კი დაჰყონ.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები, რათა დროებითი დაკავების იზოლატორებში უზრუნველყოფილ იქნეს:

- საკნების სათანადო განათება (მათ შორის ბუნებრივი განათება) და ვენტილაცია;

- საკნებისა და სანკვანძების დამაკმაყოფილებელი ფიზიკური და ჰიგიენური მდგომარეობა და საკნების საპირფარეშოებში გამყოფი კედლის არსებობა;

- დაკავებულ პირთა მომარაგება პირადი ჰიგიენის საგნებით (საპონი, ტუალეტის ქაღალდი და სხვ.) და ხელსაბანების/საშხაპეების მოწყობა;

- ყველადაკავებული პირისათვის სუფთა ლეიბისა და საბნის გამოყოფა;

- დაკავებული პირების უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის საკვებით კვებისათვის განსაზღვრულ დროს;

- დაკავებულ პირთა გაყვანა ჰაერზე ყოველდღე არანაკლებ ერთი საათით;

გ. შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილებების საკნები

62. შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებს, რომლებიც დელეგაციამ მოინახულა, ჰქონდათ ერთი, ორი ან სამი საკანი დაკავებულის დროებით გასაჩერებლად. როგორც წესი, საკნები მცირე ზომისა იყო (6კვ.მ.-ზე ნაკლები), ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კიდევ უფრო მცირე ზომისა (4 კვ.მ.-ზე ნაკლები). **ეს უკანასკნელი მხოლოდ ვარგისია ხანმოკლე დაკავებისთვის და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენებოდეს ღამის გასათევად.** პრაქტიკულად ყველა საკანი, რომელიც დელეგაციამ ნახა იყო ბნელი, გაუნიავებელი, გაურემონტებელი და ჭუჭყიანი. ზოგში იდგა ვიწრო გრძელი სკამი ან სხვა დასაჯდომი, მაშინ როცა დანარჩენი საკნები სრულიად ცარიელი იყო.

ღამისთევით დაკავებულ პირებს არ ეძლეოდათ ლეიბები და საბნები. გარდა ამისა ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული პოლიციის რაიონულ განყოფილებებში დაკავებულ პირთა საკვებით უზრუნველყოფა და ეჭვმიტანილებს ასევე არ ჰქონდათ ჰაერზე გასვლის საშუალება. პოლიციის თანამშრომლებს, რომელთაც დელეგაცია ესაუბრა, განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს დროებითი დაკავების იზოლატორში

ყოფნის კანონით დასაშვებ ხანგრძლივობასთან დაკავშირებით: 3, 12 ან 24 საათი. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა (იხ. პარაგრაფი 19) პოლიციის ზოგიერთი რაიონული განყოფილების მონახულებისას სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებით დელეგაციამ დაადგინა, რომ ზოგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ეჭვმიტანილთა დაკავებას 7 დღემდეც.

63. ზემოაღნიშნულთან და 55-ე პარაგრაფში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებთან

დაკავშირებით **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააუმჯობესოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების იზოლატორებში დაკავების პირობები; კერძოდ ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმის უზრუნველსაყოფად, რომ:**

- საკნების განათება და ვენტილაცია აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს;

- ღამისთევით დაკავებულ პირებს ეძლეოდეთ სუფთა ლეიბები და საბნები;

- დაკავებულ პირებს მიეცეთ საკვები ყოველდღე კვებისათვის განსაზღვრულ დროს;

წპკ ასევე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას განიხილოს 24 საათით ან მეტი დროით დაკავებული პირების ჰაერზე გაყვანის შესაძლებლობა დღეში არანაკლებ ერთი საათით.

ბ. სახელმწიფო უშიშროების დროებითი დაკავების იზოლატორი

64. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორი თბილისში განთავსებულია სამინისტროს შენობის ცალკე ნაწილში და განკუთვნილია 72 საათამდე დაკავებულთათვის. ვიზიტის დროს იზოლატორი ცარიელი იყო. სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ აჩვენა, რომ 2000 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ რაც ფუნქციონირებს იზოლატორი, მასში სულ 7 პიროვნება იყო დაკავებული. ბოლო ჩანაწერი გაკეთებული იყო 2001 წლის მარტის მიწურულს.

წპკ-ს დელეგაციას არ მოუსმენია განცხადებები სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს იზოლატორში დაკავებულ პირთა მიმართ არამართებული მოპყრობის თაობაზე.

65. იზოლატორი შედგება 7 იდენტური საკნისგან (თითოეული 11 კვ.მ.), რომლებშიც ერთდროულად შეიძლება განთავსდეს 28 დაკავებული. საკნების ბუნებრივი და ხელოვნური განათება და ვენტილაცია დამაკმაყოფილებელი იყო. თითოეულ საკანს ჰქონდა სართულებიანი ორი საწოლი ლეიბებით, საბნებითა და თეთრეულით, მაგიდა, ტაბურეტები და კედლის კარადა. საკნებში იყო ასევე ჭიქები, დანა-ჩანგალი, კოვზები, წყლის გრაფინი, ჭადრაკი და საფერფლე. გარდა ამისა საკნებს აქვთ გამოძახების სისტემა და კედელზე გამოკრულია შინაგანაწესი. საკნებს აქვთ ტუალეტი, ხელსაბანი და შხაპი - ყველა დაუზიანებელ მდგომარეობაში და ძალიან სუფთა. რაც შეეხება საკვებს, დელეგაციას უთხრეს, რომ დაკავებულების საკვები მზადდება სამინისტროს სასადილოში და მათ ასევე აქვთ უფლება მიიღონ ამანათი ოჯახიდან.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იზოლატორში არ არის გათვალისწინებული დაკავებულთა ჰაერზე გაყვანა.

66. თუ შევაჯამებთ, უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში პირობები მთლიანობაში ძალიან კარგია და საქართველოში სხვა დროებითი დაკავების იზოლატორებისათვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს.

თუმცა, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განიხილოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს იზოლატორში დაკავებული პირების ჰაერზე გაყვანის შესაძლებლობა არანაკლებ ერთი საათით ყოველდღე.**

გარდა ამისა, წპკ მიიჩნევს, რომ იზოლატორში ადგილების რაოდენობა უნდა შემცირდეს 21-მდე, რადგანაც 11 კვ.მ.-ის საკანი 4 დაკავებული პირისათვის ძალზედ მცირეა.

გ. სასჯელაღსრულების დაწესებულებები

1. წინასწარი შენიშვნები

67. **წპკ**-მა მოინახულა სამი პენიტენციალური დაწესებულება: №5 საპყრობილე – საგამოძიებო იზოლატორი და ყველაზე დიდი საპატიმრო საქართველოში; №1 საპყრობილე – დახურული ტიპის ციხე; და ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო – პენიტენციალური სისტემის მთავარი სამედიცინო დაწესებულება. ეს უკანასკნელი მოხსენებაში ცალკე იქნება განხილული "სამედიცინო სამსახურების" თავში.

68. №5 საპყრობილე მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში. დაწესებულების შენობა მე-19 საუკუნის დასაწყისით თარიღდება. თავდაპირველად აქ განთავსებული იყო საფეიქრო საწარმო, რომელიც შემდგომში საპატიმროდ გადაკეთდა. საპყრობილე გათვალისწინებულია 2020 პატიმარზე (რაც საქართველოში პატიმართა საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედია). ვიზიტის დროს აქ იმყოფებოდა 1855 პატიმარი, ამათგან 99 ქალიდა 43 არასრულწლოვანი. პატიმართა უდიდესი უმრავლესობა ბრალდებულებიან განსასჯელები იყვნენ. დაწესებულებაში ასევე იმყოფებოდა დაახლოებით 200 მსჯავრდებული, რომელთა საქმე გადაცემული იყო საკასაციო განხილვაში ან რომლებიც ელოდებოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას სასჯელის მოხდის ადგილის/სხვა საპყრობილეში გადაყვანის თაობაზე, და ასევე 119 მსჯავრდებული, რომლებიც დატოვებული იქნენ საპყრობილეში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

პატიმართა დაახლოებით 80% განთავსებული იყო 5 სართულიან კორპუსში: ორ უფრო მომცრო შენობაში მოთავსებული იყვნენ სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული მსჯავრდებულები, ქალები და არასრულწლოვანი პატიმრები.

69. №1 საპყრობილე მდებარეობს №5 საპყრობილის გვერდით. იგი თავდაპირვალად აშენდა 1860 წელს როგორც საწყობი და საპატიმროდ გადაკეთდა მე-19 საუკუნის ბოლოს. იგი წარმოადგენს დახურული ტიპის, მკაცრი რეჟიმის ციხეს, რომელიც ამ ტიპის ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში და იგი განკუთვნილია მძიმე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული მამაკაცებისათვის და დადგენილი რეჟიმის მრაველჯერადი დარღვევის გამო სხვა საპატიმროებიდან გადმოყვანილი პატიმრებისათვის. ციხე გათვალისწინებულია 510 პატიმარზე და ვიზიტის დროს იქ იმყოფებოდა 288 მსჯავრდებული მამაკაცი, მათ შორს 11 უვადო თავისუფლებააღკვეთილი. გარ-

და ამისა, ციხეში იყო 21 საერთო რეჟიმის მსჯავრდებული, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო სამუშაოს ასრულებდა ციხის ტერიტორიაზე.

მსჯავრდებულთა უმრავლესობა ოთხსართულიან კორპუსში იყო განთავსებული, ხოლო საერთო რეჟიმის პატიმრები ცხოვრობდენ მათთვის განკუთვნილ სპეციალურ ნაწილში ცალკე შენობაში, რომელშიც ასევე მოთავსებულია ციხის ადმინისტრაცია, ოთახები ხანგრძლივი პაემანებისათვის და მედპუნქტი.

70. ვიზიტის დროს **წპკ**-ს დელეგაციას გააცნეს მსჯავრდებულების რუსთავში ახლადაშენებულ ციხეში გადაყვანის გეგმა ამ უკანასკნელის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ. გარდა ამისა, **წპკ**-მა მიიღო ინფორმაცია, რომ უკვე განხორციელდა ან იგეგმება კონკრეტული ღონისძიებები ციხეებში მყოფ პირთა რაოდენობის შემცირების მიზნით.

დელეგაციამ მოინახულა ახალციხის სამშენებლო უბანი დაკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები. 2001 წლის 9 სექტემბრის წერილით საქართველოს ხელისუფლებამ **წპკ**-ს აცნობა, რომ რუსთავში ახალი ციხე (№6) უახლოეს მომავალში შევა ექსპლოატაციაში.

წპკ-ს სურს მიიღოს უფრო დეტალური ინფორმაცია ახალ ციხეში მსჯავრდებულთა გადაყვანის გეგმისა და იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც განხორციელდა ან გათვალისწინებულია მომავალში სასჯელარსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობის შემცირების მიზნით.

2. არამართებული მოპყრობა

71. **წპკ**-ს არ მოუსმენია დაზარალებულთა განცხადებები მონახულებულ პენიტენციალურ დაწესებულებებში ციხის თანამშრომელთა მიერ პატიმართა წამებისა, თუ მათ მიმართ ჩადენილი სხვა განზრახ არამართებული მოპყრობის თაობაზე და არ დაუდგენია ამგვარი მოპყრობის მაჩვენებელი სხვა ფაქტები.

დელაგაციას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მთლიანობაში ატმოსფერო სასჯელარსრულების დაწესებულებებში იყო მშვიდი და თანამშრომლებს და პატიმრებს შორის კარგი ურთიერთობა იყო ჩამოყალიბებული. ასეთი პოზიტიური შთაბეჭდილების მიუხედავად,

წპკ-ს სურს მიიღოს შემდეგი ინფორმაცია 2000-2001 წლებთან დაკავშირებით:

- სასჯელარსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მხრიდან არამართებულ მოპყრობაზე გაკეთებული საჩივრების რაოდენობა და ამ საჩივრების საფუძველზე აღძრული დისციპლინარული და/ან სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა;

- ზემოხსენებული საქმეების შედეგების ანგარიში (დადგენილება/განაჩენი/სანქცია).

72. **წპკ**-ს მანდატი არ შემოიფარგლება მხოლოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მიმართ სასჯელარსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ან სანქცირებული არამართებული მოპყრობის შესწავლით. კომიტეტის შეშფოთებას იწვევს პატიმართა შორის ურთიერთდაშინების/ძალადობის ფაქტების აღმოჩენა. №1 საპყრობილეში დელეგაციის მიერ გამოკითხულმა ზოგიერთმა პატიმარმა აღნიშნა, რომ პატიმართა შორის არსებობს გავლენის სტრუქტურები, გამოძალვა და დაშინება, რაშიც, ზოგიერთის თქმით, ციხის თანამშომელებიც არიან გარეული. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პატიმართა შორის ურთიერთდაშინების/ძალადობის შემთხვევები გავრცელებული მოვლენაა, რაც გადამჭრელი ზომების მიღებას საჭიროებს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. ამ მიზნით შემუშავებულია კონკრეტული სტრატეგიები, რაც მიზნად ისახავს ამგვარი ქმედებების მოთავე პატიმრების "ნეიტრალიზებას" და "იზოლირებას". გარდა ამისა, პენიტენციალური დაწესებულებების დირექტორებს დაბეჯითებით ეთხოვათ განსაკუთრებული სიფხიზლე გამოიჩინონ ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით.

წპკ-ს სურს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია პატიმართა შორის ურთიერთდაშინების/ძალადობის აღკვეთის ღონისძებების შესახებ.

73. **წპკ**-ს სურს მოხსენების ამ ნაწილშივე განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნოს, რომ №5 საპყრობილის პატიმართა უდიდესი უმრავლესობა განიცდიდა ისეთი უარყოფითი ფაქტორების გავლენას, როგორიცაა ზედმეტად გადატვირთული საკნები, უმძიმესი მატერიალური პირობები და ჰიგიენური მდგომარეობა, სერიოზული ხარვეზები სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, შრომისა და დასაქმების პროგრამების პრაქტიკულად არარსებობა, რაც ერთობლიობაში ახდენს იმგვარ უარყოფით ზემოქმედებას, რაც შეიძლება არაჰუმანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობად დახასიათდეს.

3. პირობები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

ა. საყოფაცხოვრებო პირობები

i. № 5 საპყრობილე

74. დაწესებულების შენობები უაღრესად ამორტიზირებულია (დახეთქილი ბათქაში, კედლებზე გადაცლილი საღებავი, ჩამტვრეული ფანჯრები, დაზიანებული იატაკი, სიცოცხლისათვის საშიში გაუმართავი ელექტროგაყვანილობა/აპარატურა და მწყობრადან გამოსული წყალგაყვანილობის სისტემები), რაც სრულიად შეუსაბამო გარემოს ქმნის როგორც პატიმრების, ისე ციხის თანამშრომლებისათვის.

75. ყველაზე სავალალო მდგომარეობა აღინიშნა მთავარი კორპუსის სარდაფში, სადაც განთავსებული იყო საკნები ("საკარანტინო ოთახები") ახლადმოყვანილი პატიმრებისა და სხვა სასჯელარსრულების დაწესებულებებში გადასაყვანი პირებისათვის. აქვე მდებარეობდა დისციპლინარული სასჯელის განყოფილება ("კარცერი") მამაკაცი პატიმრებისთვის (იხ. პარაგრაფი 138). გარდა ამისა, სარდაფის ყოფილი სიკვდილმისჯილთა საკნები გამოიყენებოდა პროკურორის გადაწყვეტილებითან მათივე უსაფრთხოების მიზნით იზოლირებული პატიმრებისთვის. ვიზიტის დროს სარდაფის საკნებში განთავსებულ პატიმართა მცირე რაოდენობა არ ასახავდა აქ ჩვეულებრივმყოფ პატიმართა რაოდენობას, რაც შემდეგში ცხადყო საპყრობილის სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ (იხ. პარაგრაფი 8).

დელეგაციის მიერ სარდაფის დათვალიერებამ გამოავლინა, რომ აქ ერთი პატიმრის საცხოვრებელი ფართი შეიძლება 1,7 კვ.მ.-ც კი იყოს. გარდა ამისა ჩვეულებრივ საკნები ბნელი, გაუნიავებელი, ნესტიანიდა უსუფთაო იყო. ზოგჯერ ისინი ნაგვის გროვებით იყო სავსე და მათი მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ძნელად ექვემდებარებოდა აღწერას. ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ თხოვა საქართველოს ხელისუფლებას შეეწყვიტა სარდაფის გამოყენება და 3 თვის განმავლობაში მიეცა დასტური ამის თაობაზე. (2001 წლის 26 ნოემბრის წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ №5 საპყრობილის სარდაფი, მათ შორის საკარანტინო ოთახები დაყოფილი სიკვდილმისჯილთა საკნები გაუქმდა).

76. ასევე უმძიმესი პირობებია მთავარი კორპუსის სხვა სართულებზე. საკნების უდიდესი უმრავლესობა გადატვირთულია (მაგ. 20 კვ.მ. ფართის საკანში მოთავსებულია 10 პატიმარი; ხოლო 55-დან 60 კვ.მ.-დე ფართის საკანში 30-მდე პატიმარი იხდის სასჯელს). რამდენიმე საკანში პატიმრების რაოდენობა აღემატება საწოლების რაოდენობას, რის გამოც პატიმრებს მორიგეობით უწევთ ძილი. საკნების გადატვირთულობასთან ერთად პატიმრების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ საკნების ფანჯრებზე აფარებული რკინის სქელი ჟალუზები უკიდურესად ზღუდავს დღის სინათლისა და სუფთა ჰაერის შემოსვლას. არადამაკმაყოფილებელია ასევე საკნების ხელოვნური განათება.

77. საკნების თითქმის მთელი ფართი უკავია ორსართულიან საწოლებს და პრაქტიკულად არ არის ადგილი რაიმე სხვა ავეჯისათვის. საწოლებიცა და თეთრეულიც ხშირად სავალალო მდგომარეობაშია, ლეიბები და საბნები კი ჭუჭყიანი და დაფლეთილია. ციხე არ უზრუნველყოფს პატიმრებს პირადი ჰიგიენის საგნებით და ისინი იძულებული არიან მათ მიერვე სახელდახელოდ შექმნილი ხერხებითა და საშუალებებით გარეცხონ ტანსაცმელი და თეთრეული იქვე საკნების სველ წერტილებში (რომლებიც შედგება ნახევრად ამოშენებული კედლის მიღმა განთავსებული თურქულ ტუალეტისა და ცივი წყლის ონკანისაგან). შედარებით დადებითი მდგომარეობაა იმ თვალსაზრისით, რომ მამაკაც პატიმრებს შეუძლიათ კვირაში ერთხელ ისარგებლონ კარგად მოწყობილი ცენტრალური საშხაპით. ეს საშხაპე ახალი მოწყობილია და დაწესებულების "მარგალიტად" შეიძლება იწოდოს.

78. საერთო პირობები ქალთა განყოფილებაში მსგავსია მთავარ კორპუსში არსებული ვითარებისა. თუმცა ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის თვალსაზრისით მდგომარეობა ოდნავ უკეთესი იყო, მაგრამ საკნებს არ ჰქონდათ ინდივიდუალური სან-კვანძები და დელეგაციამ მოისმინა მრავალი საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ საპირფარეშოში გასვლის შესაძლებლობა მათ დღეში მხოლოდ ორჯერ ეძლეოდათ. დანარჩენ შემთხვევებში პატიმრები იძულებულები იყვნენ გამოეყენებინათ საკნებში მდგარი ვედროები. გარდა ამისა, შხაპის მიღების საშუალება მათ ეძლეოდათ მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ. ამ მიზნით გამოყოფილი ადგილი აღჭურვილი იყო მხოლოდ პრიმიტიული საშხაპე მოწყობილობით (გახვრეტილი თუნუქის წყლის ავზი), რომელიც გაუმართავად მუშაობდა.

79. არასრულწლოვანთა განყოფილებაში ოდნავ უკეთესი პირობებია შექმნილი. ვიზიტის დროს

1 პატიმარზე დაახლოებით 4,7 კვ.მ ფართი მოდიოდა და საკნებს კედლით გამოყოფილი სანკვანძეები ჰქონდათ. ზოგიერთი საკანი გაფორმებული იყო თვით პატიმრების მიერ, რაც უფრო მყუდრო, ოჯახური გარემოს განწყობას ქმნიდა.

80. ყველაზე კარგი პირობებია შექმნილი საპყრობილის იმ ნაწილში, სადაცის მსჯავრდებულები იმყოფებიან, რომლებიც სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ. მთავარ კორპუსში საკნები არ იყო გადატვირთული. ყველა ოთახი სათანადოდ განათებული, განიავებული და საკმაოდ სუფთა იყო. ამ საკნებში იდგა ყველა აუცილებელი ავეჯი (საწოლები, მაგიდები, სკამები ან ტაბურეტები, რამდენიმე თარო და განჯინა) და შეიძლებოდა რომ პატიმრებს ჰქონდეთ პირადი რადიომიმღები ან ტელევიზორი. გარდა ამისა საპატიმროს ამ ნაწილში არის სპორტული დარბაზი სხვადასხვა აუცილებელი ინვენტარით და პატიმრებს მთელი დღის განმავლობაში შეუძლიათ თავისუფლად გავიდნენ ცალკე მოწყობილ ეზოში.

81. ფინანსური სირთულეების მიუხედავად, ციხე ახერხებდა პატიმრების სამჯერადი კვების უზრუნველყოფას. თუმცა მრავალმა პატიმარმა გამოთქვა უკმაყოფილება საკვების ხარისხთან და მის ერთფეროვნებასთან დაკავშირებით. კვების რაციონის გაუმჯობესება ხდებოდა პატიმრების ნათესავების მიერ მოტანილი ამანათების ხარჯზე, რომელთა მიღებაც მათ შეუძლიათ შეუზღუდავი რაოდენობით.

ii) №1 საპყრობილე

82. №1 საპყრობილის საერთო სამშენებლო-ტექნიკური მდგომარეობა №5 საპყრობილესთან შედარებით უკეთესი იყო და ჩანდა მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობა (მაგ. დაწესებულების ფასადისა და ციხის შესასვლელის გადაღებვა, ზოგიერთ საკნში ინვენტარის გამოცვლა). მიუხედავად ამგვარი მცდელობებისა, საერთო პირობები საპყრობილეში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

83. პატიმართა უმრავლესობისათვის გამოყოფილი ფართი ნორმით დასაშვებიაან ცალკეულ შემთხვევებში გაცილებით მეტიც კი (თითო პატიმარზე 4-დან 10 კვ.მ.- მდე). ამის გათვალისწინებით, ციხის მთავარი შენობის რამდენიმე საკნის გადატვირთულობა (მაგ. 6 პატიმარი 15 კვ.მ. ფართის, ან 18 პატიმარი 36 კვ.მ. ფართის საკანში) აშკარად გაუმართლებელია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ დაწესებულების სხვა ნაწილებში საკნები ცარიელი იყო.

84. აქაც დელეგაციამ უკიდურესად მძიმე პირობები იხილა მთავარი კორპუსის სარდაფში. თუმცა ცოტა ხნის წინ **წპკ**-მა შეიტყო, რომ საპყრობილის ეს ნაწილი უკვე გაუქმებულია, რასაც კომიტეტი კმაყოფილებით შეხვდა.

ციხეში ახალმიყვანილ პატიმართა საკარანტინო ნაწილში პირობები ძალიან ჰგავს №5 საპატიმროშია ღწერილ ვითარებას. ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას პირველ რიგში გაეუმჯობესებინა საკარანტინო საკნების მდგომარეობა (იხ. პარაგრაფი 14). (2001 წლის 26 ნოემბრის წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ მიღებული იქნა ზომები №1 საპყრობილეში საკარანტინო ოთახებში პირობების გამოსასწორებლად).

შენობის სხვა ნაწილების დათვალიერებამ აჩვენა, რომ გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ადგილი ჰქონდა იგივე ნაკლოვანებებს, რაც აღწერილი იყო №5 საპყრობილესთან დაკავშირებით. ფანჯრებზე დამონტაჟებული სქელი ჟალუზებისა და ლითონის საფარის გამო საკნების უმრავლესობა არ იყო სათანადოდ განათებული და განიავებული. ყველა საკანს ჰქონდა გამყოფი კედლის მიღმა მოწყობილი სანკვანძი საშხაპეთი, თუმცა პატიმრებმა აღნიშნეს, რომ პირადი ჰიგიენის საგნების ნაკლებობის გამო რთული იყო ჰიგიენის დაცვა.

85. №5 საპყრობილის მსგავსად, შედარებით უკეთესი პირობებია შექმნილი საპყრობილის იმ ნაწილში, სადაც ის მსჯავრდებულები იმყოფებიან, რომლებიც სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ. მათი საკნები ფართო, საკმაოდ კარგად გარემონტებული, სუფთა, სათანადოდ განათებული და მოწყობილი იყო. ამასთან ერთად პატიმრებს შეეძლოთ შეუზღუდავად ესარგებლათ კარგად მოწყობილი საერთო საპირფარეშოთი და საშხაპით.

86. რაც შეეხება საკვებს, ამ მხრივ მდგომარეობა მსგავსი იყო №5 საპყრობილესთან დაკავშირებით აღწერილი მდგომარეობისა (იხ. პარაგრაფი 81).

87. **წპკ**-სთვის ცნობილია, რომ საქართველოს სასჯელარსრულების სისტემას მწირი დაფინანსების პირობებში უწევს მუშაობა და კომიტეტს ესმის, რომ შეუძლებელია აღნიშნული მდგომარეობის ერთბაშად გამოსწორება. მიუხედავად ამისა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება იმავდროულად გულისხმობს სახელმწიფოს

ვალდებულებას შექმნას პატიმრებისთვის სათანადო პირობები. რაც შეეხება ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას, რაცა უცილებელ სასიცოცხლო მოთხვნილებას წარმოადგენს, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი სადგომი, რომელიც ამ თვალსაზრისით აუცილებელ ნორმებს შეესაბამება. გარდაამისა, სუფთა ჰაერისა და ბუნებრივი განათების ნაკლებობა ხელს უწყობს დაავადებათა გავრცელებას.

ნპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ გადამჭრელი ზომები გატარდეს №5 და № 1 საპყრობილეებში, რათა:

- ცხოვრების პირობები მთავარ კორპუსში გაუმჯობესდეს და შენობის ფიზიკური მდგომარეობის, სისუფთავის, განათებისა და ვენტილაციის თვალსაზრისით პასუხობდეს იმგვარ სტანდარტებს, როგორშიც ციხის ის მსჯავრდებულები იმყოფებიან, რომლებიც სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ. ეს მოითხოვს იმ დამცავი გისოსების დემონტაჟს, რომლებიც ფარავს ციხის შენობის ფანჯრებს, ხოლო იმ განსკუთრებულ შემთხვევებში, სადაც ეს აუცილებელია, მათ შეცვლას სათანადო დიზაინის სხვა უსაფრთხოების საშუალებებით;

- ყველა პატიმარს საკმარისი რაოდენობით ეძლეოდეს პირადი ჰიგიენისა და სარეცხი საშუალებები, აგრეთვე შესაძლებლობა ჰქონდეთ გარეცხონ ტანსაცმელი და ლოგინის თეთრეული საამისოდ მოწყობილ სათავსოებში;

- პატიმრებს რეგულარულად ეძლეოდეთ სუფთა ლეიბები, საბნები და თეთრეული.

რაც შეეხება №5 საპყრობილეს, **ნპკ იძლევა რეკომენდაცის, რომ:**

- სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული იმისათვის, რომ ყველა პატიმარს ჰქონდეს ინდივიდუალური საწოლი;

- ეტაპობრივად მოხდეს საკანში პატიმართა რაოდენობის დასაშვებ დონემდე შემცირება. ამ მიზნით საორიენტაციო სტანდარტი უნდა იყოს 4კვ.მ. ფართი თითო პატიმარზე;

- ციხის თანამშრომლებს მიეცეთ ზუსტი ინსტრუქციები იმის თაობაზე, რომ პატიმარ ქალებს შეეძლოთ შეუფერხებლად დატოვონ საკანი დღის ნებისმიერ დროს საპირფარეშოში გასასვლელად, გარდა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე განსაკუთრებული შემთხვევებისა;

- პატიმარ ქალებს მიეცეთ საშუალება მიიღონ ცხელი შხაპი/აბაზანა კვირაში ერთხელ მაინც.

გარდა ამისა, **ნპკ იძლევა რეკომენდაციას დაუყოვნებლივ გატარდეს ზომები №1 საპყრობილეში პატიმრების უკეთ გადანაწილების მიზნით ყველა არსებულ სადგომში.**

88. ორივე სასჯელარსრულების დაწესებულებაში დელეგაციამ ნახა საკნები, სადაც სხვებზე შეუდარებლად უკეთესი პირობები იყო შექმნილი. ამ საკნებში, როგორც წესი, ნაკლები რაოდენობის პატიმარი იყო განთავსებული და რემონტისა და სისუფთავის მდგომარეობაც ბევრად უკეთესი იყო. გარდა ამისა, ინვენტარიც და პირადი ნივთებიც უფრო მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ვიდრე ჩვეულებრივ საკნებში. **ნპკ** მიესალმება, თუ საქართველოს ხელისუფლება განმარტავს რა კრიტერიუმებით ხდება პატიმართა განთავსება ამ საკნებში.

ბ. საქმიანობის ორგანიზაცია

89. როგორც უკვე აღინიშნა, №5 საპყრობილეში 119 მსჯავრდებული სხვადასხვა სახის სამეურნეო სამუშაოებს ასრულებდა. სხვა პატიმრებს არ ჰქონდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ რაიმე ორგანიზებულ საქმიანობაში. საკნის გარეთ მათთვის ერთადერთი სახის საქმიანობა იყო ჰაერზე გასვლა: დღეში 2 საათით არასრულწლოვანთათვის, ხოლო ყველა დანარჩენისათვის - 1 საათით.

90. №1 საპყრობილეში მყოფ პატიმართა უმრავლესობის მდგომარეობა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა №5 საპყრობილეში პატიმართა მდგომარეობისაგან. საერთო რეჟიმის მხოლოდ 21 და მკაცრი რეჟიმის 15 პატიმარს ჰქონდა საშუალება დაკავებულ იყო რაიმე სამუშაოთი. მკაცრი რეჟიმის მსჯავრდებულები მუშაობდნენ ციხის სახელოსნოებში (ლითონის დამუშავება, კერვა, ტყავის ნაწარმის დამზადება, სადურგლო სამუშაოები, ელექტროაპარატურის შეკეთება). დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია, რომ მოთხოვნილების შემცირებამ და ნედლეულის მიწოდებაში არსებულმა სირთულეებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ციხეში პატიმართა დასაქმების შესაძლებლობა. ორგანიზებული საქმიანობის რაიმე სხვა ფორმები დაწესებულებაში არარსებობს (თუმცა პატიმრებს აქვთ საშუალება განსაზღვრულ დროს შევიდნენ საპყრობილის სამლოცველოში). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უვადო მსჯავრდებულებს საშუალება არა აქვთ ჩაებან სამუშაოში ან რაიმე სხვა საქმიანობაში.

პატიმრებს არ ეძლეოდათ ყოველდღე ჰაერზე გასვლის შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი შა-

ბათ-კვირას ან დასვენების დღეებში. უფრო მეტიც, ზოგიერთი პატიმარი, პირველ რიგში კი განსაკუთრებული პრობლემების მქონე პატიმრები, საერთოდ ვერ სარგებლობდა ჰაერზე გასვლის საშუალებით. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. პარაგრაფი 13), ვიზიტის დასასრულს დელეგაციამ გააკეთა პირველი რიგის შენიშვნა და თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ყველა პატიმარმა გამონაკლისის გარეშე, ისარგებლოს დღეში არანაკლებ 1 საათით ჰაერზე გასვლის გარანტირებული უფლებით. 2001 წლის 9 სექტემბრის წერილში საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მიღებულ იქნა ზომები, რათა ყველა პატიმარს ჰქონოდა დღეში 1 საათით ჰაერზე გასვლის საშუალება.

91. ორივე საპყრობილეში ამ მიზნით მოწყობილი სპეციალური ტერიტორიები წარმოადგენდა მაღალი კედლებით გარშემორტყმულ მცირე ფართის ცარიელ მოედნებს (დაახლოებით 36 კვ.მ.-მდე №5 საპყრობილეში და 45 კვ.მ.-მდე №1 საპყრობილეში), რომლებიც გადახურული იყო მავთულხლართით. ტერიტორიის სიმცირისა და კონფიგურაციის გამო ეს მოედნები არიძლეოდა ვარჯიშის შესაძლებლობას.

92. №5 და №1 საპყრობილეებს აქვთ ბიბლიოთეკები, 8000 და 1400 წიგნით შესაბამისად. თუმცა, როგორც ჩანს ეს წიგნები დიდი მოთხოვნილებით არ სარგებლობს. რამდენიმე პატიმარმა გამოთქვა ჩივილი, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები ძალიან ძველი იყო (რაშიც დელეგაცია თავად დარწმუნდა).

93. დელეგაციის დაკვირვებით, როგორც ერთ, ისე მეორე საპყრობილეში, იმ პატიმრების გარდა, ვინც სხვადასხვა სახის სამეურნეო სამუშაოს ასრულებდა, ზოგიერთი სხვა პატიმარიც აშკარად სარგებლობდა დაწესებულების ტერიტორიაზე უფრო თავისუფალი გადაადგილების უფლებით; ისინი, მაგალითად, გარკვეულ დროს თავიანთი საკნების გარეთ დერეფნებში ატარებდნენ. №1 საპყრობილეში ამგვარი უფლებით მხოლოდ დაწესებულების სახელოსნოებში დასაქმებული პატიმრები სარგებლობდნენ. ხოლო რაც შეეხება №5 საპყრობილეს, დელეგაციამ ვერ შეძლო ზუსტად დაედგინა, თუ რა კრიტერიუმებით ხდებოდა ცალკეული პატიმრებისათვის ამგვარი პრივილეგიის მიცემა.

წპკ თხოვს საქართველოს ხელისუფლებას კომენტარს აღნიშნულთან დაკავშირებით.

94. შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე საპატიმროში მსჯავრდებულთა უმრავლესობა თითქმის მთელი დროის განმავლობაში იმყოფებოდა ჩაკეტილ საკანში და არჰქონდათ საშუალება დაკავებულიყვნენ რაიმე საქმიანობით. პატიმრობა ისეთ პირობებში, როგორიც №5 და №1 საპყრობილეებშია, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც ღირსების შემლახავი მდგომარეობა. **წპკ** გაგებით ეკიდება იმ ფაქტს, რომ საქმიანობის სხვადასხვა ფორმების ორგანიზება საგამოძიებო იზოლატორებში, რომელთათვისაც პატიმრების მაღალი დენადობაა დამახასიათებელი, სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. უდავოდ ძალიან ძნელია ასეთი პატიმრებისათვის რაიმე ინდივიდუალური პროგრამების ორგანიზება. ამავე დროს მიუღებელია, რომ თვეების განმავლობაში პატიმრები მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარა იმყოფებოდნენ. საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმრობაში მყოფი ყველა პირი (მათ შორის საგამოძიებო იზოლატორში მყოფი პატიმრები) დროის დიდ ნაწილს (მაგალითად 8 საათს ან მეტს დღეში) ატარებდეს საკნის გარეთ და დაკავებული იყოს სხვადასხვა საქმიანობით, როგორიცა ასამუშაო, სასურველია გარკვეული პროფესიული დატვირთვის მქონე; განათლება, სპორტი, აქტიური დასვენება/შეკრებები.

იმ პატიმრებისათვის, რომლებიც გრძელვადიან სასჯელს იხდიან, მაგალითად №1 საპყრობილეში მყოფი მსჯავრდებულებისათვის, უნდა უფრო ხელშემწყობი რეჟიმი არსებობდეს. მათ უნდა მიეცეთ არჩევანის გარკვეული თავისუფლება იმასთან დაკავშირებით თუ რითი დაკავდებიან ისინი დღის განმავლობაში, რაც ხელსშეუწყობს მათში დამოუკიდებლობისა და პირადი პასუხუსმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას. დამატებითი ღონისძიებები უნდა გატარდეს, რათა მათმა პატიმრობამ გარკვეული შინაარსი შეიძინოს; კერძოდ კი, ასეთი მსჯავრდებულებისათვის პატიმრობაში ყოფნის ინდივიდუალური გეგმების შექმნა და შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარება, ხელს შეუწყობს თავიანთი მდგომარეობისადმი მათ უკეთ ადაპტაციას და მოამზადებს მათ იმ დროისათვის, როდესაც გათვალისწინებულია მათი განთავისუფლება.

95. **წპკ რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, რომ:**

- ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების გათვალისწინებით შეიმუშაოს სხვადასხვა საქმიანობის პროგრამები №5 და №1 საპყრობილეების პატიმრებისთვის;

- სასწრაფო ზომები მიიღოს იმისათვის, რომ №5 საპყრობილეში არასრულწლოვანი პატიმრებისათვის დაინერგოს საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობის პროგრამები ამ ასაკობრივი ჯგუფის კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ პროგრამებში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ფიზიკურ მომზადებას. ამასთან ერთად, უნდა განხილულ იქნეს არასრულ-

წლოვანთა მიერ სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პატიმრების კორპუსში არსებული სპორტული დარბაზის გამოყენების შესაძლებლობა;

- დაისახოს გზები №5 და №1 საპყრობილეებში პატიმართა ჰაერზე გასაყვანად მოწყობილი ტერიტორიების გასაუმჯობესებლად, რათა პატიმრებს მიეცეთ ფიზიკური განტვირთვის შესაძლებლობა.

4. სამედიცინო სამსახურები

ა. შესავალი

96. საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის პრეროგატივაა. დეპარტამენტი, რომელიც 2000 წლის ბოლოს შეიქმნა, უშუალოდ ექვემდებარება იუსტიციის მინისტრს და დამოუკიდებელია სასჯელარსრულების დეპარტამენტისაგან. სამედიცინო დეპარტამენტის ფუნქციები, სხვა მოვალეობებთან ერთად მოიცავს პენიტენციალური და წესებულებების სამედიცინო პერსონალის დანიშვნას და სამედიცინო კომისიის მუშაობის ორგანიზებას, რომელიც იღებს ან ხელახლა განიხილავს გადაწყვეტილებებს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პატიმართა მოთავსების თაობაზე და განიხილავს განცხადებებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პატიმრის ციხიდან განთავისუფლების შესახებ. დელეგაციასთან საუბრებში გაირკვა, რომ შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს შორის არ არსებობს საკმარისად მჭიდრო თანამშრომლობა. შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ პატიმართა ჯანმრთელობაზე ზრუნვა სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის. დელეგაციამ ასევე მიიღო ინფორმაცია, რომ პატიმართა გადაყვანა სამედიცი ნოშემოწმებისა და მკურნალობისათვის საერთო პროფილის საავადმყოფოებში დიდ სირთულეს წარმოადგენს. მონახულებული დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრების დროს ასევე გაირკვა, რომ საქართველოში დარღვეულია სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც პატიმრები უნდა სარგებლობდნენ იგივე ხარისხის სამედიცინო მომსახურებით, როგორითაც სარგებლობს საზოგადეობის სხვა წევრები. **წპკ** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პრინციპს, რომელიც, როგორც ეს კომიტეტის მე-3 საერთო ანგარიშშია აღნიშნული, პირდაპირ უკავშირდება ადამინის ძირითად უფლებებს. სასჯელარსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურს საშუალება უნდა ჰქონდეს უზრუნველყოს პაციენტის მკურნალობა და მოვლა, აგრეთვე მისთვის შესაფერისი კვების რაციონი, ფიზიოტერაპია,

რეაბილიტაცია და ნებისმიერი სხვა აუცილებელი პირობა, რომლითაც შესაძლებლობა აქვს ისარგებლონ საზოგადოების სხვა წევრებმა. იგივე მოთხოვნა შეეხება როგორც ექიმების, ექთნებისა და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის დონეს, ასევე შენობებისა და მათი აღჭურვილობის ხარისხს.

წპკ გაგებით ეკიდება იმას, რომ საქართველოს დღევანდელი უაღრესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გარდაუვალია გარკვეული კომპრომისები, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. თუმცა მიუხედავად ქვეყანაში არსებული პრობლემებისა, პიროვნების თავისუფლების აღკვეთა იმავდროულად გულისხმობს მასზე სათანადო მზრუნველობის განხორციელებას, რაც თავის მხრივ სათანადო სამედიცინო მომსახურებას მოითხოვს. სამედიცინო მომსახურების დაბალმა დონემ შეიძლება ისეთი სიტუაციები გამოიწვიოს, რომლებიც არაჰუმანურ და ადამიანის ღირსების შემლახავ მოპყრობად შეიძლება შეფასდეს.

97. წამების საწინააღმედგო კომიტეტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებელად უნდა შეიმუშავოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ერთიანი, კომპლექსური პოლიტიკა, რაც დაფუძნებული იქნება ეკვივალენტურობისა და სხვა საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებზე, როგორიცაა პაციენტის თანხმობა, სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული დამოუკიდებლობა. ამ თვალსაზრისით, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას იხელმძღვანელოს **წპკ**-ს მე-3 საერთო ანგარიშში (თავი სათაურით: "სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო სამსხურები") და ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის No (98) 7 რეკომენდაციაში მოცემული პრინციპებით საპატიმროებში სამედიცინო მომსახურების ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებით. **წპკ** მიიჩნევს, რომ შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უფრო აქტიური ჩართვა სასჯელარსრულების დაწე-

სებულებების სისტემაში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაში, ხელს შეუწყობს პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებასდა მათთვის ისეთივე სამედიცინო მომსახურების გაწევას, როგორც ეს ხდება საზოგადოების სხვა წევრების მიმართ. კერძოდ, სამინისტროს როლი უნდა გაძლიერდეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჰიგიენაზე კონტროლი, ზომების მიღება გადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძველველად, საპატიმროებში სამედიცინო მომსახურების შეფასება და სათანადო სამედიცინო სამსახურების ორგანიზება.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააძლიეროს ძალისხმევა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების კომპლექსური პოლიტიკის შესამუშავებლად ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით. წამების საწინააღმდგო კომიტეტს ასევე სურს ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე: როგორიც არ უნდა იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ინსტიტუციონალური მოწყობა, აუცილებელია, რომ ციხის ექიმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეყრდნობოდეს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებს და მათი მუშაობის ხარისხი და ეფექტურობა უნდა ფასდებოდეს კომპეტენტური სამედიცინო უწყების მიერ.

ბ. სამედიცინო სამსახურები მონახულებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

i. თანამშრომლები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

98. №5 საპყრობილეში მედპერსონალი დაკომპლექტებული იყო სრულ განაკვეთზე მომუშავე 3 ექიმის (მათ შორის ერთი ფსიქიატრის კვალიფიკაცით), 4 ფერშალისა და 4 ექთანისაგან. დაწესებულებას ჰყავდა ასევე რენტგენოლოგი, რომელიც დელეგაციის ვიზიტის დროს ბიულეტენზე იმყოფებოდა. 2000 წლის ბოლოდან ვაკანტური იყო კიდევ ორი ექიმის ადგილი. რაც შეეხება პატიმრების სპეციალიზებულ მომსახურებას, იგი ხორციელდებოდა სტომატოლოგის, გინეკოლოგის, ნევროპათოლოგის, დერმატოლოგისა და ტრავმატოლოგის პერიოდული ვიზიტებით. პატიმრების 24 საათიანი სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილი იყო ექიმებისა და ფერშლების მორიგეობით.

თუ შევაჯამებთ, №5 საპყრობილეში სამედიცინო პერსონალის რაოდენობა არ შეესაბამებამებოდა დაწესებულებას, სადაც განთავსებულია დაახლოებით 2000 პატიმარი და სადაც მაღალია პატიმართა დენადობა. ამ მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ თითქმის სრულიად არ არსებობდა საჭირო მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა (იხ. აგრეთვე პარაგრაფები 101 და 102). ამის შედეგად, პატიმრები ვერ იღებდნენ აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას. გასაკვირი არ იყო, რომ პატიმრებთან შეხვედრის დროს დელეგაციამ მრავალი საჩივრი მოისმინა დაწესებულების სამედიცინო სამსახურთან დაკავშირებით.

წპკ იძლევა რეკომენდაციას დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული შემდეგი ზომები მე-5 საპყრობილეში:

- შეივსოს ექიმების ვაკანტური ადგილები და დაინიშნოს მთავარი ექიმი;

- მნიშვნელოვნად გაიზარდოს კბილის ექიმის მიღების საათები;

- მოინახოს შემცვლელი რენტგენოლოგი, მანამ სანამ ციხის რენტგენოლოგი არ დაუბრუნდება თავის სამუშაო ადგილს;

- გააძლიეროს დაწესებულების ექთანთა პერსონალი.

99. №1 საპყრობილეში სამედიცინო პერსონალი დაკომპლექტებული იყო მთავარი ექიმის (თერაპევტი), ქირურგის, ფერშალისა და ფარმაცევტისაგან. ვიზიტის დროს ვაკანტური იყო ფსიქიატრის ადგილი. კბილის ექიმად მუშაობდა მსჯავრდებული, რომელიც კვალიფიციური სტომატოლოგიიყო. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო საპყრობილეში სპეცილისტების მოწვევა, მაგრამ პატიმრის გასასინჯად მოწვეული ექიმის ანაზღაურების გადახდა ხდებოდა თავად პატიმრის მიერ. ისევე როგორც №5 საპყრობილეში, აქაც უზრუნველყოფილი იყო პატიმრების 24 საათიანი სამედიცინო მომსახურება. დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთავარი ექიმის ძალისხმევამ, რომ მიუხედავად არასრული მედპერსონალისა და მწირი რესურსებისა, შეძლებისდაგვარად საუკეთესო დონის სამედიცინო მომსახურება გაეწია პატიმრებისათვის.

წპკ იძლევა რეკომენდაციას დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები №1 საპყრობილეში სამედიცინო სამსახურის გასაუმჯობესებლად ექთანთა პერსონალის გაძლიერების გზით.

გარდა ამისა, სამედიცინო სამსახურში პატიმრების ჩართვის მართებულობა, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მათ სათანადო კვალიფიკაცია, ძალზედ საეჭვოა. აქედან გამომდინარე, **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას იზრუნოს სტომატოლოგიური სამსახურის ალტერნატიულ მოწყობაზე №1 საპყრობილეში.**

100. როგორც უკვე აღინიშნა, №1 საპყრობილეს არ ჰყავდა ფსიქიატრი, ხოლო №5 საპყრო-

ბილეში მომუშავე ფსიქიატრმა განაცხადა, რომ მას ოფიციალურად არ ევალებოდა ფსიქიატრული დიაგნოზის დასმა, რადგან იგი სამსახურში მიღებული იყო ზოგადი პროფილის ექიმად. გარდა ამისა არცერთ საპყრობილეს არ ჰყავდა ფსიქოლოგი (თუმცა, კონსულტანტი-ფსიქოლოგი კვირაში რამდენჯერმე მიდიოდა №5 საპყრობილის არასრულწლოვანთა განყოფილებაში).

ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არის პატიმართა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც, თუმცა არ საჭიროებენ ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებას, მოითხოვენ ამბულატორულ ფსიქიატრიულ ან ფსიქოლოგიურ დახმარებას. დღეს, ასეთი პატიმრები №1 და №5 საპყრობილეებში არ იღებენ ამგვარ დახმარებას. აქედან გამომდინარე, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააძლიეროს ფსიქიატრიული/ფსიქოლოგიური სამსახურები №1 და №5 საპყრობილეებში.**

101. №5 საპყრობილეში მოწყობილია სტაციონარული სამკურნალო პუნქტი 50 ადგილზე, რომელიც განთავსებულია 13 ოთახში (სადაც ისეთივე მძიმე მატერიალური პირობებია, როგორც დაწესებულების სხვა ნაწილებში). აქვეა ექიმის მისაღები ოთახი, სტომატოლოგის კაბინეტი, რენტგენის ოთახი, კარდიოგრამის ოთახი და აფთიაქი. დელეგაციის მიერ ნანახი ყველა სამედიცინო აღჭურვილობა მოძველებული და შესაკეთებელი იყო და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ისინი სანდო დიაგნოზის დასმის ან მკურნალობის საშუალებას იძლეოდა. გარდა ამისა, დაწესებულებას არ ჰქონდა რენტგენის ფირების მარაგი, პატიმრებს ფირები თავად უნდა მოეტანათ საკუთარი სახსრებით.

№1 საპყრობილეში სამედიცინო სამსახურის განყოფილება და მისი აჭურვილობა საკმაოდ პრიმიტიული, მაგრამ გამართულ მდგომარეობაში და სუფთა იყო. სტაციონარული პუნქტი შედგებოდა 27 ადგილზე გათვლილი 6 ოთახისგან. განყოფილებაში ასევე იყო ექიმის მისაღები, კბილის ექიმის კაბინეტი, რენტგენის კაბინეტი, მედიკამენტების საწყობი და ახალი კარგად მოწყობილი საშხაპე.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით მიმართული იქნეს ძალისხმევა მონახულებულ ორ საპყრობილეში სამედიცინო სამსახურის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გადაუდებელი ზომები უნდა გატარდეს №5 საპყრობილეში სტომატოლოგიურიკაბინეტისა და რენტგენის ოთახის სათანადო აღჭურვისა და კარდიოგრამის აპარატის გამოცვლისათვის.

102. №1 საპყრობილეში სამედიცინო სამსახურის თანაშრომლებმა განაცხადეს, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შემწეობით მათ ჰქონდათ მედიკამენტების სათანადო მარაგი ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ. თუმცა დეფიციტი იყო სხვა მედიკამენტების თვალსაზრისით, რაც ალბათ არც არის გასაკვირი, ვინაიდან მედიკამენტების შესაძენად ძალზე მწირი თანხებია გამოყოფილი. რაც შეეხება №5 საპყრობილეს, ვიზიტის დროს სამედიცინო სამსახურს პრაქტიკულად არ გააჩნდა მედიკამენტები და სამედიცინო მოხმარების მასალები და მთლიანად დამოკიდებული იყო ჰუმანიტარულ დახმარებასა და პატიმრების საკუთარ რესურსებზე.

დიდი ეკონომიკური სირთულეების პერიოდშიც კი, იმ დაწესებულებებში სადაც თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან ან სადაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოქალაქეთა გარკვეულ კარეგორიაზე მზრუნველობას, გარანტირებული უნდა იყოს სასიცოცხლო და უცილებელი მოხმარების საგნებით, მათ შორის აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღოს ზომები მონახულებული საპყრობილეების, და საჭიროების შემთხვევაში საქართველო სსხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებების, სათანადო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით.**

ii. სამედიცინო შემოწმება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიყვანისას

103. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალმიყვანილი პატიმრების სამედიცინო შემოწმებას, განსაკუთრებით საგამოძიებო იზოლატორებში, რომლებიც პენიტენციალურ სისტემასთან პატიმრის შეხების პირველ ადგილს წარმოადგენს. ამგვარი შემოწმება აუცილებელია, განსაკუთრებით გადამდები დაავადებების გავრცელებისა და თვითმკვლელობის შემთხვევების თავიდან აცილებისა და სხეულის დაზიანებათა დროული აღრიცხვის თვალსაზრისით.

104. მონახულებულ ორ საპყრობილეში ყველა პატიმარს მიყვანისთანავე მორიგე ექიმი უტარებდა პირველად სამედიცინო შემოწმებას. პატიმრების შემოწმების მიზანია გამოავლინოს სხეულის შესაძლო დაზიანებები, გასაუბრების საფუძველზე შეაფასოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში, ანამნეზზე დაყრდნობით კლინიკური გამოკვლევა ჩაუ-

ტაროს მათ. თუმცა №5 საპყრობილეში სათანადო აღჭურვილობისა და რესურსების უქონლობის გამო, პატიმრებს არ უტარდებოდათ სისხლის ანალიზი და რენტგენოლოგიური გამოკვლევა.

105. რაც შეეხება სხეულის დაზიანების შემთხვევების დაფიქსირებას საპყრობილეში მიყვანისას, ამ თვალსაზრისით მდგომარეობა მთლიანად დამაკმაყოფილებელი არ იყო (რაზეც უკვე იყო საუბარი 31-ე პარაგრაფში). ამასთან დაკავშირებით, **წპკ-ს სურს მიუთითოს 32-ე პარაგრაფში მოცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება ახალშემოსული პატიმრის სამედიცინო შემოწმების ჩანაწერის შედგენის წესს. იგივე მიდგომა უნდა განხორციელდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ციხეში მომხდარი ძალადობის ინციდენტის შემდგომ პატიმარს უტარდება სამედიცინო შემოწმება.**

iii. სამედიცინო ჩანაწერები და კონფიდენციალურობა

106. **წპკ** შეშფოთებას გამოთქვამს №5 საპყრობილეში არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის ხარისხის გამო. პირადი სამედიცინო ისტორია, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას სამედიცინო შემოწმებისა და მკურნალობის შესახებ, გააჩნდათ მხოლოდ იმ პატიმრებს, რომლებსაც მკურნალობა ჩაუტარდათ საპყრობილის სტაციონარში. რაც შეეხება დანარჩენ პატიმრებს (ანუ ციხეში მყოფ პირთა უმრავლესობას), მათზე საერთოდ არ არსებობს რაიმე ისეთი დოკუმენტაცია, რასაც პირადი სამედიცინო ისტორია შეიძლება ეწოდოს. სამედიცინო შემოწმებათა სარეგისტრაციო ჟურნალი ინახებოდა საპატიმროს სხვადასხვა კორპუსებზე პასუხისმგებელ ფერშლებთან ან მედდებთან; მაგრამ ეს ჟურნალი პრაქტიკულად არ იძლეოდა პატიმრის სამედიცინო ისტორიის გაცნობის საშუალებას.

რაც შეეხება №1 საპყრობილეს, აქ სამედიცინო დოკუმენტაციის ხარისხი სავსებით დამაკმაყოფილებელია.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ ყველა პატიმარზე იწარმოებოდეს კონფიდენციალური პირადი სამედიცინო ისტორია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სამედიცინო დიაგნოზის შესახებ და ასევე მიმდინარე ჩანაწერებს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მკურნალობაზე, საგანგებო სამედიცინო შემოწმებების ჩათვლით. პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს თავის სამედიცინო ისტორიას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ არის მიზანშეწონილი სამედიცინო თვალსაზრისით. აგრეთვე, პატიმრის თხოვნის შესაბამისად, მის ოჯახსა ან ადვოკატს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნონ მის პირად სამედიცინო ისტორიას. პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, მისი ისტორია უნდა გადაიგზავნოს მიმღები დაწესებულების სამედიცინო სამსახურში.

107. გარდა ამისა, დელეგაციამ აღნიშნა, რომ არსებობდა ხარვეზები სამედიცინო ჩანაწერების კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით. კარძოდ, გამოვლინდა, რომ საპყრობილის არასამედიცინო პერსონალს მოთხოვნის შემთხვევაში ხელი მიუწვდებოდათ პატიმრების სამედიცინო დოკუმენტაციაზე.

აუცილებელია, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი ისევე ვრცელდებოდეს საპყრობილეებში მყოფ პირებზე, როგორც საზოგადოების სხვა წევრებზე. პატიმრის სამედიცინო ისტორიის წარმოება ექიმის ფუნქციაა. გარდა ამისა, პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, მისი სამედიცინო ისტორია დალუქული კონვერტით უნდა გადაეგზავნოს მიმღები დაწესებულების ექიმებს. **წპკ იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს ღონისძიებები, რათა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პრაქტიკა მოყვენილ იქნას შესაბამისობაში ზემოხსენებულ მოთხოვნებთან.**

108. ახალმიყვანილი პატიმრების სამედიცინო შემოწმებას, როგორც წესი ესწრებოდა სასჯელარსრულების დაწესებულების პერსონალი (ხოლო №5 საპყრობილის შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლებიც). **ამასთან დაკავშირებით, წპკ-ს სურს მიუთითოს 32-ე პარაგრაფში მოცემულ რეკომენდაციაზე, რომ ყველა სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და სხვა არასამედიცინო პერსონალის მოსმენისა და ვიზუალური დაკვირვების გარეშე, გარდა იმ კერძო შემთხვევებისა, როცა ამას თავად ექიმი მოითხოვს.**

iv. ტუბერკულოზი

109. ბოლო პერიოდში ტუბერკულოზის შემთხვევები საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში სერიოზულ პრობლემად იქცა. სხვადასხვა გარემოებები, კერძოდ კი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მძიმე ფიზიკური პირობები და ფინანსური სირთულეები, სერიოზუ-

ლად აბრკოლებს ბრძოლას ამ დაავადების გავრცელების წინააღმდეგ. 1998 წლიდან მოყოლებული, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს ხელისუფლებას ტუბერკულოზის წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაში; კერძოდ, კომიტეტი ახორციელებს პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს პატიმართა შორის ტუბერკულოზის შემთხვევების დროულ გამოვლენასა და მათ მკურნალობას DOTS-მეთოდის გამოყენებით (Directly Observed Treatment Short Course - "მკურნალობის მოკლე კურსი უშუალო დაკვირვების პირობებში") ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტივების თანახმად.[7] ორივე საპყრობილეში, ისევე როგორც ციხის რესპუბლიკურ

საავადმყოფოში (იხ. 120-ე პარაგრაფი) იმყოფებოდა ტუბერკულოზით დაავადებული რამდენიმე პატიმარი. ტუბერკულოზის გამოვლენისა და მისი მკურნალობის სქემები სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

110. №1 საპყრობილეში ტუბერკულოზის მკურნალობის DOTS-მეთოდი დანერგილია 2000 წლის სექტემბრიდან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით, რომელმაც ჩაატარა ნერწყვის სინჯების მიკროსკოპიული გამოკვლევა. მეთოდის დანერგვის შემდეგ პაციენტების მიერ მედიკამენტების მიღება მიმდინარეობს მუდმივი კონტროლის ქვეშ. დელეგაციამ შეიტყო, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით დაწესებულება არ განიცდის აუცილებელი პრეპარატებისა და ვიტამინების დეფიციტს.

ვიზიტის დროს 7 პატიმარს ჰქონდა ტუბერკულოზის ღია ფორმა. ეს პატიმრები განთავსებული იყვნენ განცალკევებით საპყრობილის მთავარ კორპუსში. დელეგაციას არა აქვს რაიმე განსაკუთრებული კომენტარი ამ პატიმართა ყოფნის პირობებთან დაკავშირებით.

111. რაც შეეხება №5 საპყრობილეს, აქ DOTS-ის მეთოდით მკურნალობა არ არის დანერგილი. დაწესებულების სამედიცინო სამსახურს არ გააჩნდა ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის საშუალებები ახალმიყვანილ პატიმრებში ამ დაავადების შემთხვევების გამოსავლენად. კერძოდ, არ ხდებოდა ნერწყვის სინჯების აღება, რენტგენოლოგიური აპარატურა არ იძლეოდა ტუბერკულოზის გამოვლენის საშუალებას (იხ. 101-ე პარაგრაფი). რეგულარულად არ ხდებოდა ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატებითა და სამედიცინო მასალებით მომარაგება; ვიზიტის დროს მარაგი თითქმის ამუწურული იყო. გარდა ამისა, სამედიცინო პერსონალის სიმცირე და ის ფაქტი, რომ მედიკამენტების შეძენა პატიმრებს საკუთარი სახსრებით უხდებოდათ, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა მკურნალობაზე კონტროლს.

ტუბერკულოზით დაავადებული პირების პატიმრობის პირობები აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი იყო, განსაკუთრებით ფიზიკური პირობებისა და პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობის თვალსაზრისით (რაც არაფრით განსხვავდებოდა სხვა მსჯავრდებულთა ყოფნის პირობებისაგან). ასეთი პატიმრების საერთო საკნის ფართი დაახლოებით 45 კვ.მ-ია და მასში შესაძლებელია ერთდროულად იმყოფებოდეს 30-მდე ადამიანიც კი. საკანი ცუდად იყო განათებული, არ ნიავდებოდა, ნესტიანი იყო და არანაირად არ შეესაბამებოდა ჰიგიენის ნორმებს; სხვა საკნების მსგავსად, აქაც ფანჯრები დაფარული იყო სქელი ჟალუზებით. გარდა ამისა, პატიმრები მხოლოდ ერთხელ 1 საათით გაჰყავდათ ჰაერზე. ცხადია, ამგვარი პირობები მხოლოდ ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას და შესაბამისად ეჭვის ქვეშ აყენებს ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი განათება და კარგი ვენტილაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია შენობის შიგნით ტუბერკულოზის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტუბერკულოზით დაავადებულებზე მავნე ზემოქმედებას ახდენს კვების არასათანადო რაციონი.

112. **წპკ** სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს №5 საპყრობილეში ტუბერკულოზის პრობლემის მიმართ დამოკიდებულებით. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებაში იმყოფება საქართველოს პენიტენციალურ დაწესებულებებში მყოფთა ¼ და იგი ერთ-ერთი უმსხვილესი სასჯელაღსრულების დაწესებულება აქვეყანაში. სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა №5 საპყრობილეში (ისევე, როგორც სხვა დანარჩენ დაწესებულებებში) შემუშავდეს ტუბერკულოზის გავრცელების აღკვეთის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო შემოწმებას, სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და მკურნალობას საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდებისა და ნორმების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ №1 საპყრობილეში დანერგილი ტუბერკულოზთან ბრძოლის პროგრამა დადებითი პრაქტიკის კარგ მაგალითს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება სანიმუშო მოდელი გახდეს სხვა დაწესებულებებისათვის.

ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართვე-**

7 2000 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო წითელი ჯვრის პროგრამა, რომელიც თავდაპირველად დაიწყო №9 კოლონიაში, გაფართოვდა და ამჟამად ხორციელდება ქალთა კოლონიაში და №1 საპყრობილეში.

ლოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა №5 საპყრობილეში:

- შემოიღოს პატიმრების სისტემატური სამედიცინო შემოწმება ტუბერკულოზის შემთხვევების გამოსავლენად;

- უზრუნველყოს ტუბერკულოზის პრევენციის პრეპარატებით რეგულარული მომარაგება საჭირო რაოდენობით;

- დააწესოს ტუბერკულოზის პრევენციის პრეპარატების განაწილებასა და მიღებაზე სათანადო კონტროლი; ამასთან დაკავშირებით, უნდა გაიზარდოს იმ სამედიცინო პერსონალის რაოდენობა, რომელიც ახორციელებს ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა მკურნალობაზე კონტროლს;

- უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების გადანაწილება შესაბამის დაწესებულებებში მკაცრი დიაგნოსტიკური კრიტერიუმების საფუძველზე;

- უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები იმგვარი საყოფაცხოვრებო პირობებით, რაც ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. კერძოდ, საჭიროა გადაუდებელად განხორციელდეს ღონისძიებები, რათა შემცირდეს პალატებსა და საცხოვრებელ სადგომებში განთავსებულ პირთა რაოდენობა და ასევე გაუმჯობესდეს მდგომარეობა ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის თვალსაზრისით. ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაიცვან პირადი ჰიგიენის ის ნორმები, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით;

- უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები სათანადო კვების რაციონით.

საზოგადოდ, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააძლიეროს ძალისხმევა პენიტენციალურ სისტემაში ტუბერკულოზის კონტროლის იმ საერთაშორისო სტანდარტების დასანერგად, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ. ამ მიზნით, ციხის ექიმებმა უნდა გაიარონ შესაბამისი მომზადება და მათ უნდა მიეცეთ წერილობითი ინსტრუქციები ტუბერკულოზის კონტროლის სფეროში არსებული ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ.**

113. და ბოლოს, **წპკ-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ტუბერკულოზის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ყველა შესაბამისი სამინისტროსა და უწყების გაერთიანებული ძალისხმევით.**

ტუბერკულოზის პრობლემის არსებობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელს აზოგადოებას. ამიტომაც, აუცილებელია ტუბერკულოზის გამოვლინების პროფილაქტიკის სათანადო მეთოდების დანერგვა, სათანადო მკურნალობის ჩატარება და იმის უზრუნველყოფა, რომ ციხეში დაწყებული მკურნალობა პატიმრის განთავისუფლების შემდეგაც გაგრძელება.

გ. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო

114. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო მდებარეობს №5 და №1 საპყრობილეების ახლოს. მასში სამკურნალოდ გადაჰყავთ პატიმრები საქართველოს სხვადასხვა სასჯელარსრულების დაწესებულებებიდან. სავადმყოფო გათვლილია 320 პაციენტზე; საავადმყოფოში 5 განყოფილებაა (შინაგან სნეულებათა, ინფექციური, ქირურგიული, ფსიქიატრიული და ქალთა განყოფილება). ვიზიტის დროს საავადმყოპოში მკურნალობას გადიოდა 250 პატიმარი (როგორც ბრალდებულები, ისე მსჯავრდებულები), მათ შორის 10 ქალი.[8] როგორც აღინიშნა, პაციენტები საავადმყოფოში საშუალოდ ერთ თვეს იმყოფებიან; თუმცა დელეგაციამ შეიტყო რამდენიმე ფაქტი, როცა საავადმყოფოში ყოფნა ორ წლამდეც კი გაგრძელდა.

115. ვიზიტის დასაწყისში ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორმა დელეგაციას გააცნო ის მრავალი სირთულე, რომელსაც აწყდება მისი დაწესებულება თავის საქმიანობაში, მაგალითად არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობები და სანიტარული მდგომარეობა, მედიკამენტების, სამედიცინო აპარატურის და სამედიცინო მასალების დეფიციტი და მედპერსონალის ნაკლებობა. ამ პრობლემების გარკვეულწილად მოგვარების მიზნით, პაციენტებს, რომელთაც ამის საშუალება ჰქონდათ, უფლება ეძლეოდათ საკუთარი სახსრებით გაერემონტებინათ და მოეწყოთ პალატები და შეეძინათ საჭირო მედიკამენტები.

116. საავადმყოფოს დათვარიელების შედეგად, დელეგაცია მივიდა დასკვნემდე, რომ მრავალი თვალსაზრისით მატერიალურ-ტექნიკური პირობები საავადმყოფოში არადამაკმაყოფილებელი

8 გარდა ამისა 20-მდე მსჯავრდებული ასრულებდა სხვადასხვა მოვალეობებს საავადმყოფოს ტერიტორიაზე

იყო. შენობას დიდი ხანია არ ჩატარებია რემონტი (გარდა უმნიშვნელო კოსმეტიკური რემონტისა დაწესებულების ზოგიერთ ნაწილში). შენობა ამორტიზირებული იყო და არ შეესაბამებოდა ჰიგიენურ ნორმებს. შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო პალატების განათებისა (როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური) და ვენტილაციის თვალსაზრისით. საავადმყოფოს პალატების მდგომარეობა შესამჩნევად განსხვავდებოდა: ზოგიერთ პალატაში იმყოფებოდა შედარებით ცოტა პაციენტი (მაგალითად, 2 პაციენტი 10 კვ.მ.-იან პალატაში). ისინი ახლადშეღებილი, სუფთა და შედარებით კარგად მოწყობილი იყო. სხვა პაციენტები გადატვირთულ და გაურემონტებელ პალატებში იმყოფებოდნენ. ქალთა განყოფილებაში, რომელიც მხოლოდ 14 ადგილზეა გათვლილი, სავარაუდოა განსაკუთრებული გადატვირთვის შესაძლებლობა; ჩანდა, რომ ცოტა ხნით ადრე აქ იატაკზე დაგებულ ლეიბებზე რამდენიმე პაციენტს ეძინა. პაციენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეუზღუდავად ესარგებლათ საერთო ტუალეტით და საშხაპე ოთახებით, საავადმყოფოში მოდიოდა ცხელი წყალი, თუმცა სანიტარული კვანძები მეტწილად შესაკეთებელი იყო. გარდა ამისა, დელეგაციამ შეიტყო, რომ საავადმყოფო არ მარაგდებოდა სარეცხი და ჰიგიენის სხვა საშუალებებით, ახალი თეთრეულითა და ლეიბებით. პაციენტებს თვითონ უხდებოდათ ლოგინის თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა.

117. დელეგაციას ეცნობა, რომ მიუხედავად საკვებისათვის გათვალისწინებული თანხების სიმწირისა, საავადმყოფო უზრუნველყოფდა პაციენტების კვებას. თუმცა რაციონი ერთგვაროვანი იყო და ძირითადად შედგებოდა კარტოფილის, ფაფეულის და პურისაგან; პაციენტები იშვიათად იღებდნენ ხორცს, რძეს, ხილსა და ბოსტნეულს. პატიმრები ძირითადად იმ პროდუქტებით იკვებოდნენ, რომლებსაც მათ ოჯახები აწვდიდნენ.

118. დაწესებულებას არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის სამედიცინო აღჭურვილობა. რენტგენის კაბინეტში არსებული ძველი აპარატი იშვიათად თუ გამოიყენებოდა, რადგანაც საავადმყოფო არ მარაგდებოდა რენტგენის ფირებით. ელექტროკარდიოგრამის მოწყობილობა მწყობრიდან იყო გამოსული. მცირე ზომის ლაბორატორიაში ხერხდებოდა მხოლოდ სისხლისა და შარდის ანალიზების აღება. რაც შეეხება ქირურგიულ განყოფილებას, დელეგაციას განუმარტეს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტროს მისთვის ლიცენზია არ გაუცია, რადგან იგი არ იყო სათანადოდ აღჭურვილი (საანესთეზიო საშუალებებითა და სხვა აუცილებელი სამედიცინო მასალებით და ასევე რეანიმაციული განყოფილების უქონლობის გამო). შეიძლება ითქვას, რომ ქირურგიული განყოფილება არალეგალურად მუშაობდა.

გარდა ამისა, უკიდურესად დეფიციტური იყო მედიკამენტები და სამედიცინო მასალა, როგორიცაა სტერილური ხელთათმანები, სახვევები, შპრიცები და სხვა. საავადმყოფო მთლიანად იყო დამოკიდებული ჰუმანიტარულ დახმარებაზე, ექიმების პირად მონდომებასა და პატიმრების საკუთარ სასხრებზე.

119. საავადმყოფოს ჰქონდა 230, მათ შორის 90 სამედიცინო (60 ექიმისა და 30 ექთნის) და 110 დაცვის თანამშრომლის საშტატო თანამდებობა. თუმცა ვიზიტის დროს, ექიმებისა და მედდების ადგილების 40% თავისუფალი იყო. ვაკანტური ადგილების შეუვსებლობის მიზეზად ხელფასების დაბალი დონე დასახელდა.

120. პატიმრები, რომლებიც ტუბერკულოზით ინფიცირების ნიშნებს ავლენდნენ, გადაჰყავდათ საავადმყოფოში სამედიცინო შემოწმებისათვის. ვიზიტის დროს, ტუბერკულოზით დაავადებული დაახლოებით 50 პატიმარი სხვა ავადმყოფებთან ერთად იყო მოთავსებული ინფექციურ განყოფილებაში. ტუბერკულოზის პრევენციის პრეპარატების მარაგი უკიდურესად მწირი იყო (იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ორი დასახელების პრეპარატით) და პატიმრები ძირითადად დამოკიდებული იყვნენ გარედან მიღებულ დახმარებაზე (ოჯახები, ჰუმანიტარული დახმარება). ვიზიტის დროს, საავადმყოფოში არ იყო დანერგილი ტუბერკულოზის მკურნალობის DOTS-მეთოდი; თუმცა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სპეციალურ ლაბორატორიაში ახორციელებდა ნერწყვის სინჯების მიკროსკოპულ ანალიზს, რაც პირველი ნაბიჯი იყო ამ მეთოდის დანერგვის თვალსაზრისით. დელეგაციას აცნობეს, რომ განხილვის პროცესში იყო საავადმყოფოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის შეთანხმება ტუბერკულოზის კონტროლისა და მკურნალობის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე. გათვალისწინებული იყო ასევე ინფექციურ განყოფილებაში ტუბერკულოზის სექციის ცალკე გამოყოფა მომავალში.

121. ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსებული იყვნენ ორი კატეგორიის პაციენტები: პატიმრები, რომლებსაც უტარდებოდათ ფსიქიატრიული მკურნალობა და ბრალდებულები, რომლებიც ფსიქიატრიულ ექსპერტიზას გადიოდნენ სასამართლოს განჩინებით. ფსიქო-ფარმაკოლოგიური წამლების მარაგი უკიდურესად მწირი იყო, რის გამოც მედიკამენტები ეძლეოდათ

მხოლოდ აღგზნებულ პაციენტებს საგანგებო შემთხვევებში და როგორც დელეგაციას აცნობეს, მკურნალობა ძირითადად შემოიფარგლებოდა ინდივიდუალური ფსიქოთერაპიით. რაც შეეხება იმ ბრალდებულებს, რომლებიც გადიოდნენ სამედიცინო ექსპერტიზას სასამართლოს განჩინებით, დელეგაციას განემარტა, რომ ექსპერტიზისათვის გათვალისწინებული იყო 1 თვე, თუმცა შეიძლებოდა ეს პერიოდი 6 თვემდეც კი გაგრძელებულიყო. ექსპერტიზას ატარებდა გარე კომისია, რომელშიც საავადმყოფოს ფსიქიატრები არ მონაწილეობდნენ და პირებს, ვინც სამედიცინო შემოწმებას გადიოდა, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, არ უტარდებოდათ არანაირი მკურნალობა.

დელეგაციას განუცხადეს, რომ პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის ერთადერთი საშუალება, რომელიც საავადმყოფოში გამოიყენებოდა იყო ეგრეთ წოდებული "მსუბუქი ფიქსაცია" (ავადმყოფის მაჯების, წელისა და ფეხების მიბმა საწოლზე ქსოვილის ქამრებით). ფიზიკური შეზღუდვის მეთოდი, როგორც ჩანს, იშვიათად გამოიყენებოდა და ამის შესახებ ჩანაწერი კეთდებოდა ავადმყოფის პირად სამედიცინო ისტორიაში. საავადმყოფოში არ იწარმოებოდა სპეციალური ჟურნალი პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის შემთხვევების სისტემატური აღრიცხვისათვის.

122. რაც შეეხება საავადმყოფოს რეჟიმს, პატიმარ მამაკაცებს შეეძლოთ დღის განმავლობაში შეუზღუდავი გადაადგილება საავადმყოფოს ტერიტორიაზე, ჰაერზე გასვლა და სამლოცველოში შესვლა. მათგან განსხვავებით, პატიმარი ქალები გამოკეტილი იყვნენ ქალთა განყოფილებაში, გარდა დღეში 1 საათით ჰაერზე გასვლისა პატარა ეზოში (საღამოს 9 საათიდან 10 საათამდე, მას შემდეგ, რაც პატიმარ მამაკაცებს პალატებში კეტავდნენ). უნდა აღინიშნოს, რომ ტელევიზორის ყურების გარდა, პაციენტებისათვის არ არის ორგანიზებული რაიმე საქმიანობა. მათ არა აქვთ მუშაობის ან განათლების მიღების შესაძლებლობა და საავადმყოფოში არ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა.

123. ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს არ გააჩნია სათანადო სამედიცინო პერსონალი და რესურსები იმისათვის, რომ მან რეალური საავადმყოფო დაწესებულების ფუნქციები შეასრულოს. სამედიცინო აღჭურვილობის გაუმართაობისა და მედიკამენტებისა და სხვა აუცილებელი მასალების დეფიციტის გამო, შეუძლებელია სამედიცინო შემოწმების, დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის სათანადოდ წარმართვა. ის, რაც დელეგაციამ ნახა "ავადმყოფ პატიმართა სადგომი" უფროა, ვიდრე საავადმყოფო.

წპკ მიიჩნევს, რომ საავადმყოფოს უკიდურესად მწირი რესურსების გამო, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ ოპტიმალურ გამოყენებას. ამ მიმართებით, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ გადაუდებლად იქნეს მიღებული ზომებ საკმარისი რაოდენობის დიაგნოსტიკური საშუალებების უზრუნველსაყოფად, მათ შორის იუსტიციის სამინისტროში შექმნილი სამედიცინო კომისიისათვის, რომელიც განიხილავს გადაწყვეტილებებს პატიმრების საავადმყოფოში მოთავსების შესახებ. ეს შესაძლებელს გახდის, რომ პატიმრების მიღება საავადმყოფოში მოხდეს მკაცრი დიაგნოსტიკური კრიტერიუმების შესაბამისად და მათი ჰოსპიტალიზაცია არ გაგრძელდეს აუცილებელზე მეტ ხანს.**

წპკ ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ სერიოზული ძალისხმევა იქნეს მიმართული იმისათვის, რომ:

- საავადმყოფოში გაუმჯობესდეს პაციენტების საყოფაცხოვრებო პირობები 116-ე პარაგრაფში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით;

- გაუმჯობესდეს რენტგენის ოთახის, ელექტროკარდიოგრამისა და ლაბორატორიული აღჭურვილობა;

- შესაბამისად აღიჭურვოს ქირურგიული განყოფილება, რაც საშუალებას მისცემს მას დააკმაყოფილოს ლიცენზიის მისაღებად აუცილებელი პირობები;

- უზრუნველყოფილი ქნას საავადმყოფოს რეგულარული მომარაგება სათანადო მედიკამენტებითა და სამედიცინო მასალებით;

- შეივსოს ექიმებისა და ექთნების ვაკანტური ადგილები;

- ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები მოთავსდნენ სხვა პატიმრებისაგან განცალკევებით;

- დაინერგოს DOTS-მეთოდი ტუბერკულოზის ეფექტური მკურნალობის განსახორციელებლად.

წპკ ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის ყოველი შემთხვევა აღირიცხოს ამ მიზნით შექმნილ სპეციალურ სარეგისტრაციო ოჟურნალში (ისევე, როგორც პაციენტის პირად სამედიცინო საქმეში). ჩანაწერში უნდა აღინიშნოს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების დაწყებისა და დამთავრების დრო, საფუძველი, საქმის გარე-

მოებები, იმ ექიმის გვარი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ან გასცა ნებართვა ამ მეთოდის გამოყენების თაობაზე, ასევე სხეულის ნებისმიერი დაზიანება, რომელიც პაციენტმა ან პერსონალმა მიიღო.

გარდა ამისა, **წპპ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გამონახოს საშუალება, რომ საავადმყოფოში დიდი ხნით მოთავსებული პაციენტებისათვის ორგანიზებულ იქნეს სხვადასხვა ტიპის საქმიანობა და გართობა (მაგ. წიგნებითა და გაზეთებით უზრუნველყოფა; რადიო/ტელევიზორი). პაციენტ ქალებს უნდა შეექმნათ შესაძლებლობა არა ნაკლებ 1 საათით ყოველდღე გავიდნენ სუფთა ჰაერზე ამისათვის შესაფერის დროს და სათანადო ფართის ეზოში.**

5. წპპ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ა. პერსონალი

124. **წპპ** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის სამუშაოზე მიღებისა და პროფესიული მომზადების საკითხებს. ეჭვგარეშეა ის, რომ არამართებული მოპყრობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების აღკვეთის საუკეთესო გარანტიას სწორად შერჩეული და მომზადებული თანამშრომელი წარმოადგენს, რომელმაც იცის, თუ როგორ დაამყაროს სწორი ურთიერთობა პატიმრებთან. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. 71-ე პარაგრაფი), ატმოსფერო მონახულებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იყო მშვიდი და თანამშრომლებს და პატიმრებს შორის კარგი ურთიერთობა იყო ჩამოყალიბებული. თუმცა რამოდენიმე პატიმარმა, რომლებსაც დელეგაცია შეხვდა, განაცხადეს, რომ ციხის ზოგიერთი თანამშრომელი პატიმრებისაგან იღებდა ან ითხოვდა ფულს იმისათვის, რომ მათთვის კანონიერი უფლებებით ან გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობის საშუალება მიეცათ. კერძოდ აღინიშნა, რომ ამგვარი ფაქტები ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორიცაა ახლობლებთან შეხვედრის უფლება, სამედიცინო მომსახურება ან უკეთეს პირობებში განთავსება.

125. იუსტიციის სამინისტროში გამართული ოფიციალური შეხვედრების დროს აღინიშნა, რომ საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში კორუფცია ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. იუსტიციის მინისტრმა დაუფარავად ისაუბრა პერსონალის მხრიდან გამოძალვის ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკაზე. ამ შეფასებას იზიარებს ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი პირიც, რომელთაც **წპპ**-ს დელეგაცია შეხვდა. სამინისტრომ საგანგებო ღონისძიებები გაატარა მთავრობისა და საზოგადოების ფართო მხარდაჭერის მოსაპოვებლად ყველა დონეზე კორუფციის შემთხვევების გამოვლენასთან დაკავშირებით; ამ მიზნით, შეიქმნა ცხელი ხაზი და სტიმულირების მექანიზმი კორუფციის შემთხვევების შეტყობინებისათვის.

გარდა ამისა, №5 იზოლატორის დირექტორმა დელეგაციას აცნობა ცოტა ხნის წინ ადგილობრივ დონეზე გატარებული ამგვარი ღონისძიებების შესახებ. ეს ღონისძიებები მოიცავდა რამდენიმე თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნას და როგორც ხელმძღვანელი, ისე დაბალი რანგის მოხელეებისათვის განმარტებას, რომ ამგვარი მოპყრობა მოუთმენელი იქნებოდა; ამის შედეგად, რამდენიმე მოხელემ დატოვა სამსახური.

წპპ მიესალმება სამთავრობო დონეზე საპატიმროს პერსონალის კორუმპირებულობის პრობლემის აღიარებას და მათ ქმედებებს ამასთან დაკავშირებით. კომიტეტი მიიჩნევს, რომ №5 საპყრობილეში განხორციელებული ზომები არის სწორი მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მაგალითის მიმცემი იქნება სხვა დანარჩენი პენიტენციალური დაწესებულებებისათვის საქართველოში.

126. **წპპ**-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ მიუღებელია ურთიერთობა, რომელიც ექპლუატაციას უწევს თავისუფლებააღკვეთილ პირებს, ან აღიქმება ამგვარად. პატიმრების უფლებების განხორციელება და მათ მიერ პრივილეგიების მოპოვება არასოდეს არ უნდა ემყარებოდეს პერსონალისათვის ფულის გადახდას ან სხვა სახის სამსახურის გაწევას. ასეთი გარიგებები უტოლდება ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და მკაცრად უნდა ისჯებოდეს.

წპპ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მკაფიოდ განუმარტოს როგორც ხელმძღვანელ, ისე რიგით თანამშრომლებს, რომ მიუღებელია და მკაცრად ისჯება პატიმრებისაგან არამართებული სარგებლობის მიღება ან მოთხოვნა. ეს მითითება სათანადო ფორმით პერიოდულად უნდა განმეორდეს.

127. **წპპ**-ს დელეგაციას როგორც სამთავრობო, ისე ადგილობრივ დონეზე აცნობეს, რომ საპატიმროს პერსონალის პროფესიული მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი არ აკმაყოფილებდა სასურველ დონეს. ამ სფეროში არსებულ სხვა სიძნელეებს ემატებოდა სა-

თანადო სასწავლო ბაზის უქონლობა. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები და პენიტენციალური სისტემის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანა ფართოდ აღიქმება როგორც ამ საკითხისადმი ახალი მიდგომის განხორციელების შესაძლებლობა. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებ ამ პრიორიტეტი მიანიჭოს საპატიმროს პერსონალის მომზადებას და გადამზადებას. ამ პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს სასჯელაღსრულების სისტემის საერთო პოლიტიკის, პრაქტიკისა და შინა განაწესის დაცვისა უცილებლობაზე. მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც. საპატიმროს მოხელის ერთ-ერთი უმთავრესი პროფესიული მოვალეობა პატიმრებთან ჯანსაღი და კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბება უნდა იყოს.**

ბ. ურთიერთობა გარე სამყაროსთან

128. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შეინარჩუნონ ურთიერთობა გარე სამყაროსთან. უწინარეს ყოვლისა, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშულება ჰქონდეთ კონტაქტი თავიანთ ოჯახებთან და ახლობლებთან. ამ ურთიერთობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც პატიმრის, ისე მისი ოჯახისათვის, განსაკუთრებით კი პატიმრის სოციალური რეაბილიტაციის თვალსაზრისით. გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელის შეწყობა სასჯელაღსრულების თანამშრომელთა მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს; ასეთი ურთიერთობის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უსაფრთხოების მოსაზრებებს ან რესურსების არარსებობას. ამგვარ სულისკვეთებას ემყარება 1987 წლის ევროპის პატიმრობის წესებში ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, კერძოდ კი 43-ე (პარაგრაფი 1) და 65-ე (პუნქტი გ) წესები.

129. №5 საპყრობილეში ბრალდებულ პატიმრებთან ვიზიტის ნებართვას გასცემდა უფლებამოსილი საგამოძიებო უწყება ან ის სასამართლო, რომელსაც გადაეცა პატიმრის საქმე განსახილველად. ასეთი ვიზიტების ხანგრძლივობა მერყეობდა ნახევარი საათიდან 1 საათამდე თვეში. შეხვედრა იმართებოდა საპატიმროს პერსონალის ზედამხედველობით ვიზიტებისათვის განკუთვნილ ვიწრო ჯიხურებში, სადაც პატიმრებსა და მნახველებს ერთმანეთისგან გამჭვირვალე კედელი ჰყოფდა. შეხვედრების ოთახში მხოლოდ 7 ამგვარი ჯიხური იდგა, რაც აშკარად არ იყო საკმარისი ამ დაწესებულებაში მყოფი პატიმრების რაოდენობის გათვალისწინებით.

წპკ გაგებით ეკიდება იმ ფაქტს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ზოგჯერ აუცილებელი იყოს გარკვეული შეზღუდვების დაწესება შეხვედრებზე, განსაკუთრებული ბრალდებული პატიმრების შემხვევაში. თუმცა, ეს შეზღუდვები მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე და უნდა ვრცელდებოდეს რაც შეიძლება მცირე დროის განმავლობაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა აიკრძალოს ბრალდებულისა და მისი ოჯახის შეხვედრა ხანგრძლივი დროით. თუ არსებობს ეჭვი, რომ შეხვედრა დაკავშირებულია რაიმე თანამზრახველობასთან, უფრო მიზანშეწონილია ვიზიტის ნების დართვა, მაგრამ მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ გადაისინჯოს ახლობლებთან პატიმრის შეხვედრის საკითხი ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.**

კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას გადაიდგას ნაბიჯები, რათა №5 საპყრობილეში გაიზარდოს პატიმრებთან შეხვედრებისათვის გამოყოფილი ფართი და განიხილულ იქნას შესაძლებლობა, რომ შემცირდეს ამ შეხვედრებთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები. ჯიხურებში შეხვედრის პრაქტიკა, როგორც ეს №5 საპყრობილეშია, ხელს არ უწყობს დადებითი ურთიერთობის შენარჩუნებას პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებს შორის. **წპკ** ითვალისწინებს, რომ დახურული ვიზიტების მოწყობა შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი იყოს, თუმცა ამგვარი მიდგომა უნდა არსებობდეს გამონაკლისის სახით და არა, როგორც წესი.

130. რაც შეეხება ბრალდებული პატიმრების მიმოწერას, დელეგაციამ შეიტყო, რომ მათი ყველა წერილი ცენზურას ექვემდებარებოდა, ხოლო მოკლე შინაარსი ფიქსირდებოდა სპეციალურ ჟურნალში. **წპკ მიიჩნევს, რომ ამგვარი პროცედურა მეტისმეტად შრომატევადია და წარმოადგენს ისედაც არასაკმარისი პერსონალის დროისა და ენერგიის ფუჭად ხარჯვას.**

გარდა ამისა, **წპკ**-მა შეშფოთებით აღნიშნა, რომ, პატიმრის წერილები მის ადვოკატთან, საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებთან, სასამართლოსთან, და ასევე კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მაგ. ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოსა და **წპკ**-თან) არ იყო გამორიცხული ამგვარი კონტროლისგან. უდავოა, რომ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ უფლება აღნიშნულ პირებსა და სტრუქტურებთან ჰქონდეთ კონფი-

დენციალური მიმოწერა. **წპკ-ს სურს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხზე.**

131. მსჯავრდებულებს მკაცრი რეჟიმის №1 საპყრობილეში უფლება აქვთ წლის განმავლობაში იქონიონ 3 ხანმოკლე და 1 ხანგრძლივი (3 დღემდე) პაემანი, რაც აშკარად არასაკმარისია. თუმცა, დელეგაციამ შეიტყო, რომ ხშირად გაიცემოდა დამატებითი პაემანების ნებართვა.

წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია შეხვედრების რაოდენობისა და ხანგრძლივობის თაობაზე მკაცრი რეჟიმის პატიმრებისთვის და ასევე დამატებითი პაემანების უფლების მოსაპოვებლად დადგენილი კრიტერიუმების შესახებ. შეხვედრებისათვის გამოყენებული ფართი სავსებით შეესაბამებოდა მისაღებ სტანდარტებს. მოკლევადიანი შეხვედრები იმართებოდა სკამებით და მაგიდებით მოწყობილ ღია ოთახში (დელეგაციას განუცხადეს, რომ გამყოფი კედლით აღჭურვილი კაბინები აღარ გამოიყენებოდა). გარდა ამისა იყო კიდევ 6 ოთახი, რომელიც განკუთვნილი იყო ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. ეს ოთახები სუფთა და კეთილმოწყობილი იყო.

132. სამეურნეო სამუშაოებზე მყოფ პატიმრებს ორივე დაწესებულებაში კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთ ოჯახებთან და ახლობლებთან ურთიერთობისა. გარდა ამისა, №5 საპყრობილეში ნებადართული იყო 3 დღემდე დროებით დარჩენა. **წპკ** მიესალმება ამგვარ პრაქტიკას.

133. ორივე დაწესებულებაში, პატიმრებს ჰქონდათ უფლება შეუზღუდავი რაოდენობით მიეღოთ ამანათები; ეს მისასალმებელია, რადგანაც პატიმრები პირველადი საჭიროების საგნებზეც კი თავიანთ ოჯახებზე არიან დამოკიდებულები. გარდა ამისა, **წპკ**-ს დელეგაციას აცნობეს, რომ ამანათების მიღების სისტემა ცოტა ხნით ადრე გადაისინჯა და ბევრმა პატიმარმა განაცხადა, რომ ეს სისტემა ახლა უკვე დამაკმაყოფილებლად მუშაობდა. დელეგაციამ მოინახულა გზავნილებისა და ამანათების მიღების ადგილი, გაეცნო ოჯახების მიერ საპატიმროში მოტანილი საგნების ჩამონათვალის გაკეთების პროცედურას და მიიჩნევს, რომ ამანათების შიგთავსის აღნუსხვა და პატიმრების მიერ მისი მიღების ხელმოწერით დადასტურება შესაძლო მითვისების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი გარანტიაა.

134. პატიმრებს №1 საპყრობილეში ჰქონდათ ტელეფონით სარგებლობის უფლება, რაც განსაკუთრებით მნივნელოვანია იმ პატიმრებისათვის, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა რეგულარულად შეხვდნენ ოჯახის წევრებს, რადგანაც ისინი დაწესებულებიდან შორს ცხოვრობენ. თუმცა, ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობა არ ჰქონდათ №5 საპყრობილის პატიმრებს.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განიხილოს №5 საპყრობილეში პატიმრების მიერ ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც, აუცილებელობის შემთხვევაში, სათანადო ზედამხედველობის ქვეშ განხორციელდება.

გ. დისციპლინა

135. საქართველოს კანონში პატიმრობის შესახებ მოცემულია სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევისათვის მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესი, როგორიცაა, გაფრთხილება, ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანის და ამანათის, ბანდეროლის და გზავნილების მიღების შეზღუდვა; "გამასწორებელ საკანში" ("კარცერი") მოთავსება ბრალდებული პატიმრებისათვის[9] ვადით 10 დღემდე და მსჯავრდებულებისთვის - 20 დღემდე.[10]

№5 საპყრობილეში **წპკ**-ს დელეგაციას ეცნობა, რომ დისციპლინური სასჯელის მაქსიმალური ხანგრძლივობა ყველა პატიმრისათვის იყო 20 დღე. ეს ეწინააღმდეგება კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. **წპკ-ს სურს მიიღოს განმარტება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრალდებულისათვის დაკისრებული დისციპლინური სასჯელის მაქსიმალური ხანგრძლივობის თაობაზე.**

136. დისციპლინური ზომების გამოყენების უფლება აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს მისი პერსონალის მიერ მომზადებული დისციპლინური პასუხისმგებლობის მასალების (მათ შორის პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტების) საფუძველზე. დირექტორი უშუალოდ არ გაესაუბრება პატიმარს, რომელსაც დაეკისრება დისციპლინური სასჯელი და გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება ზემდგომ ინსტანციაში.

წპკ იძლევა რეკომენდაციას გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრებს, რომელთაც დაეკისრებათ დისციპლინური სასჯელი:

- პირადად მოუსმინოს ამ სასჯელის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა, რათა მათ შეძლონ ახსნა-განმარტების მიცემა იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მათ დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა;

9 იხ. პატიმრობის შესახებ კანონის 91-ე მუხლი, პარაგრაფი 1 ბ
10 იხ. პატიმრობის შესახებ კანონის 30-ე მუხლი, პარაგრაფი 6 დ

- მიეცეთ შესაძლებლობა დისციპლინური სასჯელის დაკისრების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივრონ ზემდგომ ინსტანციაში;

137. მონახულებულ ორ საპატიმროში, დელეგაციას არ მოუპოვებია ფაქტები იმაზე, რომ ხდება დისციპლინური დასჯის გადამეტებული გამოყენება. პატიმრებს ხშირად აძლევდნენ თავიანთ საკნებში დაბრუნების უფლებას სასჯელის ვადის გასვლამდე.

138. როგორც უკვე აღინიშნა, კონვენციის მე-8 (5) მუხლის თანახმად დელეგაციამ ვიზიტის ბოლოს გააკეთა პირველი რიგის შენიშვნები (იხ. მე-13 პუნქტი). ეს შენიშვნები კერძოდ ეხებოდა ორივე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში "კარცერის" საკნებსაც. კარცერები №5 საპყრობილეში იყოს რულიად შეუსაბამო ზომის - 1.7 კვ.მ.-სა (ქალთადა წესებულებაში) და 2.3. კვ. მ-ს (მთავარი კორპუსის სარდაფში). საკნები იყო ბნელი და მათში ერთი ვიწრო გრძელი სკამის ან ფიცრის გარდა არაფერი იყო. რაც შეეხება დისციპლინურ საკნებს №1 საპყრობილეში, ისინი მართალია უფრო დიდი იყო (5კვ.მ.-სა და 6.7 კვ.მ.-ს შორის), მაგრამ ასევე შეუფერებელი იყო განათების, ვენტილაციისა და სხვა

პირობების თვალსაზრისით. საკნებში იყო თურქული ტუალეტი, რომელიც არანაირ სანიტარულ ნორმებს არ აკმაყოფილებდა.

2001 წლის 9 სექტემბრის წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანებულებით "კარცერის" საკნები ორივე საპყრობილეში გაუქმდა და პატიმრები გადაიყვანეს ჩვეულებრივ საკნებში ზედა სართულებზე.

139. პატიმრები, რომლებიც დისციპლინურ სასჯელს იხდიდნენ არ გაჰყავდათ ჰაერზე მოციონისთვის. ეს სრულიად მიუღებელია. ყოველდღიურად ჰაერზე გასვლის შესაძლებლობა პატიმრის საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა. **წპკ** იძლევა რეკომენდაციას საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოს დისციპლინურ საკნებში მოთავსებული პატიმრების ჰაერზე გაყვანა ყოველდღე, დღეში არანაკლებ 1 საათით.

140. და ბოლოს, დელეგაციამ შეიტყო, რომ უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა ან მიმდინარეობს ცვლილებები პატიმრების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა გადასინჯვის თვალსაზრისით.

წპკ-ს სურს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

დ. საჩივრის შეტანისა და კონტროლის პროცედურები

141. საჩივრების შეტანისა და დაწესებულების საქმიანობის შემოწმების ეფექტური პროცედურების არსებობა პენიტენციალურ სისტემაში პატიმრისადმი არამართებული მოპყრობისა და თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ძირითადი გარანტიაა. პატიმრებისათვის უნდა არსებობდეს როგორც ციხის შიგნით, ისე მის გარეთ საჩივრის შეტანისა და კომპეტენტურ უწყებასთან კონფიდენციალური დაკავშირების შესაძლებლობა. **წპკ** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების მონახულებას დამოუკიდებელი ორგანოს (მაგ. შემოწმებაზე პასუხისმგებელი კომისიის ან მოსამართლის) მიერ, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს საჩივრები და აუცილებელობის შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება პატიმრების საჩივრებზე და მოინახულოს მათი საცხოვრებელი სადგომები. ასეთი ვიზიტების დროს, მაკონტროლებელი ორგანოები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ იმ პატიმრების მონახულებით, რომლებიც ითხოვენ მათთან შეხვედრას, არამედ საკუთარი ინიციატივით უნდა მოინახულონ პატიმრობის ადგილები და კონტაქტი დაამყარონ პატიმრებთან.

142. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად პატიმრებს უფლება აქვთ შეიტანონ საჩივარი სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორთან ან შესაბამის სახელმწიფო უწყებაში (ზედამხედველი პროკურორი, სასამართლო, სახალხო დამცველი და ა.შ.)[11]

№5 საპყრობილეში, საპატიმროს მუშაკების მიერ ხდებოდა ბრალდებულთა ყველა წერილობითი საჩივრის რეგისტრაცია სხვა კორესპონდენციის მსგავსად (იხ. 130-ე პუნქტი), რის შემდეგაც დაწესებულების დირექტორი გადაუგზავნიდა მათ შესაბამის ადრესატებს. №1 საპყრობილეში დელეგაციას უთხრეს, რომ მსჯავრდებულ პატიმრებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ეთხოვათ თავიანთი საჩივრების გაგზავნა დალუქულ კონვერტებში; თუმცა მხოლოდ რამოდენიმე საჩივარი თუ იყო რეგისტრირებული, რის გამოც დელეგაციამ ვერ შეძლო შეემოწმებინა შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს ეს განცხადება.

საჩივრების ფაქტიური არარსებობა საპატიმროებში შეიძლება ერთის მხრივ მეტყველებდეს იმაზე, რომ პატიმრები უკმაყოფილო არ არიან არსებული პირობებით. მეორეს მხრივ, იგი შეიძლე-

11 იხ. პატიმრობის შესახებ კანონის 26-ე მუხლი, პარაგრაფი 1 ბ

ბა მიუთითებდეს ასევე, რომ პატიმრებისთვის არ არის გარანტირებული კონფიდენციალურობა საჩივრების შეტანასთან დაკავშირებით. მაგალითად მოთხოვნა, რომ საჩივრის ფაქტი სისტემატურად უნდა ეცნობოს დაწესებულების ხელმძღვანელებს სადაც პატიმარი იხდის სასჯელს, ცხადია ხელს არ უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას საჩივრების პროცედურის მიმართ.

წპპ იძლევა რეკომენდაციას საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს, რომ მთელს პენიტენციალურ სისტემაში ყველა პატიმარს (როგორც ბრალდებულს, ისე მსჯავრდებულს) ჰქონდეს შესაძლებლობა კონფიდენციალურად მიმართოს საჩივრით კომპეტენტურ უწყებებს. თუ საჭიროა, მიღებულ იქნეს პრაქტიკული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საჩივრების გადაცემა ხდებოდეს კონფიდენციალური წესით (მაგალითად, კონვერტების დარიგება, საჩივრებისათვის დალუქული ყუთების დადგმა, რომელთაც მხოლოდ შესაბამისად უფლებამოსილი პირები გახსნიან, ა.შ.).

143. რაც შეეხება დაწესებულების საქმიანობის შემოწმების პროცედურას, დელეგაციას ეცნობა, რომ პენიტენციალური დაწესებულებების შემოწმებას საქრთველოში ახორციელებს სხვადასხვა უწყება, მათ შორის საზედამხედველო პროკურორი, იუსტიციის სამინისტროში ცოტა ხნის წინ შექმნილი ინსპექტორატი, ეროვნული უშიშროების საბჭო, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, სახალხო დამცველი და საზოგადოებრივი კონტროლის საბჭო, რომელშიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან.

წპპ-ს დელეგაციამ შეიტყო, რომ ზემოაღნიშნული საბჭო შეწყვეტს თავის საქმიანობას 2001 წელს, მას შემდეგ, რაც განახორციელებს პენიტენციალური სისტემის შემოწმების პირველ რაუნდს. **წპპ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია საბჭოს საქმიანობის შედეგებისა და მისი სამომავლო გეგმების შესახებ.**

პენიტენციალური სისტემის შიდა საუწყებო და გარე კონტროლის მრავალმხრივი სისტემის ჩამოყალიბება უეჭველად დადებითი მოვლენაა. მას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პატიმრების ცხოვრების პირობებისა და მათდამი მოპყრობის გაუმჯობესების საქმეში და სტიმული მისცეს საზოგადეობის ჩაბმას საპატიმროების შესახებ დებატებში. **წპპ**-ს აზრით, ეს დადებითი გავლენა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს, თუ ეს მაკონტროლებელი სტრუქტურები მოახდენენ თავიანთი ძალისხმევის კოორდინაციას და სისტემატურად გაუზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას და გამოცდილებას არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. რასკვირველია, ასეთ კოორდინირებას და ინფორმაციის გაზიარებას ადგილი უნდა ჰქონდეს თითოეული აღნიშნული უწყების კომპეტენტიის ფარგლებში და კონფიდენციალურობის წესების დაცვით.

წპპ-ს სურს მიიღოს საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ამ საკითხზე.

დ. ფსიქიატრიული დაწესებულებები

1. წინასწარი შენიშვნები

144. წამების საწინააღმედგო კომიტეტის დელეგაციამ მოინახულა მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიული საავადმყოფო ფოთში. ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფო ჯანმრთელობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და განეკუთვნება საქართველოში არსებულ იმ ოთხ ფსიქიატრიულ დაწესებულებათა რიცხვს, სადაც ავადმყოფებს უტარდებათ იძულებითი მკურნალობა თანახმად ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის მე-10 მუხლისა. საავადმყოფო მკურნალობს შეურაცხად პაციენტებს, რომლებმაც ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალდებული არიან გაიარონ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა მკაცრი რეჟიმის საავადმყოფოში. საავადმყოფოში ასევე შეიძლება მოათავსონ ბრალდებული პირი, თუ იგი ფსიქიკურად დაავადდა პატიმრობაში ყოფნის დროს.

1948 წელს აშენებული ეს შენობა, რომელსაც თავდაპირველად ციხის დანიშნულება ჰქონდა, 1985 წელს გადაკეთდა სპეციალიზებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ. 1989 წლიდან, იგი გადავიდა ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. საავადმყოფოს დაცვის სამსახური შედის იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში. ვიზიტის დროს, სავადმყოფოში, რომელიც 100 პაციენტზეა გათვალისწინებული, მოთავსებული იყო 91 ავადმყოფი, მათ შორის ერთი ქალი. სავადმყოფოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა იყო დაახლოებით ერთი წელი (უმოკლესი - 6 თვე და ყველაზე მეტი - 7 წელი).

145. ფოთის საავადმყოფოში ვიზიტის დროს, დელეგაციას დაწესებულების თანამშრომლებმა უთხრეს, რომ გათვალისწინებული იყო საავადმყოფოს დახურვა და ავადმყოფების ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა. **წპპ-ს სურს მიიღოს კომენტარი ამ ინფორმაციის**

სისწორესთან დაკავშირებით და დასტურის შემთხვევაში მიიღოს დეტალური ინფორმაცია ამ გეგმების თაობაზე.

2. არასათანადო მოპყრობა

146. დელეგაციას არ მოუსმენია განცხადებები და არ მოუპოვებია სხვა ფაქტები ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მედპერსონალის მხრიდან პაციენტების მიმართ განზრახ არამართებული მოპყრობის შესახებ. პაციენტთა უმრავლესობა ექიმებისა და მედდების შესახებ დადებითად საუბრობდა. **წპკ**-ს სურს მოხსენებაში აღნიშნოს მედპერსონალის ერთგული ზრუნვა ავადმყოფებისადმი, რაც უფრო მეტად დასაფასებელია პერსონალის განკარგულებაში არსებული ძალზე მწირი რესურსებისა და იმ სიძნელეების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია სამედიცინო პერსონალის სიმცირესთან (იხ. ასევე 148-ე და 149-ე პარაგრაფები).

თუმცა, დელეგაციამ მოისმინა რამდენიმე განცხადება აღგზნებული და გარშემო მყოფთათვის საშიში ავადმყოფების მიმართ დაცვის მუშაკთა არამართებული მოპყრობისა (მუშტებით და წიხლებით ცემა) და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოს ზოგიერთმა სამედიცინო მუშკმა გამოთქვა შეშფოთება დაცვის თანამშრომელთა მხრიდან ავადმყოფებისადმი უპატივცემულო და შეურაცხმყოფელი მოპყრობის თაობაზე.

147. მათი სამუშაოს რთული ბუნებიდან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფოს დაცვის მუშაკები გულდასმით იქნენ შერჩეული და მათ ჩაუტარდეთ სათანადო მომზადება, როგორც მოვალეობის შესრულების დაწყებამდე, ასევე მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, მათ მუშაობას ზედამხედველობას და კურირებ ს უნდა უწევდეს მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ ფოთის საავადმყოფოს ხელმძღანელობამ განუმარტოს დაცვის სამსახურს, რომ არასათანადო მოპყრობა პაციენტებისადმი მიუღებელია და ისჯება მკაცრი სანქციებით (იხ. ასევე 151-ე პარაგრაფში მოცემული შენიშვნები და რეკომენდაციები).

3. თანამშრომლები

148. ვიზიტის დროს საავადმყოფოს მედპერსონალი წარმოდგენილი იყო სრულ განაკვეთზე მომუშავე ოთხი ექიმით: დირექტორი (რომელიც მონაწილეობას არ ღებულობს პაციენტთა მკურნელობაში), მისი მოადგილე მკურნალობის დარგში (ზოგადი პროფილის ექიმი/თერაპევტი) და ორი ფსიქიატრი. მათ გარდა საავადმყოფოს ჰყავდა ეპიდემიოლოგი (რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე), დიეტოლოგი და ფარმაცევტი. გარდა ამისა, დაწესებულება რეგულარულად იწვევდა პულმონოლოგს, შინაგან სნეულებათა სპეციალისტს და ნევროპათოლოგს.

საავადმყოფოს ასევე ჰყავდა 11 ექთანი. არცერთ მათგანს არ ჰქონდა გავლილი სპეციალური მომზადება ფსიქიატრიაში, თუმცა მათ პერიოდულად უტარდებოდათ ადგილზე კონსულტაციები საავდმყოფოს ფსიქიატრის მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებაში მუშაობდა 12 მომვლელი სანიტარი (რომელთაც ძირითადად ევალებოდათ რეცხვა და დასუფთავება). სანიტრებს არ ჰქონდათ გავლილი არანაირი სპეციალური მომზადება.

სამუშაო დღეებში ექიმები საავადმყოფოში იმყოფებოდნენ დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე, ხოლო საღამოს საათებში და შაბათ-კვირას ხდებოდა მათი გამოძახება საჭიროების მიხედვით. მედდები და სანიტრები მუშაობდნენ 24 საათიან ცვლაში. დღის 4 საათის შემდეგ და დასვენების დღეებში, საავადმყოფოში მორიგეობდა მხოლოდ ორი ექთანი და ერთი სანიტარი.

149. ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მრავალდისციპლინარულ მიდგომაზე დამყარებული სათანადო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა დამოკიდებულია შესაბამისი რაოდენობის, სპეციალიზაციის (ფსიქიატრები, ზოგადი პროფილის ექიმი-თერაპევტები, ექთნები, ფსიქოლოგები, შრომითი თერაპიის სპეციალისტები, სოციალური სფეროს მუშაკები და სხვა), გამოცდილებისა და მომზადების მქონე კადრების არსებობაზე. ფოთის საავადმყოფოში, მიუხედავად საავადმყოფოს ორი ფსიქიატრის დიდი სურვილისა და ძალისხმევისა, თერაპიული და სარეაბილიტაციო სფეროების სხვა კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა არ იძლევა ამგვარი გარემოს ჩამოყალიბების საშუალებას. მეტიც, ექთნებისა და სანიტრების მომზადების დღევანდელი დონე არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად საავადმყოფოს მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს მომავალში არ იგეგმება საავადმყოფოს დახურვა.

წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას მიიღოს სათანადო ზომები, რათა ფოთის მკაცრი რეჟიმის საავადმყოფოში

- თერაპიული და სარეაბილიტაციო მომსახურების გასაწევად სამუშაოზე აიყვნონ შესა-

ბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები (ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, შრომითი თერაპიის სპეციალისტები, სოციალური სფეროს მუშაკები);

- გაიზარდოს საავადმყოფოში დასაქმებული ექთნებისა და სანიტრების რაოდენობა;

- დამატებითი კადრების აყვანით შეიცვალოს რაოდენობრივი თანაფარდობა ფსიქიატრებსა და პაციენტებს შორის;

- განხორციელდეს ექთნების სპეციალური (დაწყებითი და მიმდინარე) მომზადება ფსიქიატრიის დარგში;

- სანიტრებს ჩაუტარდეთ სათანადო მომზადება მანამ, სანამი სინი შეუდგებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

150. ვიზიტის დროს საავადმყოფოში მუშაობდა 48-მდე დაცვის თანამშრომელი. ისინი იმყოფებიან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და მათ მოვალეობებში შედის პაციენტების პალატებსა და საცხოვრებელ კორპუსში, ასევე საავადმყოფოს მთელ პერიმეტრზე წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ვიზიტის დასაწყისში საავადმყოფოს დირექტორმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების თანამშრომლები მოქმედებდნენ მხოლოდ მედპერსონალის ინსტრუქციების შესაბამისად. თუმცა, დელეგაციამ მოისმინა პაციენტების საჩივრები იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგჯერ დაცვა უგულვებელყოფდა ექიმების ინსტრუქციებს და დამოუკიდებლად ღებულობდა გადაწყვეტილებებს პაციენტების ჰაერზე გაყვანასთან და მათ "კარცერებში" მოთავსებასთან დაკავშირებით (იხ. პარაგრაფი 165). ამგვარ ქმედებებს, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდათ საავადმყოფოს მედპერსონალის არყოფნის დროს. დელეგაციამ ასევე აღნიშნა, რომ სამედიცინო პერსონალს არ შეეძლო პალატებში დამოუკიდებლად შესვლა, რადგანაც პანციენტების ოთახების გასაღებები მხოლოდ დაცვის თანამშრომლებს ჰქონდათ. საერთო ატმოსფერო პაციენტთა საცხოვრებელ კორპუსში საპატიმროს ჰგავდა, და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მთავარი პრიორიტეტი ენიჭებოდა უსაფრთხოების საკითხებს.

151. **წპკ**-მა უკვე ხაზგასმით აღნიშნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების სწორი შერჩევის, მომზადებისა და ზედამხედველობის დიდი მნიშვნელობა. დაწესებულების დირექტორმა და მისმა მოადგილემ უსფრთხოების დარგში სრულად გაიზიარეს ეს მიდგომა. ამ უკანასკნელმა დელეგაციას აცნობა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დაცვის სამსახურების საქმიანობის ძველი წესები და ნორმატივები (რომლებიც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაუქმდა) ჯერ კიდევ არ შეცვლილა ახალი დირექტივებით. შედეგად, საავადმყოფოს უსაფრთხოების თანამშრომლებს უწევდათ ერთგვარი სამართლებრივი ვაკუუმის პირობებში მუშაობა და არ ჰქონდათ ზუსტი წარმოდგენა მათი ამოცანების, მოვალეობებისა და კომპეტენციის სფეროს შესახებ.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ სასწრაფოდ იქნას მიღებული დეტალური წესები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მომუშავე დაცვის თანამშრომელთა ფუნქციებისა და მოვალეობების თაობაზე. კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას გადაიდგას ნაბიჯები დაცვის პერსონალის შერჩევისა და მათი სათანადო მომზადების საკითხების გადახედვის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება განიხილოს შესაძლებლობა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მომუშავე დაცვის თანამშრომელთა სამსახურში აყვანა და მომზადება განახორციელოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.

ზოგადად, წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ ფოთის საავადმყოფოს დირექციამ და ანალოგიური ტიპის სხვა ფსიქიატრიული დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გადადგან ნაბიჯები იმისათვის, რომ დაწესებულების თანამშრომელთა მუშაობაში პაციენტების მოვლასა და მკურნალობას არ ენიჭებოდეს უსფრთხოების უზრუნველყოფაზე ნაკლები მნიშვნელობა.

4. პაციენტების საცხოვრებელი პირობები

152. ვიზიტის დასაწყისში, საავადმყოფოს დირექტორმა აცნობა დელეგაციას, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საავადმყოფო სრულად არ იღებდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ დაფინანსებას, რაც ერთ პაციენტზე დღეში 5,76 ლარია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საკვების, ტანსაცმლისა და ტექნიკური აღჭურვილობისათვის არსებული სახსრები არასაკმარისია. უფრო მეტიც, ბოლო ათი წლის განმავლობაში საავადმყოფოში არ ჩატარებულა რაიმე მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები.

153. პაციენტთა უმრავლესობა მოთავსებული იყო 2-6 ადგილიან პალატებში, რომელთა ფართი მერყეობს 11-20 კვ.მ. ფარგლებში. ის ოთახები, სადაც ხუთი ან ექვსი პაციენტი იმყოფებოდა, საკმაოდ გადატვირთული იყო (ერთ პაციენტზე მოდიოდა საშუალოდ 3,5 კვ.მ. ფართი). დადებითი

მდგომარეობა იყო ბუნებრივი განათებისა და ოთახების ვენტილაციის თვალსაზრისით. თუმცა, ხელოვნური განათება პრობლემას წარმოადგენდა, რამდენადაც საავადმყოფოს ელექტროენერგია მიეწოდებოდა დღე-ღამეში მხოლოდ 4 საათით და პაციენტებს უხდებოდათ სანთლების გამოყენება საღამოს საათებში.

პალატებში იდგა საწოლები და იშვით შემთხვევებში ტუმბოები. დელეგაციამ ზოგიერთ ოთახში ნახა რადიომიმღებები და სხვა პირადი ნივთები (რომლებიც ჩანთებში ან ყუთებში ჩაწყობილი ელაგა საწოლის ქვეშ), თუმცა მთლიანობაში გარემო საკმაოდ მკაცრი და სიმყუდროვეს მოკლებული იყო. ოთახების უმრავლესობა და ავეჯი ძველი იყო (დახეთქილი და საღებავაცლილი კედლებიდაჭერი, გაშიშვლებული ელექტროგაყვანილობა, დამტვრეული ავეჯი, გაცრეცილი საბნები და თეთრეული). განსაკუთრებით მძიმემდგომარეობა იყო №9, 12, 19 და 20 პალატებში. ამასთან, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მდგომარეობა ოთახებში სისუფთავის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

აღწერილი ვითარებისგან განსხვავებით, რამდენიმე ოთახი, სადაც მხოლოდ თითო ან ორი პაციენტი იმყოფებოდა, ახალი გარემონტებული და დამატებითი ავეჯით მოწყობილი იყო. კერძოდ №5 პალატაში დელეგაციამ ნახა პირობები, რომელიც ფუფუნებასთან მიახლოებულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს: ოთახს ჰქონდა სანკვანძი საშხაპესთან ერთად, მცირე სამზარეულო მაცივრით, ავეჯი, რომელიც თავად პაციენტს ეკუთვნოდა და სხვა. საავადმყოფოს თანამშრომლებმა ეს ვითარება იმით ახსნეს, რომ აღნიშნული ოთახები წარსულში ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყო და ამდენად, პირველ რიგში სწორედ ისინი გაარემონტეს. თუმცა, წამების საწინააამდეეგო კომიტეტი ბოლომდე დარწმულებული არ არის ამ პასუხის სიმართლეში. **კომიტეტს სურს მიიღოს საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით.**

154. ოთახების უმრავლესობას არ ჰქონდა საკუთარი სანკვანძი და პაციენტებს უხდებოდათ კარზე დაკაკუნება და მოცდა, სანამ დაცვის თანამშრომლები მიაცილებდნენ მათ საპირფარეშომდე. დელეგაციამ მოისმინა რამდენიმე პაციენტის საჩივარი, რომ ამის გამო მათ უწევდათ ლოდინი, განსაკუთრებით ღამის საათებში. გარდა ამისა, საერთო ტუალეტები და საშხაპეები, რომლებიც ყველა სართულს აქვს, უსუფთაო და მოუწყობელი იყო.

პაციენტებს შეეძლოთ შხაპის მიღება კვირაში ერთხელ, თუმცა უშუქობის გამო ცხელი წყალი ხშირად არ იყო. პირადი ჰიგიენის საგნებიდან საავადმყოფო პაციენტებს უზრუნველყოფდა მხოლოდ მცირეოდენი საპნით, სარეცხი ფხვნილითა და ტუალეტის ქაღალდით. რაც შეეხება ლოგინსა და თეთრეულს, დელეგაციას ეცნობა, რომ მათი რეცხვა ხდებოდა ყოველ ათ დღეში ერთხელ ქალაქის სამრეცხაოში. თუმცა, თეთრეული ბევრ პალატაში ჭუჭყიანი იყო.

დელეგაციამ შეშფოთებით აღნიშნა, რომ ზოგიერთი პაციენტის პირადი ჰიგიენა (განსაკუთრებით იმ პაციენტებისა, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდა მათ საკუთარი თავის მოვლის საშუალებას) და ტანსაცმლის სისუფთავე არადამაკმაყოფილებელი იყო. გარდა ამისა, ერთმა პაციენტმა ქალმა განაცხადა, რომ იგი საავადმყოფოში შემოიყვანეს 15 დღის წინ და მთელი ამ დროის განმავლობაში მისთვის არ მიუციათ ნება მიეღო შხაპი და გამოეცვალა ტანსაცმელი.

155. რამდენიმე პაციენტის თქმით, საკვები საკმარისი არ იყო. სამწუხაროდ, ვიზიტის დროს საავადმყოფოს დიეტოლოგი ადგილზე არ იმყოფებოდა და ამდენად დელეგაციამ ვერ შეძლო დეტალურად გაცნობოდა პაციენტთა კვების რაციონსა და კალორიულობას. გარდა ამისა, ამ განცხადებების სისწორის შემოწმება გაართულა იმანაც, რომ საავადმყოფოში მიყვანისას არ ხდება პაციენტთა აწონვა და არ წარმოებს მათ წონაზე რეგულარული დაკვირვება.

რაც შეეხება საავადმყოფოს სამზარეულოს, იგი იყო პატარა და ცუდად აღჭურვილი (მას არ ჰქონდა მაცივარი, ხოლო ზოგი ღუმელი და სხვა მოწყობილობა მწყობრიდან იყო გამოსული). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამზარეულო ძალიან სუფთა იყო.

156. **წპკ იძლევა რეკომენდაციას მიღებულ იქნას ზომები ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, 153-ე და 155-ე პარაგრაფებში გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით. უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მკურნალობისთვის შესაფერისი გარემოს შექმნა. ეს უპირველესად გულისხმობს თითოეული პაციენტის უზრუნველყოფას საკმარისი ფართით. ასევე პაციენტებს უნდა შეექმნათ უფრო მყუდრო და ოჯახური გარემო.**

კერძოდ, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ ფოთის საავადმყოფოში გატარდეს ღონისძიებები, რათა;**

- ყველა პალატაში დაცული იქნას სისუფთავე და აუცილებელი ჰიგიენური ნორმები;

- პაციენტებს ჰქონდეთ მათი პირადი ნივთების შესანახი სათავსო, რომელიც დაიკეტება;

- ხდებოდეს პაციენტების უზრუნველყოფა აუცილებელი პირადი ჰიგიენის საგნებით და იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა პაციენტს შეეძლოს არანაკლებ კვირაში ერთხელ ცხელი შხაპის მიღება;

- რეგულარულად უნდა ირეცხებოდეს პაციენტების ლოგინის თეთრეული და ტანსაცმელი;

- გადამოწმდეს იღებენ თუ არა პაციენტები საკვებს საკამარისი რაოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ საავადმყოფო გააგრძელებს ფუნქციონირებას მომავალში, წპკ იძლევა რეკომენდაციას კაპიტალურად გარემონტდეს ყველა პაციენტის პალატა და სათანადოდ აღიჭურვოს საავადმყოფოს სამზარეულო.

5. მკურნალობა და რეჟიმი

157. ფსიქიატრიული მკურნალობა თითქმის მთლიანად შემოიფარგლებოდა ფარმაკოთერაპიით. ვიზიტის დროს საავადმყოფოს არ ჰქონდა პრობლემები ძირითადი ფსიქოტროპული მედიკამენტებით მომარაგებასთან დაკავშირებით. ფოთის საავადმყოფოში მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ფსიქიატრები ვალდებული არიან დაიცვან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი თითოეული დაავადების მკუნალობის სტანდარტული გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია პაციენტისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისაცემი მედიკამენტების სახეობები და დოზა. **წპკ**-ს მიაჩნია რომ ეს არ არის მართებული, რამდენადაც ამგვარი ხისტი მიდგომა ზღუდავს ექიმების პროფესიულ დამოუკიდებლობას და მათ არჩევანს, როცა საქმე ეხება მკურნალობის ინდივიდუალური გეგმით წარმართვას.

წპკ გამოთქვამს სურვილს მიიღოს საქართველოს ხელისუფლების კომენტარი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არსებული ვითარების შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, წპკ-ს სურს მიიღოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი მკურნალობის სტანდარტული გეგმების ასლები.

158. საავადმყოფოს ორი ფსიქიატრი ძალას არ იშურებდა პაციენტებისათვის არსებულ პირობებში შესაძლო საუკეთესო მზრუნველობის გასაწევად. პაციენტების საავადმყოფოში მოთავსებიდან პირველი ათი დღის განმავლობაში ისინი ყოველდღიურად ხვდებოდნენ მათ, ხოლო შემდგომში არანაკლებ კვირაში ერთხელ. ამ შეხვედრების დროს, პაციენტებს ეძლეოდათ შესაძლებლობა ესაუბრათ თავიანთი პირადი და ოჯახური პრობლემების შესახებ. ექიმის დაკვირვებები ფიქსირდებოდა პაციენტის სამედიცინო ისტორიაში, რაც კარგად იყო ნაწარმოები.

159. თუმცა, საავადმყოფოში პაციენტებისათვის არ არსებობს არანაირი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სამსახური. ეს არცაა გასაკირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი საქმიანობის წარმართვისათვის საავადმყოფოს არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საკმარისი რაოდენობის კადრები (იხ. 149 პარაგრაფი). იმ რამდენიმე პაციენტის გარდა, რომლებიც დასუფთავებისა და შენობის მოვლის მარტივ სამუშაოებს ასრულებენ, პაციენტები ჩვეულებრივ თავიანთ პალატებს ტოვებენ მხოლოდ საპირფარეშოში, ჰაერზე და საავადმყოფოს სასადილოში გასასვლელად. როგორც დელეგაციას უთხრეს, პაციენტებს ასევე შეუძლიათ სამლოცველო ოთახში გასვლა. რაც შეეხება მათ პალატებში ყოფნას, აქ პაციენტები ძირითადად დაკავებული იყვნენ ჭადრაკის ან შაშის თამაშით, კითხულობდენ საავადმყოფოს ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს ან, ამის ფინანსური შესაძლებლობის მქონე პაციენტები, უსმენდენ რადიოს ან უყურებდნენ ტალევიზორს.

160. პაციენტების უმრავლესობას შეეძლო დღეში სამი საათით ჰაერზე გასვლა. თუმცა, ზოგიერთი პაციენტის თქმით, ზოგჯერ დაცვის თანამშრომლები არ აძლევდნენ მათ პალატიდან გასვლის ნებას. ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ თხოვა საქართველოს ხელისუფლებას სამი თვის განმავლობაში დაედასტურებინა, რომ ყველა პაციენტს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა, ჰქონდეს საშუალება ყოველდღე არანაკლებ ერთი საათისა გავიდნენ ჰაერზე. 2001 წლის 9 სექტემბრის წერილით, საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ ყველა პაციენტს სისტემატურად აქვს დღეში 3 საათით სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობა, გარდა იმ პაციენტებისა, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც არ იძლევა ამის საშუალებას. კომიტეტი მიესალმება ამგვარ ცვლილებას.

პირობები, რომელიც შექმნილია პაციენტების ჰაერზე გასაყვანად არ იყო დამაკმაყოფილებელი: 90 კვ.მ. ფართის შემოღობილ და მავთულხლართით გადახურულ ეზოში, რომელშიც მხოლოდ ერთი მაგიდა და ორი გრძელი სკამი იდგა, შეიძლება ერთდროულად 50 პაციენტი იმყოფებოდეს; მაშინ როცა დელეგაციამ საავადმყოფოს ტერიტორიაზე ნახა დაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო, საკმაოდ დიდი ნაკვეთი ბაღით, რომლის გამოყენება შესამაბისი გადაკეთების შემდეგ შეიძლება

პაციენტების ჰაერზე გასაყვანად.

161. კომიტეტის აზრით გარდა ფარმაკოთერაპიისა, ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მკურნალობა უნდა მოიცავდეს თერაპიული და სარეაბილიტაციო მომსახურების ფართო სპექტრს. მათ შორის, შრომით თერაპიას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიას, პროფილაქტიკას, შემოქმედებით საქმიანობას, მუსიკასა და სპორტს. სასურველია ასევე, რომ პაციენტებს შეეძლოთ განათლების მიღება და დასაქმება. **წპკ**-ს ესმის, რომ თერაპიული და სხვა სახის სამსახურების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების შემდგომ. მიუხედავად ამისა, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკვე ახლა დაიწყოს ზრუნვა ფოთის საავადმყოფოში თერაპიული და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად; ამ მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს საავადმყოფოს ბაღის გამოყენება შრომითი თერაპიის მიზნით. წპკ ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ გაუმჯობესდეს პაციენტების ჰაერზე ყოფნის პირობები.**

162. დელეგაციამ ასევე შეამოწმა საავადმყოფოში პაციენტების სომატურ დაავადებათა მკურნალობის მდგომარეობა. საავადმყოფოში ახალმიყვანილი ყველა პაციენტი გადის სამედიცინო შემოწმებას, რაც მოიცავს ასევე სისხლისა და შარდის ანალიზს. შემდგომში ეს ანალიზი თითოეულ პაციენტს უტარდება სამ თვეში ერთხელ, და მათი შედეგები ფიქსირდება პაციენტის სამედიცინო ისტორიაში. თუმცა, არ ხდება პაციენტების აწონვა და დაწესებულების რენტგენის აპარატიც მწყობრიდან იყო გამოსული, რის გამოც პაციენტების გაშუქება ხდებოდა ქალაქის კლინიკაში საავადმყოფოს სახსრებით. კომიტეტმა ასევე შეშფოთებით აღნიშნა, რომ არ ხდებოდა პაციენტების რეგულარული შემოწმება ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

პაციენტებს სპეციალიზირებულ კონსულტაციებსა და მკურნალობას უტარდებდნენ მოწვეული სპეციალისტები (იხ. პარაგრაფი 148) და, აუცილებლობის შემთხვევაში, ისინი მიჰყავდათ ქალაქის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში. თუმცა, ეს კონსულტაციები ფასიანი იყო და მის ხარჯებს იხდიდა საავადმყოფო. ამდენად, გადაუდებელი მკურნალობის გარდა, სხვა სპეციალიზირებული მკურნალობა პაციენტებისათვის არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იდგა კბილების მკურნალობასთან დაკავშირებით, რაც მხოლოდ კბილის ამოღებით შემოიფარგლებოდა.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საავადმყოფოში მიყვანისას და შემდგომში რეგულარულად ხდებოდეს პაციენტების აწონვა. ამასთან, უნდა გატარდეს ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად პაციენტების სპეციალიზირებული მკურნალობის, მათ შორის კბილების მკურნალობის თვალსაზრისით. კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ ფოთის საავადმყოფოში დაინერგოს ყველა ახალმიყვანილი პაციენტის სისტემატური შემოწმება ტუბერკულოზით დაავადების გამოვლენის მიზნით.

6. პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა

163. ნებისმიერ ფსიქიტრიულ დაწესებულებაში დროდადრო შესაძლებელია აუცილებელი გახდეს აღგზნებული და/ან საშიში პაციენტების ფიზიკური შეზღუდვა. ეს საკითხი **წპკ**-ს განსაკურებული ყურადღების საგანს წარმოადგენს, ამგვარი ღონისძიებისას შეურაცმყოფელი და არამართებული მოპყრობის პოტენციური საფრთხის თავიდან აცილების თვალსაზრისით.

ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ექიმ-ფსიქიატრს გარკვეულ შემთხვევებში განსაზღვრული ვადით აქვს უფლება გამოიყენოს სტაციონარში მყოფი პაციენტის ფიზიკურად შეზღუდვის მეთოდი, თუ დაასკვნის, რომ შეუძლებელია სხვაგვარად პაციენტისათვის დახმარების გაწევა ან საზოგადოების დაცვა მისი პოტენციურად საშიში ქმედებისაგან. ექიმის ამგვარი გადაწყვეტილების დასაბუთება უნდა დაფიქსირდეს პაციენტის ისტორიაში.

164. დელეგაციას ეცნობა, რომ ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იშვითად მიმართავდნენ პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის მეთოდს (რაც გულისხმობდა

პაციენტის მაჯების, წელისა და ფეხების საწოლზე მიბმას ქსოვილისაგან დამზადებული ქამრებით). ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა ან ნებართვას იძლეოდა მკურნალი ფსიქიატრი (ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, სხვა ექიმი) და ჩვეულებრივ გამოიყენებოდა მანამ, სანამ მოქმედებას დაიწყებდა დამაწყნარებლები. ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენება ფიქსირდებოდა პაციენტის ისტორიაში და ექთნის ჟურნალში. თუმცა, დელეგაციამ მოისმინა ცალკეული საჩივრები, რომ დაცვის თანამშრომლებმა გაკოჭილ

პაციენტებს ინიექცია გაუკეთეს მედპერსონალის სათანადო მეთვალყურეობის გარეშე.

165. დელეგაცია გარკვეულ სირთულეებს წააწყდა საავადმყოფოში პაციენტთა სამარტოო სადგომში მოთავსების არსებული პრაქტიკის შესახებ სწორი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით. თავდაპირველად, საავადმყოფოს თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ საერთოდ არ ხდებოდა პაციენტების მარტო მოთავსება. თუმცა, შემდგომში აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი იყო აღგზნებული და/ან საშიში პაციენტების 10-მდე დღის ვადით მოთავსება "კარცერებად" წოდებულ ორ ოთახში. როგორც გაირკვა, ეს ხდებოდა სამკურნალო დარგში დირექტორის მოადგილის გადაწყვეტილებით. თუმცა, ზოგიერთი პაციენტის თქმით, ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება ასევე მიეღო დაცვის თანამშრომელს, ხოლო იზოლაციის პერიოდი შესაძლოა ერთ თვემდეც კი გაგრძელებულიყო. რადგანაც არ არსებობს პაციენტების "კარცერში" მოთავსების სარეგისტრაციო სპეციალური ჟურნალი თუ ამასთან დაკავშირებული ჩანაწერები ექთნების ჟურნალში, დელეგაციამ ვერ შეძლო გადაემოწმებინა ამგვარი განცხადებების სიზუსტე.

"კარცერის" ორი ოთახი, თითოეული 5 კვ.მ. ფართის, უაღრესად მოუვლელი და ჭუჭყიანი იყო. მათ არ ჰქონდათ ბუნებრივი განათება და რკინის საწოლების გარდა ოთახებში არ იდგა არანაირი ავეჯი. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. პარაგრაფი 13), ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტზე დაყრდნობით გააკეთა პირველი რიგის შენიშვნა, რომელშიც თხოვა საქართველოს ხელისუფლებას სამი თვის ვადაში მიეცა კომიტეტისათვის დასტური იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ოთახები ამოღებულია მოხმარებიდან. 2001 წლის 9 სექტემბრის წერილით, საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ "კარცერის" ორი ოთახი გაუქმებულია. კომიტეტი მიესალმება ამ ნაბიჯს.

166. ზემომოყვანილ შენიშვნებთან დაკავშირებით, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ შემუშავდეს დეტალური ინსტრუქციები ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შესახებ. ამგვარ სახელმძღვანელო ინსტრუქციებში ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ აგრესიული ქცევის შეკავების პირველი მცდელობები შეძლებისდაგვარად უნდა გამორიცხავდეს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას (მაგ. სიტყვიერი დაყოლიება) და თუ აუცილებელი გახდა ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენება, იგი უნდა პრაქტიკულად შემოიფარგლოს პაციენტის ხელით გაკავებით. ფიზიკური შეზღუდვის სხვა მეთოდების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და პაციენტი უნდა განთავისუფლდეს პირველი შესაძლებლობისთანავე. დაუშვებელია ფიზიკური შეზრუდვის გამოყენება, ან მისი საჭიროზე მეტ ხანს გამოყენება, პაციენტის დასჯის ან დაშინების მიზნით.**

წპკ-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ აღგზნებული და/ან საშიში პაციენტების ფიზიკურ შეზღუდვაზე პასუხისმგებლი მხარე არის მედპერსონალი. ასეთ შემთხვევებში დაცვის თანამშრომელთა დახმარება უნდა მოხდეს მხოლოდ სამედიცინო პერსონალის თხოვნით და მათ მიერ გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

ამასთან, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის ყოველი ცალკეული შემთხვევა უნდა დაფიქსირდეს ამ მიზნით შექმნილ საგანგებო აღრიცხვის ჟურნალში (პაციენტის სამედიცინო ისტორიის გარდა). ჩანაწერი უნდა აჩვენებდეს ამ ღონისძიების დაწყებისა და დასრულების დროს, კონკრეტულ გარემოებებს, ამ მეთოდის გამოყენების მიზეზებს, შესაბამისი განკარგულების ან ნებართვის გამცემი ექიმის გვარს, და ინფორმაციას პაციენტის ან საავადმყოფოს პერსონალის მიერ მიღებული ყველა ტრავმისა თუ სხვა დაზიანების შესახებ. ეს დიდად შეუწყობს ხელს როგორც ამგვარი ინციდენტების სწორ მართვას, ისე მათ სიხშირესა და სიმწვავეზე ეფექტური კონტროლის წარმოებას.**

7. ფსიქიატრიულ სტაციონარში იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების უფლებების დაცვის გარანტიები

167. ფსიქიკურად დაავადებული და ფსიქიკური ნაკლის მქონე პირების განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი უნდა სარგებლობდნენ სათანადო გარანტიებით, რომლებიც იცავს მათ მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შემლახავი ქმედებებისაგან. აქედან გამომდინარე, ფსიქიატრიულ სტაციონარში იძულებითი მოთავსება და მკურნალობა ყოველთვის უნდა ხდებოდეს შესაბამისი გარანტიების დაცვის პირობებში და რეგულარულად უნდა ხდებოდეს პაციენტის მდგომარეობის გადამოწმება სტაციონარში ყოფნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. გარდა ამ საკითხებისა, დაცვის გარანტიები უნდა აწესრიდებდეს პაციენტების საჩივრების მიღებისა და მათზე რეაგირების ეფექტური პროცედურების წარმართვას, უზრუნველყოფდეს გარე სამყაროსთან პაციენტთა ურთიერთობის შენარჩუნებასა და გარე ზედამხედველობას ფსიქიატრიულ დაწესებულებებზე.

168. საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს შეურაცხადი ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირების მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებსა და საპროცესო მოქმედებებს. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის 4(1) და 10(1) მუხლების და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 676 (4) მუხლის თანახმად ავადმყოფისათვის იძულებითი სტაციონარული მკურნალობის დანიშვნის გადაწყვეტილებას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის კომისიის დასკვნის საფუძველზე ღებულობს მოსამართლე. პაციენტის რეგულარული გადამოწმება საექიმო კომისიის მიერ ხდება მისი სტაციონარში მოთავსებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა და შემდგომში არანაკლებ ერთხელ ყოველ ექვს თვეში. საექიმო კომისიის გადაწყვეტილება იძულებითი მკურნალობის მოხსნის ან რეჟიმის შეცვლის თაობაზე განიხილება სასამართლოს მიერ. სასამართლო სხდომას ესწრებიან კომისიის წევრები და სავალდებულოა პაციენტის დამცველის მონაწილეობა.[12] ამასთან, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება პაციენტის, მისი ადვოკატის ან წარმომადგენლის მიერ.

169. დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული საექიმო კომისია, ჯანდაცვის სამინისტროს ფსიქიატრის, მკურნალობაზე პასუხისმგებელი დირექტორის მოადგილისა და მკურნალი ფსიქიატრის შემადგენლობით ყოველ ექვს თვეში ერთხელ იკრიბება ფოთის საავადმყოფოში. პაციენტები იცნობდნენ ამ პროცედურას და დაადასტურეს, რომ მათ იწვევდნენ კომისიაზე, სადაც შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეთქვათ საკუთარი აზრი. თუმცა, ზოგიერთი პაციენტის თქმით, შემდგომში მათ არ აცნობდნენ კომისიის დასკვნას. **წპკ-ს სურს მიიღოს საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით.**

ამასთან, **წპკ-ს სურს მიიღოს განმარტება იმის თაობაზე აქვს თუ არა პაციენტს და მის ადვოკატს შესაძლებლობა გაეცნოს პაციენტის სამედიცინო ისტორიას.**

170. ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას აძლევს პაციენტს საჩივრით მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ უწყებას და კონფიდენციალურობის დაცვით შეატყობინოს ინფორმაცია სათანადო სახელმწიფო ორგანოს, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებელ გარანტიას წარმოადგენს. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად "პაციენტს გარანტირებული აქვს საჩივრისა და განცხადების შეტანის უფლება სასამართლო და სახელმწიფო ორგანოებში".[13] დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფოთის საავადმყოფოს პაციენტებს შეუძლიათ ოფიციალური საჩივრით მიმართონ ზედამხედველ პროკურორს; თუმცა, როგორც ჩანს, ამგვარი საჩივრების კონფიდენციალობა ყოველთვის არ არის დაცული. **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს აუცილებელი ზომები ზედამხედველ პროკურორთან და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან პაციენტების მიერ გაკეთებულ საჩივართა კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, პაციენტებს სისტემატურად უნდა მიეწოდებოდეთ ინფორმაცია, რომ მათ აქვთ კონფიდენციალური საჩივრის შეტანის შესაძლებლობა.**

ზოგადად, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ შეიქმნას სპეციალური ბროშურა, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია საავადმყოფოს შინაგანაწესისა და პაციენტების უფლებების შესახებ. ასეთი ბროშურა უნდა დაურიგდეს ყველა პაციენტს და ასევე მათ ოჯახებს. იმ პაციენტებს, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გაეცნონ ბროშურას, უნდა გაეწიოთ შესაბამისი დახმარება.**

171. პაციენტების მიმართ არამართებული მოპყრობის თავიდან აცილების, და ასევე მკურნალობის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია პაციენტებმა შეინარჩუნონ ურთიერთობა გარე სამყაროსთან. პაციენტებს უნდა შეეძლოთ წერილების გაგზავნა და მიღება, ტელეფონით სარგებლობა და მათ სანახავად მოსულ ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან შეხვედრა. ისინი ასევე გარანტირებული უნდა იყვნენ დამცველთან მოწმეების გარეშე პირისპირ შეხვედრის უფლებით.

ფოთის საავადმყოფოს პაციენტებს საზოგადოდ ეძლეოდათ შეუზღუდავი რაოდენობით ამანათების მიღებისა და ნათესავებთან და სხვა პირებთან შეხვედრის საშუალება. პავმანის ოთახი კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ სამწუხაროდ იშვიათად თუ ხდებოდა მისი გამოყენება. რაც შეეხება წერილების მიღებას და გაგზავნას, აქ შეზღუდვები არ იყო დაწესებული, თუმცა მედპერსონალი შესაძლოა გაცნობოდა მათ შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოში არ იყო პაციენტებისათვის განკუთვნილი ტელეფონი, მათ შეეძლოთ ეთხოვათ ადმინისტრაციულ ნაწილში არსებული ტელეფონით სარგებლობა. თუმცა ზოგიერთი პაციენტი ჩიოდა, რომ მიუხედავად არაერთი თხოვნისა, მათ არ მისცეს ტელეფონით საუბრის უფლება.

12 იხ. საქართველოსსისხლისსამართლისსაპროცესოკოდექსის 665 (1) და 674 (2) მუხლები
13 იხ. ფსიქიატრიულიდახმარებისსესახებკანონის 3(2) და 16 მუხლები

წპკ-ს სურს მიიღოს საქართველოს ხელისუფლებისაგან მოსაზრებები პაციენტების გარე სამყაროსთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობების თაობაზე.

172. **წპკ** ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პაციენტებზე მზრუნველობის მაკონტროლებელი დამოუკიდებელი უწყების მიერ ფსიქიატრიული დაწესებულებების რეგულარულ შემოწმებას.

დელეგაციის მიერ მიღებული ინფორმაციით, ფოთის საავადმყოფოს შემოწმება ზედამხედველი პროკურორის მიერ ხდება ყოველწლიურად და ასევე საჩივრის მიღების შემთხვევაში. **წპკ-ს სურს მიიღოს ფოთის საავადმყოფოს ზედამხედველი პროკურორის მიერ 2000, 2001 წლებში ჩატარებული შემოწმების ანგარიშების ასლები. ამასთან, კომიტეტს სურს მიიღოს ინფორმაცია, ხდება თუ არა ფოთის საავადმყოფოს შემოწმება პაციენტებზე მზრუნველობის კონტროლზე პასუხისმგებელი სხვა რომელიმე გარე უწყების მიერ.**

173. და ბოლოს, დელეგაციისათვის ცნობილი გახდა, რომ პაციენტის დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლებისა და საჩივრის შეტანის პროცედურებს გაუმჯობესების მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროში მზადდებოდა ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი. გარდა ამისა, ახალი კანონი პაციენტების უფლებათა შესახებ ასევე შეიცავს დებულებებს, რომლებიც განამტკიცებენ ფსიქიატრიული პაციენტების უფლებებს.

წპკ-ს სურს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და ასევე შესაბამისი დოკუმენტების ასლები.

<u>ე. დაკავების ადგილები სამხედრო ნაწილებში</u>

174. **წპკ**-მა მოინახულა ქუთაისის გარნიზონის დისციპლინარული ნაწილი (ჰაუპტვახტი). ვიზიტის დროს იქ არავინ იმყოფებოდა, ხოლო ბოლო დაკავებულს ჰაუპტვახტში სასჯელის მოხდის ვადა ამოეწურა დილით დელეგაციის ვიზიტის დღეს (იხ. პარაგრაფი 8). გარნიზონის ჰაუპტვახტს ორმაგი დანიშნულება ჰქონდა. ერთის მხრივ, იგი გამოიყენებოდა როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება ჯარისკაცებისა და სერჟანტების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და სასამართლოს

გადაწყვეტილებით თავისუფლებააღკვეთილი ყველა ჩინის სამხედრო მოსამსახურის დასაკავებლად, საგამოძიებო იზოლატორში მათ გადაყვანამდე ან განთავისუფლებამდე. ამ ორი კატეგორიის დაკავებულ პირთა მოთავსება ჰაუპტვახტში ხდება განცალკევებით.

დელეგაციამ მოისმინა სხვადასხვა ინტერპრეტაცია დისციპლინარული სასჯელის ვადის ხანგრძლივობისა და მისი შესაძლო გაგრძელების თაობაზე. როგორც ჩანს, სამხედრო სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში არ არის დადგენილი ჰაუპტვახტში მოთავსების დასაშვები მაქსიმალური ვადა. **წპკ-ს სურს მიიღოს განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით.**

175. ჰაუპტვახტში არსებული პირობები სერიოზული კრიტიკის საფუძველს იძლევა.

განყოფილების ექვსი საკანი (რომელთა ფართი მერყეობს 6 კვ.მ-დან 9 კვ.-მდე) დახუთული და ცუდად განათებული იყო – "ფანჯრის" ფუნქციას ასრულებდა კედელში გამოჭრილი ხვრელი და ხელოვნური შუქიც ძალიან სუსტი იყო. მრავალადგილიან საკნებში იდგა უმატრასო ხის ტახტი, ხოლო სამარტოო საკნებში მხოლოდ გრძელი ხის სკამი. მთლიანობაში ჰაუპტვახტის ფიზიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო.

რიგითი ჯარისკაცები და სერჟანტები, რომელთაც განესაზღვრათ დისციპლინურ ღონისძიებად ჰაუპტვახტში მოთავსება, არ იყვნენ უზრუნველყოფილი ლეიბებით, საბნებითა და ლოგინის თეთრეულით და ეძინათ ხის მაგარ საწოლებზე ან გრძელ სკამებზე. რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც აღმკვეთ ღონისძიებად მიესაჯათ ჰაუპტვახტში პატიმრობა, დელეგაციას უთხრეს, რომ მათ უნდა მიეცეთ ლეიბები ღამით. თუმცა, დელეგაციას ვიზიტის დროს ლეიბები არ უნახავს და ჰაუპტვახტში მომსახურე პერსონალიც, როგორც ჩანს, არ იცნობდა ამ მოთხოვნას.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო ასევე სანიტარული ნორმების დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, საერთო ტუალეტები მოუწყობელი და დაბინძურებული იყო, არ იყო გამდინარე წყალი და დასაბანი საშუალებები. აღსანიშნავია, რომ ჰაუპტვახტში სამხედრო მოსამსახურის მოთავსების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა იმის დადასტურება, რომ მან განვლილი კვირის განმავლობაში მიიღო შხაპი, რადგანაც მას დაკავების პერიოდში არ ექნებოდა დაბანის შესაძლებლობა.

176. დაკავებულთა სტატუსის შესაბამისად განსხვავდება ჰაუპტვახტში მოთავსების რეჟიმი. რიგით ჯარისკაცებს, რომლებიც იხდიან დისციპლინურ სასჯელს, აქვთ უფლება გავიდნენ სუფთა ჰაერზე დილას ნახევარი საათით და საღამოს ერთი საათით. დღის განმავლობაში ისინი ასევე მონაწილეობენ სამხედრო წვრთნებში და აგრძელებენ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას და ასრულებენ სხვადასხვა სამეურნეო (ძირითადად დასუფთავების) სამუშაოებს გარნიზონში. რაც

შეეხება სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც აღმკვეთ ღონისძიებად მიესაჯათ ჰაუპტვახტში პატიმრობა, მათ საკნის დატოვების უფლება აქვთ მხოლოდ საპირფარეშოში გასასვლელად და დღეში 50 წუთით სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად.

დელეგაციას აცნობეს, რომ ჰაუპტვახტში მოთავსებულებს ჰქონდათ წიგნებისა და გაზეთების კითხვის უფლება.

177. **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ სასწრაფოდ განხორციელდეს ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქუთაისის გარნიზონის დისციპლინარულ ნაწილში (ჰაუპტვახტში)**

- გაუმჯობესდეს მდგომარეობა დღის შუქის, ვენტილაციისა და ხელოვნური განათების თვალსაზრისით;

- გაუმჯობესდეს ფიზიკური და ჰიგიენური მდგომარეობა საკნებსა და საერთო სარგებლობის ტუალეტებში:

- ყველა საკანში დაიდგას საწოლები და დაკავებული პირები ღამით უზრუნველყოფილ იქნენ ლეიბებითა და საბნებით; აუცილებლობის შემთხვევაში არსებულ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს სათანადო შესწორებები და დამატებები;

- დაკავებულ სამხედროებს მიეცეთ შესაძლებლობა კვირაში ერთხელ მაინც მიიღონ ცხელი შხაპი;

- ყველა სამხედროს, მათ შორის ჰაუპტვახტში აღკვეთის ღონისძიების სახით მოთავსებულ პირებს, უნდა ეძლეოდეთ დღეში არანაკლებ ერთი საათით ჰაერზე გასვლის საშუალება.

178. ჰაუპტვახტში მოთავსებამდე, ყველა პირს უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება. დაკავებულის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ფერშალი გასინჯავს მათ საკანში და შეიძლება მოითხოვოს მათი საავადმყოფოში გადაყვანა.

179. როგორც დელეგაციამ დაადგინა, კანონმდებლობა არ აწესრიგებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დისციპლინური სასჯელის საპროცესო საკითხებს. ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, სანქციის დაწესებამდე არ ხდება იმ ჯარისკაცის საქმის განხილვა, რომელსაც ბრალად ედება დისციპლინური გადაცდომა და მას არ შეუძლია სასჯელის ღონისძიების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება. გარდა ამისა, სტანდარტულ ანკეტაში, რომლის საფუძველზეც ხდება ჯარისკაცის მოთავსება ჰაუპტვახტში, ფიქსირდება დაკავების ხანგრძლივობა, მაგრამ არა კონკრეტული ბრალდება.

რაც შეეხება შემოწმების პროცედურებს, დელეგაციას ეცნობა, რომ რაიონის სამხედრო პროკურორი, რომელსაც ევალება ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთაზე სამხედრო სამსახურში, მოინახულებს ჰაუპტვახტს ორ თვეში ერთხელ. გარდა ამისა, ადგილობრივი სანიტარული სამსახურები ახორციელებენ პერიოდულ სანიტარულ შემოწმებებს. უკანასკნელ პერიოდში თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ჰაუპტვახტი ინახულა ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. **წპკ** მიესალმება ამ ფაქტს.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს სპეციალური დირექტივები ჰაუპტვახტში მოთავსების შესახებ. ამ დირექტივებმა სხვა საკითხებთან ერთად უნდა განსაზღვროს სავალდებულო პროცედურები (მათ შორის, გადაცდომის თაობაზე ჯარისკაცთან გასაუბრება და მისი ახსნა-განმარტების მოსმენა, კონკრეტული ბრალდების შესახებ წერილობითი განაცხადის გაკეთება და დაკისრებული სანქციის გასაჩივრების უფლება); დაკავების ზღვრული ვადა, რეჟიმი და სხვა.

III. შეჯამება და დასკვნები

180. 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო მრავალი ურთულესი პრობლემის წინაშე დადგა, როგორიცაა სამოქალაქო ომი, მძიმე ეკონომიკური კრიზისი, მზარდი სოციალური პრობლემები. საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ ეს ფაქტორები უარყოფით ზეგავლენას ახდენს იმ სფეროებზე, რომელსაც კომიტეტის მანდატი მოიცავს. **წპკ**-მა მხედველობაში მიიღო ეს გარემოებები, განსაკუთრებით თავისუფლებააღკვეთილი პირების საერთო ყოფის და მათი ყოველდღიური საქმიანობის გაცნობის დროს. თუმცა, შეიარაღებული კონფლიქტი და ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები არანაირად არ ამართლებს განზრახ არამართებულ მოპყრობას.

ა. პოლიციის დაწესებულებები

181. ვიზიტის დროს დელეგაციამ მოისმინა მრავალი განცხადება პოლიციის მიერ დანაშაულში ეჭვმიტანილების ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ. ზოგიერთი განცხადებით ფიზიკური

ძალადობა იმდენად მძიმე იყო, რომ წამების ტოლფასადაც შეიძლება ჩაითვალოს. დაკავებულ პირთაგან მოსმენილი განცხადებების თანახმად, ფიზიკურ ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც პოლიციის მიერ მათი დაკავების, ასევე მათი შემდგომი დაკითხვის დროს და ძირითადად ვლინდებოდა სახეში გარტყმის, მუშტით ცემის, წიხლების, პოლიციის ხელკეტების, იარაღის კონდახის და სხვა მაგარი საგნების გამოყენების ფაქტებში. ყველაზე მძიმე შემთხვევებში განცხადებები ეხებოდა ელექტროშოკის, აირწინაღების გამოყენებას, ფეხის გულებზე ცემას და თავდაყირა მდგომარეობაში დაკავებულის იძულებით გაჩერებას.

თითქმის ყველა განცხადება ეხებოდა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებაზე პასუხისმგებელი პოლიციის ოპერატიული მუშაკების (მოკვლევის ორგანოს) მხრიდან. დელეგაციამ ასევე მოისმინა რამდენიმე განცხადება გამომძიებლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. თითქმის არ ყოფილა განცხადებები დროებითი დაკავების იზოლატორში მომუშავე პერსონალის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის თაობზე.

დელეგაციაში შემავალმა ექიმებმა გასინჯეს ზოგიერთი იმ პირთაგანი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას და გამოავლინეს, რომ მათ აღენიშნებოდათ ამგვარი ზემოქმედების რეალური ფიზიკური ნიშნები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის (პატიმრის ციხეში მოყვანის მომენტში აღნიშნული ტრავმული დაზიანებების ჟურნალის და ასევე პატიმართა პირადი სამედიცინო ისტორიების) გაცნობისას დელეგაციამ აღმოაჩინა სამედიცინო შემოწმების დასკვნები, რომლებიც შეესაბამებოდა გამოკითხული პირების განცხადებებს პოლიციის მუშაკთა მიერ მათ მიმართ ჩადენილი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე.

დელეგაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ეჭვმიტანილ პირებს პოლიციის მიერ დაკავებისას და/ან პოლიციაში მათი ყოფნის პერიოდში (განსაკუთრებით დაკითხვის დროს) ემუქრებათ სერიოზული საფრთხე იმისა, რომ მათ მიმართ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არამართებულ მოპყრობას და ზოგიერთ შემთხვევაში უხეშ ფიზიკურ მოპყრობას/წამებასაც კი.

182. კომიტეტმა ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამგვარი ფიზიკური შეურაცხყოფის აღკვეთის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს თვით პოლიციის თანამშრომელთა მიერ ერთმნიშვნელოვნად უარის თქმა ფიზიკური ზემოქმედების მეთოდების გამოყენებაზე. ეს გულისხმობს სამუშაოზე მიღების დროს შერჩევის მკაცრი კრიტერიუმების გამოყენებას და სათანადო <u>პროფესიულ მომზადებას.</u> ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლება უნდა ისწრაფვოდეს პოლიციელთა პრაქტიკული პროფესიული მომზადება წარმართოს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიციელთა სათანადო ქცევა მაღალი რისკის მქონე სიტუაციებში, როგორიცაა ეჭვმიტანილთა დაკავება და დაკითხვა.

წპკ ასევე გამოთქვა რეკომენდაცია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა და პოლიციის ხელმძღვანელმა მუშაკებმა განუმარტონ პოლიციის თანამშრომლებს, რომ დაკავებულ პირთა მიმართ არამართებული მოპყრობა და ფიზიკური ძალის გამოყენება დაუშვებელია და მკაცრად დაისჯება.

რაც შეეხება უშუალოდ დაკავების დროს არამართებული მოპყრობის ფაქტებზე გაკეთებულ განცხადებებს, **წპკ** იძლევა რეკომენდაციას, რომ პოლიციის მუშაკებს მუდმივად უნდა გაუმეორდეთ ის სავალდებულო მოთხოვნა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ეჭვმიტანილის დაკავებისას ძალის გამოყენება შეიძლება მოხდეს მკაცრად იმ ფარგლებში, რასაც კონკრეტული ვითარება მოითხოვს. ხოლო მას შემდეგ, რაც დაკავებული პირი კონტროლს დაექვემდებარება, არანაირი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს პოლიციის მიერ მის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას.

183. პოლიციის მუშაკთა მხრიდან არამართებული მოპყრობის აღსაკვეთად კიდევ ერთი ქმედითი საშუალებაა სასამართლოს მიერ ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით მიღებული ყველა საჩივრის ზედმიწევნით შესწავლა და სათანადო რეაგირება. ამას უაღრესად დიდი პრევენციული მნიშვნელობა აქვს.

ამასთან დაკავშირებით **წპკ** ხაზგასმით მიუთითებს, რომ ყველა პირი, ვის მიმართაც გამოიყენება დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ზომა, პირადად უნდა წარსდგეს იმ მოსამართლის წინაშე, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების თაობაზე. ეს საშუალებას მისცემს პირს, რომელსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დროულად შეიტანოს საჩივარი ამგვარ ქმედებაზე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი თუ პირი არ ჩივის, თავად ის ფაქტი, რომ იგი შეხვდება მოსამართლეს, ამ უკანასკნელს მისცემს საშუალებას დროულად იმოქმედოს, თუ ის შეამჩნევს დაკავებულ პირზე ფიზიკური ზემოქმედების ნიშნებს (მაგ. სხეულის დაზიანებებს, მის

ზოგად ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობას და ა.შ.) და გადასცემს საქმეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას განსახილველად.

184. **წპკ**-მა გამოთქვა რეკომენდაციები დაკავებულ პირთა პოლიციის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფისგან დაცვის მექანიზმების განმტკიცების თაობაზე. კერძოდ, **წპკ** იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიციაში დაკავებული პირების უფლება ისარგებლონ დამცველის მომსახურებით მოქმედებდეს თავისუფლების აღკვეთისთანავე (და არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი ოფიციალურად იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად).

წპკ მიესალმება პოლიციის განყოფილებებში დაკავებულის უფლებების შესახებ საინფორმაციო ფურცლის შემოღებას და იძლევა რეკომენდაციას, რომ ყველა დაკავებული პირი პოლიციაში მიყვანისთანავე უნდა იღებდეს ფურცელს მისი უფლებების წერილობითი ჩამონათვალით. **წპკ** ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს დაკითხვისას პოლიციის ქცევის კოდექსი, გააუმჯობესოს დაკავების სარეგისტრაციო ჩანაწერების წარმოება და პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორების დამოუკიდებელი შემოწმებები.

185. საერთო პირობები მონახულებულ დროებითი ყოფნის იზოლატორებში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ერთგან პირობები იყო ასატანი, სხვაგან კი სრულიად არადამაკმაყოფილებელი. შაკნების სათანადო განათება და ვენტილაცია პრობლემას წარმოადგენს ყველა მონახულებულ იზოლატორში. დაკავებულ პირებს ყოველთვის არ ეძლევათ ლეიბები და საბნები და უმეტეს იზოლატორებში არ ხდება დაკავებულთა საკვებით უზრუნველყოფა ან მათი გაყვანა ჰაერზე. ამგვარი ვითარებაა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის რაიონული განყოფილებების საკნებშიც. **წპკ**-მა გამოთქვა რეკომენდაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააუმჯობესოს დაკავების პირობები შსს პოლიციის რაიონული განყოფილებების იზოლატორებსა და საკნებში წარმოდგენილ მოხსენებაში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით.

ბ. სახელმწიფო უშიშროების დროებითი დაკავების იზოლატორები

186. უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში პირობები მთლიანობაში ძალიან კარგია და საქართველოში სხვა დროებითი დაკავების იზოლატორებისათვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს. თუმცა **წპკ** იძლევა რეკომენდაციას, რომ განიხილოს აქ დაკავებული პირების ყოველდღე არანაკლებ ერთი საათით ჰაერზე გაყვანის შესაძლებლობა.

გ. სასჯელაღსრულების დაწესებულებები

187. **წპკ**-ს არ მოუსმენია დაზარალებულთა განცხადებები მონახულებულ პენიტენციალურ დაწესებულებებში ციხის თანამშრომელთა მიერ პატიმართა წამებისა, თუ მათ მიმართ ჩადენილი სხვა განზრახ არამართებული მოპყრობის თაობაზე და არ მოუპოვებია ამგვარი მოპყრობის მაჩვენებელი სხვა ფაქტები.

№1 საპყრობილეში დელეგაციის მიერ გამოკითხულმა ზოგიერთმა პატიმარმა აღნიშნა, რომ პატიმართა შორის არსებობს გავლენის სტრუქტურები, გამოძალვა და დაშინება, რაშიც, ზოგიერთის თქმით, ციხის თანამშომელებიც არიან გარეული. ამასთან დაკავშირებით **წპკ**-ს სურს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია პატიმართა შორის ურთიერთდაშინების/ძალადობის აღკვეთის ღონისძებების შესახებ.

188. ფიზიკური პირობები № 5 საპყრობილეში უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია. შენობები უაღრესად ამორტიზირებულია, რაც სრულიად შეუსაბამო გარემოს ქმნის როგორც პატიმრების, ისე ციხის თანამშრომლებისათვის.

ყველაზე სავალალო მდგომარეობა აღინიშნა მთავრი კორპუსის სარდაფში. ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ თხოვა საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სარდაფის გამოყენება. ასევე უმძიმესი პირობებია მთავარი კორპუსის სხვა სართულებზე და პატიმარი ქალების განყოფილებაში. საკნების უდიდესი უმრავლესობა გადატვირთულია, ხოლო რამდენიმე საკანში პატიმრების რაოდენობა აღემატება საწოლების რაოდენობას. საკნების უმრავლესობაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საკნების განათებისა (როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების) და ვენტილაციის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ლოგინი და თეთრეულიც ხშირად ჭუჭყიანი და დაფლეთილია და ციხე არ უზრუნველყოფს პატიმრებს პირადი ჰიგიენის საგნებით.

ყველაზე კარგი პირობებია შექმნილი საპყრობილის იმ ნაწილში, სადაც ის მსჯავრდებულები იმყოფებიან, რომლებიც სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ.

189. №1 საპყრობილის საერთო სამშენებლო-ტექნიკური მდგომარეობა №5 საპყრობილეს-

თან შედარებით უკეთესი იყო და ჩანდა მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობა. პატიმართა უმრავლესობისათვის გამოყოფილი ფართი ნორმით დასაშვებია ან ცალკეულ შემთხვევებში გაცილებით მეტიც კი. სხვა თვალსაზრისით, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ადგილი ჰქონდა იგივე ნაკლოვანებებს, რაც აღწერილი იყო №5 საპყრობილესთან დაკავშირებით. აქაც შედარებით უკეთესი პირობებია შექმნილი საპყრობილის იმ ნაწილში, სადაც ის სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებზე მყოფი მსჯავრდებულები ცხოვრობენ.

190. პირობები ორივე საპყრობილის დისციპლინარულ საკნებში ("კარცერებში") სრულიად მიუღებელი იყო, რამაც ასახვა ჰპოვა იმ პირველი რიგის შენიშვნებში, რომელიც წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციამ ვიზიტი ბოლოს გააკეთა კონვენციის მე-8 (5) მუხლის შესაბამისად. შემდგომში საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა კომიტეტს, რომ ეს საკნები გაუქმებულია.

191. საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას მწირი დაფინანსების პირობებში უწევს მუშაობა და კომიტეტს კარგად ესმის, რომ შეუძლებელია აღნიშნული მდგომარეობის ერთბაშად გამოსწორება. მიუხედავად ამისა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება იმავდროულად გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას შექმნას პატიმრობისთვის სათანადო პირობები.

ნპკ-მა გამოთქვა მთელი რიგი რეკომენდაციებისა, რომლებიც №1 და №5 საპყრობილეებში პირობების გაუმჯობესებას შეეხება. კერძოდ, კომიტეტმა მოითხოვა ფანჯრებიდან სქელი ჟალუზების და ლითონის ფარის დემონტაჟი, რამდენედაც ბუნებრივი განათება და სუფთა ჰაერი აუცილებელ სასიცოცხლო მოთხვნილებას წარმოადგენს და მათი ნაკლებობა ხელს უწყობს დაავადებათა გავრცელებას.

192. ორივე საპყრობილეში მსჯავრდებულთა უმრავლესობა თითქმის მთელი დროის განმავლობაში იმყოფებოდა ჩაკეტილ საკანში და არ ჰქონდათ საშუალება დაკავებულიყვნენ რაიმე საქმიანობით. **ნპკ** გაგებით ეკიდება იმ ფაქტს, რომ საქმიანობის სხვადასხვა ფორმების ორგანიზება საგამოძიებო იზოლატორებში (მაგ. №5 საპყრობილეში) რომელთათვისაც პატიმრების მაღალი დენადობაა დამახასიათებელი, უდავოდ ძალიან ძნელია. ამავე დროს მიუღებელია, რომ თვეების განმავლობაში პატიმრები მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარა იმყოფებოდნენ.პატიმრობა ისეთ პირობებში, როგორიც და №1, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც ღირსების შემლახავი მდგომარეობა.

საქართველოს ხელისუფლებამ მიზნად უნდა დაისახოს, რომ პატიმრობაში მყოფი ყველა პირი (მათ შორის საგამოძიებო იზოლატორში მყოფი პატიმრები) დროის დიდ ნაწილს (მაგალითად 8 საათს ან მეტს დღეში) ატარებდეს საკნის გარეთ და დაკავებული იყოს სხვადასხვა საქმიანობით. ამასთან, იმ პატიმრებისათვის, რომლებიც გრძელვადიან სასჯელს იხდიან, მაგალითად №1 საპყრობილეში მყოფი მსჯავრდებულებისათვის, უნდა უფრო ხელშემწყობი რეჟიმი არსებობდეს. **ნპკ**-მა რამოდენიმე რეკომენდაცია გამოთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

193. **ნპკ**-მა მოხსენებაში გააშუქა პენიტენციალური
დაწესებულებების სამედიცინო სამსახურთან დაკავშირებით (პერსონალი, შენობების
ფიზიკური მდგომარეობა, სამედიცინო აღჭურვილობა, სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში პატიმრის მიყვანისას, სამედიცინო დოკუმენტაცია და კონფიდენციალურობა). კომიტეტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებელად უნდა შეიმუშავოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ერთიანი, კომპლექსური პოლიტიკა, რაც დაფუძნებული იქნება ეკვივალენტურობისა და სხვა საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებზე, როგორიცაა პაციენტის თანხმობა, სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული დამოუკიდებლობა. ამ თვალსაზრისით, სასურველია ჯანდაცვის სამინისტროს უფრო აქტიური ჩართვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაში.

194. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს, სადაც სამკურნალოდ გადაჰყავთ პატიმრები საქართველოს სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან, არ გააჩნია საკმარისი პერსონალი და რესურსები იმისათვის, რომ თავისი ფუნქცია შეასრულოს. სამედიცინო აპარატურის, მედიკამენტებისა და სხვა აუცილებელი მასალების დეფიციტის გამო, საავადმყოფო ვერ უზრუნველყოფს სათანადო შემოწმებას, დიაგნოზის დასმასა და მკურნალობას. ამდენად, იგი უფრო "ავადმყოფი პატიმრების სადგომს" წარმოადგენს, ვიდრე სრულფასოვან სამედიცინო დაწესებულებას. **ნპკ**-მა გამოთქვა რიგი რეკომენდაციებისა ამ მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით.

195. ბოლო პერიოდში ტუბერკულოზის შემთხვევები საქართველოს პენიტენციალურ სისტე-

მაში სერიოზულ პრობლემად იქცა მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მთელი საზოგადოების ჯანმრთელობისათვის. ტუბერკულოზის გამოვლენისა და მისი მკურნალობის სქემები სხადასხვა დაწესებულებებში განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით №1 საპყრობილეში ხორციელდება DOTS-მეთოდით (Directly Observed Treatment Short Course - "მკურნალობის მოკლე კურსი უშუალო დაკვირვების პირობებში") ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამას (პროგრამა შემუშავებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტივების თანახმად). რაც შეეხება №5 საპყრობილეს, აქ DOTS-ის მეთოდით მკურნალობა დანერგილი არ არის.

წპკ-მა გამოთქვა რამოდენიმე რეკომენდაცია ტუბერკულოზის პრობლემასთან დაკავშირებით №5 საპყრობილეში. მან ასევე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, რომ გაძლიერდეს ძალისხმევა პენიტენციალურ სისტემაში ტუბერკულოზის კონტროლის იმ საერთაშორისო სტანდარტების დასანერგავად, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ. **წპკ**-მა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტუბერკულოზის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ყველა შესაბამისი სამინისტროსა და უწყების გაერთიანებული ძალისხმევით.

196. **წპკ**-მა გამოთქვა რიგი რეკომენდაციებისა მის მანდატთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც (პერსონალი, ურთიერთობა გარე სამყაროსთან, დისციპლინა, საჩივრები, საქმიანობაზე კონტროლი და სხვა). კერძოდ, კომიტეტმა თხვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას მკაფიოდ განუმარტოს როგორც ხელმძღვანელ, ისე რიგით თანამშრომლებს, რომ მიუღებელია და მკაცრად ისჯება პატიმრებისაგან არამართებული სარგებლობის მიღება ან მოთხოვნა.

დ. ფსიქიატრიული დაწესებულებები

197. დელეგაციას არ მოუსმენია განცხადებები და არ მოუპოვებია სხვა ფაქტები ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მედპერსონალის მხრიდან პაციენტების მიმართ <u>განზრახ არამართებული</u> მოპყრობის შესახებ. თუმცა, დელეგაციამ მოისმინა რამდენიმე განცხადება აღგზნებული და გარშემომყოფთათვის საშიში ავადმყოფების მიმართ დაცვის მუშაკთა არამართებული მოპყრობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ. **წპკ**-მა გამოთქვა რეკომენდაცია, რომ ფოთის საავადმყოფოს ხელმძღანელობამ განუმარტოს დაცვის სამსახურს, რომ არასათანადო მოპყრობა პაციენტებისადმი მიუღებელია და ისჯება მკაცრი სანქციებით. **წპკ** ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ სასწრაფოდ იქნას მიღებული დეტალური წესები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მომუშავე დაცვის თანამშრომელთა ფუნქციებისა და მოვალეობების თაობაზე. კომიტეტი ასევე იძლევა რკომენდაციას გადაიდგას ნაბიჯები დაცვის პერსონალის შერჩევისა და მათი სათანადო მომზადების საკითხების გადახედვის მიზნით.

198. ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მედპერსონალთან დაკავშირებით, კომიტეტმა აღნიშნა, მიუხედავად საავადმყოფოს ორი ფსიქიატრის დიდი სურვილისა და ძალისხმევისა, თერაპიული და სარეაბილიტაციო სფეროების სხვა კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა არ იძლევა დაწესებულებაში მრავალდისციპლინარულ მიდგომაზე დამყარებული სათანადო სამედიცინო გარემოს შექმნის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ექთნებისა და სანიტრების მომზადების დღევანდელი დონე არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. **წპკ**-მა გამოთქვა რეკომენდაცია განხორციელდეს ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საავადმყოფომ სამუშაოზე აიყვანოს თერაპიული და სარეაბილიტაციო სფეროების სპეციალისტები (ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, შრომითი თერაპიის სპეციალისტები, სოციალური მუშაკები და სხვა).

199. პაციენტების საცხოვრებელი პირობების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საავადმყოფოში არ ჩატარებულა რაიმე მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები. პალატების უმრავლესობა მოუწყობელი და გასარემონტებელი იყო. დადებითი მდგომარეობა იყო ბუნებრივი განათებისა და ოთახების ვენტილაციის თვალსაზრისით. თუმცა, ხელოვნური განათება პრობლემას წარმოადგენდა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო ასევე პალატებისა და სანიტარული კვანძების სისუფთავია და პირადი ჰიგიენის საგნებით მომარაგების თვალსაზრისითაც. რამდენიმე პაციენტის თქმით, მათ არ ეძლეოდათ საკმარისი რაოდენობის საკვები. **წპკ**-მა გამოთქვა რეკომენდაციები აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით. მთავარი ამოცანა უნდა იყოს პაციენტების მკურნალობისათვის სათანადო გარემოს შექმნა.

200. ფსიქიატრიული მკურნალობა თითქმის მთლიანად შემოიფარგლებოდა ფარმაკოთერაპიით. საავადმყოფოში პაციენტებისათვის არ არსებობს არანაირი ფსიქო-სოციალური რეაბილ-

იტაციის სამსახური. **წპკ**-მა გამოთქვა რეკომენდაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები ფოთის საავადმყოფოში თერაპიული და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ არ მიიჩნევს მართებულად იმ ფაქტს, რომ საავადმყოფოს ფსიქიატრები ვალდებული არიან დაიცვან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ თითოეული დაავადებისათვის დადგენილი მკუნალობის სტანდარტული გეგმა, რამდენადაც ამგვარი ხისტი მიდგომა ზღუდავს ექიმების პროფესიულ დამოუკიდებლობას და მათ არჩევანს, როცა საქმე ეხება მკურნალობის ინდივიდუალური გეგმით წარმართვას.

201. რაც შეეხება <u>პაციენტის ფიზიკური შეზღუდვას</u>, დელეგაციას ეცნობა, რომ ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იშვითად მიმართავდნენ პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის მეთოდს. ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა ან ნებართვას იძლეოდა მკურნალი ფსიქიატრი და ჩვეულებრივ გამოიყენებოდა მანამ, სანამ მოქმედებას დაიწყებდა დამაწყნარებლები.

დელეგაციის თხოვნით ორი სრულიად შეუფერებელი ოტახი, რომლებიც აღგზნებული პაციენტების მოსატავსებლად გამოიყენებოდა, ამოღებულ იქნა მოხმარებიდან.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველძე **წპკ**-მა გამოთქვა რეკომენდაცია, რომ შემუშავდეს დეტალური ინსტრუქციები ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შესახებ. კომიტეტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღგზნებული და/ან საშიში პაციენტების ფიზიკურ შეზღუდვაზე პასუხისმგებლი მხარე არის მედპერსონალი. ასეთ შემთხვევებში დაცვის თანამშრომელთა დახმარება უნდა მოხდეს მხოლოდ სამედიცინო პერსონალის თხოვნით და მათ მიერ გაცემული ინსტრუქციებს შესაბამისად.

ე. დაკავების ადგილები სამხედრო ნაწილებში

202. ქუთაისის გარნიზონის ჰაუპტვახტში არსებული პირობები სერიოზული კრიტიკის საფუძველს იძლევა. საკნები დახუთული და ცუდად განათებული იყო და არადამაკმაყოფილებელი იყო მთლიანობაში ჰაუპტვახტის ფიზიკური მდგომარეობა. რიგითი ჯარისკაცები და სერჟანტები, რომელთაც განესაზღვრათ დისციპლინარულ ღონისძიებად ჰაუპტვახტში მოთავსება, არ იყვნენ უზრუნველყოფილი ლეიბებით, საბნებითა და ლოგინის თეთრეულით და ეძინათ ხის მაგარ საწოლებზე ან გრძელ სკამებზე. კომიტეტმა გამოთქვა რეკომენდაცია, რომ ყველა ჰაუპტვახტში დაკავებულ ყველა პირს უნდა ეძლეოდეთ დღეში არანაკლებ ერთი საათით ჰაერზე გასვლის საშუალება.

203. წამების საწინაამდეგო კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს სპეციალური დირექტივები ჰაუპტვახტში მოთავსების შესახებ. ამ დირექტივებმა სხვა საკითხებთან ერთად უნდა განსაზღვროს სავალდებულო პროცედურები (მათ შორის, გადაცდომის თაობაზე ჯარისკაცთან გასაუბრება და მისი ახსნა-განმარტების მოსმენა, კონკრეტული ბრალდების შესახებ წერილობითი განაცხადის გაკეთება და დაკისრებული სანქციის გასაჩივრების უფლება); დაკავების ზღვრული ვადა, რეჟიმი, და სხვა.

ვ. წპკ-ს რეკომენდაციებზე, კომენტარებსა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ თხოვნაზე რეაგირების ღონისძიებები

204. **წპკ**-ს რეკომენდაციები, კომენტარები და მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოცემულია I დანართში.

205. რაც შეეხება კერძოდ **წპკ**-ს რეკომენდაციებს, კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, **წპკ**-ს თხოვს საქართველოს ხელისუფლებას:

i. ექვსი თვის ვადაში წარმოადგინოს შუალედური მოხსენება, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული **წპკ**-ს რეკომენდაციების განხორციელების გეგმა და უკვე გატარებული ღონისძიებების ანგარიში (შეინიშვნა: როგორც კომიტეტმა აღნიშნა, მისი ზოგიერთი რეკომენდაცია გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს);

ii. 12 თვის ვადაში წარმოადგინოს შემაჯამებელი მოხსენება, რომელშიც მოცემული იქნება **წპკ**-ს რეკომენდაციების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებების სრული ანგარიში; **წპკ** იმედს გამოთქვამს, რომ ზემოხსენებულ შუალედურ მოხსენებაში საქართველოს ხელისუფლება ასევე წარმოადგენს რეაგირებას ამ მოხსენებაში ჩამოყალიბებულ და I დანართში მოცემულ კომენტარებზე და ასევე დააკმაყოფილებს **წპკ**-ს თხოვნას ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;

დანართი I

წპკ-ს რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოთხოვნილი ინფორმაციის ჩამონათვალი

I. შესავალი

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კორუფციის აღმოსაფხვრელად (პარაგრაფი 10).

II. ა. პოლიციის დაწესებულებები

1. წინასწარი კომენტარები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს საწრაფო ზომები პოლიციაში დაკავების კანონით დადგენილი ვადების პრაქტიკაში დაცვის უზრუნველსაყოფად (პარაგრაფი19).

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი მოხსენების მე-18 პარაგრაფში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით და ასევე სრული ინფორმაცია სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების პოლიციაში დაკავების კანონით დადგენილი ვადებისა და საპროცესო ეტაპების თაობაზე (პარაგრაფი 18).

2. წამება და ფიზიკური იძულების სხვა ფორმები

<u>რეკომენდაციები</u>

- უდიდესი პრიორიტეტი მიენიჭოს პოლიციის ყველა რანგისა და კატეგორიის თანამშრომელთა პროფესიულ მომზადებას, მათ შორის თანამედროვე საგამოძიებო მეთოდიკასა და პრაქტიკაში. პროფესიონალი პოლიციელების გარდა სწავლებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ასევე სხვა სფეროს სპეციალისტებმა (პარაგრაფი 25);

- პოლიციის თანამშრომელთა სამსახურში მიღების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი უნდა იყოს ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა კომუნიკაბელურობა და ადამიანებტან ურთიერთობის უნარი, ხოლო მათი პროფესიული მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებას (პარაგრაფი 25);

- შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა და პოლიციის მაღალი რანგის მუშაკებმა უნდა განუმარტონ პოლიციის თანამშრომლებს, რომ დაკავებულ პირთა მიმართ არამართებული მოპყრობა და ფიზიკური ძალის გამოყენება დაუშვებელია და მკაცრად დაისჯება (პარაგრაფი 25);

- პოლიციის მუშაკებს მუდმივად უნდა შეახსენონ, რომ ძალის გამოყენება უნდა ხდებოდეს მკაცრად იმ ფარგლებში, რაც აუცილებალია კონკრეტულ ვითარებაში. ხოლო მას შემდეგ, რაც დაკავებული პირი კონტროლს დაექვემდებარება, არანაირი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს პოლიციის მიერ მის მიმართ ფიზიკურ ძალის გამოყენებას (პარაგრაფი 26);

- უნდა განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები (მათ შორის თუ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებებიც) იმის უზრუნველსაყოფად, რომ დანაშაულში ბრალდებული პირი, ვის მიმართაც მიიღება გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძების შესახებ, პირადად წარსდგეს იმ მოსამართლის წინაშე, რომელიც იღებს ამ გადაწყვეტილებას (პარაგრაფი 28);

- დაკავების ბოლო ეტაპზე სასამართლოში მიყვანილი ბრალდებულის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება პოლიციის მისდამი არასათანადო მოპყრობის თაობაზე მოსამართლემ წერილობით უნდა დააფიქსიროს, დაუყოვნებლივ გასცეს განკარგულება სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ბრალდებულის განცხადებაში აღნიშნული ფაქტების გამოძიების მიზნით. ამგვარი მიდგომა უნდა განხორციელდეს მიუხედავად იმისა, აღენიშნება თუ არა ბრალდებულს სხეულის ხილული დაზიანებები. გარდა ამისა, ამგვარი განცხადების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, თუკი არსებობს სხვა საფუძველი, რაც მოსამართლეს აფიქრებინებს, რომ აღნიშნული პირი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია (პარაგრაფი 29);

- **წპკ** იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები და ციხის ექიმების მიერ ახლადშემოყვანილი პატიმრის სამედიცინო შემოწმების წერილობითი დასკვნა უნდა შეცავდეს: (i) სრულ ინფორმაციას პატიმრის სამედიცინო შემოწმებისათვის აქტუალუ-

რი პირადი კომენტარების თაობაზე (მათ შორის პატიმრის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას და ნებისმერ განცხადებას მის მიმართ არამართებული მოპყრობისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე); (ii) საფუძვლიანი გასინჯვის საფუძველზე გამოტანილ ობიექტურ დასკვნებს და (iii) ექიმის დასკვნებს (i) და (ii)-სთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იქნება, თუ რამდენად შეესაბამება პატიმრის მიერ გაკეთებული განცხადებები ობიექტური სამედიცინო შემოწმების შედეგებს. ამასთან, ყოველი სამედიცინო შემოწმების შედეგები, მათ შორის პატიმრის პირადი კომენტარების ჩანაწერი და ექიმის დასკვნები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრისა და მისი ადვოკატისათვის (პარაგრაფები 32 და34);

- ყველა სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისა და სხვა არასამედიცინო პერსონალის მოსმენისა და ვიზუალური დაკვირვების გარეშე, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ექიმი თავად ითხოვს გამონაკლისის დაშვება (პარაგრაფები 32 და34).

<u>კომენტარები</u>

- უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორებში მიყვანილი პირების სისტემატური და საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება ხორციელდებოდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ (პარაგრაფი 34).

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- უკანასკნელი 2000 და 2001 წლების მონაცემებს იმის თაობაზე, თუ:

• რამდენი საჩივარი გაკეთდა პოლიციის მუშაკების მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე და რამდენი სისხლის სამართლის/დისციპლინარული საქმე აღიძრა ამასთან დაკავშირებით;

• ინფორმაციას იმ სისხლის სამართლის/დისციპლინარული სანქციების შესახებ, რომლებიც განხორციელდა ამ საჩივრების საფუძველზე (პარაგრაფი 24);

- დეტალური ინფორმაცია პოლიციის მხრიდან არამართებული მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით საჩივრების შემოტანისა და დისციპლინარული პროცედურების შესახებ, მათ შორის იმ გარანტიების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მათ ობიექტურობას (პარაგრაფი 24);

- პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც ტარდება მაღალი რისკის მქონე, სტრესულ სიტუაციებში მომუშავე პოლიციელების ფსიქოლოგიური დახმარების მიზნით (პარაგრაფი 27);

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შესახებ ახალი კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით და ასევე ამ კანონის/კანონპროექტის ასლი (პარაგრაფი 30);

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ 2001 წლის დასაწყისიდან ქუთაისის №2 საპყრობილიდან არც ერთი საქმე არ გადაუციათ ზედამხედველი ახალმიყვანილი პატიმარების სხეულის სხვადასხვა დაზიანებებთან დაკავშირებით (პარაგრაფი 33);

- დეტალური აღწერა იმ პროცედურებისა, რომლებიც უნდა შეასრულოს სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეციალური დაცვის სამსახურმა, თუ პატიმარს ციხეში მიყვანისას აღენიშნება სხეულის დაზიანებები (პარაგრაფი 33);

- 2001 წლის მონაცემები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

• იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებსაც საპაყრობილეში მიყვანისას აღენიშნებოდათ სხეულის დაზიანებები (საპყრობილეების მითითებით);

• ამგვარი შემთხვევების აღმოჩენის, რეგისტრაციისა და შეტყობინების შემდეგ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია (პარაგრაფი 33).

3. თავისუფლებააღკვეთილ პირთა არამართებული მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ტერიტორიაზე პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირი განურჩევლად დაკავების მიზეზისა, თავისუფლების აღკვეთისთანავე (ანუ პირის პოლიციაში მიყვანის მომენტიდან) უნდა სარგებლობდეს მისი დაკავების შესახებ ახლო ნათესავის ან მის მიერ შერჩეული სხვა პირისათვის შეტყობინების უფლებით (პარაგრაფი 37);

- ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც გამონაკლისის სახით შეიძლება გარკვეული დროით შეიზღუდოს დაკავებული პირის უფლება დადგენილ ვადებში შეტყობინოს

ოჯახის წევრს, თუ სხვა მესამე მხარეს მისი დაკავების შესახებ, უნდა ნათლად ჩამოყალიბდეს კანონში შესაბამისი დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით (მაგალითად, შეტყობინების ნები-

სმიერი გადადება უნდა აღირიცხოს წერილობით, მიზეზების მითითებით და უნდა დადასტურდეს პოლიციის ხელმძღვანელი მუშაკის ან პროკურორის ხელმოწერით) (პარაგრაფი 38);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიციაში დაკავებული პირების უფლება ისარგებლონ დამცველის მომსახურებით მოქმედებდეს თავისუფლების აღკვეთისთანავე (და არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი ოფიციალურად იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად). დამცველის აყვანის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც კანონის მიხედვით ვალდებულია გამოცხადდეს ან დაჰყოს პოლიციის განყოფილებაში, მაგალითად "მოწმის" სახით(პარაგრაფი 41);

- პოლიციაში დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება თავისუფლების აღკვეთისთანავე (და არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ოფიციალურად იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად (პარაგრაფი 43);

- უნდა გამოიცეს სპეციალური ინსტრუქციები პოლიციაში დაკავებულ პირთა სამედიცინო შემოწმების უფლებით სარგებლობის თაობაზე. სხვა საკითხებთან ერთად ამ ინსტრუქციებით უნდა დადგინდეს, რომ:

• სავალდებულოა დაკმაყოფილდეს დაკავებული პირის თხოვნა ექიმის მიერ მისი გასინჯვის თაობაზე;

• პოლიციაში დაკავებულ პირს აქვს უფლება, რომ პოლიციის მიერ გამოძახებული ექიმის გარდა იგი სურვილის შემთხვევაში დამატებით შეამოწმოს მის მიერ არჩეულმა ექიმმა (თუ ამგვარი შემოწმების ხარჯებს გაიღებს თავად დაინტერესებული პირი);

• ყოველი სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს პოლიციის თანამშრომელთა მოსმენისა და ვიზუალური დაკვირვების გარეშე, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ეს ექიმის უშუალო მოთხოვნით ხდება;

• ყოველი სამედიცინო შემოწმების შედეგები, დაკავებული პირის მიერ მიცემულ ჩვენებებთან და ექიმის დასკვნებთან ერთად ოფიციალურად უნდა დაფიქსირდეს ექიმის მიერ. ამ ინფორმაციის გაცნობის საშუალება უნდა ჰქონდეთ დაკავებულ პირს და მის ადვოკატს;

• სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად უნდა იქნეს დაცული (პარაგრაფი (45);

- პოლიციაში დაკავებული ყველა პირი თავისუფლების აღკვეთისთანავე (და არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ოფიციალურად იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად) უნდა იღებდეს საინფორმაციო ფურცელს მისი უფლებების წერილობითი ჩამონათვალით. ამ ფურცლის შინაარსი უნდა ასახავდეს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულია ამ მოხსენების 37-ე, 41-ე, 43-ე და 45-ე პარაგრაფებში. დაკავებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფურცელი უნდა შედგეს რამდენიმე ენაზე. ამასთან, დაკავებულ პირებს სისტემატურად უნდა ეთხოვოს ხელის მოწერით დაადასტურონ, რომ მათ მიიღეს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ (პარაგრაფი 48);

- საქართველოს ხელისუფლებამ განავრცოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული დებულებები პოლიციაში დაკითხვის ქცევის კოდექსის შემუშავების გზით (პარაგრაფი 50).

<u>კომენტარები</u>

- პოლიციაში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვა გაძლიერდება, თუ შემოღებული იქნება საერთო, სტანდარტული და ამომწურავი სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირის შესახებ. ეს ჟურნალი უნდა ასახავდეს დაკავების ყველა ასპექტს და მასთან დაკავშირებულ ქმედებებს (მათ შორის პოლიციაში მიყვანის დროსა და მიზეზს/მიზეზებს; დაკავების შესახებ დადგენილების გამოტანის დროს; იმას, თუ როდის მოხდა დაკავებულისათვის მისი უფლებების განმარტება; ინფორმაციას სხეულის დაზიანებების, ფსიქიკური დარღვევების შესახებ და ა.შ.; ნათესავთან, ადვოკატთან, ექიმთან ან საკონსულოს თანამშრომელთან დაკავშირებასა და/ან მათ ვიზიტებს; საკვების მიღების, დაკითხვის, განთავისუფლების დროს და სხვ.) (პარაგრაფი 52);

- არამართებული მოპყრობის აღკვეთის მაქსიმალური ეფექტურობის მიზნით, პროკურორის ვიზიტი პოლიციის განყოფილებაში უნდა იყოს მოულოდნელი და დაწესებულების საკნების შემოწმების გარდა, უნდა გულისხმობდეს დაკავებულ პირთან პირისპირ შეხვედრასაც (პარაგრაფი 53).

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- დეტალური ინფორმაცია დაკავებული პირების იურიდიული მომსახურების არსებული

სისტემის შესახებ, კერძოდ, სახელმწიფო ხარჯზე ადვოკატის მოწვევის პროცედურის, მისი ანაზღაურებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე (პარაგრაფი 42);

- საქართველოს სახალხო დამცველისა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ პოლიციის დაწესებულებების შემოწმების უახლესი ანგარიშები (პარაგრაფი 54).

4. დაკავებაში ყოფნის საერთო პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა დროებითი დაკავების იზოლატორებში უზრუნველყოფილ იქნეს:

• საკნების სათანადო განათება (მათ შორის ბუნებრივი განათება) და ვენტილაცია;

• საკნებისა და სანკვანძების დამაკმაყოფილებელი ფიზიკური და ჰიგიენური მდგომარეობა და საკნების საპირფარეშოებში გამყოფი კედლის არსებობა;

• დაკავებულ პირთა მომარაგება პირადი ჰიგიენის საგნებით (საპონი, ტუალეტის ქაღალდი და სხვ.) და ხელსაბანების/საშხაპეების მოწყობა;

• ყველა დაკავებული პირისათვის სუფთა ლეიბისა და საბნის გამოყოფა;

• დაკავებული პირების უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის საკვებით კვებისათვის განსაზღვრულ დროს;

• დაკავებულ პირთა გაყვანა ჰაერზე ყოველდღე არანაკლებ ერთი საათით (პარაგრაფი 61);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააუმჯობესოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების იზოლატორებში დაკავების პირობები; კერძოდ ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

• საკნების განათება და ვენტილაცია აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს;

• ღამისთევით დაკავებულ პირებს ეძლეოდეთ სუფთა ლეიბები და საბნები;

• დაკავებულ პირებს მიეცეთ საკვები ყოველდღე კვებისათვის განსაზღვრულ დროს (პარაგრაფი 63).

<u>კომენტარები</u>

- გორის დროებითი დაკავების იზოლატორში ერთდროულად 4 დაკავებული იმყოფებოფდა 8 კვ.მ ფართის საკანში მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ბევრი სხვა საკანი ცარიელი იყო (პარაგრაფი 57);

- 4კვ.მ.-ზე ნაკლები ფართის საკნები შეიძლება გამოიყენებიდეს მხოლოდ ხანმოკლე დაკავებისთვის და არავითარ შემთხვევაში ღამის გასათევად (პარაგრაფი 62);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას განიხილოს 24 საათით ან მეტი დროით დაკავებული პირების ჰაერზე გაყვანის შესაძლებლობა დღეში არანაკლებ ერთი საათით (პარაგრაფი 63).

II. ბ. სახელმწიფო უშიშროების დროებითი დაკავების იზოლატორი

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განიხილოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს იზოლატორში დაკავებული პირების ჰაერზე გაყვანის შესაძლებლობა არანაკლებ ერთი საათით ყოველდღე (პარაგრაფი 66).

<u>კომენტარები</u>

- გარდა ამისა, **წპკ** მიიჩნევს, რომ უშიშროების სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში ადგილების რაოდენობა უნდა შემცირდეს 21-მდე, რადგანაც 11 კვ.მ. ფართის საკანი 4 დაკავებული პირისათვის ძალზედ მცირეა (პარაგრაფი 66).

II. გ. სასჯელაღსრულების დაწესებულებები

1. წინასწარი შენიშვნები

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- დეტალური ინფორმაცია ახალ ციხეში მსჯავრდებულთა გადაყვანის გეგმისა და იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც განხორციელდა ან გათვალისწინებულია მომავალში სასჯელარსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობის შემცირების მიზნით (პარაგრაფი 70).

2. არამართებული მოპყრობა

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- ინფორმაცია 2000-2001 წლებთან დაკავშირებით:

• სასჯელარსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მხრიდან არამართებულ მოპყრობაზე გაკეთებული საჩივრების რაოდენობა და ამ საჩივრების საფუძველზე აღძრული დისციპლინარული და/ან სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა;

• ზემოხსენებული საქმეების შედეგების ანგარიში (დადგენილება/განაჩენი/სანქცია) (პარაგრაფი 71);

- დამატებითი ინფორმაცია პატიმართა შორის ურთიერთდაშინების/ძალადობის აღკვეთის ღონისძებების შესახებ (პარაგრაფი 72).

3. პირობები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

<u>რეკომენდაციები</u>

- გადამჭრელი ზომები უნდა გატარდეს №5 და № 1 საპყრობილეებში, რათა:

• ცხოვრების პირობები მთავარ კორპუსში გაუმჯობესდეს და შენობის ფიზიკური მდგომარეობის, სისუფთავის, განათებისა და ვენტილაციის თვალსაზრისით პასუხობდეს იმგვარ სტანდარტებს, როგორშიც ციხის ის მსჯავრდებულები იმყოფებიან, რომლებიც სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ. ეს მოითხოვს იმ დამცავი გისოსების დემონტაჟს, რომლებიც ფარავს ციხის შენობის ფანჯრებს, ხოლო იმ განსკუთრებულ შემთხვევებში, სადაც ეს აუცილებელია, მათ შეცვლას სათანადო დიზაინის სხვა უსაფრთხოების საშუალებებით;

• ყველა პატიმარს საკმარისი რაოდენობით ეძლეოდეს პირადი ჰიგიენისა და სარეცხი საშუალებები, აგრეთვე შესაძლებლობა ჰქონდეთ გარეცხონ ტანსაცმელი და ლოგინის თეთრეული საამისოდ მოწყობილ სათავსოებში;

• პატიმრებს რეგულარულად ეძლეოდეთ სუფთა ლეიბები, საბნები და თეთრეული (პარაგრაფი 87);

- რაც შეეხება №5 საპყრობილეს:

• სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული იმისათვის, რომ ყველა პატიმარს ჰქონდეს ინდივიდუალური საწოლი;

• ეტაპობრივად მოხდეს საკანში პატიმართა რაოდენობის დასაშვებ დონემდე შემცირება. ამ მიზნით საორიენტაციო სტანდარტი უნდა იყოს 4კვ.მ. ფართი თითო პატიმარზე;

• ციხის თანამშრომლებს მიეცეთ ზუსტი ინსტრუქციები იმის თაობაზე, რომ პატიმარ ქალებს შეეძლოთ შეუფერხებლად დატოვონ საკანი დღის ნებისმიერ დროს საპირფარეშოში გასასვლელად, გარდა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე განსაკუთრებული შემთხვევებისა;

• პატიმარ ქალებს მიეცეთ საშუალება მიიღონ ცხელი შხაპი/აბაზანა კვირაში ერთხელ მაინც (პარაგრაფი 87);

- დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ზომები №1 საპყრობილეში პატიმრების უკეთ გადანაწილების მიზნით ყველა არსებულ სადგომში(პარაგრაფი 87);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა:

• მოხსენების 94-ე პარაგრაფში მოყვანილი მოსაზრებების გათვალისწინებით შეიმუშაოს სხვადასხვა საქმიანობის პროგრამები №5 და №1 საპყრობილეების პატიმრებისთვის;

• სასწრაფო ზომები მიიღოს იმისათვის, რომ №5 საპყრობილეში არასრულწლოვანი პატიმრებისათვის დაინერგოს საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობის პროგრამები ამ ასაკობრივი ჯგუფის კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ პროგრამებში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ფიზიკურ მომზადებას. ამასთან ერთად, უნდა განხილულ იქნეს არასრულწლოვანთა მიერ სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პატიმრების კორპუსში არსებული სპორტული დარბაზის გამოყენების შესაძლებლობა;

• დაისახოს გზები №5 და №1 საპყრობილეებში პატიმართა ჰაერზე გასაყვანად მოწყობილი ტერიტორიების გასაუმჯობესებლად, რათა პატიმრებს მიეცეთ ფიზიკური განტვირთვის შესაძლებლობა (პარაგრაფი 95).

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ ხდება პატიმართა განთავსება საკნებში, სადაც სხვა საკნებთან გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი (პარაგრაფი 88);

- რა კრიტერიუმებით ეძლევა ზოგიერთ პატიმარს №5 საპყრობილეში უფრო თავისუფალი გადაადგილების უფლება (პარაგრაფი 93).

4. სამედიცინო სამსახური

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების კომპლექსური პოლიტიკის შესამუშავებლად 96-ე და 97-ე პარაგრაფებში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით (პარაგრაფი 97);
- დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ზომები მე-5 საპყრობილეში:
• შეივსოს ექიმების ვაკანტური ადგილები და დაინიშნოს მთავარი ექიმი;
• მნიშვნელოვნად გაიზარდოს კბილის ექიმის მიღების საათები;
• მოინახოს შემცვლელი რენტგენოლოგი, მანამ სანამ ციხის რენტგენოლოგი არ დაუბრუნდება თავის სამუშაო ადგილს;
• გააძლიეროს დაწესებულების ექთანთა პერსონალი (პარაგრაფი 98);
- დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები №1 საპყრობილეში სამედიცინო სამსახურის გასაუმჯობესებლად ექთანთა პერსონალის გაძლიერების გზით (პარაგრაფი 99);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ფსიქიატრიული/ ფსიქოლოგიური სამსახურები №1 და №5 საპყრობილეებში (პარაგრაფი 100);
- მოხსენების 101-ე პარაგრაფში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით მიმართული იქნეს ძალისხმევა №1 და №5 საპყრობილეებში სამედიცინო სამსახურის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გადაუდებელი ზომები უნდა გატარდეს №5 საპყრობილეში სტომატოლოგიური კაბინეტისა და რენტგენის კაბინეტის სათანადო აღჭურვისა და ელექტროკარდიოგრამის აპარატის გამოცვლისათვის (პარაგრაფი 101);
- საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები მონახულებული საპყრობილეების, და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებების, სათანადო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით (პარაგრაფი 102);
- ყველა პატიმარზე უნდა იწარმოებოდეს კონფიდენციალური პირადი სამედიცინო ისტორია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სამედიცინო დიაგნოზის შესახებ და ასევე მიმდინარე ჩანაწერებს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მკურნალობაზე, საგანგებო სამედიცინო შემოწმებების ჩათვლით. პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს თავის სამედიცინო ისტორიას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ არის მიზანშეწონილი სამედიცინო თვალსაზრისით. აგრეთვე, პატიმრის თხოვნის შესაბამისად, მის ოჯახსა ან ადვოკატს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნონ მის პირად სამედიცინო ისტორიას. პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, მისი ისტორია უნდა გადაიგზავნოს მიმღები დაწესებულების სამედიცინო სამსახურში (პარაგრაფი 106);
- უნდა გატარდეს ღონისძიებები, რათა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პრაქტიკა უნდა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში 107-ე პარაგრაფში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებთან (პარაგრაფი 107);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა №5 საპყრობილეში:
• შემოიღოს პატიმრების სისტემატური სამედიცინო შემოწმება ტუბერკულოზის შემთხვევების გამოსავლენად;
• უზრუნველყოს ტუბერკულოზის პრევენციის პრეპარატებით რეგულარული მომარაგება საჭირო რაოდენობით;
• დააწესოს ტუბერკულოზის პრევენციის პრეპარატების განაწილებასა და მიღებაზე სათანადო კონტროლი; ამასთან დაკავშირებით, უნდა გაიზარდოს იმ სამედიცინო პერსონალის რაოდენობა, რომელიც ახორციელებს ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა მკურნალობზე კონტროლს;
• უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების გადანაწილება შესაბამის დაწესებულებებში მკაცრი დიაგნოსტიკური კრიტერიუმების საფუძველზე;
• უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები იმგვარი საყოფაცხოვრებო პირობებით, რაც ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. კერძოდ, საჭიროა გადაუდებელად განხორციელდეს ღონისძიებები, რათა შემცირდეს პალატებსა და საცხოვრებელ სადგომებში განთავსებულ პირთა რაოდენობა და ასევე გაუმჯობესდეს მდგომარეობა ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის თვალსაზრისით. ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაიცვან პირადი ჰიგიენის ის ნორმები, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით;
• უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები სათანადო კვების რაციონით (პარაგრაფი 112);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა პენიტენციალურ სისტემაში ტუბერკულოზის კონტროლის იმ საერთაშორისო სტანდარტების დასანერგავად, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ. ამ მიზნით, ციხის ექიმებმა უნდა გაიარონ შესაბამისი მომზადება და მათ უნდა მიეცეთ წერილობითი ინსტრუქციები ტუბერკულოზის კონტროლის სფეროში არსებული ახალი მიდგომებისა და მეოდების შესახებ (პარაგრაფი 112);

- გადაუდებლად უნდა იქნეს მიღებული ზომები საკმარისი რაოდენობის დიაგნოსტიკური საშუალებების უზრუნველსაყოფად, მათ შორის იუსტიციის სამინისტროში შექმნილი სამედიცინო კომისიისათვის, რომელიც განიხილავს გადაწყვეტილებებს პატიმრების საავადმყოფოში მოთავსების შესახებ. ეს შესაძლებელს გახდის, რომ პატიმრების მიღება საავადმყოფოში მოხდეს მკაცრი დიაგნოსტიკური კრიტერიუმების შესაბამისად და მათი ჰოსპიტალიზაცია არ გაგრძელდეს აუცილებელზე მეტ ხანს (პარაგრაფი 123);

- სერიოზული ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იმისათვის, რომ:

• საავადმყოფოში გაუმჯობესდეს პაციენტების საყოფაცხოვრებო პირობები 116-ე პარაგრაფში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით;

• გაუმჯობესდეს რენტგენის, ელექტროკარდიოგრამისა და ლაბორატორიული აღჭურვილობა;

• შესაბამისად აღიჭურვოს ქირურგიული კაბინეტი, რაც საშუალებას მისცემს მას დააკმაყოფილოს ლიცენზიის მისაღებად აუცილებელი პირობები;

• უზრუნველყოს საავადმყოფოს რეგულარული მომარაგება სათანადო მედიკამენტებითა და საშუალებებით;

• შეივსოს ექიმებისა და მედდების ვაკანტური ადგილები;

• ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები მოთავსდნენ სხვა პატიმრებისაგან განცალკევებით;

• დაინერგოს DOTS-ის სტრატეგია ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის განსახორციელებლად (პარაგრაფი 123);

- პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის ყოველი შემთხვევა აღირიცხოს ამ მიზნით შექმნილ სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში (ისევე, როგორც პაციენტის პირად სამედიცინო საქმეში). ჩანაწერში უნდა აღინიშნოს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების დაწყებისა და დამთავრების დრო, საფუძველი, საქმის გარემოებები, ექიმის გვარი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ან გასცა ნებართვა ამ მეთოდის გამოყენების თაობაზე, ასევე სხეულის ნებისმიერი დაზიანება, რომელიც პაციენტმა ან პერსონალმა მიიღო (პარაგრაფი 123).

<u>კომენტარები</u>

- როგორიც არ უნდა იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ინსტიტუციონალური მოწყობა, აუცილებელია, რომ ციხის ექიმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეყრდნობოდეს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებს და მათი მუშაობის ხარისხი და ეფექტურობა უნდა ფასდებოდეს კომპეტენტური სამედიცინო უწყების მიერ (პარაგრაფი 97);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას იზრუნოს სტომატოლოგიური სამსახურის ალტერნატიულ მოწყობაზე №1 საპყრობილეში (პარაგრაფი 99);

- 32-ე პარაგრაფში მოცემული რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება ახალშემოსული პატიმრის სამედიცინო შემოწმების ჩანაწერის შედგენის წესს, უნდა განხორციელდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ციხეში მომხდარი ძალადობის ინციდენტის შემდგომ პატიმარს უტარდება სამედიცინო შემოწმება (პარაგრაფი 105);

- ტუბერკულოზის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ყველა შესაბამისი სამინისტროსა და უწყების გაერთიანებული ძალისხმევით. ტუბერკულოზის პრობლემის არსებობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ საზოგადოებას. ამიტომაც, აუცილებელია ტუბერკულოზის გამოვლინებისა პროფილაქტიკის სათანადო მეთოდების დანერგვა, სათანადო მკურნალობის ჩატარება და იმის უზრუნველყოფა, რომ ციხეში დაწყებული მკურნალობა პატიმრის განთავისუფლების შემდეგაც გაგრძელება (პარაგრაფი 113);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გამონახოს საშუალება, რომ საავადმყოფოში დიდი ხნით მოთავსებული პაციენტებისათვის ორგანიზებულ იქნეს სხვადასხვა ტიპის საქმიანობა და გართობა (მაგ. წიგნებითა და გაზეთებით უზრუნველყოფა; რადიო/ტელევიზორი). პაციენტ ქალებს უნდა შეექმნათ შესაძლებლობა არა ნაკლებ 1 საათით ყოველდღე გავიდნენ სუფთა ჰაერზე ამისათვის შესაფერის დროს და სათანადო ფართის ეზოში. (პარაგრაფი 123).

5. წპკ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მკაფიოდ განუმარტოს როგორც ხელმძღვანელ, ისე რიგით თანამშრომლებს, რომ მიუღებელია და მკაცრად ისჯება პატიმრებისაგან არამართებული სარგებლობის მიღება ან მოთხოვნა. ეს მითითება სათანადო ფორმით პერიოდულად უნდა განმეორდეს (პარაგრაფი 126);
- საქართველოს ხელისუფლებამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს საპატიმროს პერსონალის მომზადებას და გადამზადებას. ამ პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს სასჯელაღსრულების სისტემის საერთო პოლიტიკის, პრაქტიკისა და შინაგანაწესის დაცვის აუცილებლობაზე. მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც. საპატიმროს მოხელის ერთ-ერთი უმთავრესი პროფესიული მოვალეობა პატიმრებთან ჯანსაღი და კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბება უნდა იყოს (პარაგრაფი 127);
- უნდა გადაისინჯოს ახლობლებთან პატიმრის შეხვედრის საკითხი 128-ე და 129 პარაგრაფებში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით (პარაგრაფი 129);
- უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა №5 საპყრობილეში გაიზარდოს პატიმრებთან შეხვედრებისათვის გამოყოფილი ფართი და განიხილულ იქნას შესაძლებლობა, რომ შემცირდეს ამ შეხვედრებთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები (პარაგრაფი 129);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განიხილოს №5 საპყრობილეში პატიმრების მიერ ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც, აუცილებელობის შემთხვევაში, სათანადო ზედამხედველობის ქვეშ განხორციელდება (პარაგრაფი 134);
- უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრებს, რომელთაც დაეკისრებათ დისციპლინური სასჯელი:
  - პირადად მოუსმინოს ამ სასჯელის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა, რათა მათ შეძლონ ახსნა-განმარტების მიცემა იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მათ დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა;
  - მიეცეთ შესაძლებლობა დისციპლინური სასჯელის დაკისრების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივრონ ზემდგომ ინსტანციაში (პარაგრაფი 136);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოს დისციპლინურ საკნებში მოთავსებული პატიმრების ჰაერზე გაყვანა ყოველდღე, დღეში არანაკლებ 1 საათით (პარაგრაფი 139);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მთელს პენიტენციალურ სისტემაში ყველა პატიმარს (როგორც ბრალდებულს, ისე მსჯავრდებულს) ჰქონდეს შესაძლებლობა კონფიდენციალურად მიმართოს საჩივრით კომპეტენტურ უწყებებს. თუ საჭიროა, მიღებულ იქნეს პრაქტიკული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საჩივრების გადაცემა ხდებოდეს კონფიდენციალური წესით (მაგალითად, კონვერტების დარიგება, საჩივრებისათვის დალუქული ყუთების დადგმა, რომელთაც მხოლოდ შესაბამისად უფლებამოსილი პირები გახსნიან, ა.შ.) (პარაგრაფი 142).

<u>კომენტარები</u>

- ყველა პატიმრის კორესპონდენციის შემოწმება და მისი შინაარსის დაფიქსირება სპეციალურ ჟურნალში მეტისმეტად შრომატევადია და წარმოადგენს ისედაც არასაკმარისი პერსონალის დროისა და ენერგიის ფუჭად ხარჯვას (პარაგრაფი 130).

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ ხდება თუ არა პატიმრის პირადი მიმოწერის შემოწმება მის ადვოკატთან, საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებთან, სასამართლოსთან, კომპეტენტურ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (პარაგრაფი 130);
- ინფორმაცია მკაცრი რეჟიმის პატიმრებთან ნებადართული ვიზიტების რაოდენობისა და ხანგრძლივობის, ასევე დამატებითი შეხვედრების უფლების მოსაპოვებლად არსებული კრიტერიუმების შესახებ (პარაგრაფი 131);
- ბრალდებულ პატიმართა დისციპლინარულ საკანში მოთავსების მაქსიმალურად დასაშვები ხანგრძლივობა (პარაგრაფი 135);
- დამატებითი ინფორმაცია პატიმართა მიმართ დისციპლინარული ღონისძიებების გამოყენების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ (პარაგრაფი 140);

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს საქმიანობის შედეგები და სამომავლო გეგმები (პარაგრაფი 143);

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი 143-ე პარაგრაფში სასჯელაღსრულების დაწესებულებების საქმიანობაზე კონტროლის თაობაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით (პარაგრაფი 143);

II. დ. ფსიქიატრიული დაწესებულებები

1. წინასწარი შენიშვნები

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- დეტალური ინფორმაცია ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტების ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოში გადაყვანის გეგმების თაობაზე (პარაგრაფი 145).

2. არამართებული მოპყრობა

<u>რეკომენდაციები</u>

- ფოთის საავადმყოფოს ხელმძღანელობამ უნდა განუმარტოს დაცვის სამსახურს, რომ არასათანადო მოპყრობა პაციენტებისადმი მიუღებელია და ისჯება მკაცრი სანქციებით (პარაგრაფი 147).

3. თანამშრომლები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა ფოთის მკაცრი რეჟიმის საავადმყოფოში

• თერაპიული და სარეაბილიტაციო მომსახურების გასაწევად სამუშაოზე აიყვნონ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები (ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, შრომითი თერაპიის სპეციალისტები, სოციალური სფეროს მუშაკები);

• გაიზარდოს საავადმყოფოში დასაქმებული ექთნებისა და სანიტრების რაოდენობა;

• დამატებითი კადრების აყვანით შეიცვალოს რაოდენობრივი თანაფარდობა ფსიქიატრებსა და პაციენტებს შორის;

• განხორციელდეს ექთნების სპეციალური (დაწყებითი და მიმდინარე) მომზადება ფსიქიატრიის დარგში;

• სანიტრებს ჩაუტარდეთ სათანადო მომზადება მანამ, სანამ ისინი შეუდგებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას (პარაგრაფი 149);

- სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული დეტალური წესები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მომუშავე დაცვის თანამშრომელთა ფუნქციებისა და მოვალეობების თაობაზე (პარაგრაფი 151);

- უნდა გადაიდგას ნაბიჯები დაცვის პერსონალის შერჩევისა და მათი სათანადო მომზადების საკითხების გადახედვის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება განიხილოს შესაძლებლობა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მომუშავე დაცვის თანამშრომელთა სამსახურში აყვანა და მომზადება განახორციელოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (პარაგრაფი 151);

- ფოთის საავადმყოფოს დირექციამ და ანალოგიური ტიპის სხვა ფსიქიატრიული დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უნდა გადადგან ნაბიჯები იმისათვის, რომ დაწესებულების თანამშრომელთა მუშაობაში პაციენტების მოვლასა და მკურნალობას არ ენიჭებოდეს უსფრთხოების უზრუნველყოფაზე ნაკლები მნიშვნელობა (პარაგრაფი 151);

4. პაციენტების საცხოვრებელი პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

- **წპკ** იძლევა რეკომენდაციას მიღებულ იქნას ზომები ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, 153-ე და 155-ე პარაგრაფებში გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით. უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მკურნალობისთვის შესაფერისი გარემოს შექმნა. ეს უპირველესად გულისხმობს თითოეული პაციენტის უზრუნველყოფას საკმარისი ფართით. ასევე პაციენტებს უნდა შეექმნათ უფრო მყუდრო და ოჯახური გარემო (პარაგრაფი 156);

- კერძოდ, **წპკ** იძლევა რეკომენდაციას, რომ ფოთის საავადმყოფოში გატარდეს ღონისძიებები, რათა;

• ყველა პალატაში დაცული იქნას სისუფთავე და აუცილებელი ჰიგიენური ნორმები;

• პაციენტებს ჰქონდეთ მათი პირადი ნივთების შესანახი სათავსო, რომელიც დაიკეტება;

• ხდებოდეს პაციენტების უზრუნველყოფა აუცილებელი პირადი ჰიგიენის საგნებით და იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა პაციენტს შეეძლოს არანაკლებ კვირაში ერთხელ ცხელი შხაპის მიღება;

• რეგულარულად უნდა ირეცხებოდეს პაციენტების ლოგინის თეთრეული და ტანსაცმელი;

• გადამოწმდეს იღებენ თუ არა პაციენტები საკვებს საკამარისი რაოდენობით (პარაგრაფი 156);.

- იმ შემთხვევაში, თუ საავადმყოფო გააგრძელებს ფუნქციონირებას მომავალში, კაპიტალურად უნდა გარემონტდეს ყველა პაციენტის პალატა და სათანადოდ აღიჭურვოს საავადმყოფოს სამზარეულო(პარაგრაფი 153);

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით (პარაგრაფი 153);

5. მკურნალობა და რეჟიმი

<u>რეკომენდაციები</u>

- **წპკ** იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკვე ახლა დაიწყოს ზრუნვა ფოთის საავადმყოფოში თერაპიული და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად; ამ მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს საავადმყოფოს ბაღის გამოყენება შრომითი თერაპიის მიზნით.

- უნდა გაუმჯობესდეს პოთის საავადმყოფოში პაციენტების ჰაერზე ყოფნის პირობები (პარაგრაფი 161);

- საავადმყოფოში მიყვანისას და შემდგომში რეგულარულად უნდა ხდებოდეს პაციენტების აწონვა(პარაგრაფი 162);

- ფოთის საავადმყოფოში დაინერგოს ყველა ახალმიყვანილი პაციენტის სისტემატური შემოწმება ტუბერკულოზით დაავადების გამოვლენის მიზნით (პარაგრაფი 162).

<u>კომენტარები</u>

- უნდა გატარდეს ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად პაციენტების სპეციალიზირებული მკურნალობის, მათ შორის კბილების მკურნალობის თვალსაზრისით (პარაგრაფი 162);

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი მკურნალობის სტანდარტული სქემების თაობაზე (რომლებზეც საუბარი იყო 157 პარაგრაფში) და მათი ასლები (პარაგრაფი 157).

6. პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა

<u>რეკომენდაციები</u>

- უნდა შემუშავდეს დეტალური ინსტრუქციები ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შესახებ. ამგვარ სახელმძღვანელო ინსტრუქციებში ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ აგრესიული ქცევის შეკავების პირველი მცდელობები შეძლებისდაგვარად უნდა გამორიცხავდეს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას (მაგ. სიტყვიერი დაყოლიება) და თუ აუცილებელი გახდა ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენება, იგი უნდა პრაქტიკულად შემოიფარგლოს პაციენტის ხელით

გაკავებით. ფიზიკური შეზღუდვის სხვა მეთოდების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და პაციენტი უნდა განთავისუფლდეს პირველი შესაძლებლობისთანავე. დაუშვებელია ფიზიკური შეზრუდვის გამოყენება, ან მისი საჭიროზე მეტ ხანს გამოყენება, პაციენტის დასჯის ან დაშინების მიზნით (პარაგრაფი 166);

- პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის ყოველი ცალკეული შემთხვევა უნდა დაფიქსირდეს ამ მიზნით შექმნილ საგანგებო აღრიცხვის ჟურნალში (პაციენტის სამედიცინო ისტორიის გარდა). ჩანაწერი უნდა აჩვენებდეს ამ ღომისძიების დაწყებისა და დასრულების დროს, კონკრეტულ გარემოებებს, ამ მეთოდის გამოყენების მიზეზებს, შესაბამისი განკარგულების ან ნებართვის გამცემი ექიმის გვარს, და ინფორმაციას პაციენტის ან საავადმყოფოს პერსონალის მიერ მიღებული ყველა ტრავმისა თუ სხვა დაზიანების შესახებ (პარაგრაფი 166);

<u>კომენტარები</u>

- აღგზნებული და/ან საშიში პაციენტების ფიზიკურ შეზღუდვაზე პასუხისმგებლი მხარე არის მედპერსონალი. ასეთ შემთხვევებში დაცვის თანამშრომელთა დახმარება უნდა მოხდეს მხოლოდ სამედიცინო პერსონალის თხოვნით და მათ მიერ გაცემული ინსტრუქციებს შესაბამისად. (პარაგრაფი 166).

7. იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების უფლებების დაცვის გარანტიები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ზედამხედველ პროკურორთან და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან პაციენტების მიერ გაკეთებულ საჩივართა კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, პაციენტებს სისტემატურად უნდა მიეწოდებოდეთ ინფორმაცია, რომ მათ აქვთ კონფიდენციალური საჩივრის შეტანის შესაძლებლობა (პარაგრაფი 170);
- უნდა შეიქმნას სპეციალური ბროშურა, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია საავადმყოფოს შინაგანაწესისა და პაციენტების უფლებების შესახებ. ასეთი ბროშურა უნდა დაურიგდეს ყველა პაციენტს და ასევე მათ ოჯახებს. იმ პაციენტებს, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გაეცნონ ბროშურას, უნდა გაეწიოთ შესაბამისი დახმარება (პარაგრაფი 170).

<u>მოთხოვნა ინფორმაციაზე</u>

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი ზოგიერთი პაციენტის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მათ არ აცნობდნენ კომისიის დასკვნას (პარაგრაფი 169);
- განმარტება იმის თაობაზე აქვს თუ არა პაციენტს და მის ადვოკატს შესაძლებლობა გაეცნოს პაციენტის სამედიცინო ისტორიას (პარაგრაფი 169);
- საქართველოს ხელისუფლების მოსაზრებები პაციენტების გარე სამყაროსთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობების თაობაზე (პარაგრაფი 171);
- ფოთის საავადმყოფოს ზედამხედველი პროკურორის მიერ 2000, 2001 წლებში ჩატარებული შემოწმების ანგარიშების ასლები (პარაგრაფი 172);
- ხდება თუ არა ფოთის საავადმყოფოს შემოწმება პაციენტებზე მზრუნველობის კონტროლზე პასუხისმგებელი სხვა რომელიმე გარე უწყების მიერ (პარაგრაფი 172);
- დამატებითი ინფორმაცია ფსიქიატრიის სფეროში ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, კერძოდ კი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონში და პაციენტთა უფლებების შესახებ კანონში ცვლილებების თაობაზე და შესაბამისი დოკუმენტების ასლები (პარაგრაფი 173).

II. ე. დაკავების ადგილები სამხედრო ნაწილებში

<u>რეკომენდაციები</u>

- **წპკ** იძლევა რეკომენდაციას, რომ სასწრაფოდ განხორციელდეს ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქუთაისის გარნიზონის დისციპლინარულ ნაწილში (ჰაუპტვახტში)
  - გაუმჯობესდეს მდგომარეობა დღის შუქის, ვენტილაციისა და ხელოვნური განათების თვალსაზრისით;
  - გაუმჯობესდეს ფიზიკური და ჰიგიენური მდგომარეობა საკნებსა და საერთო სარგებლობის ტუალეტებში:
  - ყველა საკანში დაიდგას საწოლები და დაკავებული პირები ღამით უზრუნველყოფილ იქნენ ლეიბებითა და საბნებით; აუცილებლობის შემთხვევაში არსებულ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს სათანადო შესწორებები და დამატებები;
  - დაკავებულ სამხედრო ვალდებულებს მიეცეთ შესაძლებლობა კვირაში ერთხელ მაინც მიიღონ ცხელი შხაპი;
  - ყველა სამხედროს, მათ შორის ჰაუპტვახტში აღკვეთის ღონისძიების სახით მოთავსებულ პირებს, უნდა ეძლეოდეთ დღეში არანაკლებ ერთი საათით ჰაერზე გასვლის საშუალება (პარაგრაფი 177);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს სპეციალური დირექტივები ჰაუპტვახტში მოთავსების შესახებ. ამ დირექტივებმა სხვა საკითხებთან ერთად უნდა განსაზღვროს სავალდებულო პროცედურები (მათ შორის, გადაცდომის თაობაზე ჯარისკაცთან გასაუბრება და მისი ახსნა-განმარტების მოსმენა, კონკრეტული ბრალდების შესახებ წერილობითი განაცხადის გაკეთება და დაკისრებული სანქციის გასაჩივრების უფლება); დაკავების ზღვრული ვადა, რეჟიმი, და სხვა (პარაგრაფი 179).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- სამხედრო სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში არ არის დადგენილი ჰაუპტვახტში მოთავსების დასაშვები მაქსიმალური ვადა. **წპკ**-ს სურს მიიღოს განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით (პარაგრაფი 174).

დანართი **II**
სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო
და საერთაშორისო ორგანიზაციების სია,
რომლებთანაც დელეგაციამ გამართა კონსულტაციები

<u>ა. სახელმწიფო უწყებები</u>

<u>იუსტიციის სამინისტრო</u>

ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი — მინისტრი
ბ-ნი გიორგი წკრიალაშვილი — საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი მერაბ რაფავა — შიდასაუწყებო კონტროლის ბიუროს უფროსი (გენერალური ინსპექტორის სამსახური)
ბ-ნი დავით ასათიანი — აუდიტის ჯგუფის უფროსი, შიდასაუწყებო კონტროლის ბიურო
ქ-ნი მაკა ბულეიშვილი — სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი პაატა ზაქარეიშვილი — პენიტენციალური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში)
ბ-ნი ვანო ლეჟავა — პენიტენციალური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (უშიშროების საკითხებში)
ბ-ნი ზაზა ხითარიშვილი — პენიტენციალური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (რეჟიმისა და ოპერატიულ საკითხებში)

<u>შინაგან საქმეთა სამინიტრო</u>

ბ-ნი კახა თარგამაძე — მინისტრი
ბ-ნი ავთანდილ ჩხეიძე — მინისტრის პირველი მოადგილე
ბ-ნი ნუგზარ გაბრიჩიძე — გენერალური ინსპექციის უფროსი
ბ-ნი ედუარდ გენძეხაძე — აპარატის უფროსი
ბ-ნი დავით ღლონტი — საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი

<u>სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო</u>

ბ-ნი ნუგზარ ბაბუციძე — მინისტრის მოადგილე
ბ-ნი ბიჭიკო ლეჟავა — აპარატის უფროსი
ბ-ნი რომან კორკოტაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

<u>თავდაცვის სამინისტრო</u>

ბ-ნი გელა ბეჟუაშვილი — მინისტრის მოადგილე

<u>შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო</u>

ქ-ნი მარინა ღუდუშაური — მინისტრის მოადგილე
ბ-ნი თამაზ სილაგაძე — მთავარი ფსიქიატრი

<u>გენერალური პროკურატურა</u>

ბ-ნი გია მეფარიშვილი — გენერალური პროკურორი
ბ-ნი შოთა ასათიანი — გენერალური პროკურორის მოადგილე
ბ-ნი თემურ მონიავა — გენერალური პროკურორის მოადგილე სამძებრო საკითხებში
ბ-ნი ალექსანდრე კობერიძე — სახელმწიფო ბრალდების განყოფილების უფროსი
ბ-ნი გოდერძი დიმიტრაშვილი — პოლიციაზე ზედამხედველობისა და კანონიერების დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე
ბ-ნი ბესიკ ჭელიძე — შინაგან საქმეთა სამინისტროს

საზედამხედველო დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი ირაკლი წიკლაური — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი
ქ-ნი ნელი ნადირაშვილი — საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი

<u>სამხედრო პროკურატურა</u>
ბ-ნი ბადრი ბიწაძე — მთავარი სამხედრო პროკურორი

<u>სახალხო დამცველის ოფისი</u>
ქ-ნი ნანა დევდარიანი — სახალხო დამცველი

<u>ეროვნული უშიშროების საბჭო</u>
ქ-ნი რუსუდან ბერიძე — მდივნის მოადგილე

<u>პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი</u>
ბ-ნი კონსტანტინე კემულარია — თავმჯდომარის მოადგილე

<u>ბ. არასამთავრობო ორგანიზაციები</u>
“კონსტიტუციის 42-ე მუხლი”
ფსიქიატრიულ პაციენტთა დაცვის ასოციაცია
ასოციაცია “სამართალი და თავისუფლება”
ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი
ყოფილი პოლიტიკური პატიმარები ადამიანის უფლებათა დასაცავად
საქართველოს ფსიქიატრთა ასოციაცია
საქართველოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი
ფსიქიატრიულ პაციენტთა ფსიქო-სარეაბილიტაციო ცენტრი “ემპათია”

<u>გ. საერთაშორისო ორგანიზაციები</u>
საერთაშარისო წითელი ჯვრის კომიტეტის დელეგაცია თბილისში

ანგარიში
საქართველოს ხელისუფლებას
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (წპკ) საქართველოში ვიზიტის შესახებ

2003 წლის 18-28 ნოემბერი და
2004 წლის 7-14 მაისი

ანგარიში ქვეყნდება საქართველოს ხელისუფლების თხოვნით

სტრასბურგი, 2005 წლის 30 ივნისი

წპკ-ს ანგარიშის გადაცემის წერილი **76**

I. შესავალი **77**
ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა. **77**
ბ. მონახულებული დაწესებულებები. **77**
გ. ვიზიტის კონტექსტი, დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და გაწეული თანამშრომლობა **78**
დ. დელეგაციის მიერ გამოვლენილი ფაქტები, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებენ კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად **79**

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები.. ..... **81**
ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები. **81**
1. წინასწარი შენიშვნები 81
2. წამება და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა.. 82
3. დაცვის გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ 85
ა. შესავალი. 85
ბ. დაკავების/თავისუფლების აღკვეთის შესახებ შეტყობინება 86
გ. ადვოკატის ხელმისაწვდომობა. 86
დ. ექიმის ხელმისაწვდომობა. 87
ე. ინფორმაცია უფლებების შესახებ 88
ვ. პოლიციაში დაკითხვების წარმოება 88
ზ. პატიმრობის ჟურნალი 88
4. დაკავების პირობები.. 89
ა. შესავალი.. 89
ბ. დროებითი მოთავსების იზოლატორები. 89
გ. შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილებების საკნები 91
დ. ადმინისტრაციული პატიმრობისა და გამოსაფხიზლებელი დაწესებულება, ბათუმი. 92
ბ. უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები.. ..... **92**
გ. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები. **92**
1. წინასწარი შენიშვნები.. ..... **92**
2. არასათანადო მოპყრობა **94**
3. დაკავების პირობები.. ..... **95**
ა. თბილისის №5 საპყრობილე. 95
ბ. ბათუმის №3 საპყრობილე.. 98
გ. თბილისის №5 ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულება 99
I. საყოფაცხოვრებო პირობები 99
II. აქტივობათა რეჟიმი. 100
დ. ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულება.. 100
I. საყოფაცხოვრებო პირობები 101
II. აქტივობათა რეჟიმი.. 101
ე. რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება.. 102
I. მატერიალური პირობები 102
II. აქტივობათა რეჟიმი.. 103
4. ჯანდაცვის სამსახურები. 104
ა. ჯანდაცვის სამსახურები მონახულებულ დაწესებულებებში.. 104
I. პერსონალი და ინფრასტრუქტურა. 104
II. სამედიცინო შემოწმება მიღებისას 106
III. სამედიცინო ჩანაწერები და კონფიდენციალურობა 107
IV. ტუბერკულოზი 107
ბ. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, თბილისი 108
5. **წპკ-ს კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხები** **110**
ა. ციხის პერსონალი **110**
ბ. პაემნები **111**
გ. დისციპლინა **112**
დ. საჩივრები და ინსპექციის პროცედურები **113**

III. შეჯამება და დასკვნა.. ..... **114**
დანართი I:
წპკ-ს რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოთხოვნილ ინფორმაციათა ჩამონათვალი **119**
დანართი II:
ჩამონათვალი სახელისუფლო სტრუქტურების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანზაციებისა, რომელთანაც წპკ-ს დელეგაციამ გამართა კონსულტაციები **126**

წპკ-ს ანგარიშის გადაცემის წერილის ასლი

სტრასბურგი, 2004 წლის 26 ივლისი

ძვირფასო ელჩო,

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე წერილს თან ერთვის წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (**წპკ**) ანგარიში საქართველოს ხელისუფლებისათვის, 2003 წლის 18-28 ნოემბერსა და 2004 წლის 7-14 მაისს საქართველოში კომიტეტის ვიზიტის შესახებ. **წპკ**-მ ანგარიში 2004 წლის 28 ივნის-2 ივლისს გამართულ 54-ე სხდომაზე მიიღო.

ვისურვებდი, თქვენი ყურადღება მიმეპყრო წინამდებარე ანგარიშის 163-ე პუნქტზე, რომლის მიხედვით **წპკ** სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, **ექვსი თვის** განმავლობაში წარუდგინოს პასუხი მოცემული ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კომიტეტი მადლობელი იქნება, თუ შეძლებთ, რომ პასუხის ქართულ ენაზე გადაგზავნის შემთხვევაში, მას თან დაურთოთ ტექსტის ინგლისური ან ფრანგული თარგმანები. ასევე, მოხარული ვიქნებოდით, თუ საქართველოს ხელისუფლება პასუხის ასლს ელექტრონული ფორმით მოგვაწვდიდა.

თქვენს განკარგულებაში მიგულეთ, თუ რაიმე კითხვა გექნებათ **წპკ**-ს ანგარიშთან ან შემდგომ პროცედურებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,
სილვია კასალე
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების
შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის
პრევენციის ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი

ქალბატონ ლანა ღოღობერიძეს
ელჩს
საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს ევროპის საბჭოში
ზალცმანის ქ. 3
67000 სტრასბურგი.

ასლი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

I. შესავალი

ა. <u>ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა</u>

1. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (შემდგომში მოიხსენიება, როგორც ,,კონვენცია") მე-7 მუხლის შესაბამისად, **წპკ**-ს დელეგაცია საქართველოში იმყოფებოდა 2003 წლის 18-28 ნოემბერს და 2004 წლის 7-14 მაისს.

2003 წლის ნოემბრის ვიზიტი საქართველოში კომიტეტის უკვე მეორე ვიზიტია და წარმოადგენს **წპკ**-ს 2003 წლის პერიოდული ვიზიტების პროგრამის ნაწილს, თუმცა ქვეყანაში 2003 წლის ნოემბერში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, **წპკ**-ს დელეგაციას არ მიეცა საშუალება, დაესრულებინა თავისი პროგრამა, კერძოდ - ვერ შეძლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩასვლა. შესაბამისად, ვიზიტი გაგრძელდა 2004 წლის მაისში და მისი მთავარი მიზანი იყო დაკავებულ პირთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის შესწავლა აჭარაში.

2. ვიზიტში მონაწილეობდნენ **წპკ**-ს შემდეგი წევრები:
– ინგრიდ ლაიკ ელინგსენი, დელეგაციის ხელმძღვანელი (ვიზიტის ორივე ნაწილი)

– ჟდენეკ ჰაიეკი (ვიზიტის 1-ელი ნაწილი)

– მარკ ნევე (ვიზიტის ორივე ნაწილი)

– ჟან-პიერ რესტელინი (ვიზიტის ორივე ნაწილი)

– ვოლოდიმირ იევინტოვი (ვიზიტის 1-ელი ნაწილი)

მათ თან ახლდნენ **წპკ**-ს სამდივნოს შემდეგი წარმომადგენლები:
– პეტია ნესტოროვა (ვიზიტის ორივე ნაწილი)

– ბორის ვოდსი (ვიზიტის 1-ელი ნაწილი)

ასევე:
– ვლოძიმერ მარკიევიჩი (პოზნანის უნივერსიტეტის ლექტორი, პოლონეთის ციხეების ადმინისტრაციის ყოფილი გენერალური დირექტორი (ვიზიტის ორივე ნაწილი)
– ბადენ ჰენრი სკიტი (სისხლის სამართლის საქმეთა გადახედვის კომისიის წევრი, დიდი ბრიტანეთი), ექსპერტი (ვიზიტის 1-ელი ნაწილი)

– თინა ჩხეიძე (თარჯიმანი) (ვიზიტის 1-ელი ნაწილი)

– ნინო ღუდუშაური (თარჯიმანი) (ვიზიტის ორივე ნაწილი)

– თინათინ გელეყვა (თარჯიმანი) (ვიზიტის ორივე ნაწილი)

– თინათინ ხარჭილავა (თარჯიმანი) (ვიზიტის 1-ელი ნაწილი)

– თამარ მიქაძე (თარჯიმანი) (ვიზიტის 1-ელი ნაწილი)

ბ. <u>მონახულებული დაწესებულებები</u>

3. დელეგაციამ მოინახულა პატიმრობის შემდეგი ადგილები:
შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები

თბილისი
– შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორი, თბილისი[14]*****
– შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორი, თბილისი*

14 "*" განმეორებითი ვიზიტი

– შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება, თბილისი*
– შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება, თბილისი
– შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება, თბილისი*
– შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება, თბილისი*

რუსთავი
– შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორი, რუსთავი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
– შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორი, ბათუმი
– შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორი, ბათუმი;
– ადმინისტრაციული პატიმრობისა და გამოსაფხიზლებელი დაწესებულება, ბათუმი;
– შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-5 რაიონული განყოფილება, ბათუმი;
– შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-8 რაიონული განყოფილება, ბათუმი;
– შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველო, ქედა.

უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები
– უშიშროების სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორი, ბათუმი
იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები
– №5 საპყრობილე, თბილისი*
– №3 საპყრობილე, ბათუმი
– №5 ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულება, თბილისი
– არასრულწლოვანთა დაწესებულება, ავჭალა
– №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება, რუსთავი
– ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, თბილისი*

<u>გ. ვიზიტის კონტექსტი, დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და გაწეული თანამშრომლობა</u>

4. აღსანიშნავია, რომ საქართველოში **წპკ**-ს პერიოდული ვიზიტის ორივე ნაწილი დაემთხვა ქვეყანაში განვითარებულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს. მიუხედავად აღნიშნული გარდაუვალი გართულებებისა, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულმა კონსულტაციებმა მჭიდრო თანამშრომლობის სულისკვეთებით ჩაიარა. ასევე, **წპკ**-სთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიები გაიმართა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, შეხვედრები გაიმართა მონახულებული დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებთან.

ეროვნული ხელისუფლების ორგანოების, სხვა სტრუქტურებისა და ორგანიზაციების სია, რომლებმაც ვიზიტის დროს შეხვედრები გაიმართა, ხელმისაწვდომია ქვემდებარე ანგარიშის II დანართში.

5. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დაწყებიდან, **წპკ** მალევე იქნა გაფრთხილებული შესაძლო გართულებების შესახებ: 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ განვითარდა პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც თან ახლდა ყოველდღიური დემონსტრაციები. მიუხედავად ამისა, დელეგაციამ გადაწყვიტა ვიზიტის გაგრძელება, რაც დაემთხვა 23 ნოემბერს, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას. მოვლენების შესაბამისად და საქართველოს ხელისუფლების რჩევის გათვალისწინებით, დელეგაციას მოუწია ვიზიტის დღის წესრიგის შეცვლა, კერძოდ, თბილისს გარეთ – მგზავრობასთან დაკავშირებით.

2003 წლის ნომბერში ვიზიტისას, **წპკ**-ს დელეგაცია შეხვდა იუსტიციის მოქმედ მინისტრს – გიორგი წკრიალაშვილს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრს – ამირან გამყრელიძეს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოადგილეს – კახა სიხარულიძეს, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს – რუსუდან ბერიძეს, გენერალური პროკურორის მოადგილეს – ვენედი ბენიძესა და გენერალური პროკურორის მადგილეს – გიორგი თვალავაძეს. დელეგაცია, ასევე შეხვდა იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროებისა და გენერალური პროკურატურის სხვა მაღალჩინოსნებს.

6. 2004 წლის მაისში, ვიზიტის განახლებისთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ **წპკ** ჩააყენა საქმის კურსში – აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური და უშიშროების კუთხით კრიტიკული ვითარების შესახებ, დელეგაციამ გადაწყვიტა ვიზიტის გაგრძელება და ჩავ-

იდა ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის ასლან აბაშიძის, 2004 წლის 6 მაისის გადადგომისა და პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის დაწესების მეორე დღეს.

2004 წლის მაისში ვიზიტის გაგრძელებამ, **წპკ**-ს დელეგაციას მისცა შესაძლებლობა, საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან დეტალურად განეხილა მოპოვებული ინფორმაცია და შესაბამისი მოსაზრებები. **წპკ** მადლობას უხდის შეხვდრებისთვის იუსტიციის მინისტრს – გიორგი პაპუაშვილს, გენერალური პროკურორის მოადგილეს – კახა კობერიძესა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელს – დავით ჯინჯოლავას. დელეგაცია, ასევე შეხვდა სახალხო დამცველის მოვალობის შემსრულებელს – თემურ ლომსაძეს.

წპკ მადლობას უხდის საქართველოს ხელისუფლების მიერ დანიშნულ საკონტაქტო პირებს მათი ძალისხმევისთვის, მოეწყოთ დელეგაციის მიერ მოთხოვილი შეხვედრები და კომიტეტის ვიზიტის შესახებ ინფორმაცია გადაეცათ შესაბამისი უწყებებისთვის.

7. როგორც საქართველოში 2001 წლის ვიზიტის დროს, პატიმრობის დაწესებულებების პერსონალის მხრიდან გაწეული თანამშრომლობა, ზოგადად, ძალიან კარგი იყო. ერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, დელეგაციის წევრებმა დაყოვნების გარეშე შეძლეს მონახულებულ დაწესებულებებში შესვლა (მათი, ჩათვლით, რომელთა ხელმძღვანელობაც არ იყო ინფორმირებული ვიზიტის შესახებ). გარდა ამისა, დელეგაცია უზრუნველყოფილი იყო მისი საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციითა და შეძლო პირისპირ გასაუბრებოდა თავისუფლებააღკვეთილ პირებს.

ზემოაღნიშნული გამონაკლისი შეეხებოდა აჭარაში, ქედის შინაგან საქმეთა სამართველოს, რომელსაც დელეგაცია ეწვია 2004 წლის 11 მაისს, შუადღეს. მიუხედავად იუსტიციის მინისტრის მიერ ხელმოწერილი რწმუნებების წარდგენისა, მორიგე თანამშრომელმა უარი განაცხადა დაწესებულების საკნებში დელეგაციის წევრების შეშვებაზე იმ მიზეზით, რომ მას სჭირდებოდა მისი უშუალო ზემდგომი პირების სპეციალური ნებართვა. თუმცა, მან არ გადადგა რაიმე ნაბიჯი თავის ზემდგომ პირებთან დასაკონტაქტებლად და დელეგაციას მოუწია თბილისში, შინაგან საქმეთა სამონისტროს საკონტაქტო პირთან ტელეფონით დაკავშირება. საკონტაქტო პირის ჩარევის შემდეგ, დელეგაციას მიეცა საკნებში შესვლის უფლება იმ დროს, როდესაც ქედის შინაგან საქმეთა სამმართველოში დელეგაციის მისვლიდან უკვე 50 წუთი იყო გასული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დაწესებულების მორიგე თანამშრომელი და გამომძიებელი, ორივე არასწორ ინფორმაციას აწვდიდა დელეგაციას საკნების გამოყენების შესახებ და ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა პატიმრობის ჩანაწერთა ჟურნალი (ასეთი ჟურნალი მოგვიანებით იყო წარდგენილი).

ზემოხსენებულის მსგავსი შემთხვევები ცალსახად არ მოდის კონვენციის მე-3 მუხლში გაწერილ თანამშრომლობის პრინციპთან თავსებადობაში. **წპკ**-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს, რათა უზრუნველყოს, რომ სამომავლო ვიზიტების დროს მსგასი ფაქტები აღარ განმეორდება.

8. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციას არ მიეწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებათა სრული და განახლებული ჩამონათვალი. მაგალითად, აჭარის ტერიტორიაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესეუბლებათა სია შეიცავდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორს; შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების დაწესესულებები, ასევე - ადმინისიტრაციული დაკავების დაწესებულება, არ იყო ჩამონათვალში. ამასთან დაკავშირებით, **წპკ**-ს სურს მოიყვანოს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, "ხელშემკვრელმა მხარემ უნდა მიაწოდოს კომიტეტს სრული ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც იმყოფებიან თავისუფლებაათკვეთილი პირები". კომიტეტი იმდოვნებს, რომ სამომავლოდ იგი უზრუნველყოფილი იქნება იმ დაწესებულებების სრული სიით, სადაც შეიძლება იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თავისუფლებააღკვეთილი პირები.

დ. დელეგაციის მიერ გამოვლენილი ფაქტები, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებენ კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

9. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დასასრულს, წპ-ს დელეგაცია შეხვდა იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს და გააცნო ვიზიტის დროს გამოვლენილი მთავარი ფაქტები. შეხვედრისას, კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დელეგაციამ ასევ წარადგინა თავისი მყისიერი შენიშვნები და მოსაზრებები რამდენიმე განსაკუთრებით სასწრაფო საკითხთან დაკავშირებით.

10. პირველი მყისიერი შენიშვნა ეხებოდა რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებას, სადაც შემაძრწუნებელი პირობები იყო. დაწესებულებაში არსებული პირობების გათვალისწინებით, მისი ფუნქციონირება უნდა შეწყდეს; თუმცა, სასჯელაღსრულების დაწესებულების დახურვას, სადაც იმყოფება 800 პატიმარი, დასჭირდება გარკვეული დრო. შესაბამისად, დელეგაციამ საქართველოს ხელისუფლებისგან მოიხოვა სამუშაო გეგმის შემუშავება, რათა შეიცვალოს რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ადგილმდებარეობა.

11. დელეგაციამ ასევე წარადგინა სამი შენიშვნა, რომელიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს, თბილისის №5 საპყრობილესთან დაკავშირებით და მოითხოვა საქართველოს ხელისუფლებისაგან შემდეგი:

i. ქალ და ავადმყოფ პატიმართათვის გათვალისწინებული შენობიდან (სადაც სიცოცხლისათვის საშიში პირობებია) ყველა პატიმრის გადაყვანა სხვა, მეტად უსაფრთხო შენობაში;

ii. პატიმრობის მთავარი შენობის სარდაფში მდებარე ყველა საკნის დალუქვა და მათი გამოყენების აკრძალვა (სამარტოო საკნებისა და "კარცერის" ჩათვლით);

iii. საკარანტინე განყოფილებასა და დისციპლინურ სამარტოო საკნებში მოთავსებული პატიმრებისათვის ჰაერზე ყოვლდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უზრუნველყოფა დღეში არანაკლებ ერთი საათით.

მოცემული შენიშვნებიდან უკანასკნელი ეხება საქართველოში არსებულ ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებას, იქიდან გამომდინარე, რომ სხვა დაწესეულებებშიც დისციპლინური დარღვევისათვის სამართოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს აქ ჰქონდათ შესაძლებლობა ესრგებლათ გაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებით. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა გაიცეს შესაბამისი ინსტრუქტიციები.

12. ზემოაღნიშნული გადაუდებელი შენიშვნები ასევე დადასტურდა **წპკ**-ს დელეგაციის მიერ 2003 დეკემბერს გაგზავნილ წერილში. კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ ანგარიშის წარდგენა სამი თვის განმავლობაში.

2004 წლის 30 მარტით დათარიღებული წერილით, საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს იმ ზომების შესახებ, რომელნიც მიღებულ იქნა 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის გადაუდებელი შენიშვნების საფუძველზე. ეს ზომები შეფასებული იქნება ქვემდებარე ანგარიშში. თუმცა, წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ თბილისის №5 საპყრობილესთან დაკავშირებით დელეგაციის შენიშვნების საპასუხოდ, არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა. შესაბამისად, დელეგაციამ გადაწყვიტა, კვლავ სწვეოდა აღნიშნულ დაწესებულებას 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს.

13. 2004 მაისს თბილისის №5 საპყრობილეში ნანახი ვითარება საგანგაშო იყო. დაწესებულებაში, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბერში იყო საკმაოდ გადატვირთული, გადატვირთულობის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავებული იყო - პატიმართა უმრავლესობას მორიგეობით ეძინა. ციხეში პატიმართა რაოდენობის ზრდის გამო, ციხის მთავარი შენობის სარდაფში განლაგებული საკნები (რომელთა გამოყენებაც შეწყდა **წპკ**-ს 2001 წლის ვიზიტის შემდეგ) კვლავ გამოიყენებოდა. გარდა ამისა, ქალი და ავადმყოფი პატიმრები ისევ იყვნენ მოთავსებულნი სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში. გადატვირთულობის გამო, თანამშრომელთა და პატიმართა თანაფარდობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. შედეგად, რეჟიმით გათვალისწინებული აქტივობები მკვეთრად იყო შემცირებული და პატიმრებს არ ეძლეოდათ საშუალება ესარგებლად ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებითაც კი.

ზემოხსენებული სიტუაციიდან გამომდინარე, დელეგაციამ კვლავ წარადგინა 2003 წლის ვიზიტისას თბილისის №5 საპყრობილესთან დაკავშირებით გამოთქმული გადაუდებელი შენიშვნები. გარდა ამისა, დელეგაციამ მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები იმისათვის რომ:

i. არასრულწლოვანი პატიმრები გადაყვანილ იქნენ სათანადო პირობებითა და აქტივობათა დღის წესრიგით უზრუნველყოფილ დაწესებულებაში;

ii. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პერსონალთან დაკავშირებული ვითარება და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი რაოდენობის თანამშრომელთა დასაქმება დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის;

2004 წლის 24 მაისის წერილის საფუძველზე, **წპკ**-მ მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამ უკანასკნელმა ერთი თვის განმავლობაში წარადგინოს თბილისის №5 საპყრობილესთან დაკავშირებით გადაუდებელი შენიშვნების საპასუხოდ დაგეგმილი ან უკვე გადადგმული ნაბიჯების კონკრეტული გეგმა და მისი განხორციელების ვადები.

2004 წლის 24 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პასუხი გაუგზავნა კომიტეტს. კომიტეტის გადაუდებელ შენიშვნებთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა, პასუხი შეიცავდა

საქართველოს პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის დეტალებს. **წპკ** მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას დროული პასუხისათვის და განიხილავს მოწოდებულ ინფორმაციას მოცეულ ანგარიშში.

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები

ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები

1. წინასწარი შენიშვნები

14. სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა თავისუფლების აღკვთის რეგულაციის სამართლებრივი ჩარჩოები შეჯამდა საქართველოში 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში (იხ. 16-ე პუნქტი, CPT/Inf (2002)14). სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკავება სამართალდამცავი ორგნოების მიერ შეიძლება მაქსიმუმ 72 საათით. დაკავების პერიოდის გახანგრძლივებისათვის აუცილებელია მოსამართლის გადაწყვეტილება, პროცედურული პრევენციული ზომებიდან გამომდინარე, პირისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. პატიმრობაშეფარდებული პირები გადაჰყავთ იუსტიციის სამინისტროს წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში.

2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, **წპკ**-მ გამოხატა შეშფოთება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გათვალისწინებით არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს პოლიციის მიერ პირის 12 საათით დაკავების უფლებას ბრალის წაყენებამდე; აღნიშნული კი გულისმობდა, რომ კანონი იძლეოდა პოლიციის მიერ პირის დაკავებას უფლებას 72 საათზე მეტი დროით. 2003 წლის იანვარში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ზემოხსენებული ნორმა; შედეგად, სსსკ-ში შევიდა ცვლილებები, რომლებმაც განსაზღვრეს, რომ პირი ითვლება ბრალდებულად პოლიციის მიერ მისი დაკავების მომენტიდანვე და იგი სარგებლობს აღიშნული სტატუსისთვის მინიჭებული ყველა უფლებით. თუმცა, მეორე პერიოდული ვიზიტისას დელეგაციამ შენიშნა, რომ პოლიციის ბევრმა თანამშრომელმა არ იცოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანის შესახებ. **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ქმედითი ზომები პოლიციის თანამშრომელთა ყველა დონეზე ინფორმირებისა და განათლებისათვის ახალი წესების მოქმედებების შესახებ.

15. 2003 წლის ნოემბერში ვიზიტის დროს, დელეგაციამ კმაყოფილებით შენიშნა პოლიციაში დაკავების პერიოდში სამართლებრივი ხასიათის დარღვევების შემცირება. ეს მნიშვნელოვანი წინსვლაა როგორც პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ისე პოლიციის განყოფილებების საკნებში გატარებული დროის შეზღუდვის თვალსაზრისით, სადაც კვლავ დაკავების არასათანადო პირობებია (იხ. 42-ე და 44-ე პუნქტები). დაკავებულ პირთა უმეტესობამ, რომელთაც ესაუბრენ დელეგაცის წევრები, აღნიშნა, რომ ისინი წარდგენილნი იყვნენ მოსამართლის წინაშე დაკავების მომენტიდან 72 საათის განმავლობაში. თუმცა, აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში, მოსამართლის მიერ პირებისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემდეგაც, მათ როგორც წესი, ერთი დღით, კვლავ აბრუნებდნენ პოლიციის განყოფილებების საკნებში. **წპკ**-ს სურს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კომენტარების გაკეთება.

რაც შეეხება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც ვიზიტი განხორციელდა 2004 წლის მაისში, დელეგაციამ იქ პატიმრებოსგან მოისმინა მრავალი განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი ხანგრძლივი დროით იყვნენ დაკავებულნი პოლიციის მიერ. აღნიშნული დადასტურდა თვით დელეგაციის დაკვირვებებით. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორის ჩანაწერთა ჟურნალში მოიძიებოდა მრავალი ჩანაწერი რამდენიმე კვირიანი (ზოგჯერ თვეზე მეტი ხნით) დაკავების შესახებ. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის ქალაქის სამმართველოშიც მოიძებნა მტკიცებულებები 2004 წლის განმავლობაში პირთა 2 კვირამდე დაკავების შემთხვევების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით დელეგაციას აცნობეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 1994 წლის 18 მარტის №117 ბრძანების მიხედვით, დაკავებულ პირთა დროებითი მოთავსების იზოლატორში 15 დღემდე ვადით (გამონაკლის შემთხვევებში მეტი დროითაც) გაჩერება შეიძლებოდა გამომძიებლის მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისად, დელეგაციამ აღნიშნული საკითხი წამოწია თბილისში შეხვედრების დროს და მას შეატყობინეს, რომ მოცემული წესი გაუქმდა 1999 წელს, სსსკ-ს ძალაში შესვლისთანავე. **წპკ იმედოვნებს, რომ მიღებულ იქნება ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს მთელს ტერიატორიაზე იყოს დაცული სამართლებრივი შეზღუდვები საპოლიციო დაკავების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით**.

16. აჭარაში ვიზიტისას დელეგაციამ დაადგინა, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებული პირები ხშირად გადაყავდათ ბათუმის №3 საპყრობილიდან დროებით მოთავსების იზოლატორში საგამოძიებო მოქმედებებისთვის, გამომძიებლების მოთხოვნის საფუძველზე. მონახულებულ დროებითი მოთავსების იზოლატორში აღმოჩნდა მტკიცებულებები იმისა, რომ რომ საპყრობილიდან გადმოყვანილ პატიმრებს იქ აჩერებდნენ კვირებისა და თვეების განმავლობაში. პოლიციისა და ციხის თანამშრომლები ვერანაირ უკანონობას ვერ ხედავდნენ აღნიშნულ პრაქტიკაში, რადგან მათი შეხედულებით აღნიშნული პატიმრები ითლებოდნენ "გამომძიებლების პატიმრებად".

წპკ-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ არასათანადო მოპყრობისა და დაშინების პრევენციის თვალსაზრისიდან გამომდინარე, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, თუ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების დაკითხვა ჩატარდებოდა ციხეში და არა პოლიციის განყოფილებაში. 2004 წლის მაისის ვიზიტის დასასრულს, საქართველოს ხელისუფლებამ დაარწმუნა დელეგაცია, რომ იზიარებდა აღნიშნულ მიდგომას. **წპკ-ს სურს მიიღოს დასტური, რომ აჭარაში გამოვლენილი გამოძიების ქვეშ მყოფ პატიმართა გადაყვანის პრაქტიკა დასრულებულია**.

2. წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები

17. 2003 წლის ვიზიტის დროს, **წპკ**-მ კვლავ მოისმინა საჩივრები პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ. საჩივართა ნაწილი ეხებოდა დაკავების მომენტში გადაჭარბებული ძალის გამოყენებას. თუმცა, მათი უმეტესობა ეხებოდა არასათანადო მოპყრობას პოლიციის თანამშრომელთა მიერ დაკითხვის დროს აღიარებითი ჩვენებისა ან სხვა ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დაკავებულ პირებში გავრცელებული იყო რწმენა იმისა, რომ დანაშაულის არაღიარების შემთხვევაში მათ მიმართ განხორციელდებოდა არასათანადო მოპყრობა ან სხვა ფორმის იძულება. არასათანადო მოპყრობის გავრცელებულ ფორმებს შორის იყო ალიყური, წიხლის დარტყმა, მუშტის დარტყმა, ხელკეტით ცემა; დასახელდა ასევე ჩამოკიდებისა და ელექტროშოკური მოწყობილობების გამოყენების ფაქტებიც. რიგ შემთხვევებში, არასათანადო მოპყრობის ფაქტები, მათი სიმძიმის გამო, უტოლდებოდა წამებას.

აღნიშნულის საპირისპიროდ, 2004 წლის მაისში აჭარაში ვიზიტის დროს დელეგაციამ შეიტყო პოლიციელთა მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ ფიზიკური სახის არასათანადო მოპყრობის მხოლოდ რამდენიმე სავარაუდო შემთხვევის შესახებ. შემთხვევები უმეტესად ეხებოდა დაკითხვისას ალიყურს, მუშტისა და წიხლის დარტყმას.

2003 წლის ნოემბრისა და 2004 წლის მაისის ვიზიტების დროს დელეგაციას არ მიუღია შეტყობინებები დროებითი მოთავსების იზოლატორებში საზედამხედველო სამსახურის მიერ ჩადენილი სავარაუდო არასათანდო მოპყრობის შესახებ.

18. რამდენიმე შემთხვევაში, დელეგაციამ შეაგროვა განცხადებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების დამადასტურებელი სამედიცინო მტკიცებულებები. მაგალითის სახით, შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი:

– პირმა, რომელსაც დელეგაცია გაესაუბრა თბილისის №5 საპყრობილეში, განაცხადა, რომ თვენახევრით ადრე იგი ძალის გამოყეებით მიიყვანეს გურჯაანის პოლიციის განყოფილებაში, სადაც პოლიციელთა ჯგუფმა მას დაადო ხელბორკილები, დააყენა ე.წ. "თუთიყუშის" პოზაში და რამდენჯერმე სცემა მუშტებითა და ხელკეტებით სხეულის სხვადასხვა ნაწილზე. მან ასევე განაცხადა, რომ პოლიციელმა ყურზე დაუმაგრა ელექტროსადენები და უტარებდა ელექტრულ მუხტს შავი ყუთის მსგავსი მოწყობილობის საშუალებით. დელეგაციამ დაადგინა, რომ №5 საპყრობილეში მიყვანისთანავე, აღნიშნულმა პირმა გაიარა სამედიცინო შემოწმება ექიმის მიერ, რომელმაც შემდეგნაირად აღწერა მასზე ხილული დაზიანებები: "გამხმარი იარები მარჯვენა ხელსა და ორივე მაჯაზე; ვარდისფერი ნაკაცრები ორვე ყურს უკან; წითელი ჰემატომები ზურგსა და ორივე ბეჭზე". ერთი კვირის შემდეგ აღნიშნული პირი, მისი ადვოკატის თანდასწრებით, რომელმაც გააფორმა საჩივარი, განმეორებით შეამოწმა სასამართლო სამედიცინო ექიმმა. დელეგაციის წევრი სამედიცინო ექპერტის მიერ შემოწმებისას პირს აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: დაზიანებების ყავისფერი ნაიარევი, ორი მათგანი მრგვალი ფორმის, 1 სმ დიამეტრის, მარჯვენა იდაყვის უკანა მხარეს და ერთი წვრილი ნაიარევი 4სმ/8 მმ-ზე ზომის მარცხენა მაჯის უკანა მხარეს;

– მეორე პირმა, რომელსაც ასევე ესაუბრენ დელეგაციის წარმომადგენლები თბილისის №5 საპყრობილეში, განაცხადა, რომ ერთი კვირით ადრე, გორის რაიონში მისი დაკავების შემდეგ, იგი წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ე.წ. "თუთიყუშის" პოზაში მდგარს განმეორებით სცემდნენ მუშტებით, წიხლებითა და ხელკეთებით სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. აღნიშნული პირის თბილისის №5 საპყრობილეში მიღების ჩანაწერები ცხადყოფს, რომ ექიმის მიერ შემოწმე-

ბისას, პირს აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: "წრიული ჰემატომა მარჯვენა თვალის გარშემო; ნაკჭდევები ცხვირის არეში; ექსკორიაციები მარცხენა ფეხის უკანა მხარეს; ლურჯი ფერის რამდენიმე ჰემატომა ზურგზე; პირი აცხადებს, რომ მან დაზიანებები მიიღო ქურთას პოლიციის განყოფილებაში". დელეგაციის წევრი ექიმის მიერ შემოწმებისას პირს აღენიშნებოდა: მარჯვენა თვალის გარშემო შინდისფერი წრიული ჰემატომა; ჭრილობის ვარდისფერი შრამი ცხვირის მიდამოში; 3მმ-დან 1.5 სმ-მდე დიამეტრის შვიდი გამხმარი იარა მარცხენა ფეხის წინა მხარეს; წითელი ფერის, 1 სმ-დან 4 სმ-მდე ზომის ხუთი ზურგზე გაფანტული ჰემატომა, ხელით გასინჯვისას გულმკერდის მთელს არეში დიფუზური ტკივილი;

– პირმა, რომელსაც დელეგაცია შეხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში, განაცხადა, რომ ხუთი დღით ადრე იგი დააკავეს და მიიყვანეს ქედის პოლიციის განყოფილებაში. ორი დღის განმავლობაში, რა დროითაც იქ იმყოფებოდა, პოლიციელი აღნიშნულ პირს სახეში ურტყამდა და წიხლს აჭერდა. დელეგაციის წევრი ექიმის მიერ შემოწმების შედეგად პირს აღმოაჩნდა შემდეგი დაზიანებები: წორივე თვალის გარშემო იისფერი წრიული ჰემატომა, შუბლის არეში 2.5 სმ დიამეტრის, მრგვალი ფორმის ნაჭდევის კვალი.

19. თბილისის №5 საპყრობილეში ახლადმიღებული პატიმრების სამედიცინო ჟურნალის შემოწმებისას, დელეგაციამ შნიშნა, რომ 2003 წლის პირვლ ცხრა თვეში დაწესებულებაში მიღებულ 492 პატიმარს აღენიშნებოდა დაზიანებები. მათგან 4-5% აცხადებდა, რომ დაზიანებები მიაყენეს სამართალდამცავი ორგანობის თანამშრომლებმა. თუმცა, ციხის ექიმებს მიაჩნიათ, რომ აღნიშული მაჩვენებელი აღწევს 20%-ს, რადგან ბევრი პატიმარი შიშის გამო უარს აცხადებს დაზიანენების წარმომავლობის შესახებ მითითებაზე (მით უმეტეს, რომ რიგ სამედიცინო შემოწმებებს ესწრებიან პოლიციის თანამშრომლები). 2003 წლის პირვლ ცხრა თვეში, დაახლოებით 45-50-მა პატიმარმა იჩივლა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.

20. საქართველოში 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-მ დაასკვნა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები იდგნენ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მნშვნელოვანი საფრთხის წინაშე, ზოგიერთ შემთხვევებში კი ადგილი ჰქონდა არასათნადო მოპყრობის/წამების მძიმე ფორმებს. მეორე პერიოდული ვიზიტის შემდეგ, კომიტეტი კვლავ იმავე შეფასებას აძლევს შექმნილ ვითარებას.

2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, **წპკ**-მ ჩამოაყალიბა რამდენიმე რეკომენდაცია წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დელეგაციამ, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა მეორე პერიოდული ვიზიტისას, კმაყოფილებით აღნიშნა 2001 წლის შემდგომ ამ კუთხით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების შესახებ. პოზიტიური შეფასებები ეხებოდა პოლიციის განყოფილებებიდან პატიმრობის დაწესებულებებში ბრალდებულთა მიყვანისას დაზიანებების გამოვლენისა და აღრიცხვის მეთოდების გაუმჯობესებას, პოლიციის განყოფილებებში პირების დაკავების ხანგრძლივობათან დაკავშირებით სამართლებრივი სახის დარღვევების რაოდენობის შემცირებას, თავისუფლების აღკვეთის ადილებში გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდას სხვადასხვა დამოუკიდებელი ორგანოების მონიტორინგის შედეგად, გენერალურ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის შექმნასა და, ასევე, 2003 წლის სექტემბერში წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული გეგმის მიღებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პოლიციის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების არსებობა კვლავ დაადასტურა რამდენიმე მაღალი რანგის პირმა, რომელსაც დელეგაცია შეხვდა. დელეგაციას მიაჩნია, რომ უფრო მეტი შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა სამინისტროებსა და შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების კუთხით. ამ მხრივ, წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას გააჩნია ყველა შესაბამისი უწყებების ძალისხმევის გაერთიანების პოტენციალი.

21. დელეგაციამ აღნიშნა, რომ მუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს სხვადასხვა დონეზე უკვე ესმით იმ გზავნილის მნიშვნელობის შესახებ, რომ დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობა დაუშვებელია, ვითარება კვლავ შერეულია. ზოგიერთ მონახულებულ პოლიციის განყოფილებაში, მაღალი თანამდებობის პირები იზიარებდნენ დელეგაციის წუხილს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და იღებდნენ ზომებს მისი აღკვეთისათვის, კერძოდ, კონტროლის გამკაცრების გზით. ამავე დროს, დელეგაციამ მოინახულა ისეთი დაწესებულებები, სადაც პრობლემების არსებობის აღიარებაც კი არ სურდათ. ცხადია, კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებლობის გაზრდისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნული მიმართულბის ზომების მიღებას ცდილობს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. 2002 წლის იანვრში შექმნის შემდეგ, გენერალური ინსპექცია პასუხისმგებელია პოლიციელთა მხრიდან მართლპრევენციის ქმედებების (კორუფციის ჩათვლით) შესახებ საჩივრე-

ბის შესწავლაზე, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებასა და პროკურატურისათვის შესაბამის საქმეების გადაცემაზე, სისხლის სამართალწარმოების დაწყების მიზნით. დელეგაციას აცნობეს, რომ 2003 წელს, ათი თვის განმავლობაში 20 პოლიციის თანამშრომელი გათავისუფლდა და 19 დაქვეითდა წამების, არასათანადო ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტების საფუძველზე. გარდა ამისა, ინსპექციის საქმიანობის დაწყებიდან, გენერალურ პროკურატურაში გადაცემული 39 საქმიდან 27-ზე დაიწყო სამართალწარმოება და დანარჩენზე კი ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება. ამავე დროს, გენერალურმა პროკურატურამ განსხვავებული ინფორმაცია წარადგინა პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი საქმეების რაოდენობასა და დაწესებული სანქციების შესახებ.

მოწოდებულ ინფორმაციაში თანხვედრის არარსებობის გამო, რთულია ვითარების ნათელი სურათის აღქმა. **კომიტეტი სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია 2003-2004 წლებთან მიმართებაში:**

– არასათანადო მოპყრობის ჩადენასთან დაკავშირებით, პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ არსებული საჩივრების რაოდენობა;

– აღიშნული საჩივრების საფუძველზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური წარმოების საქმეების რაოდენობა;

– სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური სანქციების შესახებ ანგარიში.

გარდა ამისა, **წპკ ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოიღოს უნიფიცირებული ერთიანი სისტემა პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ საჩივრების, დისციპლინური სანქციებისა და სისხლისსამართლებრივი წარმოების/სანქციების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისათვის**.

22. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიში შეიცავდა რეკომენდაციებს პოლიციის თანამშრომელთა დასაქმებასა და პროფესიულ ტრენინგებთან დაკავშირებით (იხ. 25-ე პუნქტი, CPT/Inf (2002)14). ტრენინგების საკითხი ასახულია წამების წინააღმდეგ ბრძოლის ზემოხსენებულ სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულთან დაკავშირებით **წპკ** მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთათვის ადამიანს უფლებების თემაზე ცალკეული კურსების ჩატარების ნაცვლად, გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნებოდა ადამიანის უფლებათა კონცეფციების ინტეგრირება კონკრეტრულ პროფესიულ ტრენინგებში, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე სიტუაციებთან გამკავებისათვის, მაგალითად როგორიცაა ეჭვმიტანილის დაკავება ან დაკითხვა. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანთა შორის კომუნიკაციის უნარ-ჩვევების (დაკავებულ პირთან კომუნიკაცია) განვითარების ტრენიგებს.

ასევე მნიშვნელოვანია გამომძიებლებისა და პოლიციის ოპერატიული თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარება დაკითხვისა და გამოძიების თანამედროვე ტექნიკის თემაზე, რათა შემცირდეს არაეთიკური და არაკანონიერი პრაქტიკის გამოყენება, არასათანადო მოპყრობის ჩათვლით. მსგავსი ტრენინგის დროს, ცალსახად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დაკითხვის კონკრეტული მიზანია სწორი და უტყუარი ინფორმაციის მოპოვება, რათა გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით დადგინდეს ჭეშმარიტება და არა იმ პირისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვება, რომელსაც დამნაშავედ მიიჩნევს გამომძიებელი. აღნიშნულ კონტექსტში შეგიძლიათ იხილოთ 37-ე პუნქტში ჩამოყალიბებული რეკომენდაცია პოლიციელთა მიერ დაკითხვის წარმოების ეთიკის კოდექსის შემუშავების შესახებ.

წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით შეიმუშავოს პოლიციის თანამშრომელთათვის ტრენინების პროგრამა.

გარდა ამისა, **წპკ** მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომელთა ტრენინგებთან ერთად, სასარგებლო იქნება პოლიციის ეთიკის კოდექსის შემუშავება. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს პოლიციის ეთიკის ევროპულ კოდექსში ასახული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ დადგენილი პრინციპები და სტანდარტები[15].

23. წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას, რომელთა მიხედვით ბრალდებულ პირს, გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე ექნება უფლება, პირდაპირ მიმართოს მოსამართლეს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. როგორც აღნიშნულია 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, სასამართლო ორგანოების მიერ არასათანდო მოპყრობის შესახებ მათ წინაშე წარდგენილი საჩივრების გულმოდინე შესწავლასა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სასჯელის დადგენას, მნიშვნელოვანი შემაკავებელი ეფექტი ექნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მეორე პერიოდული ვიზიტის დროს, დელეგაციამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევის გარდა (უმეტესად აჭარის ტერიტორიაზე), დაკავებულებს ფიზიკურად წარადგენდნენ მოსამართლის წინაშე, რათა ამ უკანასკ-

15 იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № Rec(2001)10.

ნელს მიეღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. თუმცა, მოსამართლეები აშკარად არ აქცევდნენ ყურადღებას დაკავებულ პირთა საჩივრებს არასათადო მოპყრობის შესახებ და არანაირ ზომებს არ იღებდნენ აღნიშნულ საჩივრებზე შემგომი რეაგირებისათვის.

შესაბამისად, **წპკ კვლავ იმეორებს თავის რეკომენდაციას, რომ როდესაც პოლიციის განყოფილებაში დაკავების დასასრულს მოსამართლის წინაშე წარდგენისას, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი განაცხადებს პოლიციის თნამშრომელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შესახებ, მოსამართლემ წერილობით უნდა დააფიქსიროს საჩივარი, დაუყოვნებლივ გასცეს მითითება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაქტის სათანადოდ შესწავლა და გამოძიება. აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ უნდა იქნეს მიუხედავად იმისა, აღენიშნება თუ არა პირს ხილული დაზიანებები. გარდა ამისა, არასათანადო მოპყრობის შესახებ ნათლად გამოხატული საჩივრის არარსებობის ჩემთხვევაშიც, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო-სამედიცინო შემოწმება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ მის წინაშე წარდგენილი პირი შესაძლოა ყოფილიყო არასათადო მოპყრობის მსხვერპლი.**

24. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯები პოლიციის განყოფილებებიდან წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში გადაყვანილ პირთა დაზიანებების გამოვლენისა და აღრიცხვის წესის გაუმჯობესებისათვის. შედეგად, ყველს პატიმრის სახელი და გვარი, რომელთაც დაწესებულებაში მიღებისთანავე აღენიშნებოდათ დაზიანებები, იგზავნება იუსტიციის სამინისტროში. დელეგაციას შეატყობინეს, რომ 2002 წლის იანვარსა და 2003 წლის ნოემბრის შუალედში, დაახლოების 800 ასეთი შემთხვევა იყო დაფიქსირებული სამინისტროს მიერ; აქედან, 680 შემთხვევა იყო აღრიცხული თბილისის №5 საპყრობილეში. დაახლოებით 200 საქმე შესწავლისათვის გადაეცა გენერალურ პროკურატურას, დანარჩენ საქმეებს კი შეისწავლიდა რაიონული პროკურატურის შესაბამისი საგამოძიებო სამსახურები.

გარდა ამისა, თბილისის №5 საპყრობილეში დელეგაციის ვიზიტისას გაირკვა, რომ სამედიცინო შემოწმების გავლის გარდა, პირების გამოკითხვას, რომელთაც მიღებისთანავე აღენიშნებოდათ დაზიანებები, პოლიციის თანამშრომელთა დაუსწრებლად აწარმოებდა დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ დანიშნული სხვა თანამშრომელი. აღნიშნული პროცედურის შედეგად, რომელიც შემოღებულ იქნა 2003 წლის დასაწყისში, გამოვლინდა და პროკურატურას გადაეცა პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო ძალადობის 330 შემთხვევა.

წპკ მიესალმება ზემოხსენებულ მიდგომას.

25. მეორე პერიოდული ვიზიტის დროს, **წპკ**-ს დელეგაციამ ინტერესით შენიშნა თბილისის №5 საპყრობილეში, როგორც წესი ორ კვირაში ერთხელ, სასამართლო სამედიცინო ექიმის ვიზიტის პრაქტიკა. ექიმი შეისწავლიდა სამედიცინო ჩანაწერთა ჟურნალს და ამოწმებდა იმ პატიმართა ნაწილს, რომელთაც მიღებისთანავე აღენიშნებოდათ დაზიანებები (იხ. აგრეთვე 114-ე პუნქტი). აღიშნული პრაქტიკის სწორი და სისტემატური გამოყენებას აქვს დიდი პოტენციალი, შეიტანოს წვლილი პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის პრევენციაში. **წპკ-ს სურს საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღოს აღნიშნული ინიციატივის შედეგების შეფასება**.

3. დაცვის გარანტიები დაკავებულ პირებთა მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

ა. შესავალი

26. უნდა აღინიშნოს, რომ **წპკ** განსაკუთებულ ყურადღებას უთმობს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ ძირითად უფლებას:

– პირის უფლება, დაკავების შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავს ან მის მიერ არჩეულ მესამე პირს;

– ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება;

– ექიმის ხელმისაწვდომობის უფლება.

წპკ მიიჩნევს, რომ ეს სამი უფლება დაკავებულ პირთა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ფუნდამენტური გარანტია, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთის საწყისსავე მომენტიდან (ანუ, იმ მომენტიდან, როდესაც პირი ვალდებულია დარჩეს პოლიციის ზედამხედვლობის ქვეშ). აღნიშნული უფლებებით სარგებლობა უნდა შეეძლოთ არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს, არამედ ყველა სხვა კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილ პირს (მაგ, ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფებს, ან უცხოელთა შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე დაკავებულ პირებს, და ა.შ.).

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე განემ-

არტოს მისი ყველა უფლების შესახებ, ზემოხსენებული უფლებების ჩათვლით.

27. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, **წპკ**-მ ჩამოაყალიბა რიგი რეკომენდაციებისა და შენიშვნებისა ზემოხსენებულ დაცვის გარანტებთან დაკავშირებით. დელეგაციამ, რომელიც მეორე პერიოდული ვიზიტის დროს იმყოფებოდა საქართველოში, აღნიშნა, რომ ვიზიტებს შორის შუალედში შეინიშნებოდა გარკვეული წინსვლა, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის კუთხით. თუმცა, ვიზიტის დროს დროს მოპოვებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ პრაკტიკის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ბ. შეტყობინება დაკავების/თავისუფლების აღკვეთის შესახებ

28. დელეგაციას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის იანვრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების (იხ. 14-ე პუნქტი) საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, დღესდღეობით, თავისუფლების აღკვეთის შესახებ შეტყობინების უფლება გამოიყენება პოლიციის მიერ დაკავების მომენტიდანვე.

დაკავებულ პირთა უმრავლესობამ, რომელთაც დელეგაციის წარმომადგენლები ესაუბრენ 2003 წლის ნოემბერსა და 2004 წლის მაისში, აღნიშნა, რომ მათ დაკავების მომენტიდანვე დაუყოვნებლივ მისცეს აღნიშნული ფაქტის შესახებ ოჯახის წევრებისათვის შეტყობინების საშუალება. თუმცა, პირთა ნაწილმა (არასრულწლოვნების ჩათვლით) განაცხადა, რომ მათ სათანადოდ არ განემარტათ აღნიშნული უფლების შესახებ და მათი ოჯახის წევრებმა და ნათესავემა აღნიშნული ფაქტის შესახებ გაიგეს რამდენიმე დღის დაგვიანებით. მეტიც, რამდენიმე პირი ამტკიცებდა, რომ მათ უარი ეთქვათ მათი დაკავების შესახებ ოჯახისათვის შეტყობინების უფლებით სარგებლობაზე მანამ, სანამ სასამართლომ არ მიიღო გადაწყვეტილება მათთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ ან, სანამ აღნიშნული პირები არ გადაიყვანეს პატრობის დაწესებულებაში.

29. ზემოხსენებულის თანახმად, **წპკ რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პრაკტიკაში ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი დაკავებულ პირთა უფლება, დაკავების შესახებ შეატყობინონ ახლო ნათესავს ან მათ მიერ არჩეულ მესამე პირებს თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე (ანუ, იმ მომენტიდან, როდესაც პირი ვალდებულია დარჩეს პოლიციის ზედამხედვლობის ქვეშ).**

გარდა ამისა, წპკ-ს რეკომენდაციაა, წერილობით აღირიცხოს ზემოაღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევები.

გ. ადვოკატის ხელმისაწვდომობა

30. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დასაწყისში დელეგაციას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის იანვრის გადაწყვეტილებისა და საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებეის თანახმად, თავისუფლებააღკვეთილ პირის აქვს უფლება ადვოკატზე პოლიცის მიერ დაკავების მომენტიდანვე (ანუ, იმ მომენტიდან, როდესაც პირი ვალდებულია დარჩეს პოლიციის ზედამხედვლობის ქვეშ). გარდა ამისა, მოიხსნა შეზღუდვები დაავებული პირისა და მისი ადვოკატის შეხვედრის ხანგრძლივობაზე.

მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა, მეორე პერიოდული ვიზიტის დროს დელეგაციამ გამოავლინა, რომ პრაკტიკაში ჯერ კიდევ არსებობდა პრობლემები.

31. დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში, პოლიციის თანამშრომლები სხვადასხვანაირად განმარტავდნენ ადვოკატის ხელმისაწვდომობის ნორმას. ზოგიერთ მათგანს მიაჩნდა, რომ პირის უფლება ადვოკატზე უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო დაკავების საწყისი მომენტიდან და გამოყენებული უნდა ყოფილიყო მაშინაც, როდესაც პირს მოეთხოვებოდა პოლიციის განყოფილებაში მისვლა მოწმის სახით. სხვების აზრით კი, ადვოკატზე უფლებით სარგებლობა პირს შეეძლო მას შემდეგ, რაც წარდგებოდა გამომძიებლის წინაშე და სწორედ გამომძიებლის ვალდებულება იყო, პირისთვის ეცნობებინა მისი უფლებების შესახებ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლის ნოემბერს მონახულებულ ზოგიერთ პოლიციის განყოფილებაში პოლიციის თანამშრომლები აგრძელებდნენ დაკავების პროტოკოლის ძველი ფორმების გამოყენებას, რაც შედგენილი იყო სსსკ-ს იმ დროისთვის უკვე გაუქმებული ნორმების საფუძველზე.

ზოგიერთი პირი, რომელთაც დელეგაციის წევრები ესაუბრენ, აცხადებდნენ, რომ მათ დაკავებისას მოითხოვეს ადვოკატთან კონსულტაცია, რაზეც მათ უარი განეცხადათ სხვადასხვა მიზეზით ("არ გჭირდება ადვოკატი", "გეყოლება ადვოკატი იმ შემთხვევაში, თუ ხელს მოაწერ აღიარებით ჩვენებას", "გეყოლება ადვოკატი, როდესაც წარსდგები სასამართლოში"). აღსანიშნავია, რომ დელეგაციამ მსგავსი ფაქტები მოისმინა არასრულწოვანი პატიმრებისგანაც (რომელთა მიმართაც სსსკ ითვალისწინებს ადვოკატის სავალდებულო ყოლას).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **წპპ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ პრაკტიკაში ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი დაკავებულ პირთა უფლება ადვოკატზე, პირების თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე. გარდა ამისა, წპპ-ს რეკომენდაციაა, წერილობით აღირიცხოს ზემოაღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევები**.

32. რაც შეეხება სახაზინო ადვოკატით სარგებლობას, ამჟამინდელი სისტემა, რომლის მიხედვით ასეთი ადვოკატის შერჩევა შესაძლებელია "ადვოკატთა კოლეგიის" მიერ შედგენილი სიიდან, უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას პოლიციისგან. მიუხედავად ამისა, 2001 წლის მსგავსად დელეგაცია შეხვდა დაკავებულ პირთა გარკვეულ რაოდეობას, რომელნიც სარგებლობდნენ სახაზინო ადვოკატის მომსახურებით, მაგრამ უკმაყოფილნი იყვნენ გაწეული მომსახურების ხარისხით. გარდა ამისა, რამდენიმე პირმა განაცხადა, რომ პოლიციამ მათ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა უფასო იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით.

დელეგაციას ასევე შეატყობინეს, რომ აღიშნული კუთხით ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ნათლად არ იყო განსაზღვრული თუ ვის შეეძლო ადვოკატის ფუნქციების შესრულება. იმედია, საადვოკატო საქმიანობის შესახებ ახალი კანონპროექტი ნათლად განმართავს აღნიშნულ საკითხს.

წპპ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები დაკავებულ პირთათვის იურიდიული დახმარების სისტემის პრაკტიკაში სრულად და ეფექტიანად ამოქმედების უზრუნველსაყოფად.

დ. ექიმის ხელმისაწვდომობა

33. საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების შედეგად, უფლება ექიმის ხელმისაწვდომობაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიციის მიერ პირის თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე. ვიზიტის დროს, დელეგაციამ დაადგინა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების შემთხვევაში, ექიმის ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენდა პრობლემას. დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმები დაკავებული პირების ან პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე ატარებდნენ დაკავებულთა სამდიცინო შემოწმებას. მონახულებულ დაწესებულებებში სამედიცინო შემოწმებების წარმოების შესახებ ცალკე არსებობდა ჩანაწერთა ჟურნალი (ჩვეულებრივ, საკმაოდ დეტალური). რაც შეეხება პოლიციის რაიონულ განყოფილებებს, პოლიციის თანამშრომლებს შეეძლოთ, საჭიროების შემთხვევაში, სამოქალაქო სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.

რაც შეეხება დაკავებული პირის შემოწმებას მისი სურვულისამებრ დასახელებული ექიმის მიერ, დალეგაციას აუწყეს, რომ პრინციპში ეს შესაძლებელი იყო თუ პირი მზად იქნებოდა თავად დაეფარა სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

თუმცა, 2001 წლის ვიზიტის მსგავსად, დელეგაცია შეხვდა დაკავებულ პირებს,რომელთაც განაცხადეს, რომ მათი მოთხოვნის მიუხედავად, უარი ეთქვათ ექიმის მიერ მონახულებაზე.

34. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დროს, დელეგაციამ შეიტყო, რომ წამების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის თანახმად, გათვალისწინებული იყო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვით უნდა შემოღებულიყო ეჭვმიტანილთა სისტემატური სამედიცინო შემოწმება პოლიციის მიერ მათი დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. ეს საკმაოდ საინტერესო ინიციატივაა; თუმცა, საკმაოდ დიდი სიფრთხილეა საჭირო აღნიშნული ნორმის პრაქტიკული განხორცილებისას. იმისათვის, რომ სავალდებულო სამედიცინო შემოწმების სისტემამ იმუშაოს, როგორც არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის გარანტიამ, საჭიროა კონკრეტული პირობების დაცვა: ექიმი,რომელიც ჩაატარებს სამდიცინო შემოწმებას, უნდა იყოს ოფიციალურად და დე ფაქტო დამოუკიდებელი, გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალიზირებული მომზადება და აღჭურვილი იყოს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით. თუ აღნიშნული პირობები არ იქნება გათვალისწინებული, სამდიცინო შემოწმებების ასეთმა სისტემამ შესაძლოა პირიქით უკუეფექტი გამოიწვიოს და უფრო მეტად გაართულოს წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა.

გარდა ეჭვმიტანილთა ზემოხსენებული სისტემური სამედიცინო შემოწმებისა მათი დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში, დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ექიმის მომსახურებაზე წვდომა დაკავების მთელი პერიოდის გამავლობაში. **წპპ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ პრაკტიკაში ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი დაკავებულ პირთა უფლება ექიმის ხელმისაწვდომობაზე, პირების თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე. ასევე, წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკანომდებლო ცვლილებების შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:**

– ნებისმიერ სახის სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს პოლიციის თანამშრომელთა მიერ მიყურადებისა და, თუ ექიმი სხვაგვარად არ მოითოვს კონკრეტულ სიტუაციაში, თვალთახედვის არის მიღმა;

– თითოეული შემოწმების შედეგი, ასევე დაკავებული პირის მიერ გაკეთებული ნებისმიერი შესაბამისი განცხადება და ექიმის დაკვნა, ოფიციალურად უნდა იქნეს აღრიცხული ექიმის მიერ და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაკავებულისა და მისი ადვოკატისათვის;

– დაცული უნდა იყოს სამედიცინო მონაცემთა კონფიდენციალურობა.

ე. ინფორმაცია უფლებების შესახებ

35. გაურკვეველი რჩება ვითარება მათი უფლებების შესახებ დაკავებულ პირთა ინფორმირებასთან დაკავშირებით.

2003 წლის ნოემბრისა და 2004 წლის მაისის ვიზიტების დროს მონახულებულ პოლიციის განყოფილებათა უმეტესობაში დელეგაციამ შენიშნა სპეციალური ფორმების არსებობა (ქართულ ენაზე), სადაც ჩამოყალიბებული იყო სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა უფლებები. თუმცა, ზოგიერთ დაწესებულებაში არსებული ფორმები ასახავდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე (რომელიც ეხებოდა დაკავებულის ეჭვმიტანილად ოფიციალურად ცნობამდე 12-საათიან პერიოდს) სსსკ-ში შეტანილ ცვლილებებამდე არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას. სხვა დაწესებულებებში (განსაკუთრებით 2004 წელს აჭარაში მონახულებულ დაწესებულებებში) ფორმებში უკვე ასახული იყო ზემოხსენებულ ცვლილებები. ფორმებში ნახსენები იყო ადვოკატის თანდასწრებით ჩვენების მიცემის უფლება, ექიმის მონახულების მოთხოვნის უფლება და თარჯიმნის მომსახურების გამოყენების უფლება. **თუმცა, ფორმებში არ იყო ნახსენები თავისუფლების აღკვეთის შესახებ შეტყობინების უფლება**.

პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული ფორმები დაკავებისთანავე გადაეცემოდათ პირებს ორი ეგზემპლარად. დაკაებული პირის მიერ აღნიშნული ეგზემპლარების ხელმოწერის შემდეგ, ერთი გადაეცემოდა მას, ხოლო მეორე რჩებოდა ჩანაწერთა ანკეტაში. მიუხედავად ამისა, დელეგაციის მიერ დაკავებულ პირებთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ, გაირკვა, რომ ზემოხსენებული ეგზემპლარები სისემატურად არ გადაეცემოდათ დაკავებულ პირებს თვისუფლების აღკვეთისთანავე. გარდა ამისა, ჩანაწერთა ჟურნალების შემონმებისას გაირკვა, რომ ხშირ შემთავევაში არ მოიძებნებოდა ხელმოწერილი ფორმის ეგზემპლარი. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ დაკაებულ პირთა გარკეულმა რაოდენობამ დელეგაციასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მათ არ მიუღიათ რაიმე ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ.

36. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაკავებულ პირთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, **წპკ რეკომენდაციაა, რომ ფორმები, სადაც მითითებული იქნება ზემოაშნიშნული უფლებები, სისტემატურად გადაეცეთ დაკავებულ პირებს პოლიციის მიერ მათი დაკავების საწყისი ეტაპიდანვე. სხვა საკითხების გარდა, ფორმა უნდა ასახავდეს 29-ე, 31-ე და 34-ე პუნქტებში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს. ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს რამდენიმე შესაბამის ენაზე. გარდა ამისა, დაკავებულ პირს სისტემატურად უნდა მოეთხოვოს განცხადების ხელმოწერა იმის თაობაზე, რომ მას ეცნობა თავისი უფლებების შესახებ.**

ვ. პოლიციის მიერ დაკითხვის წარმოება

37. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-ს მორიგი რეკომენდაცია ეხებოდა ქცევის კოდექსის შემუშავებას პოლიციის მიერ დაკითხვების წარმოებისათვის. (იხ. 50-ე პუნქტი, CPT/Inf (2002)14). სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია. მეორე პერიოდული ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები კვლავ ადასტურებს აღიშნული ქცევის კოდექსის შემოღების აუცილებლობას.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეიმუშაოს პოლიციის მიერ დაკითხვის წარმოების ქცევის კოდექსი.

ზოგადად კი, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის აუცილებელია დამოკიდებულების საფუძვლიანი ცვლილება დასაქმებისა და დასაქმებულ თანამშრომელთა მომზადების, მტკიცებულებათა შეგროვების თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომიბისა და ზედამხედველობის ტექნიკის გაუმჯობესების კუთხით.

ზ. პატიმრობის ჟურნალი

38. მეორე პერიოდული ვიზიტისას **წპკ**-ს დელეგაციამ შენიშნა დადებითი ცვლილებები პატიმრობის ჟურნალის წარმოების კუთხით. თუმცა, ზოგადად, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გატარებული დაკავების პერიოდის დოკუმენტირება არადამაკმაყოფილებელ დონეზეა; მონახულებულ დაწესებულებებში წარმოებული სხვადასხვაგვარი ჟურნალები არასრულ ინფორმაციას

შეიცავდა და ხშირად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რა ბედი ეწია პოლიციის მიერ დაკავებულ პირს. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევებში აღნიშნული იყო პირის დაწესებულებაში მიღების მხოლოდ თარიღი (და არა დრო); ზოგჯერ არ არსებობდა ჩანაწერი პატიმრის გადაყვანის/გათავისუფლების თარიღთან და დროსთან, ასევე, გადაყვანილი პირის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით; ჩანაწერებიდან არ იყო ნათელი თუ როდის დაიკითხა ესა თუ ის პირი და ა.შ. გარდა ამისა, საკანში მოთავსებამდე, პირს შესაძლოა რამდენიმე საათი გაეტარებინა პოლიციის განყოფილებაში, ეს პერიოდი არ ფიქსირდებოდა ჩანაწერებში. შესაბამისად, საკანში მოთავსების გარეშე, პირის განთავისუფლების შემთხვევაში, საერთოდ არანაირი ჩანაწერი არ არსებობდა მისი დაწესებულებაში ყოფნის შესახებ.

39. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ არც ერთი სამართლებრივი გარანტია არ არის იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე პირის თავისუფლების აღკვეთის სათანადო დოკუმენტირების მოთხოვნა. **წპკ** მიიჩნევს, რომ პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა დაცვის ფუნდამენტური გარანტიები გაძლიერდება თუ იარსებებს პატიმრობის სტანდარტული, ერთიანი და ყოვლისმომცველი ჩანაწერთა ჟურნალის წარმოების წესი. აღნიშნულ ჟურნალში უნდა დაფიქსირდეს ინფორმაცია პირის დაკავების ყველა დეტალის და მის მიმართ გამოყენებული ზომების შესახებ (პოლიცის განყოფილებაში მიღების დრო და მიზეზ(ებ)ი; დაკავების ორდერის გამოცემის დრო; როდის იქნა პირი ინფორმირებული მისი უფლებების შესახებ; დაზიანებების ნიშნები, ფსიქიკური მდგომარეობა და ა.შ; კონტაქტი ან შეხვედრა ნათესავთან, ადვოკატთან, ექიმთან ან კონსულთან; საკვების მიწოდების დრო; დაკითხვის დრო; გათავისუფლების დრო და ა.შ.). გარდა იმისა, რომ აღნიშნული ჟურნალის წარმოება გაამარტივებს საპოლიციო პატიმრობისას სამართლებრივი ნორმების დაცვის კონტროლს, მსგავსი სრულყოფილი მონაცემების დოკუმენტირებას შეუძლია დაიცვას პოლიციის თანამშრომლები მათ წინააღმდეგ უსაფუძვლო ბრალდებებისგან. **აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი იყოს საზედამხედველო სამსახური და არა პოლიციის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები ან გამომძიებლები.**

კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები რომ პოლიციის განყოფილებებში წარმოებული ჟურნალები თავსებადობაში მოდიოდეს ზემოაღნიშნულ პრინციპებთან.

4. დაკავების პირობები

ა. შესავალი

40. **წპკ**-ს სურს კვლავ ჩამოაყალიბოს დაკავების პირობები, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიციის მიერ პირთა დაკავებისას.

წინასწარი დაკავების ყველა საკანი უნდა იყოს სუფთა, ფართი გათვლილი უნდა იყოს პირთა იმ რაოდენობაზე, რომელიც იქ თავსდება, ასევე - საკმარისად განათებული (მაგ., ისე, რომ საკმარისი იყოს საკითხავად, ძილის პერიოდის გამოკლებით); სასურველია, საკნებში იყოს ბუნებრივი განათება. გარდა ამისა, საკნებში უნდა იყოს მოსვენების პირობები (მაგ., იატაკში ჩამონტაჟებული სკამი ან ძელსკამი). პირები, რომელთაც უწევთ ღამის გათევა პოლიციის განყოფილებაში, უნდა უზრუნველყონ სუფთა ლეიბითა და თეთრეულით.

პოლიციის განყოფილებაში პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სუფთა საპიფარეშო ღირსების შეულახავი პირობებით, ასევე - შხაპის მიღების აუცილებელი პირობები. მათ მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა ჰქონდეთ დასალევი წყალი და ყოველდღიური საკვები, შესაბამისი განრიგის მიხედვით, მათ შორის, სულ მცირე დღეში ერთხელ - ნოყიერი საკვების ჩათვლით (მაგ., რაიმე უფრო ნოყიერი, ვიდრე სენდვიჩი). 24 საათით ან მეტი დროით დაკავებულ პირებს, შეძლებისდაგვარად, უნდა ჰქონდეთ სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლება.

ბ. დროებითი მოთავსების იზოლატორები

41. მონახულებულ დაწესებულებათაგან, საუკეთესო პირობები შეინიშნებოდა <u>შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის დროებითი დაკავების იზოლატორში</u>. დაწესებულება საფუძვლიანად გარემონტდა 1996 წელს და იყო სუფთა და კარგ მდგომარეობაში. იქ არსებულ 10 საკანში (7-19 მ.კვ) მოთავსებული იყო ერთი ან ორი პირი. ვენტილაცია და ბუნებრივი განათება ადექვატური იყო; თუმცა, საკნის ფანჯრებზე დამონტაჟებული გისოსები ზღუდავდა ბუნებრივი განათების შეღწევას. გარდა საწოლებისა, საკნებში იყო მაგიდები, სკამები და საკნის გადატიხრულ ნაწილში საპირფარეშო და ნიჟარა. საერთო საშხაპე კარგ მდგომარეობაში იყო და დაკავებულებს შეეძლოთ შხაპის მიღება კვირაში ერთხელ. გარდა ამისა, დაკავებულებს მიეწოდებოდათ საკვები და მათ უფლება ჰქონდათ, ასევე მიეღოთ საკვები გარედან შემოგზანილი გზავნილის სახით. თუმცა,

დაკავებულ პირებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი ვერ სარგებლობდნენ ჰაერზე გასვლისა და ვარჯიშის უფლებით (მიუხედავად სპეციალური ეზოს არსებობისა).

42. სხვა მონახულებულ დაწესებულებებში არსებული პირობები იყო, ზოგადად, ცუდი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - სავალალო.

2001 წელთან შედარებით, მცირე გაუმჯობესება შეინიშნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი საქალაქო სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში. კერძოდ, შეკეთებული იყო სავენტილაციო სისტემა და დაწესებულება მომარაგებული იყო ახალი თეთრეულითა და თეფშებით. საკნები ზოგადად სუფთა მდგომარეობში იყო; თუმცა, გათბობის სისტემა არ ფუნქციონირებდა. გარდა ამისა, დაკავებულებს შეზღუდული ჰქონდათ პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალება (იქ არ იყო საშხაპე და შეინიშნებოდა პირადი ჰიგიენის ნივთების სიმცირე). პერსონალი ამტკიცებდა, რომ დაკავებულებს საკვები დღეში ერთხელ მიეწოდებოდათ, თუმცა დაკავებულ პირთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ ორი დღის განმავლობაში არ მიუღიათ საკვები. დაწესებულებაში არ იყო უზრუნველყოფილი სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებაზე ხელმისაწვდომობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა განთავსების ოფიციალური ლიმიტი შემცირდა 64-მდე. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დროს დაწესებულება ცარიელი იყო; დელეგაციას შემდგომ შეატყობინეს, რომ დაწესებულება გადავიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და გამოიყენებოდა, როგორც წინასწარი პატიმრობის დაწესებულება (№7 საპყრობილე).

შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორის სარდაფში განლაგებული იყო ათი საკანი, რომელთაგან, ინფორმაციის მიხედვით, შვიდი გამოიყენებოდა. ვიზიტის დროს (რასაც დაემთხვა დენის გათიშვა) საკნები ცარიელი იყო. საკნები არ იყო უზრუნველყიფილი ბუნებრივ განათებაზე ხელმისაწვდომობით და ვენტილაცია პრაქტიკულად არ არსებობდა. სივრცის უმეტეს ნაწილს იკავებდა დაბალი ფიცარნაგი და დაკავებულ პირებს არ უზრუნველყოფდნენ ლეიბით ან თეთრეულით. გარდა ამისა, საპირფარეშო იყო ძალზედ პრიმიტიული და ბინძური. დაკავებული პირებისათვის არ იყო უზრუნველყოფილი საკვების მიწოდება და ჰაერზე გასეირნების შესაძლებლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორის ორ საკანში ფაქტიურად არ იყო უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათების ხელმისაწვდომობა; საკმადო ცუდი იყო ვენტილაცია და ხელოვნური განათებაც; აგრეთვე, არ იყო გათბობაც. ფიცარნაგი საკანში არსებული ერთადერთი ნივთი იყო, რომელიც ძალია ჭუჭყიანი იყო (ისევე, როგორც ეზოში მდებარე საპირფარეშო). გარდა ამისა, დაკავებული პირები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი ლეიბითა და თეთრეულით და მათ არ ჰქონდათ შხაპის მიღების შესაძლებლობა. ასევე არ იყო უზრუნველყოფილი საკვების მიწოდება და ჰაერზე გასეირნების უფლებაზე ხელმისაწვდომობა.

შინაგან საქმეთა ქედის სამმართველოს ორი საკანში, ფაქტიურად არ აღწევდა დღის სინათლე; გარდა ამისა, არ იყო ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. საკნები პრიმიტიულად იყო მოწყობილი და იყო სავალალო მდგომარეობაში და ბინძური, რაც შეეხება საპირფარეშოს, იქ არსებული პირობების გამო, მისი გამოყენება შეუძლებელი იყო; გარდა ამისა, არ არსებობდა შხაპის მიღების საშუალება, რაც შეეხება ლეიბებით, თეთრეულით, საკვებითა და სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით უზრუნველყოფას, მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის საქალაქო სამმართველოს იდენტური იყო.

43. ზემოხსენებულიდან გამონდინარე, **წპკ** იმეორებს 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში გაცემულ რეკომენდაციებს, რომ მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რათა დროებითი მოთავსების იზოლატორებში უზრუნველყოფილი იყოს:

– საკანში ადექვატური განათება (რაც სასურველია ითვალისწინებდეს ასევე ბუნებრივ განათებას) და ვენტილაცია;

– საკნების რემონტის, ჰიგიენური პირობებისა და საერთო სანიტარული კვანების დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; საკნის შიგნით მდებარე სანიტარული კვანძების გადატიხვრა;

– დაკავებულ პირთა მომარაგება პირადი ჰიგიენის და პირველადი მოხმარების ნივთებით (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, და ა.შ.) და საშხაპე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;

– ყველა დაკავებული პირის მომარაგება სუფთა ლეიბითა და თეთრეულით;

– დაკავებულ პირთათვის დღის შესაბამის მონაკვეთებში საკმარისი რაოდენობისა და სათანადო ხარისხის საკვების მიწოდება;

– დაკავებულ პირთა ხელმისაწვდომობა სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშზე დღეში ერთხელ სულ მცირე ერთი საათით.

გ. შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილებების საკნები

44. მონახულებულ რაიონულ განყოფილებებში იყო ერთიდან სამ საკნამდე, რომელნიც, პრინციპში, მოკლევადიანი დაკავებისთვის იყო გათვალისწინებული. პოლიციის ზოგიერთ განყოფილებაში (მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის №5 და №8 რაიონული განყოფილებები; თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება) დელეგაციას განუცხადეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, მათთან არსებული საკნები აღარ გამოიყენებოდა. თუმცა, პოლიციის სხვა განყოფილებებში, საკნები აშკარად მოქმედი იყო და გამოიყენებოდა ღამის საათებშიც. 2001 წლის ვიზიტის მსგავსად, ამჯერადაც, პოლიციის თანამშრომლები დელეგაციას აწვდიდნენ ურთიერთპრევენციის ინფორმაციას აღნიშნულ საკნებში პირთა დაკავების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით: 3, 12 ან 24 საათი. აღსანიშნავია, რომ 3 დღემდე დაკავების შემთხვევები გამოვლინდა რამდენიმე მონახულებული პოლიციის განყოფილების დაკავების ჟურნალიდან. **წპკ-ს სურს მიიღოს ახსნა-განმარტებები რაიონული პოლიციის განყოფილებებში დაკავების დასაშვებ ხანგრძლივობასთან დაკავშირებით**.

როგორც 2001 წელს, ამჯერადაც საკნებში არსებული პირობები განსხვავდებოდა მრავალი ნიშნის მიხედვით. ზოგიერთი საკანი ძალიან მცირე იყო (მაგ. გლდანი-ნაძალადევში - 2მ·კვ; ვაკე–საბურთლოს რაიონულ განყოფილებაში - 3მ·კვ). როგორც **წპკ**-ს უკვე აღნიშნა 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, აღნიშნული ზომის საკნები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მოკლევადიანი დაკავებისთვის და არავითარ შემთხვევაში - ღამის გასათევად. დელეგაციის მიერ მონახულებული თითქმის ყველა საკანი იყო ბნელი, გაუნიავებელი, სავალალო მდგომარეობაში და ბინძური. მხოლოდ ზოგიერთ მათგანში იყო ვიწრო ძელსკამები, დანარჩენში კი არ არსებობდა არანარი ნივთი ან მოწყობილობა. დაკავებულ პირებს ღამის საათებში არ უზრნველყოფდნენ ლეიბითა თუ თეთრეულით. გარდა ამისა, დაკავბულებს არ მიეწოდებოდათ საკვები და არ ჰქონდათ ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის შესაძლებლობა.

45. ზემოაღნიშნული შენიშნვნებისა და 40-ე პუნქტში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, **წპკ** კვლავ იმეორებს 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში გაწეულ რეკომენდაციას, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გადახედოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებში არსებულ დაკავების პირობებს, კერძოდ უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა უზრუნვლყოფილ იქნეს:

– საკნებში ადექვატური განათება და ვენტილაცია;

– დაკავებულ პირთა სუფთა ლეიბებითა და თეთრეულით მომარაგება ღამის საათებში;

– დაკავებულ პირთათვის, შესაბამის საათებში საკვების ყოველდღიურად მიწოდება.

წპკ ასევე ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილონ 24 საათით ან მეტი დროით დაკავებულ პირთათვის სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უზრუნველყოფა, დღეში ერთი საათით მაინც.

დ. ბათუმის ადმინისტრაციული დაკავებისა და გამოსაფხიზლებელი დაწესებულება

46. ბათუმის ადმინისტრაციული დაკავებისა და გამოსაფხიზლებელი დაწესებულება შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: ერთი განყოფილებაში, რომელიც გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული დაკავებებისთვის (30 დღემდე) განთავსებული იყო ორი საკანი, ხოლო მეორეში, სადაც თავსდებოდნენ ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი პირები (მაქსიმუმ 8 საათით), განთავსებული იყო ექვსი საკანი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდნენ მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები.

47. დაწესებულებაში არსებული დაკავების პირობები იყო ძალიან ცუდი: ჭერი იყო ჭუჭყიანი და ჩამონგრეული (განსაკუთრებით ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი პირებისათვის გათვალისწინებულ საკნებში), ფაქტიურად არ შემოდიოდა დღის სინათლე, ვეტილაცია იყო არასაკმარისი და ხელოვნური განათება - ძალიან ცუდი (ნაწილი საკნებისა და საპირფარეშო საერთოდ არ იყო განათებული). საკანში ერთადერთ მოწყობილობას წარმოადგენდა ფიცარნაგი (ზოგჯერ გატეხილი). დაკავებულთათვის არ იყო გათვალისწინებული ლეიბები ან თეთრეული. გარდა ამისა არ იყო შხაპის მიღების საშუალება.

ადმინისტრაციუილ წესით დაკავებულ პირებს საკვები მიეწოდებოდათ მხოლოდ მათი ოჯახის წევრების მიერ. გარეთ გასეირნება შესაძლებელი იყო მოთხოვნის საფუძველზე; თუმცა, არ იყო გათვალისწინებული სხვა სახის რაიმე აქტივობა.

ზემოაღნიშნული შენიშნვნებისა და 40-ე პუნქტში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, **წპკ-ს რეკომენდაციაა, გადაიდგას შესაბამისი ზომები, რათა ბათუმის ადმინისტრაციული დაკავებისა და გამოსაფხიზლებელ დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას:**

– ადექვატური შიდა განათება (ბუნებრივი განათების ხელმისაწვდომობის ჩათვლით) და ვენტილაცია;

– საკნების რემონტის, ჰიგიენური პირობებისა და სანიტარული კვანძების დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;

– დაკავებულ პირთა სუფთა ლეიბებითა და თეთრეულით მომარაგება ღამის საათებში;

– დაკავებულ პირთათვის საშხაპე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;

– ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთათვის დღის შესაბამის მონაკვეთებში საკვების მიწოდება;

– ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთათვის სხვადასხვა სახის აქტივობები (მაგ. წიგნები, ტელევიზორი და ა.შ.).

48. დელეგაცია შეშფოთდა ერთ-ერთი საკანში იატაკში ჩამონტაჟებული რკინის სკამის არსებობით, რომელიც აშკარად გამოიყენებოდა ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფ აღგზნებულ პირთათვის. ამასთან დაკავშირებით **წპკ-ს სურს მიიღოს დეტალური ინფომაცია გამოსაფხიზლებელ დაწესებულებებში პირთა ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების წესებთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით.**

<u>ბ. უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

49. უშიშროების სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიზიტისას, დელეგაციას არ სმენია საჩივრები თანამშრომელთა მხრიდან, პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ.

50. დაწესებულება გათვალისწინებული იყო 72 საათამდე დაკავებისათვის; თუმცა, ვიზიტის დროს იქ მყოფი თერთმეტი პირიდან, ოთხი დაკავებული იყო ერთი თვის წინ და მათ საქმეებზე მიმდინარეობდა გამოძიება, ხოლო დანარჩენი შვიდი იყო მსჯავრდებული პირები, რომელთაც უკვე ერთიდან ცხრა წლამდე გაატარეს აღიშნული დაწესებულება.

51. იქ არსებული 11 საკანი გათვალისწინებული იყო ერთიდან სამ პირამდე მოთავსებისათვის. პირობები ზოგან ადექვატური იყო, ზოგან კი ცუდი. ზოგიერთ საკანში აღწევდა დღის სინათლე, ადექვატური ვენტილაცია და ხელოვნური განათება, ასევე იყო სათანადოდ მოწყობილი. დანარჩენი კი (რომელნიც უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციის ვიზიტის დროს ცარიელი იყო) ძალიან პრიმიტიული, დანგრეული და დღის სინათლის ხელმიუწვდომლობის გარეშე იყო.

გარეთ გასეირნების გარდა, დაკავებულთათვის არ იყო გათვალისწინებული სხვა რაიმე სახის აქტივობები და დღე-ღამეში 23 საათის განმავლობაში მათ თავიანთ საკნებში გამოკეტილებს უწევდათ ყოფნა.

52. დეეგაციას აცნობეს, რომ ანომალია - მსჯავრდებულ პატიმართა იზოლატორში მოთავსების სახით, გამოსწორდებოდა აჭარაში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის დაწესების შემდეგ (იხ. მე-6 პუნქტი).

წპკ-ს სურს მიეწოდოს ინფორმაცია უშიშროების სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსევის იზოლატორის გამოყენების სამომავლო გეგმების შესახებ.

<u>გ. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

53. **წპკ**-ს მეორე პერიოდული ვიზიტის დროს პირველად იქნა მონახულებული ბათუმის №3 დაწესებულება (წინასწარი პატიმრობისა და ერთადერთი სასჯელაღსრულების დაწესებულება აჭარის ტერიტორიაზე) და მსჯავრდებულთა სამი დაწესებულება: თბილისის ქალთა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულება; ავჭალის არასრულწოვანთა დაწესებულება და რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება. გარდა ამისა, განმეორებითი ვიზიტები განხორციელდა თბილისის №5 საპყრობილეში (წინასწარი პატიმრობის ყველაზე დიდი დაწესებულება) და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

54. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ **წპკ** შეშფოთებულია საქართველოს პენიტენციალური სისტემის სხვადასხვა მიმართულებაში პროგრესის ნაკლებობით.

2001 წლის ვიზიტის დროს, ქვეყნის პენიტენციალური სისტემა ახალი გადასული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და აღნიშნულმა ცვლილებამ ჯერ შედეგი ვერ გამოიღო. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა ვითარებამ ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა ციხეებში არსებულ პირობებზე. **წპკ**-ს 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიში შეიცავდა რამდენიმე, მათ შორის სასწრაფოდ შესასრულებელ რეკომენდაციებს. კომიტეტი აღიარებს, რომ რიგი რეკომენდაციების შესრულებას შესაძლოა სჭირდებოდეს ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხების გამოყოფა, რაც აღემატება მთავრობის ფი-

ნანსურ შესაძლებლობებს; თუმცა, არის რეკომენდაციები, რომელნიც დიდ ფინანსურ ხარჯებს არ საჭიროებენ და მათი შესრულება დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი. სამწუხაროდ, მეორე პერიოდული ვიზიტისას გამოვლენილმა ფაქტებმა გამოააშკარავა, რომ 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში გაცემული ბევრი რეკომენდაცია შეუსრულებელია, ზოგიერთი მიმართულებით კი ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა.

55. 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს დელეგაციას აცნობეს შემაშფოთებელი ფაქტი: საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პატიმართა რაოდენობა 2004 წლის იანვრის შემდეგ გაიზარდა 700 პირით, რაც ოთხი თვის მანძილზე წარმოადგენს 10%-იან ზრდას. პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა რაოდენობა იყო 7 000, აქედან 40% - ბრალდებული. ქვეყნის მასშტაბით წინასწარი პატიმრობის ყველაზე დიდი გადატვირთულობას მიაღწია თბილისის №5 დაწესებულებამ, ამავე დროს, მცირე გამონაკლისების გარდა, ციხეში არსებული ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაში იყო, რამდენიმე შენობა კი გამოსაყენებლად უვარგისი. შესაბამისად, ბევრ დაწესებულებაში არსებული პირობები უხეშად არღვევდა საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობათა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს.

56. **წპკ**-ს დელეგაციას აცნობეს, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მიღებული იყო სხვადასხვა ზომები. პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა გაეფართოვებინა და გაერემონტებინა პენიტენციალური სისტემის ინფრასტრუქტურა. რუსთავში ახალი ციხის (№6 დაწესებულება) მშენებლობის დასრულების დაფინანსებისათვის მთავრდებოდა მოლაპარაკების პროცესი საქართველოსა და ევროკავშირს შორის. იუსტიციის მინისტრის განცხადების თანახმად, აღნიშული დაწესებულების ლიმიტი იქნებოდა 1000-და 1200-მდე; თუმცა, ევროკავშირის მონაცემების მიხედვით ლიმიტი არ უნდა ასცდენოდა 820-ს. **წპკ-ს სურს მიიღოს დეტალური ინფორმაცია რუსთავის №6 დაწესებულებასთან დაკავშირებით, კერძოდ: მისი მომავალი ლიმიტი; თითოეული პატიმრისათვის გათვალისწინებული ფართი; იქ მოსათავსებელ პირთა კატეგორია; პატიმრებისათვის განსაზღვრული აქტივობების პროგრამა და თანამშრომლების რესურსთან დაკავშირებული საკითხები**.

57. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრთან და გენერალური პროკურორის მოადგილესთან შეხვედრისას დელეგაციას აცნობეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რათა შემცირდეს წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის ზღვარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ხანგრძლივობზე ლიმიტის დაწესებით. ასევე, გადაიდგა ნაბიჯები პრობაციის სისტემის განვითარებისათვის. თუმცა, დელეგაციის თანამოსაუბრებმა აქვე აღნიშნეს, რომ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პატიმრობის ალტერნატიული საშუალებები ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა.

წპკ-ს სურს აღნიშნოს, რომ სხვა ქვეყნების გამოცდილების თანახმად, დამატებითი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ყოველთვის არ წყვეტს გადატვირთულობის პრობლემას. რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ შეიმუშავა დაწესებულებათა მშენებლობის პროგრამები იმისათვის, რომ უზრუნველყოს პატიმართა ზრდისა და დაწესებულებში საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის გაფართოების პროპორციულობა. თუმცა, ციხეებში პატიმართა რაოდენობის სათანადო დონეზე შენარჩუნებისათვის გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა იმ ქვეყნების პოლიტიკა, სადაც იზრუნეს ციხეში გასაგზავნ პირთა რაოდენობის შემცირებასა თუ დარეგულირებაზე.

წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები ციხეებში გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად. ციხეში მოსათავსებელ პირთა რაოდენობის შემცირებისა თუ რეგულირების პოლიტიკის ჩათვლით. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ციხის გადატვირთულობისა და ციხის პოპულარიზაციის შემცირების შესახებ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის No.R(99)22 რეკომენდაციაში, ასევე პირობით გათავისუფლების (პირობით ვადამდე გათავისუფლების) შესახებ № Rec(2003)22 რეკომენდაციაში დაწესებული პრინციპები და ზომები.

58. **წპკ**-ს დელეგაციის მიერ აღნიშნული და საქართველოს მთავრობის მიერ წამოწეული კიდევ ერთი პრობლემა ეხებოდა პატიმრებისათვის გათვალისწინებულ აქტივობათა პროგრამების კუთხით შექმნილი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში პატიმართა მხოლოდ 10% არის დასაქმებული. დელეგაციის მიერ მონახულებულ მჯავრდებულთა დაწესებულებებში, პატიმრებისათვის არ არის უზრუნველყოფილი დასაქმება, განათლების მიღება, პროფესიული ტრენინგები ან სპორტული ღონისძიებები. გამონაკლისს წარმოადგენდა ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულება, სადაც პატიმრები იღებდნენ განათლებას. რაც შეეხება წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებს, იქ ნორმად ითვლებოდა საკნისგარე აქტივობების სრული არარსებობა.

პატიმრებისათვის სხვადასხვა სახის მიზანმიმართული და სასარგებლო აქტივობების უზრუნ-

ველყოფა (დასაქმება, სასურველია პოფესიული კუთხით; განათლება; სპორტი; გართობა/კომუნიკაცია) სოციალური რეაბილიტაციის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. გარდა ამისა, ბრალდებულებიც უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი დასაქმებაზე ხელმისაწვდომობითა და სხვა პროგრამული აქტივობებით. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკურ ვითარებაშიც კი, პატიმართა დასაქმება არ უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ საბაზრო მოთხოვნილბებით; ამისათვის უნდა შემუშავდეს აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ხელს შეუწყობს ციხეში წარმოებული პროდუქტებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექნას. პატიმრებისათვის ასევე შეთავაზებული უნდა იყოს საქმიანობის ფართო არჩევანი, სადაც ისინი მოხალისეებად იმუშავებენ ანაზღაურების გარეშე.

წპკ-ს რეკომენდაციაა, მიღებულ იქნას კონკრეტული ზომები, რათა მსჯავრდებული და ბრალდებული პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იყოს დასაქმება. გარდა ამისა, კომიტეტის რეკომენდაციაა, გადაიდგას ნაბიჯები სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგების პროგრამების შემუშავების მიზნით.

59. მორიგი საკითხი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს პენიტენციური სისტემაზე, არის ციხის პერსონალის მდგომარეობა. მონახულებულ დაწესებულებათა უმეტესობაში შეინიშნებოდა პერსონალის უკმარისობა (იხ. 130-ე პუნქტი). იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა გამოთქვეს თავიანთი წუხილი სათანადო კომპეტენციის თანამშრომელთა დასაქმებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემის გამო, რაც გამოწვეული იყო დაბალი ხელფასებით, რომლებიც მნიშვნელოვანი დაგვიანებით გაიცემოდა. გარდა ამისა, ახალადსაქმებულთათვის პრაქტკულად არ იყო უზრუნველყოფილი ტრენინგები (იხ.133- პუნქტი). გარდა ამისა, თანამშრომელთა სამუშაო პირობები ძნელად თუ განსხვავდებოდა პატიმართა პირობებისგან, რომელიც ხშირად არასათანადო იყო. შედეგად, აღნიშნული სამსახური დაბალპრესტიჟულად ითვლბოდა და საკმაოდ რთული იყო თანაშრომელთა სულისკვეთების შენარჩუნება და მათი გადინების შეჩერება.

თუ ციხის პერსონალი დაბალანაზღაურებადია და ცუდად გაწვრთნილი, არარეალურია ელოდო, რომ ისინი შეძლებენ პატიმრებში პატივისცემის მოპოვებას. **წპკ რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, მიანიჭოს პრიორიტეტი ციხის პერსონალისათვის უკეთესი პირობების შექმნისა და მათთვის ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფას**.

60. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დროს, **წპკ**-ს დელეგაციას აცნობეს, რომ მზადების პროცესში იყო პატიმრობის ახალი კოდექსი, რომელიც განხილვაზე გამოტანილი იქნებოდა 2004 წლის იანვარში. **წპკ-ს სწამს, რომ წინამდებარე ანგარიშში გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები მხედველობაში იქნება მიღებული ახალი კოდექსის შემუშავებისას**.

გარდა ამისა, **წპკ**-სადმი 2004 წლის 24 ივნისით დათარიღებულ წერილში, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ჩამოაყალიბა პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის ძირითადი პრინციპები. გეგმის მიზანია, ინტერ ალია, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, ციხის ადმინისტრაციის რაციონალიზაცია, პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა წვრთნა, პატიმართათვის რეჟიმების შემუშავება და პატიმრობის ალტერნატიული საშუალებების განხორციელება. რეფორმის ძირითადი ელემენტების დასრულება დაგეგმილია 2005 წლის ოქტომბრისათვის. **წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხების განხორციელების პროგრესის შესახებ**.

2. არასათანადო მოპყრობა

61. **წპკ**-ს დელეგაციას არ მოუსმენია მონახულებულ დაწესებულებებში საჩივრები სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა პატიმართა მიმართ წამებისა ან სხვა რაიმე ფორმის არასათანადო მოპყრობის შესახებ. ზოგადად, თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის დამოკიდებულება არ იყო დაძაბული. რაც შეხება კონკრეტულად თბილისის ქალთა №5 დაწესებულებას, დელეგაციამ შენიშნა დადებითი ურთიერთობების არსებობა თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის.

62. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და თბილისის №5 საპყრობილეში, პერსონალის ნაკლებობა და პატიამრთა საცხოვრებელ შენობებში მომუშავე პეროსნალის პროპორციულად მცირე რაოდენობა ართულებს არსებული სიტუაციის კონტროლს და ზრდის პატიმართა შორის ძალადობის რისკს. ციხის თანამშრომლები იზიარებენ აღნიშნულ პრობლემას და ცდილობენ მის პრევენციას პატიმართა მიღებისას, პოტენციურად საშიში პატიმრების გამოვლენითა და მათი განცალკევების გზით, ასევე აღრიცხავენ ძალადობრივ შემთხვევებსა და პატიმართა მიერ მიღებულ დაზიანებებს.

მიუხედვად ამისა, დელეგაციის დაკვირვებებმა აჩვენა, რომ პატიმართა შორის არაფორმალური ძალაუფლებების მქონე სტრუქტურის არსებობა, რომელიც დაწესებულების შიგნით აკონ-

ტროლებს ვითარებას, ზრდის გამოძალვისა და დაშინების შემთხვევებს. ამგავრი სტრუქტურების არსებობა შეინიშნებოდა ყველა დაწესებულებაში, ქალთა დაწესებულების გარდა. აღნიშნულ სტრუქტურებს მიკუთვნებული პატიმრები სარგებლოდნენ უკეთესი მატერიალური პირობებით და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ციხის ტერიტორიაზე.

წპკ-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ პატიმართა შორის დაშინებისა და გამოძალვის პრაქტიკა ვერ მოგვარდება სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების მიერ ვითარებაზე კონტროლის დაწესების გარეშე. აუცილებელია, რომ თანამშრომლებს დაევალოთ, ყურადღებით მოეკიდონ ძალადობის ნიშნების გამოვლენას და რაც შეიძლება საწყის ეტაპზე მოახდინონ მტკიცე და ეფექტური ჩარევა. ეს მოითხოვს პატიმართა ქცევაზე მუდმივ დაკვირვებას (შესაძლო მოძალადეებისა და მსხვერპლის გამოვლენის ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში - სწორ მოხსენებასა და ანგარიშგებას პატიმართა შორის დაშინების/ძალადობის დადასტურებული ან საეჭვო შემთხვევებისა და ინციდენტების საფუძვლიანი გამოძიების შესახებ. გარდა ამისა, ციხის პერსონალი ვერ უზრუნველყოფს პატიმართა დაცვას თუ მათ თვითონ აქვთ შიში საკუთარი უსაფრთხოების გამო. ეს კი გულისხმობს, რომ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ მათ ერთმანეთს დახმარება გაუწიონ პატიმრებზე ზედამხედველობის განხორციელებისას.

წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით მიიღოს ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული პატიმპრთა შორის ექსპლუატაცია, დაშინება და ძალადობა.

63. მიუხედავად მიზანმიმართული არასათანადო მოპყრობის არარსებობისა, **წპკ**-მ უნდა აღნიშნოს, რომ თბილისის №5 საპყრობილის პატიმართა დიდი უმრავლესობა განიცდიდა ნეგატიური ფაქტორების ერთობლიობის ზეგავლენას - გადატვირთულობის მაღალი დონე, სავალალო საცხოვრებელი პირობები და ჰიგიერნის დაცვის ხარისხი, რეჟიმით გათვალისწინებულ აქტივობათა არარსებობა - რომლის ეფექტიც საბოლოო ჯამში უტოლდება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ანალოგიური ვითარება იყო რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესეულებაში.

3. დაკავების პირობები

ა. თბილისის №5 საპყრობილე

64. თბილისის №5 საპყრობილე, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდი წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაა, **წპკ**-მ პირველად მოინახულა 2001 წელს და ვიზიტის შემდეგ ანგარიშში გასცა რამდენიმე სასწრაფო რეკომენდაცია (იხ. 74-81-ე პუნქტები, CPT/Inf(2001)14). წინამდებარე ანგარიშში აღწერილია ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შედეგად მიღწეული პროგრესი და სამომავლოდ გადასადგმელი ნაბიჯები.

65. 2003 წლის ნოემბერში, №5 საპყრობილეში იმყოფებოდა 1 825 პატიმარი, რაც რაოდენობრივად უტოლდება 2001 წელს არსებულ ვითარებას (1 855 პატიმარი). **წპკ**-ს ვიზიტის გაგრძელებისას 2004 წლის მაისში, დაწესებუელბაში მოთავსებულ პატიმართა რიცხვი გაიზარდა 22%-ით და მიაღწია 2 222-ს (აქედან 68 იყო ქალი პატიმარი, ხოლო 66 - არასრულწლოვანი). მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ოფიციალურ ლიმიტად მითითებული იყო 2 020, დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია, რომ აღნიშნული მონაცემი საბჭოთა კავშირის დროინდელი იყო და დაწესეულების ამჟამინდელი რეალური ლიმიტი იყო 1 500.

იმისათვის რომ გამკლავებოდნენ გადატვირთულობის მაღალ დონეს, გადაწყდა №5 საპყრობილისა და იქვე მდებარე №1 დაწესებულების (დახურული ტიპის მკაცრი რეჟიმის დაწესებულება მსჯავრდებულ პატიმართათვის) გაერთიანება და ამ უკანასკნელში განაჩენის მოლოდინში მყოფი პატიმრების გადაყვანა. ინფორმაციის თანახმად, ამჟამად გადაყვანილ იქნა 400 პატიმარი. გადაყვანის მოსამზადებელი პროცესი მიმდინარეობდა 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს.

66. დელეგაციამ გამოავლინა, რომ წითელი ჯვრის საერთშორისო კომიტეტის დახმარებით გახსნილი ახალი საკარანტინე განყოფილების გარდა, №5 საპყრობილეში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები გაუარესდა, რადგან იგი არ გარემონტდა 2002 წლის აპრილის მიწისძვრის შემდეგ და არ მომარაგებულა აღჭურვილობით, სხვადასხვა ნივთიერებითა და საშუალებებით.

ახალი საკარანტინე განყოფილება მდებარეობდა ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე და შედგებოდა 4 ოთახისაგან, რომელიც იტევდა 60 პატიმარს. ძველ საკარანტინე განყოფლებასთან შედარებით იქ გაუმჯობესებული პირობები იყო, პირველ როგში ფანჯრებზე გისოსების არარსებობის გამო. თუმცა, საკნებში უკვე სავალალო ვითარება იყო (ფანჯრების ჩამსხვრეული შუშები, დამტვრეული ავეჯი, დახეული თეთრეული, ჭუჭყიანი სანიტარული კვანძები) და ისინი არ თბებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დელეგაციის ვიზიტის დროს იქ 40 პატიმარი იმყოფებოდა,

გადატვირთულობის პრობლემა იშვიათად ნამდვიად არ იქნებოდა (მაგ. ზოგჯერ პატიმართა რაოდენობა 80-ს აღწევდა).

67. 2001 წლის ვიზიტის დასასრულს **ნპკ**-ს დელეგაციამ სთხოვა საქართველოს მთავრობას, მიეღო ზომები, რათა გამოყენებისათვის გაეუქმებინა საპატიმროს მთავარი ბლოკის სარდაფში განთავსებული ყველა საკანი (საკარანტინე, გადასაყვანი და დისციპლინური დასჯის საკნები). აღიშნული ზომები მალევე იქნა მიღებულ 2001 წლის ვიზიტის შემდეგ. თუმცა, №5 საპყრობილეში პატიმართა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემდეგ, საჭირო გახდა აღნიშნული საკნების ხელმეორედ გამოყენება. 2004 წლის მაისში, სარდაფის საკნებში იმყოფებოდა 170 პატიმარი (ახალმიღებული პატიმრები, მათი დაცვის მიზნით განცალკევებული და გადაყვანის მოლოდინში მყოფი პატიმრები). საკნები იყო ბნელი, ნესტიანი, საშინლად ბინძური და ცუდი ვენტილაციით. გარდა ამისა, ზოგიერთ საკანში პატიმრები იყოფდნენ საწოლებს.

68. საპატიმროს მთავარი კორპუსის სხვა სართულებზე პირობები კვლავ ცუდი იყო. საერთო საკანთა უმრავლესობა გადატვირთული იყო და თითოეულ პატიმარზე საცხოვრებელი ფართის 1მ^2 მოდიოდა. ხშირად, პატიმართა რაოდენობა საწოლების რაოდენობას აჭარბებდა, რაც აიძულებდა პატიმრებს ორ-ორი ან სამ-სამი ცვლით დაეძინათ ღამე (მაგ 45 მ^2 ფართისა და 28 საწოლიან საკანში მოთავსებული იყო 46 პატიმარი). სიტუაცია გამწვავებული იყო ცუდი ვენტილაციითა და ბუნებრივი შუქის სიმცირით, რასაც იწვევდა ფანჯრებზე დამაგრებული რკინის დარაბები. ამასთან დაკავშირებით დელეგაციას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საკნების ფანჯრებიდან რკინის დარაბების მოხსნის გეგმა (რაც რეკომენდებული იყო **ნპკ**-ს 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში) ვერ შესრულდა ფინანსური სახსრების სიმცირის გამო. სრულიად არასათანადო მდგომარეობაში იყო სანიტარული კვანძებიც: 50-მდე პატიმარს უწევდა საერთო საკანში არსებული ერთი, ნახევრად დანგრეული და ბინძური საპირფარეშოთი სარგებლობა. გარდა ამისა საკნები არ თბებოდა და მთელს საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებული ღია ელექტრული გაყვანილობა ქმნიდა უბედური შემთხვევების საფრთხეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა პატიმარმა ზემოაღნიშნულ სავალალო პირობებში გაატარა ორწელწადნახევარი.

69. 2002 წლის აპრილში მომხდარი მოწისძვრის შემდეგ, არასრულწლოვანი პატიმრები გადაიყვანეს საპატიმროს მთავარ კორპუსში. დელეგაცია წუხილით აღნიშნავს, რომ 2001 წლის შემდეგ, არასრულწლოვანთა დაკავების პირობები გაუარესდა. იმ დროისათვის არასრულწლოვანი ქალპატიმრებისთვის განკუთვნილი განყოფილება, ცალკე შენობაში იყო მოთავსებული, სადაც საკნები კარგად იყო მოწყობილი და თითოეული პატიმარი უზრუნველყოფდა 4.7მ^2 საცხოვრებელ ფართს. 2004 წლის მაისში, არასრულწლოვნები მოთავსებულნი იყვნენ საპატიმროს მთავარი კორპუსის მე-3 ფლიგელში, ოთხ ძალიან გადატვირთულ საკანში (მაგ. 23 პატიმარი მოთავსებული იყო 30მ^2 ფართობის საკანში, სადაც მათ უწევდათ საწოლების გაყოფა), რომელიც იყო ბნელი, გადატვირთული, ნესტიანი და მძიმე სარემონტო მდგომარეობაში.

70. ცალკე მდგომი შენობა, სადაც მოთავსებულნი იყვნენ ქალი პატიმრები (ასევე - სამედიცინო სამსახურიც) იმდენად დაზიანდა 2001 წლის მიწისძვრის დროს, რომ მისი ნაწილის გამოყენება შეუძლებელი იყო. შენობის გამოყენებული ნაწილში არსებული პირობები სიცოცლისათვის საფრთხეს წარმოადგენდა: ჭერი, იატაკი ვარდებოდა და გამაგრებული იყო არმატურით. 2001 წლის მსგავსად, საკნებში არ არსებობდა სანიტარული კვანძები, თუმცა, საერთო საპირფარეშო ხელმისაწვდომი იყო მოთხოვნისთანავე. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ პატიმარს ჰქონდა ინდივიდუალური საწოლი და მათ ჰქონდათ კვირაში ერთხელ შხაპის მიღების შესაძლებლობა (2001 წელს შხაპის მიღება ორ კვირაში ერთხელ იყო შესაძლებელი).

71. ქალ პატიმართა საცხოვრებლად გამოყენებული შენობის პირველ სართულზე განლაგებულ და მე-6 ფლიგელში არსებული დაკავების პირობები სხვებთან შედარებით უკეთესი იყო. არასრულწლოვანთა საპატიმროს მთავარ ბლოკში გადაყვანის შემდეგ, ეს განყოფილება გადაკეთდა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მოსათავსებლად. 2004 წლის 13 მაისს იქ იყო მოთავსებული 68 პატიმარი, რომელიც გადანაწილებული იყო 18 საკანში. თითოეული პატიმრისათვის გამოყოფილი ფართი გაცილებით დიდი იყო (მაგ 18მ^2 ფართობის საკანში 5 პატიმარი იყო მოთავსებული), ყველა ჰქონდა თავისი საწოლი, უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათების ხელმისაწვდომობა და ვენტილაცია, საკნების ზოგადი მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელი იყო.

72. საკვებთან დაკავშირებული ვითარება არ შეცვლილა 2001 წლის შემდეგ. პატიმრები, პრაქტიკულად, დამოკიდებულნი იყვნენ მათი ოჯახის წევრების მიერ მიწოდებულ საკვებზე.

გარდა ამისა, 2001 წლის მსგავსად, პატიმრებს არ იყვნენ მომარაგებულნი პირადი ჰიგიენის ნივთებით და არ არსებობდა სამრეცხაო. დაწესებულება არ ასრულებდა პატიმრების საწოლის

თეთრეულით უზრუნველყოფის ვალდებულებას და პატიმრებს ფაქტიურად „ჩვრებში" ეძინათ.

73. გარდა იმისა, მსჯავრდებულები დაწესებულებაში იყვნენ დასაქმებულნი, არცერთი პატიმრისათვის არ იყო უზრუნველყოფილი რაიმე სახის აქტივობა. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დროს, დელეგაციამ დაადგინა, რომ შაბათ-კვირის დღეებში არ იყო შესაძლებელი სუფთა ჰაერზე გასეირნება და ვარჯიში, ხოლო კონკრეტული კატეგორიის პატიმრებს (მაგ კარანტინში ან დისციპლინური ზომის სახით სამარტო საკანში მოთავსებული პირები) საერთოდ არ ჰქონდათ მასზე ხელმისაწვდომობა. 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს იმდენად დაბალ ზღვარს მიაღწია პატიმრებისა და პერსონალის რაოდენობის თანამფარდობამ, რომ პატიმრებისთვის ფაქტიურად არ იყო უზრუნველყოფილი სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებით სარგებლობა.

74. როგორც უკვე აღინიშნა, (იხ.მე-11 პუნქტი), 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დასასრულს დელეგაციამ თბილისის №5 საპყრობილესთან დაკავშირებით წარადგინა სამი შენიშვნა, რომელიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს და მოითხოვა საქართველოს ხელისუფლებისაგან შემდეგი: (I) ქალ და ავადმყოფ პატიმართათვის გათვალისწინებული შენობიდან (სადაც სიცოცხლისათვის საშიში პირობებია) ყველა პატიმრის გადაყვანა სხვა, მეტად უსაფრთხო შენობაში; (II) პატიმრობის მთავარი შენობის საძირკველში მდებარე ყველა საკნის დალუქვა და მათი გამოყენების აკრძალვა (სამარტოო საკნებისა და „კარცერის" ჩათვლით); (III) საკარანტინე განყოფილებასა და დისციპლინურ სამარტოო საკნებში მოთავსებული პატიმრებისათვის ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უზრუნვლყოფა, დღეში სულ მცირე ერთი საათით.

2004 წლის მაისში ვიზიტისას, ნანახი დაუარესებული ვითარების გამო, დელეგაციამ კვლავ წარადგინა ზემოხსენებული შენიშვნები და დამატებით მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები იმისათვის რომ: (i) არასრულწლოვანი პატიმრები გადაყვანილ იქნენ სათანადო პირობებითა და აქტივობათა დღის წესრიგით უზრუნველყოფილ დაწესებულებაში; (II) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პერსონალთან დაკავშირებული ვითარება და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი რაოდენობის თანამშრომელთა დასაქმება დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

75. 2004 წლის ვიზიტის დასასრულს გამართული შეხვედრისას, იუსტიციის მინისტრმა აღიარა რომ №5 საპყრობლე არ აკმაყოფილებდა არცერთ უმნიშვნელოვანეს სტანდარტს; თუმცა, განაცხადა, რომ ვითარების გამოსწორება შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსთავის №6 დაწესებულების მშენებლობის დასრულების შემდეგ. მანამდე კი, იგეგმებოდა №5 საპყრობილედან ქალ და არასრულწლოვან პატიმართა გადაყვანა შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თბილისში, და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, №5 და №1 დაწესებულებების გაერთიანებას ხელი უნდა შეეწყო გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრისათვის (პირველი დაწესებულებიდან მეორეში პატიმართა გადაყვანის ხარჯზე); თუმცა ეს მხოლოდ დროებითი გამოსავალია.

2004 წლის 24 ივნისით დათარიღებული წერილით საქართველოს ხელისუფლებამ **წპკ**-ს მიაწოდა ინფორმაცია თბილისის №5 საპყრობილესთან დაკავშირებით გადაუდებელი შენიშვნების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. პასუხის თანახმად, სარდაფში განლაგებული საკნების გამოყენება და გადატვირთულობის პრობლემა მოიხსნება, როგორც კი გაიხსნება რუსთავის ციხე. ამასთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, რომ სამშენებლო სამუშაოების, თანამშრომელთა აყვანისა და ტრენინგის დასრულება იგეგმება 2005 წლის მარტში, ხოლო ციხის გახსნა - 2005 წლის აპრილში. გარდა ამისა, ინფორმაციის თანახმად, დამატებით აყვანილ იქნენ თანამშრომლები, რათა პატიმრებს საშუალება მიეცეთ ისარგებლონ სხვადასხვა აქტივობებზე ხელმისაწვდომობით. რაც შეეხება ქალ პატიმართა გადაყვანას, ის განხორციელდება ქალთა წინასწარი პატიმრობისთვის განკუთვნილი განყოფილების რემონტის დასრულებისთანავე.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ გადადგას ნაბჯები, რათა თბილისის №5 საპყრობილეში უზრუნველყოფილი იყოს შემდეგი:

– თითეულ პატიმარს ჰქონდეს თავისი საწოლი;

– საკნების ფანჯრებიდან რკინის დარაბების ჩამოხნა, რათა პატიმართა საცხოვრებელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის ხელმისაწვდომობა;

– ქალ და არასრულწლოვან პატიმართა გადაყვანა შესაბამის ქალთა პენიტენციურ დაწესებულებასა და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში;

– ერთხელ და სამუდამოდ საპატიმროს მთავარი ბლოკის სარდაფში არსებული საკნების გაუქმება;

– ყველა პატიმრისათვის დღეში არანაკლებ ერთი საათით სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებით სარგებლობა.

რაც შეეხება ციხის პერსონალს, აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია იხილეთ 130-ე პუნქტში.

ბ. ბათუმის №3 დაწესებულება

76. ბათუმის №3 დაწესებულება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული ერთადერთი დაწესებულებაა აჭარის ტერიტორიაზე. თავდაპირველად ის იყო წინასწარი პატიმრობის დაწესებულება, სადაც თავსდებოდნენ ბრალდებული პირები აჭარისა და მიმდებარე გურიის რეგიონიდან. თუმცა, შემდგომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშულ დაწესებულებაში სამომავლოდ მკაცრი რეჟიმის განყოფლების გახსნა მსჯავრდებული პატიმრებისთვის.

ციხეს უკავია 1914 წელს აშენებლი კადეტთა სკოლის შენობა და განლაგებულია ბათუმის მთიან ნაწილში, ციცაბო გზის ბოლოს, რომელიც ორმოებით არის სავსე. 250 კაცის ლიმიტის მქონე დაწესებულებაში, ვიზიტის პირველ დღეს იმყოფებოდა 139 პატიმარი, მათ შორის 3 ქალი და 4 არასრულწლოვანი. პატიმართა 40%-ის საქმებზე მიმდინარეობდა გამოძიება, 25% ელოდებოდა განაჩენს, ხოლო დანარჩენები უკვე მსჯავრდებულნი იყვნენ და ელოდებოდნენ ან გასაჩივრებას, ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანას. გარდა ამისა, დაწესებულებაში 8 პატიმარი იხდიდა სასჯელს და იქვე ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოს.

77. დაწესებულების საყოფაცხოვრებო პირობები მრავალ ასპექტში იყო უკეთესი თბილისის №5 დაწესებულებაში არსებულთან შედარებით. პატიმართა რაოდენობა ოფიციალურ ლიმიტს არ აღემატებოდა და რამდენიმე მრავალადგილიანი საკნის გარდა, პრაქტიკულად არ შეინიშნებოდა გადატვირთულობის პრობლემა (მაგ, 7 მამაკაცი პატიმარი მოთავსებული იყო 32 $მ^2$ ფართობის საკანში). თუმცა, დაწესებულებას სრული დატვირთვით რომ ემუშავა, საკმაოდ გადატვირთული იქნებოდა (მაგ. 38 $მ^2$ ფართობის ოთახში, სადაც 24 საწოლი იდგა, ვიზიტის დროს იმყოფებოდა 12 პატიმარი).

ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო საკნების ფანჯრებზე დამაგრებული რკინის დარაბები, რომელნიც ხელს უშლიდნენ საკანში ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის შეღწევას. პატიმართა თანახმად, ზაფხულში საკნებში გაუსაძლისად ცხელა. იმისათვის, რომ მოხდეს ცუდი ვენტილაციის კომპენსირება, თანამშრომლები ნებას რთავენ პატიმრებს, ღიად დატოვონ საკნის კარის სარკმელები, თუმცა ეს მხოლოდ დროებითია. რაც შეეხება ხელოვნურ განათებას, ის ზოგადად ნორმალური იყო, თუმცა დენი ხშირად ითიშებოდა. საკნები არ თბებოდა და პატიმრები საჭმლის მომზადებისა და გათბობისათვის იყენებდნენ ელექტრო-გამათბობლებს.

საკნებში იყო ერთადგილიანი საწოლები (ბევრი მათგანი არ იყო დაკავებული და იკავებდა საკანში არსებულ სივრცეს), მაგიდა, ძელსკამები და სკამები. ყველა საკანში იყო საპირფარეშო და ხელის დასაბანი ნიჟარა, რომელნიც ფარდით იყო გადატიხრული. პატიმრებს ციხე უზრუნველყოფდა ლეიბებითა და საბნებით, ხოლო თეთრეულს, პირსახოცებსა და პირადი ჰიგიენის ნივთებს მათ აწვდიდნენ ნათესავები ან გადაეცემოდათ ერთმანეთისგან.

78. საკნების უმეტესობა გასარემონტებელი იყო: კედლებიდან ცვიოდა ბათქაში, ჭერი ჩამონგრეული იყო, იატაკი დაზიანებული და ავეჯი - დამტვრეული. ფინანსების სიმცირის მიუხედავად, ციხის ხელმძღვანელობა ცდილობდა თანდათანობით გაერემონტებინა საკნები. დელეგაციას აჩვენეს ერთი ახალგარემონტებული საკანი, სადაც საკმაოდ კარგი პირობები იყო; კერძოდ, საკნების ფანჯრები გადიდებული, რკინის დარაბები - მოხსნილი, სანიტარული კვანძი კი სრულად გადატიხრული იყო. მსგავსი სამუშაოები მიმდინარეობდა სხვა საკნებშიც.

79. მამაკაც პატიმრებს შხაპის მიღების უფლება ჰქონდათ ორ ან სამ კვირაში ერთხელ, ხოლო ქალ პატიმრებს საკუთარ საკანებში ჰქონდათ საგანგებო შხაპები მოწყობილი, რომლითაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ სარგებლობა. დაწესებულებაში იყო ორი ახალგარემონტებული საშხაპე ოთახი (6 და 8 საშხაპე წერტილითა და გამოსაცვლელი ოთახით), რომელიც სუფთა და მოწესრიგებული იყო. თუმცა, გაირკვა, რომ ხშირად ჰქნდათ წყლის მიწოდების პრობლემა.

80. გასაუბრების დროს პატიმართა ნაწილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი საკვები არასაკმარისი და ცუდი ხარისხის იყო, ამიტომ ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ ოჯახის წევრების მიერ მიწოდებულ საკვებსა და პროდუქტებს. პატიმრის კვებისათვის დღიურად გამოყოფილი თანხა იყო 1 ლარი. სტანდარტული დიეტური ულუფა შეიცავდა ფაფას, ბოსტნეულის წვნიანს ან ჩაშუშულს და იშვიათად - დაკონსერვებულ ხორცს. პატიმრებს არ მიეწოდებოდათ რძის პროდუქტი და ხილი.

სამზარეულო პრიმიტიულად იყო მოწყობილი, მაგრამ იყო სუფთა.

81. რაც შეეხება აქტივობათა რეჟიმს, დელეგაცია მოხარული იყო, რომ პატიმრები სარგებლობდნენ ყოველდღიური გასეირნების უფლებით, სულ მცირე ერთი საათით. თუმცა, 7 სასეირნო ეზო ძალიან პატარა იყო (18 – 34 $მ^2$) და დამთრგუნველად მოწყობილი; ეზოები გარშემორტყმული

იყო მაღალი კედლებით, რომელთა თავზე იყო მავთულხლართები და არ იყო არც სკამი, არც სხვა რაიმე მოწყობილობა.

სამზარეულოში, საქვაბეში და სხვა სამეურნეო სამუშაოზე დასაქმებული 8 მსჯავრდებული პირის გარდა, არცერთი პატიმარი არ იყო დასაქმებული. გარდა ამისა, არ იყო უზრუნველყოფილი სხვა საკანგარე ღონისძიებები. შესაბამისად, პატიმრები სრულიად უსაქმოდ ატარებდნენ მთელ დღეს. პატიმართა ნაწილს ჰქონდა საკნებში ტელევიზორები; სხვები ერთობოდნენ სამაგიდო თამაშებით, წიგნის კითხვით (დაწესებულებას ჰქონდა პატარა ბიბლიოთეკა) და რადიოს მოსმენით.

ვიზიტისას დაწესებულებაში არ არსებობდა სპორტისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, თუმცა დელეგაციას აჩვენეს დიდი ოთახი, რომელიც რემონტდებოდა იმისათვის, რომ მოეწყოთ გადახურული სავარჯიშო დარბაზი.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანი პატიმრებისთვისაც არ იყო უზრუნველყოფილი არანაირი აქტივობა და ღონისძიებები, თუმცა ზრდასრულებისგან განსხვავებით, მათ სუფთა ჰაერზე გასეირნება შეეძლოთ 2 საათის განმავლობაში.

82. ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, **წპკ რეკომენდაციით, ბათუმის №3 დაწესებულებაში უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილი იყოს:**

– პირველ რიგში, რკინის დარაბების მოხსნა ყველა საკნის ფანჯრიდან;

– საკნებში მოთავსებულ პატიმართა რაოდენობის თანდათანობით შემცირება, რათა თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს 4 m^2 საცხოვრებელი ფართი;

– საკვების ხარისხის გაუმჯობესება და რაოდენობის გაზრდა;

– უკვე გარემონტებული საკნის მსგავსად, სხვა საკნების გარემონტების გაგრძელება;

– პატიმართათვის შხაპის მიღებით სარგებლობა სულ მცირე კვირაში ერთხელ;

– პატიმრების აქტივობათა პროგრამის შემუშავება; პროგრამის მიზანი უნდა იყოს, რომ ყველა პატიმარი (ბრალდებულების ჩათვლით) დროის გონივრულ ნაწილის განმავლობაში საკანს გარეთ, სხვადასხვა მიზანმიმართული საქმიანობით იყოს დაკავებული. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სავარჯიშო დარბაზის დასრულების შემდეგ, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს მასზე ხელმისაწვდომობა (და არა მხოლოდ მსჯავდებულ პატიმრებს);

– არასრულწლოვანი პატიმრებისათვის მათი ასაკის შესაბამისი საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებები. ფიზიკური მომზადებამ აღნიშნული პროგრამის დიდი ნაწილი უნდა მოიცვას;

– სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა პატიმრებს შეეეძლოთ ფიზიკური განტვირთვა.

გ. ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულება

83. ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულება საქართველოში არსებული ერთადერთი დაწესებულებაა ქალ მსჯავრდებულთათვის. 1947 წელს აშენებულ ციხეს საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია თბილისის გარეუბანში. დაწესებულების ლიმიტია 320 პატიმარი, თუმცა **წპკ**–ს დელეგაციის ვიზიტის დროს იქ 85 ზრდასრული ქალი პატიმარი იმყოფებოდა,[16] რომელთაგან 17 იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე დსთ-ს ქვეყნებიდან. ყველა პატიმარი საერთო რეჟიმი იმყოფებოდა.

2002 წელს მომხდარი მიწისძვრით საკმაოდ დაზიანებული ციხე, საფუძვლიანი გარემონტების შემდეგ კვლავ გაიხსნა 2003 წლის მაისში. დელეგაციამ შენიშნა, რომ საყოფაცხოვრებო პირობები, ზოგადად, ძალიან კარგი იყო და გაოგნდა თანამშრომელთა პროფესიონალური დამოკიდებულებითა და პატიმრებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის გამო.

I. საყოფაცხოვრებო პირობები

84. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობა არ აღწევდა ლიმიტს. ვიზიტის დროს, პატიმრები მოთავსებულნი იყვნენ ორსართულიან საპატიმრო კორპუსში, რომელიც სამ განყოფილებად იყო დაყოფილი, სადაც თითოეულ მათგანში იყო დიდი საერთო საცხოვრებელი საკანი (320 – 370 m^2 ფართით), გართობისა და კომუნიკაციისათვის გამოყენებული ოთახი და სანიტარული კვანძი. თითოეულ საერთო საცხოვრებელ საკანში საწოლების რაოდენობა იყო 31-დან 50-მდე; თუმცა, საწოლების მხოლოდ ნახევარი იყო დაკავებული. საერთო საცხოვრებელ საკნებში იყო დიდი ფანჯრები, რომელნიც საკმაო რაოდენობის დღის შუქს უშვებდა; ასევე, სათანადოდ იყო უზრუნველყოფილი ვენტილაცია, ხელოვნური განათება და გათბობა. გარდა საწოლებისა, საკნებში იყო ინდივიდუალური ტუმბოები, სკამები, ავეჯი და ასევე იმ პატიმრებისათვის გამოყოფილი თეთრეული, ვისაც საკუთარი არ გააჩნდა, იყო ახალი და კარგი ხარისხის.

16 გარდა ამისა, ოთხი პირი გადიოდა მკურნალობას ციხის მთავარ ჰოსპიტალში, თბილისში.

ზოგადად, დაწესებულება იყო სუფთა, კარგად მოწყობილი და მოვლილი.

პატიმრებს შეზღუდვების გარეშე შეეძლოთ სანიტარული კვანძის გამოყენება და ყოველდღიურად შხაპის მიღება. კარგად იყო ორგანიზებული აბაზანის, საპირფარეშოებისა და სამრეცხაოს გამოყენება. გარდა ამისა, პატიმრებს მიეწოდებოდათ სხვადასხვა პირადი ჰიგიენის ნივთები და მათ არ სჭირდებოდათ აღნიშნული ნივთების თავად შეძენა.

85. დელეგაციას არ მიუღია საჩივრები საკვებთან დაკავშირებით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გასაუბრებისას პატიმართა უმრავლესობამ განაცხადა, რომ იკვებებოდნე ძირითადად ოჯახის წევრების მიწოდებული ან თავად მომზადებული საკვებით. დაწესებულებისათვის პროდუქტების მომარაგება ცენტრალიზებული იყო და თითოეულ პატიმარზე გამოყოფილი თანხა შეადგენდა 1.01 ლარს. დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია, რომ პატიმრებს იშვიათად მიეწოდებოდათ ხორცი, ცოცხალი ხილი ან ბოსტნეული.

სამზარეულო პატიმრებისათვის განკუთვნილი, იყო სუფთა და მოვლილი.

86. **წპკ** მიესალმება თბილისში ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კარგი პირობების შექმნისათვის გადადგმულ ნაბიჯებს; დაწესებულებას ყველა ასპექტში შეუძლია იყოს საქართველოში სამაგალითო. თუმცა, დასანანია, რომ უკანასკნელ ხანს ჩატარებული რემონტის შედეგად დიდი საერთო საცხოვრებელი ოთახები არ გაყვეს პატარა საკნებად, რაც პატიმრებისათვის უზრუნველყოფდა პირადი სივრცეს და უკეთეს გადანაწილებას ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. **წპკ ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილონ თბილისის ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უფრო მცირე ზომის საკნების გაკეთების შესაძლებლობა**.

II. აქტივობათა რეჟიმი

87. დღის განმავლობაში პატიმრებს შეუძლიათ თავსუფლად იმოძრაონ თავიანთ განყოფილებებში და გავიდნენ ეზოში, სადაც არის ხეები, სკამები, შადრევანი და ფრენბურთის მოედანი.

როგორც უკვე აღინიშნა, თითოეულ განყოფილებას აქვს თავისი გასართობი/კომუნიკაციის ოთახი, სადაც პატიმრებს შეუძლიათ ტელევიზორის ყურება, სამაგიდო თამაშებით გართობა დ ა.შ. დაწესებულებას ასევე აქვს თავისი ბიბლიოთეკა და პატარა სამლოცველო.

88. თუმცა, პატიმრების მხოლოდ მცირე ნაწილი (დაახლოებით 18%) იყო დასაქმებული. დასაწებულებას ჰქონდა სამკერვალო, სადაც დასაქმებული ჰყავდა 40-მდე პატიმარი. მოუხედავად ამისა, შეკვეთების სიმცირის გამო, ვიზიტისად იქ მხოლოდ 3 პატიმარი იყო დასაქმებული (ისინი სასჯელაღსრულების სისტემისთვის კერავდნენ ფორმებსა და თეთრეულს). დაწესებულებაში იყო ყვავილების სათბური, სადაც შესაძლებელი იყო 5 ადამიანის დასაქმება, მაგრამ ვიზიტის დროს იქ მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობდა. გარდა ამისა, 12 პატიმარი ასრულებდა სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს (სამზარეულოში დალაგება და ა.შ).

დაწესებულების სამკერვალო სკოლა პროფესიული სწავლებისათვის შესაძლებლობები იყო შეზღუდული. სკოლა არ გარემონტებულა და აშკარად არ გამოიყენებოდა.

89. დაწესებულებაში ახლახანს გაიხსნა სოციალური და რეაბილიტაციის ცენტრი, რომელშიც 20 პატიმრისთვის იყო უზრუნველყოფილი ფსიქოთერაპია და ოკუპაციური/შრომითი თერაპია. ცენტრში, რომელსაც მართავდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია დასაქმებული იყო სამი ფსიქოთერაპევტი და ერთი არტ-თერაპევტი. ფსიქოთერაპიული სეანსები მიმდინარეობდა კვირაში ორჯერ (ქართულ და რუსულ ენებზე), გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ინდივიდუალური ფსიქოთერაპევტის მომსახურებით სარგებლობა. ასევე, პატიმრებს ჰქონდათ ოკუპაციურ/შრომით თერაპიაში ჩართვის შესაძლებლობა პატარა, მაგრამ კარგად ორგანიზებულ კერამიკის კურსებზე ჩაწერით.

90. წპკ რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები თბილისის ქალთა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში აქტივობათა პროგრამის შემუშავებისათვის. საჭიროა თანამშრომლების მხრიდან მეტად პრაქტიული მიდგომის შერჩევა, რათა მეტი პატიმარი დაასაქმონ და ჩართონ სხვადასხვა ღონისძიებებში (კერძოდ, საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგები).

დ. არასრულწლოვანთა დაწესებულება, ავჭალა

91. ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულება მდებარეობს თბილისიდან 30 კმ-ის მანძილზე, ახლახანს გარემონტებულ შენობაში, რომელიც ადრე გამოიყენებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის მიერ. ეს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის განკუთვნილი ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში. დაწესებულების ლიმიტია 150 პატიმარი (დაანგარიშებულია თი-

თოეულ პირზე 2.5 მ^2 საცხოვრებელი ფართის გათვლის საფუძველზე); დელეგაციის ვიზიტს დროს იქ იმყოფებოდა 19 არასრულწლოვანი, რომელთა ასაკი იყო 16-დან 19 წლამდე. დაწესებულების ხელმძღვანელობის ინფორმაციით, იქ მოთასებულ პირთა რაოდენობას არ გადაუჭარბებია 26-სთვის.

I. საყოფაცხოვრებო პირობები

92. საყოფაცხოვრებო პირობები, ზოგადად, მისაღები იყო. პატიმრების საცხოვრებელი, უზრუნველყოფილი იყო დიდი ზომის საერთო საკანში (270 მ^2 ფართის), სადაც იყო 15 საწოლი და ერთ პატარა ოთახში (დაახლოებით 16 მ^2 ფართის), სადაც იყო ოთხი საწოლი. დიდი საერთო ოთახი იყო სუფთა და ჰქონდა კარგი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. თუმცა, ხელოვნური განათება იყო სუსტი; გარდა ამისა, ცენტრალური გათბობის არარსებობის გამო, ტემპერატურა იყო დაბალი (15^{0}C). გარდა საწოლებისა დიდი ზომის საერთო საკანში იყო ინდივიდუალური ტუმბოები და დასასვენებელი და გასართობი კუთხე, სადაც იყო მაგიდა, სკამები, ტელევიზორი და რადიო. ყველა პატიმარი იყო მომარაგებული ლეიბებითა და საბნებით, თუმცა პრობლემატური იყო საწოლის თეთრეულისა და ტანსაცმლის უზრუნველყოფა.

პატარა ოთახი, რომელიც გამოიყენებოდა დაცვის მიზნით არასრულწლოვნების განცალკევებისათვის, იყო უფრო თბილი, სათანადო განათებითა და ვენტილაციით. საკანში იყო ორი ორსართულიანი საწოლი, ტუმბოები, მაგიდა, სკამები, ტელევიზორი და რადიომოწყობილობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საწოლები არ იყო კარ მდგომარეობაში და სისუფთავის მხრივად ვითარება არ იყო დამაკმაყოფილებელი.

93. დელეგაციას არ მიუღია საჩივრები საპირფარეშოს ხელმისაწვდომობაზე. არასრულწლოვნებს შეეძლოთ საერთო საშხაპეებით სარგებლობა და თბილი შხაპის მიღება ყოველდღიურად. თუმცა, სანიტარული კვანძები სავალალო და არაჰიგიენურ მდგომარეობაში იყო. პირდარი ჰიგიენის საგნებთან დაკავშირებით იყო არადამაკმაყოფილებელი. ერთადერთი საგანი, რომელიც პატიმრებს მიეწოდებოდათ იყო საპონი და ისიც, პატიმრების ინფორმაციით - არასაკმარისი რაოდენობით.

დაწესებულებაში იყო მხოლოდ ერთი სარეცხი მანქანა, რომელიც ინფორმაციის თანახმად, ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან; შედეგად, არასრულწლოვნები თეთრეულსა და ტანსაცმელს ხელით რეცხავდნენ.

94. **წპკ**-ს შენიშვნები აქვს არასრულწლოვანთა საკვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. დაწესებულების დირექტორის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ დაცული იყო დღიური ნორმის კალორიულობა (2 700 კკალ ერთ პატიმარზე), საკვები არ აკმაყოფილებდა საკვები რაციონის მოთხოვნილებებს. დელეგაციამ არასრულწლოვნებისგანაც მოისმინა ჩივილი საკვებათან, განსაკუთრებით მის რაოდენობასთან დაკავშირებით და შენიშნა, რომ საკვებ რაციონში არ შედიოდა რძის პროდუქტები და ხილი.

95. 92-ე და 94-ე პუნქტებში მოცემული შენიშვნების თანახმად, **წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები, რომ ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესეულებაში უზრუნველყოფილ იქნას:**

– არასრულწლოვანთათვის საკმარისი რაოდენობის, ხარისხისა და მრავალფეროვნების საკვები;

– სათანადო ხელოვნური განათება, ყველა საცხოვრებელი საკნის გათბობა და სისუფთავის დაცვა;

– ყველა არასრულწლოვნის მომარაგება ნორმალური თეთრეულითა და შესაბამისი ტანსაცმლით;

– სანიტარული კვანძების რემონტი და მათი სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება;

– არასრულწლოვანთათვის საკმარისი რაოდენობის პირადი ჰოგიენური ნივთიერებისა და საწმენდი საშუალებებით მომარაგება;

96. გარდა ამისა, **წპკ**-ს აზრით, დიდი ზომის საერთო საკნები არ არის პატიმრების, განსაკუთრებით არასრულწლოვნების, მოთავსების დამაკმაყოფილებელი გზა სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე. ამგვარ საკნებში გაცილებით დიდია დაშინებისა და ძალადობის რისკი. გარდა ამისა, ასეთ საკნების პირობებში, ფაქტიურად შუძლებელია პატიმარი მოათავსო სათანადო რისკების გარეშე. **წპკ ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილონ ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში უფრო მცირე ზომის საკნების გაკეთების შესაძლებლობა**.

II. აქტივობათა რეჟიმი

97. დელეგაციას ძალიან მოეწონა დაწესებულებასთან არსებული სკოლა. სკოლას უძღვებოდ-

ნენ განთლების სამინოსტროს მიერ დასაქმებული მასწავლებლები და კვირის დღეებში ატარებდენ გაკვეთილებს დილის 8-დან შუადღის 2 საათამდე.

დღის განმავლობაში არასრულწლოვნებს შეეძლოთ დიდ ეზოში ყოფნა, სადაც იყო სკამები და გამწვანება. ასევე, გამოყოფილი იყო ადგილი ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებისთვის; თუმცა ვიზიტის დროს მათ არ ჰქონდათ ბურთები. გარდა ამისა, დაწესებულების გადახურული სავარჯიშო დარბაზი ფინანსური სახსრების ნაკლებობის გამო მოუწყობელი იყო.

გარდა რამდენიმე არასრულწლოვნისა, რომლებიც დამხმარე სამუშაოს ასრულებდნენ დალაგებისას და სასადილოში კერძების მომსახურებისას, პატიმრები არ იყვნენ დასაქმებულნი და მათთვის არ იყო უზრუნველყოფილი პროფესიული ტრენინგები. გარდა ამისა, სპეციალიზირებული პერსონალის არარსებობის გამო (ფსიქოლოგის ადგილი თავისუფალი იყო, ხოლო სოციალური მუშაკები საერთოდ არ იყვნენ), არ ტარდებოდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. სკოლის შედეგ, არასრულწლოვნებს ღონისძიებების პატარა არჩევანი ჰქონდათ და თავს ირთობდნენ ტელევიზორის ყურებით, რადიოს მოსმენით, წიგნების კითხვითა და სამაგიდო თამაშებით.

98. **ნპკ**-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვნებზე მზრუნველობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რათა შემცირდეს ხანგძლივი სოციალური გარიყულობის ნეგატიური ზეგავლენა. აღნიშნული მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას - სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალების ჩართვას (ფსიქოლოგების, პედაგოგებისა და სოციალური მუშაკების ჩათვლით), რათა არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებები დაკმაყოფილებულ იქნას უსაფრთხო საგანმანათლებლო და სოციო-თერაპიულ გარემოში. თაივსუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგანმანათლებლო, სპორტული, პროფესიული ტენინგები, გასართობი და სხვა მიზანმიმართული აქტივობების სრული პროგრამები. **ნპკ** რეკომენდაციაა, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების თანახმად, მიღებულ იქნას ზომები ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში აქტივობათა პროგრამის გამრავალფეროვნება.

ე. რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება

99. რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება განკუთვნილია მძიმე კატეგორიის დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა და რამდენიმეჯერ ნასამართლევ პირთათვის. ციხე მოქმედებს 1960 წლიდან და უკავია რუსთავის ყველაზე მიტოვებული გარეუბნის დიდი ტერიტორია. 1000 პატიმრის ლიმიტის მქონე დაწესებულებაში დელეგაციის ვიზიტისას იმყოფებოდა 818 პატიმარი.

№2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იყო პატიმრების გაქცევის შემთხვევები, რომელთაგან ყველაზე დიდი (129 პატიმარი) მოხდა დელეგაციის ვიზიტამდე ორი თვით ადრე. პატიმართა გაქცევას შედეგად მოყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები თანამშრომელთა რიგებში. ამჟამინდელი დირექტორი გადმოყვანილ იქნა იუსტიციის სამინისტროს უშიშროების განყოფილებას დაქვემდებარებული სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. დელეგაციას შეატყობინეს, რომ 2003 წლის შემდეგ, ეს უკვე მეოთხე ცვლილება იყო ხელმძღვნელობაში.

ვიზიტის დასაწყისში დირექტორმა ღიად განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული პირობები სრულიად არაადექვატური და არაადამიანური იყო როგორც პატიმართათვის, ისე თანამშრომლებისთვისაც. ამგვარ პირობებში, თანამშრომელთა ძირითადი საზრუნავი გაქცევის თავიდან აცილება იყო. დირექტორის მიერ გაკეთებული შეფასებები სავსებით დადასტურდა დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

I. საყოფაცხოვრებო პირობები

100. პატიმრები მოთავსებულნი იყვნენ სამ ორსართულიან ბარაკში, სადაც თითოეულში დაახლოებით 200 პირი იყო. 2001 წლის ხანძრის შემდეგ, რომლის შედეგად პატიმართა საცხოვრებლის ნაწილი დაზიანდა, პატიმართა გარკვეული რაოდენობა გადაიყვანეს შენობაში, რომელიც თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ციხის ლაზარეთისთვის; შესაბამისად, ჯანმრთელი და დაავადებული პატიმრები ერთ შენობაში აღმოჩნდნენ. გარდა ამისა, ოცდაათამდე პატიმარი, მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, განცალკევებით იყო მოთავსებული ჩამოშლილ შენობაში, რომელიც, როგორც ითქვა, ძველად საწყობი იყო.

101. დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე (ადმინისიტრაციული შენობის ჩათვლით) არსებული მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. საცხოვრებელი ბარაკები ჩამოშლის პირას იყო და მხოლოდ მლიანად დანგრევას ექვემდებარებოდა. სახურავის ნაწილი საერთოდ აღარ არსებობდა და თუნუქის ფურცლები იყოს გადაფარებული ხის ბოძებს შორის, რათა ცუდი ამინდის დროს, თავი დაეცვათ. აღნიშნული მოწყობილობა არ იყო საიმედო და წყალი მაინც საცხოვრებელ ადგილებში ჩამოდიოდა. პატიმრებს დიდი ზომის საერთო საცხოვრებელი საკნები ზეწრებით, სხვადასხვა მასალებითა და მუყაოს საშუალებით ჰქონდათ დაყოფილი – პატარა განყ-

ოფილებებად, სადაც ერთიდან სამ კაცამდე იმყოფებოდნენ. შედეგად, დიდი ზომის საერთო საცხოვრებელი გამოიყურებოდა, როგორც ლაბირინთი და ფაქტიურად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რა სიდიდის ფართი მოდიოდა თითოეულ პატიმარზე. ბევრ ფანჯარას არ ჰქონდა შუშა და ამოვსებული იყო სხვადასხვა მასალებით, რაც საგრძნობლად უშლიდა საკნებში დღის სინათლისა შეღწევას და განიავებას. გარდა ამისა, ხელოვნური განათებაც საკმაოდ სუსტი იყო, ელექტროსადენები დაზიანებული იყო და დენი ხშირად ითიშებოდა. არ არსებობდა ცენტრალური გათბობა; ღია ტიპის ელექრული გამათბობელი, რომელიც გამოიყენებოდა საჭმელის გასათბობად და მოსამზადებლად, საშიშიც იყო და ამავე დროს - არასაიმედოც.

ჰიგიენური პირობები, უბრალოდ რომ ვთქვათ, სავალალო იყო. ბარაკებში წყლის გაყვანილობა და კანალიზაცია მწყობრიდან იყო გამოსული და შედეგად, საცხოვრებელ ტერიტორიაზე არც წყალი მოდიოდა და არც საპირფარეშო ფუნქციონირებდა. დასალევი წყლის ერთადერთი წყარო იყო ეზოში არსებული ერთი ონკანი. ბარაკებიდან მოშორებით მდებარეობდა განცალკევებით მდგომი შენობა, რომელშიც იყო საპირფარეშო და ე.წ. „აბაზანა" (პრიმიტიული ოთახი, წყლის ორი მილის გარდა არაფერი იყო). აღნიშნული შენობა ფაქტიურად დანგრეული იყო და იქ არსებული მდგომარეობა - ძალიან ცუდი: სიბინძურე, სიცივე, სინესტე და ადამიანისათვის განცალკევების შესაძლებლობის არქონა. გარდა ამისა, დენის ხშირი გათიშვების გამო, ხშირად არ მოდიოდა ცხელი წყალი. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ „აბაზანით", საეჭვოა რომ, ბევრი მათგანი მაინც სარგებლობდა.

პატიმართა დიდი რაოდენობის მოთავსება ამგვარ ანტისანიტარულ პირობებში ქმნიდა დაავადებათა გავრცელებისა და მასიური ინფექციების, ასევე ძალადობრივი ინციდენტების, ძალიან დიდ რისკს.

ამავე დროს, დელეგაციამ შენიშნა, რომ პატიმართა ნაწილი გაცილებით უკეთეს საყოფაცხოვრებო პირობებში იყო მოთავსებული (მაგ. პატარა ოთახები საკუთარი სამზარეულოთი და აბაზანით). თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ იმ პატიმრებს, რომელთაც გააჩნდათ ფინანსური შესაძლებლობები, ნება დართეს, თავად გაეუმჯობესებინათ საცხოვრებელი პირობები. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ 122-ე პუნქტი.

102. ბევრმა პატიმარმა დაიჩივლა დაწესებულების მიერ საკვების არასაკმარისი რაოდენობით მიწოდებაზე. ცხადი იყო, რომ პატიმრები ძირითადად ოჯახის წევრების ან იმ პატიმართა მიერ მიწოდებული საკვებით იკვებებოდნენ, რომელთაც გააჩნდათ პროდუქტის შეძენის ფინანსური შესაძლებლობა. დირექტორმა აცნობა დელეგაციის წევრებს, რომ პატიმრის დღიური კვებისათვის გამოყოფილი 1.15 ლარი მხოლოდ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის იყო საკმარისი და ზოგადად, პატიმრებს აკლდათ კვება და კარგავდნენ წონას.

დელეგაციამ შენიშნა, რომ გარდა იმისა, რომ დღიური ნორმა იყო ძალიან მწირი (დილას აძლევდნენ ფაფას, შუადღეს წვნიანს, ხოლო საღამოს - ბრინჯს), საჭმელი ძალიან პრიმიტიულ და არაჰიგიენურ პირობებში მზადდებოდა. სამზარეულო იყო ძალიან ცუდად მოწყობილი და ბინძური; კარტოფილი და ბოსტნეულის მთები პირდაპირ ეყარა მტვრიან იატაკზე და ნაწილი მათგანი ობმოკიდებული იყო.

103. მომარაგების სიმცირის გამო, დაწესებულება პრაქტიკულად აღარ გასცემდა საწოლის ქვეშაგებსა და თეთრეულს, ტანსაცმელსა და პირადი ჰოგიენის ნივთებს. საწოლების ქვეშაგების მდგომარეობა, რომელზეც მხოლოდ პატიმრები ზრუნავდნენ ხშირად ძალიან ცუდი მდგომარეობაში იყო.

II. აქტივობათა რეჟიმი

104. დაწესებულებაში მეფობდა პასიურობის ზოგადი ატმოსფერო. დღის განმავლობაში პატიმრები თავისუფლად და უსაქმოდ მოძრაობდენ საცხოვრებლის ტერიტორიაზე. პერსონალის სიმცირისა და ორგანიზენული აქტივობების არარსებობის გამო, პატიმრები ფაქტიურად ზედამხედველობის გარეშე იყვნენ მიტოვებულნი.

გარდა 30 პატიმრისა, რომელნიც არაანაზღაურებადი სამეურნეო (დასუფთავება) სამუშაოთი იყვნენ დასაქმებულნი, არცერთი პატიმარი არ მუშაობდა. დაწესებულებას ადრე ჰქონდა კარგად ფუნქიონირებადი სამრეწველო განყოფილება, რომელიც აღარ მუშაობდა. სპორტული განკუთვენილი მოედები სარეველით და ნაგვით იყო სავსე. ერთ დროს, დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულმა სასწავლებელმა, მაგრამ შენობა დაიწვა.

დროის გაყვანის ერთადერთი საშუალება იყო ტელევიზორის ყურება, რადიოს მოსმენა და წიგნების კითხვა. დაწესებულების ბიბლიოთეკაში 2 000-მდე წიგნი იყო (ძირითადად რუსულად). ასევე, არსებობდა სამლოცველო ოთახი; ეკლესია კი მშენებლობის პროცესში იყო.

**
*

105. შეჯამების სახით რომ ვთქვათ, რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული სავალალო საყოფაცხოვრებო პირობები, აქტივობათა რეჟიმის არქონა, არაადექვატური

სამედიცინო მომსახურება (იხ. 108-ე პუნქტი) და ზოგადად, უიმედო მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც არაადამიანურ მოპყრობად. იქ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დაუშვებელია დაწესებულების ფუნქციონირების გაგრძელება. თუმცა, დაწესებულების დახურვამ, სადაც 800 პატიმარია მოთავსებული, შესაძლებელია მოითხოვოს გარკვეული დრო. როგორც უკვე აღინიშნა, (იხ. მე-10 პუნქტი), 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დასასრულს, დელეგაციამ საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინა მყისიერი შენიშვნები და მოითხოვა რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების გადატანის გეგმის შემუშავება და მისი **წპკ**-სთვის გაგზავნა 3 თვის ვადაში.

2004 წლის მარტით დათარიღებული წერილით, საქართველოს მთავრობამ აცნობა **წპკ**-ს რომ მათი საბოლოო მიზანი იყო რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმართა გადაყვანა ახალ დაწესებულებაში და არსებული შენობების რეკონსტრუქცია. თუმცა, აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელი იყო რუსთავის №6 დაწესებულების გახსნა. მანამდე კი, გადაიდგა ნაბიჯები დაწესებულებაში პირობების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ - შემცირდა პატიმართა რაოდენობა (800-დან 650-მდე) და „აპარტამენტები" გაუქმდა.

წპკ-ს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები არ არის რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შექმნილი ჰუმანიტარული კატასტროფის შესაბამისი. **კომიტეტი მოითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ყველა ზომა, რათა რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში დარჩენილი პატიმრები გადაიყვანოს სხვა დაწესებულებაში, სადაც პატიმრობის ადამიანური პირობებია.**

4. ჯანდაცვის მომსახურება

ა. ჯანდაცვის მომსახურება მონახულებულ დაწესებულებებში

i. პერსონალი და ინფრასტრუქტურა

106. თბილისის №5 საპყრობილეში, 2001 წლის ვიზიტის შემდეგ პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნეოდა ჯანდაცვის სამსახურის პერსონალის კუთხით. ექიმის თანამდებობაზე ექვსივე ვაკანტური ადგილი შევსებული იყო და დაწესებულებაში ასევე დასაქმებული იყო სტომატოლოგი. თუმცა, 2001 წელთან შედარებით, იქ იყო ნაკლები სანიტარი (სანიტარი იყო 3, 2001 წელს კი - 4) და ექთანი (ექთანი იყო 3, 2001 წელს კი - 4).

დელეგაციას აცნობეს, რომ მედიკამენტების მომარაგების კუთხით (ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატების გარდა), 2001 წელთან შედარებით, ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. რაც შეეხება ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატებს, მათი საკმარისი რაოდენობით მომარაგება უზრუნველყოფილი იყო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ (იხ. აგრეთვე 118-ე პუნქტი).

№5 საპყრობილეში პატიმართა რიცხოვნობის ზრდის გათვალისწინებით, სანიტრებისა და ექთნების არსებული რესურსი ცალსახად არასაკმარისი იყო 2 200-ზე მეტი მეტ პატიმარზე მზრუნველობისთვის. ინვენტარისა და მედიკამენტების სიმცირეც არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ქმნიდა. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა თბილისის №5 საპყრობილეში უზრუნველყოფილ იქნას:**

– ჯანდაცვის პერსონალის შევსება ექთნებისა და სანიტრების დასაქმების გზით;

– შესაბამისი მედიკამენტებითა და ინვენტარით მომარაგება;

107. ბათუმის №3 დაწესებულებაში პატიმრებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება არ აკმაყოფილებდა სტანდარტებს არცერთ ასპექტში. დაწესებულებაში მხოლოდ ერთი ფერშალი იყო დასაქმებული. ექიმის თანამდებობა 2002 წლიდან იყო ვაკანტური, რაც აშკარად იყო გამოწვეული იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით, რომ იქ დასაქმებულ ექიმს ჰქონოდა სერტიფიკატი ჯანდანდაცვასა და მენეჯმენტში. იმის გამო, რომ დაწესეულებაში არ არსებობდა ექიმი, იქ არ მიმდინარეობდა პატიმართა სათანადო შემოწმება, გამოკვლევა, დიაგნოსტირება და მკურნალობა. რაც შეეხება სტომატოლოგიურ მომსახურებას, დელეგაციას აცნობეს, რომ დაწესეულებაში პერიოდულად მოდიოდა ციხის გარეთ დასაქმებული ექიმი, რომელიც მხოლოდ კბილის ამოღების პროცედურას ატარებდა.

გარდა ზემოხსენებულისა, მნივნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა მკურნალობის საჭიროების მქონე პაციენტთა დაწესებულების გარეთ საავამყოფიში გადაყვანის კუთხით. თბილისის-ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ფაქტიურად პატიმრები არ გადაჰყავდათ ტრანსპორტის არარსებობის გამო. გამოძიების ქვეშ მყოფი პირებისთვის დაწესებულების გარეთ დასაქმებული ექიმის მიერ მკურნალობა ზოგჯერ გამომძიებლების მიერ იყო უზრუნველყოფილი. რაც შეეხება

სხვა კატეგორიის პატიმრებს, ისინი სრულად იყვნენ დამოკიდებულნი თავიანთი ნატესავების ფინანსურ შესაძლებლობებზე, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა საკმარისი ბიუჯეტი იმისათვის რომ შეეძინა წამლები და დაეფარა დაწესეუბლების გარედან მოსული ექიმის ვიზიტის ხარჯები.

ვიზიტის დროს, ციხის ლაზარეთში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. შედეგად, ერთი, მწირი ინვენტარით მოწყობილი ოთახი ფუნქციონირებდა სამდიცინო შემოწმებისთვის. იუსტიციის სამინისტროდან მიღებული ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოწირულ მედიკამენტთა მარაგიც საკმაოდ შეზღუდული იყო.

წპკ-ს რეკომენდაციაა, ბათუმის №3 დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაიდგას ნებიჯები იმისათვის, რომ:

– უზრუნველყოფილი იყოს ექიმის რეგულალური ვიზიტები; მოთხოვნამ, რომ ექიმის თანანდებობის დაკავება შეუძლია მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვასა და მენეჯტში სერტიფიკატის მფლობელ ექიმს, არ უნდა შეუშალოს ხელი ამ სასწრაფო პრობლემის მოგვარებას;

– გაუმჯობესდეს პატიმრებისათვის სტომატოლოგიური მომსახურება;

– უზრუნველყოფილ იყოს დაწესებულების გარეთ არსებულ საავადმყოფიებში იმ პატიმრების გადაყვანა, რომელნიც საჭიროებენ სამედიცინო შემოწმებასა და/ან მკურნალობას;

– უზრუნველყოფილ იყოს დაწესებულების მომარაგება საკმარისი რაოდენობის სათანადო მედიკამენტებით;

108. რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სამედიცინო სამსახურის პერსონალის რაოდენობა არაადექვატური იყო. მხოლოდ ერთი ექიმი მუშაობდა სრული განაკვეთით პატიმრებისა და თანამშრომლების სამკურნალოდ. ექიმის დანარენი 3 თანამდებობა თავისუფელი იყო. ექთნები პრაქტიკულად არ არსებობდნენ. მხოლოდ ერთი ექთანი მოდიოდა დაწესებულებაში თვეში 5 დღის განმავლობაში. დანარჩენ დროს, ექთნის ფუნქციას ასრულებდნენ გრძელვადიანი პატიმრები. ექიმი კვირაში 4 ღამე მორიგეობდა; დანარჩენი სამი ღამის განმავლობაში დაწესებულებაში მოწვეული ექიმი მოდიოდა. რაც შეეხება სტომატოლოგიურ მომსახურებას, კბილის ამოღების პროცედურას ასრულებდა ორი პატიმარი.

სრულიად მიუღებელ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების არარსებობა. შესაბამისად, ჯანდაცვის ელემენტარული მომსახურებაც კი არ იყო უზრუნველყოფილი. მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში, პატიმრები გადაჰყავდათციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში (პატიმრების გადაყვანის რაოდენობა 15-18-მდე იყო ყოველთვიურად), ტუბერკულოზის მკურნალობის შემთხვევაში კი - ქსნის დაწესებულებაში. გარდა ამისა, ფინანსურად უზრუნველყოფილ პატიმრებს თავად შეეძლოთ მოწვეული ექიმის მიერ სამედიცინო შემოწმებისა და მკურნალობის ხარჯების დაფარვა.

დაწესებულების ლაზარეთი 14 ოთახისგან შედგებოდა, სადაც ვიზიტის დროს 65 პატიმარი იყო მოთავსებული. აღნიშნულ ლაზარეთში არსებული პირობები ისეთივე სავალალო იყო, როგორიც დანარჩენ დაწესებულებაში: სახურავიდან წყალი ჟონავდა, ფანჯრებს არ ჰქონდათ შუშა, არ შემოდიოდა დღის სინათლე, არ იყო კარგი ვენტილაცია და გათბობა, საშინელი ჰიგიენური პირობები. პატიმრებს საგანგებოდ მოწყობილი თავშესაფრის ქვეშ ეძინათ ან კარადებში (განსაკუთრებით ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრებს). დელეგაციამ შენიშნა რამდენიმე ბრმა ან სხვაგვარად უნარშეზღუდული ხანშიშესული პატიმარი, რომელნიც სხვა პატიმრების დახმარებით გადაადგილდებოდნენ. აღნიშნულ პირთათვის ციხის გარემოში ხანგრძლივად ყოფნა შესაძლოა აუტანელი იყოს. ამასთან დაკავშირებით, **წპკ-ს სურს ინფორმაციის მიღება იმის შესახებ თუ რა შესაძლებლობებს იძლევა საკართველოს კანონმდებლობა იმ პირთა ავადმყოფობის საფუძველზე გათავისუფლებისათვის, რომელთათვისაც არ არის მიზანშეწონილი გრძელვადიანი პატიმრობა**.

109. **წპკ**-მ უკვე მიმართა საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციით, რუსთავის №2 დაწესებულებაში დარჩენილი პატიმრების გადასაყვანად სხვა დაწესებულებაში, სადაც პატიმრობის ადამიანური პირობებია. ამ კონტექსტში, ზედმეტი იქნება აღნიშნულ დაწესებულებაში ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციის გაწევა. თუმცა კომიტეტს სურს კიდევ ერთხელ აღნიშნოს, რომ ციხის ჯანდაცვის სამსახურმა იმავე დონეზე უნდა უზრუნველყოს პატიმრების მკურნალობა და ზრუნვა, რა დონეზეც ეს უზრუნველყოფილია სამოქალაქო ჯანდაცვის სფეროში. ასევე, მნიშვნელოვანია სამედიცინო, საექთნო და ტექნიკური პერსონალის საკმარისი რაოდენობით დასაქმება და აღჭურვილობის, მოწყობილობებისა და ინვენტარის უზრუნველყოფა. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ აღნიშნული პირობები გათვალისწინებულ იქნას საქართველოში პატიამრთათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს**.

110. აქამდე ნახსენებ დაწესებულებებთან შედარებით, ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული სამედიცინო მომსახურება ადექვატური იყო. დაწესებულებაში სამი ექიმი იყო

დასაქმებული - მთავარი ექიმი (ფსიქიატრი), გინეკოლოგი და თერაპევტი, ასევე - ერთი ფერშალი, ორი ექთანი და ერთი ფარმაცევტი. ვაკანტური იყო დერმატო-ვენეროლოგის ადგილი. სტომატოლოგიური მომსახურებისათვის დაწესებულებაში ორ კვირაში ერთხელ მიდიოდა სტომატოლოგი. ექიმები ცვლებში უზრუნველყოფნდნენ 24-საათიან სამედიცინო მეთვალყურეობას.

გარდა ზემოაღნიშნული მკურნალობისა, პატიმრებს გამოკვლევას უტარებდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მივლენილი ჯგუფი (სისხლის და შარდის ანალიზები, ელექტროკარდიოგრამა და ა.შ.).

დაწესებულება სათანადოდ იყო მომარაგებული მედიკამენტებით, არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების წყალობით (რომელიც ასევე ფარავდა პატიმრებისათვის მოწვეული ექიმის კონსულტაციის ხარჯებს). ჯანდაცვის მომსახურებისათვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურაც საკმაოდ კარგი სტანდარტის იყო (6-საწოლიანი ლაზარეთის ჩათვლით).

111. ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებას ჰყავდა 2 ექიმი, რომელიც სრული განაკვეთით მუშაობდა: მთავარი ექიმი (ქირურგი) და თერაპევტი. გარდა ამისა, სრული განაკვეთით მუშაობდა ორი ექთანიც. ორი ექიმისა (ფსიქიატრის და ნევროლოგის) და ერთი ექთნის ადგილები ვაკანტური იყო. დაწესებულებას არ ჰყავდა სტომატოლოგი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო არასრულწლოვანთა დაწესებულების გარეთ მრავალჯერადი გაყვანა სტომატოლოგთან ვიზიტისათვის. ჯანდაცვის პერსონალი არ იმყოფებოდა დაწესებულებაში ღამღამობით და შაბათ-კვირის დღეებში, რადგან ვიზიტის დროისთვის არსებულ პატიმართა რაოდენობისათვის (19 არასრულწლოვანი) ეს არ იყო საჭირო; თუმცა, ახალი პატიმრის მიღების შემთხვევაში, ექიმი ყოველთვის ადგილზე იყო, ასევე საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო სასწრაფო დახმარების გამოძახება.

წელიწადში ორჯერ არასრულწლოვნებს გამოკვლევას უტარებდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მივლენილი ჯგუფი (სისხლის ანალიზი, ელექტროკარდიოგრამა, გამოკვლევა ტუბერკულოზზე).

მედიკამენტების მომარაგება ცენტრალიზებულად იყო უზრუნველყოფილი იუსტიციის სამინისტროს მიერ და ძირიტადად საკმარისი იყო დაწესებუების საჭიროებიდან გამომდინარე. რაც შეეხება ჯანდაცვის მომსახურებისათვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურას, ის მოკრძალებული იყო, მაგრამ სუფთა.

ii. სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში მიღებისას

112. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-მ ხაზგასმით აღნიშნა ახალმიღებული პატიმრების სამეიცინო შემოწმების მნიშვნელობა, განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში, რომელნიც სასჯელაღსრულების სისტემაში მიღების საწყისი ადგილებია. ამგვარი შემოწმება ფასდაუდებელია, განსაკუთრებით გადამდებ დაავადებათა გავრცელებისა და თვითმკვლელობის პრევენციის, ასევე - დაზიანებათა დროული დოკუმენტირების უზრუნველყოფის კუთხით.

113. <u>დაწესებულებაში მიღებისას სამედიცინო შემოწმების ჩატარების კუთხით</u> ვითარება განსხვავდებოდა სხვადასხვა დაწესებულების მიხედვით. №5 საპყრობილეში, ქალთა №5 დაწესებულებასა და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში პატიმრებს მიღებიდან მალევე უტარებდა სამედიცინო შემოწმებას მორიგე ექიმი. თავდაპირველი შემოწმება მოიცავდა პატიმრის სხეულის დათვალიერებას დაზიანებებისა და კანის დაავდებათა გამოვლენის მიზნით, პატიმრის აწონვას, მისი სამედიცინო ისტორიის შესახებ კითხვების დასმას (ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენის ჩათვლით) და, გასაუბრების საფუძველზე, კლინიკური გამოკვლევის ჩატარებას.

ზემოხსენებულისგან განსხვავებით, ბათუმის №3 დაწესებულებაში, ახალმიღებულ პატიმართა სამედიცინო შემოწმება არ ტარდებოდა სათანადოდ. სანიტარი არ ატარებდა პატიმრის გარეგნულ დათვალიერებას და არც გადამდებ დაავადებათა სისტემური გამოკვლევა იყო უზრუნველყოფილი (ტუბერკულოზის ჩათვლით).

რაც შეეხება რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებას, დელეგაციას აცნობეს, რომ დაწესებულებაში მიღებისას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ჩატარებული პატიმართა სამედიცინო შემოწმება ძირითადად მიმართული იყო ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენაზე.

114. დაწესებულებაში მიღებისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმებისა და გამოვლენილი დაზიანებების შესახებ ჩანაწერების წარმოების კუთხით არსებული ვითარება გაუმჯობესდა თბილისის №5 საპურობიეში. ახალმიღებულ პატიმართა მონაცემების შესახებ ჟურნალი სათანადოდ იწარმოებოდა, ამაოდ დეტალურად იყო აღწერილი პატიმრებზე გამოვლენილი დაზიანებები და პატიმართა განცხადებები აღნიშნულ დაზიანებათა წარმოშობის შესახებ. გარდა ამისა, იმ პატი-

მართა სახელები და გვარები, რომლებზეც შეინიშნებოდა დაზიანებები, გადაეცემოდა იუსტიციის სამინისტროს; სასამართლოს სამედიცინო ექსპერტი პერიოდულად მიდიოდა დაწესებულებაში და ამოწმებდა აღნიშნულ პირებს. თუმცა, მანამდეც და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან გასაუბრებს შემდეგაც, გაურკვეველი დარჩა, თუ რა კრიტერიუმებით არჩევდნენ პატიმრებს ზემოხსებებული შემოწმებისთვის.

ბათუმის №3 დაწესებულებაში დასაქმებული ფერშალი არ აწარმოებდა ჟურნალს ახალმიღებულ პატიმართა სამედიცინო შემოწმების შესახებ; ასე რომ, შეუძლებლი იყო იმისა დადგენა, აღენიშნებოდათ თუ არა დაწესებულებაში მიღებულ პატიმრებს დაზიანებები.

115. ზემოაღნიშნულის თანახმად, **წპკ რეკომედაციაა, რომ ბათუმის №3 დაწესებულებაში დაინერგოს პატიამრთა მიღებისას სამედიცინო შემოწმების ჩატარების პრაქტიკა. აღნიშნულმა უნდა მოიცვას პატიმრის სხეულის გარეგანი დათვალიერება და აღმოჩენილი დაზიანებების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში, გადამდებ დაავადებათა სათანადო გამოკვლევა და კლინიკური გამოკვლევა. ცხადია, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დაწესებულებაში არსებული ჯანდაცვის სამსახურის სათავეში ექიმის დანიშვნით.**

გარდა ამისა, წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია იმ კონკრეტული კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც იმ პატიმართაგან, რომელთაც დაწეწესებულებაში მიღებისას აღენიშნებოდათ დაზიანებები, შეირჩევიან პირები თბილისის №5 საპყრობილეში მოწვეული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ ჩატარებული შემოწმებისათვის. კომიტეტს ასევე სურს გაიგოს, იგეგმება თუ არა აღნიშნული პრაქტიკის საქართველოში წინასწარი პატიმრობის სხვა დაწესებულებებში დანერგვა.

iii. სამედიცინო ჩანაწერები და კონფიდენციალურობა

116. დელეგაციამ კმაყოფილებით აღნიშნა ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და ავჭალის არასრულწოვანთა დაწესებულებაში არსებული <u>ინდივიდუალური სამედიცინო ანკეტები</u> (უზრუნველყოფილი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ) ხელმისაწვდომია ყველა პატიმრისათვის. ამგვარი ანკეტები, თუმცა პრაქტიკულად შეუვსებელი, არსებობდა ასევე რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც.

თბილისის №5 და ბათუმის №3 დაწესებულებებში არ ინახებოდა პატიმართა ინდივიდუალური სამედიცინო ანკეტები. პირველ დაწესებულებაში მდგომარეობა იგივე იყო, როგორც 2001 წელს (ინახებოდა მხოლოდ სამედიცინო შემოწმებების ზოგადი ქრონოლიგიური აღრიცხვა). №3 დაწესებულებაში კი, ფერშალი აწარმოებდა თავის მიერ გასინჯულ პატიმართა ზოგად ქრონოლოგიურ აღრიცხვას (2004 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ჟურნალში შეტანილი იყო მხოლოდ 13 ჩანაწერი), განაწილებულ მედიკამენტთა აღრიცხვის ჟურნალსა და ცალკე ჟურნალს - დაწესებულების გარედან მოწვეული ექიმებისა ან სასწრაფო დახმარების მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმების აღრიცხვის ჟურნალს. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერებიდან პრაქტიკულად შეუძლებელი იყო თითოეული პატიმრის სამედიცინო ისტორიისათვის თვალის მიდევნება.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ თბილისის №5 საპყრობილესა და ბათუმის №3 დაწესებულებაში თითოეული პატიმრისათვის იწარმოებოდეს კონფიდენციალური სამედიცინო ანკეტა, რომელიც შეიცავს როგორც დიაგოსტიკურ ინფორმაციას, ასევე - პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი მკურნალობის შესახებ მიმდინარე ჩანაწერებს, ნებისმიერი გავლილი სამედიცინო გამოკვლევის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნოს თავის სამედიცინო ანკეტას, თუ რა თქმა უნდა ეს გამართლებულია თერაპევტული თვალსაზრისით, და მოითხოვოს, რომ ანკეტაში მოცემული იმფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მისი ოჯახის წევრებისა თუ ადვიკატისათვის. პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, სამედიცინო ანკეტა უნდა გადაეცეს მიმღები დაწესებულების ექიმს.

117. 2001 წლის მსგავსად, თბილისის №5 საპყრობილეში ახალმიღებულ პატიმართა სამედიცინო შემოწმბა ტარდებოდა არასამედიცინო პერსონალისა და ზოგჯერ პოლიციის თანამშრომელთა თანდასწრებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატიმარს აღენიშნებოდა დაზიანებები. ახალმიღებულ პატირთა სამედიცინო შემოწმება ბათუმის №3 დაწესებულებაში, ასევე პოლიციის თანამშრომელთა თანდასწრებით მიმდინარეობდა.

წპკ კვლავ იმეორებს 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში გამოთქმულ რეკომენდაციას, რომ ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პერსონალისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ მიყურადების გარეშე - თუ ექიმმა სხვაგვარად არ მოითხოვა კონკრეტულ ვითარებაში - და მათი მხედველობის არის მიღმა.

iv. ტუბერკულოზი

118. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-მ ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომელ-

ნიც მიმართული იყო საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებისკენ. დელეგაციამ, რომელიც მეორე პერიოდული ვიზიტის დროს იმყოფებოდა საქართველოში, კმაყოფილებით აღნიშნა ზემოხსენებული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

2002 წლის მაისის შემდეგ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა თავის ხელში აიღო ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხი თბილისის №5 საპყრობილეში: ახალმიღებულ პატიმართა გამოკვლევა (ნერწყვის სინჯის მიკროსკოპული ანალიზის ჩათვლით), ტუბერკულოზის სამკურნალო მედიკამენტებით მომარაგება და მკურნალობის მონიტორინგი.

ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ახალმიღებულ პატიმართა თავდაპირველი გამოკვლევა მოიცავდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ შემუშავებული კითხვარების შევსებასა და ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენას, ასევე - ნერწყვის სინჯის მიკროსკოპულ ანალიზს. -პოზიტიური ანალიზის მქონე პატიმრები 8 თვის განმავლობაში განცალკევდებოდნენ დაწესებულების სამედიცინო სამსახურის სპეციალურ ოთახში, სადაც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი უტარებდათ მკურნალობას.

ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებლებაში პატიმართა ტუბერკულოზზე გამოკვლევას წელიწადში ორჯერ ატარებდა ჯანდაცვის სამინისტრო. დელეგაციას აცნობეს, რომ მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში არასრულწლოვნები გადაჰყავდათ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

რუსთავის №2 პენიტენციურ დაწესებულებაშიც, ახალმიღებულ პატიმართა გამოკვლევა ტუბერკულოზზე წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იყო უზრუნველყოფილი; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაწესებულებაში, ის პირები, რომელნიც ელოდებოდნენ ნერწყვის მიკროსკოპული ანალიზის პასუხებს, არ თავსდებოდნენ კარანტინში (დაწესებულებაში არ იყო საკარანტინე განყოფილება). **ეს რისკი ეჭვის ქვეშ აყენებდა გამოკვლევის მეთოდის ეფექტიანობას**.

119. ზემოხსენებული დაწესებულებებისგან განსხვავებით, ბათუმის №3 დაწესებულებში არ ტარდებოდა სისტემატური გამოკვლევა ტუბერკულოზზე. დაწესებულების ფერშალმა განაცხადა, რომ ტუბერკულოზის ინფექციის ეჭვის შემთხვევაში, შესაფამისი პატიმარი იზოლირებულად თავსდებოდა და მისი ოჯახი უზრუნველყოფდა შესაბამის მკურნალობას. როგორც უკვე აღინიშნა, ვიზიტის დროს ლაზარეთში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად, არცერთი პატიმარი არ იყო იზოლირებული. თუმცა, დელეგაცია დაწესებულებაში შეხვდა პატიმარს, რომელიც სხვა პატიმრებთან ერთად იყო მოთავსებული ერთ საკანში და რომელიც ამტკიცებდა, რომ ინფიცირებული იყო ტუბერკულოზით და მკურნალობის შეწყვეტა მოუწია დაპატიმრების შემდეგ.

120. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ნაბიჯები, რათა ბათუმის №3 საპყრობილეში უზრუნველყოფილი იყოს:**

– ტუბერკულოზზე პატიმართა სისტემატური გამოკვლევის შემოღება ტუბერკულოზის კოტროლის თშ მეთოდის საშუალებით;

– BK-პოზიტიური ანალიზის მქონე პატიმართა დაუყოვნებლივი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისათვის.

ბ. ციხის ცენტრალური საავადმყოფო, თბილისი

121. თბილისის ციხის ცენტრალური საავადმყოფო **წპკ**-მ პირველად მოინახულა 2001 წელს (იხ. 114-ე და 123-ე პუნქტები, CPT/Inf (2002) 14). მას შემდეგ, დაწესებულების ლიმიტი შემცირდა 320-დან 250 საწოლამდე, რადგან პატიმრები, რომელნიც გადიოდნენ ფსიქიატრიულ სასამართლო-სამედიცინო შემოწმებას, გადაიყვანეს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებაში. ვიზიტის დროს, საავადმყოფოში იმყოფებოდა 208 ავადმყოფი პატიმარი, რომელთა შორის იყო 14 ქალი.[17] თუმცა, დელეგაციას აცნობეს, რომ დაწესებულებაში პატიმართა დაოდენობა ხშირად 300-ს აღწევდა. ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობად დასახელდა 3 კვირიდან 2 თვემდე პერიოდი, თუმცა დელეგაცია შეხვდა ისეთ პატიმრებს, რომლებიც წელიწადზე მეტ ხანს იყვნენ მოთავსებულნი აღნიშნულ დაწესებულებაში. თანამშრომლებთან და პატიმრებთან გასაუბრების შემდეგ, დელეგაციას გაუჩნდა ეჭვები, თუ რამდენად გამართლებული იყო ასეთი ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია.

122. დელეგაციამ შენიშნა გაუმჯობესება სანიტარული კვანძებისა და საშხაპეების კუთხით, რომელნიც გარემონტდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ (თუმცა, აღნიშნული ინფრასტრუქტურა უკვე ცუდ და ბინძურ მდგომარეობაში იყო). საავადმყოფოში არსებული <u>საყოფაცხოვრებო პირობები</u> სხვა მხრივ არასათანადო იყო (ჭერიდან ჟონავდა წყალი; ჭერი, კედლები და იატაკი ცუდ მდგომარეობაში იყო; ელექტროსადენები ღია იყო და ავეჯი - დამტვრეული). თუ სადმე შეინიშნებოდა შედარებით უკეთესი ვითარება, ეს იყო იმ პატიმრების დამსახურება, რომელთაც ნება დართეს საკუთარი ხარჯებით გაუუმჯობესებინათ პირობები. გარდა ამისა, დაწესე-

17 გარდა ამისა, განცალკევებულ ბლოკში იმყოფებოდა 30 ჯანმრთელი პატიმარი, რომელნიც დასაქმებულნი იყვნენ სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობაზე.

ბულება არ თბებოდა და ბევრ პატიმარს გარეთ ჩასაცმელი თბილი ტანსაცმელი ეცვა შიგნითაც. დელეგაციას აცნობეს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საავადმყოფო ფაქტიურად არ მომარაგებულა თეთრეულით, საწმენდი საშუალებებითა და პირადი ჰიგიენური საშუალებებით. პაციენტები თავად რეცხავდნენ თავიანთ თეთრეულსა და ტანსაცმელს.

2001 წლის მსგავსად, დელეგაციამ შენიშნა, რომ პატიმართა მცირე ჯგუფი (უმეტესად შინაგან დაავადებათა განყოფილებაში) იმყოფებოდა სხვებთან შედარებით გაცილებით კარგ პირობებში, ზოგჯერ - ფუფუნებაშიც კი (მაგ. უმაღლესი ხარისხის აბაზანები და სამზარეულოები, ძვირადღირებული ავეჯი, ახალი ფანჯრები გისისების გარეშე, კონდენციონერი, სატელიტური ტელევიზორი და ა.შ.). რა თქმა უნდა მისაღებია, რომ იმ პატიმრებს, რომელთაც გააჩნიათ ამის ფინანსური საშუალება, უნდა მიეცეთ საკუთარი პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობა. თუმცა, ამ მხრივ, მაინც უნდა იყოს თანაფარდობა დაცული. პატიმრისათვის მისი სიმდიდრის გამოყენების უფლების მიცემა შესაძლოა გახდეს კორუფციისა და უკმაყოფილების წყარო.

123. საკვების მხრივ ვითარება იგივე დარჩა, როგორიც იყო 2001 წელს. ბიუჯეტის სიმცირის გამო, მხოლოდ ერთგვაროვანი კვების რაციონის უზრუნველყოფა იყო შესაძლებელი, რომელშიც არ შედიოდა რძე, ცოცხალი ხილი ან ბოსტნეული. პატიმრები მეტწილად დამოკიდებულნი იყვნენ მათი ოჯახების მიერ გამოგზავნილ ამანათებზე. გარდა ამისა, სამზარეულო იყო გასარემონტებელი და ჭუჭყიანი.

124. საავადმყოფოს არ ჰქონდა სათანადო სამედიცინო აღჭურვილობა. ექოსკოპიის დანადგარი, კლინიკური ლაბორატორიის, გინეკოლოგიური და სტომატოლოგიური კაბინეტებს აღჭურვილობა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ანალოგიურ ვითარება იყო ქირურგიულ განყოფილებაში - საოპერაციოსა და რეანიმაციის პალატაში, სადაც მძიმე სამუშაო პირობები იყო და არ იყო საკმარისი ინვენტარი.

მედიკამენტებისა და სხვა საშუალებების სიმცირის კუთხით (ტუბერკულოზის სამკურნალო წამლების გარდა) ვითარება კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე იყო 2001 წელს. პრაქტიკულად, საავადმყოფო დამოკიდებული იყო პატიმართა ოჯახების მიერ ან ჰუმანიტარული დახმარებით მიწოდებულ მედიკამენტებზე.

125. ჯანდაცვის პერსონალის კუთხით ვითარება არადამაკმაყოფილებელი რჩებოდა. 2001 წლის მსგავსად, ექიმის ბევრი თანამდებობა იყო ვაკანტური (40 ვაკანტური ადგილიდან 25[18] იყო სრული განაკვეთით); ასევე, 30 სრულგანაკვეთიანი ექთნის შტატიდან ყველა არ იყო დაკავებული. ღამით და შაბატ-კვირას საავადმყოფოში ყოველთვის მორიგეობდა ორი ექიმი.

126. დელეგაციამ შენიშნა წინსვლა ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა მკურნალობის კუთხით, რაც მიღწეულ იქნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით, ტუბერკულოზის კონტროლის DOTS მეთოდის დანერგვის წყალობით. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ასევე უზრუნველყო ტუბერკულოზის სამკურნალო მდიკამენტების საკმარისი რაოდენობით მომარაგება.

127. ფსიქიატრიულ განყოფილებაში, ასე თუ ისე, ვითარება გაუმჯობესდა იმ პატიმართა გადაყვანის შემდეგ, რომელნიც გადიოდნენ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზას. თუმცა, ფსიქო-ფარმაკოლოგიური მედიკამენტების მარაგი არ იყო საკმარისი და შეზღუდული იყო თერაპიული და რეაბილიტაციური აქტივობებით პატიმრების უზრუნველყოფა.

დელეგაციას აცნობეს, რომ "მსუბუქი ფიქსაციის" მეთოდი (ტანსაცმლის ნაჭრების საშუალებით პაციენტების საწოლზე მიბმა მაჯებით, წელითა და კოჭებით) აღარ გამოიყენებოდა. თანამშრომელთა ინფორმაციის თანახმად, ექიმის მიეე გაცემული ინსტრუქციის საფუძველზე ზოგჯერ გამოიყენებოდა ქიმიური საშულებით შეზღუდვა. თუმცა, შეზღუდვის საშუალებების გამოყენების დადასტურება შეუძლებელი აღმოჩნდა სპეციალური სარეგისტრაციო ჟურნალის არარსებობის გამო. 2001 წლის მსგავსად, შეზღუდვების მეთოდების გამოყენება მხოლოდ პაციენტის ინდივიდალურ სამედიცინო ანკეტაში იყო აღრიცხული.

128. საავადმყოფოში დაწესებული რეჟიმი უმეტესად უცვლელი იყო. მამაკაც პატიმრებს შეეძლოთ დღის განმავლობაში თავიანთ განყოფილებებში თავისუფლად გადაადგლება და სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებით სარგებლობა. რაც შეეხება ქალ პატიმრებს, მათთვის დღის განმავლობაში სუფთა ჰაერზე გასეირნება და ვარჯიში 2 საათით იყო დაშვებული (2001 წელს დაშვებული იყო მხოლოდ ერთი საათით). საავადმყოფის ჰქონდა თავისი პატარა ბიბლიოთეკა; თუმცა, არ იყო ორგანოზებული არანაირი აქტივობები.

დაწესებულებას ლიბერალური მიდგომა ჰქონდა არჩეული პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის უზრუნველყოფის კუთხით: პატიმრებს სულ მცირე თვეში ოთხჯერ შეეძლოთ მნერწყვის მიღება და შეეძლოთ დარეკვა და სატელეფონო ზარებზე პასუხი.

18 აქედან 4 ინფექციური დაავადებების სპედიალისტი, 5 შინაგან დაავადებათა სპეციალისტი, 5 ქირურგი, 4 ფსიქიატრი, 3 ანესთეზიოლოგი, ერთი გინეკოლოგი, ერთი სტომატოლოგი და 2 ფარმაცევტი.

129. 2001 წლის ვიზიტისას გაკეთებული დასკვნები იმავე რჩება - კერძოდ, დაწესებულებას არასაკმარისი საშუალებები გააჩნდა გამოკლევების, დიაგნოსტირესა და მკურნალობისათვის (გარდა ტუბერკულოზის მკურნალობისა. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უზრუნველყოს:**

– მიღებისა და გაწერის პროცედურების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პატიმრების დაწესებულებაში მიღება დიაგნოსტიკური კრიტერიუმების მიხედვით და დაუსაბუთებლად არ გახანგრძლივდეს ჰოსპიტალიზაცია; ამასთან დაკაშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შინაგან დაავადებათა განყოფილება;

– 122-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით, დაწესებულებაში პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

– საკვების ხარისხის გაუმჯობესება და სამზარეულოს გარემონტება;

– საავადმყოფოს სამედიცინო აღჭურვილობის განახლება, განსაკუთრებით ქირურგიულ განყოფილებაში;

– ექიმებისა და ექთნების ვაკანტური თანამდებობების შევსება;

– პატიენტების მიმართ ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების თითოეული შემთხვევის აღრიცხვისათვის სპეციალური ჟურნალის შემოღება.

გარდა ამისა, **წპკ-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ფსიქიატრიული პაციენტებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს თერაპევტული და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, ოკუპაციური თერაპიასა და ჯგუფურ და ინდივიდუალურ თერაპიაზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით. სხვა პაციენტებისათვის, განსაკუთრებით საავადმყოფოში ხანგრძლივი ვადით მოთავსებულთათვის, რაც შეიძლება ხელმისაწვდომი უნდა გახდეს შესაბამისი ღონისძიებები და რეკრეაციული საშუალებები.**

5. წპკ-ს კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხები

ა. ციხის პერსონალი

130. საქართველოში 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-მ ხაზი გაუსვა ციხის პერსონალის სათანადო შერჩევისა და მომზადების მნიშვნელობას (იხ. 124-ე პუნქტი, CPT/Inf (2002) 14). ჰუმანური სასჯელაღსრულების სისტემის საფუძველი ყოველთვის იქნება სწორად შერჩეული და კარგად გაწვრთნილი პერსონალი, რომელმაც იცის პატიმრებთან ურთიერთობის შერჩევა და თავიანთ საქმეს უყურებენ, როგორც პროფესიას და არა მხოლოდ როგორც სამსახურს.

როგორც უკვე აღნინიშნა, (იხ. 61-ე პუნქტი), პერსონალსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობები ზოგადად ნორმალური იყო. თუმცა, თბილისის №5 საყრობილესა და რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულმა პერსონალის ნაკლებობამ რთული ვითარება შეუქმნა თანამშრომლებს პატიმრების კონტროლისა და მათთვის აქტივობათა რეჟიმის უზრუნველყოფის კუთხით. 2004 წლის მაისში, №5 საპყრობილეში პერსონალისა და პატიმართა რაოდენობრივმა თანაფარდობამ ისეთ დაბალ ზღვარს მიაღწია, რომ შეუძლებელი გახდა პატიმართათვის სუფთა ჰაერზე გასეირნებასა და ვარჯიშზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დაწესებულების თანამშრომლები მუშაობდნენ დაწესებულ დროზე მეტს, რაც მათში სტრესს იწვევდა. ვიზიტის პირველ დღეს რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 70 თანაშმრომელი იმყოფებოდა (მათგან 20 თანამშრომელი იუსტიციის სამინისტროს მიერ იყო დამატებით გამოგზავნილი). დელეგაციას აცნობეს, რომ თანამშრომელთა ბევი თანამდებობა იყო ვაკანტური, თანამშრომელთა რიგებში მაღალი იყო ცვლილებებისა და გაცდენის დონე.

თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების უზრუნველყოფა მეტწილად დამოკიდებულია თანამშრომელთა საკმარისი რაოდენობით ყოლაზე პატიმრების საცხოვრებელ ტერიტორიასა და იმ ტერიატორიაზე, რომელიც განსაზღვრულია სხვადასხვა ღონისძიებებით დაკავებისათვის. დაწესებულების თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობა და/ან თანამშრომელთა რეჟიმის სისტემა, რომელიც ზღუდავს პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობას, უდავიდ ხელს უშლის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას; უფორ ზოგადად კი, დაწესებულებაში ქმნის გარემოს, რომელიც არ არის უსაფრთხო არც პატიმრებისათვის და არც თანამდრომლებისათვის. **წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, ზემოხსენებული შენიშვნების გათვალსწინებით, გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა გააუმჯობესოს თანამშორმელთა დასაქმების დოზე მონახულებული დაწესებულებების საცხოვრებელ ნაწილებში**.

131. იმისათვის რომ გაუმკლავდეს პერსონალის კუთხით შექმნილ არახელსაყრელ ვითარებას, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ჩამოაყალიბა მობილური საინტერვენციო ჯგუფი, რომელიც გაიგზავნება იმ დაწესებულებებში, სადაც პერსონალის არასაკ-

მარისი რაოდენობის გამო დაიძაბება ვითარება. გარდა ამისა, 2003 წლის ნოემბერში დელეგაციას შეატყობინეს, რომ არსებობს უსაფრთხოების პერიმეტრზე პასუხისმგებლობა გადააბარონ სავალდებულო საჯარისო ნაწილებს ან რეზერვისტებს. **წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული გეგმის პროგრესის შესახებ.**

კომიტეტმა უნდა აღნიშნოს, რომ რა გამოსავალიც არ უნდა მოიძებნოს აღიშნული ვითარებიდან, ციხეებში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის უზრუველყოფილი უნდა იყოს მათ მოვალეობასთან დაკავშირებული სათანადო ტრენინგები.

132. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, **წპკ**-მ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში კორუფციის პრობლემის არსებობაზე. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებულ თავის პასუხში, ასევე - მეორე პერიოდული ვიზიტის დროს, საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს რიგი ნაბიჯების შესახებ, რაც გადაიდგა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებდა რეგულარულ და წინასწარ შეუთანხმებელ ვიზიტებსა და შემოწმებებს პენიტენციურ დაწესებულებებში (განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საკვების მოამრაგებას, პაემნების ინფრასტრუქტურის გამოყენებას, დისციპლინურ საკანში მოთავსებას და ა.შ.). შემოწმებების შედეგად ციხეებში გადავისუფლდა დაახლოებით 200 თანამშრომელი. გარდა ამისა, რამდენიმე ციხის დირექტორის წინააღმდეგ კორუფციული ბრალდების საფუძველზე (განსაკუთრებით პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით) აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ზემაღნიშნული ნაბიჯების მიუხედავად, კორუფციის წინააღმეგ ბრძოლა ჯერ კიდევ მოსაგებია. მეორე პერიოდული ვიზიტის დროს, დელეგაცია შეხვდა პატიმრებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში კორუფცია ჰყვაოდა. მათი თქმით, კორუფცია ყველაზე მეტად გავრცელებული იყო პირობით ვადამდე გაავისუფლების საკითხის განხილვისას, სამედიცინო მკურნალობის მიღებისას, ჰოსპიტალიზაციისას ან დამატებიტი პაემნის უფლების მიცემისას. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, არ დაიშუროს ძალისხმევა სასჯელაღსრულეის თანამშრომელთა შორის კორუფციის აღმოსაფხვრელად**.

133. კორუფციის პრობლემა, ცხადია, დაკავშირებულია ციხის თანამდრომელთა დაბალ ხელფასთან, ასევე არასათანადო მომზადებასთან. დელეგაციას აცნობეს, რომ უმცროსი რანგის საზედამხედველო პერსონალს საერთოდ არ გაუვლია საწყისი ტრენინგები, ხოლო დაწესებულებამ მათთვის უზრუნველყო მხოლოდ კვირაში ერთსაათიანი მეცადინეობები. რაც შეეხება საშუალო და მაღალი რანგის თანამშრომლებს, მათთვის ტრენინგს პერიოდულად უზრუნველყოფდა იუსტიციის სამინისტრო. თუმცა, ტრენინგების უზრუნველყოფა რთული იყო სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

აღნიშნულ კონტექსტში, **წპკ**-მ ინტერესით აღნიშნა თანამშრომელთა შერჩევისა და მომზადებისათვის გათვალისწინებული ახალი რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებდა ციხის თანამშრომელთა მომზადებისათვის "აკადემიის" დაარსებას. 2004 წლის მაისში, იუსტიციის სამინისტრომ შეატყობინა დელეგაციას სასჯელღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგების ცენტრის წლის ბოლოს დაარსების გეგმის შესახებ. **წპკ-ს სურს მიიღოს მეტი ინფორმაცია აღიშნული გეგმისა და მის გარშემო მიღწეული პროგრესის შესახებ.** ზოგადად, **კომიტეტი კვლავ იმეორებს საქართველოს ხელისუფლებისატვის გაწეულ რეკომენდაციას, რომ დაიწყოს ციხის თანამშრომელთა შესავალი და რეგულარული ტრენინგებიც ჩატარება**.

ბ. პაემნები

134. საქართველოში 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-მ ხაზი გაუსვა პატიმრებისათვის გარე სამყაროსთან კონტაქტის უზრუნველყოფის აუცილებლობას და რამდენიმე რეკომენდაცია ჩამოაყალიბა ამ კუთხით.

მეორე პერიოდული ვიზიტის დროს მოპოვებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ ამ კუთხით არ შეცვლილა <u>ბრალდებულ პატიმართა</u> ვითარება. როგორც 2001 წელს, ამჟამადაც, პაემნებზე ნებრათვა უდნა გაეცა საგამოძიებო ორგანოებს ან კომპეტენტურ სასამართლოს. პრაქტიკულად, თბილისის №5 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების მხოლოდ მცირე ნაწილ მიუწვდებოდა ხელი პაემნებზე. ბათუმის №3 დაწესებულებაში, გარე სამყაროსთან კონტაქტი კიდევ უფრო გართულებული იყო დაწესებულების ადგილმდებარეობის გამო.

თბილისის №5 საპყრობილეში პაემნებისათვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა კვლავ შეზღუდვით ხასიათს ატარებდა - პაემნების ოთახში იყო 7 ჯიხური, სადაც პატიმრები და მნახველები შუშის ტიხრით იყვნენ განცალკევებულნი.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეიტანოს ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში, რათა ბრალდებული პატიმრებისათვის უზრუნველყოს პაემნბით სარგებლობის

უფლება. პაემანზე პატიმრისათვის ნებისმიერი უარი დასაბუთებული უნდა იყოს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე და მოითხოვდეს იმ უწყებისგან ნებართვას, რომელიც არ არის საქმესთან კავშირში; ასევე, აღნიშნული უარი უნდა მოქმედებდეს დროის მოლოდ განსაზღვრული ვადით.

გარდა ამისა, **კომიტეტი რეკომენდაციაა, რომ:**

– გადაიდგას ნაბიჯები, რათა თბილისის №5 საპყრობილესა და ბათუმის №3 საპყრობილეში პაემნების ინფრასტრუქტურა გათვლილი იყოს უფრო მეტ პატიმარზე;

– განხულულ იქნას ბრალდებულ პატიმართათვის ღია ტიპის პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობები.

135. <u>მსჯავრდებულ პატიმართათვის</u> პაემნების უზრუნველყოფის წესი განსხვავდებოდა რეჟიმის ტიპისა და პატიმრის კატეგორიის მიხედვით. მამაკაცი პატიმრები, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სარგებლობდნენ წელიწადში სამი ხანმოკლე (3 საათის ხანგრძლივობის) და სამი ხანგრძლივი პაემნით (3 დღემდე ხანგრძლივობის). თუმცა, დაწესებულების ხელმძღვანელობამ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუშვა დამატებითი პაემნები.

პაემნების კუთხით უფრო ხელსაყრელი ვითარება ჰქონდათ ქალ პატიმრებს (თვეში 5 ხანმოკლე და წელიწადში 5 ხანგრძლივი პაემანი) და არასრულწლოვნებს (თვეში ულიმიტო რაოდენობის ხანმოკლე და ერთი ხანგრძლივი პაემანი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში მხოლოდ მცირე რაოდენობის პატიმრები სარგებლობდნენ პაემნების უფლებით.

წპპ რეკომენდაციას უწევს საქართველოს მთავრობას, მსჯავრდებულ პატიმართათვის გაზარდოს პაემნების ოფიციალური რაოდენობა, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს თვეში სულ მცირე ერთი ხანმოკლე და ერთი ხანგრძლივი პაემნით.

136. რაც შეეხება მსჯავრდებულ პატიმართა პაემნებისათვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურას, უნდა ითქვას, რომ ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, აღნიშნული მიზნისთვის გამოყენებული ოთახები საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი (ოთხი სასიამოვნოდ მოწყობილი ოთახი). ასევე, მისაღები პირობები იყო ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულების პაემნების ოთახებში. ზემოთ უკვე ავღწერეთ ბათუმის №3 დაწესებულების ხანმოკლე პაემნების ოთახი (იხ. 134-ე პუნქტი); ამ დაწესებულებაში ასევე ნორმალური სტანდარტის ხანგრძლივი პაემნის ოთახი. იმის გამო, რომ თბილისის №5 საპყრობილეში არ არსებობდა ინფრასტრუქტურა ხანგრძლივი პაემნებისთვის, აღნიშნულ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ხანმოკლე პაემნები. რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა სავსებით შეესაბამებოდა დაწესებულებაში შექმნილ ზოგად სავალალო ვითარებას: ხანმოკლე პატიმრობისათვის განკუთვნილი ოთახში იყო ორი გატეხილი ზელსკამი და ბევრი ნაგავი, ხოლო ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილი 13 ოთახი დანგრეული იყო.

წპპ-ს რეკომენდაციაა, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადაიხედოს სასჯელაღსულების დაწესებულებებში პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის პირობები.

გ. დისციპლინა

137. დისციპლინური სანქციების განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმები, ზოგადად, უცვლელი დარჩა 2001 წლის ვიზიტის შემდეგ (იხ. 135-ე და 136-ე პუნქტები, CPT/Inf (2002) 14).

რაც შეეხება პროცედურებს, არასრულწლოვანთა დაწესებულებაში არსებული გამონაკლისების გარდა, პატიმრებისათვის დისციპლინური სანქციების დაწესებამდე არ იყო უზრუნვეყოფილი საქმის ზეპირი მოსმენა. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში შესაძლებელი იყო დისციპლინური სანქციების გასაჩივრება, ვიზიტის დროს მოპოვებულმა ინფორმაციამ ხცადყო, რომ გასაჩივრება იშვიათად თუ გამოიყენებოდა, სამწუხაროდ, პატიმართა უმეტესობამ არ იცოდა აღნიშნული პროცედურის შესახებ.

წპპ კვლავ იმეორებს თავის რეკომენდაციას, რომ მიღებულ იქნას ზომები იმის უზრუნელსაყოფად, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ სათითაოდ მოუსმონოს ყველა პატიმარს, რომელთა მიმართაც მიმდინაორეობს დისციპლინური განხილვა, იმ გადაცდომასთან დაკავშირებით, რომელშიც ედებათ ბრალი. კომიტეტი ასევე გასცემს რეკომენდაციას, რომ პატიმრებს სისტემატურად და წერილობით უნდა გააცნონ მათი უფლების შესახებ, გაასაჩივრონ მათ მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

138. მონახულებულ დაწესებულებებში, დისციპლინური დასჯის საკნებში არსებული საყოაფცხოვრებო პირობები არადამაკმაყოფილებელი იყო.

თბილისის №5 საპყრობილეში, საქართველოსში 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპპ**-ს მიერ გაკრიტიკებული საკნები გააუქმეს და ჩანაცვლეს სხვა 9 საკნით, რომელიც მდებარეობდა

პატიმრობის მთავარი შენობის სარდაფის მეორე მხარეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკნები უფრო დიდი იყო და დასაძინებლად იქ იდგა ფიცარნაგები. თუმცა, სხვა აღნიშნული საკნები არ აკმაყოფილებდა სხვა დანარჩენ კრიტერიუმებს: საკნებში ვერ არწევდა ბუნებრივი განათება, არ იყო ვენტილაცია, საკნები იყო ნესტიანი და სარემონტო.

ბათუმის №3 საპყრობილეში არსებული ოთხი დისციპლინური დასჯის საკანი იყო ნესტიანი და ძალიან ცუდ მდგომარეობაში; ისინი 2002 წლიდან აღან გამოუყენებიათ. **წპკ** მიესალმება დაწესებულების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, თავი შეიკავონ დისციპლინური დასჯის სახით პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსებისათვის. საკნების ამჟამინდელი მდგომარეობა ნამვილად არ იძლევა იქ პატიმრის მოთავსების საშუალებას.

ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არის სამი დისციპლინური დასჯის საკანი და ერთი დიდი ზომის საკანი პატიმართა ხანგრძლივი პერიოდით განცალკევებისათვის. საკნებს ჰქონდათ პატარა ფანჯრები შუშების გარეშე; საკანში არ იყო გათბობა და ტემპერატურა ძალიან დაბალი იყო.

ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში არსებული დისციპლინყრი დასჯის საკანში, რომელიც ნორმალური ზომის იყო (12 $მ^2$ ფართობის), იყო ორი საწოლი. საკნები არ თბებოდა და იყო ჭუჭყიანი.

რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დისციპლინური დასჯის განყოფილება ცალკე შენობაში იყო განთავსებული. საკანთა ნაწილი სრულიან მიტოვებული იყო. იქ არსებული საკნებიდან დაახლოებით თორმეტი გამოიყენებოდა, რომლიც იყო ბნელი, გათბობის გარეშე და სავალალო მდგომარეობაში.

წპკ რეკომენდაციაა, რომ გადაიდგას ნაბიჯები, რათა, ზემოაღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებით, მონახულებულ დაწესებულებებში არსებულ დისციპლინური დასჯის საკნებში გაუმჯობესდეს პირობები. რაც შეეხება თბილისის №5 საპყრობილეს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქინამდებარე ანგარიშის 75-ე პუნქტზე, რომელშიც ჩამოყალიბებულია რეკომენდაცია სარდაფში არსებული ყველა საკნის გაუქმების შესახებ.

139. მეორე პერიოდულ ვიზიტის დროს, დელეგაციამ შენიშნა, რომ დისციპლინური დასჯის სახით სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს კვლავ არ ეძლეოდათ სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის შესაძლებლობა. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. მე-11 პუნქტი), 2003 წლის ნოემბერში ვიზიტის დროს, დელეგაციამ მოსთხოვა საქართველოს ხელისუფელას, დაუყოვნებლივ გადაედგა ნაბიჯები იმისათვის, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს საქართველოში არსებულ ყველა სასჯელაღსრლების დაწესებულებაში გარანტირებლი ჰქონდეთ სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლება, დღეში სულ მცირე ერთი საათით.

2004 წლის 30 მარტით დათარიღებული წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ უკანასკნელ ხანს პატიმრობის შესახებ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხდვით იმ პატიმრებს, რომელთაც არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებებში "რეჟიმის ან სხვა გარემოებების გამო" მაინც უნდა მიცეთ დღეში სულ მცირე ერთი საათით ჰაერზე ყოფნის უფლება. **წპკ** მიესალმება აღნიშნულ ცვლილებას; თუმცა, 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს, დელეგაციამ შენიშნა, რომ ზემოხსენებული ნორმა არ სრულდებოდა თბილისის №5 საპყრობილეში.

წპკ კვლავ იმეორებს საქართველოს ხელისუფლებისადმი გაცემულ რეკომენდაციას, რომ გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ საქართველოში დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებულ ყველა პატიმარს ჰქონდეს სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლება, დღეში სულ მცირე ერთი საათით.

დ. გასაჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები

140. 2001 წლის ვიზიტის მსგავსად, ბევრმა პატიმარმა აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ საჩივრების კონფიდენციალურად (მაგ. დახურულ კონვერტში) გაგზავნის შესაძლებლობა სასჯელაღსრულების სისტემისგან დამოუკიდებელ უწყებაში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები ირწმუნებოდნენ, რომ ციხის თანამშრომლები არ კითხულობდნენ სახალხო დამცველისათვის, მოსამართლეებისათვის, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის გაგზავნილ წერილებს; თუმცა, დაწესებულებების შემოწმებისას, ადგილზე არსებული ვითარება საპირისპიროს ამტკიცებდა. გარდა ამისა, პატიმრების მიერ დაწერილ საჩივართა მცირე რაოდენობაც (იმის გათვალიწინებით, რომ ბათუმის №3 საპყრობილეში საერთოდ არცერთი საჩივარი არ იყო) იმეზე მეტყველებს, რომ პატიმრები არ ენდობოდნენ საჩივრების სისტემას.

წპკ კვლავ იმეორებს საქართველოს ხელისუფლებისათვის გაწეულ რეკომენდაციას, რომლის თანახმად, უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებულ

ყველ პატიმარს (ბრალდებულსა და მაჯსვრებულს) უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელ ორგანოში საჩივრის გაგზავნის შესაძლებლობა. საჭიროების შემთხვევაში, მიღებულ უნდა იქნას ზომები აღნიშნულ საჩივართა კონდიფენციურად გაგზავნის უზრუნველყოფისათვის (მაგ. კონვერტებით მომარაგება; პატიმრებისათვის საჩივართა დალუქული ყუთების ხელმისაწვდომობა, რომელთა გახსნის უფლება ექნება სპეციალურად დანიშნულ პირს).

141. რაც შეეხება ინსპექტირების პროცედურებს, სასჯელაღსრულების მონახულებას აგრძელებენ სხვადასხვა უწყებები (პროკურორები; იუსტიის სამინისტროს ინსპექციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, სახალხო დამცველის აპარატი და სხვა). თუმცა, დელეგაციას, აცნობეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი მონიტორინგის ჯგუფი ვიზიტები სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში შეწყდა 2004 წლის დასაწყისიდან. **წპკ**-ს სურს მიიღოს მეტი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

III. შეჯამება და დასკვნა

142. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტი უკვე საქართველოში კომიტეტის უკვე მეორე ვიზიტია და წარმოადგენს **წპკ**-ს 2003 წლის პერიოდული ვიზიტების პროგრამის ნაწილს. თუმცა, ქვეყანაში 2003 წლის ნოემბერში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, **წპკ**-ს დელეგაციას არ მიეცა საშუალება, დაესრულებინა თავისი პროგრამა, კერძოდ - ვერ შეძლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩასვლა. შესაბამისად, ვიზიტი გაგრძელდა 2004 წლის მაისში და მისი მთავარი მიზანი იყო დაკავებულ პირთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის შესწავლა აჭარაში.

<u>ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

143. 2003 წლის ვიზიტის დროს, **წპკ**-მ კვლავ მოისმინა საჩივრები პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ. საჩივართა ნაწილი ეხებოდა დაკავების მომენტში გადაჭარბებული ძალის გამოყენებას. თუმცა, მათი უმეტესობა ეხებოდა არასათანადო მოპყრობას პოლიციის თანამშრომელთა მიერ დაკითხვის დროს აღიარებითი ჩვენებისა ან სხვა ინფორმაცის მოპოვების მიზნით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დაკაებულ პირებში გავრცელებული იყოს რწმენა იმისა, რომ დანაშაულის არაღიარების შემთხვევაში მათ მიმართ განხორციელდებოდა არასათანადო მოპყრობა ან სხვა ფორმის იძულება. არასათანადო მოპყრობის გავრცელებულ ფორმებს შორის იყო ალიყური, წიხლის დარტყმა, მუშტის დარტყმა, ხელკეტით ცემა; დასახელდა ასევე ჩამოკიდებისა და ელექტროშოკური მოწყობილობების გამოყენების ფაქტებიც. რიგ შემთხვევებში, არასათანადო მოპყრობის ფაქტები, მათი სიმძიმის გამო, უტოლდებოდა წამებას.

აღნიშნულის საპირისპიროდ, 2004 წლის მაისში აჭარაში ვიზიტის დროს დელეგაციამ შეიტყო პოლიციელთა მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ ფიზიკური სახის არასათანადო მოპყრობის მხოლოდ რამდენიმე სავარაუდო შემთხვევის შესახებ. შემთხვევები უმეტესად ეხებოდა დაკითხვისას ალიყურს, მუშტისა და წიხლის დარტყმას.

2003 წლის ნოემბრისა და 2004 წლის მაისის ვიზიტების დროს დელეგაციას არ მიუღია შეტყობინებები დროებითი მოთავსების იზოლატორებში საზედამხედველო სამსახურის მიერ ჩადენილი სავარაუდო არასათანდო მოპყრობის შესახებ.

144. საქართველოში 201 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-მ დაასკვნა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები იდგნენ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მნშვნელოვანი საფრთხის წინაშე, ზოგიერთ შემთხვევებში კი ადგილი ჰქონდა არასათნადო მოპყრობის/წამების მძიმე ფორმებს. მეორე პერიოული ვიზიტის შემდეგ, კომიტეტი კვლავ იმავ შეფასებას აძლევს შექმნილ ვითარებას.

2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, **წპკ**-მა ჩამოაყალიბა რამდენიმე რეკომენდაცია წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დელეგაციამ, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა მეორე პერიოდული ვიზიტისას, კმაყოფილებით აღნიშნა 2001 წლის შემდგომ ამ კუთხით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების შესახებ. პოზიტიური შეფასებები ეხებოდა პოლიციის განყოფილებებიდან პატიმრობის დაწესებლებებში ბრალდებულთა მიყვანისას დაზიანებების გამოვლენისა და აღრიცხვის მეთოდების გაუმჯობესებას, პოლიციი განყოფილებებში პირების დაკავების ხანგრძლივობათან დაკავშირებით სამართლებრივი სახის დარღვევების რაოდენობის შემცირებას, თავისუფლების აღკვეთის ადილებში გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდას სხვადასხვა დამოუკიდებელი ორგანოების მონიტორინგის შედეგად, გენერალურ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის შექმნასა და, ასევე, 2003 წლის სექტემბერში წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული გეგმის მიღებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პოლიციის მიერ ჩადენი არასათანადო მოპყრობის ფაქტების არსებობა კვლა დაადასტურა რამდენიმე მაღალი რანგის პირმა, რომელსაც დელეგაცია შეხვდა.

დელეგაციას მიაჩნია, რომ უფრო მეტი შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა სამინისტროებსა და შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების კუთხით. ამ მხრივ, წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას გააჩნია ყველა შესაბამისი უწყებების ძალისხმევის გაერთიანების პოტენციალი.

145. პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, **წპკ**-მ საქართველოს მხარეს შესთავაზა რიგი ზომებისა, მათ შორის ადამიანის უფლებათა კონცეფციების ინტეგრირება კონკრეტულ პროფესიულ ტრენინგებში და გამომძიებლებისა და პოლიციის ოპერატიული თანამშრომლებისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება დაკითხვისა და გამოძიების თანამედროვე ტექნიკის თემაზე. კომიტეტმა ასევე ხაზი გაუსვა მოსამართლეთა მიერ გადადმულ ნაბოჯებს იმ შემთხვევაში, როდესაც მათ წინაშე წარდგენილი სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი აცხადებს მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე.

წპკ მიესალმა იუსტიცის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროაქტიულ მიდგმას პოლიციის განყოფილებებიდან ქიანსწარი დაკავების დაწესებულებებში გადაყვანილ პირებზე დაზიანებათა გამოვლენასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

146. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, **წპკ**-მ ჩამოაყალიბა შენიშვნები და გასცა რიგი რეკომენდაციებისა <u>არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ოფიციალური გარანტიების</u> გაძლიერებისათვის, რომლებიც ხელმისაწვდომია პოლიციის მეირ დაკავებულ პირთათვის. დელეგაციამ, რომელიც მეორე პერიოდული ვიზიტის დროს იმყოფებოდა საქართველოში, შენიშნა ამ კუთხით გადადგმული პოზიტიური დაბიჯები, მათ შორის შესაბამისი ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მიუხედავად აღნიშნული დადებითი ცვლილებებისა, კვლავ რჩება პრობლემები. შესაბამისად, **წპკ**-მ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყელა საჭირო ზომა იმისათვის, რომ პრაქტიკასი ეფექტიანად ამოქმედდეს თავისუფლების აღკვეთის შესახებ შეტყობინებისუფლება, ადვოკატზე უფლება და ექიმის ხელმისაწვდომობის უფლება პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირისათვის, თავისუფლების აღკვეთი საწყისი ეტაპიდანვე.

კომიტეტმა ასევე გასცა რეკომენდაცია, რომ პოლიციის მიერ დაკავებულ, სისხლის სამართლის დანაშაულში ეწვმიტანილ პირებს დაკავების საწყისი მომენტიდანვე დაურიგდეთ სპეციალური ფორმები, რომლებშიც ჩამოყალიბებული იქნება მათი უფლებები; შემდგომ კი, დაკავებულ პირებს უნდა მოეთხოვოთ ცნობის ხელმოწერა, რომ მათ გააცნეს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ.

მეორე პერიოდული ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტების გათავლისწინებით, **წპკ**-მ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეიმუშაოს პოლიციის მიერ დაკითხვებისთვის ქცევის კოდექსი. გარდა ამისა, **წპკ**-მა კვლავ გასცა რეკომენდაცია დაკავების ჟურნალის წარმოების შესახებ, რომელშიც დოკუმენტიებული იქნება პირის პატიმრობაში ყოფნის ყველა ასპექტი და მასთან დაკავშირებით მიღებული ზომები.

147. დროებითი დაკავების იზოლატორებში არსებული დაკავების პირობები ზოგადად არადამაკმაყოფილებელი იყო, თუ არ ჩავთვლით ბათუმის შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორს. **წპკ**-მ განსაზღვრა რიგი ზომებისა, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას არსებული ვითარების გამოსორებისათვის. კერძოდ, საკნებში უნდა იყოს სათანადო განათება (რომელიც გარდა ხელოვნური განათებისა, ასევე გულისმობს საკანში დღის სინათლის შეღწევადობას) და ვენტლაცია. ყველა დაკავებული პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სუფთა ლეიბებით, საბნებითა და თეთრეულით, მათ დღის ნორმალური რეჟიმის მიხედვით უნდა მიეწოდო საკვები და უნდა ჰქონდეთ სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლება დღეში სულ მირე ერთი საათით.

რაც შეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილებში ჯერ კიდევ არსებულ საკნებს, იქ პირობები ყოველა მხრივ არადამაკმაყოფლებელია: სანები მცირე ზომისაა, ბნელი, ვენტილაციის გარეშე, სარემონტო და ბინძური. გარდა ამისა, პატიმრებს არ მიეწოდებოდა საკვები და მათ არ ჰქონდათ ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის შესაძლებლობა. **წპკ**-ს რეკომენდაციაა, აღნიშნულ ანგარიშში ჩამოყალიბებული ზოგადი კრიტერიუების გათვალისწინებით, გადაიხედოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებში არსებული დაკავების პირობები.

<u>ბ. უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

148. უშიშროების სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიზიტისას დელეგაციას არ სმენია საჩივრები თანამშრომელთა მხრიდან პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ.

დაწესებულება გათვალისწინებული იყო 72 საათამდე დაკავებისათვის; თუმცა, ვიზიტის დროს იქ მყოფი თერთმეტი პირიდან, შვიდი იყო მსჯავრდებული პირი, რომელმაც უკვე ერთიდან ცხრა წლამ-

დე გაატარა აღიშნულ დაწესებულებაში. დელეგაციას აცნობეს, რომ ანომალია - მსჯავრდებულ პატიმართა იზოლატორში მოთავსების სახით, გამოსწორდებოდა აჭარაში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის დაწესების შემდეგ. **წპკ**-მ მოითხოვა იმფორმაცია უშიშროების სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორის გამოყენების სამომავლო გეგმების შესახებ.

<u>გ. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

149. მონახულებულ დაწესებულებებში **წპკ**-ს დელეგაციას არ სმენია სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მხრიდან პატიმართა მიმართ <u>წამებისა ან სხვა რაიმე ფორმის არასათანადო მოპყრობის</u> შესახებ საჩივრები. ზოგადად, თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის დამოკიდებულება არ იყო დაძაბული. რაც შეხება კონკრეტულად თბილისის ქალთა №5 დაწესებულებას, დელეგაციამ შენიშნა დადებითი ურთიერთობების არსებობა თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და თბილისის №5 საპყრობილეში, პერსონალის ნაკლებობა და პატიამრთა საცხოვრებელ შენობებში მომუშავე პერსონალის პროპორციულად მცირე რაოდენობა ართულებს არსებული სიტუაციის კონტროლს და ზრდის <u>პატიმართა შორის ძალადობის რისკს</u>. პატიმართა შორის არაფორმალური ძალაუფლების მქონე სტრუქტურის არსებობა, რომელიც დაწესებულების შიგნით აკონტროლებს ვითარებას, ზრდის გამოძალვისა და დაშინების შემთხვევებს.

150. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ **წპკ** შეშფოთებულია საქართველოს პენიტენციური სისტემის სხვადასხვა მიმართულებით პროგრესის ნაკლებობით. **წპკ**-ს 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიში შეიცავდა რამდენიმე, მათ შორის სასწრაფოდ შესასრულებელ რეკომენდაციას. კომიტეტი აღიარებს, რომ რიგი რეკომენდაციების შესრულებას შესაძლოა სჭირდებოდეს ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხების გამოყოფა, რაც აღემატება მთავრობის ფინანსურ შესაძლებლობებს; თუმცა, არის რეკომენდაციები, რომელნიც დიდ ფინანსურ ხარჯებს არ საჭიროებენ და მათი შესრულება დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი. სამწუხაროდ, მეორე პერიოდული ვიზიტისას გამოვლენილმა ფაქტებმა გამოაშკარავა, რომ 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში გაცემული ბევრი რეკმენდაცია შეუსრულებელია, ზოგიერთი მიმართულებით კი ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა.

151. 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს დელეგაციას აცნობეს შემაშფოთებელი ფაქტი: საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პატიმართა რაოდენობა 2004 წლის იანვრის შემდეგ გაიზარდა 700 პირით. შედეგად, ქვეყნის მასშტაბით წინასწარი პატიმრობის ყველაზე დიდ, თბილისის №5 დაწესებულებაში, <u>გადატვირთულობამ</u> მიაღწია საგანგაშო ზღვარს. ამავე დროს, მცირე გამონაკლისების გარდა, ციხეში არსებული ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაში იყო, რამდენიმე შენობა კი გამოსაყენებლად უვარგისი. შესაბამისად, ბევრ დაწესებულებაში არსებული პირობები უხეშად არღვევდა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს.

საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მიიღო სხვადასხვა ზომები. პირველ რიგში, გადაიდგა ნაბიჯები პენიტენტიური სისტემის ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და გარემონტებისათვის. გარდა ამისა, დაიგეგმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რათა შემცირდეს წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის ზღვარი გამოძიებისა და სასამართლო პროცეის ხანგრძლივობზე ლიმიტის დაწესებით. თუმცა, პირებმა, რომელთაც დელეგაცია შეხვდა, აღნიშნეს, რომ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პატიმრობის ალტერნატიული საშუალებები ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. **წპკ**-მ რეკომენდაცია გაუწია საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები ციხეებში გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, ციხეში მოთავსებულ პირთა რაოდენობის შემცირებისა თუ რეგულირების პოლიტიკის შემუშავების ჩათვლით.

152. **წპკ**-ს დელეგაციის მიერ აღნიშნული და საქართველოს მთავრობის მიერ წამოწეული კიდევ ერთი პრობლემა ეხებოდა პატიმრებისათვის გათვალისწინებული <u>აქტივობათა პროგრამების</u> კუთხით შექმნილი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში პატიმართა მხოლოდ 10% არის დასაქმებული. **წპკ**-ს რეკომენდაციაა, მიღებულ იქნას კონკრეტული ზომები, რათა მსჯავრდებული და ბრალდებული პატიმრებისათვის უზრუნველყოფილ იქნას დასაქმება. გარდა ამისა, კომიტეტის რეკომენდაციაა, გადაიდგას ნაბიჯები სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგების პროგრამების შემუშავების მიზნით.

153. <u>თბილისის №5 საპყრობილე</u> **წპკ**-მ პირველად მოინახულა 2001 წელს და ვიზიტის შემდგომ ანგარიშში გასცა რამდენიმე სასწრაფო რეკომენდაცია. მეორე პერიოდული ვიზიტის დროს, დელ-

ეგაციამ გამოავლინა, რომ პატიმართა დიდი უმრავლესობა სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორის ზეგავლენის ქვეშ იყო, რომელთა ერთობლივი ეფექტი შესაძლოა მარტივად დახასიათდეს, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა: მზარდი გადატვირთულობა, სავალალო საყოფაცხოვრებო პირობები და ჰიგიენის დონე, რეჟიმით გათვალისწინებული საქმიანობებისა და ღონისძიებების არქონა. რაც შეეხება ქალ და დაავადებუ პატიმრებს, ისინი სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში იყვნენ მოთავსებულნი.

გარდა მსჯავრდებული პატიმრებისა, რომელნიც დაწესებულებაში იყვნენ დასაქმებულნი, არცერთი პატიმრისათვის არ იყო უზრუნველყოფილი რაიმე სახის აქტივობა. 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს იმდენად დაბალ ზღვარს მიაღწია პატიმრებისა და პერსონალის რაოდენობის თანამფარდობამ, რომ პატიმრებისთვის ფაქტიურად არ იყო უზრუნველყოფილი სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებით სარგებლობა.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დელეგაციამ დაუყოვნებლივი რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს ხელისუფლებას ორივე ვიზიტის დასასრულს. შემდგომ, ქართულმა მხარემ მიაწოდა **წპკ**-ს ინფორმაცია აღიშნული შენიშვნების საფუძველზე დაგეგმილი თუ უკვე გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ცხადია, ვითარების მნიშვნელოვნად გამოსწორება შესაძლებელი იქნება მხოლოდ რუსთავის №6 დაწესებულების მშენებლობის დასრულების შემდეგ. მანამდე კი, იგეგმებოდა №5 საპყრობილიდან ქალ და არასრულწლოვან პატიმართა გადაყვანა შესაბამისად, თბილისის ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში. **წპკ**-მ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები, რათა თბილისის №5 საპყრობილეში თითოეული პატიმრისათვის უზრუნველყოფილი იყოს საწოლი, საკნების ფანჯრებიდან რკინის დარაბების ჩამოხნა და ერთხელ და სამუდამოდ საპატიმროს მთავარი ბლოკის სარდაფში არსებული საკნების გაუქმება.

154. <u>ბათუმის №3 საპყრობილეში</u> საყოფაცხოვრებო პირობები მრავალ ასპექტში უკეთესი იყო, ვიდრე თბილისის №5 დაწესებულებაში. პატიმართა რაოდენობა ოფიციალურ ლიმიტს არ აღემატებოდა და რამდენიმე მრავალადგილიანი საკნის გარდა, პრაქტიკულად არ შეინიშნებოდა გადატვირთულობის პრობლემა. ერთი-ერთი მთავარი ნაკლი იყო საკნების ფანჯრებზე დამაგრებული რკინის დარაბები, რომელნიც ხელს უშლიდნენ საკანში ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის შეღწევას. რაც შეეხება აქტივობათა რეჟიმს, დელეგაცია მოხარული იყო, რომ პატიმრები სარგებლობდნენ ყოველდღიური გასეირნების უფლებით, სულ მცირე ერთი საათით. თუმცა, პატიმართა დიდი უმრავლესობა არ იყო დასაქმებული ან დაკავებული რაიმე აქტივობებით ან ღონიშძიებებით. **წპკ**-მ გასცა რიგი რეკომენდაციებისა აღიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

155. <u>ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში</u> დელეგაციამ შენიშნა, რომ საყოფახსოვრებო პირობები, ზოგადად, ძალიან კარგი იყო და გაოგნდა თანამშრომელთა პროფესიონალური დამოკიდებულებისა და პატიმართა მიმართ არსებული კეთილგანწყობით. თუმცა, პატიმრების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დასაქმებული. დასანანია, რომ უკანსკნელ ხანს ჩატარებული რემონტის შედეგად, დიდი საერთო საცხოვრებელი ოთახები არ გაყვეს პატარა საკნებად, რაც პატიმრებისათვის უზრუნველყოფდა პირად სივრცეს და უკეთეს გადანაწილებას ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. **წპკ** ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილონ თბილისის ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უფრო მცირე ზომის საკნების გაკეთების შესაძლებლობა. საჭიროა თანამშრომლების მხრიდან მეტად პროაქტიული მიდგომის შერჩევა, რათა მეტი პატიმარი დაასაქმონ და ჩართონ სხვადასხვა ღონისძიებებში.

156. <u>ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში</u> არსებული საყოფაცხოვრებო პირობები, ზოგადად, მისაღები იყო. თუმცა, **წპკ**-ს შენიშვნები ჰქონდა არასრულწლოვანთა საკვებით, ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენური ნივთებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. რაც შეეხება აქტივობათა რეჟიმს, გარდა სკოლაში სწავლის უზრუნველყოფისა, აუცილებელია არასრულწლოვანთა დღის წესერიგის გამრავალფეროვნება მათი ჩართვის სხვადასხვა შინაარსობრივ აქტივობებსა და ღონისძიებებში (მაგ. სპორტი, პროფესიული ტრენინგი და ა.შ.). კომიტეტმა გასცა რამდენიმე რეკომენდაცია დაწესებულებაში აღნიშნული კუთხით ვითარების გაუმჯობესებისათვის.

157. <u>რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში</u> არსებული სავალალო საყოფახოვრებო პირობები, აქტივობათა რეჟიმის არქონა, არაადექვატური სამედიცინო მომსახურება და, ზოგადად, უიმედო მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც არაადამიანური მოპყრობა. იქ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დაუშვებელია დაწესებულების ფუნქციონირების გაგრძელება.

2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დასასრულს, დელეგაციამ საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინა მყისიერი შენიშვნები და მოითხოვა რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების გადატანის გეგმის შემუშავება. საქართველოს მთავრობამ აცნობა **წპკ**-ს რომ მისი საბოლოო მიზანი იყო რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმართა გა-

დაყვანა ახალ დაწესებულებაში და არსებული შენობების რეკონსტრუქცია. თუმცა, აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელი იყო რუსთავის №6 დაწესებულების გახსნა. მანამდე კი, გადაიდგა ნაბიჯები დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობის შემცირებისათვის. კომიტეტმა მოითხოვა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ყველა ზომა, რათა რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში დარჩენილი პატიმრები გადაიყვანოს სხვა დაწესებულებაში, სადაც პატიმრობის ადამიანური პირობებია.

158. მონახულებულ დაწესებულებებში **წპკ**-მ მიაქცია ყურადღება ჯანდაცვის სამსახურის მუშაობის რიგ ასპექტებს (პერსონალი და ინფრასტრუქტურა, სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში მიღებისას; სამედიცინო ჩანაწერები და კონფიდენციალურობა; ტუბერკულოზის მკურნალობა). ქალთა №5 და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებებში არსებული ჯანდაცვის მომსახურება დამაკმაყოფილებელი იყო. ასევე, პოზიტიური ცვლილებები შეინიშნებოდა თბილისის №5 საპყრობილეში; თუმცა **წპკ**-მ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა თბილისის №5 საპყრობილეში უზრუნველყოფილ იქნას ჯანდაცვის პერსონალის შევსება ექთნებისა და სანიტრების დასაქმების გზით და დაწესებულების მომარაგება შესაბამისი მედიკამენტებითა და ინვენტარით.

ბათუმის №3 დაწესებულებაში პატიმრებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება არ აკმაყოფილებდა სტანდარტებს არცერთ ასპექტში. დაწესებულებაში მხოლოდ ერთი ფერშალი იყო დასაქმებული. იმის გამო, რომ დაწესეულებაში არ არსებობდა ექიმი, იქ არ მიმდინარეობდა პატიმართა სათანადო შემოწმება, გამოკვლევა, დიაგნოსტირება და მკურნალობა. **წპკ**-ს რეკომენდაციაა, ბათუმის №3 დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაიდგას ნებიჯები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ექიმის რეგულალური ვიზიტები და აღმოიფხვრას სხვა ნაკლოვანებები.

რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მხოლოდ ერთი ექიმი მუშაობდა სრული განაკვეთით პატიმრებისა და თანამშრომლების სამკურნალოდ. სრულიად მიუღებელ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების არარსებობა. შესაბამისად, ჯანდაცვის ელემენტარული მომსახურებაც კი არ იყო უზრუნველყოფილი. როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელია იქ მყოფ პატიმართა გადაყვანა სხვა დაწესებულებაში.

159. 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ**-მ ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომელნიც მიმართული იყო საქართველოს პენიტენციურ სისტემაში რუბერკულოზის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებისკენ. დელეგაციამ, რომელიც მეორე პერიოდული ვიზიტის დროს იმყოფებოდა საქართველოში, კმაყოფილებით აღნიშნა ზემოხსენებული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისია ბათუმის №3 საპყრობილე; **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ნაბიჯები, რათა აღნიშნულ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყოს ტუბერკულოზზე პატიმართა სისტემატური გამოკვლევის შემოღება ტუბერკულოზის კოტროლის DOTS მეთოდის საშუალებით და პოზიტიური ანალიზის მქონე პატიმართა დაუყოვნებლივი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისათვის.

160. თბილისის ციხის ცენტრალური საავადმყოფოში, რომელიც **წპკ**-მ პირველად 2001 წელს მოინახულა, კვლავ არადამაკმაყოფილებელი ვითარებაა და დაწესებულებაში არ არის შესაძლებელი სათანადო გამოკვლევების, დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ჩატარება (ტუბერკულოზის გამოკლებით). რეკომენდაციები გაიცა დაწესებულებაში არსებულ საყოფაცხოვრებო პირობებთან, სამედიცინო აპატარურასა და მედიკამენტების მომარაგებასთან დაკავშირებით, ასევე - პერსონალის დასაქმებისა და პაციენტთა ფიზიკური შეზღუდვის შემთხვევების აღრიცხვის შესახებ. გარდა ამისა, კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში უზრუნველყოს მიღებისა და გაწერის პროცედურების გადახედვა, პატიმრების დაწესებულებაში მიღება დიაგნოსტიკური კრიტერიუმების მიხედვით და ჰოსპიტალიზაციის დასაბუთებული გახანგრძლივება.

161. **წპკ**-მ გასცა რეკომენდაციები კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებთნ დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ციხის თანამშრომლებს. ჰუმანური სასჯელაღსრულების სისტემის საფუძველი ყოველთვის იქნება სწორად შერჩეული და კარგად გაწვრთნილი თანამშრომლები, რომელთაც იციან პატიმრებთან ურთიერთობის შერჩევა და თავიანთ საქმეს უყურებენ, როგორც პროფესიას და არა მხოლოდ როგორც სამსახურს.

მონახულებულ დაწესებულებათა უმრავლესობაში თანამშრომელთა მნიშვნელოვანი დანაკლისი შეიმჩნეოდა. გარდა ამისა, თანამშრომელთა სამუშაო პირობები ფაქტიურად არ განსხვავდებოდა პატიმართა საცხოვრებელი პირობებისგან. შედეგად, აღნიშნული საქმიანობა არაპრესტიჟული იყო, საკმაოდ გართულებული იყო მორალის შენარჩუნება და თანამშრომლეთა გადინების თავიდან აცილება. **წპკ** რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, ზემოხსენებული შენიშვნების გათვალსწინებით, გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა გააუმჯობესოს თანამშორმელთა დასაქმების დონე მონახულებული დაწესებულებების

საცხოვრებელ ნაწილებში, გააუმჯობესოს მათი სამუშაო პირობები და უზრუველყოს მათთვის სათანადო ტენინგები (როგორც შესავალი, ისე მიმდინარე). კომიტეტმა ასევე მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ნაბიჯები ციხის თნამშრომლეთა შორის კორუფციის აღმოსაფხვრელად.

<u>დ. წპკ-ს რეკომენდაციებთან, შენიშვნებთან და მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხები</u>

162. **წპკ**-ს მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, შენიშვნები და მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების შესახებ მოცემულია I დანართში.

163. რაც შეეხება **წპკ**-ს <u>რეკომენდაციებს</u>, კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, **წპკ** სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, **ექვსი თვის** განმავლობაში წარუდგინოს დეტალური საპასუხო ანგარიში მოცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

წპკ იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ზემოხსენებულ საპასუხო ანგარიშში ჩამოაყალიბებს თავის მოსაზრებებს წინამდებარე ანგარიშში მოცემული შენიშვნების შესახებ, რომელნიც ასევე მოცემულია I დანართში და მიაწოდებს **წპკ**-ს მოთხოვნილ ინფორმაციას.

<u>დანართი I</u>
წპკ-ს რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოთხოვნილ ინფორმაციათა ჩამონათვალი

ა. <u>შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

<u>რეკომენდაციები</u>

– საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ქმედითი ზომები პოლიციის თანამშრომელთა ყველა დონეზე ინფორმირებისა და განათლებისათვის ახალი წესების ამოქმედებების შესახებ (მე-14 პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– **წპკ** იმედოვნებს, რომ მიღებულ იქნება ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს მთელ ტერიატორიაზე იყოს დაცული სამართლებრივი შეზღუდვები საპოლიციო დაკავების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით (მე-15 პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– საქართველოს მთავრობის მოსაზრებები იმ პრაქტიკასთან დაკავშირებით, როდესაც მოსამართლის მიერ პირებისათვის აღღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემდეგაც, პატიმრებს კვლავ აბრუნებდნენ პოლიციის განყოფილებების საკნებში (მე-15 პუნქტი).

– **წპკ**-ს სურს მიიღოს დასტური, რომ აჭარაში გამოვლენილი გამოძიების ქვეშ მყოფ პატიმართა გადაყვანის პრაქტიკა დასრულებულია (მე-16 პუნქტი).

2. წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები

<u>რეკომენდაციები</u>

– საქართველოს ხელისუფლებას, 22-ე პუნქტში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით შეიმუშავოს პოლიციის თანამშრომელთათვის ტრენინგების პროგრამა (22-ე პუნქტი).

– როდესაც პოლიციის განყოფილებაში დაკავების დასასრულს მოსამართლის წინაშე წარდგენისას, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი განაცხადებს პოლიციის თნამშრომელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შესახებ, მოსამართლემ წერილობით უნდა დააფიქსიროს საჩივარი, დაუყოვნებლივ გასცეს მითითება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაქტის სათანადო შესწავლა და გამოძიება. აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ ინდა იქნეს მიუედავად იმისა, აღენიშნება თუ არა პირს ხილული დაზიანებები. გარდა ამისა, არასათანადო მოპყრობის შესახებ ნათლად გამოხატული საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო-სამედიცინო ექპერტიზა, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მის წინაშე წარდგენილი პირი შესაძლოა ყოფილიყო არასათადო მოპყრობის მსხვერპლი 23-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– **წპკ** ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოიღოს უნიფიცირებული ერთიანი სისტემა პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ საჩივრების, დისციპლინური სანქციებისა და სისხლისსამართლებრივი წარმოების/სანქციების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისათვის (21-ე პუნქტი);

– **წპკ** მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომელთა ტრენინგებთან ერთად, სასარგებლო იქნება პოლიციის ეთიკის კოდექსის შემუშავება. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს პოლიციის ეთიკის ევროპულ კოდექსში ასახული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ დადგენილი პრინციპები და სტანდარტები (22-ე პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– კომიტეტი სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია 2003-2004 წლებთან მიმართებაში:

• არასათანადო მოპყრობის ჩადენასთან დაკავშირებით, პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ არსებული საჩივრების რაოდენობა;

• აღიშნული საჩივრების საფუძველზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური წარმოების საქმეების რაოდენობა;

• სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური სანქციების შესახებ ანგარიში. (21-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს სურს საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღოს შეფასება თბილისის №5 საპყრობილეში სასამართლო სამედიცინო ექიმის ვიზიტის პრაქტიკასთან დაკავშირებით (25-ე პუნქტი).

3. თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები

<u>რეკომენდაციები</u>

– **წპკ** რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პრაკტიკაში ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი დაკავებულ პირთა უფლება, დაკავების შესახებ შეატყობინონ ახლო ნათესავს ან მათ მიერ არჩეულ მესამე პირებს თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე (ანუ, იმ მომენტიდან, როდესაც პირი ვალდებულია დარჩეს პოლიციის ზედამხედვლობის ქვეშ). გარდა ამისა, წერილობით უნდა აღირიცხოს ზემოაღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევები (29-ე პუნქტი);

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ პრაკტიკაში ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი დაკავებულ პირთა უფლება ადვოკატზე, პირების თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე. გარდა ამისა, **წპკ**-ს რეკომენდაციაა, წერილობით აღირიცხოს ზემოაღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევები (31-ე პუნქტი).

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ პრაკტიკაში ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი დაკავებულ პირთა უფლება ექიმის ხელმისაწვდომობაზე, პირების თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე. ასევე, **წპკ**-ს რეკომენდაციაა, რომ ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

• ნებისმიერი სახის სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს პოლიციის თანამშრომელთა მიერ მიყურადებისა და, თუ ექიმი სხვაგვარად არ მოითოვს კონკრეტულ სიტუაციაში, თვალთახედვის არის მიღმა;

• თითოეული შემოწმების შედეგი, ასევე დაკავებული პირის მიერ გაკეთებული ნებისმიერი შესაბამისი განცხადება და ექიმის დაკვნა, ოფიციალურად უნდა იქნეს აღრიცხული ექიმის მიერ და ხელმისაწვდომი გახდეს დაკავებულისა და მისი ადვოკატისათვის;

• დაცული უნდა იყოს სამედიცინო მონაცემთა კონფიდენციალურობა. (34-ე პუნქტი);

– **წპკ** რეკომენდაციაა, რომ ფორმები, სადაც მითითებული იქნება პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა უფლებები, სისტემატურად გადაეცეთ დაკავებულ პირებს პოლიციის მიერ მათი დაკავების საწყისი ეტაპიდანვე. სხვა საკითხების გარდა, ფორმა უნდა ასახავდეს 29-ე, 31-ე და 34-ე პუნქტებში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს. ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს რამდენიმე შესაბამის ენაზე. გარდა ამისა, დაკავებულ პირს სისტემატურად უნდა მოეთხოვოს განცხადების ხელმოწერა იმის თაობაზე, რომ მას ეცნობა თავისი უფლებების შესახებ (36-ე პუნქტი).

– **ნპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეიმუშაოს პოლიციის მიერ დაკითხვის წარმოების ქცევის კოდექსი (37-ე პუნქტი).

– კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები რომ პოლიციის განყოფილებებში წარმოებული ჟურნალები თავსებადობაში მოდიოდეს 39-ე პუნქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან (39-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– **ნპკ** ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები დაკავებულ პირთათვის იურიდიული დახმარების სისტემის პრაკტიკაში სრულად და ეფექტიანად ამოქმედების უზრუნველსაყოფად (32-ე პუნქტი);

– დაკავებულთათვის დარიგებულ ფორმებში, სადაც ჩამოყალიბებულია მათი უფლებები, არ იყო ნახსენები თავისუფლების აღკვეთის შესახებ შეტყობინების უფლება (35-ე პუნქტი);

– რომ პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის აუცილებელია დამოკიდებულების საფუძვლიანი შეცვლა დასაქმებისა და დასაქმებულ თანამშრომელთა მომზადების, მტკიცებულებათა შეგროვების თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და ზედამხედველობის ტექნიკის გაუმჯობესების კუთხით (37-ე პუნქტი);

– მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი იყოს საზედამხედველო სამსახური და არა პოლიციის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები ან გამომძიებლები (39-ე პუნქტი).

4. დაკავების პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

– მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რათა დროებითი მოთავსების იზოლატორებში უზრუნველყოფილი იყოს:

• საკანში ადექვატური განათება (რაც სასურველია ითვალისწინებდეს ასევე ბუნებრივ განათებას) და ვენტილაცია;

• საკნების რემონტის, ჰიგიენური პირობებისა და საერთო სანიტარული კვანძების დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; საკნის შიგნით მდებარე სანიტარული კვანძების გადატიხვრა;

• დაკავებულ პირთა მომარაგება პირადი ჰიგიენის და პირველადი მოხმარების ნივთებით (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, და ა.შ.) და საშხაპე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;

• ყველა დაკავებული პირის მომარაგება სუფთა ლეიბებითა და თეთრეულით;

• დაკავებულ პირთათვის დღის შესაბამის მონაკვეთებში საკმარისი რაოდენობისა და სათანადო ხარისხის საკვების მიწოდება;

• დაკავებულ პირთა ზელმისაწვდომობა სუფთა ჰაერზე გასეირნებასა და ვარჯიშზე დღეში ერთხელ სულ მცირე ერთი საათით. (43-ე პუნქტი);

– უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

• საკნებში ადექვატური განათება და ვენტილაცია;

• დაკავებულ პირთა სუფთა ლეიბებითა და თეთრეულით მომარაგება ღამის საათებში;

• დაკავებულ პირთათვის, შესაბამის საათებში, საკვების ყოველდღიურად მიწოდება. (45-ე პუნქტი);

– გადაიდგას შესაბამისი ზომები, რათა ბათუმის ადმინისტრაციული დაკავებისა და გამოსაფხიზლებელ დაწესებულებაში უზრუნველყოფლ იქნას:

• ადექვატური შიდა განათება (ბუნებრივი განათების ხელმისაწვდომობის ჩათვლით) და ვენტილაცია;

• საკნების რემონტის, ჰიგიენური პირობებისა და სანიტარული კვანების დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;

• დაკავებულ პირთა სუფთა ლეიბებითა და თეთრეულით მომარაგება ღამის საათებში;

• დაკავებულ პირთათვის საშხაპე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;

• ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთათვის დღის შესაბამის მონაკვეთებში საკვების მიწოდება;

• ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთათვის სხვადასხვა სახის აქტივობები (მაგ. წიგნები, ტელევიზორი და ა.შ.). (47-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– 4მ^2-ზე ნაკლები ფართობის საკნები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოს მოკლევადიანი დაკავებისთვის და არავითარ შემთხვევაში - ღამის გასათევად (44-ე პუნქტი);

– **წპკ** ურჩევს საქათველოს ხელისუფლებას, განიხილონ 24 საათით ან მეტი დროით დაკავებულ პირთათვის სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უზრუნველყოფა, დღეში ერთი საათით მაინც (45-ე პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– **წპკ**-ს სურს მიიღოს ახსნა-განმარტებები რაიონული პოლიციის განყოფილებებში დაკავების დასაშვებ ხანგრძლივობასთან დაკავშირებით (44-ე პუნქტი).

– **წპკ**-ს სურს მიიღოს დეტალური ინფომაცია გამოსაფხიზლებელ დაწესებულებებში პირთა ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების წესებთან და პრაკტიკასთან დაკავშირებით.

ბ. <u>უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– ინფორმაცია უშიშროების სამინისტროს ბათუმის დროებითი მოთავსევის იზოლატორის გამოყენების სამომავლო გეგმების შესახებ (52-ე პუნქტი).

გ. <u>იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

<u>რეკომენდაციები</u>

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები ციხეებში გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, ციხეში მოსათავსებელ პირთა რაოდენობის შემცირებისა თუ რეგულირების პოლიტიკის შემუშავების ჩათვლით. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ციხის გადატვირთულობისა და ციხის პოპულაციის შემცირების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის No.R(99)22 რეკომენდაციაში, ასევე პირობით გათავისუფლების (პირობით ვადამდე გათავისუფლების) შესახებ № Rec(2003)22 რეკომენდაციაში დაწესებული პრინციპები და ზომები (57-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას კონკრეტული ზომები, რათა მსჯავრდებული და ბრალდებული პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იყოს დასაქმება. გარდა ამისა, კომიტეტის რეკომენდაციაა, გადაიდგას ნაბიჯები სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგების პროგრამების შემუშავების მიზნით (58-ე პუნქტი);

– საქართველოს ხელისუფლებამ, მიანიჭოს პრიორიტეტი ციხის პერსონალისათვის უკეთესი პირობების შექმნისა და მათთვის ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფას (59-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– **წპკ**-ს სწამს, რომ წინამდებარე ანგარიშში გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები მხედველობაში იქნება მიღებული პატიმრობის ახალი კოდექსის შემუშავებისას (60-ე პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– **წპკ**-ს სურს მიიღოს დეტალური ინფორმაცია რუსთავის №6 დაწესებულებასთან დაკავშირებით, კერძოდ: მისი მომავალი ლიმიტი; თითოეული პატიმრისათვის გათვალისწინებული ფართი; იქ მოსათავსებელ პირთა კატეგორია; პატიმრებისათვის განსაზღვრული აქტივობების პროგრამა და თანამშრომლების რესურსთან დაკავშირებული საკითხები (56-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს სურს მიიღოს ინფორმაცია პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხების განხორციელების პროგრესის შესახებ (60-ე პუნქტი).

2. **არასათანადო მოპყრობა**

<u>რეკომენდაციები</u>

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, ზემოაღნიშნული შენიშნვნების გათვალისწინებით მიიღოს ზომები, რათა თავიდა იქნეს აცილებული პატიამრთა შორის ექსპლუატაცია, დაშინება და ძალადობა (62-ე პუნქტი).

3. დაკავების პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

– **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ გადადგას ნაბჯები, რათა თბილისის №5 საპყრობილეში უზრუნველყოფილი იყოს შემდეგი:

• თითეული პატიმარს ჰქონდეს თავისი საწოლი;

• საკნების ფანჯრებიდან რკინის დარაბების ჩამოხნა, რათა პატიმართა საცხოვრებელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის ხელმისაწვდომობა;

• ქალ და არასრულწლოვან პატიმართა გადაყვანა შესაბამის ქალთა პენიტენციურ დაწესებულებასა და ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში;

• ერთხელ და სამუდამოდ საპატიმროს მთავარი ბლოკის სარდაფში არსებული საკნების გაუქმება;

• ყველა პატიმრისათვის დღეში სულ მცირე ერთი საათით სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლებით სარგებლობა (75-ე პუნქტი).

– **წპკ** რეკომენდაციით, ბათუმის №3 დაწესებულებაში უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

• პირველ რიგში, რკინის დარაბბის მოხსნა ყველა საკნის ფანჯრიდან;

• საკნებში მოთავსებულ პატიმართა რაოდენობის თანდათანობით შემცირება, რათა თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს 4 m^2 საცხოვრებელი ფართი;

• საკვების ხარისხის გაუმჯობესება და რაოდენობის გაზრდა;

• უკვე გარემონტებული საკნის მსგავსად, სხვა საკნების გარემონტების გაგრძელება;

• პატიმართათვის შხაპის მიღებით სარგებლობა სულ მცირე კვირაში ერთხელ;

• პატიმრებისათვის აქტივობათა პროგრამის შემუშავება; პროგრამის მიზანი უნდა იყოს, რომ ყველა პატიმარი (ბრალდებულების ჩათვლით) დღის გონივრულ ნაწილის განმავლობაში საკანს გარეთ, სხვადასხვა მიზანმიმართული საქმიანობით იყოს დაკავებული. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სავარჯიშო დარბაზის დასრულების შემდეგ, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს მასზე ხელმისაწვდომობა (არა მხოლოდ მსჯავდებულ პატიმრებს);

• არასრულწლოვანი პატიმრებისათვის მათი ასაკის შესაბამისი საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებები. ფიზიკურმა მომზადებამ აღნიშნული პროგრამის დიდი ნაწილი უნდა მოიცვას;

• სუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა პატიმრებს შეეეძლოთ ფიზიკური ენერგიის დახარჯვა (82-ე პუნქტი);

– **წპკ** რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები თბილისის ქალთა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში აქტივობათა პროგრამის შემუშავებისათვის. საჭიროა თანამშრომლების მხრიდან მეტად პროაქტიული მიდგომის შერჩევა, რათა მეტი პატიმარი დაასაქმონ და ჩართონ სხვადასხვა ღონისძიებებში (კერძოდ, საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგები) (90-ე პუნქტი).

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები, რომ ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესეულებაში უზრუნველყოფილ იქნას:

• არასრულწლოვანთათვის საკმარისი რაოდენობის, ხარისხისა და მრავალფეროვნების საკვები;

• სათანადო ხელოვნური განათება, ყველა საცხოვრებელი საკნის გათბობა და სისუფთავის დაცვა;

• ყველა არასრულწლოვნის მომარაგება ნორმალური თეთრეულითა და შესაბამისი ტანსაცმლით;

• სანიტარული კვანძების რემონტი და მათი სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება;

• არასრულწლოვანთა საკმარისი რაოდენობის პირადი ჰოგიენური ნივთებითა და საწმენდი საშუალებებით მომარაგება (95-ე პუნქტი);

– **წპკ** რეკომენდაციაა, რომ 98-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების თანახმად,

მიღებულ იქნას ზომები ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში აქტივობათა პროგრამის გამრავალფეროვნებისათვის (98-ე პუნქტი);

– კომიტეტი მოითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ყველა ზომა, რათა რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში დარჩენილი პატიმრები გადაიყვანოს სხვა დაწესებულებაში, სადაც პატიმრობის ადამიანური პირობებია (105-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– **წპკ** ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილოს თბილისის ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უფრო მცირე ზომის საკნების გაკეთების შესაძლებლობა (86-ე პუნქტი);

– **წპკ** ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილოს ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში უფრო მცირე ზომის საკნების გაკეთების შესაძლებლობა (96-ე პუნქტი).

4. ჯანდაცვის მომსახურება

<u>რეკომენდაციები</u>

– **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს სასრაფო ზომები, რათა თბილისის №5 საპყრობილეში უზრუნველყოფილ იქნას:

• ჯანდაცვის პერსონალის შევსება ექთნებისა და სანიტრების დასაქმების გზით;

• შესაბამისი მედიკამენტებითა და ინვენტარით მომარაგება (106-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს რეკომენდაციაა, ბათუმის №3 დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაიდგას ნებიჯები იმისათვის, რომ:

• უზრუნველყოფილი იყოს ექიმის რეგულალური ვიზიტები; მოთხოვნამ, რომ ექიმის თანანდებობის დაკავება შეუძლია მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვასა და მენეჯტში სერტიფიკატის მფლობელ ექიმს, არ უნდა შეუშალოს ხელი ამ სასწრაფო პრობლემის მოგვარებას;

• გაუმჯობესდეს პატიმრებისათვის სტომატოლოგიური მომსახურება;

• უზრუნველყოფილ იყოს დაწესებულების გარეთ არსებულ საავადმყოფიებში იმ პატიმრების გადაყვანა, რომელნიც საჭიროებენ სამედიცინო შემოწმებასა და/ან მკურნალობას;

• უზრუნველყოფილ იყოს დაწესებულების მომარაგება საკმარისი რაოდენობის სათანადო მედიკამენტებით (107-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს რეკომენდაციაა, რომ 109-ე პუნქტიში მოცემული პირობები გათვალისწინებულ იქნას საქართველოში პატიმართათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს (109-ე პუნქტი);

– **წპკ** რეკომედაციაა, რომ ბათუმის №3 დაწესებულებაში დაინერგოს პატიამრთა მიღებისას სამედიცინო შემოწმების ჩატარების პრაქტიკა. აღნიშნულმა უნდა მოიცვას პატიმრის სხეულის გარეგანი დათვალიერება და აღმოჩენილი დაზიანებების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში, გადამდებ დაავადებათა სათანადო გამოკვლევა და კლინიკური გამოკვლევა. ცხადია, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დაწესებულებაში არსებული ჯანდაცვის სამსახურის სათავეში ექიმის დანიშვნით (115-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს რეკომენდაციაა, რომ თბილისის №5 საპყრობილესა და ბათუმის №3 დაწესებულებაში თითოეული პატიმრისათვის იწარმოებოდეს კონფიდენციალური სამედიცინო ანკეტა, რომელიც შეიცავს როგორც დიაგოსტიკურ ინფორმაციას, ასევე - პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი მკურნალობის შესახებ მიმდინარე ჩანაწერებს, ნებისმიერი გავლილი სამედიცინო გამოკვლევის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნოს თავის სამედიცინო ანკეტას, თუ რა თქმა უნდა ეს გამართლებულია თერაპევტული თვალსაზრისით, და მოითხოვოს, რომ ანკეტაში მოცემული იმფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მისი ოჯახის წევრებისა თუ ადვიკატისათვის. პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, სამედიცინო ანკეტა უნდა გადაეცეს მიმღები დაწესებულების ექიმს (116-ე პუნქტი);

– ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პერსონალისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ მიყურადების გარეშე - თუ ექიმმა სხვაგვარად არ მოითხოვა კონკრეტულ ვითარებაში - და მათი მხედველობის არის მიღმა (117-ე პუნქტი).

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ნაბიჯები, რათა ბათუმის №3 საპყრობილეში უზრუნველყოფილი იყოს:

• ტუბერკულოზზე პატიმართა სისტემატური გამოკვლევის შემოღება ტუბერკულოზის კოტროლის DOTS მეთოდის საშუალებით;

• BK-პოზიტიური ანალიზის მქონე პატიმართა დაუყოვნებლივი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისათვის (120-ე პუნქტი);

– **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში უზრუნველყოს:

• მიღებისა და გაწერის პროცედურების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პატიმრების დაწესებულებაში მიღება დიაგნოსტიკური კრიტერიუმების მიხედვით და დაუსაბუთებლად არ გახანგრძლივდეს ჰოსპიტალიზაცია; ამასთან დაკაშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შინაგან დაავადებათა განყოფილება;

• 122-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით, დაწესებულებაში პატი-

მართა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

• საკვების ხარისხის გაუმჯობესება და სამზარეულოს გარემონტება;

• საავადმყოფოს სამედიცინო აღჭურვილობის განახლება, განსაკუთრებით ქირურგიულ განყოფილებაში;

• ექიმებისა და ექთნების ვაკანტური თანამდებობების შევსება;

• პატიენტების მიმართ ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების თითოეული შემთხვევის აღრიცხვისათვის სპეციალური ჟურნალის შემოღება (129-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– ის ფაქტი, რომ რუსთავის №2 პენიტენციურ დაწესებულებაში ახალმიღებული პატიმრები, რომელნიც გადიოდნენ გამოკვლევას ტუბერკულოზზე და ელოდებოდნენ ნერწყვის მიკროსკოპული ანალიზის პასუხებს, არ თავსდებოდნენ კარანტინში, ეჭვის ქვეშ აყენებდა გამოკვლევის მეთოდის ეფექტიანობას (118-ე პუნქტი);

– პატიმრისათვის მისი ფინანსური შესაძლებლობების თავისუფლად გამოყენების უფლების მიცემა შესაძლოა გახდეს კორუფციისა და უკმაყოფილების წყარო (122-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ფსიქიატრიული პაციენტებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს თერაპევტული და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, ოკუპაციური თერაპიასა და ჯგუფურ და ინდივიდუალურ თერაპიაზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით. სხვა პაციენტებისათვის, განსაკუთრებით საავადმყოფოში ხანგრძლივი ვადით მოთავსებულთათვის, რაც შეიძლება ხელმისაწვდომი უნდა გახდეს შესაბამისი ღონისძიებები და რეკრეაციული საშუალებები (129-ე პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– **წპკ**-ს სურს ინფორმაციის მიღება იმის შესახებ თუ რა შესაძლებლობებს იძლევა საკართველოს კანონმდებლობა იმ პირთა ავადმყოფობის საფუძველზე გათავისუფლებისათვის, რომელთათვისაც არ არის მიზანშეწონილი გრძელვადიანი პატიმრობა (108-ე პუნქტი);

– ინფორმაცია იმ კონკრეტული კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც იმ პატიმართაგან, რომელთაც დაწეწესებულებაში მიღებისას აღენიშნებოდათ დაზიანებები, შეირჩევიან პირები თბილისის №5 საპყრობილეში მოწვეული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ ჩატარებული შემოწმებისათვის. კომიტეტს ასევე სურს გაიგოს, იგეგმება თუ არა აღნიშნული პრაქტიკის საქართველოში წინასწარი პატიმრობის სხვა დაწესებულებებში დანერგვა (115-ე პუნქტი).

5. წპკ-ს კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხები

<u>რეკომენდაციები</u>

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, 130-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალსწინებით, გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა გააუმჯობესოს თანამშრომელთა დასაქმების დოზე მონახულებული დაწესებულებების საცხოვრებელ ნაწილებში (130-ე პუნქტი);

– **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, არ დაიშუროს ძალისხმევა სასჯელაღსრულეის თანამშრომელთა შორის კორუფციის აღმოსაფხვრელად (132-ე პუნქტი);

– საქართველოს ხელისუფლებამ პრიორიტეტი მიანიჭოს ციხის თანამშრომელთათვის შესავალი და რეგულარული ტრენინგების ჩატარებას (133-ე პუნქტი);

– **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეიტანოს ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში, რათა ბრალდებული პატიმრებისათვის უზრუნველყოს პაემნებით სარგებლობის უფლება. პაემანზე პატიმრისათვის ნებისმიერი უარი დასაბუთებული უნდა იყოს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე და მოითხოვდეს იმ უწყებისგან ნებართვას, რომელიც არ არის საქმესთან კავშირში; ასევე, აღნიშნული უარი უნდა მოქმედებდეს დროის მოლოდ განსაზღვრული ვადით (134-ე პუნქტი);

– გადაიდგას ნაბიჯები, რათა თბილისის №5 საპყრობილესა და ბათუმის №3 საპყრობილეში პაემნების ინფრასტრუქტურა გათვლილი უყოს უფრო მეტ პატიმარზე (134-ე პუნქტი);

– განხულულ იქნას ბრალდებულ პატიმართათვის ღია ტიპის პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობები (134-ე პუნქტი);

– **წპკ** რეკომენდაციას უწევს საქართველოს მთავრობას, მსჯავრდებულ პატიმართათვის გაზარდოს პაემნების ოფიციალური რაოდენობა, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს თვეში სულ მცირე ერთი ხანმოკლე და ერთი ხანგრძლივი პაემნით (135-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს რეკომენდაციაა, 136-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით გადაიხედოს სასჯელაღსულების დაწესებულებებში პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის პირობები (136-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები იმის უზრუნელსაყოფად, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ სათითაოდ მოუსმონოს ყველა პატიმარს, რომელთა მიმართაც მიმდინაორეობს დისციპლინური განხილვა, იმ გადაცდომასთან დაკავშირებით, რომელშიც ედებათ ბრალი. კომიტეტი ასევე გასცემს რეკომენდაციას, რომ პატიმრებს სისტემატურად და წერილობით უნდა გააცნონ მათი უფლების შესახებ, გაასაჩივრონ მათ მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელი (137-ე პუნქტი);

– გადაიდგას ნაბიჯები, რათა 138-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით, მონახულებულ დაწესებულებებში არსებულ დისციპლინური დასჯის საკნებში გაუმჯობესდეს პირობები. რაც შეეხება თბილისის №5 საპყრობილეს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქინამდებარე ანგარიშის 75-ე პუნქტზე, რომელშიც ჩამოყალიბებულია რეკომენდაცია სარდაფში არსებული ყველა საკნის გაუქმების შესახებ (138-ე პუნქტი);

– გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ საქართველოში დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებულ ყველა პატიმარს ჰქონდეს სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის უფლება, დღეში სულ მცირე ერთი საათით (139-ე პუნქტი);

– უზრუნველყოფილ იქნას, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებულ ყველა პატიმარს (ბრალდებულსა და მსჯავრებულს) უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელ ორგანოში საჩივრის გაგზავნის შესაძლებლობა. საჭიროების შემთხვევაში, მიღებულ უნდა იქნას ზომები აღნიშნულ საჩივართა კონდიფენციურად გაგზავნის უზრუნველყოფისათვის (მაგ. კონვერტებით მომარაგება; პატიმრებისათვის საჩივართა დალუქული ყუთების ხელმისაწვდომობა, რომელთა გახსნის უფლება ექნება სპეციალურად დანიშნულ პირს) (140-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– ციხეებში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის უზრუველყოფილი უნდა იყოს მათ მოვალეობასთან დაკავშირებული სათანადო ტრენინგები (131-ე პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– **წპკ**-ს სურს მიიღოს ინფორმაცია უსაფრთხოების პერიმეტრზე პასუხისმგებლობის სავალდებულო საჯარისო ნაწილებისა ან რეზერვისტებისათვის გადაბარების შესახებ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგმის პროგრესთან დაკავშირებით (131-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს სურს მიიღოს მეტი ინფორმაცია სასჯელღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგების ცენტრის დაარსების გეგმისა და მისი განხორციელების შესახებ (133-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს სურს მიიღოს მეტი ინფორმაცია 2004 წლის დასაწყისიდან სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტების შეწყვეტის შესახებ (141-ე პუნქტი).

<u>დანართი II</u>

ჩამონათვალი სახელისუფლო სტრუქტურების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანზაციებისა, რომელთანაც წპკ-ს დელეგაციამ გამართა კონსულტაციები

ვიზიტის პირველი ნაწილი (18 – 28 ნოემბერი, 2003 წელი)

ა. სახელმწიფო უწყებები

<u>იუსტიციის სამინისტრო</u>

ბ-ნი გიორგი წკრიალაშვილი	მოქმედი მინისტრი
ბ-ნი კახა კობერიძე	მინისტრის მოადგილე
ბ-ნი გიორგი ჯანაშია	სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი არჩილ ბორჯაძე	სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი

ბ-ნი ბადრი ბალავაძე	სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ქ-ნი ნათია სულავა	საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

<u>შინაგან საქმეთა სამინისტრო</u>

ბ-ნი დავით ჯინჯოლავა	გენერალური ინსპექციის უფროსი
ბ-ნი გელა წიკლაური	გენერალური ინსპექცის უფროსის მოადგილე
ბ-ნი ალექსანდრე კიკაბიძე	გენერალური ინსპექცის უფროსის მოადგილე
ბ-ნი დავით მჭედლიშვილი	ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის უფროსი

<u>შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო</u>

ბ-ნი ამირან გამყრელიძე	მინისტრი
ბ-ნი მერაბ ქორჭილავა	მინისტრის მოადგილე
ბ-ნი თემურ სილაგაძე	ფსიქიატრიული დეპარტამენტის უფროსი

<u>საგარეო საქმეთა სამინისტრო</u>

ბ-ნი კახა სიხარულიძე	მინისტრის მოადგილე

<u>გენერალური პროკურატურა</u>

ბ-ნი ვენედი ბენიძე	გენერალური პროკურორის მოადგილე
ბ-ნი გიორგი თვალავაძე	გენერალური პროკურორის მოადგილე
ქ-ნი თამარ იასაშვილი	ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის უფროსი

<u>ეროვნული უშიშროების საბჭო</u>

ქ-ნი რუსუდან ბერიძე	მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა საკითხებში
ბ-ნი მალხაზ კაკაბაძე	საგანგებო საკითხთა მინისტრი

ბ. <u>არასამთავრობო ორგანიზაციები</u>

სამოქალაქო კოორდინაცის საბჭო "ემპათია"
"ყოფილი პოლიტიკური პატიმრები ადამიანის უფლებებისათვის"
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი
ადამიანის უფლებათა კავკასიის დირექტორატი

გ. <u>საერთაშორისო ორგანიზაციები</u>

ევროკომისიის დელეგაცია საქართველოსა და სომხეთში
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაცია თბილისში
ეუთო

ვიზიტის გაგრძელება (7-14 მაისი, 2004 წელი)

ა. სახელმწიფო უწყებები

იუსტიციის სამინისტრო

ბ-ნი გიორგი პაპუაშვილი	მინისტრი
ბ-ნი ზურაბ აბაშიძე	მინისტრის მოადგილე
ქ-ნი თინათინ ბურჯალიანი	საქართველოს სპეციალური წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საგარეო საქმეთა სამინისტრო

ბ-ნი დავით ჯინჯოლავა	გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი

ანგარიში საქართველოს ხელისუფლებას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (წპკ) საქართველოში ვიზიტის შესახებ

2007 წლის 21 მარტი-2 აპრილი

ანგარიში ქვეყნდება საქართველოს ხელისუფლების თხოვნით.
სტრასბურგი, 2007 წლის 25 ოქტომბერი

წერილი (ასლი), რომლის საფუძველზეც გადაიცა წპკ-ს ანგარიში.. 131

I. შესავალი....131
ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა....131
ბ. დათვალიერებული დაწესებულებები....132
გ. დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და თანამშრომლობა 133
დ. დელეგაციის მიერ აღმოჩენილი ფაქტები, რომლებიც კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს.. 134

II. ვიზიტის დროს აღმოჩენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები. 134
ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები 134
1. წინასწარი შენიშვნები....134
2. არასათანადო მოპყრობა 134
3. დაცვის საშუალებები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ.. 137
4. დაკავების პირობები.. 139
ა. დროებითი მოთავსების იზოლატორი....139
ბ. საკნები შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებში.. 140
ბ. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები....140
1. წინასწარი შენიშვნები....140
2. არასათანადო მოპყრობა 142
3. დაკავების პირობები 143
ა. განმეორებითი ვიზიტი რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. 143
ბ. განმეორებითი ვიზიტი თბილისის №5 საპყრობილეში. 145
გ. რუსთავის №6 საპყრობილე 145
i. საცხოვრებელი პირობები. 146
ii. აქტივობა.. 147
დ. თბილისის №7 საპყრობილე....148
i. საცხოვრებელი პირობები. 148
ii. აქტივობა.. 149
ე. ზუგდიდის №4 საპყრობილე....150
i. საცხოვრებელი პირობები.. 150
ii. აქტივობა.. 151
4. ჯანდაცვის მომსახურება 151
5. **წპკ**-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები....154
ა. ციხის თანამშრომლები 154
ბ. კონტაქტი გარე სამყაროსთან 155
გ. დისციპლინა.. 157
დ. ინსპექტირებისა და საჩივრების შეტანის პროცედურები.. 158
ე. ინფორმაციის მიწოდება პატიმრებისთვის და კანონის უზენაესობის პრინციპი....159
გ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები...160
1. წინასწარი შენიშვნები....160
2. არასათანადო მოპყრობა 160
3. პაციენტების საცხოვრებელი პირობები.. 161
ა. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტი 161
ბ. ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფო 162
4. მკურნალობა და რეჟიმი. 164
5. პერსონალი. 165
6. ფსიქიატრიული პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები 166
7. სამართლებრივი დაცვის საშუალებები....168
დ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები.....171
1. წინასწარი შენიშვნები....171
2. არასათანადო მოპყრობა 171
3. საცხოვრებელი პირობები. 172
4. აქტივობა 172
5. **წპკ**-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები....173
ე. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები 173

დანართი I
წპკ-ს რეკომენდაციები, შენიშვნები და მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით 174

დანართი II
საქართველოს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებთანაც დელეგაციამ ვიზიტის დროს კონსულტაცია გაიარა....186

<u>წერილი (ასლი), რომლის საფუძველზეც გადაიცა წპკ-ს ანგარიში</u>

სტრასბურგი, 2007 წლის 20 ივლისი

ბატონო ზურაბ,

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ წერილს ვურთავ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის („**წპკ**“ შემდგომში: **წპკ**) ანგარიშს საქართველოში 2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე კომიტეტის ვიზიტის შესახებ. **წპკ**-მ ანგარიში 2007 წლის 2-6 ივლისს გამართულ თავის 63-ე სხდომაზე მიიღო.

I დანართში მოცემულია **წპკ**-ს მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, შენიშვნები და ინფორმაციის მოთხოვნები. კონვენციის მე-10 მუხლის გათვალისწინებით კომიტეტი სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, **ექვსი თვის განმავლობაში** წარუდგინოს პასუხი, რომელშიც სრულად ჩამოაყალიბებს კომიტეტის რეკომენდაციების განსახორციელებლად გატარებულ ზომებს. 44-ე პუნქტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებას პასუხის წარდგენა **სამი თვის ვადაში** მოეთხოვება.

წპკ-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება შეძლებს აჩვენოს იმ პასუხში, რომლის წარმოდგენა ექვსი თვის ვადაშია მოთხოვნილი, რეაგირება წინამდებარე ანგარიშში ჩამოყალიბებულ შენიშვნებზე, ასევე მოგვაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

წპკ გთხოვთ, რომ პასუხების ქართულ ენაზე მიწოდებისას, თან ახლდეს თარგმანი ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება პასუხის ასლს ელექტრონული ფორმით მოგვაწვდის.

თუ რაიმე კითხვები გაგიჩნდებათ **წპკ**-ს ვიზიტის შესახებ ანგარიშთან ან სამომავლო პროცედურასთან დაკავშირებით, თქვენს განკარგულებაში ვარ.

პატივისცემით,
მაურო პალმა,
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების
შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის
ევროპული კომიტეტის თავმჯდომარე

ბ-ნ ზურაბ ჭიაბერაშვილს
ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს
სტრასბურგი 67000
შუბერტის ქ. №9

I. შესავალი

<u>ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა</u>

1. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) მე-7 მუხლის შესაბამისად, **წპკ**-ს დელეგაცია საქართველოში 2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე მესამედ იმყოფებოდა ვიზიტით, რომელიც კომიტეტის 2007 წლის პერიოდული ვიზიტების პროგრამის ნაწილი იყო[19].

2. ვიზიტში **წპკ**-ს შემდეგ წევრები მონაწილეობდნენ:
- ზდენეკ ჰაჯეკი, დელეგაციის ხელმძღვანელი

- ბირგიტ ლი

- მარკ ნევე

- ჟან-პიერ რესტელინი

- ვიტოლდს ზაჰარსი

მათ ეხმარებოდნენ **წპკ**-ს სამდივნოს შემდეგი წევრები:

19 პირველი პერიოდული ვიზიტი 2001 წელს ჩატარდა, ხოლო მეორე – 2003 წლის ნოემბერში/2004 წლის მარტში. საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით **წპკ**ს ანგარიში ამ ვიზიტების შესახებ საჯაროდ გამოქვეყნდა (იხ. CPT/Inf (2002) 14 და CPT/Inf (2005) 12). გარდა ამისა, გამოქვეყნდა საქართველოს ხელისუფლების პასუხები 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში გამოთქმულ შენიშვნებზე (იხ. CPT/Inf (2004) 1).

- პეტია ნესტოროვა, განყოფილების უფროსი

- ბორის ვოდზი

- იზაბელ სერვოზ-გალუჩი

ასევე მათ ეხმარებოდნენ:

- ჯეიმს მაკმანუსი, გლაზგოს (გაერთიანებული სამეფო) კალედონიის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროფესორი (ექსპერტი)

- კატრინ პოლეტი, ფსიქიატრი, მარსელი (საფრანგეთი), რეგიონული სამედიცინო და ფსიქოლოგიური ცენტრი, ბაუმეტის ციხე (ექსპერტი)

- თინა ჩხეიძე (თარჯიმანი)

- ნინო ღუდუშაური (თარჯიმანი)

- თინა გელეყვა (თარჯიმანი)

- თინათინ ხარჩილავა (თარჯიმანი)

- თამარ მიქაძე (თარჯიმანი)

- მარიამ წაქაძე (თარჯიმანი)

<u>ბ. დათვალიერებული დაწესებულებები</u>

3. დელეგაციამ დაათვალიერა დაკავების შემდეგი დაწესებულებები:

<u>შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები:</u>
- დროებითი მოთავსების იზოლატორი, ხობი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი, ქუთაისი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი, რუსთავი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი №1, თბილისი (განმეორებითი ვიზიტი);
- დროებითი მოთავსების იზოლატორი №2, თბილისი (განმეორებითი ვიზიტი);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის № 1 განყოფილება, თბილისი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის № 2 განყოფილება, თბილისი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის განყოფილება, თბილისი (განმეორებითი ვიზიტი);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს განყოფილება, თბილისი (განმეორებითი ვიზიტი);
- დროებითი მოთავსების იზოლატორი №1, ზუგდიდი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი №2, ზუგდიდი.

<u>იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები:</u>
- სასჯელაღსრულებითი დაწესებულება №2, რუსთავი (განმეორებითი ვიზიტი);
- საპყრობილე № 6, რუსთავი;
- საპყრობილე № 5, თბილისი (განმეორებითი ვიზიტი);
- საპყრობილე № 7, თბილისი;
- საპყრობილე № 4, ზუგდიდი.

<u>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები:</u>
- ფსიქიატრიული საავადმყოფო, ქუტირი;
- ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტი, თბილისი.

<u>თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები</u>

- თავდაცვის სამინისტროს დაკავების დაწესებულება („ჰაუპტვახტი“), თბილისი

<u>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები</u>
- სპეციალური სკოლა არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის, სამტრედია

<u>გ. დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და თანამშრომლობა</u>

4. ვიზიტის მსვლელობისას **ნპკ**-ს დელეგაციამ კონსულტაციები გამართა იუსტიციის მინისტრთან, გია ქავთარაძესთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან, გივი მიქანაძესთან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ეკა ზღულაძესთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის მოადგილესთან, ნიკოლოზ ფრუიძესთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან, ბელა წიფურიასთან, ასევე, აღნიშნული სამინისტროების სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან. გარდა ამისა, დელეგაციამ გამართა მრავალმხრივი საუბრები გენერალურ პროკურორთან, ზურაბ ადეიშვილთან. ის ასევე შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველს, სოზარ სუბარს და მის მოადგილეს, გრიგოლ გიორგაძეს.

ამას გარდა, გაიმართა შეხვედრები იმ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებთან, რომლებიც **ნპკ**-ს საქმიანობის სფეროში მუშაობენ.

წინამდებარე ანგარიშის II დანართში მოცემულია საქართველოს ხელისუფლების იმ ორგანოებისა და ორგანიზაციების სია, რომლებსაც დელეგაცია ვიზიტის განმავლობაში შეხვდა.

ნპკ მადლობას უხდის დახმარებისათვის გიორგი ფანიაშვილს, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დელეგაციის საკონტაქტო პირად დანიშნა.

5. ისევე, როგორც საქართველოში **ნპკ**-ს წინა ვიზიტების დროს, ძალზე მაღალი დონის თანამშრომლობა აღინიშნა როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ისე იმ დაწესებულებების თანამშრომელთა მხრიდან, რომლებსაც დელეგაცია ეწვია. დელეგაციას ჰქონდა შესაძლებლობა, კონვენციის დებულებების შესაბამისად, განცალკევებით გასაუბრებოდა თავისუფლებააღკვეთილ პირებს. გარდა ამისა, მის განკარგულებაში იყო სრული აუცილებელი დოკუმენტაცია; სწრაფად კმაყოფილდებოდა მისი მოთხოვნები დამატებით ინფორმაციასთან დაკავშირებით.

დელეგაციას დაუყოვნებლივ ეძლეოდა დაწესებულებებში შესვლის შესაძლებლობა, გარდა ორი გამონაკლისისა. პირველ შემთხვევაში დელეგაცია იცდიდა 25 წუთის განმავლობაში თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში შეშვებამდე, რადგან შინაგან საქმეთა მთავარი დეპარტამენტის შესასვლელის დაცვის თანამშრომლები არ იყვნენ ინფორმირებულნი **ნპკ**-ს მანდატისა და საქართველოში მისი მიმდინარე ვიზიტის შესახებ. მეორე შემთხვევაში თბილისში თავდაცვის სამინისტროს დაკავების დაწესებულებაში („ჰაუპტვახტში“) შესვლა 45 წუთით შეფერხდა, სანამ მორიგე პერსონალი თავის ზემდგომებს შეატყობინებდა და ელოდებოდა სამხედრო პოლიციის უფროსის მოსვლას. <u>**ნპკ**-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება მიიღებს ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი სიტუაციები მომავალი ვიზიტების განმავლობაში არ განმეორდეს. ამისათვის შესაბამისი თანამშრომლებისთვის საჭიროა ინფორმაციის მიწოდება კომიტეტის მანდატისა და სამუშაო მეთოდების შესახებ.</u>

6. **ნპკ**-ს სურს საგანგებოდ აღნიშნოს, რომ კონვენციაში ჩამოყალიბებული თანამშრომლობის პრინციპი მონაწილე სახელმწიფოებსა და **ნპკ**-ს შორის არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ზომებით, რომლებიც ტარდება ვიზიტით ჩამოსული დელეგაციის ამოცანის შესრულებაში ხელშეწყობის მიზნით. ის ასევე მოითხოვს, რომ განხორციელდეს აქტიური ქმედებები კომიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით სიტუაციის გამოსასწორებლად. 2007 წლის ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანი წინსვლა იქნა მიღწეული პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის პრაქტიკულად ამოქმედდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები. რაც შეეხება ციხეებს, რუსთავის №2 განახლებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არსებული პირობები გაუმჯობესებულია **ნპკ**-ს დელეგაციის მიერ 2003 წლის ვიზიტის დროს ნანახთან შედარებით. მაგრამ ცოტა რამ ან სულ არაფერი გაკეთებულა რიგ სხვა მნიშვნელოვან სფეროში, როგორებიცაა: დაკავების პირობები პოლიციის დაკავების დაწესებულებებში; მდგომარეობა თბილისის №5 საპყრობილეში, რომელიც 2001 წლიდან კომიტეტის ყველაზე სერიოზული შეშფოთების საგანი იყო; ციხეების სისტემაში გადატვირთულობისა და პატიმართა აქტივობის ნაკლებობის ზოგადი პრობლემები.

<u>**ნპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გაატაროს აქტიური ზომები კომიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, კონვენციის ერთ-ერთი მთავარი - თანამშრომლობის - პრინციპის შესაბამისად, სიტუაციის გასაუმჯობესებლად.</u>

<u>დ. დელეგაციის მიერ აღმოჩენილი ფაქტები, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად</u>

7. ვიზიტის დასასრულს **წპკ**-ს დელეგაცია შეხვდა მთავრობის მაღალჩინოსნებს, რათა ეცნობებინა ვიზიტის განმავლობაში გამოვლენილი ძირითადი ფაქტები. ამ შეხვედრისას დელეგაციამ წარადგინა გამოვლენილი 3 ფაქტი, რომლებიც კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებდა.

პირველი ზემოაღნიშნული ფაქტი ეხებოდა თბილისის №5 საპყრობილეს, სადაც გადატვირთულობამ განსაკუთრებულ დონეს მიაღწია და ხშირად პატიმრის საცხოვრებელი ფართობი 0,5 m^2-ზე ნაკლებია. დელეგაციამ სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, ეცნობებინა **წპკ**-სთვის, თუ რა კონკრეტული ზომების გატარება აქვს გათვალისწინებული ამ დაწესებულებაში უკიდურესი გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად, მათ შორის, ითხოვა ამ ზომების განხორციელების განრიგის შეტყობინებაც.

მეორე გამოვლენილი ფაქტი ეხებოდა დაკავების პირობებს ზუგდიდის დროებითი დაკავების ორ იზოლატორში. ეს პირობები სრულიად მიუღებელია (პატარა, გადატვირთული, ბნელი საკნები ვენტილაციის გარეშე, რომელთა ერთადერთი „მოწყობილობა“ დაკავებულ პირთა ოჯახების მიერ მოტანილი საბნებია. ისინი პირდაპირ ბეტონის იატაკზეა დაგებული). დელეგაციამ სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, მიეწოდებინა ინფორმაცია იმ დაუყოვნებელი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც დაგეგმილია სიტუაციის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, ითხოვა ამ ზომების განხორციელების განრიგის შეტყობინებაც.

მესამე გამოვლენილი ფაქტი ეხებოდა დაკავების ძალზე ცუდ პირობებს თბილისის ჰაუპტვახტში. დელეგაციამ ხელისუფლებას მოსთხოვა იმ უკიდურესად მცირე საკნების გაუქმება, სადაც დაკავებული პირები ატარებენ პირველ 24 საათს. დელეგაციამ ასევე მოითხოვა თბილისის ჰაუპტვახტის შენობის გარემონტების ან ამ დაწესებულების სხვა, უფრო შესაფერის შენობაში გადატანის გეგმის წარმოდგენა.

8. ზემოაღნიშნულ ფაქტებს, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებდა, შემდგომში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი (2007 წლის 12 აპრილის წერილში). **წპკ**-მ მოსთხოვა საქართველოს მთავრობას, ერთი თვის ვადაში წარმოედგინა ანგარიში ამ მიმართულებით განხორციელებული ზომების შესახებ.

2007 წლის 11 მაისის წერილში საქართველოს ხელისუფლებამ კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც გატარდა დელეგაციის მიერ მითითებული საკითხების სასწრაფოდ მოსაგვარებლად და დელეგაციის ვიზიტის დასრულებისას გაკეთებულ განცხადებაში მოცემულ სხვა შენიშვნებთან დაკავშირებით. ეს ზომები ანგარიშში ქვემოთ იქნება განხილული.

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები

<u>ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

9. 2007 წლის ვიზიტის დროს სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილებისთვის თავისუფლების აღკვეთის პროცესის მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზად გამოიყენებოდა 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თავისი შესწორებებით. უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებს აქვთ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილის მხოლოდ 72 საათით დაკავების უფლება. დაკავების გახანგრძლივებისთვის საჭიროა მოსამართლის გადაწყვეტილება წინასწარი დაკავების პროცედურული პრევენციული ზომის გამოყენების თაობაზე. წინასწარ დაკავებაში მყოფი ადამიანები გადაჰყავთ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ წინასწარი დაკავების დაწესებულებებში.

დელეგაციას არ გამოუვლენია დაკავების ზემოხსენებული წესის დარღვევის შემთხვევა. მას არც პოლიციისა თუ ციხეში მყოფი დაკავებული პირებისგან მოუსმენია რაიმე საეჭვო ამის შესახებ, რაც ძალიან დადებითად უნდა შეფასდეს, როგორც პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ასევე პოლიციის საკანში – სადაც ზოგადად დაკავებისთვის კვლავ ცუდი პირობებია — გატარებული დროის შეზღუდვის თვალსაზრისით (იხ. პუნქტები 24-26).

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ ადამიანებს, მათ კვლავაც აკავებენ პოლიციის იზოლატორებში 30 დღის განმავლობაში ისეთსავე პირობებში, როგორშიც სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილნი იმყოფებიან.

2. არასათანადო მოპყრობა

10. ზოგადად **წპკ**-ს დელეგაციას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ მოპყრობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომიტეტის მეორე პერიოდული ვიზიტის შემდეგ. 2007 წლის ვიზიტის დროს გამოკითხული ადამიანების დიდი უმრავ-

ლესობა, რომელსაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა გამოცდილი ჰქონდა, აცხადებდა, რომ მათ კარგად ექცეოდნენ. დელეგაციამ მიიღო მხოლოდ რამდენიმე საჩივარი არასათანადო ფიზიკური მოპყრობის შესახებ. მათგან ყველა, ერთის გარდა, ეხებოდა ძალის გამოყენებას დაკავების შემდეგ (დარტყმები და მუჯლუგუნები მას შემდეგ, როცა კონკრეტული ადამიანი ექცეოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ). დელეგაციის შემადგენლობაში შემავალმა მედიკოსებმა ზოგიერთი დაკავებულის სხეულზე აღმოაჩინეს ფიზიკური ძალადობის ნიშნები, რომლებიც შეესაბამებოდა მათ მონაყოლს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ და ემთხვეოდა ახლად დაკავებულებზე შემჩნეული დაზიანებების შესახებ ოფიციალურ ჩანაწერებს.

11. პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებათა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება მეტად პოზიტიური ცვლილებაა, **წპკ**-ს წინა ვიზიტებთან არსებულ სიტუაციასთან შედარებით[20]. დელეგაციის მიერ გამოვლენილი ფაქტები დადასტურდა ვიზიტის განმავლობაში სხვადასხვა ადამიანთან საუბრისას. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების თქმით, 2005 წლის შემდეგ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების რაოდენობა 80%-ით შემცირდა.

დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და ციხეებში მყოფ ადამიანებზე გამოვლენილმა დაზიანებებმა დაადასტურა ეს დასკვნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვიზიტის დასაწყისში მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2006 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული 18,070 ადამიანიდან 2,692-ს ჰქონდა სხეულის დაზიანება[21], თუმცა მათგან მხოლოდ 191-მა ადამიანმა (ანუ 1%-მა) გაასაჩივრა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობა. თბილისის №5 საპყრობილეში დელეგაციის ვიზიტამდე ათი დღით ადრე მოთავსებული 216 დაკავებული ადამიანიდან 15-ის (ანუ 7%-ის) სხეულზე შეიმჩნეოდა დაზიანებები. მათგან მხოლოდ ექვსმა (ანუ 2.7%-მა) განაცხადა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

12. პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ მოპყრობაში მიღწეული პროგრესი უდავოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში განხორციელებული სხვადახვა ზომის შედეგია. შინაგან საქმეთა სამინისტროში სამუშაოდ აიყვანეს ახალი თანამშრომლები და დამკვიდრდა ახალი მიდგომა მათი შერჩევისა და ტრენინგის მიმართ. ამ მიდგომის ფარგლებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცნებები ისეთ პრაქტიკულ სიტუაციებს ესადაგება, როგორებიცაა დაკავება და დაკითხვა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2006 წლის იანვარში პოლიციის ეთიკის კოდექსის მიღება[22]. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა დაკითხვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების შეძენის მიზნით (აუდიო/ვიდეო, კრიმინალისტიკური და ლაბორატორიული აღჭურვილობა).

წპკ-ს მიერ წარსულში შემოთავაზებული რეკომენდაციების განხორციელების მიზნით, 2005 წლის მარტიდან დროებითი მოთავსების იზოლატორები გამოვიდა შინაგან საქმეთა ადგილობრივი სააგენტოების დაქვემდებარებიდან და სტრუქტურულად გადაეცა ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა. ამ ნაბიჯს ახლდა სხვადასხვა ზომა, რომლებიც მიმართული იყო დაკავებული ადამიანების ისეთი უფლებების პატივისცემისკენ, როგორებიცაა დაკავების სტანდარტიზებული ჩანაწერების წარმოება და დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ ადამიანებზე დაზიანებების გამოვლენისა და მათთან დაკავშირებით ანგარიშების წარდგენის სისტემის ამოქმედება (იხ. პუნქტი 16). ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს მიერ განხორციელებულ შიდა კონტროლთან ერთად პოლიციის დაწესებულებებს რეგულარულ მონიტორინგს უწევს სახალხო დამცველის სამსახური, ბრალმდებლები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღსანიშნავია რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაც. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია წამების[23] ახალი განსაზღვრება, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ამგვარი ქმედებების გამო სამართლებრივი დევნის აღძვრის ხელშეწყობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საშუალებით მნიშვნელოვნად შემცირდა დამოკიდებულება აღიარებაზე სისხლის სამართლის საქმეში, ანუ პოლიციაში დაკითხვის დროს მიღებულ ინფორმაციას არა აქვს იურიდიული ძალა, ვიდრე ბრალდებული იმავეს არ გაიმეორებს სასამართლოში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა ცვლილებები მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმეების გამოძიების დაჩქარებას და დაუსჯელობის აღმოფხვრას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი 679 (7) მუხლის თანახმად, მხარეთა შორის გარიგება ბრალდებულის მიერ თავისი ბრალეულობის აღიარებასთან დაკავშირებით ბათილია და გაუქმებული, თუ იგი ხელს უშლის სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომელთა წი-

20 იხ. CPT/Inf (2002) 14-ის პუნქტი 20 და CPT/Inf (2005) 12-ის პუნქტი 17.

21 სტატისტიკა მოიცავს ყველა პირს, რომლებმაც გვიჩვენეს სხეულის დაზიანებები, მათ შორის ოპერაციის შემდეგ დარჩენილი ძველი ნაიარევები, ნაფხაჭნები, ალერგიის ნაკვალევი და ა.შ.

22 მასში მოცემულია მთელი რიგი ფუნდამენტური პრინციპებისა, როგორიცაა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, ასევე ძალის გამოყენება მხოლოდ სრულიად აუცილებელ შემთხვევებში და კანონიერი მიზნების პროპორციულად.

23 იხ. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 144^1 (წამება), მუხლი 144^2 (წამებით მუქარა) და მუხლი 144^3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა).

ნააღმდეგ სამართლებრივი დევნის აღძვრას წამების ან არასათანადო მოპყრობის გამო[24].

13. **წპკ** მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიმართულებით. ამავე დროს, აშკარაა, რომ ხელისუფლებამ არ უნდა მოადუნოს ყურადღება ამ სფეროს მიმართ, ვინაიდან არსებობს განცხადებები, რომ დაკავებისას გადამეტებულ ძალას იყენებენ. **კომიტეტი იმეორებს თავის რეკომენდაციას, რომ სამართალდამცველი სტრუქტურების ყველა თანამშრომელს მუდმივად უნდა ახსენებდნენ, რომ დაკავებისას არ შეიძლება იმაზე მეტი ძალის გამოყენება, ვიდრე ეს აუცილებელია და რომ დაკავებული ადამიანების კონტროლის ქვეშ აყვანის შემდეგ მათი ცემა გაუმართლებელია.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღლჩინოსნებთან შეხვედრაზე დელეგაციას აცნობეს, რომ სამინისტრო მუშაობს პოლიციის თანამშრომლებისთვის ძალის გამოყენების საშუალებების, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღისა და „სპეციალური საშუალებების" გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოს შექმნაზე. **წპკ-ს სურვილია, ზემოხსენებული სახელმძღვანელოს შექმნის შემდეგ მიიღოს მისი ასლი.**

14. ვიზიტის დროს დელეგაციას მიაწოდეს დაწვრილებითი ინფორმაცია პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების, მათი გამოძიებისა და მისადაგებული სანქციების შესახებ. ინფორმაციიდან ცხადად გამოჩნდა, რომ გაუმჯობესებულია ანგარიშგების, გამოძიებისა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული შემდგომი ქმედებების სისტემა. 2006 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მიიღო 191 საჩივარი სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. ინსპექციამ ჩაატარა 105 წინასწარი დაკითხვა და 70 საქმე გადასცა გენერალურ პროკურატურას. იმავე პერიოდში გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომლებთან დაკავშირებული 46 საქმე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის საფუძველზე, მათ შორის 36 საქმე – 144[1] მუხლის, 2 საქმე – 144[2] მუხლის და 8 საქმე – 144[3] მუხლის საფუძველზე; სანქცია გამოტანილი იქნა 8 ოფიცრის წინააღმდეგ 5 საქმეში, ხოლო 6 ოფიცრის წინააღმდეგ აღძრული 4 საქმე გადაიგზავნა სასამართლოში. შემდგომში სასამართლოებმა პოლიციის 7 ოფიცრის წინააღმდეგ 4 განაჩენი გამოიტანეს არასათანადო მოპყრობის საფუძველზე. **წპკ-ს სურვილია, მიიღოს ანალოგიური ინფორმაცია 2007 წელთან დაკავშირებით.**

15. როგორც **წპკ**-მ აღნიშნა საქართველოში წინა ვიზიტების შესახებ ანგარიშებში, აქსიომაა, რომ მოსამართლეებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, როცა არსებობს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ნიშნები. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის ვიზიტისას გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მოსამართლეებმა, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ მათი წინასწარი დაკავების საქმე, სრული იგნორირება გაუწიეს მათ საჩივრებს პოლიციელთა საქციელთან დაკავშირებით.

წპკ კიდევ ერთხელ იმეორებს თავის მიერ დიდი ხნის წინ გაცემულ რეკომენდაციას, რომ როდესაც პოლიციის დაკავების ადგილებიდან მოსამართლის წინაშე წარდგენილი პირები გამოთქვამენ უკმაყოფილებას პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, მოსამართლემ უნდა ჩაიწეროს საჩივარი, დაუყოვნებლივ გასცეს სასამართლო-სამედიცინო შემოწმების ბრძანება და მიიღოს შესაბამისი ზომები საჩივრების სათანადოდ გამოძიების უზრუნველსაყოფად. ასეთ მიდგომასთან ერთად უნდა შემოწმდეს, აქვს თუ არა მომჩივანს რაიმე თვალით ხილული გარეგანი დაზიანება. გარდა ამისა, თუ კი არსებობს არასათანადო მოპყრობის ფაქტის არსებობის შესახებ ეჭვის სხვა საფუძველი (მაგალითად, თვალსაჩინო დაზიანებები, ზოგადად ადამიანის გარეგნობა ან ქცევა), განცხადების არარსებობის შემთხვევაშიც კი მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო-სამედიცინო შემოწმება. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა შესწორდეს შესაბამისი საკანონმდებლო დებულებები.

16. წარსულში **წპკ**-მ საგანგებოდ აღნიშნა ექიმების როლი არასათანადო მოპყრობის პრევენციაში (იხ. CPT/Inf (2002) 14-ის 31-ე პუნქტი). საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯები დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და წინასწარი დაკავების დანესებულებებში მოხვედრილი ადამიანების სხეულებზე დაზიანებების სისტემატური სკრინინგის შემოღებისთვის. დროებითი მოთავსების იზოლატორებში სკრინინგს ატარებს ან პოლიციის ექიმი (თბილისში, სადაც ორ იზოლატორში 24 საათის განმავლობაში იმყოფება ექიმი), ან მორიგე ოფიცერი, რომელიც ატარებს სხეულის თავდაპირველ შემოწმებას და სთავაზობს დაკავებულ პირს ექიმთან შეხვედრას. დაკავებული პირების სხეულზე გამოვლენილი ნებისმიერი დაზიანება ან მის მიერ გამოთქმული ნებისმიერი საჩივარი იწერება სპეციალურ ჟურნალში და, არასათანადო მოპყრობაზე ეჭვის გაჩენისას დაკავებულის გარეგან შემოწმებაზე დგება აქტი, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას. დაკავებულ პირებს და მათ ად-

24 გენერალური პროკურორის 2005 წლის 7 ოქტომბრის სახელმძღვანელო მითითებები მკაფიოდ ადგენს, რომ გარიგება ბრალმდებელსა და დაცვას შორის გამორიცხულია, თუ არსებობს წამების ან არასათანადო მოპყრობის ეჭვი.

ვოკატებს აქვთ აღნიშნული აქტის ასლის მიღების უფლება.

რაც შეეხება წინასწარი დაკავების დაწესებულებებს, სხეულის გარეგან დათვალიერებას ატარებდა ან ექიმი (№5 საპყრობილეში), მაგრამ არამედიკოსი პერსონალის თანდასწრებით, ან მორიგე ოფიცერი ექიმის თანდასწრებით (№4 და №7 საპყრობილეებში). კონსულტაციის ორგანიზება ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ პატიმარი მოითხოვდა შემოწმებას ექიმის მიერ. მიუხედავად ამისა, სამედიცინო შემოწმების კონფიდენციალურობა ყოველთვის არ იყო დაცული (იხ. ასევე 79-ე პუნქტი). დაზიანებებთან დაკავშირებით წარმოებული ჟურნალები ახლად შემოსული პატიმრების შესახებ მოიცავდა დაზიანებების შედარებით დეტალურ აღწერას და განცხადებას იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღეს აღნიშნული დაზიანებები, მაგრამ, ჩვეულებრივ, ჩანაწერებში არ მოიპოვებოდა ექიმის დასკვნა აღნიშნულ დაზიანებებთან ადამიანის განცხადებების შესაბამისობის შესახებ.

წპკ-ს რეკომენდაციაა, გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში დაზიანებების სკრინინგის გაუმჯობესებისთვის, კერძოდ, ამისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- ყველა სამედიცინო შემოწმება საქმის მოსმენამდე და, თუ კატეგორიულად არ მოითხოვს ექიმი კონკრეტულ შემთხვევაში, არასამედიცინო მუშაკების დაუსწრებლად;

- ექიმის მიერ დაზიანებებთან დაკავშირებით შედგენილი ანგარიში, გამოვლენილი დაზიანებების დეტალურ აღწერასა და კონკრეტული დაკავებულის მიერ გამოთქმულ საჩივართან ერთად, უნდა მოიცავდეს ექიმის დასკვნას იმის შესახებ თუ რამდენად შეესაბამება საჩივარი ობიექტურ სამედიცინო დასკვნას.

3. დაცვის საშუალებები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

17. საქართველოში წინა ვიზიტის დროს შედგენილ ანგარიშებში **წპკ**-ს დეტალურად აქვს განხილული არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ არსებული დაცვის ოფიციალური საშუალებები, რომლებსაც სთავაზობენ პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს და მათი მოქმედება პრაქტიკაში. კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნა სამი ფუნდამენტური უფლება, კერძოდ: დაკავებული პირის უფლება, შეატყობინოს თავის ახლო ნათესავს ან სხვა მესამე პირს თავისი მდგომარეობა; მიიღოს ადვოკატის დახმარება და მიიღოს ექიმის მომსახურება. როგორც **წპკ**-მ აღნიშნა, ამ უფლებებით უნდა სარგებლობდეს პატიმრების ყველა კატეგორია <u>თავისუფლების აღკვეთის პირველივე წუთებიდან</u> (ანუ იმ პერიოდიდან, როცა კონკრეტული პირები ვალდებულნი არიან, დარჩნენ პოლიციაში). ასევე, ფუნდამენტურია ისიც, რომ პოლიციის მიერ დაკავებული პირები დაუყოვნებლივ იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების, მათ შორის ზემოხსენებული უფლებების, შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე.

2007 წლის ვიზიტისას არ გამოვლენილა რაიმე პრობლემა <u>დაკავების შეტყობინების</u> და <u>ექიმის დახმარების მიღების</u> თვალსაზრისით.

18. <u>ადვოკატის დახმარების მიღების</u> უფლება მოქმედებს პოლიციის მიერ დაკავების მომენტიდან და მოიცავს ადვოკატთან განცალკევებით საუბრის უფლებას და ადვოკატის დასწრებას დაკითხვისას. დაკავებულ პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ადვოკატის დაქირავება, ასევე აქვთ *ex officio* ადვოკატისგან კონსულტაციის დაუყოვნებლივ მიღების უფლება მათი პოლიციის მიერ დაკავების შემდეგ[25]. გარდა ამისა, კანონი ახლა უკვე გარკვევით იძლევა ადვოკატის დახმარების მიღების უფლებას ასევე ადმინისტრაციული წესით დაკავებულებისთვის და პოლიციაში მოწმედ გამოძახებული პირებისთვის[26].

წპკ კვლავაც შეშფოთებულია უფასო იურიდიული დახმარების სისტემის პრაქტიკული მოქმედებით. ისევე, როგორც წინა ვიზიტებისას, ბევრი დაკავებული პირი, რომლებმაც ისარგებლეს *ex officio* ადვოკატების დახმარებით, ჩიოდა მათი მუშაობის ხარისხზე (ადვოკატები მცირე ხნით ხვდებოდნენ კლიენტებს სასამართლოს წინაშე წარდგომამდე და არ უწევდნენ შემდგომში დახმარებას) და სკეპტიკურად იყო განწყობილი პოლიციისგან და ბრალმდებლებისგან ამ ადვოკატების დამოუკიდებლობის მიმართ. ფაქტობრივად, როცა დგება არჩევანი *ex officio* ადვოკატს და საერთოდ უადვოკატობას შორის, მრავალი დაკავებული უკანასკნელს ირჩევს. **წპკ-ს რეკომენდაციაა, გატარდეს შემდგომი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ იურიდიული დახმარების სისტემის მუშაობის ეფექტიანობა; ეს უნდა გაკეთდეს ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშომლობის საფუძველზე.**

19. თითქმის ყველა ადამიანმა, რომლებსაც დელეგაცია გაესაუბრა, დაადასტურა, რომ მათ მიიღეს ზეპირი <u>ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ</u> დაკავებისას. შემდგომში უფლებების დეტალური ჩამონათვალი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი) ჩართული იქნა ოფიციალურ „დაკავების ოქმში“, რომელიც დგება დაკავებულის პოლიციაში მიყვანისას. ამ <u>დოკუმენტს უ</u>კითხავენ დაკავებულს და ხელს აწერინებენ მასზე. პოლიციის ოფიცრებმა შეატყო-

25 იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი.

26 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305 (5) მუხლის ფორმულირების მიხედვით.

ბინეს დელეგაციას, რომ „დაკავების აქტის“ ასლი დაკავებულებს ეძლევათ, მაგრამ ის დელეგაციასთან გასაუბრებული ადამიანების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდა მიღებული.

ინფორმაცია უფლებების შესახებ კვლავ მხოლოდ ქართულ ენაზეა შედგენილი; დელეგაცია შეხვდა რამდენიმე არაქართველ დაკავებულს, რომლებმაც განაცხადეს, რომ არ იცოდნენ თავიანთი უფლებები და არ შეეძლოთ იმ დოკუმენტის გაგება, რომლის ხელმოწერასაც მათგან ითხოვდნენ. ამ პრობლემის გამოსწორების მცდელობის ფაქტი გამოვლინდა რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც კედლებზე გამოკრული იყო დაკავებული პირების უფლებები აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

წპკ-ს რეკომენდაციაა, გატარდეს შემდგომი ზომები, რათა პოლიციის მიერ თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებებთან დაკავშირებული წერილობითი ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდებოდეს ყველა ასეთ პირს პოლიციაში დაკავების პირველივე წუთებიდან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაკავებული პირების მიერ მათი უფლებების გაგების უზრუნველყოფას; აღნიშნულის მოგვარება უნდა დაეკისროთ პოლიციის თანამშრომლებს. წერილობითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შესაბამის ენაზე.

20. ვიზიტის განმავლობაში დელეგაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პოლიციაში დაკავებულ არასრულწლოვან პირთა მდგომარეობას. დელეგაციამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ არასრულწლოვან დაკავებულებს შეეძლოთ დაკავშირება თავიანთ მშობლებთან/მეურვეებთან, ხოლო პოლიციის მიერ მათი დაკითხვა ხორციელდებოდა მშობლების/მეურვეებისა და ადვოკატების თანდასწრებით. და მაინც, **წპკ**-ს მიაჩნია, რომ შემდგომი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ განსაკუთრებით დაუცველი კატეგორიის პირთა უფლებების დაცვის მიზნით. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, როცა გარკვეულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი 14-იდან 12 წლამდე შემცირდა.

პირველი: შეიძლება შეიქმნას სპეციალური საინფორმაციო დოკუმენტი (ფორმა) უფლებების შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება დაკავებული არასრულწლოვნების მდგომარეობა, მათ შორის ადვოკატის და/ან მშობლის/მეურვის დასწრების უფლება და გადაეცეს ამ კატეგორიის ყველა დაკავებულს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ინფორმაციის საგულდაგულოდ განმარტებას, რათა ახალგაზრდებმა გაიგონ ყველაფერი საკუთარი უფლებების შესახებ. მეორე: არასრულწლოვნები გამოეყონ სხვა დაკავებულებს, რაც ნიშნავს მათი ასაკის ადამიანების დაუცველობის აღიარებას და მათთვის დაცვის საგანგებო საშუალებების მინიჭებას. მესამე: პოლიციაში სამუშაოდ უნდა აიყვანონ ისეთი თანამშრომლები, რომლებმაც უკვე გაიარეს სპეციალური მომზადება დაკავშირებულ იურიდიულ პროცედურებში. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ზემოხსენებული ზომების განხორციელება, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № Rec(2003)20 რეკომენდაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ გზებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების როლს.**

21. საქართველოში წინა ვიზიტისას შედგენილ ანგარიშებში **წპკ** იძლეოდა რეკომენდაციას, ჩამოყალიბებულიყო პოლიციაში დაკავებულთა გამოკითხვის ჩატარების ქცევის კოდექსი[27]. 2007 წლის ვიზიტის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ არ არსებობდა ამგვარი სპეციფიკური კოდექსის საჭიროება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ მიმართულებით საკმარის მითითებებს მოიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და პოლიციის ეთიკის კოდექსი. ნახსენები იქნა ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორებში მომუშავე თანამშრომლებისთვის სახელმძღვანელოს პროექტი, რომელიც მიღების შემდეგ უზრუნველყოფს შემდგომ ინსტრუქციებს ამ მიმართულებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და პოლიციის ეთიკის კოდექსი მოიცავს ზოგიერთ მნიშვნელოვან პრინციპს, რომლებიც ეხება პოლიციის თანამშრომლებში დასამკვიდრებელ დამოკიდებულებას. მაგრამ აღნიშნული პრინციპები ვერ ჩაითვლება დაკავებულთა გამოკითხვის ჩატარებასთან დაკავშირებით დეტალური ინსტრუქციების შემცვლელად. **აქედან გამომდინარე, წპკ კვლავ დარწმუნებულია ისეთი პროცედურის დეტალური ჩამოყალიბების აუცილებლობაში, რომელიც დაცული უნდა იქნეს რიგ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით (იხ. CPT/Inf (2002)14-ის 50-ე პუნქტი).**

22. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნა პოლიციის მონახულებულ დაწესებულებებში დაკავებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით. ძველი სისტემა, რომლის დროსაც უამრავი ჩანაწერი და ინფორმაცია ინახებოდა, 2005 წლის შემდეგ შეიცვალა ერთიანი სისტემით, რომლის მეშვეობით მთელი აუცილებელი ინფორმაცია (მაგალითად, შემოსვლის თარიღი და დრო; დაკავებული ადამიანის გარეგნობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათ შორის გამოვლენილი დაზიანებები; საჩივრები; როდის, სად და ვინ დააკავა მოცემული პირი და ვინ მიიყვანა პოლიციაში; შეხვედრები ადვოკატებთან; პოლიციაში გამოკითხვის თარიღი, დრო და ხანგრძლივობა; განთავისუფლების თარიღი და დრო; სად გადაიყვანეს დაკავებული პირი და ა.შ.) იწერება ერთი

27 იხ. CPT/Inf (2002) 14-ის 50-ე პუნქტი და CPT/Inf (2005) 12-ის 37-ე პუნქტი.

სტანდარტიზებული ჩანაწერის სახით (ერთი მოდელი დროებითი მოთავსების იზოლატორებისთვის, ხოლო მეორე – პოლიციის ადგილობრივი განყოფილებებისთვის).

დელეგაციამ ნახა, რომ პოლიციის მონახულებული დაწესებულებების უმრავლესობაში კარგად იყო დოკუმენტირებული პოლიციაში გატარებული პერიოდი. მაგრამ უნდა აღინიშნოს ორი გამონაკლისი: ზუგდიდის დროებითი დაკავების № 1 იზოლატორში კვლავაც მოქმედებდა ჩანაწერების წარმოების ძველი სისტემა, ხოლო ზუგდიდის დროებითი დაკავების № 2 იზოლატორში სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების შემოსვლისა და გამოკითხვის დრო ან არასწორად იყო ჩაწერილი, ან საერთოდ არ ფიგურირებდა ჩანაწერში. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას შემდგომი ნაბიჯები იმისათვის, რომ პოლიციის თანამშრომლებს მუდმივად და ზუსტად შეჰქონდეთ ინფორმაცია დაკავების ჟურნალებში.**

4. დაკავების პირობები

ა. დროებითი მოთავსების იზოლატორი

23. დაკავების პირობები დროებითი მოთავსების იზოლატორში სწორედ ის სფეროა, რომელშიც ყველაზე ნაკლებადაა მიღწეული პროგრესი **წპკ**-ს მეორე პერიოდული ვიზიტის შემდეგ. ეს კიდევ უფრო აშფოთებს **წპკ**-ს, ვინაიდან სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილების მაქსიმუმ 72 საათის განმავლობაში დაკავებასთან ერთად დროებითი მოთავსების იზოლატორები გამოიყენება ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი ადამიანების 30 დღემდე პერიოდის განმავლობაში დაკავებისთვის.

24. მონახულებულ დაწესებულებებს შორის მხოლოდ <u>თბილისის დროებითი დაკავების № 1 იზოლატორში</u>[28] აღმოჩნდა ნორმალური პირობები. საკნები კარგად იყო განათებული, იყო კარგი ვენტილაცია, სათანადო გათბობა და სისუფთავე. საკნებში იდგა ორსართულიანი საწოლები ლეიბებით, ბალიშებით და საბნებით, ასევე კარადები, მაგიდები და სკამები. დაკავებულებს შეეძლოთ სარგებლობა სანიტარული კვანძებით, რომლებიც შედგებოდა ტუალეტებისგან, პირსაბანებისა და შხაპისგან. მათ ასევე ეძლეოდათ პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთები, თუმცა დაწესებულებას სჭირდება რემონტი.

ცოტა ხნის წინ რუსთავში გახსნილი ახალი <u>დროებითი მოთავსების იზოლატორი</u> სასიკეთოდ განსხვავდებოდა იმ დაწესებულებისგან, რომელიც დელეგაციამ 2003 წელს ნახა. საკნები საკმარისად დიდი იყო ადამიანების იმ რაოდენობისთვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია (12 $მ^2$ სამი ადამიანისთვის, დაახლოებით 9 $მ^2$ ორი ადამიანისთვის), მათ ჰქონდა ადექვატური ხელოვნური განათება და ვენტილაცია. მაგრამ საკნებს არა აქვს ფანჯრები, რაც არ იქნა გათვალისწინებული მშენებლობისას. დაკავებულებს სძინავთ ნარებზე (და არა საწოლებზე) და ღამით მხოლოდ საბნები ეძლევათ.

25. რაც შეეხება <u>თბილისის დროებითი დაკავების № 2 იზოლატორს</u> და <u>ქუთაისის და ხობის იზოლატორებს</u>, იქ აღმოჩნდა სხვადასხვა შეუსაბამობა: საკნები სუსტად იყო განათებული, ცუდი იყო ვენტილაცია, არ იყო გათბობა, სიბინძურე იყო და გაპარტახებული საკნები. მაგალითად, ხობში საკნები ძალიან პატარაა ადამიანთა რაოდენობისთვის, რა რაოდენობისთვისაცაა ისინი განსაზღვრული (8 $მ^2$-ზე ნაკლებ საკანში ოთხი ადამიანი), ხოლო სანიტარული კვანძი წარმოუდგენლად ბინძურია და თითქმის დანგრეულია. დაკავებულებს სძინავთ ნარებზე და არა აქვთ ლეიბები (ზოგიერთ მათგანს ეძლევა თხელი და ჭუჭყიანი საბანი). დაკავებულებს ხელი არ მიუწვდებათ შხაპზე, ხოლო პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელ ნივთებს ახლობლებისგან იღებენ.

ყველაზე ცუდი პირობები დელეგაციას ზუგდიდის <u>დროებითი დაკავების ორ იზოლატორში</u> დახვდა. თითოეულ მათგანში ორი საკანი იყო. თავდაპირველად ისინი განსაზღვრული იყო მხოლოდ რამდენიმესაათიანი დაკავებისთვის და ამიტომ ძალიან პატარა იყო ზომით (მაგალითად, 3,4 $მ^2$ დროებითი დაკავების № 1 იზოლატორში) და გადატვირთული ხალხით (მაგალითად, 4,2 $მ^2$ ზომის საკანში მოთავსებული იყო ოთხი ადამიანი, ხოლო 5 $მ^2$ ზომის საკანში – 3 ადამიანი). საკნები ჩაბნელებული იყო, არ ნიავდეობოდა, იყო ნესტიანი და ბინძური. დაკავებულებს ეძინათ ოჯახებიდან მოტანილ საბნებზე, რომლებიც პიდაპირ ბეტონის იატაკზე იყო გაშლილი. ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო ტუალეტი და პირსაბანი, შხაპი კი საერთოდ არ არსებობდა.

26. <u>საკვები</u> რეგულარულად მიეწოდებოდათ მხოლოდ თბილისის დროებითი დაკავების №1 იზოლატორში; სხვადასხვა წყაროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ასეთივე იყო მდგომარეობა თბილისის დროებითი დაკავების №2 იზოლატორში. მაგრამ ჩანაწერებმა გვიჩვენა, რომ ძალიან ცოტა დაკავებული იღებდა საკვებს (6 ადამიანი 72-იდან) და არც ერთ დაკავებულს არ უთქვამს ინტერვიუს დროს, რომ მათ სთავაზობდნენ საკვებს. დელეგაციამ ასევე აღნიშნა, რომ ამ დაწესებულებაში მოიპოვებოდა მხოლოდ რამდენიმე ჯამი და ასევე რამდენიმე დანა-ჩანგალი. სხვა მონახულებულ იზოლატორებში დელეგაციას არ უნახავს დაკავებულებისთვის საკვების მიწოდებისთვის საჭირო რაიმე საშუალებები.

28 უშიშროების სამინისტროს ყოფილი დროებითი მოთავსების იზოლატორი, რომელიც **წპკ**-მა 2001 წელს მოინახულა (იხ. CPT/Inf (2002) 14-ის პუნქტები 64-66).

თბილისის დროებითი დაკავების №1 იზოლატორი ერთადერთი აღმოჩნდა, სადაც დაკავებულებს შეეძლოთ ვარჯიში სუფთა ჰაერზე. თბილისის დროებითი დაკავების № 2 იზოლატორსაც აქვს ეზო, მაგრამ არც ერთ დაკავებულს არ უთქვამს ინტერვიუს დროს (არც ადმინისტრაციული წესით დაკავებულებს), რომ ისინი ოდესმე გადიოდნენ გარეთ.

27. როგორც ზემოთ (იხ. მე-7 პუნქტი) აღინიშნა, ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ, კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ზუგდიდის დროებითი დაკავების ორ იზოლატორთან დაკავშირებით განაცხადა გამოვლენილი იმ ფაქტების შესახებ, რომელიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს და მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, მიეწოდებინა **წპკ**-სთვის ინფორმაცია იმ კონკრეტული ნაბიჯების შესახებ, რომლებიც უნდა გადადგმულიყო ზემოხსენებული სიტუაციის გამოსწორების მიზნით.

საქართველოს ხელისუფლებამ თავის პასუხში (2007 წლის 11 მაისი) განაცხადა, რომ ზუგდიდის დროებითი დაკავების №1 იზოლატორის კაპიტალური რემონტის დასრულება 2007 წლის 1 სექტემბრამდე იყო დაგეგმილი. ასევე დაგეგმილი იყო ზუგდიდის №2 იზოლატორის დახურვა და ახალი დაწესებულების გახსნა (რომელიც გამოყოფილი იქნებოდა რეგიონული პოლიციის მთავარი სამმართველოსგან და ექნებოდა ფანჯრები, ვენტილაცია, გათბობა და სანიტარიული კვანძები) 2007 წლის 1 აგვისტოსთვის. გარდა ამისა, ხელისუფლებამ შეატყობინა **წპკ**-ს, რომ უკვე გარემონტდა თბილისის დროებითი დაკავების №2 იზოლატორი, ხოლო ხობის იზოლატორის რემონტი 2007 წლის 1 სექტემბერს უნდა დასრულებულიყო.

კომიტეტი მიესალმება ამგვარ ღონისძიებებს. **რაც შეეხება ზუგდიდისა და ხობის დაწესებულებებს, წპკ-ს სურვილია, დროულად მიიღოს იმის დასტური, რომ შესაბამისი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ასევე მიიღოს ინფორმაცია ახალი/გარემონტებული დაწესებულებების შესახებ (მათი ტევადობა, საკნების რაოდენობა, აღჭურვილობა, ჰაერზე ვარჯიშისთვის განკუთვნილი ეზო და ა.შ.).**

28. უფრო ზოგადად, საქართველოს ხელისუფლებამ ზემოხსენებულ წერილში განაცხადა, რომ ის გააგრძელებდა ძალისხმევას მთელ ქვეყანაში დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობების გასაუმჯობესებლად. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ამ ძალისხმევისას მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი სტანდარტები: თითოეულ დაკავებულზე 4 მ^2; ადექვატური განათება (მათ შორის, სასურველია, ბუნებრივი განათება), ვენტილაცია და გათბობა საკნებში; ყველა დაკავებულის უზრუნველყოფა ლეიბებით და საბნებით; საკვების მიწოდება დაკავებულებისთვის კვებისთვის განკუთვნილ საათებში. ნებისმიერ დაკავებულს, რომელსაც მოუწევს დროებითი მოთავსების იზოლატორში 24 საათზე მეტი ხნის გატარება, უნდა მიეცეს შხაპის მიღების და სუფთა ჰაერზე გასვლის საშუალება, მიეწოდოს პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საგნები და შეექმნას გარკვეული აქტივობის ჩატარების საშუალება (მაგალითად: წიგნები, გაზეთები, სამაგიდო თამაშები); ეს უკანასკნელი მოთხოვნა განსაკუთრებით ეხება ადმინისტრაციული წესით დაკავებულებს, რომლებმაც დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიძლება 30 დღემდე დაყონ.**

კომიტეტს ასევე სურს, მიიღოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მომუშავე თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, ამ უკანასკნელის შემუშავების შემდეგ.

ბ. საკნები შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებში

29. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონახულებულ რაიონულ განყოფილებებში იყო რამდენიმე საათით დაკავებისთვის განკუთვნილი ერთი ან ორი საკანი. ისინი განლაგებული იყო მორიგე ოფიცრის ოთახის გვერდით. საკნები ჩვეულებრივ იყო პატარა (დაახლოებით 4 მ^2, გამონაკლისს წარმოადგენდა ისანი-სამგორის რაიონის საკანი – 7-9 მ^2), უფანჯრო და მხოლოდ ერთი გრძელი სკამით. ვიზიტის დროს შეკრებილი ინფორმაციიდან ჩანდა, რომ ზოგადად პოლიციის მიერ დაკავებული ადამიანები ამგვარ საკნებში სულ რამდენიმე საათს ატარებდნენ, დელეგაციასთან პრევენციის არავის უთქვამს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებში არსებული საკნების მაგალითიდან გამომდინარე, **წპკ-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება მომავალშიც უზრუნველყოფს მათ გამოყენებას მხოლოდ რამდენიმე საათით დაკავების მიზნით და არასდროს გამოიყენებს მათ ღამის გასატარებელ ადგილად.**

ბ. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები

1. წინასწარი შენიშვნები

30. დელეგაციამ პირველი ძირითადი ვიზიტები რუსთავის №6, თბილისის №7 და ზუგდიდის №4 საპყრობილეებში ჩაატარა, ხოლო განმეორებითი ვიზიტები - რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებასა და თბილისის №5 საპყრობილეში.

31. ვიზიტის დასაწყისში იუსტიციის მინისტრმა და მისმა მოადგილემ **წპკ** უზრუნველყვეს დე-

ტალური უახლესი ინფორმაციით კომიტეტის მეორე პერიოდული ვიზიტის შემდგომი მოვლენების შესახებ. 2005 წელს საქართველოს მთავრობამ კომპლექსური სტრატეგია აამოქმედა საქართველოს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების რეფორმირების მიზნით, რაც ითვალისწინებდა ახალი კანონმდებლობის შექმნას (სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პატიმრობის კოდექსი), სასამართლოსა და სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმებს. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, მიღებულია 2006-2010 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი ელემენტები ეხება საპყრობილეთა კადრების შერჩევის, ტრენინგისა და ანაზღაურების არსებული სისტემის გაუმჯობესებას, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შექმნას, ციხეების რემონტისა და მშენებლობის ამბიციურ პროგრამას. აღნიშნული სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო ასიგნებები (დაახლოებით 1 მილიარდი ლარი ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში); მაგალითად, 2007 წელს სასჯელაღსრულების სისტემის საერთო ბიუჯეტი თითქმის გაორმაგდა 2006 წელთან შედარებით, ჯანდაცვის ბიუჯეტი ხუთჯერ, ხოლო კვების ბიუჯეტი სამჯერ გაიზარდა.

წპკ აფასებს უკვე განხორციელებულ ან დაგეგმილ ზომებს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებასთან და კომიტეტის ადრინდელი რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მათგან განსაკუთრებით მისასალმებელი შედეგია კორუფციის აღმოფხვრა, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა წარსულში.[29] 2007 წლის ვიზიტის განმავლობაში დელეგაციამ პატიმრებისგან პრაქტიკულად ვერ მოისმინა განცხადებები ციხის კადრების კორუმპირებულობის შესახებ. ასეთი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება უდავოდ იმ ენერგიული ნაბიჯების შედეგია, რომლებიც ხელისუფლების მიერ გადაიდგა, მონიტორინგის, კადრების განთავისუფლების, გამოვლენილ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის, ხელფასების მნიშვნელოვანი გაზრდისა და კადრების მომზადების სახით.

რაც შეეხება პატიმრობის კოდექსს, **წპკ-ს სჯერა, რომ მისი განხილვის დროს გათვალისწინებული იქნება ამ ანგარიშში მოცემული შენიშვნები.**

32. ამასთან, პატიმრების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რასაც შედეგად ციხეების გადატვირთვა მოჰყვა, ძირს უთხრის ჰუმანური სასჯელაღსრულების სისტემის შექმნისკენ მიმართულ ძალისხმევას. **წპკ**-ს მეორე და მესამე პერიოდულ ვიზიტებს შორის პატიმართა რაოდენობა ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა: 2007 წლის მარტში დაახლოებით 16,500 პატიმარი იყო, მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა 2004 წლის მაისში 7,000-ს აღწევდა. ამავე დროს, იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 28 თებერვლის ბრძანების თანახმად სასჯელაღსრულების სისტემაში ოფიციალური მონაცემებით 14,162 ადგილი იყო (ფართობი ერთ პატიმარზე გაანგარიშებით უდრის 2.5 მ.კვ-ს). გადატვირთვის დონე განსხვავებული იყო დაწესებულებებში და წინასწარი დაკავების იზოლატორებში უფრო მეტად აღინიშნებოდა, ვიდრე მსჯავრდებული პატიმრების საპყრობილეებში. დელეგაცია გადატვირთვის უჩვეულოდ მაღალი დონის (400%-ზე მეტი) მოწმე გახდა წინასწარი დაკავების მთავარ იზოლატორში, №5 საპყრობილეში, სადაც ქვეყანაში არსებული პატიმრების ერთი მეოთხედი იყო მოთავსებული (იხ. 43-ე პუნქტი). ზუგდიდის №4 საპყრობილეც ძალზე გადატვირთული იყო (იხილეთ 43-ე პუნქტი). გადატვირთვის მაღალი დონე უარყოფითად მოქმედებდა საპყრობილის ცხოვრების ყველა ასპექტზე, როგორებიცაა: სანიტარიული და სამრეცხაო კვანძების ხელმისაწვდომობა, ჰაერზე გასეირნების შესაძლებლობა, მნახველების მიღებისა და ტელეფონზე ლაპარაკის შესაძლებლობა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

ციხეების გადატვირთვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროსთვის, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. იუსტიციის მინისტრთან თავდაპირველად გამართულ მოლაპარაკებაზე დელეგაციას აცნობეს, რომ გარკვეულ ზომებს მიმართავდნენ პრობაციის უფრო ფართოდ გამოყენების მიზნით.[30] რაც შეეხება პირობით ვადამდელ გათავისუფლებას, უძრაობის პერიოდის შემდეგ (როდესაც პირობითი გათავისუფლება კორუფციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა) ის 2006 წლის ბოლოს განახლდა. ამ ტიპის ძალისხმევას განამტკიცებდა საკანონმდებლო ცვლილებები, როგორიც იყო წინასწარი დაკავების ხანგრძლივობაზე ახალი ზღვრის დაწესება[31]. არსებობს, აგრეთვე, გეგმა, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 18,000-მდე გაზარდონ ციხეში ადგილების რაოდენობა ახალი ციხეების მშენებლობით (კერძოდ, გლდანში, ბათუმსა და ზუგდიდში) და არსებულების გაფართოებით ან რეკონსტრუქციით (მაგ. რუსთავის №6 ციხე და რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულება და ა.შ.).

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ ზომებს ჯერ არ მოუხდენია გავლენა ციხეების გადატვირთვის დონეზე და პატიმრების რაოდენობაზე, რომელიც შემაშფოთებელი სისწრაფით იზრდება (იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით 2007 წლის 1 ივნისისთვის პატიმრების რიცხვი 17,494-ს აღწევდა). იმ ფაქტის დამაჯერებლად ახსნა, რომ საქართველოში ამდენ მოქალაქეს ათავსებენ ციხეში, არ შეიძლება მხოლოდ იმით, რომ აქ დანაშაულობის მაღალი დონეა. ამაზე ნაწილობრივი პასუხისმგებლობა „დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის“

29 იხილეთ CPT/Inf (2002) 14-ის 124-126 პუნქტები და CPT/Inf (2005) 12-ის 132 პუნქტი.

30 2007 წლის მარტში 10,000-მდე პირი იმყოფებოდა პრობაციაზე, მაშინ, როდესაც 2006 წელს მათი რიცხვი 5,000-ს შეადგენდა.

31 ოთხი თვე გამოძიებისთვის სასამართლო პროცესამდე და ხუთი თვე სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებამდე.

პოლიტიკასა და სამართალდამცველი ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს ზოგად პოზიციასაც უნდა დაეკისროს. ციხეების მშენებლობის პროგრამისათვის უკიდურესად ძნელი იქნება ასე სწრაფად მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან საბიუჯეტო რესურსები შეზღუდულია და ისინი საჭიროა არა მარტო ფიზიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის, არამედ დამატებითი კადრების მომზადებისა და მათი შრომის ანაზღაურებისთვის, პატიმრების საქმიანობის უზრუნველყოფისთვის და ა.შ.

წპკ დარწმუნებულია, რომ ციხეების გადატვირთვის გასაკონტროლებლად და კომიტეტის სტანდარტის მისაღწევად, რომელიც თითოეული პატიმრისთვის სულ მცირე 4მ^2 ფართობის უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ერთადერთი ქმედითი საშუალებაა ისეთი წესების შემოღება, რომლებიც მიმართული იქნება საპატიმროში გადასაგზავნი პირების რიცხვის შეზღუდვისკენ ან რეგულირებისკენ. ამ თვალსაზრისით კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს ისეთი სტრატეგიის საჭიროებაზე, რომელიც გაითვალისწინებს როგორც საპატიმროში მიღებას, ასევე იქიდან გათავისუფლებას და იმის გარანტია იქნება, რომ დაპატიმრება ნამდვილად უკანასკნელი საშუალებაა. ეს გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირებას არასაპატიმრო ზომებზე განაჩენის გამოტანამდე პერიოდში და, მეორე, ზომების მიღებას იმ ადამიანების საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის, რომლებსაც თავისუფლება ჰქონდათ აღკვეთილი.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააორმაგოს საპატიმროების გადატვირთვის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა და ამ პროცესში იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №(99)22 რეკომენდაციით, რომელიც საპატიმროების გადატვირთვას და პატიმართა რიცხვის ზრდას ეხება, აგრეთვე №(2003)22 რეკომენდაციით, რომელიც პირობით (ვადამდელ) გათავისუფლებას ეხება.

33. გადატვირთვის პრობლემა პირდაპირაა დაკავშირებული <u>პატიმრების აქტივობის</u> პრობლემასთან. ამ თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პატიმრებისთვის სამუშაოს, ტრენინგის, განათლებისა და სპორტის უზრუნველყოფის მდგომარეობა მონახულებულ დაწესებულებებში უაღრესად არადამაკმაყოფილებელი იყო და ეს პრობლემა ზოგადად ახასიათებს საქართველოს საპატიმროების სისტემას. რაც შეეხება წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, რაიმე სახის აქტივობის სრული არარსებობა პატიმრობაში ყოფნის გამოცდილებას ამძიმებდა და მსჯავრდებული ადამიანების რეჟიმს უფრო მკაცრ სადამსჯელო ხასიათს სძენდა (წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს ყოველდღიურად გასეირნებაც არ შეეძლოთ და ხშირად მათ მხოლოდ 20 წუთით უშვებდნენ გარეთ). ამას თუ დავუმატებთ გარე სამყაროსთან კონტაქტისა და ურთიერთობის შეზღუდვას, ვიღებთ დამთრგუნველ და უაზრო რეჟიმს.

პატიმრებისთვის აქტივობის უზრუნველყოფის არაადეკვატურობა უკვე გაშუქდა **წპკ**-ს მეორე პერიოდული ვიზიტის ანგარიშში (იხილეთ CPT/Inf (2005) 12-ის 58-ე პუნქტი). საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ზომები მიიღო სიტუაციის გამოსწორების მიზნით საერთაშორისო დონორებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური და პრაქტიკული დახმარებით. ეს ზომები აქამდე ძირითადად კონცენტრირებული იყო არასრულწლოვან პატიმრებზე და პატიმარ ქალებზე. გარდა ამისა, განიხილება საპატიმროებში პატიმართა პროფესიული მომზადების პერსპექტივა და მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისის №2 საპყრობილეში ფეხსაცმლის სამკერვალო და შესაკეთებელი საამქროს გასახსნელად.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მიმართოს ძალისხმევა აქტივობათა პროგრამის შესამუშავებლად როგორც მსჯავრდებულებისათვის, ასევე წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის. ამის მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმრების ორივე კატეგორიას შეეძლოს გაატაროს დღის მნიშვნელოვანი ნაწილი (8 საათი ან მეტი) საკნების გარეთ და დაკავებული იყოს სხვადასხვა ხასიათის მიზანმიმართული საქმიანობით. რაც შეეხება სამუშაოს, ციხეებში დასაქმების სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია, ძირფესვიანად შეიცვალოს მიდგომა: პატიმრების მუშაობა უპირატესად რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე უნდა იყოს მიმართული და არა ფინანსურ მოგებაზე.

2. არასათანადო მოპყრობა

34. დელეგაციას პერსონალის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ არც ერთი განცხადება არ მოუსმენია ზუგდიდის №4 საპყრობილეში. იგივე იყო თბილისის №5 საპყრობილეში, რომელსაც დელეგაცია ხანმოკლე მიზნობრივი ვიზიტით ეწვია და ახლად შემოსული პატიმრების შეზღუდულ როდენობას გაესაუბრა. არ ყოფილა არც ერთი განცხადება აღნიშნული დაწესებულების პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

რაც შეეხება თბილისის №7 საპყრობილეს, დელეგაციას არ მოუსმენია განცხადებები პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ უახლოეს წარსულთან დაკავშირებით. გაუმჯობესება რამდენიმე თვის წინ ახალი დირექტორის დანიშვნას უკავშირდებოდა და პატიმრებსა და ციხის პერსონალს შორის დამოკიდებულება საკმაოდ კარგი იყო.

რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში პატიმრებმა აღნიშნეს, რომ პერსონ-

ალის მხრიდან არასათანადო მოპყრობა თებერვლის შუა რიცხვებიდან შეწყდა (მას შემდეგ, რაც პატიმრებმა კოლექტიურად იჩივლეს ერთ-ერთი პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო და სისხლის სამართლის საქმე აღიძრა დაწესებულების სამი თანამშრომლის მიმართ).

საპირისპირო მდგომარეობა იყო რუსთავის №6 საპყრობილეში, სადაც დელეგაციამ მრავალრიცხოვანი და თანმიმდევრული განცხადებები მიიღო საპყრობილეში გადმოყვანის მომენტში საპყრობილის პერსონალის მიერ პატიმრების ცემის შესახებ. გარდა ამისა, პატიმრების გარკვეულმა რაოდენობამ პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა შემთხვევის შესახებ დაიჩივლა; მათი თქმით, არასათანადო მოპყრობა (მუშტის გარტყმა, პანღურები) მოჰყვებოდა ისეთ დარღვევებს, როგორებიცაა: საკნის კარზე დაკაკუნება, სხვა საკნის პატიმრებთან საუბარი, ჩხრეკის დროს პერსონალისთვის სასურველი პოზის მიუღებლობა, რაც პატიმრების მიერ აღიქმებოდა პერსონალის მიერ საკუთარი დომინანტური მდგომარეობის დამტკიცების საშუალებად. გარდა ამისა, დელეგაციამ რამდენიმე განცხადება მოისმინა დისციპლინარულ საკნებში შიშველი პატიმრების მოთავსების შესახებ.

35. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ რუსთავის №6 საპყრობილის ხელმძღვანელობამ გარკვევით აუხსნას საპყრობილის პერსონალს, რომ პატიმრების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ისევე, როგორც პატიმრების მიმართ უპატივცემულო და პროვოკაციული ქცევის სხვა ფორმები, მიუღებელია და მკაცრად დაისჯება. აღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ სფეროს და უზრუნველყოს საპყრობილის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რეგულარული ყოფნა იმ ადგილებში, სადაც პატიმრები იმყოფებიან, მათი უშუალო კონტაქტები პატიმრებთან, პატიმრების საჩივრების განხილვა და საპყრობილის პერსონალის ტრენინიგის გაუმჯობესება.**

რაც შეეხება რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებას, წპკ-ს სურს, მიიღოს ინფორმაცია საპყრობილის იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შედეგების შესახებ, რომლებსაც ბრალად ედებათ პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობა 2007 წლის თებერვალში.

უფრო ზოგადად, წპკ-ს სურს, დეტალური ინფორმაცია მიიღოს საპყრობილის პერსონალთან დაკავშირებული საჩივრებისა და დისციპლინარული პროცედურების შესახებ, რომელსაც დაერთვება მათი ობიექტურობის, დოკუმენტაციის სისწორის, დროული განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების დამადასტურებელი საბუთები.

გარდა ამისა, საპყრობილეების პერსონალის პატიმრებთან დამოკიდებულების შესახებ ქვეყნის მასშტაბით არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად **წპკ-ს საქართველოს ყველა ციხესთან დაკავშირებით სურს მიიღოს 2006 და 2007 წლების შემდეგი ინფორმაცია:**

- საპყრობილის პერსონალის წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობის გამო შეტანილი საჩივრების რაოდენობა;

- დაკისრებული დისციპლინარული და/ან სისხლისსამართლებრივი სანქციების შესახებ ანგარიში.

36. რუსთავის №6 საპყრობილეში ყველა პატიმარი ვალდებული იყო, ციხეში შესვლისთანავე თმა გადაეპარსა. ზუსტად ასევე, ზუგდიდის №4 საპყრობილეში დელეგაციამ ნახა, რომ მამრობითი სქესის ყველა არასრულწლოვან პატიმარს სავალდებულო წესით გადაპარსული ჰქონდა თმა. კომიტეტის აზრით, ასეთი სისტემატური ხასიათის პრაქტიკა პატიმრებმა შეიძლება აღიქვან დამამცირებლად, გარდა ამისა, შეუძლებელია ამის გამართლება სამედიცინო ან უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე; **წპკ რეკომენდაციას იძლევა, დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს პრაქტიკა.**

3. დაკავების პირობები

ა. განმეორებითი ვიზიტი რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში

37. რუსთავის №2 სასჯელაღსრულებითი დაწესებულება **წპკ**-მ პირველად 2003 წლის ნოემბერში[32] მოინახულა. იმ დროს ამ დაწესებულებაში არსებული პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ კომიტეტის დასკვნით ამ დაწესებულების ექსპლუატაცია აღარ შეიძლებოდა. საქართველოს ხელისუფლებამ მოგვიანებით სხვა საპყრობილეებში გადაიყვანა პატიმრების ნაწილი. 2006 წლის მაისში №2 სასჯელაღსრულებითი დაწესებულება კაპიტალური რემონტისთვის დაიხურა და ამავე წლის დეკემბერში, დელეგაციის ვიზიტამდე რამდენიმე თვით ადრე, გაიხსნა. სამუშაოების ნაწილი დაუსრულებელია.

აღნიშნული დაწესებულება ოფიციალურად 902 პატიმარს იტევს. დელეგაციის ვიზიტის დღისათვის იქ 853 მსჯავრდებული მამაკაცი იმყოფებოდა და ყველა მათგანი მკაცრი რეჟიმის პირობებში იხდიდა სასჯელს. მხოლოდ 25 ისეთი პატიმარი იყო, რომლებსაც მუშაობა შეეძლოთ და საერთო რეჟიმის პირობებში იყვნენ.

38. დაწესებულების დიდი ტერიტორია რემონტის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა და მხ-

32 იხ. CPT/Inf (2005) 12-ის პუნქტები 99-105.

ოლოდ ერთი თავდაპირველი ნაგებობა დარჩა. ძირითადი პირობები გარემონტებულ შენობაში აშკარად გაუმჯობესდა იმასთან შედარებით, რაც **წპკ**-ს დელეგაციამ 2003 წელს ნახა. პატიმრები განთავსებული იყვნენ 38 საერთო საკანში, რომლებიც ახლად იყო შეღებილი და ფანჯრებზე გისოსები არ ჰქონდა. და მაინც, საერთო საკნებში, რომელთაგან ყველაზე დიდში 46 პატიმარი იყო მოთავსებული 73მ.კვ ფართობზე, პატიმრები სივიწროვეში იყვნენ (ამ სიტუაციას, სავარაუდოდ, საკნის გარეთ ყოფნის დიდი დრო ამსუბუქებდა). ავეჯი შედგებოდა ერთმანეთთან მჭიდროდ მდგომი ორსართულიანი საწოლებისგან, პერსონალური კომოდებისგან, 10- კაციანი მაგიდისა და სკამებისგან; გარდა ამისა, ყველა საერთო საკანს ჰქონდა თავისი იზოლირებული სანიტარული კვანძი და თითქმის ყველა საკანში იყო ტელევიზორი. თუმცა საწმენდი საშუალებების დეფიციტი უარყოფითად აისახებოდა შენობის, კერძოდ კი ტუალეტისა და საშხაპის, მოვლაზე. ზოგიერთ საერთო საკანში დელეგაციამ ნახა დანესტიანებული ჭერი და კედლები. გარდა ამისა, გათბობის სისტემის მოშლილობის გამო დელეგაციის ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე გათბობა არ იყო.

39. პატიმრებს შეეძლოთ შეუზღუდავად ესარგებლათ საშხაპით; ეს პოზიტიური ცვლილებაა, თუმცა აღნიშნული დაწესებულება არ ამარაგებდა პატიმრებს პირადი ჰიგიენის საგნებით (მათ რეგულარულად საპონსაც კი არ აძლევდნენ). გარდა ამისა, არც საწმენდი საშუალებები იყო ხელმისაწვდომი, რის გამოც პატიმრების საცხოვრებელში არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო ჰიგიენური პირობები.

სამრეცხაოს არარსებობის გამო პატიმრები თავიანთ საკნებში რეცხავდნენ ფორმებს, ტანსაცმელსა და თეთრეულს; ეს განსაკუთრებით პრობლემური იყო მომუშავე პატიმრებისთვის, რომელთა ფორმა ერთ ღამეში ვერ გაშრება. ზოგიერთ საკანში (მაგ. №18) პატიმრების ლოგინის თეთრეული ვიზიტამდე ორი კვირის წინ წაიღეს გასარეცხად ისე, რომ გამოსაცვლელი თეთრეული არ დაუტოვებიათ.

40. დელეგაციას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ საკვებით უზრუნველყოფა (რასაც გარეშე კომპანია აკეთებს, რომელიც თავად განსაზღვრავს მენიუს) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა **წპკ**-ს წინა ვიზიტთან შედარებით. მიუხედავად ამისა, პატიმრებისგან მაინც მოვისმინეთ მცირერიცხოვანი საჩივრები საკვების ერთფეროვნებასთან და იმ დროსთან დაკავშირებით, როცა მათთვის საჭმელი მიაქვთ. რამდენიმე კვირით ადრე დაწესებულებაში მაღაზია გაიხსნა; ეს პოზიტიური ნაბიჯი იყო, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პატიმრებს აეკრძალათ ოჯახებიდან პროდუქტების (მაგ. ხილისა და ბოსტნეულის) მიღება. თუმცა პატიმრებს არ აკმაყოფილებდათ მაღაზიაში გაყიდული პროდუქტების ასორტიმენტი (მაგ. ჩაი და ყავა არ იყიდებოდა და მხოლოდ ძვირად ღირებული სიგარეტები იყო) და ისინი უჩიოდნენ ძალზე მაღალ ფასებს.

41. რაც შეეხება აქტივობის პროგრამას, პატიმრებს შეეძლოთ დღეში 8 საათი თავიანთი საკნების გარეთ გაეტარებინათ. ამ დროის განმავლობაში მათ შეეძლოთ ესარგებლათ დიდი ეზოთი, რომელიც სპორტული თამაშებისათვის გამოიყენება. მისასალმებელი ცვლილება იყო კომპიუტერის სასწავლებელი ოთახის გახსნა, სადაც ორი პერსონალური კომპიუტერი იდგა; ამ ოთახში დაახლოებით 60 პატიმარი დადიოდა. დაწესებულებას ჰქონდა, აგრეთვე, ბიბლიოთეკა დაახლოებით 1,200 წიგნით, რომლებიც ძირითადად ძველი იყო. სახელოსნოების არარსებობის გამო მხოლოდ 25 პატიმარი იყო დასაქმებული არაანაზღაურებად სამუშაოზე (სამზარეულოში, საკვების განაწილებაზე, დასუფთავებაზე და ა.შ.). დელეგაციას უთხრეს, რომ არსებობდა სახელოსნოების, აგრეთვე ინგლისური ენის შემსწავლელი კურსის გახსნის გეგმა.

42. ზემოაღნიშნული შენიშვნების კონტექსტში **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მიღებული იქნეს ზომები, რათა:**

- საერთო საკნებში შემცირდეს ფართობის ყოველ ერთეულზე ბინადართა რაოდენობა იმ მიზნით, რომ თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს სულ მცირე 4 მ.კვ;

- უზრუნველყოფილი იქნეს საპყრობილის საცხოვრებელი ზონის, კერძოდ, საკნების სანიტარიული კვანძების, სათანადო გასუფთავება და მოვლა;

- პატიმრები უზრუნველყოფილი იქნენ თეთრეულით, რომელიც სათანადო პერიოდულობით გაირეცხება;

- პატიმრები სათანადო რაოდენობით იქნენ უზრუნველყოფილი პირადი ჰიგიენის საშუალებებით;

- უზრუნველყოფილი იქნეს საპყრობილის მაღაზიაში გასაყიდად გამოტანილი საკვები პროდუქტების შესაბამისობა პატიმრების მოთხოვნილებებთან და მათ ფინანსურ შესაძლებლობებთან;

- შემუშავდეს აქტივობის სახეები პატიმრებისთვის (კერძოდ, სამუშაო, ტრენინგი, განათლება, სპორტი).

ბ. განმეორებითი ვიზიტი თბილისის №5 საპყრობილეში

43. თბილისის №5 საპყრობილე **წპკ**-მ 2001 წლის მაისში, 2003 წლის ნოემბერში და 2004 წლის მაისში მოინახულა და მთელი რიგი სასწრაფოდ გასათვალისწინებელი რეკომენდაციები გამოთქვა[33].

2007 წლის კონკრეტულად გამიზნული განმეორებითი ვიზიტის მიზანი იყო, შეემოწმებინა, თუ რამდენად გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაციები. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ საპყრობილის მთავარი შენობის სარდაფი აღარ გამოიყენებოდა, რკინის გისოსები მოიხსნა საკნების ფანჯრებიდან და პატიმარი ქალები და არასრულწლოვნები სხვა დაწესებულებებში გადაიყვანეს. თუმცა **წპკ**-ს მიერ 2004 წლის მაისში ნანახმა საპყრობილის გადატვირთვამ (როდესაც იქ 2,222 პატიმარი იმყოფებოდა) უჩვეულო დონეს მიაღწია: დელეგაციის ვიზიტის დღეს საპყრობილეში 4,316 პატიმარი მამაკაცი იყო, მაშინ, როდესაც ის ოფიციალურად 1,018 პატიმარზეა გათვალისწინებული.[34] საცხოვრებელი ფართობი საკნებში ხშირად 0.5 კვადრატულ მეტრზე ნაკლები იყო ერთ კაცზე. დელეგაციამ ნახა, როგორ იყოფდა 100-მდე პატიმარი 20-საწოლიან საკანს, რომლის ფართობი დაახლოებით 45 მ.კვ იყო, ხოლო დაკავების მთავარი შენობის საკნებში არსებული სავალალო მდგომარეობა აღწერას არ ექვემდებარება.

პატიმრები იშვიათად ტოვებდნენ ამ საშინელ პირობებს: გასეირნების უფლებას მათ კვირაში ერთხელ ან სამჯერ აძლევდნენ, შხაპის მიღება კი თვეში ერთხელ ან ორჯერ თუ შეეძლოთ. უძილობა, არაჰიგიენური ყოფა და მონოტონური ცხოვრება პატიმრების ჯანმრთელობას აუარესებდა. რადგან ბევრ მათგანს საერთო საწოლები ჰქონდათ, ეს ტილებისა და მუნის გაჩენას უწყობდა ხელს და რესპირატორული დაავადებებიც ადვილად ვრცელდებოდა. ამგვარ პირობებში ძალზე მაღალი იყო მასობრივი ინფიცირების საშიშროება და ძალადობრივი ინციდენტების პოტენციური საფრთხე. ბევრი პატიმარი, რომლებიც ამ ტანჯვას იტანენ №5 საპყრობილეში, საზოგადოებას ფსიქოლოგიურად გატეხილი და ფიზიკურად დაავადებული დაუბრუნდება.

44. პატიმრობის ზემოაღნიშნული პირობები, რომლებშიც №5 საპყრობილის ბინადართა დიდი უმრავლესობა იმყოფებოდა, არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას უტოლდება და ცივილიზებული საზოგადოების შეურაცხყოფაა. როგორც მე-7 პუნქტშია აღნიშნული, ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განაცხადა თავისი გამოვლენილი ფაქტების შესახებ, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებდა და საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა, ერთი თვის განმავლობაში ეცნობებინა **წპკ**-სთვის კონკრეტული ზომების შესახებ, რომლებიც გამიზნული იქნებოდა №5 საპყრობილის უკიდურესი გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად, ასევე ეცნობებინა ამ ზომების შესრულების გრაფიკი. დელეგაციამ ხაზი გაუსვა, რომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიტუაციის ზაფხულის დადგომამდე მოგვარებას (როგორც შევიტყვეთ, 2006 წლის ზაფხულში საკნებში უჩვეულო სიცხის გამო რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა).

2007 წლის 11 მაისით დათარიღებული წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა კომიტეტს, რომ რამდენიმე ასეული პატიმარი №5 საპყრობილიდან რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გადაიყვანეს, რითაც პატიმართა წინანდელი რაოდენობა 3,835-მდე დაიყვანეს. თუმცა გადატვირთვის პრობლემის მოგვარება თბილისში (გლდანში) ახალი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების გახსნამდე გადაიდო, რომელიც 4,000 პატიმარზე იყო გათვალისწინებული და მისი მშენებლობა 2007 წლის სექტემბერში დასრულდებოდა.

პატიმრების გადაყვანა მხოლოდ დასაწყისია და ცხადია, რომ საჭიროა აქტიური მოქმედება №5 საპყრობილეში დარჩენილი ათასობით პატიმრის სიცოცხლისა და ღირსების დასაცავად. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ყველაფერი გააკეთოს თბილისის №5 საპყრობილის გადატვირთულობის დიდი ხნის პრობლემისა და ამასთან დაკავშირებული სხვა სირთულეების (შხაპის, ჰაერზე სეირნობის და ა.შ. უზრუნველყოფა) საბოლოოდ გადასაჭრელად. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ის ზომებიც, რომლებიც უზრუნველყოფს პრევენციული ზომის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით №Rec(2006)13, რომელიც თავისუფლების აღკვეთას, მისი გამოყენების პირობებს და შეურაცხმყოფელი მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის საშუალებების უზრუნველყოფას ეხება.**

გ. რუსთავის №6 საპყრობილე

45. №6 საპყრობილე დედაქალაქიდან 30 კილომეტრში მდებარეობს, ინდუსტრიული ქალაქი რუსთავის გარეუბანში. მისი მშენებლობის პროცესი წყვეტილად მიმდინარეობდა რამდენიმე წლის განმავლობაში და ბოლოს ევროკავშირის დაფინანსებით დასრულდა და იგი ნაჩქარევად გაიხსნა 2006 წლის მარტში, თბილისში ციხის დიდი აჯანყების შემდეგ, რომელსაც ათასობით პატიმრის გადაყვანა მოჰყვა. №6 საპყრობილე ნავარაუდევი იყო როგორც მაღალი უსაფრთხოების

33 იხ. CPT/Inf (2002) 14 -ის 87 პუნქტი და CPT/Inf (2005) 12-ის 64-75 პუნქტები.

34 უმრავლესობა წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, მაგრამ იყო, აგრეთვე, დაახლოებით 1,000 მსჯავრდებული, რომლებიც სხვა დაწესებულებებში გადაყვანას ელოდებოდნენ.

საკნებისგან შემდგარი ციხე (ანუ ერთი საკნის ბინადრებს ეკრძალებოდათ სხვა საკნების ბინადრებთან ურთიერთობა). 830 პატიმარზე გაანგარიშებულ საპყრობილეში ვიზიტის დღისათვის 711 პატიმარი იყო, მათ შორის 129 - წინასწარ პატიმრობაში. საპყრობილის ბინადრებს შორის 46 პატიმარი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იყო, რომლებიც სამუდამო პატიმრობას იხდიდნენ. 32 პატიმარი სასჯელს საერთო რეჟიმით იხდიდა. ისინი თავიანთი მოთხოვნისამებრ გაამწესეს სამუშაოდ აღნიშნულ დაწესებულებაში. **წპპ**-ს ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე აღნიშნულ დაწესებულებაში 11 არასრულწლოვანი იყო, რომლებიც, როგორც გვითხრეს, სასჯელაღსრულების სისტემის სხვა დაწესებულებებში გადაიყვანეს გადატვირთულობის გამო. **წპპ-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება მომავალში უზრუნველყოფს, რომ მცირეწლოვანი პატიმრები არ მოხვდნენ №6 საპყრობილეში.**

მსჯავრდებულთა უმრავლესობა სასჯელაღსრულების სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანებულების საფუძველზე (რომელიც ძალაში დაახლოებით 1 წელი იყო) სხვა დაწესებულებებიდან გადმოიყვანეს, რადგან დისციპლინარული დარღვევები ჰქონდათ ჩადენილი და/ან კრიმინალური სამყაროს ლიდერების კატეგორიას (ე.წ. „კანონიერ ქურდებს“) მიეკუთვნებოდნენ. რაც შეეხება წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანებს, ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებით იყვნენ იქ და ძირითადად „გახმაურებულ“ საქმეებთან დაკავშირებული პატიმრებია.

i. საცხოვრებელი პირობები

46. ახლად აშენებულ №6 საპყრობილეში ყველაზე კარგი საცხოვრებელი პირობები იყო იმასთან შედარებით, რაც **წპპ**-მ საქართველოს სხვა საპყრობილეებში ნახა; ამასთან ერთად, მისი ექსპლუატაციაში შესვლიდან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ უკვე შეინიშნებოდა ცვეთის ნიშნები (კერძოდ, საკნების სანიტარიულ კვანძებში და საშხაპეებში), რაც გამოწვეული იყო სათანადო მოვლისა და დასუფთავების არარსებობით, აგრეთვე, ახალი ფლიგელის მიმდინარე მშენებლობით.

საპყრობილის ბინადართა საცხოვრებელი სივრცე მოწყობილი იყო U-ფორმის ოთხსართულიან შენობაში (გარდა მომუშავე მსჯავრდებულების საცხოვრებლისა, რომლებიც ცალკე შენობაში იყო მოთავსებული). საკნები განკუთვნილი იყო ორიდან თვრამეტი პატიმრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტანდარტებით საპყრობილე არ იყო გადატვირთული, საკნები ვერ აკმაყოფილებდა **წპპ**-ს მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც ერთ პატიმარზე სულ მცირე 4 მ.კვ-ს მოითხოვს (მაგ. 16 მ.კვ საკნებში ექვსი პატიმარი ჰყავდათ, ხოლო 28 მ.კვ საკნებში - 12 პატიმარი).

საკნებს უგისოსო ფანჯრები ჰქონდა, რომლებიდანაც დღის სინათლე შემოდიოდა; ვენტილაცია, ხელოვნური განათება და გათბობაც დამაკმაყოფილებელი იყო. საკნებში იდგა ორსართულიანი საწოლები, კომოდები პირადი ნივთებისთვის, ერთი ან ორი მაგიდა და სკამები; გარდა ამისა, ყველა საკანს ჰქონდა იზოლირებული სანიტარიული კვანძი, თუმცა არ ჰქონდა გამოსაძახებელი ზარები და პატიმრები ჩიოდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში ძნელი იყო პერსონალის ყურადღების მიპყრობა, ხოლო საკნის კედლებზე ბრახუნი დისციპლინარულ დარღვევად ითვლებოდა. საწოლების კონფიგურაციაც არადამაკმაყოფილებელი იყო (მეჩხერად განლაგებულ ლითონის თამასებში ალაგ-ალაგ მატრასები იზნიქებოდა), ხოლო ფანჯრები ისე იყო მოწყობილი, რომ მათი გასუფთავება შეუძლებელი იყო.

47. <u>პატიმრები, რომლებსაც სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი</u>, ცალკე სექციაში იყვნენ მესამე სართულზე, ორკაციან საკნებში, რომელთა ფართობი დაახლოებით 9 მ.კვ იყო (მხოლოდ ერთი პატიმარი იყო საკანში მარტო, მისივე მოთხოვნით). პირობები მათთვის ისეთივე იყო, როგორიც დანარჩენი პატიმრებისთვის, მხოლოდ ერთი გამონაკლისით: სამუდამო პატიმრობაში მყოფ პირებს შეეძლოთ თავიანთ საკნებში რადიო და ტელევიზორი ჰქონოდათ.

48. გარდა ამისა, იყო <u>„კარანტინის ბლოკი“</u>, რომელიც პირველ სართულზე იყო მოთავსებული და ოთხი საკნისგან შედგებოდა. ახლადშემოსულ პატიმრებს იქ ათავსებდნენ დაახლოებით 14 დღე, თუ ეს მათთვის პირველი პატიმრობა იყო. „კარანტინში“ ისეთივე პირობები იყო, როგორც ჩვეულებრივ საკნებში, იმ განსხვავებით, რომ პატიმრებს ლეიბებს არ აძლევდნენ.

49. საცხოვრებელი ბლოკის თითოეულ სართულზე იყო საშხაპე და პატიმრებს შეეძლოთ კვირაში ერთხელ მიეღოთ <u>შხაპი</u>, თუმცა წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგებაში არსებული პრობლემების გამო ცხელ წყალს არარეგულარულად აწვდიდნენ და პატიმრები ჩიოდნენ, რომ მათ მხოლოდ 5-10 წუთს აძლევდნენ დასაბანად. გარდა ამისა, საშხაპეებში დაზიანების ნიშნები იყო (ნესტიანი ჭერი, მოხსნილი წყლის გამშხეფები).

საპყრობილეს კარგად მოწყობილი <u>სამრეცხაო</u> ჰქონდა, თუმცა პატიმრები ჩიოდნენ, რომ თეთრეული ორ თვეში ერთხელ ირეცხებოდა, ხოლო ტანსაცმლის გარეცხვა მათ საკნებში უწევდათ ცივი წყლით. საპყრობილე მხოლოდ საპონს და სარეცხის ფხვნილს აძლევდა პატიმრებს, ხოლო პერსონალური ჰიგიენის სხვა საშუალებების ყიდვა მათ დაწესებულების ტერიტორიაზე 2007 წლის დასაწყისში გახსნილ მაღაზიაში შეეძლოთ.

50. რაც შეეხება <u>საკვებს</u>, პატიმრების უმრავლესობამ განაცხადა, რომ საკმარისი რაოდენობით იღებდნენ, მაგრამ უხარისხო და ერთფეროვანი იყო. საჭმელს კონტრაქტორი კერძო კომპანია

ამზადებდა. ხორცს და/ან თევზს ყოველდღიურად აძლევდნენ (მაგ. ჩვენი ვიზიტის დღეს 170 გრ. თევზი მისცეს). თუმცა, როგორც ჩანს, კვერცხი, რძის პროდუქტები და ხილი მენიუში იშვიათად იყო. პატიმრები ოჯახებიდან მიღებული ამანათებით და საპატიმროს მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტებით ავსებდნენ თავიანთი კვების რაციონს.

51. ზემოხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით ნპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ რუსთავის №6 საპყრობილეში გატარდეს შემდეგი ზომები:

- შემცირდეს საკნებში მოთავსებული პატიმრების რაოდენობა ისე, რომ თითოეულ პატიმარზე სულ მცირე 4 მ.კვ მოდიოდეს;

- უზრუნველყოფილი იყოს პატიმრების ბინადრობის ფართობის, კერძოდ, საკნებში არსებული სანიტარიული კვანძების და საერთო საშხაპეების სათანადო დასუფთავება და მოვლა;

- საკნებში დამონტაჟდეს გამოძახების სისტემა;

- „კარანტინში“ მყოფი პატიმრები უზრუნველყოფილი იქნენ სრულფასოვანი საწოლებით (ლეიბების ჩათვლით);

- განხილული იქნეს პატიმრების მიერ შხაპის უფრო ხშირად მიღების შესაძლებლობა, „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 მუხლის კონტექსტში;

- პატიმრებს მიეწოდოთ პირადი ჰიგიენის უფრო მრავალფეროვანი საშუალებები და გაუმჯობესდეს პატიმრების ტანსაცმლის რეცხვის პირობები;

- უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრების თეთრეულის რეცხვა სათანადო პერიოდულობით.

ii. აქტივობა

52. **ნპკ** სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს რუსთავის №6 საპყრობილეში პატიმრების აქტივობის რეჟიმთან დაკავშირებით მისი დელეგაციის მიერ დაფიქსირებული სიტუაციის გამო, რომელიც ხასიათდებოდა თითქმის სრული უმოქმედობითა და ადამიანური კონტაქტების ძალზე შეზღუდული შესაძლებლობით.

მომუშავე პატიმრების 32-კაციანი ჯგუფის გარდა, რომელიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა დაწესებულების მოვლასთან დაკავშირებით, არც ერთ პატიმარს არ სთავაზობდნენ რაიმე სახის ორგანიზებულ აქტივობას საკნის გარეთ, მიუხედავად იმ რეჟიმისა, რომლის ფარგლებშიც ისინი სასჯელს იხდიდნენ[35]. ამის შედეგად პატიმრები დღე-ღამეში 23 საათს (და მეტს) საკნებში ჩაკეტილები ატარებდნენ და მხოლოდ მათ საკნებში მოთავსებულ სხვა პატიმრებთან შეეძლოთ ურთიერთობა. საკნის შიდა აქტივობა გაზეთებისა და წიგნების კითხვით (საპყრობილეს ჰქონდა ბიბლიოთეკა 1500 წიგნით) და თვითნაკეთი სამაგიდო თამაშებით შემოიფარგლებოდა. ტელევიზორი და რადიო აკრძალული იყო ყველასთვის, გარდა სამუდამო პატიმრობაში მყოფი პატიმრებისა. არ იყო საერთო თავშეყრის ადგილები და სპორტული მოედნები. სპორტული დარბაზი გადაკეთებული იყო ადგილობრივი პერსონალის საცხოვრებლად.

53. საკნის გარეთ აქტივობის ერთადერთი სახე, რომელსაც იზოლატორში და „კარანტინში“ მყოფი პატიმრების გარდა ყველა პატიმარს სთავაზობდნენ, სეირნობა იყო. პატიმრებს რიგრიგობით, საკნების მონაცვლეობით უშვებდნენ თორმეტ სასეირნო ეზოში (თითოეული მათგანი დაახლოებით 50 მ^2), რომლებსაც დამთრგუნველი დიზაინი ჰქონდათ (მაღალი კედლები, ცარიელი ტერიტორია), სადაც არც რაიმე დანადგარი იყო და არც თავშესაფარი უამინდობის შემთხვევისთვის. ბევრი პატიმარი აცხადებდა, რომ პრაქტიკულად სეირნობა დღეში 20-30 წუთით შემოიფარგლებოდა (სამუდამო პატიმრობაში მყოფი პატიმრების შემთხვევაში - 1.5 საათით) და ისიც ყოველდღიური არ იყო. საკნებისა და ეზოების რაოდენობა და გასეირნების შეზღუდული დრო ამგვარ განცხადებებს დამაჯერებელს ხდიდა.

54. რაც შეეხება სამუდამო პატიმრობაში მყოფი პატიმრების რეჟიმს, გარდა ზემოხსენებული აქტივობის არარსებობისა, მას ახასიათებდა ადამიანური კონტაქტის სრული არარსებობა, თანამესაკნესთან კონტაქტისა და იშვიათი ვიზიტების გამოკლებით (იხ. პუნქტი 90). **ნპკ**-სათვის გაუმართლებელია ყველა სამუდამო პატიმრის მიმართ აკრძალვების გამოყენება (როგორიც არის მათი განცალკევება დანარჩენი პატიმრებისგან გაურჩევლად და ერთის გარდა სხვა პატიმრებთან ურთიერთობის აკრძალვა) იმის გაუთვალისწინებლად, თუ ინდივიდუალურად რა საფრთხეს ქმნის (ან არ ქმნის) თითოეული ასეთი პატიმარი.

უფრო ზოგადად, კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას, რომ გრძელვადიან პატიმრობას, განსაკუთრებით კი სამუდამო პატიმრობას, შეიძლება პატიმრების ასოციალურობა მოჰყვეს. ინსტიტუციონალიზაციასთან ერთად ამგვარი პატიმრები შეიძლება მთელი რიგი ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ (როგორიც არის სუიციდალური ტენდენციები, საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვა, სოციალური უნარ-ჩვევების გაუარესება) და გაუჩნდეთ იმ საზოგადოებისაგან განდგომის მზარდი მოთხოვნილება, რომელსაც ისინი უნდა დაუბრუნდნენ საბოლოოდ.

35 №6 საპყრობილეში ისეთი პატიმრები იყვნენ, რომლებსაც სასამართლომ ყველა შესაძლო ტიპის რეჟიმი მიუსაჯა (მაგ. საერთო, მკაცრი, საპყრობილის, სამუდამო). სხვადასხვა კატეგორიის პატიმრების რეჟიმებს შორის პრაქტიკულად არავითარი განსხვავება არ იყო, გარდა მათთვის პაემანის უფლების მიცემის ან არ მიცემისა. (იხ. 90-ე პუნქტი).

წპკ-ს აზრით, სამუდამო პატიმრობამისჯილი და სხვა გრძელვადიანი პატიმრებისთვის დაწესებული რეჟიმი მიზნად უნდა ისახავდეს ზემოთქმულის კომპენსაციას პოზიტიური და პროაქტიული გზით. ამგვარი პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სხვადასხვა სახის მიზნობრივი აქტივობის ფართო სპექტრი (მუშაობა, სასურველია, გარკვეული საწარმოო-ტექნიკური ღირებულებით; განათლება; სპორტი; რეკრეაცია/ურთიერთობა). უფრო მეტიც, მათ გარკვეული არჩევანი უნდა ჰქონდეთ, თუ როგორ და რაში დახარჯავენ დროს, რაც მათ ავტონომიურობისა და პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას გაუჩენს. დამატებითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა მათი პატიმრობის პერიოდმა მნიშვნელობა შეიძინოს; კერძოდ, პატიმრობის ინდივიდუალური გეგმისა და სათანადო ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ელემენტებია ამგვარი პატიმრების დასახმარებლად, რათა ისინი შეეგუონ პატიმრობის პერიოდს და როდესაც ამის დრო მოვა, მოემზადონ გათავისუფლებისათვის. უფრო მეტიც, ხანგრძლივ პატიმრობაში მყოფი პატიმრებისათვის ასეთი რეჟიმის უზრუნველყოფა ხელს უწყობს კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას საპყრობილის პერსონალსა და პატიმრებს შორის და ამით განამტკიცებს ციხის უსაფრთხოებას.

55. ზემოხსენებულის გათვალისწინებით **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ რუსთავის №6 საპყრობილეში მიღებული იქნეს შემდეგი სასწრაფო ზომები:**

- ყველა კატეგორიის პატიმრისთვის შემუშავდეს აქტივობათა პროგრამა 33-ე და 54-ე პუნქტებში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, რაც სოციალური რეაბილიტაციის პროცესის არსებით ნაწილს წარმოადგენს;

- ყველა პატიმრისთვის უზრუნველყოფილი იქნეს სულ მცირე ერთსაათიანი ყოველდღიური სეირნობა ჰაერზე, რათა ისინი ფიზიკურად დაიტვირთონ. დაწესებულების ვრცელი ტერიტორია იძლევა სავარჯიშო და სპორტული მოედნების მოწყობის საშუალებას.

გარდა ამისა, **კომიტეტი ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, ნება დართონ პატიმრებს, საკნებში იქონიონ ტელევიზორი და რადიო.**

დ. თბილისის №7 საპყრობილე

56. №7 საპყრობილე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაშია თბილისში, სადაც ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორი იყო[36]. იგი 2004 წელს დაარსდა, როგორც მაღალი უსაფრთხოების საკნებიანი დაწესებულება და იქ ძირითადად განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე დაკავებულ პატიმრებს ათავსებენ (ე.წ. „კანონიერ ქურდებს“, ტერორიზმში ბრალდებულ ან მსჯავრდებულ პირებს, სახელმწიფო დამნაშავეებს, მასშტაბურ ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციაში მხილებულ პირებს). რუსთავის №6 საპყრობილის მსგავსად აქაც პატიმრებს დაწესებულებაში სასამართლოს ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე ათავსებენ (ერთ წლამდე პერიოდით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს).

აღნიშნული დაწესებულება 108 ადამიანზეა გათვლილი და დელეგაციის ვიზიტის დროს იქ 60 მამაკაცი პატიმარი იმყოფებოდა, საიდანაც 47-ს უკვე მისჯილი ჰქონდა სასჯელი (მათ შორის ერთი სამუდამო პატიმრობას იხდიდა), ხოლო 13 წინასწარ პატიმრობაში იყო. ამ პატიმრებიდან 32 „კანონიერ ქურდად“ იყო მიჩნეული. მათი დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი განისაზღვრებოდა ერთ წლამდე ვადით, თუმცა რამდენიმე პატიმარი უფრო დიდი ხანი იყო იქ (ორ წლამდე).

i. საცხოვრებელი პირობები

57. პატიმრების განთავსება სამ დონეზე იყო უზრუნველყოფილი, 25 საკანში, სადაც ორიდან რვა პატიმრამდე შეიძლებოდა მოთავსებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ დელეგაციის ვიზიტის დროს დაწესებულება მთელი დატვირთვით არ მუშაობდა, დელეგაციამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი საკანი გადაჭედილი იყო (მაგ. შვიდი პატიმარი - 16 მ^2 ფართობის საკანში; სამი პატიმარი - 9 მ^2 ფართობის საკანში). გარდა ამისა, ცხადი იყო, რომ საკნები მეტისმეტად მაღალი ტევადობისთვის იყო გათვლილი (მაგ. ორ პატიმარზე გათვალისწინებული საკანი 7 მ^2 იყო, სამ პატიმარზე გათვალისწინებული საკანი - 9მ^2, ხოლო რვა პატიმარზე გათვალისწინებული – 16-იდან 19 მ^2).

58. საკნის მოწყობილობა შედგებოდა ორსართულიანი საწოლების, მაგიდების, სკამების და მთლიანად დაფარული სანიტარიული კვანძისგან. საწოლისთვის საჭირო თეთრეული და ყველა სხვა აქსესუარი პატიმრების ოჯახებმა უზრუნველყვეს (გარდა რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც ღარიბ პატიმრებს დაწესებულებამ მისცა ლეიბები და საბნები).

საუკეთესო პირობები აღინიშნა მე-3 დონეზე, რომელიც საპატიმრო ზონად 2004 წელს გადაკეთდა და კარგად იყო გარემონტებული. ამ დონის საკნებს დიდი ფანჯრები ჰქონდა, რომლებსაც გისოსები ფარავდა ნორმალური ინტერვალებით, საიდანაც ბუნებრივი განათება შემოდიოდა. ხელოვნური განათება და ვენტილაციაც დამაკმაყოფილებელი იყო. ამის საპირისპიროდ, პირველი და მეორე დონის საკნებს მჭიდრო მავთულხლართით დაფარული პატარა ფანჯრები ჰქონდა, რომ-

36 **წპკ**-მა მოინახულა 2001 და 2003 წლებში, იხ. CPT/Inf (2005) 12-ის 42-ე პუნქტი.

ლებიც დღის სინათლეს და სუფთა ჰაერს ძნელად ატარებდა; ხელოვნური განათება სუსტი იყო, საკნები მოძველებული და არცთუ ისე სუფთა.

59. პატიმრებს მხოლოდ კვირაში ერთხელ უშვებდნენ საშხაპეში (წყლის ოთხი გამაფრქვევლით), რომელიც რემონტისა და სისუფთავის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო. დაწესებულება საკმარისი რაოდენობით აწვდიდა პატიმრებს ჰიგიენურ პროდუქტებს (საპონი, კბილის პასტა, ერთჯერადი საპარსი მოწყობილობები, ტუალეტის ქაღალდი და საკნების დასასუფთავებელი საშუალებები). სამრეცხაოს არარსებობის პირობებში დასახმარებლად რუსთავის №6 საპყრობილეს მიმართავდნენ, თუმცა რამდენიმე პატიმარმა დაიჩივლა, რომ ლოგინის თეთრეულს ძალიან იშვიათად რეცხავდნენ (თითქმის თვეში ერთხელ). რაც შეეხება პატიმრების ტანსაცმელს, მას ან თავად პატიმრები რეცხავდნენ საკნებში, ან ოჯახის წევრებს ატანდნენ გასარეცხად.

60. დელეგაციას პატიმრებისგან არ გაუგია საჩივრები დაწესებულებაში კვებასთან დაკავშირებით. მათ დღეში სამჯერ აჭმევდნენ, მათ შორის ხორცს და/ან თევზს. სამზარეულო საკმაოდ მოძველებული, მაგრამ სუფთა იყო და აღჭურვილობაც კარგ სამუშაო მდგომარეობაში ჰქონდათ.

61. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ თბილისის №7 საპყრობილეში გატარდეს სათანადო ზომები, რათა:**

- საკნებში შემცირდეს ფართობის ყოველ ერთეულზე ბინადართა რაოდენობა იმ მიზნით, რომ თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს სულ მცირე 4 მ.კვ;

- გარემონტდეს პირველი და მეორე დონეების საკნები, რათა ისინი სულ მცირე მე-3 დონის საკნების სტანდარტს მიუახლოვდეს (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დღის სინათლის, სუფთა ჰაერისა და ხელოვნური განათების ხელმისაწვდომობას);

- განხილული იქნეს პატიმრების მიერ შხაპის უფრო ხშირად მიღების შესაძლებლობა „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 მუხლის კონტექსტში;

- ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იქნეს ლოგინის სრული კომპლექტებით (ანუ ლეიბებით, საბნებით, ბალიშებით, თეთრეულით), რომლებიც სათანადო პერიოდულობით გაირეცხება.

ii. აქტივობა

62. პატიმრების უმრავლესობისთვის საკნის გარეთ ხელმისაწვდომი ერთადერთი აქტივობა იყო ჰაერზე სეირნობა, თუმცა შაბათ-კვირას არც ამის შესაძლებლობა ეძლეოდათ. გარდა ამისა, პატიმრების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ჰაერზე სეირნობა, ჩვეულებრივ, მხოლოდ 30 წუთი გრძელდებოდა. სასეირნო ზონა შედგებოდა მავთულის ბადიანი მაღალი კედლით გარემოცული ბეტონის ტერიტორიისგან, რომელზეც გრძელი სკამი იდგა. თავისი კონფიგურაციის, პატარა ზომის (სულ რაღაც 12 მ^2) და პატიმრების რაოდენობის გამო, რომლებიც ერთდროულად სეირნობდნენ (8 კაცამდე), აღნიშნული ობიექტები ვერ უზრუნველყოფდნენ პატიმრებს ფიზიკური დატვირთვით.

63. სამუშაო მხოლოდ სამ მსჯავრდებულ პატიმარს ჰქონდა, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ დაწესებულებაში სამუშაოდ (სამზარეულოში საჭმლის განაწილებაზე და დასუფთავებაზე). დანარჩენი პატიმრები 23 საათს საკანში გამომწყვდეულები ატარებდნენ და არ იცოდნენ, დრო როგორ გაეყვანათ. ერთადერთი რამ, რაზეც ყურადღების გადატანა შეეძლოთ, ოჯახის წევრების მიერ მოტანილი წიგნებისა და გაზეთების კითხვა (ბიბლიოთეკა იქ არ იყო) და თვითნაკეთი სამაგიდო თამაშებით გართობა იყო. რადიო და ტელევიზორი საკნებში აკრძალული იყო. პატიმრებისთვის შეუძლებელი იყო სხვა საკნების პატიმრებთან ურთიერთობაც.

64. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ №7 საპყრობილეში აქტივობასთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია სრულიად მიუღებელია. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ თბილისის №7 საპყრობილეში პრიორიტეტული ზომები იქნეს მიღებული დაწესებულებაში მყოფი პატიმრების აქტივობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პირველ რიგში, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ბიბლიოთეკით და უფლება მიეცეთ, საკანში რადიო და ტელევიზორი იქონიონ.**

გარდა ამისა, კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, გადაიდგას ნაბიჯები, რათა პატიმრებს ყოველდღე სულ მცირე ერთი საათი შეეძლოთ სეირნობა, აგრეთვე, გაიზარდოს სასეირნო ეზოების ფართობი და ისინი ნაკლებად დამთრგუნველი იყოს.

65. ვიზიტის დროს დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარი იყო (მათ შორის ერთი სამუდამო პატიმრობაში), რომლებიც მარტო ჰყავდათ საკნებში დაახლოებით რვიდან თხუთმეტი თვის განმავლობაში. პირობები, რომლებშიც აღნიშნული პატიმრები იმყოფებოდნენ, განსაკუთრებულ აღნიშვნას არ იმსახურებს, მაგრამ **წპკ** შეშფოთებულია იმ ფაქტის გამო, რომ ხსენებულ პატიმრებს განმარტოებული პატიმრობის მსგავს პირობებში ამყოფებდნენ, როდესაც სხვა პატიმრებთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევდნენ და ყოველგვარი აქტივობა გამორიცხული იყო. ამ კონ-

ტექსტში გასათვალისწინებელია 54-ე პუნქტში გამოთქმული შენიშვნები. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ გადაიდგას ნაბიჯები აქტივობის რეჟიმის შესამუშავებლად თბილისის №7 საპყრობილის საკნებში განმარტოებულად მყოფი პატიმრებისთვის.**

ე. ზუგდიდის №4 საპყრობილე

66. №4 საპყრობილე ქალაქ ზუგდიდის ცენტრში მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. არსებითად ეს არის წინასწარი პატიმრობის დაწესებულება, რომელიც იღებს წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს ზუგდიდიდან და სამეგრელოს რეგიონიდან. თავდაპირველი შენობა მე-19 საუკუნის ბოლოს აიგო, როგორც სამხედრო თავლა და ცარიზმის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე გადაკეთდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებად. რეკონსტრუქციისა და გაფართოების შემდეგ იგი 1970-იანი წლების შუა პერიოდში ხელახლა გაიხსნა, როგორც წინასწარი დაკავების დაწესებულება. საპყრობილის ხელმძღვანელობის თქმით, მას შემდეგ კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა.

საპყრობილეში, რომელიც ოფიციალურად 305 ადამიანზეა გათვალისწინებული, დელეგაციის ვიზიტის პირველ დღეს 406 პატიმარი იყო, მათ შორის 22 ქალი და 5 არასრულწლოვანი. ციხის ბინადართა უმრავლესობა წინასწარ პატიმრობაში იყო, დანარჩენებს უკვე მისჯილი ჰქონდათ სასჯელი და სხვა დაწესებულებაში გადაყვანას ელოდებოდნენ, 14 პატიმარი კი სასჯელს იხდიდა აქ და საპატიმროს მოვლის მხრივ სხვადასხვა მოვალეობას ასრულებდა.

i. საცხოვრებელი პირობები

67. მომუშავე პატიმრების გარდა, რომლებიც ცალკე შენობაში იმყოფებოდნენ (იხ. 70-ე პუნქტი), პატიმრები <u>მთავარ საპატიმრო ბლოკში</u> იყვნენ მოთავსებული, რომელიც ორ დონეზე განთავსებული 27 საკნისგან შედგებოდა. თითქმის ყველა საკანი გადაჭედილი იყო (მაგ. რვა პატიმარი იყო 5-საწოლიან 11 მ.კვ საკანში; თვრამეტი პატიმარი იყო 12-საწოლიან 20 მ.კვ საკანში; ცხრამეტი პატიმარი იყო 14-საწოლიან 42 მ.კვ საკანში). ძირითადად პატიმრების რაოდენობა საწოლების რაოდენობას აღემატებოდა და ბევრი პატიმარი იძულებული იყო, იატაკზე ან მაგიდებზე დაეძინა, ან რიგრიგობით დაწოლილიყო არსებულ საწოლებში.

68. საკნებში ბუნებრივი განათების, ხელოვნური განათებისა და ვენტილაციის პრობლემა იყო. პატიმრების თქმით, ზაფხულობით საკნებში საშინლად ცხელა. ცუდი ვენტილაციის გამო ციხის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ფანჯრის მინები ამოეღო, რაც მხოლოდ დროებითი ღონისძიებაა.

საკნები აღჭურვილი იყო ორსართულიანი საწოლებით, მაგიდით, სკამებით და თაროებით და ნაწილობრივ დაფარული სანკვანძებით, სადაც ტუალეტი და ნიჟარა იყო. მხოლოდ ღარიბ პატიმრებს აძლევდნენ ციხის ლეიბებსა და საბნებს, დანარჩენებს ეს ყველაფერი სახლებიდან ჰქონდათ მოტანილი.

საპატიმროს საცხოვრებელი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მოძველებული იყო, დაზიანებული კედლებითა და იატაკებით, ნესტიანი ჭერით, დამტვრეული წყლისა და კანალიზაციის მილებით, სახიფათოდ გაშიშვლებული ელექტროსადენებით. გარდა ამისა, ბევრი საკანი (კერძოდ, სანკვანძები) ჭუჭყიანი და ტარაკანებით, რწყილებით, ტილებით და პატარა მორიელებით სავსე იყო.

69. ორი საკანი ახლახან გაარემონტა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, რომ იქ ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები მოეთავსებინათ. ეს საკნები გამონაკლისს წარმოადგენს ზემოხსენებული ზოგადი გავერანების ფონზე. ვიზიტის დროს ერთ-ერთ ამ საკანში, სადაც ძალიან კარგი პირობები იყო, <u>პატიმარი ქალები</u> იყვნენ. ქალებისთვის მეორე საკანიც იყო, სადაც ასევე უკეთესი პირობები აღინიშნებოდა, ვიდრე საპატიმროს დანარჩენ ნაწილში (ეს საკანი ახლახან შეღებეს და განათება და სუფთა ჰაერი უკეთესად მიეწოდებოდა). ქალების ორივე საკანი ნაკლებად გადატვირთული იყო, კერძოდ, თითოეულ პატიმარ ქალს თავისი საწოლი ჰქონდა.

ოდნავ უკეთესი პირობები იყო <u>მამრობითი სქესის არასრულწლოვანი პატიმრების</u> საკანში, რომელიც არ იყო გადაჭედილი (ხუთი პატიმარი 30 მ.კვ საკანში) და უკეთესი ვენტილაცია ჰქონდა.

70. 14 <u>მსჯავრდებული მომუშავე პატიმარი</u> ცალკე საკანში იყო მოთავსებული, სადაც უკეთესი პირობები იყო, ვიდრე მთავარ საპატიმრო ბლოკში. მათი საძინებელი 70 მ.კვ იყო და იქ 18 საწოლი იდგა; ნაწილობრივ შეზღუდული პირობების კომპენსაცია იმის ხარჯზე ხდებოდა, რომ პატიმრები დროის ძირითად ნაწილს საძინებლის გარეთ ატარებდნენ. დღის სინათლე, ხელოვნური განათება, ვენტილაცია და გათბობა ადექვატური იყო. იქ იდგა ორსართულიანი საწოლები, სკამები, მაგიდები, კარადები და მთლიანად დაფარული სანკვანძი. გარდა ამისა, დელეგაციამ აღნიშნა, რომ იქ იყო ტელევიზორი, კომპიუტერი, დიდი რაოდენობით პირადი ნივთები, პლაკატები და მცენარეები.

71. პატიმრებს <u>საშხაპეში</u> შესვლა საუკეთესო შემთხვევაში 10 დღეში ერთხელ შეეძლოთ, რაც აშკარად არ არის საკმარისი. გასაკვირი არ არის, რომ პატიმრები „შხაპს“ თვითნაკეთი მოწყობილობების საშუალებით იღებდნენ სანკვანძებში. საპატიმროს ცენტრალური საშხაპე გავერანებული, მაგრამ სუფთა იყო და მხოლოდ 6 წყლის გამფრქვევი ჰქონდა. <u>ჰიგიენური</u> საშუალებებიდან პატიმრებს მხოლოდ საპონს და საწმენდ საშუალებებს აძლევდნენ საკნების დასალაგებლად. დაწესებულებაში არ იყო <u>სამრეცხაო</u>, რის გამოც პატიმრების ოჯახებს ან თავად პატიმრებს უწევდათ თეთრეულისა და ტანსაცმლის გარეცხვა.

72. დაწესებულების მიერ პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი საკვები ერთადერთი რამ იყო, რის შესახებაც დელეგაციას პატიმრების საჩივრები არ მოუსმენია. უფრო მეტიც, ყველა მათგანი ამბობდა, რომ ბოლო თვეებში საკვების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, ხოლო რაოდენობამ იმატა. ხორცი და/ან თევზი ყოველდღე იყო მენიუში, ასევე, ჩვეულებრივი კვების რაციონში ბოსტნეული და კვერცხი იყო შეტანილი. სამზარეულოს რაც შეეხება, ის მოძველებული ყაიდისა იყო, მაგრამ სუფთა.

73. საპყრობილის დირექტორმა დელეგაციას აცნობა, რომ ზუგდიდის გარეუბანში დაგეგმილი იყო ახალი ციხის აშენება, რომელიც №4 საპყრობილეს შეცვლიდა. ახალი დაწესებულების გახსნა, სადაც 400 ადგილი წინასწარი დაკავების სექციაში იქნებოდა, ხოლო 600 ადგილი - მსჯავრდებული პატიმრების სექციაში, 2009 წლისთვის არის გათვალისწინებული. **წპკ-ს სურს, უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღოს ამ გეგმებთან დაკავშირებით.**

74. ზემოხსენებული გეგმების მიუხედავად, რამდენადაც №4 საპყრობილე კვლავაც ფუნქციონირებს, **წპკ რეკომენდაციას იძლევა, გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:**

- შემცირდეს საკნებში ფართობის ყოველ ერთეულზე ბინადართა რაოდენობა, რათა ყველა პატიმარს თავისი საწოლი ჰქონდეს და საბოლოოდ თითოეულ პატიმარზე სულ მცირე 4 მ.kv საცხოვრებელი სივრცე მოდიოდეს;

- საკნებში გაუმჯობესდეს დღის სინათლის, ხელოვნური განათებისა და ვენტილაციის მისაწვდომობა და უზრუნველყოფილი იქნეს სისუფთავე;

- ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს ლეიბებით, ბალიშებით, საბნებითა და თეთრეულით, რომელიც სათანადო რეგულარულობით გაირეცხება;

- უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრებისთვის საშხაპის ხელმისაწვდომობა „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 მუხლის კონტექსტში;

- პატიმრები უზრუნველყოფილი იქნენ პირადი ჰიგიენის საშუალებების ადექვატური რაოდენობის უფრო ფართო ასორტიმენტით (კბილის პასტა, ტუალეტის ქაღალდი, სპეციალური სანიტარიული საშუალებები ქალებისათვის და ა.შ.).

ii. აქტივობა

75. 14 მსჯავრდებული პატიმრების გარდა, რომლებიც სამზარეულოში მუშაობდნენ, საჭმლის გაცემაზე, დასუფთავებასა და ტექმომსახურების სხვა სამუშაოებზე არც ერთი პატიმარი არ მუშაობდა. საკნის გარეთ აქტივობის არც ერთი სახეობა არ იყო ორგანიზებული. პატიმრები საკნებს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სულ რაღაც 15-30 წუთი ჰაერზე სეირნობის დროს ტოვებდნენ და ისიც არაყოველდღე (კვირაობით სეირნობა არ შეიძლებოდა). ექვსი სასეირნო ეზო დამთრგუნველად გამოიყურებოდა (მავთულის ბადით დაბოლოებული მაღალი კედლები) და პატარა ზომისა იყო (20 მ.კვ-მდე). ეს ეზოები ძალიან გადაიტვირთება, თუ იქ ყველაზე დიდი საკნების (24-კაციანი) ყველა პატიმარს გაიყვანენ.

შესაბამისად, პატიმრები თითქმის მთელ დროს ტელევიზორს უყურებდნენ და რადიოს უსმენდნენ (საკუთარი ტელევიზორები ნებადართული იყო), სამაგიდო თამაშებით ერთობოდნენ, გაზეთებსა და წიგნებს კითხულობდნენ. ციხეში პატარა ბიბლიოთეკა იყო ძირითადად საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი წიგნებით, რომლებიც მაინცდამაინც პოპულარული არ იყო პატიმრებში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანი პატიმრების აქტივობის რეჟიმიც ისეთივე მწირი იყო, როგორც სრულწლოვნებისა.

წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულ ძალისხმევას მიმართოს ზუგდიდის №4 საპყრობილის პატიმრებისათვის სხვადასხვა სახის აქტივობის შესამუშავებლად 33-ე პუნქტში გამოთქმული ზოგადი შენიშვნების გათვალისწინებით. სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა არასრულწლოვან პატიმრებს შესთავაზონ საგანმანათლებლო, რეკრეაციული და სპორტული აქტივობა, რომელიც გაითვალისწინებს მათი ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს. გარდა ამისა, კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ მიღებული იქნეს ზომები, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს შესაძლებლობა, ყოველდღე სულ მცირე ერთი საათი გაისეირნოს ჰაერზე, გაიზარდოს სასეირნო ეზოები და ისინი ნაკლებად დამთრგუნველად გამოიყურებოდეს.

4. ჯანდაცვის მომსახურება

76. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო პერსონალი იმ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, რომლებიც დელეგაციამ მოინახულა, კეთილ ნებასა და მონდომებას ამჟღავნებდა, პატიმრების სამედიცინო მომსახურება კვლავაც პრობლემური რჩება, რადგან პერსონალის, სამედიცინო ობიექტებისა და რესურსების ნაკლებობა შეინიშნება. პატიმრების საჩივრები დელეგაციამ მონახულებულ ყველა დაწესებულებაში მოისმინა და ისინი ეხებოდა ექიმთან დაგვიანებით მისვლას, არაადექვატური ხარისხის სამედიცინო მომსახურებას (კერძოდ სტომატოლოგიურ და ფსიქიატრიულ მომსახურებას) და სირთულეებს გარეშე სპეციალისტებისა და საავადმყოფო ობიექტების მისაწვდომობასთან დაკავშირებით.

რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იყო მთავარი ექიმი, ქირურგი და სამი თერაპევტი, რომლებიც 30%-იან განაკვეთზე მუშაობდნენ (რაც ერთ სრულ განაკვეთს შეადგენდა), ერთი ფარმაკოლოგი და სამი ექთანი. ერთი ექიმი და ექთანი 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ. სტომატოლოგი არ იყო და პატიმრებს, რომლებსაც სტომატოლოგიური მკურნალობა სჭირდებოდათ, გარეშე საავადმყოფოში წაყვანამდე მოცდა უწევდათ. მოწვეული კონსულტანტები, ფსიქიატრის ჩათვლით, პერიოდულ მიღებას ატარებდნენ დაწესებულებაში.

თბილისის №5 საპყრობილის სამედიცინო პერსონალი სამი თერაპევტის, სტომატოლოგის, ქირურგის, ფტიზიატრის და რვა ექთნისგან შედგებოდა. სამი ექთანი ღამითაც რჩებოდა.

რუსთავის №6 საპყრობილეში მთავარი ექიმი (სპეციალობით ფსიქონევროლოგი), ორი თერაპევტი, ქირურგი და ოთხი ექთანი იყო. ერთი ექიმი და ექთანი 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ. ვიზიტის მომენტში იქ იყო სტომატოლოგის, ფსიქიატრის, ფტიზიატრის, დერმატოლოგისა და ფარმაცევტის ვაკანსიები. გარეშე სპეციალისტები თვეში რამდენჯერმე მოდიოდნენ საპყრობილეში.

თბილისის №7 საპყრობილეში ერთი სრულგანაკვეთიანი ექიმი იყო, რომელიც დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე მუშაობდა კვირის დღეებში და სხვა დროს გამოძახებით მოდიოდა. იქვე იყო ერთი ექთნის ადგილი, რომელიც იმ მომენტში ვაკანტური იყო. საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა ექიმის გამოძახება ახლომდებარე ციხის ცენტრალური საავადმყოფოდან. სტომატოლოგი არ იყო და პატიმრები, რომლებსაც სტომატოლოგიური მკურნალობა სჭირდებოდათ, ციხის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაჰყავდათ.

ზუგდიდის №4 საპყრობილეში ერთი თერაპევტი, ერთი სტომატოლოგი და სამი ექთანი იყო (ყველა სრულ განაკვეთზე). ექიმის ერთი ვაკანსია იყო. ერთ-ერთი ექთანი 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა.

წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ მიღებული იქნეს ზომები ზემოხსენებულ დაწესებულებებში ვაკანტური ადგილების შესავსებად და სამედიცინო პერსონალის რესურსების გასაძლიერებლად. სასწრაფოდ უნდა გაუმჯობესდეს სტომატოლოგიური მომსახურება. ფსიქიატრიულ მკურნალობასთან დაკავშირებით იხ. 82-ე პუნქტი.

77. დელეგაციამ აღნიშნა, რომ <u>მედიკამენტებით</u> მომარაგება და მათი ასორტიმენტი იმ დაწესებულებებში, რომლებიც მან მოინახულა, ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პატიმარი ჩიოდა, რომ ყველა საჭირო წამალს მათთვის ოჯახები ყიდულობდნენ.

<u>სამედიცინო აღჭურვილობა</u> დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში ძირითადად სტეტოსკოპებით და წნევის გასაზომი აპარატებით შემოიფარგლებოდა, ხოლო რენტგენის გადასაღები ან სისხლის ანალიზის ასაღები მოწყობილობები არ იყო, ამის გამო უსისტემო იყო ინფექციური დაავადებების, მათ შორის ტუბერკულოზის გამოვლენა, განსაკუთრებით თბილისის №5 საპყრობილეში, რომელიც ციხის სისტემაში მოსახვედრი მთავარი პუნქტია (იხ. 81-ე პუნქტი).

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ძირფესვიანად განაახლოს სამედიცინო აღჭურვილობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, რომლებიც დელეგაციამ მოინახულა.

78. პატიმრები, რომლებსაც <u>სტაციონარში მოთავსება</u> სჭირდებოდათ, ცენტრალურ სასჯელაღსრულებით საავადმყოფოში გადაჰყავდათ საპატიმროს ექიმის რეკომენდაციით. დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში რამდენიმე საჩივარი გამოითქვა ამგვარი გადაყვანის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, რაც შეზღუდული შესაძლებლობებით იყო გამოწვეული. პატიმრები, რომლებიც ვერ გადაჰყავდათ ცენტრალურ სასჯელაღსრულებით საავადმყოფოში, ფინანსურად თავიანთ ოჯახებზე იყვნენ დამოკიდებული (როგორც ჩანს, ეს საავადმყოფოში ესკორტირების ხარჯებსაც ითვალისწინებდა). **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ მიღებული იქნეს ზომები სათანადო სამედიცინო დაწესებულებებში იმ პატიმრების სწრაფად გადასაყვანად, რომლებსაც სტაციონარული მკურნალობა სჭირდებათ.**

79. ექიმებისა და ექთნების არასაკმარისი რაოდენობის გამო <u>დაწესებულებაში მიღების დროს პატიმრების სამედიცინო შემოწმება</u> ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, თუ საერთოდ ტარდებოდა. ერთადერთი დაწესებულება, სადაც პატიმრებს სისტემატურად ამოწმებდნენ მიღებისას, თბილისის №5 საპყრობილე იყო, სადაც ექიმი და ექთანი ახლად მიღებულ პატიმრებს ხდიდნენ და ამოწმებდნენ, ჰქონდათ თუ არა მათ დაზიანებები. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ან ცუდი მოპყრობის შესახებ საჩივრების არსებობისას ისინი დაუყოვნებლივ ატყობინებდნენ პროკურატურას, თუმცა სხვა მხრივ საწყისი სამედიცინო დათვალიერება ზედაპირული იყო და ვერ ახდენდა დაკავებულ პირთა ჯანდაცვის საჭიროებათა იდენტიფიცირებას. სხვა დაწესებულებებში, რომლებიც დელეგაციამ მოინახულა, პატიმრის მიღების დროს მათი შემოწმება სავალდებულო არ იყო. პატიმარი შეიძლებოდა ექიმს ენახა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას კონკრეტული ჩივილები ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და შემოწმებას ითხოვდა.

წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა ყველა ახლად მიღებული პატიმარი საპყრობილეში შემოსვლიდან 24 საათის განმავლობაში გასინჯოს სამედიცინო პერსონალის წარმომადგენელმა. აღნიშნული სამედიცინო შემოწმება ყოველმხრივი უნდა იყოს და ითვალისწინებდეს ინფექციური დაავადებების გამოსავლენ სკრინინგს.

გარდა ამისა, წარსულის მსგავსად, სამედიცინო შემოწმება პატიმრების მიღების დროს და ასევე მომდევნო შემოწმებები უსაფრთხოების მუშაკის თანდასწრებით ხდებოდა. **წპკ იმეორებს დიდი ხნის წინ გამოთქმულ რეკომენდაციას, რომ ყველა სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს მოსმენის გარეშე და თუ ამას ექიმი არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში – არასამედიცინო პერსონალის გარეშე.**

80. წინა ვიზიტის შემდეგ არ აღინიშნება წინსვლა სამედიცინო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. სამედიცინო ისტორია პატიმრების მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰქონდა (ანუ მათ, ვისაც კონკრეტული სამედიცინო პრობლემა აწუხებდა). **წინა რეკომენდაციების შესაბამისად, წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები თითოეული პატიმრისთვის პერსონალური და კონფიდენციალური სამედიცინო ისტორიის გასახსნელად, რომელშიც დაფიქსირდება დიაგნოსტიკური ინფორმაცია, მიმდინარე ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობისა და მისი მკურნალობის, მისთვის ჩატარებული სპეციალური შემოწმებების შესახებ.**

81. **წპკ** შეშფოთებას გამოთქვამს, რომ მეორე პერიოდული ვიზიტის დროს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლაში აღნიშნულ წარმატებას საფრთხე შეექმნა პატიმართა რაოდენობის მკვეთრი ზრდისა და აქედან გამომდინარე, ციხის გადატვირთვის გამო. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ძალისხმევის მიუხედავად, შეუძლებელი გახდა ახლად შემოსული ყველა პატიმრის სამედიცინო შემოწმება თბილისის №5 საპყრობილეში. გარდა ამისა, საპატიმროში შემოსვლისას სავალდებულო სამედიცინო შემოწმების, აგრეთვე საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობის არარსებობის გამო ზუგდიდის №4, რუსთავის №6, თბილისის №7 საპატიმროებში, აგრეთვე რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არ ტარდებოდა სისტემატური სკრინინგი ტუბერკულოზის გამოსავლენად.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, პატიმრების სისტემატური სკრინინგისა და მკურნალობის გზით გააგრძელოს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა სასჯელაღსრულების სისტემაში, ტუბერკულოზის კონტროლის თშ მეთოდის შესაბამისად.

82. რაც შეეხება პატიმრების ფსიქიატრიული მკურნალობის უზრუნველყოფას, სიტუაცია იმ დაწესებულებებში, რომლებიც დელეგაციამ მოინახულა 2007 წლის ვიზიტის დროს, **წპკ**-ს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. თითოეულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იყო ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე გარკვეული რაოდენობის პატიმრები. თუმცა ფსიქიატრების არარსებობა (მაშინაც კი, როდესაც ფსიქიატრის თანამდებობა გათვალისწინებული იყო, ის ვაკანტური იყო) შეუძლებელს ხდიდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრების გამოვლენასა და მკურნალობას. საპყრობილის ექიმებს ეკრძალებოდათ რაიმე ფსიქოტროპული პრეპარატის გამოწერა, რის გამოც ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც წყდებოდა დაპატიმრებამდე დაწყებული მკურნალობა. დელეგაციამ შეშფოთებით აღნიშნა, რომ პატიმრები, რომლებსაც სასამართლომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა მიუსაჯა, ვერ იღებდნენ ამ სახის თერაპიას. უმრავლეს შემთხვევებში ფსიქიატრიული მკურნალობისთვის ერთადერთი საშუალება იყო ციხის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაყვანა. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში ფსიქიატრების დასანიშნად და პატიმრებისათვის ფსიქიატრიული მკურნალობის უზრუნველსაყოფად.**

რაც შეეხება ფსიქოლოგებს, მხოლოდ რუსთავის №6 საპყრობილეში იყო ერთი ფსიქოლოგი ქალბატონი. იგი სრულ განაკვეთზე მუშაობდა 2006 წლის მაისიდან და ინდივიდუალურ დამხმარე ფსიქოთერაპიას სთავაზობდა ძირითადად სამუდამო პატიმრობაში მყოფ ადამიანებს. პატიმრები მის მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ. გარდა ამისა, ზუგდიდის №4 საპყრობილეს დირექტორს არაოფიციალური შეთანხმება ჰქონდა ადგილობრივი მონიტორინგის კომისიის ერთერთ წევრთან (განათლებით ფსიქოლოგთან), რომელსაც შეეძლო, სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, მოენახულებინა პატიმარი. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შემოიღოს ციხის ფსიქოლოგის პროფესია და ამ სახის პერსონალს შესთავაზოს გარეშე სტიმულირება, დახმარება და ტრენინგი.**

83. დელეგაციას აცნობეს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრების რაოდენობა იზრდება. თუმცა ზრდის ტენდენციის მქონე ნარკომანიის პრობლემაზე რეაგირება, როგორც ჩანს, ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ნარკომანებს ციხეში ათავსებენ, თანაც ყოველგვარი სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური პროგრამების გარეშე, რომლებიც დაეხმარებოდა მათ ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილებაში ან დაძლევაში.

წპკ-ს მიაჩნია, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრების დახმარება უნდა აერთიანებდეს პრევენციულ პოლიტიკასა და სამედიცინო დეტოქსიფიკაციის, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ჩანაცვლების პროგრამებს. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს მრავალმხრივი სტრატეგია ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრების დასახმარებლად, წინამდებარე შენიშვნების გათვალისწინებით.**

84. დაბოლოს, **წპკ**-სთვის გასაგებია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება საპატიმროების ჯანდაცვის გადაცემის შესახებ იუსტიციის სამინისტროდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს გამგებლობაში, თუმცა გადაცემის დეტალები კვლავაც შესათანხმებელია ამ ორ სამინისტროს შორის. ამავე დროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ წამოიწყო საჭიროებათა შეფასების პროექტი (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით). **წპკ** შეშფოთებას გამოთქვამს, რომ სანამ მოლაპარაკებები და საჭიროებათა შესწავლა მიმდინარეობს, პატიმრების ჯანდაცვის უზრუნველყოფა კვლავაც სტანდარტულზე დაბალი რჩება, რადგან პრიორიტეტები არ არის განსაზღვრული და არ აღინიშნება ინვესტიციების განხორციელებისთვის მზადყოფნა. **წპკ-ს სურს, მიიღოს ერთი უწყებიდან მეორისათვის ციხის ჯანდაცვის გადაცემასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის კონკრეტული გეგმები და მათი განხორციელების გრაფიკი. ამ კონტექსტში კომიტეტს სურს, აღნიშნოს, რომ რა ტიპის ინსტიტუციური გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ საპატიმროებში ჯანდაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, არსებითი ის არის, რომ საპატიმროს ექიმების კლინიკური გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებსა და მათი მუშაობის ხარისხს და ეფექტიანობას აფასებდნენ კვალიფიციური სამედიცინო ავტორიტეტები.**

5. წპკ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ა. ციხის თანამშრომლები

85. თავისი წინა ვიზიტების შესახებ ანგარიშებში **წპკ** ხაზგასმით აღნიშნავდა ციხის თანამშრომლების დაქირავებისა და ტრენინგის მნიშვნელობას[37]. 2007 წლის ვიზიტის მსვლელობისას იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა **წპკ**-ს დელეგაციას აცნობეს ამ სფეროში მიღწეული წარმატებები. კერძოდ, ციხის სისტემის რეფორმის ოთხწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიიღეს გადაწყვეტილება დამატებითი 4,000 ოფიცრის დაქირავების თაობაზე. ასევე მიიღეს ზომები ციხის თანამშრომლების მუშაობისთვის მეტი მიმზიდველობის მინიჭების თვალსაზრისით, მათ შორის, ბოლო პერიოდში ხელფასების გაზრდის მეშვეობით. გარდა ამისა, პერიმეტრის უსაფრთხოების პასუხისმგებლობა თანდათანობით გადაეცა იუსტიციის სამინისტროს წვევამდელებს. ამის მიზანია ციხის თანამშრომლების გამოთავისუფლება იმისათვის, რომ მათ მეტი დრო ჰქონდეთ ციხის შიდა ნაწილში მუშაობისთვის. ჩამოყალიბდა, აგრეთვე, ცალკე საბადრაგო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს თითოეულ ციხეში თანამშრომლების საკმარის რაოდენობას.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული მცდელობებისა, დელეგაციამ ნახა, რომ მონახულებულ დაწესებულებებში პატიმართა საცხოვრებელ ნაწილში მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა დაბალია და, ასევე, შეიტყო, რომ არსებობდა შეუვსებელი ვაკანსიებიც[38]. ამ კონტექსტში **წპკ**-ს სურს აღნიშნოს, რომ პოზიტიური ურთიერთობა თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის და პატიმრებისთვის რაიმე აქტივობების უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მოცემულ დროს დაკავების ადგილებში საკმარისი რაოდენობის თანამშრომლების ფუნქციონირებაზე. ზოგადად, თანამშრომელთა მცირე რაოდენობა და/ან თანამშრომელთა გარკვეული კატეგორიის ნაკლებობა ამცირებს პატიმრებთან უშუალო კონტაქტის დამყარების შესაძლებლობას და, ბუნებრივია, ხელს უშლის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. კიდევ უფრო ზოგადად რომ ითქვას, ეს შექმნის გარემოს, რომელიც არ იქნება უსაფრთხო არც თანამშრომლებისთვის და არც პატიმრებისთვის. გარდა ამისა, თანამშრომელთა მცირე რაოდენობა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს აქტივობათა პროგრამის ხარისხსა და დონეზე. **წპკ-ს რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა საცხოვრებელი ნაწილის კადრებით დაკომპლექტების დონის გაუმჯობესებისკენ მიმართული მცდელობა**.

უფრო ზოგადად, დელეგაცია დააფიქრა თანამშრომლების მაღალმა დენადობამ, განსაკუთრებით ხელმძღვანელობის მაღალ დონეზე და აღნიშნულის ზემოქმედებამ მონახულებული დაწესებულებების მუშაობაზე. ამ კონტექსტში **წპკ**-ს სურს, შეახსენოს ხელმძღვანელობას „ხელმძღვანელობის“ „ციხის ევროპულ წესებში“ დადგენილი მნიშვნელობა – ციხის ხელმძღვანელისთვის აუცილებელია ადექვატური კვალიფიკაცია, შესაბამისი პროფესიული ტრენინგი და გამოცდილება[39]. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები და უზრუნველყოს, რომ ციხის ხელმძღვანელის კარიერის დაგეგმვა ეფუძნებოდეს სწორედ ამ ნიშნებს.**

86. 2007 წლის ვიზიტის მსვლელობისას **წპკ**-მ ასევე შეიტყო ხელისუფლების მიერ თანამშრომლების ტრენინგთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები. 2005 წლის ნოემბერში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გახსნის შემდეგ ციხის ყველა თანამშ-

37 იხ. CPT/Inf (2002) 14-ის 124-ე პუნქტი და 130 ოფ CPT/Inf (2005) 12-ის 130-ე პუნქტი.

38 მაგალითად, 40 ვაკანტური ადგილი რუსთავის მე-2 და მე-8 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში და თბილისის მე-7 საპყრობილეში.

39 იხ., მაგალითად, „ციხის ევროპული წესების“ 84.1 წესი (ყოველ ციხეს უნდა ჰყავდეს ამ თანამდებობისთვის სათანადოდ კვალიფიცირებული დირექტორი, იქნება ეს მისი ხასიათი, ადმინისტრაციული უნარი, შესაბამისი პროფესიული მომზადება თუ გამოცდილება) და 84.2 წესი (დირექტორი ინიშნება სრული განაკვეთით და მან მთელი თავისი დრო უნდა დაუთმოს თავისი ოფიციალური ვალდებულებების შესრულებას).

რომელმა გაიარა 45 - დღიანი სასწავლო კურსი, რომელიც შედგებოდა ისეთი საგნებისგან, როგორებიცაა: შესაბამისი კანონმდებლობა, ფსიქოლოგია და კონფლიქტების პრევენცია. რაც შეეხება ახალი თანამშრომლების საწყის ტრენინგს, იგი მოიცავდა სტანდარტულ ორკვირიან პროგრამას და, ასევე, სპეციალურ კურსებს თანამშრომლების კატეგორიების მიხედვით. თანამდებობაზე დამტკიცებისთვის საჭირო იყო ამ კურსების ბოლოს გამოცდის ჩაბარება.

ნპკ მიესალმება ზემოთ მითითებულ მცდელობებს და **სწამს, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავაც მიანიჭებს პრიორიტეტს ციხის თანამშრომლების როგორც საწყისი, ასევე შემდგომი ტრენინგის საკითხის განვითარებას.**

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს წვევამდელებს, რომლებიც მუშაობენ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების პერიმეტრზე, კომიტეტს სურს იცოდეს, გადიან თუ არა ისინი რაიმე სპეციალურ ტრენინგს მუშაობის დაწყებამდე. ამ კონტექსტში ნპკ-ს სურს იმ ოქმების ასლების მიღება, რომლებიც ეხება ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას პერიმეტრზე მომსახურე თანამშრომლების მიერ.

87. ზუგდიდის №4 საპყრობილეში დელეგაციას შეატყობინეს, რომ ციხეში არ არიან ზედამხედველი ქალები, მიუხედავად იმისა, რომ ციხეში მუდმივად იმყოფებიან პატიმარი ქალები. გენდერული თვალსაზრისით, დელიკატური ამოცანების (როგორიცაა, მაგალითად, ჩხრეკა) შესასრულებლად თხოვნით მიმართავენ ხოლმე ადმინისტრაციის თანამშრომელ ქალებს ან მამაკაცი ოფიცრების მეუღლეებს. **ნპკ**-ს მიაჩნია, რომ ქალებისთვის განკუთვნილ ციხეებში ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს მორიგე ზედამხედველი ქალი. **ნპკ-ს რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ ზუგდიდის №4 საპყრობილეში აიყვანოს სამსახურში ქალი ზედამხედველები.**

ბ. კონტაქტი გარე სამყაროსთან

88. წინა ვიზიტების შესახებ ანგარიშებში **ნპკ** აღნიშნავდა პატიმრების მიერ გარე სამყაროსთან კარგი კონტაქტის შენარჩუნების მნიშვნელობას და აყალიბებდა რეკომენდაციებს ამასთან დაკავშირებით[40]. სამწუხაროდ, 2007 წლის ვიზიტისას გამომჟღავნდა, რომ პატიმრების პაემნების უფლებები კიდევ უფრო შეიზღუდა.

89. წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანებს კვლავ სჭირდებოდათ ნებართვა პაემნისთვის კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოსგან. ნებართვის მიღების შემდეგ მათ თვეში მხოლოდ ორჯერ შეეძლოთ თავიანთ ახლობლებთან შეხვედრა. წამების საწინააღმდგეო კომიტეტი აცნობიერებს, რომ აღნიშნული საკითხი ამჟამად შეისწავლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და პატიმრობის კოდექსის პროექტების განხილვის პროცესში. რამდენადაც კომიტეტისთვის ცნობილია, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანების პაემნებთან დაკავშირებით შემოთავაზებული ახალი წესები სრულიად განსხვავდება არსებული წესისგან, ანუ ზოგადად პაემნები ნებადართული უნდა იქნეს და უნდა აიკრძალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს გამოძიების საჭიროება. თუ ახალ წესებს მიიღებენ, ეს იქნება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. **ნპკ-ს რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ შეცვალოს პაემნის წესი წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანებისთვის, რისთვისაც მან უნდა გაითვალისწინოს შესწორებული „ციხის ევროპული წესების“ 99-ე წესი[41].**

90. **ნპკ**-ს მეორე პერიოდული ვიზიტის შემდეგ კიდევ უფრო გამკაცრებულია <u>მსჯავრდებულთა</u> პაემნებთან დაკავშირებული წესები. კერძოდ, 2006 წლის ივნისში მიღებული „პატიმრობის შესახებ“ კანონის შესწორების თანახმად, გრძელვადიანი პაემნები გაუქმდა ყველა კატეგორიის პატიმრებისთვის. ასევე შემცირდა მოკლევადიანი პაემნების რაოდენობაც. ვიზიტის პერიოდში პატიმრებს, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ საერთო რეჟიმის საპატიმროებში, ჰქონდათ ორი მოკლევადიანი პაემნის (თითოეული ერთი საათის ხანგრძლივობით) უფლება თვეში, ხოლო პატიმრებს, რომლებიც სასჯელს მკაცრი რეჟიმის საპატიმროში იხდიდნენ – ერთი ასეთი პაემნის უფლება ყოველ ორ თვეში. პაემნის უფლება კიდევ უფრო შეზღუდულია სამუდამო პატიმრობაში მყოფთათვის (ოთხი მოკლევადიანი პაემანი წელიწადში) და იმ პირებისთვის, რომლებიც სასჯელს საპყრობილის რეჟიმში იხდიან (ორი პაემანი წელიწადში). ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ **ნპკ**-ს დელეგაციის 2007 წლის ვიზიტისას გამოკითხული პატიმრების უმრავლესობა ჩიოდა თავის ოჯახებთან ადექვატური კავშირის შენარჩუნების შეუძლებლობაზე.

როგორც მოსალოდნელია, პატიმრობის კოდექსის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს გრძელვადიანი (48 საათამდე) პაემნების ხელახლა შემოღებას და მოკლევადიანი პაემნების ხანგრძლივობისა და სიხშირის გაზრდას (2 საათამდე). პროექტის შესაბამისად, პატიმრებს, რომლებიც საპყრობილის რეჟიმში იხდიან სასჯელს, უნდა ჰქონდეთ, სულ ცოტა, თვეში ერთი ხანმოკლე და წელიწადში ერთი ხანგრძლივი პაემნის უფლება. პაემნების უფლება უფრო ფართო უნდა იყოს ნახევრად დახურულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში (ანუ ორი მოკლევადიანი პაემანი ყოველთვიურად და ორი გრძელვადიანი პაემანი წელიწადში) ისევე, როგორც არასრულწლოვანი

40 იხ. CPT/Inf (2002) 14-ის პუნქტები 128-134 და CPT/Inf (2005) 12-ის პუნქტები 134-136.

41 „ციხის ევროპული წესების“ 99-ე წესი ადგინს, რომ თუ კერძო შემთხვევაში არ არსებობს სასამართლო ხელისუფლების მიერ დადგენილი სპეციალური აკრძალვა, ბრალდებულს აქვს პაემნის და თავისი ოჯახის წევრებთან თუ სხვა პატიმრებთან ურთიერთობის უფლება, ისევე, როგორც სასჯელმისჯილ პატიმარს.

დამნაშავეებისთვის (ოთხი მოკლევადიანი პაემანი ყოველთვიურად და ორი გრძელვადიანი პაემანი წელიწადში). ამ კონტექსტში **წპკ**-ს მიაჩნია, რომ სისტემა, რომლის მიხედვითაც პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან ავტომატურად განისაზღვრება მისჯილი სასჯელის ნაწილად, სრულიად არასწორია. საზოგადოდ, ყველა სასჯელმისჯილ პატიმარს უნდა ჰქონდეს გარე სამყაროსთან კავშირის ერთნაირი შესაძლებლობა. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეცვალოს სასჯელმისჯილი პატიმრების პაემნის უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ზემოთ გამოთქმული შენიშვნებისა და შესწორებული „ციხის ევროპული წესების" გათვალისწინებით.**

91. მონახულებული დაწესებულებების პაემნისთვის განკუთვნილ ოთახებში არ არის პირობები პატიმრებსა და მათ ნათესავებს შორის ფიზიკური კონტაქტისთვის. თითოეულ დაწესებულებაში არის გარკვეული ნაწილი პატარა ოთახებისა (მაგალითად, ერთი ოთახი ზუგდიდის №4 საპყრობილეში, თორმეტი რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ცამეტი რუსთავის №6 საპყრობილეში), სადაც პატიმრები და პაემანზე მოსული მათი ახლობლები ერთმანეთისგან გამოყოფილნი არიან პლექსიგლასის კედლით, ხოლო საუბარი მხოლოდ ტელეფონით შეუძლიათ. ამ წესიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდნენ რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მომუშავე პატიმრები, რომლებიც ნათესავებს ხვდებოდნენ ჩვეულებრივ ოთახში, მაგიდის გარშემო.

წპკ-სთვის გასაგებია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უსაფრთხოების ან გამოძიების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, შეიძლება გამართლებული იყოს პატიმრებსა და მათ ნათესავებს შორის ფიზიკური კონტაქტის პრევენცია. მიუხედავად ამისა, პაემნები ღია სივრცეში უნდა წარმოადგენდეს წესს, ხოლო დახურულში – გამონაკლისს პატიმრების ყველა კატეგორიისთვის. **წპკ-ს რეკომენდაციაა, შეიცვალოს პირობები პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახებში კომიტეტის მიერ მონახულებულ ციხეებში ისე, რომ პატიმრებს შეეძლოთ მნახველების მიღება უფრო ნაკლებად შეზღუდულ პირობებში, რაც დაფუძნებული იქნება ინდივიდუალური რისკის შეფასებაზე. კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას, მიიღონ ზომები პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახების გასაუმჯობესებლად დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში, განსაკუთრებით ზუგდიდის №4 საპყრობილეში.**

92. **წპკ**-ს ყურადღება ასევე მიიქცია პაემნების არსებული სისტემის ზოგიერთმა ასპექტმა, მაგალითად, როდესაც პატიმრების ნათესავებისგან მოითხოვება, პირადად მივიდნენ ციხეში და სთხოვონ ნებართვა თითოეულ შეხვედრაზე ციხის დირექტორს. ამ უკანასკნელმა ხუთი დღის განმავლობაში უნდა გასცეს პასუხი განცხადებას[42]. შედეგად ბევრი პატიმარი (განსაკუთრებით რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებასა და №6 საპყრობილეში) ჩიოდა, რომ მათ ნათესავებს უხდებათ მრავალი კილომეტრის გამოვლა, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებენ მათთან შეხვედრას.

გარდა ამისა, დელეგაციამ №4 და №6 საპყრობილეებში აღმოაჩინა, რომ პაემანზე ნებართვის მიღებისთვის პატიმრების ნათესავებს უხდებოდათ მრავალსაათიან რიგში დგომა. ამის ერთ-ერთი მიზეზი პაემნისთვის განკუთვნილი კაბინების ნაკლებობაც იყო, სადაც მუშაობდა ტელეფონები. აღნიშნულის შედეგად №4 საპყრობილეში დღეში შესაძლებელი იყო 12 შეხვედრის მოწყობა, ხოლო №6 საპყრობილეში – 16-მდე პაემნისა. თუ პაემნისთვის იმ დღეს გამოყოფილი დრო ისე ამოიწურებოდა, რომ ნათესავები ვერ მოახერხებდნენ შეხვედრას თავიანთ პატიმრებთან, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, თავიდან აეღოთ ნებართვა.

ზემოთ აღწერილი პროცედურა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ პრობლემებს უქმნის როგორც პატიმრებს, ისე მათი ოჯახის წევრებს და არანაირად არ უწყობს ხელს პატიმრების კონტაქტს გარე სამყაროსთან. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გამონახოს არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზები.**

93. კანონის თანახმად, მსჯავრდებულ პატიმრებს აქვთ წერილების გაგზავნისა და მიღების შეუზღუდავი უფლება. რაც შეეხება წინასწარ დაკავებაში მყოფ პირებს, მათ ამისათვის სჭირდებათ ხელისუფლების ან სასამართლოს ნებართვა, პრაქტიკაში კი ასეთი ნებართვის მიღება თითქმის შეუძლებელია.

რეალობაში მსჯავრდებული პატიმრები, რომლებსაც სურდათ ურთიერთობა თავიანთ ოჯახებთან, იყენებდნენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მიწოდებულ ფორმებს, რომლებსაც პერიოდულად აგროვებდნენ და გადასცემდნენ ადრესატ ოჯახებს, მათ კი პასუხი იმავე ფორმაზე დაწერილი უნდა გამოეგზავნათ. მიუხედავად ამისა, კომიტეტის დელეგაციის მიერ მონახულებულ ზოგიერთ დაწესებულებას აღარ ჰქონდა ასეთი ფორმა და ქაღალდის, კალმისტრისა და კონვერტის უქონლობის გამო პატიმრებისთვის შეუძლებელი იყო წერილის გაგზავნა. პატიმრობის კოდექსის პროექტი ეხება ამ საკითხს და ადგენს, რომ ციხის ადმინისტრაცია უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრებს ქაღალდითა და კალმისტრებით თვეში ორჯერ. **წპკ**-ს აზრით, წერილის გაგზავნისთვის საჭირო მასალების ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს შეზღუდული და,

42 მსგავსი სისტემა შემოთავაზებულია პატიმრობის კოდექსის პროექტში

ასევე, უნდა გულისხმობდეს ამგვარი მასალების ციხის მაღაზიებში შეძენისა და/ან მათი ამანათით მიღების შესაძლებლობას.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განახორციელოს ქმედითი ზომები, რომლებიც პატიმრებს მისცემს მიმოწერის უფლებით სარგებლობის საშუალებას. რაც შეეხება წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, კომიტეტის რეკომენდაციაა, ხელისუფლებამ შესწორებები შეიტანოს შესაბამის დებულებებში და მისცეს ამგვარ პატიმრებს ოჯახებთან მიმოწერის შეუზღუდავი საშუალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას ზღუდავს კომპეტენტური გამომძიებელი ან სასამართლო კონკრეტულად განსაზღვრული დროის განმავლობაში, ან როცა ეს გამართლებული იქნება საქმის გამოძიების აუცილებლობიდან გამომდინარე.

94. კანონი მსჯავრდებულ პატიმრებს ასევე აძლევს სატელეფონო საუბრის უფლებას (ორი საუბარი, თითო 15 წთ-ის ხანგრძლივობისა, კვირაში ერთხელ). მიუხედავად ამისა, სატელეფონო ხაზების ნაკლებობის გამო მონახულებულ დაწესებულებებში პატიმრებს უხდებათ თხოვნით მიმართვა დირექტორისათვის და მისგან ნებართვის ლოდინი ყოველი სატელეფონო ზარისთვის. ბევრი პატიმარი ჩივის, რომ, საუკეთესო შემთხვევაში, ისინი სამ თვეში ერთხელ ახერხებენ დარეკვას. **წპკ-ს რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელოს ზომები მსჯავრდებული პატიმრებისთვის ტელეფონის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.**

გარდა ამისა, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გამოიკვლიოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის ტელეფონის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. რაიმე დანაშაულებრივ მოლაპარაკებაზე ეჭვის შემთხვევაში სატელეფონო საუბარი შეიძლება გაკონტროლდეს.

გ. დისციპლინა

95. კანონი იძლევა დისციპლინარულ საკანში მაქსიმუმ 10 დღით მოთავსების უფლებას წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის და 20 დღით – მსჯავრდებულებისთვის. რაც შეეხება <u>დისციპლინარულ პროცედურას</u>, როგორც **წპკ**-ს შეატყობინეს მონახულებულ დაწესებულებებში, არსებობდა ზეპირი მოსმენის პრაქტიკა პატიმრებისთვის დისციპლინარული სანქციის დაკისრებამდე[43], ასეთ შემთხვევაშიც კი ეს უფლება არ არის უზრუნველყოფილი ოფიციალურად არც ერთ იურიდიულ დებულებაში. პატიმრებს შეუძლიათ სანქციის გასაჩივრება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში (გასაჩივრებას არ შეუძლია სანქციის შეჩერება) და, თანამშრომლების თქმით, პატიმრებს სისტემატურად ახსენებენ ამ უფლებას. მიუხედავად ამისა, მრავალმა პატიმარმა, რომლებსაც დელეგაციის წევრები შეხვდნენ, განსაკუთრებით რუსთავის №6 საპყრობილეში, არ იცოდა, რომ შეეძლო დისციპლინარული სანქციის გასაჩივრება.

წპკ კიდევ ერთხელ იძლევა რეკომენდაციას, მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ დისციპლინარული სასჯელის წინაშე მდგარ ყველა პატიმარს მიეცეს <u>ოფიციალური</u> უფლება, გადაწყვეტილების მიმღებმა კომისიამ მოუსმინოს იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელშიც მას ედება ბრალი. გარდა ამისა, უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ პატიმრებს რეგულარულად მიეწოდებოდეთ ინფორმაცია (წერილობით) მათი იმ უფლების თაობაზე, რომლის თანახმადაც შეუძლიათ მიმართონ ზემდგომ ხელისუფლებას მათთვის დაკისრებულ დისციპლინარულ სანქციასთან დაკავშირებით.

96. **წპკ**-მ შეშფოთება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ დისციპლინარულ პროცედურაში <u>ჩართულნი არიან ჯანდაცვის მუშაკები</u>. დელეგაციისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ექიმებს მონახულებულ დაწესებულებებში მოეთხოვებოდათ თითოეული პატიმრის სამედიცინო შემოწმება დისციპლინარული სასჯელის გამოტანამდე. სამედიცინო ცნობის გარეშე, რომელიც დაასტურებდა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას იზოლაციისთვის, პატიმარს არ ათავსებდნენ დისციპლინარულ საკანში.

კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ციხეებში მომუშავე სამედიცინო მუშაკები მოქმედებენ, როგორც პატიმრების პირადი ექიმები და ექიმსა და პაციენტს შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფა წარმოადგენს პატიმრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის უმთავრეს ფაქტორს. ციხის ექიმების დავალდებულება, რომ მათ დაადასტურონ სასჯელისთვის პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობა, ალბათ, ვერ შეუწყობს ხელს მათ შორის კეთილგანწყობას. ეს საკითხი აღიარებულია მინისტრის კომიტეტის № ღეც(2006)2 რეკომენდაციაში, რომელიც ეხება შესწორებულ „ციხის ევროპულ წესებს"; მართლაც, წინა ვერსიაში მოცემული წესი, რომლის მიხედვით პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობა დიციპლინარული სასჯელისთვის ციხის ექიმებმა უნდა დაადასტურონ, ახალ ვერსიაში ამოღებულია. მეორე მხრივ, ციხის ექიმები დიდი ყურადღებას უნდა აქცევდნენ დისციპლინარულ საკანში მყოფი პატიმრების მდგომარეობას.

წპკ-ს რეკომენდაციაა, გადაიხედოს ციხის ექიმების როლი დისციპლინარულ სასჯელთან

43 გარდა ზუგდიდის მე-4 საპყრობილისა, სადაც დისციპლინარული სასჯელის მქონე პატიმრებს შეუძლიათ დირექტორთან ან მის მოადგილესთან შეხვედრა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იმისათვის, რომ მათ იცოდნენ სასჯელის მიზეზი და თავისი უფლება გასაჩივრების თაობაზე.

დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით უნდა გაითვალისწინონ მიღებული შესწორებული „ციხის ევროპული წესები“ (კერძოდ, წესი 43.2) და წპკ-ს მიერ მე-15 ზოგად ანგარიშში გაკეთებული კომენტარები (იხ. CPT/Inf (2005) 17-ის 53-ე პუნქტი).

97. რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში და თბილისის №5 საპყრობილეში დელეგაციას შეატყობინეს, რომ მათ არ ჰქონდათ დისციპლინარული სასჯელისთვის განკუთვნილი საკნები. თუ პატიმარი სერიოზულ დისციპლინარულ დარღვევას ჩაიდენდა, იგი გადაჰყავდათ რუსთავის №6 საპყრობილეში[44]. სპეციალური დისციპლინარული საკანი არ ჰქონდათ არც თბილისის №7 საპყრობილეში. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებოდა პირველ დონეზე არსებული ერთ-ერთი ჩვეულებრივი საკანი.

ზუგდიდის №4 საპყრობილეში არსებული სამი დისციპლინარული საკნის ფართობი შეადგენს 7.5 $მ^2$-ს. იქ საკმარისად შედის დღის სინათლე, ადექვატურია ხელოვნური განათება და ვენტილაცია, ისინი კარგადაა გარემონტებული და დაცულია სისუფთავე. ოთახში არის საწოლი და ლეიბი, სანიტარიული კუთხე, სადაც განთავსებულია ტუალეტი და პირსაბანი.

რუსთავის №6 საპყრობილის დისციპლინარულ დანაყოფში იყო თერთმეტი სამარტოო საკანი, თითოეული- დაახლოებით 8 $მ^2$ ფართობისა. საკნებში შემოდიოდა გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი სინათლე და მათ ჰქონდა ადექვატური ხელოვნური განათება და ვენტილაცია. გარდა ამისა, ისინი ცოტა ხნის წინ გარემონტდა. საკანში იყო საწოლი და ტიხრით გამოყოფილი სანიტარიული კუთხე, მაგრამ ამ საკნებში მოთავსებულ პატიმრებს არ ჰქონდათ ლეიბები და საბნები. მათ არც შხაპის მიღების უფლებას აძლევდნენ. **წპკ-ს რეკომენდაციაა, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ რუსთავის №6 საპყრობილის დისციპლინარული სასჯელისთვის განკუთვნილ საკნებში მოთავსებულმა პატიმრებმა მიიღონ ლეიბები და საბნები, ასევე შხაპის მიღების უფლება.**

98. დისციპლინარული სასჯელისთვის განკუთვნილ საკნებში მოთავსებული პატიმრების რეჟიმთან დაკავშირებით დელეგაციამ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ამგვარი პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი იყო ვარჯიში სუფთა ჰაერზე, როგორც ეს რეკომენდებული იყო **წპკ**-ს მიერ მომზადებულ, წინა ვიზიტთან დაკავშირებულ ანგარიშში. გარდა ამისა, დისციპლინარულ საკნებში მოთავსებულ პატიმრებს (გარდა რუსთავის №6 საპყრობილისა) ჰქონდათ გაზეთებისა და წიგნების კითხვის საშუალება. თუმცა ვარჯიში სუფთა ჰაერზე არ იყო ხელმისაწვდომი ყოველდღე და იგი გრძელდებოდა ერთ საათზე ნაკლებს. **წპკ-ს რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები ასეთი შემთხვევების აღმოსაფხვრელად.**

99. ვიზიტის შემდეგ **წპკ**-მ მიიღო ინფორმაცია „პატიმრობის შესახებ“ კანონის სავარაუდო შესწორებების თაობაზე, რომელთა თანახმადაც, პატიმრებს, რომლებიც სერიოზულ დისციპლინურ დარღვევას (მათ შორის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობას და ციხის ოფიცრის შეურაცხყოფას) ჩაიდენენ, შეიძლება მიესაჯოთ პატიმრობის გახანგრძლივება 10-იდან 90 დღემდე ციხის დირექტორის შუამდგომლობით გაცემული სასამართლო გადაწყვეტილებით (რომელსაც ეწოდება „ადმინისტრაციული დაკავება“). შესწორებების პროექტი უზრუნველყოფს სასამართლო მოსმენას, მაგრამ არ ადგენს, აქვს თუ არა პატიმარს მოსმენაზე დასწრების, ზეპირი განცხადების გაკეთების, მოწმეების მოწვევის ან იურიდიული წარმომადგენლობის უფლება. **წპკ საქართველოს ხელისუფლებისგან მოელის განმარტებას ამ საკითხებთან დაკავშირებით.**

დ. ინსპექტირებისა და საჩივრების შეტანის პროცედურები

100. რაც შეეხება ინსპექტირების პროცედურას, ამჟამად სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ვიზიტებს ახორციელებენ მთელი რიგი ორგანოებისა: პროკურატურა, სახალხო დამცველის აპარატი, იუსტიციის სამინისტროს ინსპექტირებისა და მონიტორინგის დეპარტამენტი და ა.შ. სახალხო დამცველი, მაგალითად, ადგენს ანგარიშებს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ინდივიდუალურ და სისტემურ პრობლემებზე. გარდა ამისა, 2006 წლიდან ციხეთა უმრავლესობაში რეგულარულად ახორციელებენ ვიზიტებს მონიტორინგის ადგილობრივი კომისიები, რომლებიც შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან[45]. ამ კომისიებს, სხვა ფუნქციებთან ერთად, აქვთ დაკავების ადგილებში შესვლის, პატიმრებთან განცალკევებით ლაპარაკის, მათი საჩივრების მოსმენისა და ასევე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის რეკომენდაციების მიწოდების უფლებამოსილება. **მაგრამ, როგორც ჩანს, მონიტორინგის ადგილობრივი კომისიების წევრთა დანიშვნის პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე.**

წპკ მიესალმება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მონიტორინგის კომისიების ჩამოყალიბებას, რაც დიდ წვლილს შეიტანს პატიმრების უფლებათა დაცვის საკითხში. **კომიტეტს იმედი აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება სათანადოდ გაითვალისწინებს ამ კომისიების დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას და მიიღებს შესაბამის ზომებს ციხეებში არსებული პირობების გაუმჯობესების მიზნით.**

101. მონიტორინგში ზემოთ ხსენებული გაუმჯობესებების მიუხედავად, დელეგაციასთან საუ-

44 მე-2 სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან 2007 წლის 1 იანვრიდან 30 მარტის ჩათვლით გადაყვანილი იქნა 58 ასეთი პატიმარი.

45 ვიზიტის დროისთვის ამგვარი კომიტეტები არსებობდა 11 სასჯელაღსრულებით დაწესებულებასთან (16-იდან) დაკავშირებით. კომიტეტების ჩამოყალიბების პროცესი დანარჩენი ხუთი დაწესებულებისთვის ჯერ არ იყო დასრულებული.

ბარში მრავალმა პატიმარმა გამოთქვა სკეპტიციზმი საჩივრების შეტანის პროცედურის მუშაობასთან დაკავშირებით. პატიმრების უმრავლესობამ არ იცოდა, რომ შესაძლებელი იყო კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნა და აცხადებდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეს შეუძლებელი იქნებოდა ქაღალდის, კალმისტრებისა და კონვერტების უქონლობის გამო, კიდევ იმიტომ, რომ ციხის თანამშრომლები მოითხოვდნენ საჩივრების გახსნილი სახით ჩაბარებას. დელეგაციამ აღნიშნა საჩივრებისთვის სპეციალური ყუთის არსებობა მონახულებული დაწესებულებების დერეფნებში. მიუხედავად ამისა, პატიმრებმა, რომლებსაც ესაუბრნენ დელეგაციის წევრები, ან არ იცოდნენ მათი არსებობის შესახებ, ან სკეპტიკურად უყურებდნენ საჩივრების კონფიდენციალურობის დაცვის საკითხს. მათი თქმით, დაწესებულების ადმინისტრაცია აკავებდა საჩივრებს, ხოლო თანამშრომლები ემუქრებოდნენ პატიმრებს სამაგიეროს გადახდით სხვადასხვა ფორმით, რათა მათ თავი დაენებებინათ კონფიდენციალური საჩივრების გზავნისათვის გარეშე ორგანოებში. გარდა ამისა, გამოითქვა აზრი, რომ გარეშე ორგანოებში გაგზავნილ საჩივრებზე არ მოდიოდა დროული პასუხი. **წპკ-ს რეკომენდაციაა, გადაიდგას სათანადო ნაბიჯები იმისათვის, რომ დაცული იყოს პატიმრების უფლება, შეიტანონ კონფიდენციალური საჩივრები, რისთვისაც გარანტირებული უნდა იყოს დაუსჯელობა საჩივრების შეტანისთვის.**

ე. ინფორმაციის მიწოდება პატიმრებისთვის და კანონის უზენაესობის პრინციპი

102. პატიმრებთან საუბრებმა მონახულებულ დაწესებულებებში გვიჩვენა, რომ პატიმრები ან საერთოდ არ იღებდნენ, ან იღებდნენ ძალიან მწირ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და მათთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ. ზოგიერთ მონახულებულ დაწესებულებაში (მაგალითად, რუსთავის №6 საპყრობილეში) დელეგაციამ აღნიშნა საინფორმაციო განცხადებების არსებობა დერეფნებში, მაგრამ განცხადებებში მოცემული ინფორმაცია იყო ძველი ან არასაკმარისად დეტალური. **წპკ-ს რეკომენდაციაა, პატიმრებს სისტემატურად მიეწოდებოდეთ წერილობითი უახლესი ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების, მათთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურების, დაწესებულებაში არსებული რეჟიმისა და ვადამდელი განთავისუფლების შესაძლებლობების შესახებ. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა ენაზე.**

103. საინფორმაციო ვაკუუმი განსაკუთრებით თვალშისაცემი აღმოჩნდა პატიმრების უფრო მკაცრ რეჟიმში გადაყვანის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. 45-ე და 56-ე პუნქტები), მსჯავრდებული პატიმრები გადაჰყავთ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სასჯელაღსრულების სამსახურის უფროსის ბრძანებით (რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში და შეიძლება განახლდეს) იმ ციხის დირექტორისგან მიღებული ანგარიშის საფუძველზე, რომელშიც მოთავსდა პატიმარი თავდაპირველად. რუსთავის №6 საპყრობილის და თბილისის №7 საპყრობილის პატიმრების ძალიან მცირე ნაწილს ეცნობა მათი უფრო მკაცრ რეჟიმში გადაყვანის მიზეზი. არავის უნახავს რაიმე შესაბამისი დოკუმენტი და თითქმის არავინ იცოდა იმის შესახებ, რომ მათ ჰქონდათ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ №6 საპყრობილის მხოლოდ ერთმა პატიმარმა გაასაჩივრა დადებითი შედეგებით თავისი გადაყვანა მკაცრ რეჟიმში— 2007 წლის თებერვალში თბილისის ადმინისტრაციულმა სასამართლომ გააუქმა სასჯელაღსრულების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, პატიმრის პირად საქმეში არ აღმოჩნდა რაიმე საბუთი ამის შესახებ და პატიმარი კვლავ №6 საპყრობილეში დარჩა. გარდა ამისა, დელეგაციამ შეიტყო, რომ დაახლოებით ოცი პატიმრისგან შემდგარი ჯგუფი გადაყვანილი იყო №2 სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან №6 საპყრობილეში 2007 წლის თებერვალში მას შემდეგ, რაც მათ კოლექტიური საჩივარი შეიტანეს თანამშრომლებისგან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

წპკ-ს რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს, რომ:

- პატიმარი, რომელსაც ათავსებენ უფრო მკაცრ რეჟიმში სასამართლო ან ციხის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ან რომლის ყოფნა ასეთ რეჟიმში გახანგრძლივდება, ინფორმირებული იყოს წერილობით ასეთი ზომების გამომწვევი მიზეზების შესახებ (გასაგებია, რომ წარდგენილი მიზეზები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც უსაფრთხოების მიზნით არ ატყობინებენ პატიმარს);

- პატიმარს, რომლის წინააღმდეგაც გათვალისწინებულია ამგვარი ზომა, მიეცეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გამოხატვის საშუალება;

- პატიმარი ასეთ რეჟიმში უნდა თავსდებოდეს რაც შეიძლება მოკლე ვადით და მისი საკითხი უნდა განიხილებოდეს სულ მცირე სამ თვეში ერთხელ.

104. უფრო ზოგადად, **წპკ** შეშფოთებულია საქართველოს ხელისუფლებისგან სამართლის ნორმების მიმართ უპატივცემულობით პატიმრებისთვის დაშვებულ სხვადასხვა საშუალებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, რუსთავის №6 საპყრობილესა და თბილისის №7 საპყრობილეში. მაგალითად, №6 და №7 საპყ-

რობილეების პატიმართა უმრავლესობას არ ჰქონდა ტელევიზორისა და რადიოს ქონის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ კანონი იძლევა ამის ნებას. ასევე, შეიცვალა ამანათით შესაგზავნად ნებადართული დასახელებების ჩამონათვალი, უდავოდ, სასჯელაღსრულების სამსახურიდან მიღებული სატელეფონო ზარის საფუძველზე. ამ ზომასთან დაკავშირებით არ შედგენილა რაიმე წერილობითი დოკუმენტი და რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში პატიმრებისთვის გადაცემული ჩამონათვალი არ ასახავდა ამ ცვლილებებს.

წპკ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ნებისმიერი შეზღუდვა პატიმრების მიმართ უნდა იყოს კანონიერი, პროპორციული, აუცილებელი და დაქვემდებარებული სავალდებულო ანგარიშგებას. **კომიტეტის რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას სათანადო ნაბიჯები ამ საკითხებთან დაკავშირებით.**

<u>გ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

105. დელეგაციამ მოინახულა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული ორი ფსიქიატრიული დაწესებულება: ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტი თბილისში და ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფო (ხონის რაიონი).

<u>ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტს</u> საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია თბილისში. იგი შედგება 1960-იან წლებში აშენებული რამდენიმე შენობისგან. ინსტიტუტში შედის საავადმყოფო, ამბულატორიული კლინიკა და სარეაბილიტაციო ცენტრი. კვლევითი სამუშაოები, რომლებიც წარსულში ტარდებოდა (ამიტომაც ეწოდა მას ინსტიტუტი), ამჟამად შეწყვეტილია, მაგრამ იქ გრძელდება სტუდენტების მეცადინეობები. დელეგაციისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო საავადმყოფო, რომელშიც 300 საწოლია და სადაც ვიზიტის დროს მკურნალობდა 294 პაციენტი. პაციენტები განაწილებული იყვნენ შვიდ პალატაში: სამი იყო მამაკაცებისთვის, ორი-ქალებისთვის და ორიც- შერეული, რომელთაგან ერთი განკუთვნილი იყო გერიატრიული პაციენტებისთვის. როგორც დელეგაციას უთხრეს, სტაციონარში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა ორ თვეს შეადგენს, მაგრამ პაციენტების თითქმის ერთი მესამედი უფრო მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა საავადმყოფოში მის ფარგლებს გარეთ შესაბამისი სტრუქტურების არარსებობის გამო.

<u>ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფო</u> მდებარეობს სოფელ ქუტირის მახლობლად, პატარა ქალაქი ხონისკენ მიმავალი ოღრო-ჩოღრო გზის ბოლოს. საავადმყოფო წარმოადგენს 1970-იან წლებში აშენებულ, მრავალი კორპუსისგან შემდგარ კომპლექსს, რომელიც აშენდა, როგორც სამხედრო ჰოსპიტალი, ხოლო დროთა განმავლობაში გადაკეთდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ. გარდა იმისა, რომ საავადმყოფო იღებს სამოქალაქო პაციენტებს, იქ ასევე მკურნალობენ პირებს, რომლებთან დაკავშირებითაც მიჩნეულია, რომ ვერ დააკისრებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ისინი გადიან არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობას. ვიზიტის დროს საავადმყოფოს ოფიციალურად ჰქონდა 450 საწოლი, ხოლო მკურნალობდა 446 ზრდასრული პაციენტი, მათ შორის- 128 ქალი, 311 სამოქალაქო პირი და 135 ადამიანი, რომლებიც იქ მოათავსეს სისხლის სამართლის კოდექსის პირობების საფუძველზე (მათ შორის სამი პაციენტი, რომლებსაც უტარდებოდათ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა). პაციენტები განაწილებული იყვნენ შვიდ პალატაში: აქედან სამი იყო მამაკაცებისთვის, ორი-ქალებისთვის და ორიც- პირებისთვის, რომლებიც არანებაყოფლობით მკურნალობას გადიან (ერთი ჩვეულებრივი, ხოლო მეორე- გამკაცრებული რეჟიმით). თანამშრომლების თქმით, თითქმის ნახევარი ქრონიკული პაციენტია და საავადმყოფოში წლების განმავლობაში იმყოფება, ხანმოკლე შესვენებით.

106. 2007 წლის ვიზიტისას ფსიქიატრიის სფერო ცვლილებებს განიცდიდა. ახალი კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ ძალაში 2007 წლის იანვარში შევიდა, მაგრამ მისი განხორციელება ჯერ არ იყო დაწყებული. 2007 წლის 20 და 21 მარტს, ანუ **წპკ**-ს დელეგაციის ვიზიტის დასაწყისში, აქ მიიღეს განხორციელებასთან დაკავშირებული დადგენილებების გარკვეული ნაწილი, ამასთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო იმყოფებოდა დამატებითი დადგენილებების შემუშავების პროცესში. დელეგაციას შეატყობინეს ფსიქიატრიული დახმარების რეფორმასთან დაკავშირებული გეგმების, კერძოდ, სპეციალიზებული ფსიქიატრიული საავადმყოფოების დახურვისა და ჩვეულებრივ საავადმყოფოებში შესაბამისი პალატების გამოყოფის შესახებ. მაგრამ ამ ცვლილებებისთვის განსაზღვრული დრო არ იყო ცნობილი, რაც ხელს უწყობდა გაუგებრობას, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის შემთხვევაში კი ხელს უშლიდა აუცილებელი რემონტის ჩატარებას. **წპკ-ს სურვილია, მიიღოს უფრო დეტალური ინფორმაცია საქართველოში ფსიქიატრიის სფეროში გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.**

2. არასათანადო მოპყრობა

107. დელეგაციას არც ერთ დაწესებულებაში არ მიუღია რაიმე ცნობა თანამშრომლებისგან პაციენტების მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ. პირიქით, პაციენტების დიდი უმრავლესო-

ბა დადებითად ახასიათებდა თანამშრომლებს, საერთო მდგომარეობაც მშვიდი იყო. ძალადობას არც პაციენტებს შორის ჰქონია ადგილი.

თუმცა ორივე დაწესებულებაში დელეგაციამ მიიღო რამდენიმე ცალკეული შეტყობინება ძალის გამოყენების შესახებ სანიტრებისგან ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენებისას. გარდა ამისა, ზოგიერთი პაციენტი ჩიოდა, რომ სანიტრები მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დაწესებულების ხელმძღვანელობას ესმის, რომ საჭიროა მუდმივი ყურადღება და სიფხიზლე პაციენტების მოპყრობასთან დაკავშირებით. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორმა დელეგაციას განუცხადა, რომ სულ ცოტა ხნის წინ სამსახურიდან დაითხოვა რამდენიმე სანიტარი, რომლებზეც ჩიოდნენ, რომ ისინი „ძალიან უხეშები“ იყვნენ პაციენტებთან. მსგავსად ამისა, ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორმა დელეგაციას შეატყობინა, რომ მისი დანიშვნის დღიდან (ერთი წლის წინ) დაითხოვა სამი სანიტარი, რომლებიც სიტყვიერ აგრესიას ამჟღავნებდნენ პაციენტების მიმართ.

წპპ მოუწოდებს ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტისა და ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ხელმძღვანელობას, კვლავაც არ მოადუნონ ყურადღება და რეგულარულად შეახსენონ თანამშრომლებს, რომ პაციენტების მიმართ არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სიტყვიერი შეურაცხყოფა და ძალის გამოყენება ფიზიკური შეზღუდვისას, მიუღებელია და რეაგირება ასეთ საქციელზე განსაკუთრებით მკაცრი იქნება.

108. რაც შეეხება კონკრეტულად სანიტრებს, მათი სამუშაოს სიმძიმის გათვალისწინებით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გულდასმით შერჩევას და შესაბამის მომზადებას, ვიდრე ისინი შეუდგებიან თავიანთი მოვალეობების შესრულებას. მათ ასევე უნდა უტარდებოდეთ მიმდინარე ტრენინგები. აუცილებელია აღნიშნულ თანამშრომლებზე ზედამხედველობა მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებისას ჯანდაცვის სფეროს კვალიფიციური მუშაკებისგან. **წპპ-ს რეკომენდაციაა, გაუმჯობესდეს სანიტრების შერჩევის, მომზადებისა და ზედამხედველობის პროცედურები ზემოთ მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით.**

3. პაციენტების საცხოვრებელი პირობები

ა. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტი

109. ვიზიტის დასაწყისში ინსტიტუტის დირექტორმა დელეგაციას შეატყობინა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ფული საკმარისია პაციენტების ადექვატური კვებისა და მკურნალობისთვის, დაწესებულებას ჰქონდა წყლის, ელექტროენერგიისა და გათბობის დავალიანება (რასაც შედეგად მოჰყვა წყალმომარაგების შეწყვეტა დელეგაციის ვიზიტისას). მრავალი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა რაიმე სერიოზული რემონტი. ხელმძღვანელობა და თანამშრომლები ყველა ღონეს მიმართავენ ამ რთულ სიტუაციასთან გასამკლავებლად, რისთვისაც ისინი ეძებენ დახმარებას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფარმაცევტული კომპანიებისგან.

110. თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებში 300 პაციენტზე ნაკლები იყო, ჩანაწერების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ არცთუ ისე იშვიათად იღებდნენ უფრო მეტ პაციენტს, ვიდრე საავადმყოფოს ამის საშუალება ჰქონდა (მაგალითად, 2007 წლის 18 თებერვალს ირიცხებოდა 317 პაციენტი). დელეგაციას აცნობეს, რომ ასეთ შემთხვევებში პაციენტების ოჯახს სთხოვდნენ საწოლის მოტანას. ზოგიერთ განყოფილებაში პაციენტების რაოდენობა შეიძლებოდა დამაკმაყოფილებლად ჩათვლილიყო (მაგალითად, მე-2 განყოფილებაში იყო ოთხიდან ექვსამდე პაციენტი, როცა პალატების ფართობი 27-39 $მ^2$-ია, მე-5 განყოფილებაში – ოთხიდან რვა საწოლამდე, როცა პალატების ფართობი 18-30 $მ^2$-ია). იმავე დროს სხვა განყოფილებები გადატვირთული იყო (მაგალითად, პირველ განყოფილებაში 18-30 $მ^2$ ფართობის პალატებში მოთავსებული იყო 4-8 ადამიანი). ყველაზე დიდი ხალხმრავლობა აღმოჩნდა კაცების მე-6 განყოფილებაში (5 პაციენტი 15 $მ^2$ ფართობის პალატაში; ათი პაციენტი – 36 $მ^2$ ფართობის პალატაში); თითქმის რვა ადამიანს ამ განყოფილებაში დერეფანსა და სასადილო ოთახში დადგმულ საწოლებზე ეძინა.

111. დელეგაციას სხვადასხვა განყოფილებაში სხვა ასპექტებშიც სხვადასხვა პირობა ხვდებოდა. საუკეთესო პირობები მე-7 გერიატრიულ განყოფილებაში აღინიშნებოდა, რომელიც 2003 წელს საფუძვლიანად გარემონტდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. პალატა კარგად თბებოდა და კარგად იყო მოწყობილი. მსგავსად ამისა, ზოგიერთი პალატა მე-5 შერეულ განყოფილებაში შეკეთდა ფარმაცევტული კომპანიის დაფინანსებით.

დანარჩენი განყოფილებები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა – ჩამონგრეული კედლები, დაზიანებული ჭერი და გაშიშვლებული ელექტროსადენები. ქალთა მე-3 განყოფილებაში სახურავიდან წყალი ჟონავდა. ბუნებრივი განათება, ვენტილაცია და ხელოვნური განათება მისაღები იყო მამაკაცების მე-2 განყოფილებაში და ქალების მე-3 და მე-4 განყოფილებებში, მაგრამ ცუდი – მამაკაცების პირველ და მე-6 განყოფილებებში. ადექვატური გათბობის უქონლობა სერიო-

ზულ პრობლემას წარმოადგენდა, პაციენტების პალატებში ტემპერატურა 13°ჩ-ის ფარგლებში იყო. გარდა ამისა, პალატებში ავეჯიდან უმთავრესად იყო მხოლოდ ცუდ მდგომარეობაში მყოფი საწოლები, პაციენტების უმრავლესობას არ ჰქონდა კარადები პირადი ნივთების შესანახად და გარემო ზოგადად იყო ასკეტური და უსახური.

112. სანიტარული საშუალებები განყოფილებათა უმრავლესობაში (გარდა მე-4 და მე-5 განყოფილებებისა და მე-7 გერიატრიული განყოფილებისა, სადაც გაკეთებული იყო რემონტი) არ ჰგავდა ჯანდაცვის დაწესებულებას: დანგრეული, ბინძური, ცუდი სუნით, სადაც პაციენტები ვერ გრძნობდნენ თავს იზოლირებულად. არ იყო შხაპის სათანადო ხელმისაწვდომობა (კვირაში ერთხელ ან ორჯერ), პაციენტებს არც წყალი მიეწოდებოდათ რეგულარულად. დაწესებულება არ გასცემდა პაციენტებისთვის პირადი ჰიგიენის ნივთებს.

113. დელეგაციას მოახსენეს, რომ საავადმყოფოს არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობით ლოგინის თეთრეული და ამიტომ მისი მოტანა პაციენტების ოჯახებს უხდებოდათ. ლოგინის თეთრეული ირეცხებოდა ადგილობრივ სამრეცხაოში, როგორც ითქვა, კვირაში ორჯერ. პაციენტებს ეცვათ საკუთარი ტანსაცმელი, რომელიც ზოგადად კარგ მდგომარეობაში იყო და შეეფერებოდა სეზონს. დაწესებულება არ სთავაზობდა მათ არავითარ ტანსაცმელს.

114. კვება იყო ოთხჯერადი და მიეწოდებოდა პაციენტებს ყოველ სართულზე სპეციალურად გამოყოფილ სასადილოებში. საკვების რაოდენობასა და ხარისხთან დაკავშირებით არ ყოფილა რაიმე საჩივარი. ვერც დელეგაციამ აღმოაჩინა კვების უკმარისობის რაიმე ნიშანი. მაგრამ ზოგიერთი სართულის სასადილოში არ იყო მაგიდებისა და სკამების საკმარისი რაოდენობა და ზოგიერთი პაციენტი ჭამის დროს ფეხზე იდგა. გარდა ამისა, პაციენტებს მხოლოდ კოვზები ეძლეოდათ.

115. **წპკ-ს რეკომენდაციაა, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში მიიღონ შემდეგი ზომები:**

- შემცირდეს პაციენტების რაოდენობა პალატებში, განსაკუთრებით პირველ და მე-6 განყოფილებებში, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საკმარისი სივრცე და შესაძლებელი იყოს მათი შესაბამისად მეთვალყურეობა პერსონალისგან;

- შემუშავდეს რემონტის პროგრამა, რომელიც მიზანმიმართული იქნება ზემოთ ხსენებული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. პრიორიტეტი მიენიჭოს ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფ განყოფილებებს (1-ლი, მე-3 და მე-6). ამ კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იყოს დიდი პალატების უფრო მცირე ზომის ოთახებით შეცვლა. ეს ხელს შეუწყობს პაციენტების ღირსების შენარჩუნებას/დაბრუნებას, გაამარტივებს პაციენტების დიფერენციაციას თერაპიული თვალსაზრისით და მზრუნველობას მათზე და შესაძლებელს გახდის ფსიქიატრიული და ფსიქოსოციალური დახმარების სრული სპექტრის გამოყენებას. ამგვარი ოთახი, ასევე, წარმოადგენს პაციენტების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ძირითად ელემენტს.

- ყველა პალატა უზრუნველყონ შესაბამისი გათბობით;

- პაციენტებისთვის შეიქმნას უფრო სასიამოვნო და პერსონალიზებული გარემო, კერძოდ, უზრუნველყონ მათთვის ჩაკეტილი სივრცე.

- პაციენტები უზრუნველყონ წესიერი თეთრეულითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით;

- გარემონტდეს ტუალეტი, პირსაბანი და სააბაზანო ოთახები (კერძოდ, ტუალეტები ისე უნდა მოეწყოს, რომ პაციენტებს შეეძლოთ იქ მარტო შესვლა) და დაცული იყოს სისუფთავე;

- უზრუნველყონ ცხელი წყალი სააბაზანოებში და პაციენტებს მიეცეთ უფრო ხშირად დაბანის საშუალება;

- ყოველ განყოფილებაში სასადილო ოთახები უზრუნველყონ საკმარისი რაოდენობის მაგიდებითა და სკამებით და პაციენტების კვებისთვის საჭირო ყველა აქსესუარი.

ბ. ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფო

116. პაციენტები მოთავსებულნი იყვნენ ორსართულიან ოთხ შენობაში, რომელთა გარკვეული ნაწილი არ გამოიყენებოდა მიმდინარე რემონტის გამო. იქვე იყო ცალკე მდგომი და დაცული პერიმეტრის მქონე შენობა, სადაც პაციენტები მკურნალობდნენ არანებაყოფლობით გამკაცრებული რეჟიმით (იხ. 117-ე პუნქტი).

ძირითადი პირობები ქუტირის საავადმყოფოში მთლიანობაში უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში. ზოგიერთ განყოფილებაში (№ 1 – ქალები და № 6 – მამაკაცები) უკვე ჩატარებული იყო სარემონტო სამუშაოები, ხოლო საავადმყოფოს დანარჩენ ნაწილში დაგეგმილი იყო მათი განხორციელება.

თითო პალატაში იწვა ექვსიდან ცამეტ პაციენტამდე, ხოლო თვით პალატების ფართობი შეადგენდა 35-იდან 54 $მ^2$-მდე. ყოველ სართულზე იყო დაახლოებით 10 $მ^2$ ფართობის პატარა ოთახი, ე. წ. „იზოლატორი“. დელეგაციის ვიზიტისას ეს ოთახები ძირითადად ცარიელი იყო, ან მათში მოთავსებული იყო ერთი ან ორი ისეთი პაციენტი, რომლებიც უფრო ყურადღებით ზედამხედვე-

ლობას საჭიროებდნენ (მაგალითად, ახლად შემოსულები). დელეგაციამ შენიშნა ზოგიერთი პალატის გადატვირთულობა (მაგალითად, ცამეტი ადამიანი 51 m^2 ფართობის ოთახში). კერძოდ, ასეთ მდგომარეობა იყო მამაკაცების მე-4 განყოფილებაში, სადაც უფრო მეტი პაციენტი იყო მოთავსებული, ვიდრე სხვა, „სამოქალაქო" პაციენტებისთვის განკუთვნილ პალატებში.[46].

ბუნებრივი განათება, ვენტილაცია და ხელოვნური განათება ადექვატური იყო, თუმცა არ ფუნქციონირებდა გათბობის ცენტრალური სისტემა და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პალატაში გამოიყენებოდა ელექტროგამათბობლები, ტემპერატურა მაინც დაბალი იყო (16° C). ოთახებში სხვა არაფერი იყო საწოლებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, საკეტიანი პატარა კარადების გარდა. გარემო იყო ასკეტური და უსახური. განყოფილებებში, სადაც ჯერ არ იყო ჩატარებული რემონტი (მე-2 და მე-4 მამაკაცები და მე-8 ქალები), ჭერზე შეიმჩნეოდა სინესტის ნიშნები, კედლებზე საღებავი აფცქვნილი იყო, ხოლო იატაკის საფარი - ალაგ-ალაგ დაზიანებული. თუმცა უნდა ითქვას, რომ შენობები ზოგადად სუფთა მდგომარეობაში იყო.

რაც შეეხება სანიტარიულ კვანძებს განყოფილებებში, ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, ჟონავდა მილები, ციოდა და პაციენტებისთვის შეუძლებელი იყო განმარტოება.

117. <u>არანებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილება №3</u> ერთადერთია საქართველოში, რომელიც განკუთვნილია იმ პაციენტებისთვის, რომლებიც გაძლიერებულ ზედამხედველობას საჭიროებენ. ამ განყოფილებაში, სადაც არის 80 პაციენტის განთავსების საშუალება, დელეგაციის ვიზიტისას აღმოჩნდა 91 მამაკაცი პაციენტი (კიდევ 7 პაციენტი გაქცეული იყო). სტაციონარში ყოფნის ყველაზე გრძელი პერიოდი 11 წელიწადს შეადგენდა (ეს პერიოდი მოიცავდა ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკაცრი რეჟიმის ქვეშ გატარებულ თავდაპირველ პერიოდს)[47].

შენობაში, სადაც განთავსებული იყო აღნიშნული განყოფილება, მიმდინარეობდა რემონტი და არსებული ფართობის მხოლოდ ნაწილი გამოიყენებოდა. დელეგაციამ შენიშნა, რომ თუმცა ზოგიერთ ოთახში საკმარისი იყო საცხოვრებელი სივრცე (მაგალითად, ორი ადამიანი 15 m^2 ოთახში), ზოგიერთი მათგანი გადატვირთული იყო (მაგალითად, რვა ადამიანი 26 m^2 ოთახში). ოთახებში კარგი იყო ბუნებრივი განათება, ვენტილაცია და ხელოვნური განათება, ასევე, სათანადო დონეზე იყო გათბობა. ზოგადად, გარემო უფრო სასიამოვნო და პერსონალიზებული იყო, ვიდრე სხვა განყოფილებებში, პაციენტებს ჰქონდათ საკეტიანი პირადი პატარა კარადები და სხვა სახის ავეჯი, ტელევიზორები და რადიომიმღებები, ნახატები და პლაკატები კედლებზე და ა.შ.

პალატები არ იკეტებოდა და პაციენტებს თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება განყოფილებაში და ურთიერთობა ერთმანეთთან საერთო ოთახში. არ იყო რაიმე პრობლემა ტუალეტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ერთი ოთახი პირველ სართულზე, რომელიც გამოყოფილი იყო ქრონიკული ავადმყოფებისთვის. იგი მუდმივად ჩაკეტილი იყო და იმ შემთხვევაში, როცა სართულზე არ იმყოფებოდნენ თანამშრომლები, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ამ ოთახის მობინადრეები ვედროებს იყენებდნენ.

ზემოხსენებული რემონტი დაკავშირებული იყო ფოთის ფსიქიატრიული საავადმოფოს პაციენტების ქუტირში გადმოყვანისა და, ამგვარად, ერთი ისეთი საავადმყოფოს შექმნის გადაწყვეტილებასთან, სადაც არანებაყოფლობით მკურნალობას გაივლიდნენ პაციენტები მკაცრ და გაძლიერებულ რეჟიმებში. აღნიშნული ღონისძიება იგეგმებოდა 2007 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფო უნდა დახურულიყო.[48].

118. პაციენტებს <u>შხაპის</u> მიღება შეეძლოთ კვირაში ერთხელ ყოველ განყოფილებაში არსებულ საშხაპეში და კიდევ უფრო ხშირად, თუ იქნებოდა ცხელი წყალი. ზაფხულობით მათ უშვებდნენ ცალკე შენობაში მოთავსებულ საშხაპეებში, სადაც განთავსებული იყო წყლის ავზი, რომელსაც მზე ათბობდა. აღნიშნული შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა – იქ არ იყო ბუნებრივი განათება, უშუალოდ საშხაპეებში კი არც ხელოვნური განათება იყო.

პაციენტებს ეძლეოდათ საპონი და, გამონაკლის შემთხვევებში, პირადი ჰიგიენის სხვა ნივთები. დელეგაციას შეატყობინეს, რომ ლოგინის თეთრეული ირეცხებოდა კვირაში ერთხელ საავადმყოფოს სამრეცხაოში და რომ იქ ასევე შეიძლებოდა პაციენტების ტანსაცმლის რეცხვა.

119. <u>საკვები</u> გაიცემოდა დღეში ოთხჯერ (მათ შორის 125 გ ხორცი ყოველდღე). პაციენტთა უმრავლესობა კმაყოფილი იყო საკვების რაოდენობითა და ხარისხით. დელეგაციას არც კვების ნაკლებობის რაიმე ნიშანი შეუმჩნევია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პაციენტი ჩიოდა მრავალფეროვნების ნაკლებობაზე. პაციენტები საკვებს იღებდნენ ყოველ განყოფილებაში არსებულ საერთო ოთახში, სადაც საკმარისი რაოდენობით იდგა მაგიდები და სკამები. აქაც, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის მსგავსად, პაციენტებს ეძლეოდათ მხოლოდ კოვზები.

120. **წპკ-ს რეკომენდაციაა, ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიღონ შემდეგი ზომები:**

---

46 მიუხედავად იმისა, რომ ყველა განყოფილებას (გარდა 3 არანებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილებისა) ჰქონდა ერთნაირი განლაგება, მამაკაცების მე-4 განყოფილებაში მოთავსებული იყო 74 პაციენტი, ხოლო 1-ლ, მე-2, მე-6, მე-7 და მე-8 განყოფილებებში – 32-იდან 64 პაციენტამდე.

47 **წპკ**-მა ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფო 2001 წელს მოინახულა. იმ დროისთვის ეს იყო ერთადერთი საავადმყოფო მთელ საქართველოში, სადაც პაციენტები გადიოდნენ არანებაყოფლობით მკურნალობას მკაცრ რეჟიმში.

48 **წპკ**-ს 2001 წლის ვიზიტის დროს უკვე არსებობდა ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დახურვის გეგმები (იხ. CPT/Inf (2002) 14-ის პუნქტი 145).

- შემცირდეს პაციენტების რაოდენობა პალატებში, განსაკუთრებით მე-4 განყოფილებაში და არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილებაში, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საკმარისი სივრცე და შეეძლოთ შესაბამისი მოვლის მიღება;

- გაგრძელდეს რემონტი სხვა განყოფილებებშიც; პრიორიტეტი მიენიჭოს კანალიზაციისა და ცენტრალური გათბობის სისტემებისა და ტუალეტებისა და დასაბანი სათავსოების რემონტს; ასევე, განიხილონ დიდი ოთახების შემცირების საკითხი (იხ. 115-ე პუნქტის შენიშვნები);

- უზრუნველყონ ყველა პალატის შესაბამისი გათბობა;

- უზრუნველყონ ყველა პაციენტისთვის ტუალეტის მუდმივი ხელმისაწვდომობა (მათ შორის არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილებაშიც);

- პაციენტებისთვის შეიქმნას უფრო სასიამოვნო და პერსონალიზებული გარემო, კერძოდ, უზრუნველყონ მათთვის ჩაკეტილი სივრცე და ყურადღება მიექცეს ოთახების გალამაზებას;

- პაციენტებს მიეცეთ შხაპის უფრო ხშირად მიღების შესაძლებლობა; გარემონტდეს საავადმყოფოს „საზაფხულო“ საშხაპე;

- უზრუნველყონ პაციენტების კვებისთვის საჭირო ყველა აქსესუარი.

კომიტეტის სურვილია, მიიღოს ინფორმაცია არანებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილების სტრუქტურისა და ფუნქციონირების თაობაზე რემონტის დასრულების შემდეგ.

4. მკურნალობა და რეჟიმი

121. ორივე დაწესებულებაში ფსიქიატრიული მკურნალობა თითქმის მთლიანად ეფუძნებოდა ფარმაკოთერაპიას. არ იყო პრომლებები ძირითადი ფსიქოტროპული მედიკამენტების მომარაგებასთან დაკავშირებით. ჩანაწერების გაცნობისა და პაციენტებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, პრეპარატების გამოყენების გადამეტების შემთხვევა არ ყოფილა. ფსიქიატრები იცავდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს მიერ თითოეული დაავადების მიმართ განსაზღვრულ სტანდარტებს, რომლებიც ადგენს სტაციონარში ყოფნის მაქსიმალურ პერიოდს, დიაგნოსტიკასა და ფარმაკოლოგიურ მკურნალობას. როგორც დელეგაციას აუხსნეს, ეს მიდგომა მიიღეს უფრო პაციენტების მკურნალობისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების კონტროლის, ვიდრე ფსიქიატრების მკურნალობის მეთოდების შერჩევაში შეზღუდვის მიზნით. პაციენტებს ფსიქიატრები რეგულარულად სინჯავდნენ და გასინჯვის შედეგები იწერებოდა პაციენტის ისტორიაში, რომელიც კარგად ინახებოდა. თუმცა ყველა შემოწმებულ ისტორიაში არ იყო მოცემული მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა. ორივე დაწესებულებაში განყოფილებების თანამშრომლები ყოველდღე იკრიბებოდნენ მთავარ ექიმთან მისთვის ინფორმაციის შეტყობინებისა და პაციენტის ავადმყოფობის მიმდინარეობის განხილვის მიზნით.

122. სხვა თერაპიული საშუალებების წყაროები, როგორებიცაა სარეაბილიტაციო ფსიქოსოციალური ქმედებები, ძალიან შეზღუდული იყო ორივე დაწესებულებაში საშუალებების, მასალებისა და სპეციალურად მომზადებული თანამშრომლების ნაკლებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დაწესებულებაში ფსიქოლოგები მუშაობდნენ, ინდივიდუალური დამხმარე ფსიქოთერაპიის მიღების საშუალება მაინც მწირი იყო. დაწესებულებებში არც შრომითი თერაპია გამოიყენებოდა სრულყოფილად იმ ოც პაციენტთან, რომლებიც, ძირითადად, დაკავებულნი იყვნენ დალაგება-დასუფთავებით. თუმცა ორივე დაწესებულების ხელმძღვანელობა აღიარებდა რეაბილიტაციის მნიშვნელობას და იყო მისი განვითარების მცდელობის ნიშნები. *ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში* არასამთავრობო ორგანიზაციამ ამ უკანასკნელ პერიოდში შექმნა ხელოვნებით მკურნალობის ცენტრი, სადაც ყოველდღე მკურნალობდა დაახლოებით 20 პაციენტი. ყოველ განყოფილებაში იდგა პიანინო, ხოლო მამაკაცების მე-2 განყოფილების პაციენტებს უტარდებოდათ შრომითი თერაპია ოთახში, სადაც იდგა კომპიუტერები და მოიპოვებოდა მასალები ხატვისა და ძერწვისთვის. გარდა ამისა, საავადმყოფოს ათამდე პაციენტი მკურნალობდა სარეაბილიტაციო ცენტრში, რომელსაც აფინანსებდა უცხოური არასამთავრობო ორგანიზაცია. *ქუტირის ფიქიატრიულ საავადმყოფოში* 2007 წლიდან მუშაობს ცეკვის მასწავლებელი და ატარებს ხელოვნების მეცადინეობებს პაციენტებთან. თითქმის 15 პაციენტი მონაწილეობს ამ მეცადინეობებში კვირაში ოთხჯერ.

რაც შეეხება რეკრეაციულ საქმიანობას, ის უმთავრესად შემოიფარგლებოდა ტელევიზორის ყურებით ან სამაგიდო თამაშებით. არც ერთ დაწესებულებაში არ არის ბიბლიოთეკა.

123. **წპკ-ს რეკომენდაციაა, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიღონ შემდეგი ზომები:**

- გაიზარდოს თერაპიული შესაძლებლობების არჩევანი და ხანგრძლივი ვადით მოთავსებული უფრო მეტი პაციენტი ჩაერთოს სარეაბილიტაციო ფსიქოსოციალურ აქტივობაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მათი მომზადებისა და ოჯახებში დაბრუნების მიზნით; შრომითი

თერაპია უნდა წარმოადგენდეს სარეაბილიტაციო პროგრამის განუყოფელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციას, სწავლის გაგრძელების სურვილს და ურთიერთობის უნარების ჩამოყალიბებას, სპეციფიკური ცოდნის შეძენასა და საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებას;

- თითოეული პაციენტისთვის მომზადდეს მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა (მწვავე, ხანგრძლივი ვადით და სისხლის სამართლის დამნაშავე პაციენტების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით), რომელშიც უნდა ჩაერთოს მკურნალობის მიზნები, თერაპიული საშუალებები და პასუხისმგებელი თანამშრომლები. პაციენტები მონაწილეობას უნდა იღებდნენ თავიანთი მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და შესრულების მიმდინარეობის შეფასებაში;

- პაციენტებს შესთავაზონ სარეკრეაციო საქმიანობების უფრო ფართო სპექტრი, კერძოდ, უზრუნველყონ მათთვის წიგნები და გაზეთები.

124. *ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს* პაციენტებისთვის ყოველდღე ტარდებოდა ვარჯიში სუფთა ჰაერზე, რაც არ ხდებოდა *ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში.* მიუხედავად იმისა, რომ ამ დაწესებულებას დიდი ეზო აქვს, იქ ვერ ნახავდით პაციენტებს. როგორც დელეგაციას შეატყობინეს, სანიტრებს იშვიათად გაჰყავდათ პაციენტები სასეირნოდ (ინსტიტუტის ეზო არ არის დაცული); თანამშრომელთა თქმით, პაციენტების 20% არასდროს გადის გარეთ. დელეგაციის მიერ ვიზიტის ბოლოს თავისი გამოვლენის შესახებ გაკეთებული განცხადების შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ შეატყობინა **წპკ**-ს, რომ ასათიანის სახელობის ინსტიტუტის პაციენტები უკვე ყოველდღე სეირნობენ ეზოში. **წპკ-ს სურვილია, მიიღოს უფრო დეტალური ინფორმაცია პაციენტების ყოველდღიური სეირნობის უზრუნველსაყოფად მიღებულ ზომებთან დაკავშირებით.**

125. რაც შეეხება სომატურ მზრუნველობას, დაწესებულებაში მიღებისას პაციენტები გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას, მათ შორის მოწმდებოდა სისხლი, შარდი, კეთდებოდა ვასერმანის ანალიზი (სიფილისის ინფექციის აღმოსაჩენად). პაციენტების ჯანმრთელობის ზოგადი შემოწმება ექვს თვეში ერთხელ ხდებოდა. *ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში* სრულ შტატზე მუშაობდნენ შინაგან დაავადებათა სპეციალისტი, ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტი და ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ექიმების გარკვეული ნაწილი (სტომატოლოგი, ქირურგი, რადიოლოგი, ნევროპათოლოგი, პულმონოლოგი და ა.შ.). *ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში* კონტრაქტის საფუძველზე ჰყავდათ აყვანილი თორმეტი სამედიცინო მუშაკი (სტომატოლოგი, გინეკოლოგი, შინაგან დაავადებათა სპეციალისტი, ქირურგი და სხვ.), რომლებიც პერიოდულად ატარებდნენ ოპერაციებს საავადმყოფოში და რომელთა გამოძახებაც შეიძლებოდა გადაუდებელი შემთხვევისას.

მაგრამ აშკარა გახდა, რომ საერთო პროფილის საავადმყოფოებში არ იყო საბიუჯეტო თანხები ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობისთვის და, აქედან გამომდინარე, ჰოსპიტალიზაცია სხვა საავადმყოფოებში დამოკიდებული იყო პაციენტების ოჯახების ფინანსურ შესაძლებლობებზე. ორივე დაწესებულების დირექტორები აღნიშნავდნენ, რომ გამონაკლის შემთხვევებში ისინი ახერხებდნენ ფსიქიატრიული პაციენტების საერთო პროფილის საავადმყოფოებში დაშვების ნებართვის მიღებას სასწრაფო ჩარევებისთვის.

ამ კონტექსტში **წპკ** სერიოზულად არის შეშფოთებული სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით ორივე დაწესებულებაში[49] (თუმცა, როგორც აცხადებენ, ქუტირის საავადმყოფოში სიკვდილიანობა 2006 წლის აპრილის შემდეგ შემცირდა). საავადმყოფოს ჩანაწერებში არ არის მითითებული არც ერთი პაციენტის სიკვდილის მიზეზი, არც აუტოფსიებია ჩატარებული, მიუხედავად სიკვდილის გარემოებებისა. თუმცა გარდაცვლილი პაციენტების ისტორიების შემოწმებამ გვიჩვენა კავშირი პაციენტების სიკვდილიანობას, ფიზიკური ჯანმრთელობისთვის საჭირო მედიკამენტებისა და ხელსაწყოების უქონლობას, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სასწრაფო ინტერვენციის საშუალებათა ნაკლებობასა და სხვა ისეთ საავადმყოფოებში მათი გადაყვანის პრობლემურობას შორის, რომლებშიც არსებობს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სხვა საშუალებები. დელეგაციამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როცა გამოძახებული იყო სასწრაფო დახმარების სამსახური, პაციენტი არ გადაიყვანეს საერთო პროფილის საავადმყოფოში ფინანსური პრობლემების გამო. ეს დაუშვებელია. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები ფსიქიატრიული პაციენტებისთვის შესაბამისი სადიაგნოსტიკო და თერაპიული საშუალებების ხელმისაწვდომობის გარანტირებისთვის. კომიტეტს ასევე სურს, მიიღოს ხელისუფლების კომენტარები პაციენტების გარდაცვალების შესახებ საავადმყოფოს ჩანაწერებში მითითებების არარსებობის შესახებ, ასევე იმ ფაქტის შესახებ, რომ არ არის ჩატარებული აუტოფსია.**

5. პერსონალი

126. ვიზიტის დროს *ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში* ირიცხებოდა 267 თა-

49 ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში 2004 წელს სიკვდილის 12 შემთხვევა იყო, 2005 წელს – 22 შემთხვევა, ხოლო 2006 წელს – 20 შემთხვევა; ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 2004 წელს სიკვდილის 18 შემთხვევა იყო, 2005 წელს – 29 შემთხვევა, ხოლო 2006 წელს – 13 შემთხვევა.

ნამშრომელი, მათ შორის 33 ფსიქიატრი, 49 ექთანი და 90 სანიტარი (ყველა სრულ განაკვეთზე). თითოეულ განყოფილებაში სამი ექთანი და სამი სანიტარი იმყოფებოდა მთელი დღის განმავლობაში, ხოლო ღამე და შაბათ-კვირას – ერთი ექთანი და სამი სანიტარი, მიუხედავად განყოფილებაში ავადმყოფების რაოდენობისა (22-დან 78-მდე). რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, პაციენტებთან მუშაობდა ხუთი ფსიქოლოგი, მაგრამ არც ერთი შრომითი თერაპევტი ან სოციალური მუშაკი (თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ ხელოვნებით თერაპიის ცენტრში მუშაობდა ოთხი თერაპევტი, სოციალური მუშაკი და კომპიუტერის ინსტრუქტორი).

127. *ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში* მუშაობდა 214 თანამშრომელი, მათ შორის 13 ფსიქიატრი, 48 ექთანი და 70 სანიტარი (ყველა სრულ განაკვეთზე). ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის მსგავსად, განყოფილებებში მუშაობდა ექთნებისა და სანიტრების იგივე რაოდენობა (ანუ ორი ექთანი და ორი სანიტარი დღის განმავლობაში და ერთი ექთანი და ორი სანიტარი ღამის საათებში), პაციენტების რაოდენობის მიუხედავად. ეს განსაკუთრებით არაადექვატური იყო არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილებისთვის, სადაც მოთავსებული იყო 91 პაციენტი. ავადმყოფებთან მომუშავე სხვა თანამშრომლები იყვნენ: ერთი ფსიქოლოგი, ოთხი შრომის თერაპევტი და ერთი ხელოვნების თერაპევტი.

საავადმყოფოში ასევე მუშაობდა დაცვის 23 თანამშრომელი, რომლებიც პასუხს აგებდნენ საავადმყოფოს პერიმეტრის დაცვაზე და არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილების უსაფრთხოებაზე. საავადმყოფოდან პაციენტების გაქცევის აღკვეთის მიზნით საავადმყოფოს დირექტორმა კონტრაქტის საფუძველზე აიყვანა დაცვის პოლიციის 13 დამატებითი ოფიცერი, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ განყოფილებაში (ოთხი მათგანი ადგილზე იყო ნებისმიერ მოცემულ დროს). დელეგაციას მოახსენეს, რომ ეს ოფიცრები მოქმედებდნენ მხოლოდ ჯანდაცვის მუშაკების ინსტრუქციების მიხედვით. მაგრამ განყოფილებაში დაცვის პოლიციის ოფიცრების ყოფნა აღიქმებოდა სამედიცინო პერსონალის ნაცვლად პოლიციელების დასაქმებით, რადგან მე-3 განყოფილებაში მუშაობდა ექთნებისა და სანიტრების იგივე რაოდენობა, როგორიც სხვა განყოფილებებში, მიუხედავად პაციენტების გაცილებით დიდი რაოდენობისა. გარდა ამისა, ფორმაში გამოწყობილი ოფიცრების ყოფნა განყოფილებაში სულაც არ უწყობდა ხელს თერაპიული გარემოს გაუმჯობესებას. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ამგვარი თანამშრომლების ფუნქცია მხოლოდ პერიმეტრის უსაფრთხოება იქნებოდა.

128. შეჯამების სახით ვიტყვით, რომ ფსიქიატრები/პაციენტების შეფარდება ვიზიტის დროს შეიძლება განხილული იყოს, როგორც მისაღები ქუტირის საავადმყოფოში და როგორც საკმაოდ კარგი ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში. რაც შეეხება ექთნებსა და სანიტრებს, მათი ყოფნა ორივე საავადმყოფოს უფრო დიდ განყოფილებებში და, კერძოდ, ქუტირის საავადმყოფოს არანებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, ორივე დაწესებულებაში აშკარაა უფრო მეტი დახმარების საჭიროება კლინიკური ფსიქოლოგების, შრომის თერაპევტებისა და სოციალური მუშაკების მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს მრავალდარგობრივი მიდგომის დამკვიდრებას.

წპკ-ს რეკომენდაციაა, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიხედოს შრომითი რესურსების საკითხი ზემოთ მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით.

რაც შეეხება არანებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილებას ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, კომიტეტი მოუწოდებს ხელმძღვანელობას, უზრუნველყოს, რომ პერსონალის თერაპიულ როლს არ ენიჭებოდეს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა უსაფრთხოების საკითხებთან შედარებით. გარდა ამისა, წპკ-ს სურს იცოდეს, არსებობს თუ არა დეტალური წესები უსაფრთხოების თანამშრომლებისთვის, რომლებიც მათ მოვალეობებს შეეხება; კომიტეტს ასევე სურს მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული თანამშრომლების შერჩევის პროცედურების და მათი თავდაპირველი და მიმდინარე ტრენინგის თაობაზე.

129. რაც შეეხება თანამშრომლების ტრენინგს, ხუთი წლის წინ ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექთნებს ჩაუტარდათ ტრენინგი სამუშაოდან მოუწყვეტლად. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში არ ჩატარებულა რაიმე ტრენინგი. ამასთან დაკავშირებით **წპკ**-ს სურს განსაკუთრებით აღნიშნოს, რომ უკიდურესად სასურველია ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება როგორც საკუთარ სამუშაო ადგილას, ასევე სხვა დაწესებულებებში. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ხელი შეუწყოს ტრენინგს (როგორც საწყის, ასევე მიმდინარეს) ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტისა და ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს (და ასევე ქვეყნის სხვა ფსიქიატრიული დაწესებულებების) თანამშრომელთა ყველა კატეგორიისთვის.**

6. ფსიქიატრიული პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები

130. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, პაციენტის

მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები, თუ არსებობს პაციენტის მიერ საკუთარი თავის ან გარშემომყოფთა დაზიანების რეალური საფრთხე და მისი თავიდან აცილება სხვაგვარად შეუძლებელია. კანონი დასაშვებად მიიჩნევს ფიზიკური შეზღუდვის შემდეგ საშუალებებს — იზოლაციას სპეციალიზებულ პალატაში და/ან ფიზიკურ შებოჭვას. გადაწყვეტილება ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენების თაობაზე უნდა მიიღოს მკურნალმა ან მორიგე ექიმმა. კანონმდებლობა ასევე ადგენს, რომ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენება უნდა შეწყდეს მაშინვე, როგორც კი შეწყვეტს არსებობას საფრთხის გამომწვევი მიზეზი და რომ დაუშვებელია ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების ან მედიკამენტების გამოყენება პაციენტის დასჯის ან დაშინების მიზნით. გარდა ამისა, პაციენტს ან მის იურიდიულ წარმომადგენელს/ნათესავს შეუძლია ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენების გასაჩივრება სასამართლოში.

ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენების პროცედურასთან დაკავშირებული უფრო დეტალური ინსტრუქციები მიღებულიაა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის 2007 წლის 21 მარტის ბრძანებით. აღნიშნული ინსტრუქციების მიხედვით, ექიმის მიერ გაცემული ნებართვა ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით მოქმედებს მხოლოდ 4 საათის განმავლობაში. ამ დროის ამოწურვის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში, საჭიროა მისი განახლება. ფიზიკური შეზღუდვა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ სპეციალურად მომზადებულმა თანამშრომლებმა დაწესებულების მიერ გამოშვებული ინსტრუქციების მიხედვით. აღნიშნული ზომის გამოყენებისას პაციენტს ყოველ 15 წუთში უნდა ამოწმებდეს ექიმი. ამ ზომის მიღების საფუძველი და მისი ხანგრძლივობის და დასრულების დრო უნდა დაფიქსირდეს სამედიცინო დოკუმენტებში.

აღმოჩნდა, რომ მონახულებული ორი ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომლებმა არაფერი იცოდნენ სამინისტროს მიერ მიღებული ზემოხსენებული ინსტრუქციების შესახებ.

131. ინდივიდუალური <u>იზოლაცია</u> არ გამოიყენებოდა ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსიტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გარდა ამ უკანასკნელის არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილებისა, რომელშიც იყო საიზოლაციო ოთახი, ე.წ. „კარცერი". აღნიშნული ოთახის ფართობი შეადგენდა 4 $მ^2$-ს, მას არ ჰქონდა ფანჯარა და იქ მხოლოდ საწოლი იდგა. არ არსებობდა „კარცერის" გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებული ჩანაწერები და აშკარა იყო, რომ იქ შეიძლებოდა პაციენტის გამოკეტვა ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე არაერთი დღის განმავლობაში. „კარცერში" მოთავსება, რასაც, მედიკოსების თქმით, ჰქონდა თერაპიული მიზნები, პაციენტების მიერ აღიქმებოდა, როგორც სასჯელი. მას შემდეგ, რაც ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ გააკეთა განცხადება თავისი აღმოჩენის შესახებ, საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **ნპკ**-ს, რომ „კარცერი" გაუქმდა.

132. ორივე დაწესებულებაში <u>ფიზიკური შეზღუდვა</u> გულისხმობდა მიბმას საწოლზე ტილოს სახვევებით, რაც, ჩვეულებრივ, 20-60 წუთი გრძელდებოდა. ეს ის დროა, რომლის განმავლობაშიც მოქმედებას იწყებს პაციენტისთვის გაკეთებული სედატიური საშუალებები.

დელეგაცია შეაშფოთა პაციენტების ფიზიკურმა შეზღუდვამ ორივე დაწესებულებაში ყველა დანარჩენი პაციენტის თვალწინ. გარდა ამისა, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში ცხადი გახდა, რომ ფიზიკური შეზღუდვის გადაწყვეტილების მიღება, როცა პაციენტი აღიგზნებოდა, შეეძლოთ იმ დროს მომუშავე თანამშრომლებს, ანუ ექთანს ან სანიტარს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების ნებართვას აძლევდა ფსიქიატრი. უფრო მეტიც, ზოგჯერ პერსონალს პაციენტის ფიზიკურ შეზღუდვაში სხვა პაციენტებიც ეხმრებოდნენ.

არც ერთ დაწესებულებას არ ჰქონდა ფიზიკური შეზღუდვის აღრიცხვის სანდო ჩანაწერების წარმოების სისტემა. ფიზიკური შეზღუდვა მოიხსენიებოდა ექთნების ჟურნალში, ზოგჯერ კი-პაციენტის ისტორიაში. თუმცა არც ერთ ჩანაწერში არ იყო მოცემული ამგვარი ზომის განხორციელების დაწყების ან დასრულების დრო.

133. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" ახალ კანონსა და ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ინსტრუქციებში მოცემულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც უნდა წარმოადგენდეს პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველს თითოეული ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის. სახელმძღვანელო მითითებებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, ფიზიკური შეზღუდვის რომელი საშუალების გამოყენება შეიძლება, როგორ გარემოებებში, მოცემული უნდა იყოს მათი გამოყენების პრაქტიკული საშუალებები და აუცილებელი ზედამხედველობა და მოქმედებები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს ამ საშუალებების მიღების დასრულების შემდეგ. ამგვარი სახელმძღვანელო მითითებების მიღებას უნდა ახლდეს პრაქტიკული ტრენინგი კონტროლისა და ფიზიკური შეზღუდვის ტექნიკაში. ასეთი ტრენინგი უნდა გაიაროს ყველა თანამშრომელმა (ექიმებმა, ექთნებმა, სანიტრებმა და ა.შ.). საჭიროა ტრენინგის მასალების რეგულარული განახლება. დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის მონაწილეობასა და დახ-

მარებას აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების ჩამოყალიბებაში. პაციენტები სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი (წერილობით) დაწესებულების ფიზიკურ შეზღუდვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებებისა და ასევე, ამ საკითხზე საჩივრების შეტანის მექანიზმების შესახებ. **წპკ**-ს აზრით, ასეთი სახელმძღვანელო მითითებები არა მხოლოდ დაეხმარება თანამშრომლებს, არამედ ხელს შეუწყობს პაციენტებსა და მათ იურიდიულ წარმომდგენლებს ფიზიკური შეზღუდვის ზომის განმსაზღვრავი ლოგიკის გაგებაში.

არც ის არის იშვიათი, როცა ფიზიკური შეზღუდვის ზომებს პაციენტები აღიქვამენ, როგორც სასჯელს. ამგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებისა და შემდგომში ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის განვითარების მიზნით პაციენტებს, რომელთა მიმართაც გამოიყენეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები — ან რომლებიც შეესწრნენ ამ მეთოდების გამოყენებას — ამ ზომების შეწყვეტის შემდეგ უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ახსნა-განმარტება. ეს მისცემს ექიმს ამგვარი ზომის საჭიროების განმარტების შესაძლებლობას და, ამგვარად, ხელს შეუწყობს მისი ლოგიკის გაგებას. პაციენტისთვის ასეთი ახსნა-განმარტება იქნება შესაძლებლობა, გამოხატოს თავისი გრძნობები, რომლებიც ფიზიკური შეზღუდვის დაწყებამდე ჰქონდა, რაც შეიძლება პაციენტსაც დაეხმაროს საკუთარი საქციელის გაგებაში და პერსონალსაც.

წპკ-ს რეკომენდაციაა, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (და ასევე, ქვეყნის სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში) გადაიდგას ნაბიჯები ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებების ჩამოყალიბებისთვის ზემოთ მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, კომიტეტის რეკომენდაციაა, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ პაციენტის ფიზიკურ შეზღუდვას არ ხდებოდე სხვა პაციენტების წინაშე და/ან მათი დახმარებით და რომ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების განმავლობაში პაციენტთან ყოველთვის იმყოფებოდეს დაწესებულების რომელიმე თანამშრომელი.

გარდა ამისა, **წპკ კიდევ ერთხელ იმეორებს თავის რეკომენდაციას, რომ ფიზიკური და/ან ქიმიური შეზღუდვის ყველა შემთხვევა ჩაიწეროს სპეციალურ ჟურნალში, რომელიც შეიქმნება ამ მიზნით (ექთნების ჟურნალებთან და პაციენტის ისტორიებთან ერთად). ჩანაწერი უნდა მოიცავდეს შეზღუდვის ზომის დაწყებისა და დასრულების დროს იმ ექიმის ვინაობას, რომელმაც გასცა შესაბამისი ბრძანება ან დაადასტურა ამ ზომის გამოყენების საჭიროება და პაციენტებისა თუ თანამშრომლების მიერ მიღებულ დაზიანებებს.** ინფორმაციის ჩაწერის ამგვარი სისტემა, სხვა სარგებლობასთან ერთად, დაეხმარება ხელმძღვანელობას და გარეშე ორგანოებს ფიზიკური შეზღუდვის ზომის გამოყენების მონიტორინგში.

7. სამართლებრივი დაცვის საშუალებები

134. 2006 წლის კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 1 იანვარს, ადგენს სამართლებრივ პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადამიანის მოთავსებისას.

კანონის მე-18 მუხლი ეხება <u>არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას</u>. რაც შეეხება დაწესებულებაში თავდაპირველი მოთავსების პროცედურას, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი ეხება ექიმი-ფსიქიატრებისგან შემდგარი კომისიის მიერ პაციენტის შემოწმებას 48 საათის განმავლობაში სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების მომენტიდან. თუ კომისია დაასკვნის, რომ აუცილებელია არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება (კანონის მე-18 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით[50]), ადმინისტრაციამ 48 საათის განმავლობაში უნდა მიმართოს სასამართლოს, რომელმაც შემდეგი 24 საათის განმავლობაში უნდა გასცეს ბრძანება არანებაყოფლობითი სტაციონარული დახმარების უზრუნველყოფის თაობაზე. კანონი ასევე ითვალისწინებს პაციენტის ან მისი იურიდიული წარმომადგენლის (ნათესავის, ადვოკატის ან სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატის) დასწრებას სასამართლო მოსმენაზე და სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. 2006 წლის ივლისში ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების (რომელთა მიზანი იყო „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ ახალი კანონის ასახვა) თანახმად, თუ პაციენტს არ შეუძლია ადვოკატის დაქირავება, სასამართლო ვალდებულია, უფასოდ აღმოუჩინოს მას სამართლებრივი დახმარება. უფრო მეტიც, თუ პაციენტს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ შეუძლია დასწრება სასამართლო საქმის მოსმენაზე, სასამართლო უნდა ჩატარდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სტაციონარში თავდაპირველი არანებაყოფლობითი <u>მოთავსება არ</u> უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. ექიმ-ფსიქიატრთა კომისია ვალდებულია, ყოვ-

50 მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება აუცილებელია, როდესაც პირს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე, აგრეთვე მაშინ, როცა იგი რეალურ საფრხეს უქმნის საკუთარ ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ელთვიურად განიხილოს სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაგრძელების მიზანშეწონილობა. თუ კომისია საჭიროდ მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების სამ თვეზე მეტი ვადით გაგრძელებას, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია პაციენტის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების სამთვიანი ვადის ამოწურვამდე 72 საათით ადრე მიმართავს სასამართლოს ამ ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მიმართვიდან 72 საათის განმავლობაში. როგორც კი ამოიწურება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმები, პაციენტი უნდა გაიწეროს საავადმყოფოდან ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის გადაწყვეტილებით და ეს გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს სასამართლოს.

135. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" კანონის ახალი დებულებები გვთავაზობს სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვან ზომებს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტებისთვის. მაგრამ დელეგაციის მიერ მიღებული შედეგები მიგვითითებს, რომ ვიზიტის მსვლელობისას კანონი ჯერ არ მოქმედებდა პრაქტიკაში. ორივე დაწესებულებაში მიღებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობდა სტაციონარში არანებაყოფლობითი მოთავსების არც ერთი შემთხვევა, რომელიც დადასტურებული იქნებოდა სასამართლო გადაწყვეტილებით სამოქალაქო პროცედურების მიხედვით. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტები ორივე დაწესებულებაში იმყოფებოდნენ ჩაკეტილ პალატებში და ბევრმა პაციენტმა, რომლებსაც დელეგაციის წევრები ესაუბრნენ, განაცხადა, რომ ისინი სტაციონარში თავიანთი სურვილის პრევენციისდ მოათავსეს და რომ მათ უნდოდათ დაწესებულებების დატოვება.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოფს სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებასთან დაკავშირებული პროცედურების სათანადოდ შესრულება და სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებების რეალურად მოქმედება.

136. სავალდებულო სამედიცინო ზომების სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურები იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვერ დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე, განხილულია 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში[51]. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ამგვარი ადამიანების ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებას სასამართლო გადაწყვეტილებით, სასამართლო- ფსიქიატრიული ექსპერტიზის საფუძველზე. ამგვარი გადაწყვეტილებების რეგულარული (ანუ სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ) სასამართლო განხილვები ტარდება ფსიქიატრიული კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის წევრები ესწრებიან სასამართლო მოსმენას. სავალდებულოა სასამართლოზე პაციენტის ადვოკატის დასწრება. გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პაციენტის, მისი ადვოკატის ან წარმომადგენლის მიერ.

ქუტირის საავადმყოფოს არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილებაში მომუშავე ზოგიერთი ფსიქიატრის თქმით, არსებობდა პაციენტების გარკვეული რაოდენობა, რომელთა ფსიქიკური მდგომარეობა აღარ საჭიროებდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ყოფნას. მაგრამ სასამართლომ, ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ პაციენტი გადაყვანილიყო უფრო მსუბუქი რეჟიმის განყოფილებაში ან გაწერილიყო დაწესებულებიდან, არ დააკმაყოფილა მოთხოვნა და, ამგვარად, მკურნალობის საჭიროება არ გაითვალისწინა. ზოგიერთ შემთხვევაში სტაციონარში ხანგრძლივი მოთავსება გამოწვეული იყო გარე სამყაროში (დაწესებულებასა თუ ოჯახში) ადექვატური მზრუნველობის/საცხოვრებლის უქონლობით. პაციენტების ისტორიების შემოწმებამ ასევე გამო

დებულო მკურნალობის ზომების გადასინჯვასთან დაკავშირებით და, თუ ეს ასეა, რა ფუნქციას ასრულებს იგი ამ კომისიაში.

137. **წპკ** საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პრინციპული საკითხია ფსიქიატრიული პაციენტების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ მათ შეეძლოთ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული თანხმობის მიცემა მკურნალობასთან დაკავშირებით. ადამიანის მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი წესით – იქნება ეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმის კონტექსტში – არ უნდა უშლიდეს ხელს ინფორმირებული თანხმობის მიღებას მკურნალობაზე. დაწესებულებაში ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობით მოთავსებული ყოველი ქმედუნარიანი პაციენტი სრულად ინფრომირებული უნდა იყოს იმ მკურნალობის შესახებ, რომელიც მან უნდა გაიაროს და მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, უარი განაცხადოს მკურნალობაზე ან ნებისმიერ სხვა სამედიცინო ჩარევაზე. ნებისმიერი გადახრა ამ ფუნდამენტური პრინციპიდან უნდა ეფუძნებოდეს კანონს და უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ მკაფიოდ და მკაცრად დადგენილ გამონაკლის გარემოებებს.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის (1) (ე) პუნქტი ადგენს, რომ პაციენტებს აქვთ უფლება, უარი განაცხადონ მკურნალობაზე, გარდა მე-16 (ფიზიკური შეზღუდვა) და მე-18 (სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსება) მუხლებით განსაზღვრული შემთხვევებისა. ეს უკანასკნელი გამონაკლისი, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ პრინციპს. **წპკ-ს სურს საქართველოს ხელისუფლების კომენტარების მიღება აღნიშნულ საკითხზე.**

ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუში რამდენიმე პაციენტის ისტორიაში დელეგაციამ გამოავლინა მკურნალობაზე თანხმობის ფორმა. დირექტორის თქმით, ეს ფორმა სულ ცოტა ხნის წინ იყო შემოღებული მისი ინიციატივით. მაგრამ პაციენტების უმრავლესობის ისტორიებში არ მოიძებნა ამგვარი ფორმა. ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებობდა ამგვარი ფორმის შემოღების გეგმა, მაგრამ ხელმძღვანელობა ელოდებოდა მითითებას ამის თაობაზე სამინისტროდან.

წპკ-ს რეკომენდაციაა, ყველა პაციენტს (ხოლო თუ პაციენტი ქმედუუნაროა, მის იურიდიულ წარმომადგენელს) სისტემატურად მიეწოდოს ინფორმაცია მათი მდგომარეობისა და მათთვის დადგენილი მკურნალობის შესახებ; ექიმებს მიეცეთ მითითება, რომ ისინი ყოველთვის ეცადონ პაციენტებისგან თანხმობის მიღებას მკურნალობის დაწყებამდე, რაც შესაძლებელია მკურნალობის მიმართ ინფორმირებული თანხმობის სპეციალური ფორმის დახმარებით, რომელიც ხელმოწერილი იქნება პაციენტის ან (თუ იგი ქმედუუნაროა) მისი იურიდიული წარმომადგენლის მიერ. გარდა ამისა, პაციენტებს (და მათ იურიდიულ წარმომადგენლებს) მკურნალობის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უნდა მიეწოდებოდეთ შესაბამისი ინფორმაცია.

138. რაც შეეხება ინფორმაციას პაციენტების უფლებებთან, მოვალეობებთან და დაწესებულების შიდა წესებთან დაკავშირებით, იგი პაციენტებს თანამშრომლების მიერ სიტყვიერად ეძლეოდა დაწესებულებაში შემოსვლისას. ქუტირის საავადმყოფოში პაციენტების უფლებები წერილობითი ფორმით გამოკრულია განყოფილების კედლებზე.

წპკ-ს თვლის, რომ საჭიროა გამოიცეს ბროშურა დაწესებულებებში მიღებული წესებისა და პაციენტების უფლებების შესახებ. მასში ასევე უნდა შეიტანონ ინფორმაცია საჩივრების მიმღები ორგანოებისა და საჩივრის განხილვის პროცედურის შესახებ. აღნიშნული ბროშურა დაწესებულებაში მოთავსებისას უნდა დაურიგდეს პაციენტებს და მათი ოჯახის წევრებს. ყველა იმ პაციენტმა, რომლებსაც არ ძალუძთ ბროშურის შინაარსის გაგება, უნდა მიიღოს სათანადო დახმარება. **წპკ-ს რეკომენდაციაა, გამოიცეს ამგვარი ბროშურა და სისტემატურად ურიგდებოდეს პაციენტებსა და მათი ოჯახების წევრებს საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მიღებისას.**

139. რაც შეეხებ კონტაქტს გარე სამყაროსთან, ნათესავების მიერ პაციენტების მონახულება, მათთან ტელეფონით საუბარი და მიმოწერა არ იყო შეზღუდული. მაგრამ არც ერთ დაწესებულებაში არ არის გამოყოფილი რაიმე ადგილი შეხვედრებისთვის, ამიტომ პაციენტები ნათესავებს პალატებში ან საერთო ოთახებში ხვდებოდნენ. **წპკ-ს რეკომენდაციაა, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიღონ ზომები რაიმე ოთახების გამოყოფისთვის, სადაც პაციენტები შეძლებდნენ თავიანთ ნათესავებთან შეხვედრას.**

140. საჩივრების შეტანის ქმედითი პროცედურა კიდევ ერთი ძირითადი დაცვის საშუალებაა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. უნდა არსებობდეს სპეციალური წესები, რომლებიც პაციენტებს მისცემდა ოფიციალური საჩივრის კონკრეტულად დადგენილ ორგანოში შეტანისა და დაწესებულების გარეთ არსებულ შესაბამის ხელისუფლებასთან კონფიდენციალური ურთიერთობის საშუალებას.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის (1) (ზ) პუნქტის თანახმად, პაციენტებისთვის გარანტირებულია სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის მიმართვისა და საჩივრის შეტანის უფლება. როგორც ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის

ინსტიტუტში დელეგაციას აცნობეს, პაციენტებისგან საჩივრების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ყოფილი პაციენტების ასოციაციას, რომელიც სამართლებრივ დახმარებას უწევდა პაციენტებსა და მათ ოჯახებს. ქუტირის საავადმყოფოში ჰქონდათ „საჩივრების ყუთი" განყოფილებებისკენ მიმავალ დერეფანში.

წპკ-ს სურვილია, მიიღოს უფრო მეტი ინფორმაცია იმ პროცედურის თაობაზე, რომლის მიხედვითაც ფსიქიატრიულ პაციენტებს შეუძლიათ საჩივრის შეტანა, ასევე, იმ გარანტიების თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ამგვარი საჩივრების კონფიდენციალურობას და-ჩამონათვალი იმ ხელისუფლების/ორგანოებისა, რომლებსაც შეიძლება წარედგინოთ საჩივრები.

141. რაც შეეხება <u>გარეშე ზედამხედველობას</u>, ორივე დაწესებულებაში ხშირად მიდიან სახალხო დამცველის ოფისი და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ჩამოაყალიბოს ფსიქიატრიული დაწესებულებების დამოუკიდებელი გარე ორგანოების მიერ რეგულარული მონახულების სისტემა. კერძოდ, ამგვარ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ პაციენტებთან განმარტოებით საუბრის, მათგან საჩივრის უშუალოდ მიღებისა და მათთვის საჭირო რეკომენდაციის მიწოდების უფლება.**

<u>დ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებარებული დაწესებულებები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

142. **წპკ**-ს დელეგაციამ პირველად მოინახულა საქართველოს ისეთი დაწესებულება, რომელიც ექვემდებარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – <u>სამტრედიის სპეციალური სკოლა არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის</u>. 1960 წელს აშენებული სკოლა დასავლეთ საქართველოს პატარა ქალაქის, სამტრედიის, განაპირას დგას. ეს არის დახურული ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება იმ არასრულწლოვანებისთვის, რომლებსაც ჩადენილი აქვთ სოციალურად სახიფათო დანაშაული, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად. ეს ამ სახის ერთადერთი დაწესებულებაა ქვეყანაში.

ვიზიტის დროს სკოლას ოფიციალურად ჰქონდა 50 ადგილი და იქ ცხოვრობდა ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის 33 ბიჭი (სახეზე იყო 28 მათგანი, ხოლო დანარჩენი 5 არდადეგებზე გაშვებული იყო თავის ოჯახებში). შვიდ ბავშვს დაწესებულებაში გატარებული ჰქონდა სამ წელიწადზე მეტი. ბავშვების უმრავლესობა დაწესებულებაში მოთავსებული იქნა მაწანწალობისა და ქურდობისთვის.

143. სკოლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ სამართლებრივ ბაზას იძლევა 1976 წლის კანონი „განათლების შესახებ", თავისი არაერთი შესწორებით. 2006 წლის ბოლოს სასამართლო სისტემის რეფორმის კონტექსტში შესული შესწორება ეხება დაწესებულებაში მოთავსების პროცედურას (რაც ადრე შედიოდა არასრულწლოვანთა კომისიის სფეროში). თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც ჩაიდენენ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად დანაშაულს, ამჯერად გადაეცემიან რაიონულ სასამართლოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მათი სკოლაში მოთავსების თაობაზე. თუ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული სკოლაში ყოფნის ხანგრძლივობა, მაშინ ბავშვი რჩება იქ სამი წლის განმავლობაში. ვიზიტის დროს მხოლოდ ორი ბავშვი იყო მოთავსებული სკოლაში სასამართლოს ახალი პროცედურით მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით.

კანონი იძლევა თერთმეტ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვის დაწესებულებაში მოთავსების უფლებას, თუ მას არ ჰყავს ოჯახი ან ვინმე სხვა ადამიანი, რომელიც შეძლებდა მის მოვლას. რაც შეეხება ასაკის ზედა ზღვარს, იგი შეიძლება გაგრძელდეს თექვსმეტამდე, რათა ბავშვმა შეძლოს სკოლის დამთავრება. პრაქტიკაში, ბავშვებს სკოლაში დარჩენა შეუძლიათ 18 წლამდე, გამომდინარე ზემოთ აღნიშნული სამწლიანი მოთავსების წესიდან.

144. ვიზიტის განმავლობაში აშკარა გახდა, რომ სკოლის ხელმძღვანელობა არ იყო სათანადოდ ინფორმირებული დაწესებულებაში მოთავსებასთან დაკავშირებული ბოლო ცვლილების შესახებ. აღნიშნულის შედეგად გაურკვეველია მთელი რიგი პროცედურული საკითხებისა, მაგალითად, პირველი მოთავსების ხანგრძლივობა, საქმის განხილვისა და განთავისუფლების პროცედურა, იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და ბავშვების დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული საკითხები. **წპკ-ს სურვილია, მიიღოს დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით. კომიტეტის რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს სამტრედიის სპეციალური სკოლის ხელმძღვანელობისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება ბავშვების დაწესებულებაში მოთავსების შესახებ. იგივე ინფორმაცია უნდა მიიღონ ბავშვების ოჯახებმა და/ან იურიდიულმა წარმომადგენლებმა.**

2. არასათანადო მოპყრობა

145. **წპკ**-მ მიიღო შეტყობინება თანამშრომლებისგან არასრულწლოვანების მიმართ სა-

ვარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ, მაგრამ ვერ აღმოაჩინა ამის რაიმე მტკიცება. პირიქით, კომიტეტის დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამშრომლების მზრუნველობამ ბავშვების მიმართ. თანამშრომლებსა და ბავშვებს შორის აღინიშნებოდა თბილი დამოკიდებულება და ბავშვებიც ძალიან დადებითად ახასიათებდნენ დაწესებულების თანამშრომლებს.

3. საცხოვრებელი პირობები

146. სკოლას უკავია ორი სამსართულიანი შენობა, რომელთაგან ერთი ვიზიტის პერიოდში რემონტდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებული დამატებითი სახსრებით. აქედან გამომდინარე, ძირითადი საქმიანობა მიმდინარეობდა მეორე შენობაში, სადაც განთავსებულია ბავშვების ოთახები.

საცხოვრებელი პირობები ზოგადად შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს. ბავშვებს ეძინათ სამ დიდ საძინებელში (თორმეტი საწოლი 72 $მ^2$-ის ფართობის ოთახში, რვა ბავშვი – 48 და 62 $მ^2$ ოთახებში). ოთახებში კარგი იყო ბუნებრივი განათება, ვენტილაცია და ხელოვნური განათება. ოთახები ასევე კარგად თბებოდა და ლაგდებოდა. ავეჯი შედგებოდა საწოლებისგან, რომლებზეც დაგებული იყო სუფთა ლეიბები და თეთრეული და საწოლებთან მიდგმული პატარა კარადებისგან.

მაგრამ ოთახები არ იყო მოწყობილი, არ ჰქონდა რაიმე ინდივიდუალური სახე და სამხედრო ყაზარმას წააგავდა. როგორც დელეგაციას განუმარტეს, რემონტის დროს დიდი საძინებლები დაიყოფა უფრო მცირე ოთახებად, რაც ბავშვებს მისცემს ინდივიდუალური გარემოს შექმნისა და თავიანთი პირადი ნივთების შენახვის საშუალებას. **წპპ-ს სურვილია, მიიღოს ინფორმაცია რემონტის დროს მიღებული ზომების შესახებ, რომლებიც მიმართული იქნება ბავშვების ოთახებში პირობების გაუმჯობესებისკენ.**

147. <u>სანიტარიული კვანძები</u> აშკარად არ იყო საკმარისი. შენობაში ფუნქციონირებდა ერთი ნახევრად დანგრეული სააბაზანო ორი შხაპით და ძალზე ცუდ მდგომარეობაში მყოფი ტუალეტი ყველა არასრულწოვნისთვის. შხაპის მიღების საშუალება ბავშვებს კვირაში ერთხელ შეეძლოთ, ხოლო დამატებითი შხაპის მიღება შეიძლებოდა მხოლოდ თხოვნის საფუძველზე. **წპპ-ს რეკომენდაციაა, სამტრედიის სპეციალურ სკოლაში მიღებული იქნეს ზომები სანიტარიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ბავშვებს მიეცეთ შხაპის ყოველდღე მიღების საშუალება.**

148. დელეგაციას ბავშვებისგან არ მიუღია რაიმე საჩივარი კვებასთან დაკავშირებით. მენიუს შემოწმებამ ცხადყო, რომ საკვები ბავშვებს მიეწოდებოდათ საკმარისი რაოდენობით, თუმცა მენიუ ძირითადად შედგებოდა ხორცის, კარტოფილისა და მაკარონისგან და თითქმის არ შეიცავდა ახალ ხილს, ბოსტნეულსა და რძის პროდუქტებს. სკოლის ხელმძღვანელობა არწმუნებდა დელეგაციას, რომ ბავშვებს თხოვნის შემთხვევაში შეეძლოთ ხილის შეუზღუდავი რაოდენობით მიღება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მენიუს შედგენისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მოზარდების ასაკი, ვინაიდან მათი ზრდის პროცესი არ არის დასრულებული (იხ., აგრეთვე, 151-ე პუნქტი). **წპპ-ს რეკომენდაციაა, სამტრედიის სპეციალურ სკოლაში მიღებული იქნეს ზომები ბავშვებისთვის განკუთვნილი მენიუს გამრავალფეროვნების მიმართულებით (ჩაირთოს მასში რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული) და აღნიშნული მენიუს მონიტორინგში უნდა ჩაერთონ ჯანდაცვის მუშაკები.**

სასადილო ოთახი მთლიანად გარემონტებულია არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით. გამაოგნებელი იყო კონტრასტი მეზობლად განლაგებულ სამზარეულოსთან, რომელიც ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო, თუმცა დელეგაციას ეცნობა, რომ სამზარეულოს რემონტის დაწყება 2007 წლის ივნისის ბოლო რიცხვებიდან იყო დაგეგმილი.

4. აქტივობა

149. ბავშვებისთვის შედგენილი იყო განათლების, სპორტის, რეკრეაციისა და სხვა მიზნობრივი საქმიანობების სრული პროგრამა. სკოლაში მოქმედებს იგივე სასწავლო პროგრამა, როგორიც ქვეყნის საჯარო სკოლებში. მეცადინეობები ტარდება დილის ცხრა საათიდან 14:30 სთ-მდე სამუშაო დღეებში. დღის დანარჩენი ნაწილი ეთმობა სპორტს, საშინაო დავალებების შესრულებას და უბრალოდ დასვენებას. მაგრამ სასწავლო პროგრამა საკმარისად არ არის მორგებული დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნების სპეციფიკურ საჭიროებებთან. უმცროსი ბავშვების უმრავლესობამ არ იცოდა წერა-კითხვა და ისინი საჭიროებდნენ სპეციალურ ყურადღებას და სწავლების განსაკუთრებულ მეთოდებს. რაც შეეხება უფროსი ასაკის არასრულწლოვნებს, ვიზიტის დროს ისინი არ იღებდნენ რაიმე პროფესიულ განათლებას; თუმცა ლითონის ნაკეთობათა სახელოსნო ფუნქციონირების დასაწყებად შემოდგომაზე იყო მზად. დელეგაციამ თანამშრომლებისგან შეიტყო, რომ განათლების სამინისტრო განიხილავდა სკოლაში ბავშვების საჭიროებებისადმი უფრო მისადაგებული სასწავლო პროგრამის დანერგვის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ფიზიკურ განათლებას, დაწესებულებას ჰქონდა როგორც ღია სპორტული მოედანი, ასევე დახურული სპორტული დარბაზი, რომლებიც სთავაზობდნენ ბავშვებს მრავალ სხვადასხვა სპორტულ აქტივობას. სკოლაში ასევე იყო პატარა ბიბლიოთეკა ერთი კომპიუტერით

(ორი ახალი კომპიუტერის მიღებას სკოლა 2007 წლის მაისის ბოლოს მოელოდა), იქვე იყო პიანინო და ელექტროორღანი.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სამტრედიის სპეციალურ სკოლაში მოთავსებული ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დანერგოს უფრო მისადაგებული პროგრამები და სასწავლო მასალები. წპკ-ს ასევე სურს მიიღოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გეგმები არსებობს სკოლაში პროფესიული განათლების შემოღებასთან დაკავშირებით.

5. წპკ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

150. რაც შეეხება სკოლაში მომუშავე თანამშრომლებს, ვიზიტის დროს სკოლაში მუშაობდა რვა მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ექვსი აღმზრდელი, სპორტული ინსტუქტორი, გუნდის ხელმძღვანელი და რვა ზედამხედველი. გარდა ამისა, სკოლაში რეგულარულად იმყოფებოდნენ ინგლისური ენის მასწავლებელი და კომპიუტერის ინსტრუქტორი, რომლებსაც ანაზღაურებას უხდიდა არასამთავრობო ორგანიზაცია.

დელეგაციამ აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ ტრენინგის პროგრამებში, ამ ტრენინგის დადებით ზეგავლენას ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის ადაპტაციასა და უფრო ინდივიდუალურ მიდგომაზე კარგ შეფასებას აძლევდნენ როგორც მასწავლებლები, ისე ბავშვები.

151. რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას, 2007 წლის დასაწყისიდან სკოლაში ნახევარ განაკვეთზე მუშაობა დაიწყო ორმა ექთანმა (ერთ-ერთი მათგანი მუდმივად სკოლაში იმყოფებოდა დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე კვირის შვიდივე დღის განმავლობაში). ბოლო პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით, სკოლამ შეძლო ექიმის დაქირავება. ექიმი რეგულარულად აკვირდება ბავშვების ჯანმრთელობას, ხოლო ექვს თვეში ერთხელ უტარებს სრულ სამედიცინო შემოწმებას გარედან მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად. გარდა ამისა, დელეგაციას აცნობეს, რომ ბავშვებს თავისუფლად მიუწვდებოდათ ხელი სკოლის გარეთ მოქმედ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებზე.

რაც შეეხება მედიკამენტებს, დელეგაციას მოახსენეს, რომ ამაზე ძირითადად ზრუნავდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ თვალსაზრისით **წპკ** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარედან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება არ ათავისუფლებს სახელმწიფოს თავისი ძირითადი პასუხისმგებლობისგან.

დელეგაციამ ზოგიერთ აღსაზრდელს შეამჩნია ჩამორჩენა სიმაღლესა და წონაში. მას შეატყობინეს, რომ ექვს თვეში ერთხელ შემოწმებაში დაგეგმილია ენდოკრინოლოგების ჩართვა. გარდა ამისა, ბავშვების 30%-ს აწუხებს ენურეზი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბავშვებს მიღებული აქვთ სათანადო მკურნალობა, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს მათი ფსიქოლოგიური დახმარების თვალსაზრისით.

წპკ კმაყოფილებით აღნიშნავს სამტრედიის სპეციალურ სკოლაში ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს **და იძლევა რეკომენდაციას, უფრო დიდი ყურადღება მიექცეს ბავშვების სიმაღლეში ზრდისა და წონაში განვითარების ჩამორჩენას (მათ შორის წონისა და სიმაღლის სისტემატური კონტროლის მეშვეობით ზრდის ცხრილების გამოყენებით) და ენურეზის პათოლოგიას, რისთვისაც საჭიროა ადექვატური მედიკამენტური მკურნალობის (რომელიც რეგულარულად უნდა გადაისინჯებოდეს) და სათანადო ფსიქოლოგიური დახმარების კომბინირება.**

152. რაც შეეხება კონტაქტს გარე სამყაროსთან, მშობლებს უნდა შეეძლოთ ბავშვების მონახულება დირექტორის ნებართვით. როგორც ამ უკანასკნელმა აუხსნა დელეგაციას, იგი გულდასმით ამოწმებდა, სურდათ თუ არა ბავშვებს შეხვედრა თავიანთ მშობლებთან (ზოგიერთ ბავშვს არ უნდოდა ურთიერთობა ოჯახებთან, რადგან ისინი აიძულებდნენ მათ მათხოვრობას ან ქურდობას).

ამასთანავე, ბავშვებს შეეძლოთ არდადეგების გატარება თავიანთ ოჯახებთან სკოლაში სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ და პედაგოგების ნებართვის მიღების საფუძველზე.

153. რაც შეეხება დისციპლინას, სკოლაში არ არის რაიმე დადგენილი დისციპლინარული პროცედურები და დისციპლინარული ზომები. თუ ბავშვი უარს აცხადებდა წესების შესრულებაზე, პრობლემა წყდებოდა ახსნა-განმარტებითი მუშაობით და სიტყვიერი ურთიერთობით.

ე. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები

154. დელეგაციამ მოინახულა თბილისის სამხედრო პოლიციის დაკავების საკანი („ჰაუპტვახტი“), რომელიც ასრულებს ორმაგ ფუნქციას: იმ სამხედრო პირების ადმინისტრაციულ დაკავებას 30 დღის განმავლობაში, რომლებმაც დაარღვიეს სამხედრო წესები, და იმ სამხედრო პირების დაკავებას 48 საათამდე, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულში. დაკავებულთა ეს ორი კატეგორია ერთმანეთისგან გამოყოფილია.

ჰაუპტვახტში არის 63 ადგილი, თუმცა დელეგაციის ვიზიტისას იქ მხოლოდ 6 დაკავებული იმყოფებოდა. ყველა მათგანი ადმინისტრაციულ სასჯელს იხდიდა.

155. დელეგაციას არ მიუღია რაიმე შეტყობინება თბილისის ჰაუტპვახტში დაკავებულების მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ.

156. ჰაუპტვახტი მოწყობილია თბილისის ცენტრის ერთ-ერთ ძველ სახლში. მისი საკნები უკიდურესად გავერანებულია და ამიტომ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გამოიყენება. საკნებში არსებული ძირითადი პირობები არაფრით ჩამოუვარდებოდა შუა საუკუნეების დილეგის პირობებს: საკნებში ძალიან ცუდი განათება იყო (საკნების უმრავლესობას არა აქვს ფანჯარა და მხოლოდ სუსტი ხელოვნური განათება აღწევს კედლებში არსებულ პატარა ღიობებში), არ იყო ვენტილაცია და გათბობა. დაკავებულ პირებს ეძინათ ხის პლატფორმებზე ან ვიწრო ხის სკამებზე, რომლებიც დღის განმავლობაში იკეცებოდა. ღამით დაკავებულებს ეძლეოდათ მხოლოდ სამხედრო ლაბადა და/ან საბანი.

დელეგაცია განსაკუთრებით აღაშფოთა ისეთი საკნების არსებობამ, რომლებიც შეიძლება შეგვედარებინა კუბოებისთვის: ისინი იყო ძალიან პატარა (დაახლოებით 1.15 ხ 1.80 მ), აბსოლუტურად ბნელი და სრულიად მოკლებული რაიმე მოწყობილობას, გარდა ვიწრო ხის სკამისა. თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ამ საკნებში უკვე ერთი წელი არ იყო ნამყოფი არავინ, მაგრამ დაკავებულებთან გასაუბრებიდან და ზედამხედველების ჩანაწერების შემოწმებიდან ცხადი გახდა, რომ ეს საკნები გამოიყენებოდა ჰაუპტვახტში გამწესებული ადამიანების მიმართ პირველი 24 საათის განმავლობაში.

157. ასევე არაადექვატური იყო სანიტარიული პირობებიც: საერთო ტუალეტი გაპარტახებული და ბინძური იყო, ხოლო პირსაბან საშუალებას წარმოადგენდა ცივი წყლის ონკანი ეზოში. ვინაიდან საკნებს არ ჰქონდა საშხაპე, დაკავებული სამხედრო პირები კვირაში ერთხელ მიჰყავდათ გარნიზონში შხაპის მისაღებად.

158. რაც შეეხება რეჟიმს ადმინისტრაციული წესით დაკავებული სამხედრო პირებისთვის, ისინი ყოველდღიურად 7 საათის განმავლობაში დაკავებულნი იყვნენ საკანს გარეთ აქტივობით (ვარჯიში, დასუფთავება, წვრთნა, სამხედრო კანონების შესწავლა და შენობის ტექნიკური მომსახურება). საკანს გარე ერთადერთი საქმიანობა, რომელიც დაშვებული იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილებისთვის, იყო ვარჯიში სუფთა ჰაერზე.

159. როგორც ეს მე-7 პუნქტში აღინიშნა, ვიზიტის ბოლოს **წპკ**-ს დელეგაციამ გააკეთა განცხადება იმ აღმოჩენის შესახებ, რომელიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებდა კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გაეუქმებინა ზემოხსენებული ვიწრო საკნები და **წპკ**-სთვის ერთ თვეში მოეხსენებინა თბილისის ჰაუპტვახტის გარემონტებასთან ან სათანადო შენობაში გადატანასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

2007 წლის 11 მაისის წერილში საქართველოს ხელისუფლება იტყობინებოდა, რომ თავდაცვის სამინისტრომ დახურა თბილისის ჰაუპტვახტი, ვინაიდან შენობა, რომელშიც იგი იყო განთავსებული, იმდენად ძველი და დაზიანებული იყო, რომ არ ექვემდებარებოდა შეკეთებას. ამავე დროს, ხელისუფლება აღნიშნავდა, რომ თავდაცვის სამინისტრო უახლოეს მომავალში გეგმავდა რემონტისა და სამშენებლო სამუშაოების დაწყებას ჰაპუტვახტში არსებული პირობების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.

წპკ-ს სურვილია, მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე, მოიძებნება თუ არა რემონტის განმავლობაში ისეთი შენობა, სადაც მოთავსებულნი იქნებიან ადმინისტრაციულ სასჯელმისჯილი და/ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი სამხედრო მოსამსახურეები.

დანართი I

წპკ-ს რეკომენდაციები, შენიშვნები და მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით

ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები

არასათანადო მოპყრობა

რეკომენდაციები

- სამართალდამცველი სტრუქტურების ყველა თანამშრომელს მუდმივად უნდა ახსენებდნენ, რომ დაკავებისას არ შეიძლება იმაზე მეტი ძალის გამოყენება, ვიდრე ეს სრულიად აუცილებელია და რომ დაკავებული ადამიანების კონტროლის ქვეშ აყვანის შემდეგ აღარაფერი ამართლებს მათ ცემას (პუნქტი 13);

- როდესაც პოლიციის დაკავების ადგილებში ყოფნის ბოლოს მოსამართლის წინაშე წარდგენილი პირები გამოთქვამენ უკმაყოფილებას პოლიციისგან არასათანადო მოპყრობასთან დაკავ-

შირებით, მოსამართლემ უნდა ჩაიწეროს საჩივარი, დაუყოვნებლივ გასცეს სასამართლო-სამედიცინო შემოწმების ბრძანება და მიიღოს შესაბამისი ზომები საჩივრების სათანადოდ გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით. ასეთ მიდგომასთან ერთად უნდა შემოწმდეს, აქვს თუ არა მოცემულ ადამიანს რაიმე თვალით ხილული გარეგანი დაზიანება. გარდა ამისა, არასათანადო მოპყრობის თაობაზე განცხადების არარსებობის შემთხვევაშიც კი მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო-სამედიცინო შემოწმება, თუ არსებობს სხვა საფუძველი (მაგალითად, თვალსაჩინო დაზიანებები, ზოგადად ადამიანის გარეგნობა ან ქცევა) იმის საფიქრალად, რომ არასათანადო მოპყრობას ჰქონდა ადგილი. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა შესწორდეს შესაბამისი საკანონმდებლო დებულებები (პუნქტი 15);

- უნდა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში დაზიანებების სკრინინგის გაუმჯობესებისთვის, კერძოდ, ამისათვის უნდა უზრუნველყონ:

• ყველა სამედიცინო შემოწმება საქმის მოსმენამდე და, თუ ამას გარკვევით სხვაგვარად არ მოითხოვს ექიმი კონკრეტულ შემთხვევაში, არასამედიცინო მუშაკების დაუსწრებლად;

• ექიმის მიერ დაზიანებებთან დაკავშირებით შედგენილი ანგარიში, გამოვლენილი დაზიანებების დეტალურ აღწერასა და მოცემული დაკავებულის მიერ გამოთქმულ საჩივართან ერთად, უნდა მოიცავდეს ექიმის დასკვნას იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება საჩივარი ობიექტურ სამედიცინო დასკვნას. (პუნქტი 16).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- პოლიციის თანამშრომლებისთვის ძალის გამოყენების საშუალებების, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღისა და „სპეციალური საშუალებების“, გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოს ასლი (პუნქტი 13);

- პოლიციის თანამშრომლებისგან მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრების, მათი გამოძიებისა და დაკისრებული სანქციების თაობაზე დეტალური ინფორმაცია 2007 წლისათვის (პუნქტი 14).

დაცვის საშუალებები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

<u>რეკომენდაციები</u>

- გატარდეს შემდგომი ზომები, რათა უზრუნველყონ პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ იურიდიული დახმარების სისტემის მუშაობის ეფექტიანობა; ეს უნდა გაკეთდეს ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშომლობის საფუძველზე (პუნქტი 18);

- გატარდეს შემდგომი ზომები, რათა პოლიციის მიერ თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებებთან დაკავშირებული წერილობითი ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდებოდეს ყველა ასეთ პირს პოლიციაში დაკავების პირველივე წუთებიდან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაკავებული პირების მიერ მათი უფლებების გაგების უზრუნველყოფას; აღნიშნულის მოგვარება უნდა დაეკისროთ პოლიციის თანამშრომლებს. წერილობითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შესაბამის ენაზე. (პუნქტი 19).

<u>შენიშვნები</u>

- **ნპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ზემოხსენებული ზომების განხორციელება, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № ღეც(2003)20 რეკომენდაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ გზებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების როლს (პუნქტი 20);

- **ნპკ** კვლავ დარწმუნებულია ისეთი პროცედურის დეტალური ჩამოყალიბების აუცილებლობაში, რომელიც დაცული უნდა იყოს რიგ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით (იხ. CPT/Inf (2002)14-ის 50-ე პუნქტი). (პუნქტი 21);

- **ნპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას შემდგომი ნაბიჯები იმისათვის, რომ პოლიციის თანამშრომლებს მუდმივად და ზუსტად შეჰქონდეთ ინფორმაცია დაკავების ჟურნალებში (პუნქტი 22).

დაკავების პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

- დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობების გაუმჯობესებისას მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი სტანდარტები: თითოეულ დაკავებულზე 4 m^2; ადექვატური განათება (მათ შორის, სასურველია, ბუნებრივი განათება), ვენტილაცია და გათბობა საკნებში; ყველა დაკავებულის უზრუნველყოფა ლეიბებითა და საბნებით; საკვების მიწოდება დაკავებულებისთვის კვებისთვის განკუთვნილ საათებში. ნებისმიერ დაკავებულს, რომელსაც მოუწევს დროებითი მოთავსების იზოლატორში 24 საათზე მეტი ხნის გატარება, უნდა მიეცეს შხაპის მიღებისა და სუფთა ჰაერზე გასვლის საშუალება, მიეწოდოს პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საგნები და შეექმნას გარკვეული აქტივობის ჩატარების საშუალება (მაგალითად, წიგნები, გაზეთები, სამაგიდო თამაშები); ეს უკანასკნელი მოთხოვნა განსაკუთრებით ეხება ადმინისტრაციული წესით დაკავებულებს, რომლებმაც დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიძლება 30 დღემდე დაყონ (პუნქტი 28).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ**-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება მომავალშიც უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებში არსებული საკნების გამოყენებას მხოლოდ რამდენიმე საათით დაკავების მიზნით და არასდროს გამოიყენებს მათ ღამის გასატარებელ ადგილად (პუნქტი 29).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- რაც შეეხება ზუგდიდისა და ხობის დაწესებულებებს, მიიღოს იმის დადასტურება, რომ გათვალისწინებული რემონტი ჩატარდა, ასევე - ინფორმაცია ახალი/გარემონტებული დაწესებულებების შესახებ (მათი ტევადობა, საკნების რაოდენობა, აღჭურვილობა, ჰაერზე ვარჯიშისთვის განკუთვნილი ეზო და ა.შ.) (პუნქტი 27);
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში მომუშავე თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სახელმძღანელოს ასლი (პუნქტი 28).

<u>ბ. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

წინასწარი შენიშვნები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააორმაგოს საპატიმროების გადატვირთვის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა და ამ პროცესში იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №(99)22 რეკომენდაციით, რომელიც საპატიმროების გადატვირთვასა და პატიმართა რიცხვის ზრდას ეხება, აგრეთვე №(2003)22 რეკომენდაციით, რომელიც პირობით (ვადამდე) გათავისუფლებას ეხება (პუნქტი 32);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს ძალისხმევა აქტივობათა პროგრამის შესამუშავებლად როგორც მსჯავრდებულებისათვის, ასევე წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის. ამის მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმრების ორივე კატეგორიას შეეძლოს გაატაროს დღის მნიშვნელოვანი ნაწილი (8 საათი ან მეტი) საკნების გარეთ და დაკავებული იყოს სხვადასხვა ხასიათის მიზანმიმართული საქმიანობით. რაც შეეხება სამუშაოს, ციხეებში დასაქმების სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია, ძირფესვიანად შეიცვალოს მიდგომა: პატიმრების მუშაობა უპირატესად რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე უნდა იყოს მიმართული და არა ფინანსურ მოგებაზე. (პუნქტი 33).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ**-ს სჯერა, რომ პატიმრობის კოდექსის პროექტის განხილვის დროს გათვალისწინებული იქნება ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები და შენიშვნები (პუნქტი 31).

არასათანადო მოპყრობა

<u>რეკომენდაციები</u>

- **წპკ** რეკომენდაციას იძლევა, რომ რუსთავის №6 საპყრობილის ხელმძღვანელობამ გარკვევით

აუხსნას საპყრობილის პერსონალს, რომ პატიმრების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ისევე, როგორც პატიმრების მიმართ უპატივცემულო და პროვოკაციული ქცევის სხვა ფორმები, მიუღებელია და მკაცრად დაისჯება. აღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ სფეროს და უზრუნველყოს საპყრობილის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რეგულარული ყოფნა იმ ადგილებში, სადაც პატიმრები იმყოფებიან, მათი უშუალო კონტაქტები პატიმრებთან, პატიმრების საჩივრების განხილვა და საპყრობილის პერსონალის ტრენინიგის გაუმჯობესება (პუნქტი 35);

- დაუყოვნებლივ შეწყდეს რუსთავის №6 საპყრობილეში ყველა პატიმრისა და ზუგდიდის №4 საპყრობილეში მამრობითი სქესის ყველა არასრულწლოვანი პატიმრისთვის სავალდებულო წესით თმის გადაპარსვის პრაქტიკა (პუნქტი 36).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- ინფორმაცია საპყრობილის იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შედეგების შესახებ, რომლებსაც ბრალად ედებათ პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობა რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში 2007 წლის თებერვალში (პუნქტი 35);

- დეტალური ინფორმაცია საპყრობილის პერსონალთან დაკავშირებული საჩივრებისა და დისციპლინარული პროცედურების შესახებ, რომლებსაც დაერთვება მათი ობიექტურობის, დოკუმენტაციის სისწორის, დროული განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების დამადასტურებელი საბუთები (პუნქტი 35);

- შემდეგი ინფორმაცია საქართველოს ყველა ციხესთან დაკავშირებით 2006 და 2007 წლებისთვის:

• საპყრობილის პერსონალის წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობის გამო შეტანილი საჩივრების რაოდენობა;

• დაკისრებული დისციპლინარული და/ან სისხლისსამართლებრივი სანქციების შესახებ ანგარიში (პუნქტი 35).

დაკავების პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

- რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მიიღონ ზომები, რათა:

• საერთო საკნებში შემცირდეს ფართობის ყოველ ერთეულზე ბინადართა რაოდენობა იმ მიზნით, რომ თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს სულ მცირე 4 $მ^2$;

• უზრუნველყოფონ საპყრობილის საცხოვრებელი ზონის, კერძოდ, საკნების სანიტარიული კვანძების სათანადო გასუფთავება და მოვლა;

• პატიმრები უზრუნველყოფონ თეთრეულით, რომელიც სათანადო პერიოდულობით გაირეცხება;

• პატიმრები სათანადო რაოდენობით უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის საშუალებებით;

• უზრუნველყონ საპყრობილის მაღაზიაში გასაყიდად გამოტანილი საკვები პროდუქტების შესაბამისობა პატიმრების მოთხოვნილებებთან და მათ ფინანსურ შესაძლებლობებთან;

• შეიმუშაონ აქტივობის სახეები პატიმრებისთვის (კერძოდ: სამუშაო, ტრენინგი, განათლება, სპორტი). (პუნქტი 42);

- საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს თბილისის №5 საპყრობილის გადატვირთულობის დიდი ხნის პრობლემისა და ამასთან დაკავშირებული სხვა სირთულეების (შხაპის, ჰაერზე სეირნობის და ა.შ. უზრუნველყოფა) საბოლოოდ გადასაჭრელად. ამაში უნდა შედიოდეს ის ზომებიც, რომლებიც უზრუნველყოფს პრევენციული ზომის სახით თავისუფლების აღკვეთის მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე გამოყენებას. ამ თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით № Rec(2006)13, რომელიც თავისუფლების აღკვეთას, მისი გამოყენების პირობებსა და შეურაცხმყოფელი მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის საშუალებების უზრუნველყოფას ეხება (პუნქტი 44);

- რუსთავის №6 საპყრობილეში გატარდეს შემდეგი ზომები:

• შემცირდეს საკნებში მოთავსებული პატიმრების რაოდენობა ისე, რომ თითოეულ პატიმარზე სულ მცირე 4 მ.კვ მოდიოდეს;

• უზრუნველყონ პატიმრების ბინადრობის ფართობის, კერძოდ, საკნებში არსებული სანიტარ-

იული კვანძების და საერთო საშხაპეების, სათანადო დასუფთავება და მოვლა;

• საკნებში დამონტაჟდეს გამოძახების სისტემა;

• „კარანტინში“ მყოფი პატიმრები უზრუნველყონ სრულფასოვანი საწოლებით (მატრასების ჩათვლით);

• განიხილონ პატიმრების მიერ შხაპის უფრო ხშირად მიღების შესაძლებლობა, „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 მუხლის კონტექსტში;

• პატიმრებს მიეწოდოთ პირადი ჰიგიენის უფრო მრავალფეროვანი საშუალებები და გაუმჯობესდეს პატიმრების ტანსაცმლის რეცხვის პირობები;

• უზრუნველყონ პატიმრების თეთრეულის რეცხვა სათანადო პერიოდულობით.

(პუნქტი 51);

- რუსთავის №6 საპყრობილეში მიღებული იქნეს შემდეგი სასწრაფო ზომები:

• ყველა კატეგორიის პატიმრისთვის შემუშავდეს აქტივობათა პროგრამა 33-ე და 54-ე პუნქტებში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, რაც სოციალური რეაბილიტაციის პროცესის არსებით ნაწილს წარმოადგენს;

• ყველა პატიმრისთვის უზრუნველყონ სულ მცირე ერთსაათიანი ყოველდღიური სეირნობა ჰაერზე, რათა ისინი ფიზიკურად დაიტვირთონ. დაწესებულების ვრცელი ტერიტორია იძლევა სავარჯიშო და სპორტული მოედნების მოწყობის საშუალებას. (პუნქტი 55);

- თბილისის №7 საპყრობილეში გატარდეს სათანადო ზომები, რათა:

• საკნებში შემცირდეს ფართობის ყოველ ერთეულზე ბინადართა რაოდენობა იმ მიზნით, რომ თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს სულ მცირე 4 მ.კვ;

• გარემონტდეს პირველი და მეორე დონეების საკნები, რათა ისინი სულ მცირე მე-3 დონის საკნების სტანდარტს მიუახლოვდეს (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დღის სინათლის, სუფთა ჰაერისა და ხელოვნური განათების ხელმისაწვდომობას);

• განხილული იქნეს პატიმრების მიერ შხაპის უფრო ხშირად მიღების შესაძლებლობა, „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 მუხლის კონტექსტში;

• ყველა პატიმარი უზრუნველყონ ლოგინის სრული კომპლექტებით (ანუ ლეიბებით, საბნებით, ბალიშებით, თეთრეულით), რომელიც სათანადო პერიოდულობით გაირეცხება. (პუნქტი 61);

- თბილისის №7 საპყრობილეში პრიორიტეტული ზომები იქნეს მიღებული დაწესებულებაში მყოფი პატიმრების აქტივობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პირველ რიგში, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ბიბლიოთეკით და უფლება მიეცეთ, საკანში რადიო და ტელევიზორი ჰქონდეთ (პუნქტი 64);

- გადაიდგას ნაბიჯები, რათა პატიმრებს ყოველდღე სულ მცირე ერთი საათი შეეძლოთ სეირნობა, აგრეთვე გაიზარდოს სასეირნო ეზოების ფართობი და ისინი ნაკლებად დამთრგუნველი იყოს (პუნქტი 64);

- გადაიდგას ნაბიჯები აქტივობის რეჟიმის შესამუშავებლად თბილისის №7 საპყრობილის საკნებში განმარტოებულად მყოფი პატიმრებისთვის (პუნქტი 65);

- ზუგდიდის №4 საპყრობილეში გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

• შემცირდეს საკნებში ფართობის ყოველ ერთეულზე ბინადართა რაოდენობა, რათა ყველა პატიმარს თავისი საწოლი ჰქონდეს და საბოლოოდ თითოეულ პატიმარზე სულ მცირე 4 მ.კვ საცხოვრებელი სივრცე მოდიოდეს;

• საკნებში გაუმჯობესდეს დღის სინათლის, ხელოვნური განათების და ვენტილაციის მისაწვდომობა და უზრუნველყონ სისუფთავე;

• ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს ლეიბებით, ბალიშებით, საბნებითა და თეთრეულით, რომელიც სათანადო რეგულარულობით გაირეცხება;

• უზრუნველყონ პატიმრებისთვის საშხაპის ხელმისაწვდომობა „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 მუხლის კონტექსტში;

• პატიმრები უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის საშუალებების ადექვატური რაოდენობის უფრო ფართო ასორტიმენტით (კბილის პასტა, ტუალეტის ქაღალდი, სპეციალური სანიტარიული საშუალებები ქალებისთვის და ა.შ.) (პუნქტი 74);

- საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულ ძალისხმევას მიმართოს ზუგდიდის №4 საპყრობილის პატიმრებისათვის სხვადასხვა სახის აქტივობის შესამუშავებლად 33-ე პუნქტში გამოთქმული ზოგადი შენიშვნების გათვალისწინებით. სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა არასრულწლოვან პატიმრებს შესთავაზონ საგანმანათლებლო, რეკრეაციული და სპორტული აქტივობა, რომელიც მხედველობაში მიიღებს მათი ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს (პუნქტი 75);

- მიღებული იყოს ზომები, რათა ყველა პატიმარს ზუგდიდის №4 საპყრობილეში ჰქონდეს შესაძლებლობა, ყოველდღე სულ მცირე ერთი საათი გაისეირნოს ჰაერზე, გაიზარდოს სასეირნო ეზოები და ისინი ნაკლებად დამთრგუნველად გამოიყურებოდეს (პუნქტი 75).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ**-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება მომავალში უზრუნველყოფს, რომ მცირეწლოვანი პატიმრები არ მოხვდნენ №6 საპყრობილეში (პუნქტი 45);
- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ნება დართოს პატიმრებს რუსთავის №6 საპყრობილეში, საკნებში ჰქონდეთ ტელევიზორი და რადიო (პუნქტი 55).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია ზუგდიდის გარეუბანში ახალი ციხის მშენებლობის გეგმებთან დაკავშირებით, რომელიც №4 საპყრობილეს შეცვლის (პუნქტი 73).

ჯანდაცვის მომსახურება

<u>რეკომენდაციები</u>

- მიიღონ ზომები რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, თბილისის №5 საპყრობილეში, რუსთავის №6 საპყრობილეში, თბილისის №7 საპყრობილეში და ზუგდიდის №4 საპყრობილეში ვაკანტური ადგილების შესავსებად და სამედიცინო პერსონალის რესურსების გასაძლიერებლად. სასწრაფოდ უნდა გაუმჯობესდეს სტომატოლოგიური მომსახურება (პუნქტი 76);
- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ძირფესვიანად განაახლოს სამედიცინო აღჭურვილობა დელეგაციის მიერ მონახულებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, (პუნქტი 77);
- მიიღონ ზომები იმ პატიმრების სწრაფად გადასაყვანად სათანადო სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებსაც სტაციონარული მკურნალობა სჭირდებათ (პუნქტი 78);
- საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა ყველა ახლად მიღებული პატიმარი საპყრობილეში შემოსვლიდან 24 საათის განმავლობაში გასინჯოს სამედიცინო პერსონალის წარმომადგენელმა. აღნიშნული სამედიცინო შემოწმება ყოველმხრივი უნდა იყოს და ითვალისწინებდეს ინფექციური დაავადებების გამოსავლენ სკრინინგს (პუნქტი 79);
- ყველა სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს მოსმენის გარეშე და თუ ამას ექიმი არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში – არასამედიცინო პერსონალის გარეშე (პუნქტი 79);
- საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები თითოეული პატიმრისთვის პერსონალური და კონფიდენციალური სამედიცინო ისტორიის გასახსნელად, რომელშიც დაფიქსირდება დიაგნოსტიკური ინფორმაცია, მიმდინარე ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობისა და მისი მკურნალობის, მისთვის ჩატარებული სპეციალური შემოწმებების შესახებ (პუნქტი 80);
- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, პატიმრების სისტემატური სკრინინგისა და მკურნალობის გზით გააგრძელოს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა სასჯელაღსრულების სისტემაში, ტუბერკულოზის კონტროლის თშ მეთოდის შესაბამისად (პუნქტი 81);
- საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში ფსიქიატრების დასანიშნად და პატიმრებისათვის ფსიქიატრიული მკურნალობის უზრუნველსაყოფად (პუნქტი 82);
- საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს მრავალმხრივი სტრატეგია ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრების დასახმარებლად, წინამდებარე შენიშვნების გათვალისწინებით (პუნქტი 83).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შემოიღოს ციხის ფსიქოლოგის პროფესია და ამ სახის პერსონალს შესთავაზოს გარეშე სტიმულირება, დახმარება და ტრენინგი (პუნქტი 82);
- რა ტიპის ინსტიტუციური გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ საპატიმროებში ჯანდაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, არსებითი ის არის, რომ საპატიმროს ექიმების კლინიკური გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებს და მათი მუშაობის ხარისხს და ეფექტიანობას აფასებდნენ კვალიფიციური სამედიცინო ავტორიტეტები (პუნქტი 84).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- კონკრეტული გეგმები იუსტიციის სამინისტროდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთვის ციხის ჯანდაცვის გადაცემასთან დაკავშირებით, მათ შორის მათი განხორციელების გრაფიკი (პუნქტი 84).

წპპ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა საცხოვრებელი ნაწილის კადრებით დაკომპლექტების დონის გაუმჯობესება.
- საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები და უზრუნველყოს, რომ ციხის ხელმძღვანელის კარიერის დაგეგმვა ეფუძნებოდეს 85-ე პუნქტში ჩამოყალიბებულ ნიშნებს (პუნქტი 85);
- საქართველოს ხელისუფლებამ ზუგდიდის №4 საპყრობილეში აიყვანოს სამსახურში ქალი ზედამხედველები (პუნქტი 87);
- საქართველოს ხელისუფლებამ შეცვალოს პაემნის წესი წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანებისთვის, რისთვისაც მან უნდა გაითვალისწინოს შესწორებული „ციხის ევროპული წესების“ 99-ე წესი (პუნქტი 89);
- შეიცვალოს პირობები პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახებში კომიტეტის მიერ მონახულებულ ციხეებში ისე, რომ პატიმრებს შეეძლოთ მნახველების მიღება უფრო ნაკლებად შეზღუდულ პირობებში, რაც დაფუძნებული იქნება ინდივიდუალური რისკის შეფასებაზე (პუნქტი 91);
- მიიღონ ზომები პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახების გასაუმჯობესებლად დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში, განსაკუთრებით ზუგდიდის №4 საპყრობილეში (პუნქტი 91);
- საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელოს ქმედითი ზომები, რომლებიც პატიმრებს მისცემდა მიმოწერის უფლებით სარგებლობის საშუალებას (პუნქტი 93);
- საქართველოს ხელისუფლებამ შესწორებები შეიტანოს შესაბამის დებულებებში და მისცეს წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს ოჯახებთან მიმოწერის შეუზღუდავი საშუალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას ზღუდავს კომპეტენტური გამომძიებელი ან სასამართლო კონკრეტულად განსაზღვრული დროის განმავლობაში და ისეთ შემთხვევებში, როცა ეს გამართლებული იქნება საქმის გამოძიების აუცილებლობიდან გამომდინარე (პუნქტი 93);
- საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელოს ზომები მსჯავრდებული პატიმრებისთვის ტელეფონის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად (პუნქტი 94);
- მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ დისციპლინარული სასჯელის წინაშე მდგარ ყველა პატიმარს მიეცეს ოფიციალური უფლება, გადაწყვეტილების მიმღებმა კომისიამ მოუსმინოს მას იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელშიც მას ედება ბრალი. გარდა ამისა, მიღებული უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ პატიმრებს რეგულარულად მიეწოდებოდეთ ინფორმაცია (წერილობით) მათი იმ უფლების თაობაზე, რომლის თანახმადაც მათ შეუძლიათ მიმართონ ზემდგომ ხელისუფლებას მათთვის დაკისრებულ დისციპლინარულ სანქციასთან დაკავშირებით (პუნქტი 95);
- გადაიხედოს ციხის ექიმების როლი დისციპლინარულ სასჯელთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით უნდა გაითვალისწინონ მიღებული შესწორებული „ციხის ევროპული წესები“ (კერძოდ, წესი 43.2) და **წპპ**-ს მიერ მე-15 ზოგად ანგარიშში გაკეთებული კომენტარები (იხ. CPT/Inf (2005) 17-ის 53-ე პუნქტი) (პუნქტი 96);
- მიიღონ ზომები იმისათვის, რომ რუსთავის №6 საპყრობილის დისციპლინარული სასჯელისთვის განკუთვნილ საკნებში მოთავსებულმა პატიმრებმა მიიღონ ლეიბები და საბნები, ასევე შხაპის მიღების უფლება (პუნქტი 97);
- საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ დისციპლინარული სასჯელისთვის განკუთვნილ საკნებში მოთავსებული პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ყოველდღე სულ მცირე ერთი საათი ვარჯიში სუფთა ჰაერზე, და ასევე, რომ ამ ტიპის პატიმრებს რუსთავის №6 საპყრობილეში ჰქონდათ გაზეთებისა და წიგნების კითხვის საშუალება (პუნქტი 98);
- გადაიდგას სათანადო ნაბიჯები იმისათვის, რომ დაცული იყოს პატიმრების უფლება, შეიტანონ კონფიდენციალური საჩივრები, რისთვისაც გარანტირებული უნდა იყოს დაუსჯელობა საჩივრების შეტანისთვის (პუნქტი 101);
- პატიმრებს სისტემატურად მიეწოდებოდეთ წერილობითი, უახლესი ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების, მათთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურების, დაწესებულებაში არსებული რეჟიმისა და ვადამდელი განთავისუფლების შესაძლებლობების შესახებ. ეს

ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა ენაზე (პუნქტი 102);

- საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს, რომ:

• პატიმარი, რომელსაც მოათავსებენ უფრო მკაცრ რეჟიმში სასამართლო ან ციხის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ან რომლის ყოფნა ასეთ რეჟიმში გახანგრძლივდება, ინფორმირებული იყოს წერილობით ასეთი ზომების გამომწვევი მიზეზების შესახებ (გასაგებია, რომ წარდგენილი მიზეზები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც უსაფრთხოების მიზნით არ ატყობინებენ პატიმარს);

• პატიმარს, რომლის წინააღმდეგაც გათვალისწინებულია ამგვარი ზომა, მიეცეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გამოხატვის საშუალება;

• პატიმარი ასეთ რეჟიმში უნდა თავსდებოდეს რაც შეიძლება მოკლე ვადით და მისი საკითხი უნდა განიხილებოდეს სულ მცირე სამ თვეში ერთხელ. (პუნქტი 103);

- საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას სათანადო ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი შეზღუდვა პატიმრების მიმართ იყოს კანონიერი, პროპორციული, აუცილებელი და დაქვემდებარებული სავალდებულო ანგარიშგებას (პუნქტი 104).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ**-ს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავაც მიანიჭებს პრიორიტეტს ციხის თანამშრომლების როგორც საწყისი, ასევე შემდგომი ტრენინგის საკითხის განვითარებას (პუნქტი 86);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეცვალოს სასჯელმისჯილი პატიმრების პაემნის უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ზემოთ გამოთქმული შენიშვნებისა და შესწორებული „ციხის ევროპული წესების“ გათვალისწინებით (პუნქტი 90);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გამონახოს პაემნების არსებული სისტემის ზოგიერთი არასასურველი ასპექტის (განხილულია 92-ე პუნქტში) გამოსწორების გზები (პუნქტი 92);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გამოიკვლიოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის ტელეფონის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. რაიმე დანაშაულებრივ მოლაპარაკებაზე ეჭვის შემთხვევაში სატელეფონო საუბარი შეიძლება გაკონტროლდეს (პუნქტი 94);

- როგორც ჩანს, მონიტორინგის ადგილობრივი კომისიების წევრთა დანიშვნის პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე (პუნქტი 100);

- **წპკ**-ს იმედი აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება სათანადოდ გაითვალისწინებს მონიტორინგის ადგილობრივი კომისიების დაკვირვებებს და რეკომენდაციებს ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას და მიიღებს შესაბამის ზომებს ციხეებში არსებული პირობების გაუმჯობესების მიზნით (პუნქტი 100).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- გადიან თუ არა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების პერიმეტრზე მომუშავე იუსტიციის სამინისტროს წვევამდელები, რაიმე სპეციალურ ტრენინგს მუშაობის დაწყებამდე (პუნქტი 86);

- იმ ოქმების ასლები, რომლებიც ეხება ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას პერიმეტრზე მომსახურე თანამშრომლების მიერ (პუნქტი 86);

- განმარტება იმასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს თუ არა „პატიმრობის შესახებ“ კანონის სავარაუდო შესწორებები, რომლებიც აწესებს პატიმრობის გახანგრძლივების სასჯელს (რომელსაც ეწოდება „ადმინისტრაციული დაკავება“), პატიმრის უფლებას, დაესწროს სასამართლო მოსმენას, გააკეთოს ზეპირი განცხადებები, მოიწვიოს მოწმეები და ჰყავდეს იურიდიული წარმომადგენელი (პუნქტი 99).

<u>გ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები წინასწარი შენიშვნები</u>

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია საქართველოში ფსიქიატრიის სფეროში გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით (პუნქტი 106).

არასათანადო მოპყრობა

<u>რეკომენდაციები</u>

- გაუმჯობესდეს სანიტრების შერჩევის, მომზადებისა და ზედამხედველობის პროცედურები 108-ე პუნქტში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით (პუნქტი 108).

შენიშვნები

- **წპკ** მოუწოდებს ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის და ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ხელმძღვანელობას, კვლავაც არ მოადუნონ ყურადღება და რეგულარულად შეახსენონ თანამშრომლებს, რომ პაციენტების მიმართ არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სიტყვიერი შეურაცხყოფა და ძალის გამოყენება ფიზიკური შეზღუდვისას, მიუღებელია და რეაგირება ასეთ საქციელზე განსაკუთრებით მკაცრი იქნება (პუნქტი 107).

პაციენტების საცხოვრებელი პირობები

რეკომენდაციები

- ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში მიიღონ შემდეგი ზომები:

• შემცირდეს პაციენტების რაოდენობა პალატებში, განსაკუთრებით პირველ და მე-6 განყოფილებებში, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საკმარისი სივრცე და შესაძლებელი იყოს მათი შესაბამისად მეთვალყურეობა პერსონალის მიერ;

• წამოიწყონ რემონტის პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ მოხსენიებული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. პრიორიტეტი მიენიჭოს ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფ განყოფილებებს (პირველი, მე-3 და მე-6). ამ კონტექსტში გაითვალისწინონ დიდი პალატების უფრო მცირე ზომის ოთახებით შეცვლა;

• ყველა პალატისთვის უზრუნველყონ შესაბამისი გათბობა;

• პაციენტებისთვის შეიქმნას უფრო სასიამოვნო და პერსონალიზებული გარემო, კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნეს მათთვის ისეთი სივრცე, რომელიც იკეტება;

• პაციენტებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს წესიერი თეთრეული და პირადი ჰიგიენის ნივთები;

• გარემონტდეს ტუალეტი, პირსაბანი და სააბაზანო ოთახები (კერძოდ, ტუალეტები ისე უნდა მოაწყონ, რომ პაციენტებს შეეძლოთ იქ მარტო შესვლა) და დაიცვან სისუფთავე;

• უზრუნველყონ ცხელი წყალი სააბაზანოებში და პაციენტებს მიეცეთ უფრო ხშირად დაბანის საშუალება;

• ყოველ განყოფილებაში სასადილო ოთახები უზრუნველყონ საკმარისი რაოდენობის მაგიდებითა და სკამებით და პაციენტების კვებისათვის საჭირო ყველა აქსესუარით. (პუნქტი 115).

- ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიღონ შემდეგი ზომები:

• შემცირდეს პაციენტების რაოდენობა პალატებში, განსაკუთრებით მე-4 განყოფილებაში და არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილებაში, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საკმარისი სივრცე და შესაძლებელი იყოს მათი შესაბამისად მეთვალყურეობა პერსონალის მხრიდან;

• გაგრძელდეს რემონტი სხვა განყოფილებებშიც; პრიორიტეტი მიენიჭოს კანალიზაციის და ცენტრალური გათბობის სისტემებისა და ტუალეტებისა და დასაბანი სათავსოების რემონტს; ასევე განიხილონ დიდი ოთახების შემცირების საკითხი;

• უზრუნველყონ ყველა პალატის შესაბამისი გათბობა;

• უზრუნველყონ ყველა პაციენტისთვის ტუალეტის მუდმივი ხელმისაწვდომობა (მათ შორის არანებაყოფლობითი მკურნალობის მე-3 განყოფილებაშიც);

• პაციენტებისთვის შეიქმნას უფრო სასიამოვნო და პერსონალიზებული გარემო, კერძოდ, უზრუნველყონ მათთვის ისეთი სივრცე, რომელიც იკეტება და ყურადღება მიექცეს ოთახების გალამაზებას;

• პაციენტებს მიეცეთ შხაპის უფრო ხშირად მიღების შესაძლებლობა; გარემონტდეს საავადმყოფოს „საზაფხულო“ საშხაპე;

• უზრუნველყონ პაციენტების კვებისთვის საჭირო ყველა აქსესუარი. (პუნქტი 120).

მოთხოვნილი ინფორმაცია

- ინფორმაცია ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს არანებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილების სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ რემონტის დასრულების შემდეგ (პუნქტი 120).

მკურნალობა და რეჟიმი

რეკომენდაციები

- ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიღებული იქნეს შემდეგი ზომები:

• გაიზარდოს თერაპიული შესაძლებლობების არჩევანი და ხანგრძლივი ვადით მოთავსებული უფრო მეტი პაციენტი ჩაერთოს სარეაბილიტაციო ფსიქო-სოციალურ აქტივობაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მათი მომზადებისა და ოჯახებში დაბრუნების მიზნით; შრომითი თერაპია უნდა წარმოადგენდეს სარეაბილიტაციო პროგრამის განუყოფელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციას, სწავლის გაგრძელების სურვილსა და ურთიერთობის უნარების ჩამოყალიბებას, სპეციფიკური ცოდნის შეძენასა და საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებას;

• თითოეული პაციენტისთვის მომზადდეს მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა (მწვავე, ხანგრძლივი ვადით მოთავსებული და სისხლის სამართლის დამნაშავე პაციენტების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით), რომელშიც უნდა ჩაერთოს მკურნალობის მიზნები, თერაპიული საშუალებები და პასუხისმგებელი თანამშრომლები. პაციენტები მონაწილეობას უნდა იღებდნენ მათი მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და შესრულების მიმდინარეობის შეფასებაში;

• პაციენტებს შესთავაზონ სარეკრეაციო საქმიანობების უფრო ფართო სპექტრი, კერძოდ, უზრუნველყონ მათთვის წიგნები და გაზეთები. (პუნქტი 123);

- საქართველოს ხელისფულებამ გადადგას ნაბიჯები ფსიქიატრიული პაციენტებისთვის შესაბამისი სადიაგნოსტიკო და თერაპიული საშუალებების ხელმისაწვდომობის გარანტირებისთვის (პუნქტი 125).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია ასათიანის სახელობის ინსტიტუტის პაციენტების ყოველდღიური სეირნობის უზრუნველსაყოფად მიღებულ ზომებთან დაკავშირებით (პუნქტი 124);

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარები ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტების გარდაცვალების კლინიკური მიზეზების სისტემატური აღრიცხვის არარსებობის შესახებ, ასევე იმ ფაქტის შესახებ, რომ არ არის ჩატარებული აუტოფსია პაციენტების გარდაცვალების შემთხვევაში (პუნქტი 125).

პერსონალი

<u>რეკომენდაციები</u>

- ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიხედოს შრომითი რესურსების საკითხი 128-ე პუნქტში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით (პუნქტი 128).

<u>შენიშვნები</u>

- რაც შეეხება არანებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილებას ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, კომიტეტი მოუწოდებს ხელმძღვანელობას, უზრუნველყოს, რომ პერსონალის თერაპიულ როლს არ ენიჭებოდეს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა უსაფრთხოების საკითხებთან შედარებით (პუნქტი 128);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შემოიღოს სპეციალური ტრენინგი – როგორც საწყისი, ისე მიმდინარე — ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტისა და ქუტირის ფსიქიატრიული საავადმყოფოს (ასევე ქვეყნის სხვა ფსიქიატრიული დაწესებულებების) თანამშრომელთა სხვადასხვა კატეგორიისათვის (პუნქტი 129).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- არსებობს თუ არა ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დეტალური წესები უსაფრთხოების თანამშრომლებისთვის, რომლებიც მათ მოვალეობებს შეეხება; ასევე ინფორმაცია აღნიშნული თანამშრომლების შერჩევის პროცედურებისა და მათი თავდაპირველი და მიმდინარე ტრენინგის თაობაზე (პუნქტი 128).

ფსიქიატრიული პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები

<u>რეკომენდაციები</u>

- ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტსა და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (და ასევე ქვეყნის სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში) გადაიდგას ნაბიჯები ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკული სახელმძღვანელო მი-

თითებების ჩამოყალიბებისთვის ამ ანგარიშის 133-ე პუნქტში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით (პუნქტი 133);

- მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ პაციენტი ფიზიკურად არ შეზღუდონ სხვა პაციენტების წინაშე და/ან მათი დახმარებით და რომ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების განმავლობაში პაციენტთან ყოველთვის იმყოფებოდეს დაწესებულების რომელიმე თანამშრომელი (პუნქტი 133);

- ფიზიკური და/ან ქიმიური შეზღუდვის ყველა შემთხვევა ჩაიწეროს სპეციალურ ჟურნალში, რომელიც შეიქმნება ამ მიზნით (ექთნების ჟურნალებთან და პაციენტის ისტორიებთან ერთად). ჩანაწერი უნდა მოიცავდეს შეზღუდვის ზომის დაწყებისა და დასრულების დროს, იმ ექიმის ვინაობას, რომელმაც გასცა შესაბამისი ბრძანება ან დაადასტურა ამ ზომის გამოყენების საჭიროება და პაციენტებისა თუ თანამშრომლების მიერ მიღებულ დაზიანებებს (პუნქტი 133).

სამართლებრივი დაცვის საშუალებები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყონ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებასთან დაკავშირებული პროცედურების სათანადოდ შესრულება და სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებების რეალურად მოქმედება (პუნქტი 135);

- საქართველოს ხელისუფლებამ გადასინჯოს არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ დახმარებასთან დაკავშირებული პროცედურები, რათა:

• ფსიქიატრიული პაციენტებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ადვოკატის დაქირავება, უზრუნველყოს სამართლებრივი დახმარება;

• უზრუნველყოს, რომ ფსიქიატრიულ პაციენტებს ჰქონდეთ ქმედითი უფლება, პირადად წარდგნენ მოსამართლის წინაშე სტაციონარში მოთავსებისას ან მათი საქმის გადასინჯვისას;

• სტაციონარში პაციენტების მოთავსება დადგენილ ვადებში და ობიექტურად გადასინჯვა, რათა პაციენტი სტაციონარში არ დატოვონ იმაზე მეტი ხნით, ვიდრე ამას მისი მდგომარეობა მოითხოვს. (პუნქტი 136);

- ყველა პაციენტს (ხოლო თუ პაციენტი ქმედუუნაროა, მის იურიდიულ წარმომადგენელს) სისტემატურად მიეწოდოს ინფორმაცია მათი მდგომარეობისა და მათთვის დადგენილი მკურნალობის შესახებ; ექიმებს მიეცეთ მითითება, რომ ისინი ყოველთვის უნდა ეცადონ პაციენტებისგან თანხმობის მიღებას მკურნალობის დაწყებამდე, რაც შესაძლებელია მკურნალობის მიმართ ინფორმირებული თანხმობის სპეციალური ფორმის დახმარებით, რომელიც ხელმოწერილი იქნება პაციენტის ან (თუ იგი ქმედუუნაროა) მისი იურიდიული წარმომადგენლის მიერ. გარდა ამისა, პაციენტებს (და მათ იურიდიულ წარმომადგენლებს) მკურნალობის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უნდა მიეწოდებოდეთ შესაბამისი ინფორმაცია (პუნქტი 137);

- მომზადდეს და გამოიცეს ბროშურა დაწესებულებაში მიღებული წესებისა და პაციენტების უფლებების შესახებ და სისტემატურად ურიგდებოდეს პაციენტებსა და მათი ოჯახების წევრებს საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მიღებისას (პუნქტი 138);

- ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში და ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიღონ ზომები რაიმე ოთახების გამოყოფისთვის, სადაც პაციენტები შეძლებდნენ თავიანთ ნათესავებთან შეხვედრას (პუნქტი 139).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ჩამოაყალიბოს ფსიქიატრიული დაწესებულებების დამოუკიდებელი გარე ორგანოების მიერ რეგულარული მონახულების სისტემა. კერძოდ, ამგვარ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ პაციენტებთან განმარტოებით საუბრის, მათგან საჩივრის უშუალოდ მიღებისა და მათთვის საჭირო რეკომენდაციის მიწოდების უფლება (პუნქტი 141).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- შედის თუ არა პაციენტის მკურნალი ექიმი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის შემადგენლობაში, რომელიც აწვდის სასამართლოებს ანგარიშებს სავალდებულო მკურნალობის ზომების გადასინჯვასთან დაკავშირებით და, თუ ეს ასეა, რა ფუნქციას ასრულებს იგი ამ კომისიაში (პუნქტი 136);

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარები ამ ანგარიშის 137-ე მუხლში მოხსენიებულ მკურნალობაზე თანხმობის საკითხზე (პუნქტი 137);

- ინფორმაცია იმ პროცედურის თაობაზე, რომლის მიხედვითაც ფსიქიატრიულ პაციენტებს

შეუძლიათ საჩივრის შეტანა, ასევე იმ გარანტიების თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ამგვარი საჩივრების კონფიდენციალურობას და იმ ხელისუფლების/ორგანოების ჩამონათვალი, რომლებსაც შეიძლება წარედგინოთ საჩივრები (პუნქტი 140).

<u>დ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები</u>

წინასწარი შენიშვნები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს სამტრედიის სპეციალური სკოლის ხელმძღვანელობისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება დაწესებულებაში ბავშვების მოთავსებისა და განთავისუფლების თაობაზე. იგივე ინფორმაცია უნდა მიიღონ ბავშვების ოჯახებმა და/ან იურიდიულმა წარმომადგენლებმა (პუნქტი 144).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია სამტრედიის სპეციალურ სკოლაში არასრულწლოვანთა მოთავსების პროცედურასთან დაკავშირებული ბოლო ცვლილებების შესახებ (პუნქტი 144).

საცხოვრებელი პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

- სამტრედიის სპეციალურ სკოლაში მიღებული იქნეს ზომები სანიტარიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ბავშვებს მიეცეთ შხაპის ყოველდღე მიღების საშუალება (პუნქტი 147);
- სამტრედიის სპეციალურ სკოლაში მიღებული იქნეს ზომები ბავშვებისთვის განკუთვნილი მენიუს გამრავალფეროვნების მიმართულებით (ჩაირთოს მასში რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული) და აღნიშნული მენიუს მონიტორინგში ჩაერთონ ჯანდაცვის მუშაკები (პუნქტი 148).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- ინფორმაცია სამტრედიის სპეციალურ სკოლაში რემონტის დროს მიღებული იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიმართული იქნება ბავშვების ოთახებში პირობების გაუმჯობესებისკენ (პუნქტი 146).

საქმიანობა

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სამტრედიის სპეციალურ სკოლაში მოთავსებული ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დანერგოს უფრო მისადაგებული პროგრამები და სასწავლო მასალები (პუნქტი 149).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გეგმები არსებობს სამტრედიის სპეციალურ სკოლაში პროფესიული განათლების შემოღებასთან დაკავშირებით (პუნქტი 149).

წპკ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

<u>რეკომენდაციები</u>

- უფრო დიდი ყურადღება მიექცეს სამტრედიის სპეციალურ სკოლაში ბავშვების სიმაღლეში ზრდისა და წონაში განვითარების ჩამორჩენას (მათ შორის წონისა და სიმაღლის სისტემატური კონტროლის მეშვეობით ზრდის ცხრილების გამოყენებით) და ენურეზის პათოლოგიას, რისთვისაც საჭიროა ადექვატური მედიკამენტური მკურნალობის (რომელიც რეგულარულად უნდა გადაისინჯებოდეს) და სათანადო ფსიქოლოგიური დახმარების კომბინირება (პუნქტი 151).

<u>ე. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები</u>

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- ინფორმაცია იმის თაობაზე, მოიძებნება თუ არა რემონტის განმავლობაში ისეთი შენობა, სადაც მოთავსებულნი იქნებიან ადმინისტრაციულ სასჯელმისჯილი და/ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი სამხედრო მოსამსახურეები (პუნქტი 159).

დანართი II

საქართველოს სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთანაც დელეგაციამ ვიზიტის დროს კონსულტაცია გაიარა

ა. სამთავრობო სტრუქტურები

იუსტიციის სამინისტრო

გია ქავთარაძე	მინისტრი
გივი მიქანაძე	მინისტრის მოადგილე
ბაჩო ახალაია	პენიტენციური დეპარტამენტის უფროსი
ბადრი ბალავაძე	მრჩეველი, სამედიცინო უზრუნველყოფის სამსახური
იაკობ ღლონტი	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
ინო ცუხიშვილი	უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი
გიორგი ფანიაშვილი	კოორდინაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი

შინაგან საქმეთა სამინისტრო

ეკატერინე ზღულაძე	მინისტრის მოადგილე
შოთა ხიზანიშვილი	ადმინისტრაციის უფროსი
ნიკოლოზ ჯიმშეიშვილი	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
გიორგი კიკნაძე	ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი
ნინო ლაპიაშვილი	საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტი

შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო

ნიკოლოზ ფრუიძე	მინისტრის მოადგილე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ბელა წიფურია	მინისტრის მოადგილე

გენერალური პროკურატურა

ზურაბ ადეიშვილი	გენერალური პროკურორი
თინათინ ბურჯალიანი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

სახალხო დამცველის ოფისი

სოზარ სუბარი	სახალხო დამცველი
გრიგოლ გიორგაძე	სახალხო დამცველის მოადგილე
თეა ჯალიაშვილი	პოლიტიკისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი
თამარ კემულარია	მთავარი სპეციალისტი, გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტი

ბ. არასამთავრობო ორგანიზაციები

ემპათია
ყოფილი პოლიტიკური პატიმრები ადამიანის უფლებათა დაცვისათვის
საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია
ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
ციხის საერთაშორისო რეფორმა

გ. საერთაშორისო ორგანიზაციები

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობა საქართველოში
ეუთოს მისია საქართველოში
გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის წარმომადგელობა საქართველოში

ანგარიში
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (წპკ) აფხაზეთის რეგიონში, საქართველო, ვიზიტის შესახებ

2009 წლის 27 აპრილი - 4 მაისი

ანგარიში ქვეყნდება საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით

სტრასბურგი, 2009 წლის 23 დეკემბერი

I. შესავალი.....189
ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა.....189
ბ. მონახულებული დაწესებულებები. 189
გ. დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და გაწეული თანამშრომლობა.....189

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები. 190
ა. დრანდას ციხე. 190
1. წინასწარი შენიშვნები.....190
2. არასათანადო მოპყრობა.. 190
3. პატიმრობის პირობები 191
ა. საყოფაცხოვრებო პირობები. 191
ბ. აქტივობები.....192
4. ჯანდაცვის სამსახური 194
ა. შესავალი. 194
ბ. პერსონალი. 194
გ. ინფრასტრუქტურა 195
დ. სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში მიღებისას. 195
ე. სამედიცინო ანკეტები და კონფიდენციალურობა.. 195
ვ. გადამდები დაავადებები.....196
5. სხვა საკითხები 196
ა. პერსონალი. 196
ბ. დისციპლინა. 197
გ. გარე სამყაროსთან კონტაქტი.....197
დ. საჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები.....198
ბ. გალის, სოხუმის, ტყვარჩელისა და უშიშროების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორები. 198
1. წინასწარი შენიშვნები.. 198
2. არასათანადო მოპყრობა.. 199
3. პატიმრობის პირობები 200
4. ჯანდაცვის სამსახური.. 203
5. პერსონალი. 203
6. დისციპლინა 204
7. გარე სამყაროსთან კონტაქტი.. 204
8. საჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები.....204
გ. პოლიციის მიერ თავისუფლების აღკვეთა და შესაბამისი დაცვის გარანტიები. 205
1. წინასწარი შენიშვნები.....205
2. თავისუფლებაათკვეთილ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები 205
ა. შესავალი.....205
ბ. ნათესავის ან მესამე პირისათვის შეტყობინების უფლება.....206
გ. ადვოკატის ხელმისაწვდომობა 206
დ. ექიმის ხელმისაწვდომობა.. 206
ე. ინფორმაცია უფლებების შესახებ.....207
3.საყოფაცხოვრებო პირობები.....207
დ. დრანდას ფსიქიატრიული საავადმყოფო 207
1. წინასწარი შენიშვნები. 207
2. პაციენტთა საცხოვრებელი პირობები და მკურნალობა.....208
ა. საცხოვრებელი პირობები.. 208
ბ. მკურნალობა.. 210
3. პერსონალი. 211
4. შეზღუდვის საშუალებები 212
5. დაცვის გარანტიები.. 213
ე. სოხუმის სამხედრო გარნიზონის პატიმრობის დაწესებულება.. 215

დანართი:
წპკ-ს რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოთხოვნილ ინფორმაციათა ჩამონათვალი.....216

I. შესავალი

ა. <u>ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა</u>

1. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (შემდგომში მოიხსენიება, როგორც ,,კონვენცია“) მე-7 მუხლის შესაბამისად, **წპკ**-ს (შემდგომში მოიხსეინება, როგორც “**წპკ**”) დელეგაცია აფხაზეთში[52], საქართველო, იმყოფებოდა 2009 წლის 27 აპრილიდან 4 მაისამდე. ვიზიტი გარკვეული დროის განმავლობაში მზადდებოდა **წპკ**-ს მიერ, რომელმაც თავისი მანდატის აღნიშნულ რეგიონში განსახორციელებლად კონსულტაციები გამართა თბილისსა და სოხუმში 2008 წლის ივლისში, სექტემბერსა და ოქტომბერში.

2. ვიზიტში მონაწილეობდნენ **წპკ**-ს შემდეგი წევრები:

– ალეს ბუტალა, დელეგაციის ხელმძღვანელი

– მარჟენა კსელი

– ანდრეს ლეჰმეტსი
– ჟან მიგელ რასკაონერეს ლაგოსტერა
მათ თან ახლდათ ფაბრის კელენსი, **წპკ**-ს სამდივნოს აღმსრულებელი მდივნის მოადგილე და თარჯიმნები:

– სტანისლავ კულდი (თარჯიმანი)
– ევგენი სიმაკოვი (თარჯიმანი)

ბ. <u>მონახულებული დაწესებულებები</u>

3. დელეგაციამ მოინახულა პატიმრობის შემდეგი ადგილები:

– დრანდას ციხე

– გალის დროებითი მოთავსების იზოლატორი

– სოხუმის დროებითი მოთავსების იზოლატორი

– ტყვარჩელის დროებითი მოთავსების იზოლატორი

– უშიშროების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორი, სოხუმი

– გალის პოლიციის განყოფილება

– ტყვარჩელის პოლიციის განყოფილება

– დრანდას ფსიქიატრიული საავადმყოფო

– სოხუმის სამხედრო გარნიზონის პატიმრობის დაწესებულება

<u>გ. ვიზიტის კონტექსტი, დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და გაწეული თანამშრომლობა</u>

4. ვიზიტის დროს დელეგაციამ გამართა კონსულტაციები სოხუმში. შემდეგ, დელეგაცია შეხვდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს თბილისში.

დელეგაცია ასევე შეხვდა საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) სპეციალურ წარმომადგენელსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მისიის ხელმძღვანელს სოხუმში.

5. ერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ვიზიტის დროს დელეგაციისთვის გაწეული თანამშრომლობა, ზოგადად, კარგი იყო. დელეგაციის წევრებმა დაბრკოლების გარეშე შეძლეს თავისუფლების აღკვეთის მათთვის სასურველ ყველა დაწესებულებაში შესვლა და საჭირო ინფორმაციის მოპოვება. გამონაკლისი ეხებოდა შემთხვევას, როდესაც დელეგაციის წევრებს განუცხადეს უარი სოხუმის დროებითი მოთავსების იზოლატორის საკანში შესვლაზე, სადაც იმყოფებოდა

52 აღნიშნული რეგიონმა თავად გამოაცხადა თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

სიკვდილმისჯილი პირი (იხ. 50-ე პუნქტი). აკრძალვის მიუხედავად, დელეგაციამ მაინც გააგრძელა თავისი საქმიანობა და კარის სარკმლიდან ორ საათის განმავლობაში ესაუბრებოდა პატიმარს. **წპკ**-ს სურს კვლავ გაიმეოროს, რომ მას აქვს დაუბრკლებლად შესვლის უფლება თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ადგილას, ასევე ამ დაწესებულებების შიგნით თავისუფლად და შეზღუდვების გარეშე გადაადგილების უფლება. მიღებულ უნდა იქნას ზომები მომავალში აღნიშნული მოთხოვნის პატივისცემისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო რეგიონში პირველი ვიზიტისას, წარმოიქმნა სხვა პრაქტიკული პრობლემებიც. თუმცა, მაღალ დონეზე არსებული კონტაქტების წყალობით, შესაძლებელი გახდა ამ პრობლემების სწრაფად აღმოფხვრა.

წპკ-ს სამომავლო საქმიანობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტის უფლებამოსილება და სამუშაო მეთოდები სრულად იქნეს ახსნილი შესაბამისი პირებისათვის. ყველა უნდა იქნას შეხსნებული, რომ **წპკ**-ს უმთავრესი მოთხოვნაა, რომ მას ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა ყველა ადგილზე, სადაც იმყოფებიან ნებისმიერი სახით თავისუფლებააღკვეთილი პირები (დღისით, ღამით და, საჭიროების შემთხვევაში, გაფრთხილების გარეშე) და ამ დაწესებულებებს შიგნით შეუზღუდავი გადაადგლებისა და ყოველგვარი შეფერხების გარეშე თავისუფლებააღკვეთილ პირებთან პირადად და კონფიდენციალურად გასაუბრების უფლება.

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები

ა. დრანდას ციხე

1. წინასწარი შენიშვნები

6. დრანდას ციხე აფხაზეთში არსებული ერთადერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებაა. ეს არის დახურული ტიპის დაწესეულება, რომელიც მდებარეობს ამავე დასახელების სოფელში, სოხუმიდან 20 კმ-ის დაშორებით. დაწესებულება აშენდა 1974 წელს, საბჭოთა კავშირის დროს, თავდაპირელად, როგორც საგამოძიებო იზოლატორი.[53]

7. ციხეში, რომლის ოფიციალური ლიმიტი იყო 600 ადგილი, ვიზიტის დროს იმყოფებოდა 222 პატიმარი.[54] პატიმართა უმეტესობას მსჯავრდებულები შეადგენდნენ; თუმცა, დაწესებულებაში ასევე იყო თხუტმედამდე ბრალდებული. დაწესებულებაში მყოფ პირთა განაჩენის ყველაზე დიდი ხანგრძლივობა იყო 15 წელი. პატიმართა შორის იყო რამდენიმე უცხოელი და ორი არასრულწლოვანი.

8. ციხე შედგებოდა მთავარი ადმინისტრაციული შენობისგან, სამსართულიანი პატიმრობის შენობისგან (რომელის გარშემორტყმული იყო ვარჯიშისა და სპორტისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურით) და ცალკე მდგომი შენობისგან, სადაც განთავსებული იყო ჯანდაცვის სამსახური. დაახლოებით ოცი პატიმარი (დასაქმებულები) განცალკევებული იყო დანარჩენებისგან; მათ ცალკე საცხოვრებელი ტერიტორია ჰქონდათ და განსხვავებული რეჟიმი. გარდა ამისა, ტუბერკულოზით დაავადებული სამი პატიმარი მოთავსებული იყო სამედიცინო სამსახურისთვის განკუთვნილ შენობაში.

9. დრანდას ციხეში ბრალდებულ პატიმართა მოთავსების (ან მათი დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსების) შესახებ მოწოდებული ინფორმაცია არ იყო სრული, გამჭვირვალე და ნათელი. საფუძვლების ციტირება ასე შეიძლება: "სავარაუდო თანამზრახველთა განცალკევებით მოთავსების საჭიროებიდან გამომდინარე"; "დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული უარესი პირობების ზეწოლის მიზნით გამოყენება"; "პატიმართა სიახლოვე მათი ოჯახის წევრებთან" და ა.შ. **წპკ-ს სურს მიიღოს ზუსტი ინფორმაცია იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პატიმრების მოთავსება დრანდას ციხეში ან მათი ყოფნის გახანგრძლივება დროებითი მოთავსების იზოლატორში**.

2. წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები

10. **წპკ**-ს დელეგაციას არ მიუღია საჩივრები დრანდას ციხის მხრიდან პატიმართა მიმართ წამების ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობის შესახებ. ასევე, არ გამოვლინდა, პატიმართა შორის ძალადობის ფაქტები.[55] ზოგადად, პატიმრებმა აღნიშნეს, რომ მათი ურთიერთობა დრანდას ციხის თანამშრომლებთან ნორმალური იყო. ბევრმა ადამიანმა, რომელთაც დელეგაცია შეხვდა, განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულის მიზეზი ის იყო, რომ აფხაზეთი პატარა ჩაკეტილი საზოგადოებაა, სადაც სოციალური კონტროლი დიდ როლს თამაშობს.

11. თუმცა, **წპკ**-ს მანდატი არ შემოიფარგლება მხოლოდ თანამშრომელთა ან სხვა პატიმართა მხრიდან პატიამრთა მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის შეფასებით. კომიტეტ ასევე ყურადღებას აქცევს დაწესებულებაში არსებული ძალაუფლების სისტემას, რომელსაც ზოგჯერ

53 ინასწარი გამოძიების ქვეშ მყოფი პირებისათვის მოთავსების დაწესებულება.

54 ქალი პატიმრები (ბრალდებულებიც და მსჯავრდებულებიც) მოთავსებულნი იყვნენ სოხუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

55 ასევე, ბოლო დროს არ გამოვლინდა პატიმართა მხრიდან თანამშრომელთა მიმართ ძალადობის ფაქტები.

შეუძლია გამოიწვიოს დაშინების ან ძალადობის შემთხვევები, განსაკუთრებით პატიმართა შორის. ამ კუთხით, დელეგაციამ შენიშნა დრანდას ციხის პატიმრობის ბლოკში (განსაკუთრებით მესამე სართულზე) არსებული ვითარება, სადაც, რამდენიმე პატიმარს სხვებზე უკეთესი პირობები ჰქონდათ და გადაადგილებისას სარგებლობდნენ სხვებზე მეტი თავისუფლებით. აშკარა იყო, რომ ამ პატიმრებს გარკვეული კონტროლი ჰქონდათ დაწესებული თავიანთ სართულზე მოთავსებულ სხვა პატიმრებზე (ცხადია, თანამშრომელთა თანხმობით).

დელეგაციამ ასევე შენიშნა, რომ დაწესებულებაში ძალიან ცოტა თანამშრომელი იყო, განსაკურებით ისინი, ვისაც ევალება პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტი. რა თქმა უნდა ეს ფაქტორი თავის თავში მოიცავს დიდ რისკს იმისა, რომ პატიმართა გარკველმა ჯგუფმა სხვა პატიმრებზე შეძლონ კონტროლის დამყარება. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ვერცერთმა პატიმარმა ვერ შეძლოს სხვა პატიმრებზე კონტროლის დაწესება დრანდას ციხეში.**

12. **წპკ**-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს პატიმართა შორის ძალადობა (უარეს შემთხვევაში გამოძალვა და ფიზიკური ძალადობა) აღმოფხვრა შეუძლებელია დაწესებულების ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების მხრიდან დაწესებულებაში ცხოვრების ყველა ასპექტზე ეფექტიანი კონტროლის გაწევის გარეშე. აღნიშნულ კონტექსტში აუცილებელია პატიმართა ქცევის მუდმივი მონიტორინგი (მოძალადეთა და მსხვერპლთა იდენტიფიკაციის ჩათვლით), დაშინებისა და გამოძალვის სავარაუდო ან უკვე დამტკიცებული ფაქტების შესახებ სათანადო მოხსენება და ძალადობრივი ინციდენტების გამძიება. გარდა ამისა, ციხის თანამშრომელი ვერ დაიცავს პატიმრის უსაფრთხოებას, თუ იგი თავად არ გრძნობს თავს დაცულად. ეს კი მოითხოვს ციხის პერსონალის სათანადო რაოდენობით დაკომპლექტებას, რათა თანამშრომლებმა ეფექტიანად შეუწყონ ერთმანეთს ხელი თვიანთი ყოველდღიური მოვალეობების შესრულებისას და ასევე დაწესებულების ხელმძღვანელობამაც უნდა შეუწყოს ხელი თანამშრომლებს. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მიღებულ იქნას ზომები დრანდას ციხეში პატიმართა შორის ძალადობის პრევენციისათვის. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა (იხ. ასევე 40-ე პუნქტი)**.

3. პატიმრობის პირობები

ა. საყოფაცხოვრებო პირობები

13. დრანდას ციხეში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები გარკვეული კუთხით დამაკმაყოფილებელი იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვიზიტის დროს დაწესებულება არ იყო გადატვირთული.[56] საკანში პატიმრებისა და ფართის თანაფარდობა ნორმალური იყო: თუთოეულ პატიმარზე მოდიოდა დაახლოებით 4-6 $მ^2$ ფართი. მაგალითად, სტანდარტულ საერთო საკანში, რომლის ფართობი იყო 18 $მ^2$, მოთავსებული იყო 3-4 პატიმარი. რა თქმა უნდა ეს პოზიტიური შეფასება შეიცლებოდა, თუ ამ საკნებში იქნებოდა ექვსივე პირი, რა რაოდენობისთვისაც იყო ისინი გათვლილი.

14. ზოგადად, საკნებში დღის სინათლის შეღწევადობა დამაკმაყოფილებელი იყო, რადგან ფანჯრებზე არსებული დარაბები სამი წლის წინ მოიხსნა. ხელოვნური განათებაც ზოგადად დამაკმაყოფილებელი იყო (მიუხედავად ამისა, იხ. მე-16 პუნქტი). თითოეულ საკანში იდგა რკინის საწოლები (ზოგჯერ ორსართულიანი საწოლები) ან ფიცარნაგები (ზოგ შემთხვევებში ორსართულიანი), ერთი ან მეტი მაგიდა, სკამები და ზოგან ტუმბოები; საკნებში არ იყო სასიგნალო გამოძახების სისტემა.[57] პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი ჰქონდათ ლეიბი და საწოლის თეთრეული. გარდა ამისა, საკნებში იყო ნახევრად/სრულად გადატიხრული სანიტარული კვანძები (ზოგჯერ შხაპი/ტუალეტი). ასევე, თითოეულ სართულზე იყო საერთო სანიტარული კვანძები (აბაზანა/შხაპი/ტუალეტი), რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ საკნებში დაშვებული იყო ტელევიზორის და რადიომოწყობილობის ქონა.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, საკნები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო და საჭიროებდა რემონტს. ზოგადად, პატიმრობის მთელ ტერიტორიაზე იყო სიბინძურე და არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ დაწესებულება არ უზრუნველყოფდა საწმენდ საშუალებებს საკნებისა და შენობის სხვა ნაწილების გასუფთავებისათვის. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ უზრუნველყოფილ იქნას პატიმრების მომარაგება ჰიგიენური და საწმენდი საშუალებებით, რათა მათ შეძლონ თავიანთ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ჰიგიენური პირობებისა და სისუფთავის დამაკმაყოფილებელი სტანდარტების შენარჩუნება.**

15. ზოგადად, **წპკ**-ს დელეგაციამ შენიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული საყოფაცხოვრე-

56 უახლოეს წარმსულში, დრანდას ციხეში 480-მდე პატიმარი იყო მოთავსებული. 2007 წელს მიღებული ზომების შედეგად ცოხეში პატიმართა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

57 ეს ნაკლი ანაზღაურებული იყო იმით, რომ კარებში არსებული სარკმელები ყოველთვის ღია იყო და, საჭიროების შემთხვევაში, პატიმრებს შეეძლოთ თანამშრომლებისთვის დაძახება.

ბო პირობები მეტწილად დამოკიდებული იყო თავად პატიმრების ფინანსურ საშუალებაზე.[58] შესაბამისად, **მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი რესურსების გამოყოფა, რათა პატიმრებს არ დასჭირდეთ ოჯახის წევრებისგან დახმარების მიღება.**

16. გარკვეული საკითხები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რადგან ისინი პირდაპირ ახდენენ გავლენას პატიმართა და თანამშრომელთა და, ზოგადად, დაწესებულების უსაფრთხოებაზე.

წპკ შეშფოთებულია დაწესებულებაში ელექტრომომარაგების ძალიან დაბალი სიძლიერის გამო. ის არ აკმაყოფილებს ელემენტარულ სტანდარტებსაც კი (ხილული ელექტრული კაბელები, სახიფათო ელექტროპანელები, საკნებში ღია ელექტროგაყვანილობა და ა.შ.). გარდა ამისა, საკნებში გათბობის სისტემის არასებობის გამო, პატიმრები იყენებენ ხელნაკეთ ელექტროღუმელებს (თიხის გამომწვარი ცილინდრი, რომელსაც გარშემოელექტროსადამები აქვს შემოხვეული და ძლიერ ხურდება გაცხელების დროს).

ანალოგიური ვითარება იყო ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის კუთხით. დელეგაციამ შენიშნა, რომ დაწესებულებაში არ არსებობდა არც ხანძრის შემთხვევაში შენობის დატოვებისათვის სპეციალური გასასვლელი და არც ხანძრის ჩასაქრობი მოწყობილობები. თანამშრომელთა მხრიდან წარმოთქმული გამამართლებელი არგუმენტი არაადექვატური იყო; მათ განაცხადეს, რომ პატიმრებს არასოდეს დაუნთიათ ცეცხლი საკნებში. თუმცა, ცხადი იყო, რომ ელექტროკაბელების მდგომარეობა საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნიდა დაწესებულებას.

17. **წპკ**-ს რეკომენდაციაა, რომ დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ დრანდას ციხესი არსებული ელექტრული სისტემა მიუახლოვდეს ნორმალურ სტანდარტს და შემუშავდეს ხანძარსაწინააღმდეგო გეგმა. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს თანამშრომლბისათვის მკაფიო ინსტრუქციების გაცემას, ხანძრის შემთხვევაში სათადარიგო გასასვლელების დაგეგმვას და დაწესებულებაში ხანძრის ჩამქრობი მოწყობილობების მომარაგებას.

18. **წპკ**-ს დელეგაციამ ასევე შენიშნა, რომ საკნებში არსებულ ფანჯრებს არ ჰქონდათ შუშები. თანამშრომელთა მხრიდან სხვადასხვა განმარტება მოეძებნა აღნიშნულს: "ეს ხელს უწყობს უკეთეს ვენტილაციას", "პატიმრები მაინც ჩაამტვრევენ შუშებს" და ა.შ. ფანჯრებში შუშების არარსებობის გამო, პატიმრები ფანჯრებში სვამდნენ პოლიეთილენის პარკებს. **წპკ**-ს მიაჩნია, რომ მსგავსი ვითარება დაუშვებელია, განსაკუთრებით ზამთარში (თუ გავითვალისწინებთ ასევე იმას, რომ საკნებში არსებობს ცენტრალური გათბობის სისტემა). არსებობს შესაბამისი მასალები (უტეხი შუშა და ა.შ), რომლეთა გამოყენებაც შესაძლებელია უამინდობისაგან დასაცავად. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ გადადგმულ იქნას ნაბიჯები აღნიშნული ნაკლოვანების გამოსასწორებლად**.

19. ადმინისტრაციული შნობის პირველ სართულზე **წპკ**-მ შენიშნა რამდენიმე ე.წ. "მოსაცდელი ჯიხური", სადაც პატიმრებს დროებით ათავსებდნენ (პატიმრების თქმით, პირები იქ ზოგჯერ რამდენიმე საათის განმავლობაშიც თავსდებიან) ახალმიღებულ პატიმრებს ან იმ პატიმრებს, რომელნიც სხვა დაწესებულებაში გადაყვანის მოლოდინში არიან (საავადმყოფოში, სასმართლო სხდომაზე და ა.შ.). ეს ჯიხურები ძალიან პატარა იყო, მათი ფართობი ძლივს აღწევდა 1 $მ^2$-ს (0.76 მX1.34 მ) და იყო ბნელი (შიგნით არ იყო შუქი). **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ აღნიშნული ჯიხურები დაუყოვნებლივ გაუქმდეს**.

20. დაწესებულებისათვის პრობლემას წარმოადგენდა სასმელი წყლის რეგულარული მიწოდება. ამის ორი მიზეზი იყო: პირველი, წყლის მომარაგების სისტემა აჩერებდა მუშაობას, როდესად დენი ითიშებოდა, მეორე კი - სასმელი წყლის მიწოდების სისტემა მწყობრიდან იყო გამოსული. პატიმრებმა და თანამშრომლებმა გადანცხადეს, რომ წყალი ძალიან ხშირად წყდებოდა და აღწერეს წყლის შეწყვეტასთან დაკავშირებული პრობლემები. ასეთ შემთხვევებში წყლის მიწოდება უზრუნველყოფილი იყო წყლის ავზების საშუალებით. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ აღნიშნული პრობლემისათვის მოიძებნოს გრძელვადიანი გამოსავალი**.

21. რაც შეეხება დადებით მხარეებს, **წპკ**-ს დელეგაციას არ მოუსმენია საჩივრები საკვების მიწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც მზადდებოდა განახლებულ სამზარეულოში. ამავე დროს, პატიმრის კვებაზე გამოყოფილი დღეში ორმოცდაათი მანეთი საკმაოდ მცირე იყო და პატიმრები ძირითადად ოჯახის წევრებისგან მარაგდებოდნენ საკვებით, განსაკუთრებით ცოცხალი ხილით.[59] **კონკრეტული ზომები უნდა იქნას მიღებული იმ პატიმრებთან დაკავშირებით, რომელთაც არ აქვთ დამატებითი საკვების შეძენის საკმარისი შესაძლებლობა ან საკვების ოჯახის წევრებისგან მიღების საშუალება**.

ბ. სხვადასხვა აქტივობები

22. ოცი სამუშაო ადგილის გარდა (საერთო ტერიტორიის დასუფთავება, საკვების მომზადება და დარიგება, სარეცხი, სამეურნეო სამუშაოები და ა.შ.)[60], პატიმრებისათვის არ იყო ორგანიზებული არანაირი აქტივობები ან ღონისძიებები.[61]

58 საკნებში არსებული ავეჯი და სხვა მოწყობილობები არ იყო დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი

59 დრანდას ციხეში არ არსებობდა რაიმე შეზღუდვა (უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვის გარდა) საკვების ამანათით მიღებასათან დაკავშირებით.

60 წპკ-ს მიაწოდეს იფნორმაცია, რომ აღიშნული სამუშაო კენჭისყრით ხვდებოდათ პატირებს და ეს უკანასკნელნი არ იღებდნენ არანაირ ანაზღაურებას. ერთადერთი დადებითი ფაქტორი იყო ის, რომ ეს პატიმრები ცხოვრობდნენ განსაცლეკებულ კორპუსში, სადაც გადაადგილებისათვის შდარებით მეტი თავისუფლება იყო ("ღია კარის" სისტემა მუშაობდა 9.00-დან 17:30-მდე).

61 ორი პატარა ოთახი (სავარჯიშო და დასასვენებელი ოთახები) განლაგებული იყო მესამე სართულზე, მაგრამ დაკავებული იყო ე.წ. "პრივილეგირებული

უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრები დღეში 2.5 საათს ატარებდნენ სასეირნო და სავარჯიშო ტერიატორიაზე, რომელიც განლაგებული იყო სახურავზე ან შენობის გარშემო მდბარე ეზოში. თუმცა, **წპკ** არ მიიჩნევს ამას ორგანიზებულ აქტივობად, განსაკუთრებით ისეთად, რომელიც მიმართული უნდა იყოს პატიმართა რეაბილიტაციაზე. ეს უდავოს იმის ბრალი იყო, რომ ეს ციხე თავდაპირელად აშენებული იყო, როგორც საგამოძიებო იზოლატორი და მანდ არ იყო თავიდანვე უზრუნელყოფილი რეკრეაციული ინფრასტრუქტურა ან სასწავლო კურსები. გარდა ამისა, ციხის თანაშმრომლების დიდი ნაკლებობა შეინიშნებოდა. რომ შევაჯამოთ, დრანდას ციხეში არ არსებობდა რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფდა სარეაბილიტაციო ღონიძიებების, მათ შორის სხვადასხვა ტრენინგების ჩატარებას.

ზემოაღნიშნული პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას, რადგა დრანდას ციხე აფზაზეთის ტერიტორიზე ერთადერთია მსჯავრდებული პატიმრებისათვის. მიზნად უნდა იყოს დასახული იმის მიღწევა, რომ პატიმრები დღეში არანაკლებ რვა საათს ატარებდნენ საკანს გარეთ, სხვადასხვა შინაარსიან აქტივობებში მონაწილეობით. დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, მის ტერიტორიაზე ისეთი რეჟიმის შემოღება, რომელიც დამახასიათებელია დაწესებულებისათვის, სადაც იმყოფებიან მსჯავრდებული პატიმრები, გმირობის ტოლფასი იქნება. ცხადია, უფრო უპრიანი იქნებოდა დაწესებულების გადატანა სხვა ტერიატორიაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული მოთხოვნები. მანამდე კი, **წპკ-ს რეკომენდაციაა, მიღებულ იქნას ზომები, რათა ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, თუნდაც მინიმალური აქტივობები იყოს პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი**.

23. **წპკ**-მ ასევე შენიშნა, რომ არც დაწესებულებაში მიღებისას, არც მერე, ციხეში არ იყო უზრუნვეყოფილი პატიმართა <u>კლასიფიკაცია</u> და <u>დიფერენციაცია</u>. ეს პირველ რიგში არის გასაკეთებელი, რათა შესაძლებელი გახდეს პირებისათვის ინდივიდუალური პატიმრობის გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, როგორც წესი, ასეთი პრაქტიკის შემოღებას თვით პატიმრებიც ემხრობიან ხოლმე, რადგან ეს მათ აძლევს საშუალებას მათი პატიმრობის განმავლობაში გაიუმჯობესონ პირობები, მიღონ მეტი დამოუკიდებლობა და იტვირთონ პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, პატიმრობის ინდივიდუალური გეგმების არსებობა ხელს უყობს დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ციხის ევროპული წესების თანახმად (103-ე და 104-ე წესები), შემუშავდეს სქემა, რომლის მიხედვით დაწესებულებაში შესაძლებელი იქნება პატიმართა კლასიფიკაცია და დიფერენციაცია**.

24. ტერიტორია, სადაც პატიმრები გაჰყავდათ სასეირნოდ ან სავარჯიშოდ მოიცავდა შენობის სახურავზე განლაგებულ ათ პატარა ეზოს[62] და საპატიმრო კორპუსის გარშემო, პირველ სართულზე მიმდებრე ტერიატორიას. ასევე იყო სპორტული მოედანი (რომელიც უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში არ გამოიყენებოდა, რადგან იქ მიმდინარეობდა სამუშაოები). **წპკ**-მ უკვე არაერთხელ აღნიშნა, რომ მათი კონფიგურაციის გამო, სახურავზე მოთავსებული ეზოები ნაკლებად შესაფერისი ადგილი იყო გასეირნებისა და ვარჯიშისათვის, ვიდრე პირვალ სართულზე განლაგებულები. ასევე, სახურავზე განთავსებული სავარჯიშო ეზოები ნაკლები ფართისაა და დამთრგუნველ გარემოს ქნის. **წპკ**-ს რეკომენდაცაა, რმ პრიორიტეტი მიენიჭოს პირველ სართულზე მდებარე სავარჯიშო და სასეირნო ეზოებს და დაუყოვნებლიბ დასრულდეს სპორტულ მოედანზე მიმდინარე სამუშაოები.

25. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში მოთავსებული ორი არასრულწლოვანი პირისათვის (ერთი იყო წინასწარ პატიმრობაში, ხოლო მეორე იყო მსჯავრდებული), არ იყო უზრუნველყოფილი არანაირი აქტივობა. ისინი მოთავსებულნი იყვნენ 32 $მ^2$ ფართობის ოთახში ზრდასრულ პატიმართან ერთად. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დრანდას ციხეში მოთავსებული არასრულწლოვნებისათვის დაუყოვნებლივ იქნეს უზრუნველყოფილი მათი ასაკის საჭიროებისათვის შესაფერისი საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტივობები. აღნიშნულ აქტივობათა დიდი წილი უნდა მოდიოდეს ფიზიკურ განვითარებაზე.** გარდა ამისა, **აქსიომაა, რომ არასრულწლოვნები ზრდასრული პატიმრებისგნ განცალკევებით უნდა იყვნენ მოთავსებულნი, და იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვნები იმყოფებიან ზრდასრულთა დაწესებულებაში, დაუშვებელია, მათი ერთ საკანში მოთავსება**.

26. და ბოლოს, **წპკ**-ს სურს ხაზი გაუსვას იმას, რომ სპეციალური რეჟიმი უნდა იქნას შემუშავებული გრძელვადიანი პატიმრებისათვის. დამატებითი ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ მათ საპატიმრო ვადას მიეცეს რაიმე შინაარსობრივი დატვირთვა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ელემენტებია ინდივიდუალური პატიმრობის გეგმის შემუშავება და ფსიქოლოგიური დახმარება, რათა ისინი მომზადდნენ იმ პერიოდისათვის, როდესაც მოვა მათი გათავისუფლების დრო. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, გადაიხედოს გრძელვადიანი პატიმრებისათვის მოპყრობა**.

პატიმრებით. რამდენიმე წლის წინ ასევე გაკეთდა კომპიუტერების პატარა ოთახი, მაგრამ სასწავლო კურსები შეწყდა.

62 ყველაზე დიდი ეზოში იყო 30 $მ^2$ და 50 $მ^2$ ფართის და იქ მოთავსებული იყო მაგიდის ტენისის მოწყობილობა.

4. ჯანდაცვის სამსახური

ა. შესავალი

27. **წპპ**-ს ესმის, რომ ისეთ მძიმე ეკონომიკურ პირობებში, როგორიც აფხაზეთშია, გარდაუვალია გარკეულ მსხვეპრლზე წასვლა, ციხეშიც კი. თუმცა, მიუხედავად სირთულეებისა, პირისათვის თავისუფლების აღკვეთა გულისხმობს მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ვალდებულების აღებას, მათ შორის ეფექტიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფის კუთხით. ჯანდაცვის მომსახურების არასათანადო დონემ შეიძლება მალევე შექმნას ისეთი ვითარება, რომელიც უტოლდება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.

წპპ-ს დელეგაციამ შენიშნა, რომ მძიმე დაავადებებისა და პათოლოგიების შემთხვევაში, პატიმრების მდიკამენტებით მომარაგებაზე ზრუნევდნენ მათი ოჯახის წევრები ან მეგობრები. **წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები, რათა ის პატიმრები, რომელთაც არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა და რომელნიც ვერ იღებენ დახმარებას თავიანთი ოჯახებიდან, უზრუნველყოფილნი იყვნენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მედიკამენტებით**.

28. ზოგადად, ვიზიტის დროს გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, **წპპ** თვლის, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ციხეებში ჯანდაცვის მომსახურების ყოვლსმომცველი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც დაეფუძნება თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სხვა ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა პატიმრის ინფორმირებული თანხმობა, სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ჯანდაცვის პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობა. ამ კონტექსტში, სასარგებლო იქნება მინიშნების გაკეთება **წპპ**-ს საქმიანობის მე-3 საერთო ანგარიშზე - "ჯანდაცვის სამსახურები ციხეებში" და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე No. R (98) 7, რომელიც ეხება ციხეში ჯანდაცვის მომსახურების ეთიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს.

ბ. პერსონალი

29. დრანდას ციხეში არსებული უფროსი <u>სამედიცინო პერსონალი</u> შედგებოდა 3 მოწვეული ექიმისგან; შინაგან სნეულებათა ერთი თერაპევტისგან, ფილტვების ექიმისგან და დერმატოლოგისგან. მოწვეული ექიმები რეგულარულად დადიოდნენ ციხეში. მაგ, შინაგან სნეულებათა ექიმი დაწესებულებაში კვირაში სამჯერ მიდიოდა, ხოლო დემატოლოგი და ფილტვების ექიმი - კვირაში ორჯერ. თითოეული ვიზიტი დაახლოებით ხუთ საათს გრძელდებოდა. შესაბამისად, დრანდას ციხეში ექიმები თვეში 33 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ. ვიზიტების ეს რაოდენობა სავსებით საკმარისი ჩანს დაწესებულებისათვის, სადაც 222 პატიმარი იმყოფება.

თუმცა, ვიზიტის დროს **წპპ**-მ შენიშნა, რომ დაწესებულებაში მთავარი ექიმის მოვალეობას ფაქტიურად მთავარი ექთანი ასრულებდა და არა მოწვეული ექიმები. **წპპ**-ს აზრით მნიშვნელოვანია, რომ დრანდას ციხეში მთავრი ექიმის მოვალეობას ასრულედეს კვალიფიციური ექიმი. პრაქტიკაში, ეს თანამდებობა გულისხმობს ისეთ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, რომელიც მხოლოდ ექიმმა შეიძლება აიღოს. **წპპ-ს რეკომენციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები აღნიშნული ნაკლოვანების გამოსასწორებლად**.

30. სპეციალური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ტუბერკულოზის სამკურნალოდ დაწესებულებას კვირაში ორჯერ ეწვევა ფილტვების ექიმი, რომელსაც აგზავნის ორგანიზაცია "ექიმეი საზღვრებს გარეშე" (იხილეთ აგრეთვე 38-ე პუნქტი). გარდა ამისა, 2009 წლის თევებრვლამდე დაწესებულებაშ რეგულარულად დადიოდა მოწვეული ფსიქიატრი დრანდას ფსიქიატრიული საავადმყოფიდა. მას შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პატიმრებს აგზავნიან ახლოს მდებარე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. სომატური კონსულტაციები და დამატებითი კონსულტაციები უზრუნველყოფილი იყო ოჩამჩირეში მდებარე საავადმყოფოს მიერ.

წპპ უარყოფითად აფასებს დრანდას ციხეში სტომატოლოგიური ქირურგიის კაბინეტის დახურვას. დელეგაციას აცნობეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, პატიმრებს სტომატოლოგიური ოპერაციებისათვის აგზავნიან სოხუმში. თუმცა, მიღებული საჩივრებიდან გამომდინარე (როგორც პატიმრებიდან, ისე პერსონალიდან), **წპპ-ს ეჭვი შეაქვს ამ მექანიზმის ეფექტიანობაში. წპპ-ს რეკონედაციაა, რომ პატიმრებისათვის უზრუნველყოფილ იქნას სათანადო სტომატოლოგიური მკურნალობა**.

31. დაწესებულებაში არსებულ ექიმთა გუნდს ეხმარება ხუთი <u>ექთნისაგან</u> შემდგარი ჯგუფი (მთავარი ექთნის ჩათვლით). მთავარი ექთანი დაწესებულებაში იმყოფება სამუშაო დღეებში, ხოლო დანარჩენი ოთხი - მთელი კვირის განმავლობაში. სამედიცინო პერსონალში ასევე შედიოდა ლაბორატორიის ასისტენტი და "ფელშერი", რომლებიც ტუბერკულოზის მკურნალობაზე იყვნენ სპეციალიზირებულები. ამგვარი ჯგუფს შეუძლია დააკმაყოფილოს დაწესებულების მოთხოვნები, სადაც მოთავსებულია დაახლოებით 200 პირი. ცხადია, პატიმართა რაოდენობის გარდის შემთ-

ვევაში, უნდა გადაიხედოს სამედიცინო პერსონალის რაოდენობაც.

32. **წპკ**-ს დელეგაციამ შენიშნა, რომ დრანდას ციხის ჯანდაცვის სამსახური ასევე უზრუნველყოფდა მომსახურებას დაწესებულების თანამშრომლებისთვისაც. ცხადია, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ვითარებიდან გამომინარე, **წპკ**-ს არ აქვს ამის საწინააღმდეგო მოკლევადიან პერსპექტივაში. თუმცა, ცალსახად უნდა გაიმიჯნოს ეს ორი საქმე და თანამშრომელთა ჯანდაცვის მომსახურების უზრუნველყოფა არ უნდა მოხდეს პატიმრების ხარჯზე. ცალ-ცალკე უნდა განისაზღვოს მიღების საათები პატიმრებისა და თანამშრომლებისათვის და ცალკე უნდა ინახებოდეს მათთვის გამოყოფილი მედიკამენტების მარაგი. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ამ კუთხით გადაიდგას აუცილებელი ნაბიჯები**.

გ. ინფრასტრუქტურა

33. როგორც უკვე აღინიშნა, ჯანდაცვის სამსახური განთავსებულია საპატიმრო კორპუსისგან განცალკევებით, ორსართულიან შენობაში. პირვალ სართულზე განლაგებულია სამედიცინო, საექთნო და ტექნიკური ოთახები, ასევე - 9 საკანი (აქედან თოხი ვიზიტის დროს დაკეტილი იყო შეკეთების მიზნით). პირველი სართული განკუთვნილი იყო ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისათვის და გაყოფილი იყო სამ განყოფილებად, სადაც პაციენტები მათი ბაქტერიოლოგიური სტატუსის მიხედვით იყვნენ განთავსებულნი (-, + ან მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტებისათვის).[63] საპატიმრო კორპუსის მსგავსად, ციხეში არსებული ყველა შენობა საკმაოდ დაზიანებული იყო და შეინიშნებოდა ერთნაირი პირობები (გათბიბის არარსებობა, ფანჯრებში შუშების არარსებობა, ელექტროენერგიის წყვეტადი მომარაგება, სასმელი წყლის პრობლემა; დაზიანებული ავეჯი). **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ გაგრძელდეს სარემონტო სამუშაოები და სამედიცინო სამსახურში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ჰიგინური პირობები და სათანადო სისუფთავე**.

დ. სამეციდინო შემოწმება დაწესებულებაში მიღებისას

34. მალევე გახდა ცხადი, რომ დრანდას ციხეში პატიმრის მიღებისას არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო სამედიცინო შემოწმება. ექიმის მიერ პაციენტის მონახულება ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექთანი ექიმის გადასცემდა პაციენტის ჩივილის შესახებ რაიმე კონკრეტულ დაავადებასთან დაკავშირებით. ანუ უმეტეს შემთხვევებში, საეროდ არ ტარდებოდა პატიმრების შემოწმება. პატიმართა ნაწილმა განაცხადა, რომ ციხეში მიღებისას, მათ არანაირი გასუბრება არ გაუვლიათ ექთანთან, ან ზოგ შემთხვევებში ექთანი საკნის სარკმელში ერთ კითვას სვამდა, "უჩიოდნენ თუ არა პატიმრები რაიმეს ჯანმრთელობის კუთხით". აღნიშნული ვითარება დადასტურდა სამედიცინო ჟურნალების დათვალიერების დროს, სადაც არანაირი მინიშნება არ იყო პატიმართა მიღებისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შესახებ ან შემოწმეიბსას გამოვლენილი დაზიენების შესახებ, რაც ნამდვილად არ შეესაბამება არასათანადო მოპყრობის პრევენციის სტანდარტებს.[64]

წპკ-ს აზრით, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში მიღებისას თითოეულმა პატიმარმა გაიაროს შემოწმება და გასაუბრენა ექიმთან რაც შეიძლება მალე. გამონაკლისების გარდა, ახალმიღებული პატიმრების სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს პატიმრის დაწესებულებაში მიღების დღესვე.[65] **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დრანდას ციხეში უზრუნველყოფილი იქნას ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება**.

ე. სამედიცინო ანკეტები და კონფიდენციალურობა

35. დრანდას ციხის ჯანდაცვის სამსახურის ლაზარეთში მყოფ მხოლოდ მატიმართა ნაწილზე არის წარმოებული სამედიცინო ანკეტა, სადაც მითითებულია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.[66] დანარჩენი პატიმრებისათვის (ანუ უმეტესობა პატიმრისათვის) არ არსებობდა არანაირი სამედიცინო ანკეტა. ასევე შეუძლებელი იყო პატიმრის ინდივიდუალური სამედიცინო ისტორიის აღდგენა ექთნების მიერ წარმოებული სხვადასხვა სამედიცინო ჟურნალის რეტროსპექტული შემოწმების შედეგად.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დაწესებულებაში პატიმრების მიღებიდანვე, თითოეული პატიმროსათვის გაიხსნას ინდივიდუალური და კონფიდენციალური სამედიცინო ანკეტა, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ, ასევე მის მიერ გავლილი ნებისმიერი გამოკვლევის შესახებ. თუ გამონაკლისის სახით ეს დაუშვებელი არ არის თერაპიული თალსაზრისით, პატიმარს უნდა ჰქონდეს თავისი სამდიცინო ანკეტის გაცნობის შესაძლებლობა და უნდა ჰქონდეს უფლება მოითხო-

63 BK-, ნერწყვის სინჯის მიხედვით ბაქტერიოლოგიურად დაუდგენელი; BK+ - ნერწყვის სინჯის მიხედვით ბაქტერიოლოგიურად დადგენილი

64 დაწესებულებულებაში მიღებისას ჩატრებულ სამედიცინო შემოწმებას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის კუთხით.

65 ამგვარი სამედიცინო შემოწმება ასევე შეიძლება ჩატარდეს კვალიფიციური ექთნის მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე.

66 რამდენიმე არსებული სამედიცინო ანკეტა ექიმს ჰქონდა შენახული ჩაკეტილ მდგომარეობაში.

ვოს, რომ აღნიშნული ინფორმაცია გააცნონ მისი ოჯახის წევრებსა და ადვოკატს. პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, სამედიცინო ანკეტა უნდა გადაეცეს მიმღებ დაწესებულებას.

36. სამედიცინო კონსულტაციები (და ლაზარეთში მყოფ პატიმრებთან გასაუბრება) ყოველთვის მიმდინარეობს ციხის თანამშრომელთა თანდასწრებით. ეს პრაქტიკა მიუღებელია; სამედიცინო კონფიდენციალურობა ისევე უდნა იყოს დაცული ციხეში, როგორც ზოგადად მის გარეთ. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ყველა სახის სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მიყურადების გარეშე და, თუ ცალკეულ შემთხვევაში ექიმი საწინააღმდეგოს არ მოითხოვს, მათი თვალთახედვის არის მიღმა. იგივე ეხება ექთნის მიერ ჩატარებულ გასაუბრებას**.

ვ. გადამდები დაავადებები

37. ტუბერკულოზი წლების განმავლობაში იყო და არის უმთავრესი პრობლემა პენიტენციური სისტემაში. არასათანადო საყოფაცხოვრებო პირობები და ფინანსური სახსრების უკმარისობა მნიშვნელოვნად აფეხებს ამ დაავადების გავრცელებასთან ბრძოლას. თუმცა "ექიმები საზღვრებს გარეშე" ოგანიზაციის დახმარებით, რამდენიმე პატიმარი უკვე გამოჯანმრთელების გზაზეა. თუმცა ეს წინსვლა მაინც შედარებითია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაჩნდა მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევები.

38. დრანდას ციხეში უზრუნველყოფილია ფილტვების ექიმის (რომელიც ტუბ-დისპანსერზეა მიმაგრებული) ვიზიტი კვირაში ორჯერ და დაწესებულებაში ამ კუთხით სპეციალიზირებული ფელშერის ყოველდღიური ყოფნა. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია პატიმრის მიღებიდან რამდენიმე დღეში მისთვის გამოკლევის ჩატარებაზე (მანტუს ტესტით), პატიმართა ყოველდღიურ მონიტორინგზე, პატიმართა მკურნალობაზე ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების თანახმად - DOTS მეთოდით, ასევე - სხვა პატიმრების ინფორმირებზე ამ დაავადების შესახებ. იგი ასევე ყურადღებას აქცევდა პაციენტთა კვების რაციონს, რომელიც სხვა პატიმრების რაციონთან შედარებით გაუმჯობესებული იყო.

წპკ-მ უკვე აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამსახურის ლაზარეთში პატიმართა (მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებულთა) საყოფაცხოვრებო პირობები უნდა გაუმჯობესდეს. ასევე **საჭიროა, რომ შეკეთდეს და რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს ექსპლუატაციაში მობილური რენტგენისა და ფლუოროგრაფიის განყოფლება (რომელიც მწყობრიდან იყო გამოსული ვიზიტის დროს**).

წპკ-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციით ორგანიზაცია "ექიმები საზღვრებს გარეშე' ამჟამად მხოლოდ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს ეხმარებოდა და ემზადებოდა მალე აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებისათის. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონიდან მსგავსი ორგანიზაციების გასვლას მოყვეს რეგიონში არსებული ჯანდაცვის მომსახურების შესაძლებლობის გაძლიერება პრევენციის და სამკურნალო პროგრამების კუთხით. ნებისმიერი არაკოორდინირებული ქმედება შეიძლება დასრულდეს დაავადების პროგრესითა და ყველაზე სახიფათო - მულტირეზისტენტულ ფორმაში გადასვლით.

5. სხვა საკითხები

ა. პერსონალი

39. **წპკ**-ს დასაწყისშივე სურს ხაზგასმით აღნიშნოს დაწესებულების თანაშრომელთა სწორი შერჩევის, დასაქმებისა და ტერნინიგების მნიშვნელობა. პრაქტიკულად, არ არსებობს არასათანადო მოპყრობისაგან ან სხვა ფორმის შეურაცხყოფისაგან დაცვის გარანტია, ვიდრე სწორად შერჩეული და გაწვრთნილი პერსონალი, რომელმაც იცის თუ როგორ შეარჩიოს სწორი მიდგომა პატიმრებთან ურთიერთობისას. როგორც უკვე აღინიშნა, (იხ. მე-10 პუნქტი), დრანდას ციხეში პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის არსებული სამოკიდებულება საკმაოდ დადებითი ჩანდა. თუმცა, აღნიშნულ ვითარებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლიც ჰქონდა და ერთ-ერთი მათგანი კვალიფიცირებული პერსონალის ნაკლებობაა.

40. დაწესებულების ოფიციალურ საშტატო განრიგში მითითებული იყო 52 ადილი, რომელთაგან 44 იყო დაწესებულების თანამშრომლის ადგილი. ვიზიტის დროს დაწესებულების თანამშრომლის 27 ადგილი იყო თავისუფალი.[67] როგორც ჩანს, დაწესებულების თანაშმრომელთა აყვანა გართულებული იყო დაბალი და გაუცემელი ხელფასების გამო. საპატიმრო კორპუსში მყოფი პატიმრები პრაქტიკულად სამი თუ ოთხი თანამშრომლისაგან შემგარი ჯგუფების ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ (რომელნიც 24-საათიანი მორიგეობა ჰქონდათ 48 საათის შუალედებით). **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დაუყოვნებლივ იქნას უზრუნველყოფილი კვალიფიცირებული პირთა**

67 დაწესებულების დირექტორმა მოიპოვა დროებით დახმარება თანამშრომელთა გაძლიერების კუთხით რამდენიმე პოლიციის ოფიცრის სახით, რომელნიც დაწესებულების შიგნით დაყვებოდნენ პატიმრებს.

მოძიება და დაწესებულების თანამშრომელთა თავისუფალი საშტატო რთეულების შევსება. გარდა ამისა, **უნდა გადაიხედოს და გაიზარდოს დაწესებულების საშტატო ერთეულთა რაოდენობა, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწესებულების თანამშრომელთათვის ხელფასების დროულად გაცემა**.

დელეგაციის წევრებს ასევე აცნობეს რომ დაწესებულების თანამშორმლები მუშაობის დროს იწვრთნებოდნენ. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულების თანამშრომელთათვის გაცნობითი ტრენინგების პროგრამის შემუშავება და განხორციელება**.

ბ. დისციპლინა

41. დრანდას ციხეში არსებული დისციპლინური რეჟიმი მოიცავდა დისციპლინურ სახდელებს, რომელთაგან ყველაზე მძიმე იყო სამარტოო საკანში ("კარცერში") მოთავსება ხუთი დღით; სამარტოო საკანში მოთავსების ათი დღის განანგრძლივების გადაწყვეტილება ზემდგომ დონეზე მიიღებოდა. პროცედურა მოითხოვს, რომ დაწესებულების თანაშმრომელმა გაამზადოს ანგარიში დისციპლინური გადაცდომის, პატიმრის მოსმენის შემდეგ დირექტორის ან მისი შემცვლელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და ზემდგომ ორგანოებში გასაჩივრების შესახებ.

დისციპლინურ სახდელთა ჟურნალის შემოწმებისას 2009 წელს დაფიქსირდა სახდელთა გამოყენების ძალზე მცირე რაოდენობა (წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში მხოლოდ შვიდი შემთხვევა) და საშუალო სიმძიმის სახდელი (ერთი-ორი თვით პაემნების აკრძალვა). **წპკ-მ მხედველობაში მიიღო დისციპლინური სახელების ლიმიტირებული გამოყენება. წპკ-ს სურს დამატებით მიიღოს ინფორმაცია, 2009 წლის ბოლომდე არსებული მონაცემების შესახებ**.

42. **წპკ** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დისციპლინური საკნების მდგომარეობას. დაწესებულებაში იყო სამი მცირე ზომის საკანი (2.4 $მ^2$ ფართის), რომელიც აბსოლუტურად ჩაბნელებული იყო (ფანჯრისა და სინათლის წყაროს გარეშე), ცივი და ნესტიანი. დელეგაციას აცნობეს, რომ ეს საკნები უკვე ორ წელია რაც არ გამოიყენება და სამარტოო საკანში მოთავსების საჭიროების შემთხვევაში, პატიმრები გადაჰყავთ სოხუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში. **წპკ**-ს აზრით, დაუშვებელია დაწესებულებაში არსებული ამ სამი საკნის გამოყენება პატიმრის მოსათავსებლად; **წპკ-ს რეკომენდაციაა რომ ნამდვილად ამოიღონ ეს საკნები გამოყენებიდან**.

გ. გარე სამყაროსთან კონტაქტი

43. პატიმრებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია გარე სამყაროსთან ნორმალური კონტაქტის შენარჩუნება. ყველაფრის მიუხედავად, პატიმრებს უნდა მიეცეთ ოჯახის წევრებტან და ახლო მეგობრებთან ურთიერთოის შენარჩუნების შესაძლებლობა. აქ სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს გარე სამყაროსთან რაც შეიძლება მეტი კონტაქტის შენარჩუნების უზრუნველყოფა. ამგვარ კონტაქტებზე ნებისმიერი შეზღუდვის დაწესება გამონაკლისისი სახით მსოლოდ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს.

წპკ-ს სურს ხაზი გაუსვას პაემნებისა და სატელეფონო კოტაქტების გამოყენებაზე წესების დაწესებისას მოქნილი მიდგომის გამოყენებას ისეთ შემთხვევებში, როდესაც ოჯახის წევრები დაწესებულებიდან შორს ცხოვრობენ, რაც პრაქტილურად შეძლებელს ხდის რეგულარულ ვიზიტებს). მაგალითად, ასეთ პატიმრებს უდა მიეცეთ თითოეული პაემნისათვის გათვალისწინებული დროის ერთიანად ან ამ დროის სატელეფონო ზარებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

44. თითოეული მსჯავრდებლი პატიმრისათვის დაშვებული იყო თვეში ერთი, ერთი საათის ხანგრძლივობის <u>პაემანი</u> ნორმალურ პირობებში (პაემნებისათვის იყო გამოყოფილი მაგიდები). გარდა ამისა მსჯავრდებული პატირები სარგებლობდნენ თვეში ერთი ხანგრძლივი პაემნით, რომლის ხანგრძლივობა იყო 24-დან 48 საათამდე. ამ მიზნისათვის ამინისტრაციის კორპუსის პირველ სართულზე გამოყოფილი იყო 5 საკმაოდ კომფორტულად მოწყობილი ოთახი. რაც შეეხება ბრალდებულ პატიმრებს, მათი პაემნით სარგებლობის უფლებას (თვეში ერთი საათი) აკონტროლებდა მისი საქმის გამომძიებელი.

მიუხედავად ზემოაღიშნულისა, პაემნების სისტემას ჰქონდა ორი მნიშვნელოვანი ხარვეზი: ორგანიზაციული პრობლემებიდან გამომდინარე, პაემნები მხოლოდ კვირის სამუშაო დღეების განმავლობაში ეწყობოდა; რაც შეეხება ხანგრძლივ პაემანს, ის დაშვებული იყო მხოლოდ დაქორწინებული წყვილისათვის. **სასურველი იქნებოდა, რომ შემუშავებულიყო პაემნების ისეთი სისტემა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა პაემნების დანიშვნა შაბათ-კვირის დღეებშიც და გრძელვადიანი პაემნების მოწყობა თანაცხოვრებაში მყოფი წყვილებისათვის რა არა მხოლოდ დაქორწინებულთათვის**. გარდა ამისა, **როგორც მსჯავრდებულთა, ისე ბრალდებულთა პაემნებისათვის გამოყოფილი დრო - თვეში ერთი საათი, უნდა გაიზარდოს და გახდეს კვირაში ერთი საათი**.

პატიმრების მიერ მიღებულ და გაგზავნილ <u>წერილებზე</u> დაწესებული იყო ზედამხედველობა. ეს ეხებოდა ყველა სახის კორესპონდენციას, ადვოკატების მისამართით გაგზავნილსაც კი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, **წპკ-ს სურს კვლავ გაიმეოროს, რომ პატიმარს უნდა**

ჰქონდეს მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთან კონფიდენციალური მიმოწერის უფლება.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს იშვიათად გამოიყენებოდა, ყველა მსჯავრდებულ პატიმარს ჰქონდა შესაძლებლობა, აუცილებლობის შემთხვევაში, **სატელეფონო ზარის** განსახორციელებლად ესარგებლა ციხის მისაღებში არსებული ტელეფონით; თუმცა ეს არ ეხებოდა ბრალდებულ პატიმრებს. **სასურველი იქნებოდა ბრალდებული პატიმრებისატვის აღნიშნული შესაძლებლობის მიცემა; რა თქმა უნდა, შესაძლებელია სატელეფონო ზარებზე შესაბამისი კონტროლოს დაწესება**.

დ. საჩივრები და ინსპექტირების პროცედურები

45. საჩივრებისა და ინსპექტირების ქმედითი მექანიზმები არასათანადო მოპყრობისაგან ან ძალაუფლების სხვა ფორმით ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ფუნდამენტური გარანტიაა. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საჩივრების მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა როგორც დაწესებების შიგნით, ისე გარეთ და შესაბამისი ორგანოსათვის კონფიდენციალურად მიმართვის უფლება.

დრანდას ციხეში რეგულარულად ახორციელებდა ვიზიტებს საჯარო პროკურორის მოადგილე. იგი ამოწმებდა დაწესებულებას და ესაუბრებოდა იმ პატიმრებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთვამდნენ. იგი ასევე ესწრებოდა საკანში მიმდინარე ჩხრეკას (რომელიც ყოველთვის ტარდებოდა ასევე მოწმის სახით სხვა პატიმრის თანადასწრებით). რაც შეეხება საჩივრების წარდგენას, ეს პროცედურა აშკარად არ იყო ოფიციალურად ორგანიზებული.[68] გარდა ზემოხსენებულ პროკურორთან შეხვედრისა, პირდაპირი კონტაქტის ასევე შესაძლებელი იყო დაწესებულების დირექტორთან და ადამიანის უფლბათა რწმუნებულთან (ომბუდსმანთან). **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ პატირებისათვის დაწესდეს საჩივრების წარდგენის ოფიციალური პროცედურები**.

ბ. გალის, სოხუმის, ტყვარჩელისა და უშიშროების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორები (დმი)

1. წინასწარი შენიშვნები

46. **წპკ**-ს დელეგაციამ მოინახულა გალის, სოხუმისა და ტყვარჩელის დროებითი მოთავსების იზოლატორები. ამ დაწესებულებებში მოთავსებულნი იყვნენ ორი კატეგორიის პატიმრები, კერძოდ, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები და ადმნისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირები. დელეგაციამ ასევე მოინახულა უშიშროების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორი სოხუმში.

47. გალის დმი მოიცავს საპატიმრო განყოფილებას, რომელიც შედგებოდა 8 საკნისაგან, საშხაპის, დაცული სასეირნო ეზოსაგან და პაემნებისათვის გათვალისწინებული ოთახისგან. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი ორი პირი, რომელთაგან ერთი უკვე შვიდი თვის განმავლობაში იყო დაკავებული, ხოლო მეორე - ერთი კვირის განმავლობაში.

სოხუმის დმი მოიცავდა საპატიმრო განყოფლებას, რომელიც შედგებოდა 19 საკნისგან, ორი სასეირნო ეზოსგან, პაემნისათვის (ოჯახის წევრებთან და ადვოკატთან) გამოყოფილი ოთახისგან და მცირე ზომის ექთნის ოთახისგან. 70 პირის მოთავსების ლიმიტის მქონე დმი-ში ვიზიტის დროს იმყოფებოდა 25 პირი (21 მსჯავრდებული და 4 ბრალდებული).[69] ეს იყო აფხაზეთის რეგიონში არსებული ერთადერთი დაწესებულება, სადაც მოთავსებულნი იყვნენ ქალი პატიმრები (როგორც ბრალდებულები, ისე მსჯავრდებულებიც). ამ დაწესელებაში ასევე იმყოფებოდა აფხაზეთში ერთადერთი სიკვდლმისჯილი პატიმარი (იხ. 50-ე პუნქტი).[70] სოხუმის დმი-ში ასევე იყო ერთი საკანი არასრულწლოვანთათვის.

ტყვარჩელის დმი მოიცადა საპატიმრო გამყოფილებას, სადაც იყო 5 საკანი, რომელიც გადიოდა შიდა ეზოში. დელეგაციის ვიზიტის დროს, საკნებში არავინ არ იმყოფებოდა.[71]

უშიშროების სამსახურის დმი მოიცავდა სამატიმრო განყოფილებას, სადაც იყო 6 საკანი (სადაც სულ 16 ადგილი იყო) და დისციპლინურ საკანს. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა ორი ბრალდებული პირი, მამაკაცი და ქალი, რომელნიც შესაბამისად, 2 და 10 თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ იქ.

48. **წპკ** შეშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ სოხუმს დმი-ში ვიზიტის დროს იმყოფებოდა 20 მსჯავრდებული პატიმარი. რა თქმა უნდა აფხაზთში მსჯავრდებულთათვის მეორე ციხის არარსებობის პირობებში, **წპკ**-ს შეძლია გაიგოს, რომ სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში (დაწე-

68 რამდენიმე წლის წინ დამონტაჟდა "კონფიდენციალური" სატელეფონო ხაზი ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციასთან, თუმცა დროთა განმავლობაში მისი მუშაობა შეწყდა.

69 დაკავებულთა შორის იყო 11 ქალი (9 მსჯავრდებული და 2 ბრალდებული) და 14 მამაკაცი (12 მსჯავრდებული და 2 ბრალდებული).

70 სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი აფხაზეთში ძალაშია 2007 წლის იანვრიდან. მეორე სიკვდილმისჯილ პირს უმაღლესი ზომა შეეცვალა 15 წლით პატიმრობით. მას შემდეგ იგი დრანდას ციხეში იმყოფება.

71 აღნიშნულ დმი-ში პატიმარი უკანასკნელად იმყოფებოდა 2009 წლის მარტში (15 დღის ადმინისტრაციული დაკავებისათვის), ხოლო წინა შემთხვევა დაფიქსირდა 2009 წლის იანვარში (სასმართლოზე წარდგენამდე).

სებულების უშიშროებისათვის სერიოზული საფრხე, სხვა პატიმრისაგან არსებული საფრთხე, გაქცევის რისკი და ა.შ.), შესაძლეელია რომ მსჯავრდებული პირი მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში; თუმცა ეს უნდა მოხდეს საგამონაკლისო შემთხვევებში და გამოიყნებოდეს, როგორც უკანასკნელი ზომა. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არ ჩანდა ამის საჭიროება; პირიქით ყველა ზემოხსენებული მსჯავრდებული პატიმარი (სივდილმისჯილის ჩათვლით) საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (წლების განმავლობაში) იმყოფებოდა სოხუმის დმი-ში.

ასეთი ვითარება სრულიად მიუღებელია. დროებითი მოთავსების იზოლატორები, თვისი დანიშნულების მიხედვით, არ არის გათვალისწინებული მსჯავდრებულ პირთა მოთავსებისათვის. აღნიშნულ მსჯავრდებულ პატიმრებზე დამღუპველად მოქმედებს იმ უფლებებისა და პრივილეგიების არქონა (პაემნების უფლება და ა.შ.), რითაც სარგებლობენ დრანდაც ციხეში მოთავსებული მსჯავრდებულები. დროებითი მოთავსების იზოლეტორების ინფრასტრუქტურა ასევე არ არის შესაფერისი წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის ხანგრძლივი პერიოდით (რამდენიმე კვირაზე მეტი) მოთავსებისათვის.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს მსჯავრდებულ პატიმართა სოხუმის დმი-ში მოთავსების პრაქტიკა და აღნიშნული პატიმრები გადაყვანილ იქნან დრანდას ციხეში.

გარდა ზემოაღნიშულისა, **საშუალო ვადიანი მიზანი უნდა იყოს რამდენიმე კვირაზე მეტი ხნით წინასწარ პატიმრობში მყოფი პირების გადაყვანა წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში**. ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელია დრანდას ციხეში, განცალკევებული საცხოვრებელი განყოფილებების გამოყოფისა და, საჭიროების შემთხვევაში - აშენებით, სადაც დაცული იქნება შესაბამისი უსაფრთხოების დონე და პატიმრობის პირობები (რგორც საყოფაცხოვრებო, ისე რეჟიმის კუთხით), რასაც ასევე დაემატება პატიამრთა მიღებისას, მათი კლასიფიკაციის ეფექტიანი სისტემის შემოღება (ის. 23-ე პუნქტი).

2. არასათანადო მოპყრობა

49. დასაწყისიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გალისა და სოხუმის, ასევე უშიშროების დროებითი მოთავსების იზოლატორებში[72] დელეგაციას არ სმენია საზედამხედველო პერსონალის მხრიდან პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის საჩივრების შესახებ. გარდა ამისა, ასევე არ ჩიოდნენ პატიმართა შორის ძალადობის შესახებ (იხ. მე-10 პუნქტი). ზოგადად, დაკავებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ საზედამხედველო პერსონალთან ურთიერთობა ნორმალური იყო, თუმცა - ლიმიტირებული.

50. თუმცა, სიკვდილმისჯილი პირის მდგომარეობა საკმაოდ შემაშფოთებელი იყო. ეს პირი სოხუმის დმი-ში უკვე ცხრა წლის განმავლობაში იმყოფებოდა, ხოლო ბოლო სამი წლის განმავლობაში მოთავსებული იყო საკანში 6. აღნიშული პატიმრის დაკავების პრობებების განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს ცალსახა დამოკიდებულება აქვს სიკვიდილის დასჯასთან დკავშირებით. **წპკ**-სთვის ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცის მე-13 დამატებითი პროტოკოლის ზელმოწერისას, საქართველომ აიღო ვალდებულება სიკვდილის დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით. კომიტეტს ასევე მიაწოდეს ინფორმაცია აფხაზეთში საკვდილის დასჯასთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადებაზე. შესაბამისად, კომიტეტი მოითხოვს, რომ **დაუყოვნებლივ გაუქმდეს აღნიშნული პირის მიმართ გამოტანილი სიკვდილით დასჯის განაჩენი**.

რაც შეეხება აღნიშნული პირის პატიმრობის პირობებს: იგი მოთავსებული იყო დაახლოებით 8 $მ^2$ ფართობის საკანში, რომელიც ძალიან ნესტიანი იყო და სადაც ფაქტიურად არ იყო სივრცე მოძაობისათვის (საკანში ორი ორსართულიანი საწოლი იდგა). ნახევრად გადატიხრული თურქული ტუალეტი სავალალო მდგომარეობაში იყო. გარდა ამისა, საკანში იყო ძალიან ცუდი ვენტილაცია და დღის სინათლის შეღწევადობის ხარისხი. ფანჯრის მოვალეობას ასრულებდა კედელში ამოჭრილი (0.7 მX0.5 მ ზომის) ფანჯარა, რომელსაც არც ჩარჩო ჰქონდა და არც შუშა და დაფარული იყო მეტალის მძიმე დარაბით. შესაბამისად, საკანში მუდმივად, დღისა და ღამის განმავლობაში, იყო ანთებული ნათურა (სუსტი სიძლიერის ნათურა) და პატიმარს კითვის მიზნით პირდაპირ ნათურის ქვეშ უწევდა მოთავსება.

ქვეშაგები (თხელი ლეიბი, საბანი, ლოგინის თეთრეული, ბალიში) სრულად იყო უზრუნველყოფილი, თუმცა ძალიან ძველი და გაცრეცილი იყო. თეთრეულის გარეცხვასა და გასუფთავებაზე პასუხისმგებელი იყო პატიმრის ოჯახი. საკანში არ არსებობდა რაიმეს შესანახი ადგილი. საკუთარ ნივთებს პატიმარი აწყობდა გვერდით მდგომ საწოლზე. საკანში არსებულ პატარა სივრცეში ასევე მოთავსებული იყო ორი ონკანი. ერთადერთი დადებითი მხარე იყო ის, რომ პატიმარს მისცეს კედელზე რამდენიმე სურათის ჩამოკიდების უფლება.

გარდა ზემოაღნიშნული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა, პატიმარი ძალიან მკაცრ იზოლაციაში იყო მოქცეული. იგი მუდმივად საკანში იმყოფებოდა, ჩაკეტილი კარის მიღმა. კარი მხოლოდ კვირაში ორჯერ იღებოდა: ერთხელ პირის გასაყვანად საშხაპეში (ყოველ შაბათს 20 წუთით), რისთ-

72 როგორც უკვე აღინიშნა, ტყვარჩელის დმი-ში ვიზიტის დროს არ იმყოფებოდა არცერთი პატიმარი.

ვისაც მას იმავე სართულის კორიდორის ბოლოში უწევდა გასვლა და მეორედ - საკნიდან ნაგვის გასატანად. სხვა შემთხვევაში, იგი საკნიდან გამოდიოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც წელიწადში ორჯერ ან ოთხჯერ ჰქონდა ოჯახთან პაემნის უფლება (თითო პაემანი გრძელდებოდა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში). პატიმარი იძულებით უსაქმურობაში იყო. მისი ერთადერთი აქტივობა იყო ოჯახის წევრების მიერ მიტანილი წიგნებისა თუ გაზათების კითხვა. მას აკრძალული ჰქონდა რადიო და ტელევიზორი, ასევე - ხუთი თუ ექვსი წლის წინ აეკრძალა საირნობისა და ვარჯიშის უფლების გამოყენება. როგორც უკვე აღინიშნა, ასევე აკრძალული იყო სხვა პატიმრებთან კონტაქტი. პატიმარს ადამიანთან კონტაქტი ჰქონდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას საკნის კარის სარკმლიდან აწვდიდნენ საჭმელს, ან როდესაც ესაუბრებოდა ციხის თანამშრომელი.

რა თქმა უნდა ასეთმა პირობებმა უკვალო არ ჩაიარა მის ჯანმრთელობაზე სავალალოდ ზემოქმედების გარეშე: პატიმარმა განაცხადა, რომ მას თვალებთან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემა, "დაავიწყდა სიარული" და რომ მან დაკარგა ყველა ზედა კბილი. მან ასევე განაცხადა, რომ წლების განმავლობაში არ ჩატარებია სამედიცინო შემოწმება და მხოლოდ რამდენიმეჯერ იკონტაქტა ექთანთან საკნის კარგის სარკმლის საშუალებით.

და ბოლოს, აშკარა იყო, რომ პატიმარმა არაფერი იცოდა თავისი უფლებების შესახებ და სხვადასხვა ინფორმაცია მისდიოდა სიკვიდილით დასჯასთან დაკავშირებული მორატორიუმის შესახებ, რაც რა თქმა უნდა მას კიდევ უფრო უმატებდა ღელვას.

51. 50-ე პუნქტში არწერილი ვითარება ყოველგვარი ეჭვის გარეშე ფასდება, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა და შეიძლება ჩაითვალოს წამებად. **წპკ** იმეორებს ვიზიტის დასასრულს გამოთქმულ შეშფოთებას აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით და პატიმრის დრანდას ციხეში გადაყვანის დაყოვნების გამო (იხ. 48-ე პუნქტი) იძლება რეკომენდაციას, რომ **დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას:**

– პატიმრისათვის ყოველდღიური კონტაქტი სხვა პატიმრებთან, რომელთა შერჩევაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია უსაფრხოების ზომების გათვალისწინებით;

– პატიმრისათვის საცხორებელი უფრო დიდი ფართი (რისთვისაც სხვა ზომების გარდა, საკნიდან გატანილ იქნას მორე საწოლი) და კარადის/ტუმბოს დადგმა, თავისი ნივთების ჩასაწყობად;

– საკანში ვენტლაციისა და დღის სინათლის შეღწევადობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება რკინის დარაბების მოხსნისა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა უსაფრთხო საშუალების დამონტაჟების გზით, რომელიც არ შეუშლია საკანში ვენტილაციისა და დღის სინათლის შეღწევას;

– საკანში ხელოვნური განათების გაუმჯობესება და საპირფარეშოს შეკეთება;

– პატიმრისათვის ყოველდღიურად არანაკლებ ერტი საათით ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის შესაძლებლობა მთელი კვირის განმავლობაში ისეთ ტერიტორიაზე, სადაც იგი შეძლებს ფიზიკურად განტვირთვას;

– პატიმრისათვის იმ პაემნის რეჟიმით სარგებლობა, რომელიც გათვალისწინებულია მსჯავრდებული პატიმრებისათვის;

– პატიმრის სრულფასოვანი სამედიცინო შემოწმება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მკურნალობა;

– პატიმრისათვის მისი სამართლებრივი მდგომარეობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციისა მიწოდება.

3. პატიმრობის პირობები

52. მონახულებულ ყველა დროებითი მოთავსების დაწესებულებაში სხვადასხვა სახისა და ხარისხის ხარვეზები შეინიშნებოდა. ზოგადად რომ მიმოვიხილოთ, შედარებით უკეთესი პირობები შეინიშნებოდა გალის დმი-ში; სოხუმის დმი-ში პირობები შედარებით უარესი იყო; კიდევ უფრო ცუდი პირობები იყო უშიშროების სამსახურის დმი-ში, ხოლო ტყვარჩელის დმი-ში - აბსოლუტურად მიუღებელი. **ტყვარჩელის დმი საერთოდ უნდა გაუქმდეს და აღარ გამოიყენებოდეს**.

53. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პირობებს, ზოგიერთ დაწესებულებაში, მაგალითად სოხუმისა დმი-ში და უშიშროების სამსახურის დმი-ში რამდენიმე პატიმარი საკმაოდ ნორმალური ზომის ინდივიდუალურ საკანში იყო მოთავსებული (დაახლოებით 8.5 $მ^2$ ფართობის). მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევები იყო, რადგან, მაგალითად, სოხუმის დმი-ში, ერთ-ერთ საერთო საკანში, რომლის ფართობი იყო 12 $მ^2$, იმყოფებოდა ხუთი ქალი პატიმარი (იხ. 59-ე პუნქტი). გალის დმი-ში 8.5 $მ^2$ ფართობის საკანში, რომელშიც ორი ორსართულიანი საწოლი იდგა (ანუ ეს საკანი ოთხ ადამიანზე იყო დათვლილი), იმყოფებოდა ორი პატიმარი. **წპკ** მიიჩნევს, რომ საერთო საკანში მოთავსებულ თითოეულ პატიმარზე გათვლილი უნდა უნდა იყოს არანაკლებ 4 $მ^2$ საცხოვრებელი ფართი. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ზემოაღნიშნული კრიტერიუმის გათვალისწინებით, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიხედოს თითოეულ პატიმარზე გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართი**.

54. ყველა მონახულებულ დმი-ში სერიოზული პრობლემა იყო საკნების ვენტილაცია და მათში დღის სინათლის შეღწევადობა. საკნების ფანჯრები ბლოკირებული იყო სხვადასხვა საშუალებებით (რკინის დარაბები, გისოსები და ა.შ.), რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებდნენ საკნებში ვენტილაციასა და დღის სინათლის შეღწევას. ზოგიერთ შემთხვევაში საკნები ძალიან ბნელი იყო, დღის განმავლობაშიც კი, და მოითხოვდა მთელი დღის განმავლობში ხელოვნური განათების გამოყენებას (რომელიც ასევე არ იყო ძლიერი და საკმარისი). ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო უშიშროების სამსახურისა და ტყვარჩელის დმი-ში, სადაც საკნებში საერთოდ არ იყო უზრუნველყოფილი ელექტროენერგიის მომარაგება (შესაბამისად არ იყო ხელოვნური განათებაც). ასევე რთული ვითარება იყო ვენტილაციის კუთხით; საკანთა უმრავლესობაში მძიმე ჰაერი და სუნი იდგა.

წპკ-ს რეკომენაციაა, მიღებულ იქნას ზომები დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში ვენტლაციისა და დღის სინათლის შეღწევადობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების კუთხით რკინის დარაბების მოხსნისა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა უსაფრთხო საშუალების დამონტაჟების გზით, რომელიც არ შეუშლია საკანში ვენტილაციისა და დღის სინათლის შეღწევას. არდა ამისა, საკნებში უნდა შეკეთდეს და გაძლიერდეს ხელოვნური განათება.

ვიზიტის დროს **წპკ**-მ აღმოაჩინა საკნები, სადაც საერთოდ არ იყო ფანჯრები (№5 და №7 საკნები გალის დმი-ში) და რომლებიც ამოღებული იყო გამოყენებიდან. **ეს საკნები აუცლებლად უნდა გაუქმდეს**.

55. მონახულებულ დმი-ებში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ვითარება საყიფაცხოვრებო პირობებისა და ჰიგიენის თვალსაზრისით. **წპკ**-ს სურს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ტყვარჩელის დმი-ში არსებულ სავალალო ვითარებაზე, სადაც კედლები დაფარული იყო ჭუჭყითა და ნესტით და იატაკი იყო საშინლად ნესტიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ მონახულებულ დაწესებულებებში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, დაწესებულებაში მიღებისას პატიმრები არ იყვნენ უზურნველყოფილნი პირადი ჰიგიენის ნივთებით. ამ მხრივ, ისინი მთლიანად ოჯახის წევრების იმედზე იყვნენ. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ პატიმრებისათვის რეგულარულად იქნეს უზრუნველყოფილი პირველადი მოხმარებისპირადი ჰოგიენის ნივთები (მათ შორის საპნით, კბილის პასტითა და ჯაგრისით, ტუალეტის ქაღალდით და ა.შ.**).

56. მონახულებული დმი-ების საკნებში პატიმრებს ეძინათ ან ვიწრო ორსართულიან საწოლებზე (სოხუმისა და გალის დმი) ან ფიცარნაგებზე (ტყვარჩელის დმი, ორივე შემთხვევაში საწოლებისათვის იყო უზრუნველყოფილი ლეიბები. საბნები ყველგან იყო, თუმცა ძალიან ჭუჭყიან მდგომარეობაში. იმ პატიმრებს, რომელთაც ჰქონდათ ლოგინის თეთრეული, ამარაგებდნენ ოჯახის წევრები. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ყველა დაკავებული პირისათვის უზრუნველყოფილი იყოს ლეიბი, საბანი, ბალიში და ლოგინის თეთრეული დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში**.

უშიშროების სამსახურის დმი-ს გარდა, დანარჩენ დმი-ების საკნებში იდგა მაგიდა და სკამები. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ გამოსწორდეს აღნიშნული ხარვეზი**.

57. გალისა და სოხუმის დმი-ების საკნებში იყო საპირფარეშოები (საერთო საკნებში გადატიხრული იყო ფარდით) და წყლის ონკანი, რომელიც საკნის გარედან იმართებოდა. წყლის ონკანი და საპირფარეში არ იყო ტყვარჩელის დმი-ს საკნებში; იქ საპირფარეშო მდებარეობდა ეზოში. დმი-ების ნაწილში, ამგალითად სოხუმსა და გალში, იყო საშხაპეები, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამოსული იყო მწყობრიდან და საჭიროებდნენ შეკეთებას. უშიშროების სამსახურის დმი-ის საშხაპეში ცხელი წყალი ოთხი თვის განვლობაში არ მოდიოდა. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დაუყოვნებლივ იქნას უზრუნველყოფილი საშხაპე ინფრასტრუქტურის შეკეთება და ექსპლუატაციაში შეყვანა**.

58. **წპკ**-ს დელეგაციამ ყველა მონახულებულ დმი-ში შენიშნა ხარვეზები გათბობის ურუნველყოფის კუთხით. არსად არ იყო დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა. შესაბამისად, ის პატიმრები, ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, ხელნაკეთ გამათბობელ საშუალებებს იყენებდნენ (მაგალითად, როგორც დრანდას ციხეში). იქიდან გამომდინარე, რომ ტყვარჩელისა და უშიშროების სამსახურის დმი-ებში არ იყო უზრინველყოფილი ელექტრომომაარგება, იქ არსებულ საკნებში საერთოდ არ იყო არანაირი გათბობა. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები დროებითი მოთავსების იზოლატორების ყველა საკნის გათბობით სათანადო უზრუნველსაყოფად**.

59. **წპკ** განსაკუთრებით შეშფოთდა დმი-ებში ქალ პატიმართა მგომარეობით, რადგან ისინი გაცილებით უარეს პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე მამაკაცი პატიმრები.

როგოეც უკვე აღინიშნა, სოხუმის დმი-ში მყოფი 12 ქალი პატიმრიდან 5 მოთავსებული იყო ძალიან გადატვირთულ საკანში, რომლის ფართობი იყო 12 $მ^2$; არც სხვა ქალი პატიმრები იმყოფებოდნენ უკეთეს მდგომარეობაში, რადგან ყველანი მოთავსებულნი იყვნენ საკანში, რომლის ფარ-

თობი იყო 30 მ². გარდა ამისა, 12 მ² ფართის საკანი იყო ძალიან ბნელი (ფანჯრებზე იყო დმაგრებული რკინის დარაბები და გისოსები), მთელი დღის განმავლობაში იყო ჩართული ხელოვნური განათება და არ იყო გათბობა.

უშიშროების სამსახურის დმი-ის საკაში მოთავსებულმა ქალმა განაცხადა, რომ მას ჰიგიენური პაკეტების ნაცვლად უწევდა ზეწრის ნაჭრების გამოყენება (ჰიგიენური პაკეტების მწოდება შესაძლებელი იყო მხოლოდ ოჯახის წევრებისგან გამოგზავნილი ამანათების საშუალებით, რომელთა მიღებაც აკრძალული იყო დაკავებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში). აღიშნული მადომარეობა ღირსების შემლახველია.

თოთოელულ პატიმარზე გათვლილ საცხოვრებელ ფართთან, საკნების ვენტილაციასა და განათებასთან, ასევე გათბობასთან დაკავშირებით გაწეული ზემოაღნიშნული რეკომენდაციები თანაბრად ეხება ქალ პატიმრებსაც. გარდა ამისა, ქალი პატიმრებისათვის დამატებით ურუნველყოფილი უნდა იყოს ჰიგიენური პაკეტების მიწოდება.

60. ყველა მონახულებულ დაწესებულებებს ჰქონდათ ერთნაირი სასეირნო ეზოები. თუმცა, მხოლოს გალში არსებული სასეირნო და სავარჯიშო ეზო იყო დამაკმაყოფილებელი ზომის (36 მ²). სოხუმის დმი-ში არსებული ე.წ. "სავარჯიშო ეზოები" განლაგებული იყო მესამე სართულზე და წარმოადგენდა ამ მიზნისთვის სპეციალურად გამოყოფილ საკნებს, რომელთაც კედელში ჰქონდათ რკინის დარაბებითა და გისოსებით დაცული ღია ადგილი, საიდანაც შემოდიდა ჰაერი და სუსტი განათება. უშიშროების სამსახურის დმი-ში არსებული სასეირნო ეზო წარმოადგენდა ოთახს, რომლის ფართი იყო 25 მ² და რომელსაც ჭერში ჰქონდა დატოვებული ღია ადგილი. **წპკ-ს რეკომენდაცაა, რომ დმი-ებში უზრუნველყოფილი იყოს სასეირნო ეზოები, რომლებიც მისცემენ პატიმრებს ჰაერზე სეირნობისა და ვარჯიშის სათანადო შესაძლებლობას. ეზოები სასურველია განლაგებული იყოს პირველ სართულზე და იყოს შესაბამისი ფართის რათა საკმარისი იყოს დიდი რაოდენობის პატიმრებისათვის**.

61. პატიმართა კეთილდღეობისათვის აუცილებელია სხვადასხვა საქმიანობათა დამაკმაყოფილებები პროგრამების შემუშავება (დასაქმება, განათლება, სპორტი და ა.შ.). აღიშნულის უზრუნველყოფა აუცილებელია ყველა დაწესებულებისათვის, სადაც იმყოფებიან როგორც მსჯავრდებული, ისე ბრალდებული პატიმრები. ბრალდებულთათვის სხვასხვა საქმიანობათა პროგრამის უზრუნველყოფა არ აის მარტივი პატიმართა სწრაფი დენადობის გამო. თუმცა, ბრალდებულები არ უნდა იყვნენ მიტოვებულნი მხოლოდ საკნებში გამოკეტილ მდგომარეობაში კვირებისა და შესაძლებელია თვეების განმავლობაშიც კი. **წპკ**-ს მიიჩნევს, რომ მიზნად უნდა იქნას დასახული, რომ ბრალდებულმა პატიმრებმა დღის გონივრულად გათვლილი ნაწილი გაატარონ საკნებს გარეთ, სხვადასხვა მიზანმიმართულ და შინაარსობრივ საქმიანობაში ჩართულებმა.

62. სეირნობის გარდა, დმი-ებში არ იყო ორაგნიზებული არანაირი სხვა სახის საქმიანობა. გალის დმი-ში პატიმრებს სასეირნო ეზოზე ხელმისაწვდომობა ჰქონდათ კვირაში ყოველ მესამე დღეს 30 წუთის განმავლობაში. სოხუმის დმი-ში პატიმრებს შეეძლოთ სასეირნო ეზოში გასვლა ყოველდღე 10-დან 20 წუთამდე. უშიშროების სამსახურის დმი-ში მყოფმა პატიმრებმა კი განაცხადეს, რომ მათ საერთოდ არ იცოდნენ დაწესებულებაში სასეირნო ეზოს არსებობის შესახებ. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ყველა პატიმრისათვის, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა, უზრუნველყოფილი იყოს ყოველდღიური გასეირნება და ვარჯიში არანაკლებ ერთი დღეში ერთი საათით, კვირაში შვიდი დღის განმავლობაში და ისეთ ტერიტორიაზე, სადაც პატიმრები შეძლებენ სრულ ფიზიკურ განტვირთვას**.

63. **წპკ**-მ უკვე გასცა რეკომენდაცია სოხუმის დმი-ში მყოფ მსჯავრდებულ პატიმართა დრანდას ციხეში დაუყოვნებლივ გადაყვანის შესახებ. **წპკ**-მ ასევე აღიშნა, რომ საშუალოვადიანი მიზანი უნდა იყოს რამდენიმე კვირაზე მეტი ხნით დაკავებული ყველა ბრალდებული პირის გადაყვანის უზრუნველყოფა წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში. **წპკ-ს რეკომენდაციაა ასევე, რომ ყველა დმი-ში უზრუნელყოფილი და მოწყობილი იყოს სარეკრეაციო/საერთო ოთახი, სადაც ბრალდებული პირებს, რომელთაც სასამართლომ არ მიუსაჯა იზოლაცია და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირებს, შეეძლებათ პატარა ჯგუფებით შეკრება და ერთმანეთთან კონტაქტი დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში. აღნიშნულ ოთახში შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სამაგიდო თამაშები, ტელევიზორი და ა.შ**.

64. **წპკ** ასევე შეშფოთებას გამოხატავს დმი-ებში პატიმრების საკვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. გალისა და სოხუმის დმი-ებში (უშიშროების სამსახურის დმი-ს ჩათვლით), პატიმრები საკვენს იღებდნენ დღეში სამჯერ (დილას ფაფა, შუადღეს - ბოსტნეულის წვნიანი და საღამოს ფაფა და ჩაი). ბევრმა პატიმარმა განაცხადა, რომ საკვების მხრივ ისინი დამოკიდებულნი იყვნენ ოჯახის წევრებისგან ამანათებით მიღებულ საკვაბზე, განსაკუთრებით როცა საქმე ეხებოდა ხილს.[73]

ტყვარჩელის დმი-ში, თანამშრომლეთა ინფორმაციით, პატიმრებისათვის არ იყო უზუნველყოფილი საკვებით მომარაგება. მათ საკვებით უზრუნველყოფნდნენ ოჯახის წევრები. აეთ ვითარე-

73 პატიმრებს ჰქონდათ კვირაში 5 კგ ამანათის მიღების უფლება.

ბაში, ის პატიმრები, რომელთაც არ ჰქონდათ კონტაქტი ოჯახის წევრებთა, დამოკიდებულნი იყვნენ თანასაკნელების მიერ ან დაწესებულების ცალკეული თანამშრომლების მიერ განაწილებულ საკვებზე.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ უზრუნველყოფილი იყოს დმი-ებში მყოფ პატიმართა საკმარისი და სათანადო ხარისხის საკვებით მომარაგება საკვებისათვის გამოყოფილ ჩვეულებრივ დროს.

65. დმი-ში მყოფი პატიმრებისათვის ასევე დაწესებული იყო რიგი გაუმართლებელი შეზღუდვებისა. მაგალითად, უშიშროების სამსახურის დმი-ში პატიმრებს არ ჰქონდათ სათვალის, საწერი საშუალებების (ფურცელი, ფანქარი და ა.შ.) შვილების ფოტოების ან რელოგიური დანიშნულების ნივთების შენახვის უფლება. აღნიშული შეზღუდვები სხვა დანარჩენ შეზღუდვასთან ერთად (მაგ, დაკავებიდან პირველ სამი თვის განმავლობაში ამანათის მიღებაზე აკრძალვა, პაემნის აკრძალვა და ა.შ.) წარსულის გადმონაშთია. **წპკ**-ე რეკომენდაციაა, რომ შეწყდეს აღნიშნული შეზღუდვების დაწესების პრაქტიკა.

4. ჯანდაცვის სამსახური

66. დროებითი მოთავსების იზოლატორებში მყოფი პატიმრებისათვის არადამაკმაყოფილებლად იყო უზრუნველყოფილი ჯანდაცვის მომსახურება. მხოლოდ სოხუმის დმი-ში და უშიშროების სამსახურის დმი-ში იმყოფებოდა ექთანი (პირველ შემთხვევაში სრული სამუშაო განაკვეთით და მეორე შემთხვევაში ნახევარ განაკვეთზე). გალსა და ტყვარჩელში, საჭიროების შემთხვევაში იძახებდნენ ადგილობრივ სასწრაფო დახმარებას.

პირველ ორ დმი-ში, სადაც იმყოფებოდა ექთანი, პატიმრებს არ უტარდებოდათ სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში მიღებისას და არ იწარმოებოდა ინდივიდუალური სამედიცინო ანკეტები არც მიღებისას და არც შემდგომ პერიოდში. ინფორმაციის ნაწილის მოძიება შეიძლებოდა ექთნის მიერ ნანარმოებ საერთო ჟურნალში. უშიშროების სამსახურის დმი-ში აღნიშნულ ჟურნალზე ხელმისაწვდომობა ჰქონდა საზედამხედველო პერსონალს; გარდა ამისა, პატმრის მოთხოვნის შემთხვევაში (ან ზედამხედველი თანამშრომლის რეკომენდაციით)[74], სამედიცინო კონსულტაცია ყოველთვის ტარდებოდა დაწესებულების თანამშრომლის თანდასწრებით. არსებობდა დაწესებულების გარეთ არსებულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, რადგან ეს საჭიროებდა ესკორტის უზრუნველყოფას.[75]

გარდა სიკვდილმისაჯილი პატიმრისა, რომელზეც **წპკ**-ს უკვე ისაუბრა, კომიტეტს ასევე სურს ყურადღება გაამახვილოს უშიშროების სამსახურის დმი-ში მოთავსებული ქალი პატიმრის მდგომარეობაზე, რადგანაც ეს შემთხვევა წარმოაჩენს ჯანდაცვის მომსაურების ტიპის ხარვეზებს. აღნიშნულ პატიმარს, რომელსაც ჰქონდა ვენეროლოგიური გადამდები დაავადება და ცისტიტი, კვირების განმავლობაში უწევდა საქალაქო კლინიკაში კონსულტაციისთვის ლოდინი, მიუხედავად იმისა, რომ კლინიკა გზის მეორე მხარეს მდებარეობდა. მას ჰქონდა სია გამოწერილი წამლების, რომლებსაც უკვე ორი თვე ელოდებოდა. ამ ლოდინისაგან დაღლილმა პატიმარმა, წამლების მიწოდება სთხოვა თავისი ოჯახის წევრებს. იგივე განმეორდა, როდეაც მან მოითხოვა ფსიქიატრთან კონსულტაცია. ის ჯერ კიდევ ელოდებოდა ერთი თვის წინ გამოწერილ წამლებს.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში მყოფი პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იყოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი სათანადო ჯანდაცვის მომსახურება (სომატური და ფსიქიატრიული).

გარდა ზემოაღნიშნულია, **დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ისევე როგორც ციხეებში დაცული უნდა იყოს სამდიცინო კონფიდენციალურობა**. შესაბამისად, **36-ე პუნქტი მოცემული რეკონედაცია თანაბრად ეხება დმი-ებში წარმოებულ სამედიცინო შემოწმებებსა და კონსულტაციებს**. ასევე, **დაწესებულებების არასამედიცინო პერსონალს არ უნფა ჰქონდეს სამედიცინო დოკუმენტაციაზე წვდომა**.

5. პერსონალი

67. პოლიციის სხვა თანამშრომელთა მსგავსად, დმი-ებში მომუშავე საზედამხედველო პერსონალმა გაიარა მომზადება პოლიცის კოლეჯში. თუმცა, დმი-ებში მომუშავე სხვა თანამშრმლებს არ გაუვლიათ არანაირი მომზადება. თანამშრომლების თქმით, მათ გამოცდილება "მუშაობისას შეიძინეს".

სოხუმის დმი-ში არსებული საზედამხედველო პერსონალი შედგებოდა 17 მამაკაცისგან, რომლებიც 24 საათის განავლობაში მორიგეობდნენ ოთხ ან ხუთ კაციან ჯგუფებად. უშიშროების სამსახურის დმი-ში პერსონალში დაკომპლექტებული იყო ოთხი მამაკაცით და მცოლოდ ერთი თანამშრომელი მორიგეობდა მუდივად საპატიმრო განყოფილებაში. თანამშრომლების ასეთი

74 ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელსაც დელეგაცია გაესაუბრა, განაცხადა, რომ ექთანმა იგი მოინახულა დაწესებულებაში მიღებიდან ხუთი დღის შემდეგ ზედამხედველი თნამშრომლის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც წუხდა პატიმრის დეპრესიული ფსიქოლოიური მგომარეობის გამო.

75 სოხუმის დმი-სა და უშიშროების სამსახურის დმ-ის შემთხვევაში, დაეწსებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა (სტომატოლოგიური მომსახურების ჩათვლით) წარმოედა გზის მეორე მხარეს მდებარე ქალაქის კლინიკაში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, რთულდებოდა კონსულტაციების ორგანიზება.

სიმწირის პირბებში, ერთი თანამშრომლისათვის ფაქტიურად შეუძლებელი საკნის კარგის გახსნა სხვისი დახმარების გარეშე, რაც ცხადია პრობლემებს ქმნიდა უსაფრთხოების თვალსაზრისით (სასწრაფო სამედიცინო აუცილებლობს, ხანძრის შემთხვევებში და ა.შ.). დაწესებულების თანაშრომელმა განაცხადა, რომ კარგის გაღების საჭიროების შემთხვევაში, იგი ყოველთვის იყო იძულებული გამოეძახა დახმარება.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დმი-ში დასაქმებული თანამშრომლებისათვის შემუშავდეს სპეციალური ტრენინგების პროგრამა. ასევე უნდა გამოსწორდეს ქალი თანამშრომლების არარსებობის პრობლემა და უშიშროების სამსახურის დმი-ში გაიზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა.

6. დისციპლინა

68. თითოეულ დმი-ში არის ე.წ. დისციპლინური საკანი. თუმცა, ყველა ეს საკანი ამოღებული იყო გამოყენებიდან. ეს დაადასტურეს თანამშრომლებმაც და პატიმრებმაც. აშკარაა, რომ ეს საკნები წლების განმავლობაში არ გამოიყენებოდა. რა თქმა უნდა, ვიზიტის დროს დელეგაციის მიერ მონახულებული არცერთი საკანი არ იყო შესაფერისი ადამიანის თუნდაც დოებით მოთავსებისათვის. სხვა პრობლემების გარდა, გალისა და სოხუმის დმი-ებში ამ საკნებში საერთოდ არ იყო უზრუნველყოფილი დღის სინათლის შეღწევადობა, ხოლო უშიშროების სამსახურის დმი-ს დისციპლინურ საკანში დღის სინათლე ძალიან ცუდად აღწევდა. **აღნიშნული საკნები გამოყენების გარეშე უნდა დარჩეს**.

დელეგაციამ შეამოწმა სოხუმის დმი-ში არსებული დისციპლინური პროცედურა, რომელი დრანდას ციხეში არსებული პროცედურის მსგავსი იყო. როგორ დრანდას ციხეში, აქაც, დისციპლინური სახდელთა დაკისრების შემთხვევების რაოდენობა ძალიან მცირე იყო (უკენასკნელი 12 თვის განმავლობაში ამანათის მიღებაზე დაწესებული შეზღუდვები).

7. გარე სამყაროსთან კონტაქტი

69. პატიმართა პაემნები ახლო მეგობრებთან და ოჯახის წევრბთან უზრუნველყოფილი იყო ყველა დმი-ში, თუმცა განსხვავებული წესებით მსჯავრდებულთა და ბრალდებულთათვის. მსჯავრდებულ პირთათვის პაემნების ხელმისაწვდომობა იმავე წესით იყო განსაზღვრული, როგორც დრანდას ციხეში (გრძელვადიანი პაემნების გარდა) - თვეში ერთხელ ერთი საათის განმავლოაში; პაემნების რაოდენობის გაორმაგება სესაძლებელი იყო დაწესებულების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. ბრალდებულთა შემთხვევაში, პაემნებზე კონტროლს ახორციელებდა შესაბასი საქმის გამომძიებელი.[76] ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, **წპკ-ს სურს ხაზგასმით აღიშნოს, რომ პატიმრობაში ხანგრძლივი პერიოდით მყოფ ბრალდებულებს უნდა ჰქონდეთ პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს ვიზიტები შეიძლება დაექვემდებაროს ცალკეულ ზომებს (მაგალითად "დახურული" ტიპის პაემანი, პაემნის დროს მონიტორინგი და ა.შ.)**.

ქალმა პატიმრებმა დაიჩივლეს, რომ მათი პაემნებისათვის გამოყოფილი დრო გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მამაკაცი პატიმრებისათვის (20 წუთი). **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ქალი პატიმრებისათვის უზრუნვეყოფილ იქნას იმავე ხანგრძლივობის პაემნები, როგორც მამაკაცი პატიმრებისათვის**.

რაც შეხება <u>კორესპონდენციას</u>, როგორც დრანდას ციხეში, დმი-ებშიც შემავალ და გამავალ კორესპონდენციაზე (ადვოკატთან მიმოწერის ჩათვლით) დაწესებული იყო ცენზურა. გარდა ამისა, გაუგებარი მიზეზების გამო, წერილების გაგზავნა და მიღება ხორციელდებოდა წითელი ჯვრის გავლით. **წპკ-ს სურს კიდევ ერთხელ გაიმეოროს, რომ ყველა დაკავებულ თუ პატიმრობაში მყოფ პირს, მისი სამათლებრივი სტატუსის მიუხედავად, უნდა ჰქონდეს ადვოკატთან კონფიდენციალური მიმოწერის უფლება**.

დმი-ებში მოთავსებულ პატიმრებს არ ჰქონდათ სატელეფონო ზარებზე ხელმისაწვდომობა, ხელმისაწვდომობაზე უფლების მიცემა დამოკიდებული იყო მსჯავრდებული პატიმრების შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელობაზე, ხოლო ბრალდებული პირების შემთხვევაში - გამომძიებელზე.

8. საჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები

70. **წპკ**-ს უკვე აღნიშნა იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც იგი ანიჭებს თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ეფექტიანი საჩივრებისა და ინსპექტტირების მექანიზმების უზრუნველყოფას (იხ. 45-ე პუნქტი). პროკურორი რეგულარულად დადიოდა გალის, სოხუმისა და უშიშროების სამსახურის დმი-ებში.[77] **თუმცა, ამ ვიზიტების შედეგად, როგორც სჩანს, არ იწერებოდა არანაირი ანგარიში ან წერილობითი მოხსენება**.

გარდა ამისა, ქალ პატიმართათვის არსებული "კონფიდენციალური" სატელეფონო ხაზის

76 წპკ-ს დელეგაციას აცნობეს, რომ უშიშროების სამსახურის დმი-ში მოთასებულ ბრალდებულებს არ აძლევდნენ პაემნების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

77 ვიზიტებს ასევე ახორციელებდნენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორიცაა გაეროს სადამკვირვებლო მისია და წითელი ჯვარი.

გარდა, დმი-ებში მოთავსებული პატიმრებისათვის არ არსებობდა არანაირი ოფიციალური გასაჩივრების მექანიზმები. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაწესდეს ოფიციალური გასაჩივრების პროცედურები**.

<u>გ. პოლიციის მიერ თავისუფლების აღკვეთა და შესაბამისი დაცვის გარანტიები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

71. რამდენიმე დმი-ში ვიზიტის გარდა, **წპკ**-მ გალსა და ტყვარჩელში მოინახულა ორი პოლიციის განყოფილება. პოლიციის განყოფილებები იმავე შენობებში იყო მოთავსებული, რომელშიც დროებითი მოთავსების იზოლატორები. ვიზიტის დროს განყოფილებებში არცერთი დაკავებული პირი არ იმყოფებოდა. მხოლოდ გალის პოლიციის განყოფილებას ჰქონდა საკანი (იხ. 81-ე პუნქტი).

აფხაზეთში, პოლიციის მიერ პირის დაკავების შესახებ პროკურორს უნდა ეცნობოს დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში. ეჭვმიტანილი პირი 48 საათის განმავლობაში უნდა გათავისუფლდეს, თუ სასამართლო არ მიიღებს მისი საპოლიციო დაკავების გახანგრძლივების ან აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებას.

72. გალის, სოხუმისა (უშიშროების სამსახურის დმი-ს ჩათვლით) და ტყვარჩელის დროებითი მოთავსების დაწესებულებების მონახულებისას, **წპკ**-ს დელეგაციას პოლიციის განყოფილებებიდან ახლადგადმოყვანილი პატიმრებისგან არ მოუსმენია საჩივრები პოლიციის მიერ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ. თუმცა სრული სურათის შესაქმნელად, **წპკ**-ს სურს 2009 წელთან დაკავშირებით მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

– პოლიციის ოფიცერთა წინააღმდეგ წარდგენილი, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა და აღიშნული საჩივრების შედეგად დაწყებული სისხლისსამართლებრივი/ ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა;

– არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი/ ადმინისტრაციული საქმეებზე დამდგარი შედეგი და დაწესებული სანქციები.

წპკ-ს ასევე სურს დეტალური ინფორმაციის მიღება საჩივრებისა და დისციპლინური პროცედურების შესახებ პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის განხორციელების შემთხვევაში, მათი ობიექტურობის უზრუნველმყოფი გარანტიების ჩათვლით.

73. მოგვიანებით, წინამდებარე ანგარიშში (იხ. 75-ე და 80-ე პუნქტები), **წპკ** ჩამოაყალიბებს რეკომენდაციას პოლიციის მიერ დაკავებულ პირთათვის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიების შესახებ. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სამართლებრივი და სხვა ტექნიკური გარანტები არ არის საკმარისი; არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის საუკეთესო გარანტიაა თავად პოლიციის მიერ აღნიშნულის გამოყენებაზე უარის თქმა. ეს კი მოითხოვს პოლიციის თანამშრომელთა შერჩევისას მკაცრი კრიტერიუმების გამოყენებასა და შერჩეული თანამშრომლების გაწვრთნას. რა შეეხება ამ უკანასკნელს, პირის დაკავებისა და ეჭვმიტანილთა დაკითხვის მსგავსი მაღალი რისკის სიტუაციებთან გამკლავების საკითზებზე პრაქტიკული პროფესიული ტრენინგების პოგრამაში უნდა შევიდეს ადმიანის უფლებათა კონცეფციებიც. ეს მიდგომა უფრო ეფექტიანია, ვიდრე ადამიანის უფლებათა საკითხებზე ცალკეული ტრენინგების ჩატარება. **წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმცია პოლიციის თანამშრომელთათვის გათვალისწინებული ტრენინგების შესახებ**.

2. არასათანადო მოპყრობისაგან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის გარანტიები

ა. შესავალი

74. **წპკ** განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოლიციის მიერ თავისუფლებააღკვეთილ პირთა სამ ძირითად უფლებას:

– პირის უფლება დაკავების შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავს ან მის მიერ არჩეულ მესამე პირს;

– უფლება ადვოკატზე;

– ექიმის ხელმისაწვდომობის უფლება.

წპკ თვლის, რომ ეს სამი უფლება თავისუფლებაღკვეთილ პირთა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ფუნდამენტური გარანტიაა და ამ სამი უფლების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის დაკავების საწყისი მომენტიდანვე (იმ მომენტიდან როდესაც პირი ვალდებულია დარჩეს პოლიციაში). აღნიშნულ უფლებებზე ზელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირებისათვის, არამედ ყველა კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის (მაგალითად როგორიცაა ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირი, ან პირი, რომელიც დაკავებულია უხცოელთა შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად). გარდა ამისა, პოლიცის მიერ დაკავებულ პირებს დაუყოვნებლივ და მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოთ მათი ყველა უფლების შესახებ, ზემოაღნიშნული უფლებების ჩათვლით.

ბ. მესამე მხარისათვის შეტყობინების უფლება

75. კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტმა ან პროკურორმა, პირის დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში, დაკავების ფაქტის შესახებ უნდა შეატყობინოს ეჭვმიტანილის ახლო ნათესავებს ან მისცენ დაკავებულ პირს იმის საშუალება, რომ თავად განახორციელოს შეტყობინება. გარდა ამისა, არასრულწლოვნის დაკავების შემთხვევაში, ყოველთვის დგება მისი ახლო ნათესავებისათვის შეტყობინების საკითხი.

დაკავებულ პირთა ნაწილი, რომელსაც დელეგაცია ესაუბრა, დააპატიმრებს საკუთარ სახლში ოჯახის წევრების თვალწინ. სხვა შემთხვევებში კი, დაკავებულ პირებს დაკავებიდან რამდენიმე საათში მიეცათ ახლობლებისათვის დაკავების ფაქტის შესახებ შეტყობინების საშუალება, ზოგადად ტელეფონის საშუალებით. სხვა შემთხვევებში კი დაკავების შესახებ შეტყონინება გადაიცა ადვოკატის საშუალებით (იხ. 77-ე პუნქტი). **წპკ** მიესალმება ამგვარ ვითარებას.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ პოლიციის მიერ ნებისმიერ მიზეზით (სისხლის სამართის დანაშაულში ეჭმის მიტანა, ადმინისტრაციული პატიმრობა და ა.შ.) თავისუფლებაათკვეთილ პირს უნდა მიცეს უფლება დაკავების ფაქტის შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავს ან ის მიერ არჩეულ მესამე პირს <u>დაკავების საწყისი მომენტიდანვე</u> (ანუ იმ მომენტიდან, როდესაც პირი ვალდებულია დარჩეს პოლიციაში).

76. თუმცა, დაკავების ფაქტის შესახებ ახლო ნათესავისა თუ მესამე პირის შეტყობინების კუთხით არსებობს გამონაკლისი. პროკურორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ დაკავების ფაქტის შესახებ არ შეატყობინოს დაკავებულის ახლო ნათესავს, როდესაც ეს ზიანს მიაყენებს გამოძიების მსვლელობას. **წპკ**-სთვის მისაღებია, რომ დაკავებული პირის უფლება, დაკავების ფაქტის შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავსა თუ მის მიერ არჩეულ მესამე პირს შესაძლოა დაექვემდებაროს გარკვეულ გამონაკლისებს გამოძიების კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა ამგვარი საგამონაკლისო შემთხვევები ცალსახად და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რადგან ცნება "საზიანოა გამოძიების კანონიერი ინტერესებისათვის ძალაინ ზოგადია, და უნდა გამოიყენებოდეს დროის რაც შეიძლება მოკლე ვადებში.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ის სიტუაციები, როდესაც გამონაკლისი სახით შესაძლებელია შეიზღუდოს დაკავებული პირის უფლება, დაკავების ფაქტის შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავსა თუ მის მიერ არჩეულ მესამე პირს, ცალსახად და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თან უნდა ახლდეს დაცვის გარანტიები და მკაცრად უნდა იყოს დროში შეზღუდული.

გ. ადვოკატის ხელმისაწვდომობა

77. სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ ნებისმიერ პირს[78] აქვს ადვოკატზე უფლება, იქნება ეს მის მიერ არჩეული თუ სახაზინო ადვოკატი, მისი დაკავების საწყისი მომენტიანვე. გარდა ამისა, თავდაპირველ დაკითვმდე, პირს აქვს არანაკლებ ორი საათით ადვოკატთან კონსულტაციის გამართვის უფლება.[79] თუ ეჭვმიტანილი პირის ადვოკატი პირის დაკავებიდან ან წინასწარ პატიმრობაში მოთავსებიდან 24 საათის განმავლობაში არ გამოცხადდა, კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტმა ან პროკურორმა უდნა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა პირს დაენიშნოს ახალი ადვოკატი. უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატის ყოლა აუცილებელია როდესაც: პირი არასრულწლოვანია; პირს არ შეუძლია თავისი უფლებებით სარგებლობა ფიზიკური უნარშეზღუდულობის ან ფსიქიკური აშლილობის დროს; როდესაც პირს არ ესმის სამართალწარმოების ენა ან: როდესაც პირს ემუქრება მუდმივი პატიმრობა.

რომ შევაჯამოთ, ადვიკატზე უფლების ხელმისაწვდომობის კუთხით აფხაზეთში არსებული კნონმდებლობა დამაკმაყოფილებელი ჩანს. დროებით მოთავსების იზოლატორებში, დრანდას ციხესა და დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დელეგაციის მიერ ჩატარებული მრავალი გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ეს ნორმები პრაქტიკაშიც გამოიყენება. აღმოჩნდა, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი აღიარებულია სისხლის სამართლის დანაშაულში "ეჭვმიტანილად". შესაბამისად, **წპკ**-ს რეკომენდაციაა, მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ პირებისათვის, რომელთაც უწევთ პოლიციის განყოფილებაში მისვლა ან დარჩენა (მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულზე "მოწმის" სახით დაბარებული ან ადმინისტაციულ გადაცდომაში ეჭვმიტანილები) იმავე წესით იყოს უზრუნველყოფილი ადვიკატზე უფლება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისათვის.

78. და ბოლოს, ადვოკატზე უფლების პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელებისათვის, უნდა არსებობდეს იურიდიული დახმარების სისტემა. **წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია დაკავებულ პირთათვის იურიდიული დახმარების მექანიზმის არსებობის შესახებ აფხაზეთში**.

დ. ექიმის ხელმისაწვდომობა

79. როგორც **წპკ**-მ გამოარკვია, პოლიციისმიერ თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლება

78 ადვოკატზე უფლებით სარგებლობა ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვა შემთხვევებშიც, როგორიცაა სასამართLოს მიერ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა ან სვა პროცედურების დროს, რმელთაც გავლენა აქვთ პირის უფლებებსა და თვისუფლებაზე.

79 პირს, რომელსაც უკვე წაყენებული აქვს ბრალდება, ადვოკატთან გაუსაზღვრელი დროით კონსულტაციის უფლება აქვს.

ექიმის ხელმისაწვდომობაზე ფორმალურად არ არის გარანტირებული. დელეგაციის მიერ გამოკითხულმა არცერთმა პირმა არ განაცხადა, რომ მას პოლიციის დაკავებისას პროლემა შეექმნა ექიმის ხემისაწვდომობაზე. შესაბამისად **წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ პოლიციის მიერ თავიუფლებააღკვეთილი პირების უფლება ექიმის ხელმისაწვდომობაზე ოფიციალურად იყოს გარანტირებული თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე**.

ე. ინფორმაცია უფლებების შესახებ

80. პრინციპში, პოლიციის მიერ დაკავებული პირები ინფორმირებულნი არიან რიგი უფლებების შესახებ, მათ შორის: ინფორმაცია დაკავების მიზეზის შესახებ; გამოძიებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლის მიღება; უფლება ადვოკატზე, ადვოკატთან კონფიდენციალური კონსულტაციის უფლება დაკითხვის დაწყებამდე; ახსნა-განმარტებების უფლება ან უფლება იყოს ჩუმად და ა.შ.

დელეგაციის მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორებში გასაუბრებების ჩატარების შემდეგ დადგინდა, რომ ზოგადად, პატიმრებს მიეწოდებათ ინფორმაცია აღნიშნული უფლებების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რომ ეს პროცედურის დროს არ არის გამოყენებული სტანდარტული ფორმები.

წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას სათანადო ზომები, რათა პოლიიის მიერ ნებისმიერი მიზეზით დაკავებულ პირები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების (75-ე და 79-ე პუნქტებში ჩამოყალბებული უფლებების ჩათვლით) შესახებ დაკავების საწყისი მომენტიდანვე; გარდა ამისა, დაკავებიდან უმოკლეს დროში (ანუ პოლიციის დაწესეუბლებაში მიყვანისთანავე) პოლიციის მირ დაკავებულ პირებს უნდა გადაეცეთ სტანდარტული ფორმა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს რამდენიმე ენაზე. ასევე, პირებს უნდა მოეთხოვოთ დამადასტურებელი ცნობის ხელმოწერა, რომ მათ გააცნეს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ.

3. საყოფაცხოვრებო პირობები

81. გალის პოლიციის განყოფილებაში იყო ე.ს. "მოსაცდელი" საკანი. 4.2 $მ^2$ ფართობის საკანში, რომლის კარიც გადიოდა კორიდორში, სადაც იჯდა მორიგე ოფიცერი, იდგა ძელსკამი. საკანს ჰქონდა გისოსები, რომლის საშუალებითაც კორიდორიდან შემოდიოდა ხელოვნური განათება. პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ საკანი პირის მხოლოდ რამდენიმე საათით დაკავებისათვის გამოიყენებოდა. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო ხდებოდა პირის დაკავების პერიოდის გახანგრძლივება (ასევე, ღამით დატოვება), იგი გადაჰყავდათ რამდენიმე მეტრის დაშორებით მდებარე დროებითი მოთავსების იზოლატორში. ზოგადად, დელეგაციის მიერ გამოკითხუმა პატიმრებმა აღნიშნეს, რომ ისინი მხოლოდ რამდენიმე საათით გააჩერეს პოლიციის განყოფილებაში და მალევე გადაიყვენეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

<u>დ. დრანდას ფსიქიატრიული საავადმყოფო</u>

1. წინასწარი შენიშვნები

82. დრანდას ფსიქიატრიული საავადმყოფო თავისი პროფილის ერთადერთი დაწესებულებაა აფხაზეთში. ფსიქიატრიული საავადმყოფო აღნიშნულ შენობაში, სადაც მანამდე სამშობიარო მდებარეობდა, გადმოვიდა 1996 წელს.[80] საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ თავიდანვე განაცხადა, რომ შენობის არჩევა საკმაოდ გამოუვალ ვითარებაში მოხდა და რომ აღნიშნული დაწესებულების ინფრსატრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფდა იმ საჭიროებებს, რაც აუცილებელი იყო ფსიქიატრიუი საავადმყოფოში ხანგრძლივი დისპანსერული მკურნალობისათის (განსაკუთრებით საოკუპაციო/შრომითი თერაპიის უზრუნველყოფის კუთხით).

83. საავადმყოფოში საც-ცალე გამყოფილებებში მოთავსებულნი იყვნენ ორივე სქესის ზრდასრული[81] პაციენტები, თითო განყოფილებაში იყო 30 ადგილი. იქ ასევე იყო 15-ადგილიანი სასმართლო სამედიცინო განყოფილება, სადაც თავსდებოდნენ პატიმრები და სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები. ვიზიტის დროს მამაკაცთა განყოფილებაში იმყოფებოდა 27 პაციენტი, ხოლო ქალთა განყოფილებაში - 28; სასმართლო-სამედიცინო განყიფილებაში კი - 7 პაციენტი. საავამყოფოში მოთავსების ხანგრძლივობა მერყეობდა სამი თვიდან 10 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება სრული დატვირთვით მუშაობდა და მხოლოდ პაციენტთა მიღებისა და გაწერის ზედმიწევნითი მართვის ხარჯზე შეძლო საავადმყოფომ, რომ არ გადაეჭარბებინა ლიმიტისათვის.

84. საავადმყოფო ორი შენობისგან შედგებოდა. პირველი შენობა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო, გამოიყენებოდა ამბულატორული კონსულტაციებისათვის, ხოლო მეორე, რო-

80 7 კმ-ის დაშორებით მდებარე 800 ადგილიანი ფსიქიატრიული საავადგმყოფო განადგურდა 1996 წელს საომარი მოქმედებების დროს.

81 აფხაზეთში არ არის ცალკე დაწესებულება არასრულწლოვანთა ფსიქიატრიული დახმარებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვან პაციენტებს აგავნიან სოჩაში (რუსეთი).

ელიც შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო - სტაციონარული მკურნალობისათვის. დაწესებულების კმპლექსში შედიოდა ეზო (რომლის ნაწილი გამოიყენებოდა პაციენტების სასეირნოდ) და ბოსტნეულის ბაღი.

85. ვიზიტის დროს, საავადმყოფოში იმყოფებოდნენ როგორც ნებაყოფლობით, ისე არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტები. ამ უკანასკნელ კატეგორიაში შედიოდნენ როგორც არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები, ისე პატიმრები.[82] რაც შეეხება საავადმყოფოში მოთავსებულ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, **წპკ** ამ თემას მოგვიანებით მიუბრუნბდება (იხ.112-ე პუნქტი).

86. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციის წევრებს პაციენტებისგან არ მოუსმენიათ საჩივრები ჯანდაცვის პერსონალის ან უსაფრთხოების მხრიდან მათ მიმართ არასათნადო მოპყრობის შესახებ. ასევე არ იყო საჩივრები პაციენტთა შორის ძალადობის შესახებ. ზოგადად, დელეგაციამ შენიშნა, რომ დაწესებულებაში არ იყო დაძაბული ატმოსფერო და ჯანდაცვის პერსონალი და უსაფრთხოების თანამშრომლები გულისყურით უდგებოდნენ თავიანთ საქმეს.

2. პაციანტთა საცხოვრებელი პირობები და მკურნალობა

87. **წპკ** ვიზიტების დროს ყურადღებით აკვირდება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა საცხოვრებელ პირობებსა და მკურნალობას. ამ კუთხით არსებულმა ხარვეზებმა მალევე შეიძლება მიიყვანონ მდგომარეობა ისეთ ზომამდე, რომელიც უტოლდება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ფსიქიატრიული დაწესებულების მიზანი უნდა იყოს პაციენტებისათვის ისეთი პირობების შექნა, რომელიც აუცილებელია მათი მკურნალობისა და კეთილდღეობისათვის, ანუ ფსიქიატრიაში გამოყენებულ ტერმინის რომ გამოვიყენოთ - პოზიტიური თერაპიული გარემო. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პაციენტებისათვის, არამედ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვისაც. გარდა ამისა, პაციენტებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადექვატური ფსიქიქტრიული და სომატური მკურნალობა. მკურნალობაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის თანახმად, არანებაყოფლობითი პაციენტებისათვის გაწეული მკურნალობა და მზრუნველობა ისეთივე ხარისხის უდნა იყოს, როგორც ნებაყოფლობითი პაციენტებისათვის.

88. პაციენტთა საცხოვრებელი პირობები და მკურნალობა მეტწილად დამოკიდებულია არსებულ ფინანსურ რესურსზე. თუმცა, კომიტეტს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ეკონომიკური სირთულეების პირობებშიც კი, იმ სამედიცინო დაწესებულებებში სადაც იმყოფებიან თავისუფლებაშეზღუდული პაციენტები, გარანტირებული უნდა იყოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტარული დახმარება. ეს მოიცავს შესაბამისი კვების, გათბობისა და ტანსაცმლის, ასვე - სათანადო მკურნალობისა და მედიკამენტებით მომარაგების უზრუნველყოფას.

ა. საცხოვრებელი პირობები

89. დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებული პირობები ძნელად თუ უახლოვდებოდა საავადმყოფოს ზოგადად აღიარებულ სტანდარტებს. არსებული მატერიალური რესურსი აშკარად არასაკმარისი იყო. ამის დამადასტურებლად გამოდგებოდა ის ფაქტი, რომ იმ პალატების საყოფაცხოვრებო პირობები, სადაც მოთავსებულ პაციენტებს ოჯახის წევრები ეხმარებოდნენ არც კი შეედრებოდა იმ პალატებს, სადაც ფინანსური საშუალების არმქონენი იმყოფებოდნენ; ამ უკანასკნელთა ოთახები სავალალო მდგომარეობაში იყო.

ყველაზე მძიმე ვითარება დელეგაციას დახვდა სასამართლო სამედიცინო განყოფილებაში მდებარე სამარტოო ოთახში, სადაც ე.წ. რთული პაციენტი ბ-ნი მ. (წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენცის ევროპული კონვენცის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პაციენტთა ვინაობა კონფიდენციალურია) იწვა (ცდილობდა გადარჩენას). ოთახში არ იყო გათბობა, ყველა ფანჯარა ჩამტვრეული იყო; საწოლის გვერდით იყო გატეხილი ტუმბო, რომელიც ერთადერთი ნივთი იყო ოთახში. პაციენტის ლეიბი, საბანი და ტანსაცმელი საშინლად ბინძური იყო. მან დელეგაციასთან დაიჩივლა, რომ იტანჯებოდა შიმშილისა და სიცივისგან. **წპკ** მიიჩნევს, რომ პირობები, რომელშიც აღნიშნული პაციენტი იმყოფებოდა ფასდება როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაუყოვნებლივ მიექცეს ყურადღება ამ პაციენტის მდგომარეობას.

90. სასამართლო-სამედიცინო განყოფლების სხვა ოთახებში საყოფაცხოვრებო პირობები შედარებით უკეთესი იყო, რადგან იქ მყოფი ექვსი პაციენტი ოჯახებიდან იღებდა დახმარებას. პაციენტები მოთავსებულები იყვნენ 20 $მ^2$ ფართობის ორადგილიან და 15 $მ^2$ ფართობის ერთადგილიან ოთახებში. თითოეულ ოთახი მხოლოდ უკიდურესად აუცილებელი ავეჯითა (საწოლი, ტუმბო, ზოგად მაგიდა და სკამი) და ქვეშაგებით იყო უზრუნველყოფილი. განათება, ვენტილაცია და გათბობა ადექვატური იყო. პაციენტებს ეცვათ თავიანთი ტანსაცმელი (რომელსაც ურეცხავდნენ ოჯახის წევრები) და მათ ჰქონდათ 10 ან 15 დღეში ერთხელ ცხელი შხაპის მიღების შესაძლებლობა

82 ეს პატიმრები გადმოყვანილნი იყვნენ დრანდას ციხიდან ან როებითი მოთავსების იზოლატორებიდან.

ვარჯიშისა და სეირნობის დროს. მიუხედავად უკანასკნელ ხანს ჩატარებული რემონტისა, განყოფილების კორიდორის ბოლოს[83] განლაგებული საერთო სანიტარულ კვანძებში (თურქული ტიპის ტუალეტი, შხაპი, აბაზანა) უკვე ჩანდა მრავალი დაზიანება. განყოფილებაში არსებულ ბევრ ფანჯარას არ ჰქონდა შუშა. ზოგადად, სასამართლო-სამედიცინო განყოფილებაში პრობემები იყო სისუფთავის დაცვის კუთხით.

91. დაწესებულების მეორე სართულზე მდებარე *ქალთა განყოფილება* მოიცავდა რამდენიმე ოფისს, პაციენტთა სასადილოს და ცხრა პალატას. 15 მ^2 ფართობის პალატა ერთი პაციენტისთვის იყო გათვალისწინებული, ხოლო 30 მ^2 ფართობის პალატა - ექვსი პაციენტისათვის. რაც შეეხება სასამართლო სამედიცინო განყოფილებას, ის სავალალო მდგომარეობაში იყო (განსაკუთრებით შეინიშნებოდა ბევრი ჩატეხილი ფანჯარა) და ჰიგიენური თვალსაზრისითაც არ იყო დამაკმაყოფილებელი. პალატებში მხოლოდ აუცილებელი ავეჯი იდგა (საწოლები, ტუმბოები) და ოთახების დიზაინიც ძალიან დამთრგუნველი იყო (არ იყო არანაირი გაფორმება). კორიდირის ბოლოს მდებარე სანიტარული კანძები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო. სანიტარულ კვანებში ზელმისაწვდომობა საკმაოდ გამარტივებული იყო, რადგან პაციენტთა ოთახები არ იკეტებოდა.

92. იმავე სართულზ მდებარე *მამაკაცთა განყოფილებაში* პირობები ასე თუ ისე მსგავსი იყო. თითო პალატაში იდგა 4 (20 მ^2), 5 (25 მ^2) ან 6 (30 მ^2) საწოლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პაციენთა ნახევარი - ყველაზე აღგზნებული პაციენტები - დღის განმავლობაში და ღამით თავიანთ ოტახებში ყავდათ ჩაკეტილი. თუმცა, პაციენტებს არ დაუჩივლიათ საპირფარეშოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

93. თითოეულ განყოფილებაში მყოფ პაციენტებს ჰქონდათ დღეში 4 საათით <u>გასეირნებისა და ვარჯიშის უფლება</u> (ორჯერ ორ-ორი საათით). გალიის მსგავსი სასეირნო ტერიტორიები (დაახლოებით 100 მ^2 და 150 მ^2), სადაც იყო რამდენიმე მაგიდა და სკამები, მოწყობილი იყო საავადმყოფოს ეზოში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეზოები საკმაოდ ცუდად იყო მოვლილი და ცუდი ამინდისაგან დაცვის არნაირი თავშესაფარი არ იყო მოწყობილი. შესაბამისად, ზამთარში სამაოდ შეზღუდული იყო მათი გამოყენება.

94. პოზიტიური თერაპიული გარემოს შექმნა პირველ რიგში ითვალისწინებს პაციენტებისათვის საკმარისი საცხოვრებელი ფართის გამოყოფას, სათადო განათების, ვენტილაციისა და გათბიბის უზრუნველყოფას, დაწესებულების ინფრასტრუქტურის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენახვასა და საავადმყოფოს ჰიგიეური პირობების დაცვას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, პალატებისა და მოსასვენებელი საერთო ოთახების დეკორაციას, რათა პაციენტებს ვიზუალური სტიმული მიეცეთ. დიდად სასურველია საწოლებს გვერდით ტუმბოების და კარადების დადგმა და პაციენტებს უნდა მიეცეთ გარკვეული პირადი ნივთების (ფოტოები, წიგნები და ა.შ.) შენახვის უფლება. ასევე ხაზგასასმელია პაციენტებისათვის ისეთი ადგილის გამოყოფას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთერი პირადი ნივთების ჩაკეტვას; ამგვარი პირადი სივრცის არარსებობა ზიანს აყენებს პაციენტები უსაფრხოებისა და დამოუკიდებლობის შეგრძნებას. სანიტარული კვანძები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ დაცული იყოს პაციენტთა პირადი სივრცე. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ხანდაზმულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტებს; მაგალითად, ისეთი საპირფარეშოები, სადაც შეუძლებელია მჯდომარე მდგომარეობაში ყოფნა, არ არის შესაფერისი ასეთი პაციენტებისათვის. ასევე, აუცილეელია, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო ინვენტარი და მოწყობილობა (პრადი ჰიგიენის ჩათვლით), რომელიც ხელს შეუწყობს პერსონალს მწოლიარე მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მოვლასა და მკურნალობაში; ამგვარი მოწყობილობების არარსებობამ შეიძლება შექმნას სავალალო ვითარება.

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით ყურადღება მიექცეს დრანდას ციხეში მოთავსებულ პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობებს. განსაკუთრებული ძალისხმავაა საჭირო დაწესებულების შენობის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის (ფანჯრებში შუშების ჩასმა), ჰიგიენური პირობების დაცვისა (განსაკუთრებით საპირფარეშოში) და გათბობის უზრუნველყოფისათვის. ასევე, პაციენტებისათვის უნდა იქნას უზრუნველყოფილი ისეთი ადგილის გამოყოფას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთერი პირადი ნივთების ჩაკეტვას და პირადი სივრცის შეგრძნებას.

95. საავადმოფოს სამზარეულოს ახლახანს ჩაუტარდა რემონტი. თოთოეულ პატიმარზე დღიური საკვებისათვის გამოყოფილი თანხა იყო 60 მანეთი. პაიენტთა უმრავლესოას არ დაუჩივლია საკვებთან დაკავშირებით. **წპკ**-მ შენიშნა, რომ ვიზიტის დროს მწყობრიდან იყო გამოსული ორი ღუმელიდან ერთ-ერთი და ამის გამო საჭმლის გასაკეთებლად კვლავ გამოიყენებოდა შეშის ღუმელი. ზემოხსენებული ღუმელი სასწრაფოდ უნდა შეკეთდეს.

წპკ-ს მიერ მიღებული ინფორმაციის თაახმად, საავადმყფოფო ვერ უზრუნველყოფდა სპეციალური დიეტური რაციონის მიწოდებას, მაშინაც კი თუ ეს აუცილებელი იყო სამედიცინო

83 89-ე პუნქტში ნახსენები პაციენტის გარდა, სხვა პატიმრებ არ ჰქონდათ საპირფერეშოს ხელმისაწვდომობასთან დკავშირებული პრობლემები დღის განმავლობაში ან ღამით.

თვალსაზრისით (ტუბერკულოზოსა და დიაბეტის შემთხვევებში). **წპკ-ს რეკომენაციაა, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად**.

ბ. მკურნალობა

96. ფსიქიატრიული დახმარება დაფუძნებული უნდა იყოს ინდივიდუალურ მიდგომაზე, რაც ითვალისწინებს თითოეული პაციენტისათვის მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას. გეგმა უდა მოიცავდეს სარეაბილიტაციო და თერაპევტული აქტივობების ფართო სპექტრს. პაციენტებისათვის რეგულარულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი სათანადოდ მოწყობილი რეკრეაციული საერთო ოთხები და მათ უნდა ჰქონდეთ ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებისა და ვარჯიშის შესაძლებლობა. ასევე, სასურველია,რომ პაციენტებისათვის შეთავაზებული იყოს საგანმანათლებლო აქტივობები და შესაბამისი დასაქმება.

97. დრანდას ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმ-ფსიქიატრებმა განაცხადეს, რომ ისინი კვირაში სამჯერ მოინახულებენ თავიანთ პაციენტებს, რაც დაადასტურეს დამხმარე სამედიცინო პერსონალმა და პაიენტებმა. **წპკ** მხოლოდ მიესალმება ამ ფაქტს. ცხადია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის რეგულარული შემოწმება და გამოწერილი მედიკამენტების გადახედვა ფსიქიატრიული მკურნალობის მთავარი შემადგენელი ელემენტია. გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობს გაწერისა ან ნაკლებად შეზღუდულ გარემოში გადაყვანის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. სამწუხაროდ, პაციენტებსა და მათ მკურნალ ექიმ-ფსიქიატრენს შორის ეს რეგულარული კონსულტაციები არ იყო ასახული სამედიცინო ანკეტებში. სასამართლო-სამედიცინო, ასევე მამაკაცთა და ქალთა განყოფილებებში მოთავსებული პატიმრების სამედიცინო ანკეტებს შესწავლამ გამოავლინა, რომ აღნიშნული ანკეტები ძალზე მწირ ინფორმაციას შეიცავდა. ასევე, ანკეტებში არანაირი მინიშნება არ იყო მკურნალობის ინდივიდუალურ გეგმებზე; დოკუმენტირებული ინფორმაცია ძირითადად შეიცავდა მონაცემებს მედიკამენტების დოზების ცვლილებების შესახებ.

98. **წპკ** თვლის, რომ თითოეული პაციენტს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური მკურნალობის გეგმა. ასევე, თუთოეული პაციენტისათვის უნდა იწარმოებოდეს პერსონალური და კონფიდენციალური სამედიცინო ანკეტა, რომელიც შეიცავს დიაგნოსტიკურ ინფორმაციას (ყველანაირი გამოკვლევებისა და შემოწმებების შედეგების ჩათვლით, რომელიც პაციენტს აქვს გავლილი), ასევე მიმდინარე ჩანაწერებს პაციენტის ფსიქიკური და სომატური ჯანრთელობისა და მისი მკურნალობის შესახებ. ყველა პაციენტს უნდა ჰქოდეს უფლება, გაეცნოს საკუთარ სამედიცინო ანკეტას (თუ ეს მზანშეწონილია თერაპიული თვალსაზრისით) და მოითხოვოს, რომ ანკეტაში შესული ინფორმაცია ცნობილი გახდეს მისი ოჯახის წევრების ან ადვოკატისათვის. პაციენტის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, სამედიცინო ანკეტა უდნა გადაეცეს მიმღები დაწესებულების ექიმს, ხოლო მისი გაწერის შემთხვევაში - პაციენტის თანხმობით, ანკეტა უნდა გადაეცეს მკურნალ თერაპევტს, რომელიც დაწესებულების გარეთ არის დასაქმებული. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ უზრუნველყოფილ იქნას ზემოხსენებული პრინციპების განხორციელება დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში**.

99. ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მკურნალობის მნიშვნელოვანი ნაწილია ფსიქოფარმაკოლოგიური მკურნალობა. დაწესებულებაში არსებული პროცედურებმა უნდა უზრუნველყონ პაციენტებისათვის გამოწერილი მედიკამენტების მომარაგება და რეგულარული განაწილება. **წპკ** ყურადღებით ეკიდება მედიკამენტების ბოროტად გამოყენების მიმანიშნებელ ფაქტებს.

წპკ-მ შენიშნა, რომ პრინციპში, საავადმყოფოში უზრუნველყოფილი იყო აუცილებელი მედიკამენტებით მომარაგება. თუმცა, დაწესებულების ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ პერიოდულად ხდებოდა თავდაპირველად გამოწერილი მედიკამენტების შეცვლა სხვა წამლებით. გარდა ამისა, დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოყენებული წამლები საკმაოდ ძველი იყო (განსაკუთრებით ძველი თაობის ნეუროლეპტიკები, რომელთაც საკმაოდ ცუდი გვერდითი ეფექტები აქვს). ამავე დროს, **წპკ**-ს ესმის, რომ არსებულ რთულ ეკონომიკურ პირობებში ძალიან ცოტა ალტერნატივაა. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ საავადმყოფში უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო, თუ შესაძლებელია - ახალი თაობის მედიკამენტების მუდმივი მომარაგება**.

წპკ-ს სურს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პაციენტ მ-ს ((წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენცის ევროპული კონვენცის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პაციენტთა ვინაობა კონფიდენციალურია), რომლისთვისაც ნეუროლეპტიკების აშკარად გადაჭარბებული დოზაა გამოწერილი. **უკიდურესად აუცილებელია მისი ფარმაკოლოგიური მკურნალობის გადახედვა და ზომების მიღებამისი თერაპიული მკურნალობის უზრუნველყოფისათვის**.

100. დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებული პაციენტებისათვის არ იყო უზ-

რუნველყოფილი არანაირი <u>თერაპიული აქტივობა</u>.[84] დაწესებულების ხელმძღვანელობისა და ჯანდაცვის პერსონალის აზრით, ამის მიზეზია სათანადო ინფრასტრუქტურის არქონა და შესაბამისი კვალიფიცირებული სპეციალისტების (ძირითადად ოკუპაციური თერაპევტების) ნაკლებობა აფხაზეთში. შედეგად, პაციენტები 24 საათის განმავლობაში იმყოფებიან თავიანთ ოთხებსა ან განყოფილებებში. რეკრეაციის ერთადერთი საშუალება იყო დღეში ოთხი საათით სასეირნო ეზოზე ხელმისაწვდომობა, სადაც არ იყო დამაკმაყოფილებელი პირობები (იხ. 93-ე პუნქტი). ასე რომ, პაციენტის მკურნალობა ფაქტიურად მხოლოდ ფარმაკოთერაპიით შემოიფარგლებოდა.

101. **წპკ**-ს ესმის, რომ ზემოაღნიშნული კუთხით დაწესებულება მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. იდეალური ამოსავალი იქნებოდა საავადმყოფოს გადატანა სხვა, უფრო შესაფერის კომპლექსში, მაგრამ რადგან ამ ეტაპზე ეს შეუძლებელი ჩანს, საჭიროა რაიმეს მოფიქრება, რათა დაწესებულება უზრუნველყოფილი იყოს ოკუპაციური თერაპიის ოთახებით.[85] მეორე, ალბათ გაცილებით უფრო რთული პრობლემა არის კვალიფიცირებული პერსონალის დასაქმება (ან პერსონალის ადგილზე გაწვრთნა). **წპკ-ს მოითხოვს, რომ ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდეს რიგი თერაპიული აქტივობებისა, რომლებიც შეავსებენ ფარმაკოლოგიურ მკურნალობას და უზრუნველყოფილი იქნას გრძელვადიანი პაციენტების ჩართვა სარეაბილიტაციო ფსიქო-სოციალურ აქტივობებში, რათა ისინი მომზადდნენ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თავიანთ ოჯახებში დაბრუნებისათვის**. ოკუპაციური თერაპია უნდა იყოს სარეაბილიტაციო პროგრამის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციის ამაღლებას, სწავლებისა და კომუნიკაციის უნარჩვევების განვითარებას, კონკრეტული ცოდის მიღებას და თვითშეფასების ამაღლებას.

102. პაციენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, <u>თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა</u> განაცხადოს მკურნალობაზე. დაწესებულებაში პაციენტის არანებაყოფლობით მოთავსება არ უნდა ნიშნავდეს მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე მკურნალობაზე ნებართვის გაცემას. ეს გულისხმობს იმას, რომ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ნებაყოფლობით ან არანებაყოფლობით პაციენტს უნდა მიეცეს უფლება უარი განაცხადოს მკურნალობასა თუ სხვა სამედიცინო სახის ჩარევაზე. ამ წესიდან ნებისმიერი გადახვევა დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში. რა თქმა უნდა პაციენტის თანხმობა შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლად და ინფორმირებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს მიღებული აქვს სრული ინფორმაცია თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შეთავაზებული მკურნალობის შესახებ. შესაბამისად, პაციენტებს რეგულარულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დანიშნული მკურნალობის შესახებ. პაციენტებისთვის სათანადო ინფორმაცია (შედეგები და ა.შ.) უნდა იქნეს მიწოდებული მკურნალობის შემდეგაც.

103. დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვიზიტის დროს ცხადი გახდა, რომ ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში პაციენტის არანებაყოფლობით მოთავსება არ უნდა ნიშნავდეს მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე მკურნალობაზე ნებართვის გაცემას, უცხო იყო აფხაზეთში არსებული ფსიქიატრიული პრაკტიკისათვის. ჯანდაცვის პერსონალის ზოგიერთი წამომაგენლის თანახმად, პაციენტები ზეპირ თანხმობას აძლედნენ მკურნალობაზე, რომელიც არ იწერებოდა მათ სამედიცინო ანკეტაში. სხვების აზრით კი, დაწესებულებაში პაციენტის არანებაყოფლობით მოთავსება თავისთავად გულისხმობდა არანებაყოფლობით მკურნალობას. ეს ცალსახად რთული პროფესიული და ეთიკური საკითხია. თანხმობის ცნების ფუნდამენტური პრინციპები განხილულ უნდა იქნას ფსიქიატრების მიერ (იხ.115-ე პუნქტი).

104. მედიცინის პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი ფსიქიატრიულ მედიცინაში დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობის პრინციპი. **წპკ**-ს დელეგაციამ შენიშნა, რომ პაციენტების სამედიცინო ანკეტებზე ხელმისაწვდომობა ჰქონდათ მხოლოდ სამედიცინო პერსონალს და ექთნებს. თუმცა, სასამართლო-სამედიცინო განყოფილებაში დელეგაციამ სხვადასხვა ინფორმაციები მიიღო პაციენტსა და ექიმებს შორის კონსულტაციების კონფიდენიალურობასთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ ექიმი-ფსიქიატრების კონსულტაციებს პაციენტებთან ესწრებოდა საზედამხედველო პერსონალი.[86] **36-ე პუნქტში ჩამოყალიბებული რეკომენდაცია თანაბრად ეხება ექიმებსა და პაციენტებს შორის კონსულტაციებს დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში**.

3. პერსონალი

105. ფსიქიატრიულ დაწესებულებას პერსონალის რაოდენობის, კეტეგორიების, გამოცდილებისა და მომადების კუთხით, სათანადო რესურსები უნდა ჰქონდეს.

დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში <u>სამედიცინო პერსონალში</u> შედიოდა ორი ძალიან

84 წპკ-ს შეატყობინეს, რომ უწინ იყო მცდელობები, რათა პაციენტებისათვის მიენდოთ ეზოს და ბოსტნეულის ბაღის მოვლა, მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელი გახდა პაციენტთა მეთვალყურეობისათვის აუცილებელი პერსონალის ნაკლებობის გამო.

85 აამგვარი ოთახები შეიძლება გაკეთდეს სტაციონარული მკურნალობის კორპუსის პირველ სართულზე, ამბულატორული მკურნალობის შენობაში ან სულაც ეზოში არსებულ გამოუყენებელ შენობაში.

86 უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო-სამედიცინო განყოფლებაში არ იყო ექიმთა და ექთანთა კაბინეტები.

გამოცდილი ფსიქიატრი, ერთი ახალგაზრდა ფსიქიატრი და ერთი ფსიქოლოგი. ორი გამოცდილი ფსიქიატრი სრული განაკვეთით მუშაობდა დაწესებუებაში, ხოლო ახალგაზრდა ექიმი ნახევარგანაკვეთზე იყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და ტუბდისპანსერში. პაციენტთა რაოდენობის გათვალისწინებით სამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს მომუშავე ფსიქიატრების საათების რაოდენობა. ფსიქოლოგი არ იყო დიდად ჩართული კლინიკურ საქმიანობაში, მისი როლი შემოიფარგლებოდა სასამართლ-სამედიცინო ექპსერტიზაში მონაწილეობის მიღებით, კერძოდ კი პაციენტებისათვის სხვადასხვა სახის ტესტების ჩატარებითა და პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებით.

106. დამხმარე პერსონალში შედიოდა შვიდი ექთანი[87] და ცხრა ექთნის დამხმარე. სასამართლო-სამედიცინო განყოფილებას არ ჰყავდა ცალკე ექთანი,[88] პაციენტთა ზედამხედველობა ევალებოდა პოლიციის თანამშრომლებს. საღამოობით დაწესებულებაში იმყოფებოდა მხოლოდ ერთი ექთანი და ერთი ექთნიშ დამხმარე, ექიმის მოყვანა კი გამოძახებით იყო შესაძლებელი. სასამართლო-სამედიცინო განყოფილებას კი დარაჯობდა ერთი პოლიციის თანამშრომელი.

107. დრანდას ფსიქიატრიუ საავადმყოფოში ცალსახად ძალიან ცოტა დამხმარე სამედიცინო პერსონალიიყო დაახლოებით 70 პაციენტის მოსავლელად. ამას დაწესებულების ხელმძღვანელობაც აღიარებდა. **წპკ-ს რეკომენდაციაა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ექთნების რაოდენობა**.

გარდა ამისა, სათანადო ფსიქიკური პათოლოგიების მქომე პატიმრები, რომლებიც საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი, საჭიროებენ კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალის მიერ ზედამხედველობას. ეს ამოცანა არ უნდა დაეკისროს პოლიციის თანამშრომლებს.[89] **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ სასამართლო-სამედიცინო განყოფილებაში იმყფებოდნენ ექთნები და იწარმოებოდეს სპეციალური ჟურნალი**.

108. ზემოხსენებული ფსიქოლოგის გარდა, დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოს არ ჰყავდა სხვა სპეციალიზირებული პერსონალი, განსაკუთრებით კი საავადმყოფი განიცდიდა ოკუპაციური თერაპევტის ნაკლებობას. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიხედოს სამედიცინო პერსონალის საშტატო ერთეულების რაოდენობა იმისათვის რომ გამოსწორდეს ზემოხსენებული ხარვეზი და დასაქმდნენ შესაბამისი სპეციალისტები**.

109. დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში **წპკ**-ს დელეგაციაა აავსეს საჩივრებით სტომატოლოგიურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მცოლოდ ერთმა პაციენტმა აღნიშნა, რომ საკუთარი ხარჯებით შეძლო ესარგებლა სტომატოლოგიური მკურნალობით. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ყველა პაციენტისათვის, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მკურნალობის დაფარვის ფინანსური შესაძლებლობა თუ ოჯახებიდან დახმარება, უზრუნველყოფილი იყოს სტომატოლოგიურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა**.

4. შეზღუდვის საშუალებები

110. ნებისმიერ ფსიქიატრიუ დაწესებულებაში შეიძლება დადგეს პაციენტთა ფიზიკური შეზღუდვის საჭიროება. **წპკ** განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ თემას, არასათანადო მოპყრობის დიდი რისკიდან გამომდინარე.

როგორც დელეგაციამ შენიშნა, შეღუდვის მეთოდები ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.[90] შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შემთხვევების მცირე რაოდენობა დადასტურდა როგორც თანამშრომლებთან და პაციენტებთან გასაუბრების დროს, ისე სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებისას. ფიზიკური შეზღუდვისათვის გამოიყენებოდა ქარხნული წარმოების შემოჭვის ქამრები (მაჯების, მკერდის არისა და კოჭებისათვის). შეზღუდვის სტანდარტული პროცედურა მოიცავდა შემდეგს: აღგზნების ან პაციენტის ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მომვლელი პერსონალი ახდენდა პაციენტის შებოჭვას (საჭიროების შემთხვევაში ექთნებს ეხმარებოდნენ მათი დამხმარეები, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი დახმარებისათვის მიმართავდნენ სასამართლო-სამედიცინო განყოფილებში მყოფ ზედამხედველებს). მანუალურ კონტროლს მოყვებოდა საწოლზე შებოჭვა და ინიექციის შეყვანა.

ქალი პაციენტების შემხვევაში, შებოჭვა ხორციელდებოდა მის პალატაში, სხვა პაციენტების თანდასწრებით, მამაკაცი პაციენტების შემთხვევაში კი მთავარი ექთნის კაბინეტის წინ მდებარე ცალკე პალატაში (ხანდახან სხვა პაციენტების თანდასწრებითაც). შეზღუდვის საშუალებების გამოყენება, თანამშრომლების ინფორმაციის თანახმად, გრძელდბოდა ორი საათის განმავლობაში.

87 ერთი მთავარი ექთაი და ექვსი ექთანი (ექთნის ერთი ადგილი ვიზიტის დროს ვაკანტური იყო).

88 მამაკაცთა განყოფილებიდან ეთი ექთანი მიდიოდა ხოლმე სასმართლო-სამედიცინო განყოფილებაში წამლების განაწილებისათვის.

89 წპკ-მ უნდა აღიშნოს იმ პოლიციის თანამშრომელთა თავგამოდების შესახებ, რომელნიც პასუხისმგებელნი იყვნენ სასამართლო-სამდიცინო განყოფილების ზედამხედველობაზე. ყველა მთგანი იყო მოხალისე, და მათ აჩვენენს პაციენტებთან ურთიერთობისა და რთული სიტუაციების მოგვარების გასაოცარი უნარი. ხუთი თვის წინ მათ დეტალური ინსტრუქცია ჩაუტარდათ ზემდგომი პირებისგან, თუმცა მათ არ გაუვლიათ არანარი დამატებითი ტრენინგი.

90 მთავარი ექთნის ინფორმაციით - თვეში ორჯერ.

შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შესახებ ნებართვას გასცემდა დაწესებულებაში მყოფი ექიმი-ფსიქიატრი, ხოლო მისი დაწესებულებაში არყოფნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აწვდიდნენ ინფორმაციას მორიგე ექიმს. შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შესახებ მხოლოდ მხოლოდ მოკლე ინფორმაციის მოძიება იყო შესაძლებელი პაციენტთა სამედიცინო ანკეტებში.

111. **წპკ** მიესალმება დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შეზღუდვის მეთოდების გამოყენების დაბალ მაჩვენებელს. **წპკ-ს რეკომენდაციაა, შეზღუდვის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს ნათლად განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:**[91]

– უნდა დაკონკრეტდეს შეზღუდვისათვის გამოსაყენებელი დასაშვები საშუალებები; მათი გამოყენების პირობები და გარემოებები; მათი პრაქტიკული გამოყენების წესი, ჯანდავის პერსონალის მხრიდან ზედამხედველობის აუცილებლობა და შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შეწყვეტის შემოდგომი ზომები;

– პაციენტის ფიზიკური და/ან ქიმიური შეზღუდვისა გამოყენებისა (მანუალური კონტროლი, მექანიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენება და ა.შ.) და იზოლირების თითოეული შემთხვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ამ მიზნით ნაწარმოებ სოციალურ ჟურნალში და პაციენტის სამედიცინო ანკეტაში. ჩნაწერი უნდა შეიცავდეს შეზღუდვის დაწყებისა და შეწყვეტის დროს, გამოყენების მიზეზსა და გარემოებებს, ნებართვის გამცემი ექიმის ვინაობას და პაციენტის ან თაამშრომლიე მიერ მიღებულ ნებისმიერ დაზიანებას. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მსგავსი შემთხვევების მართვას და მათ მონიტორინგს.

ზოგადად, **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ჯანდაცვის პერსონალმა ცალკე ჟურნალში აღრიცხოს დაწესებულებაში მომხდარი ყველა ინციდენტი (პერსონალის ან სხვა პაციენტის მიმართ ძალადობა, თვითდაზიანების შემთხვევები, თვითმკვლელობის მცდელობა და ა.შ.)**.

5. დაცვის გარანტიები

112. დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მყოფ პაციანტთა სამართლებრივი მდგომარეობა არ იყო ნათელი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, სასამართლო-სამედიცინო განყოფილებაში მოთავსებული პაციენტები. მათი ფსიქიატრიული მკურნალობის ისტორიის მანძილზე, ერთის გარდა, [92] ყველა პაციენტს ჰქონდა უკვე გავლილი ერთხელ (ან მეტჯერ) მა თუ იმ დროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და/ან დაქვემდებარებულნი იყვნენ არანებაყოფლობით მკურნალობას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სისხლის სამართლებრივი დევნის ფარლებში. ოთხი არანებაყოფლობითი მოთავსების შემთხვევა თარიღდებოდა 2008 წლის შემდეგი პერიოდით. სხვა შემთხვევაში აღმოჩნა, რომ პაციენტი რვა თვის განმავლობაში იყო საავადმყოფოში მოთავსებული მხოლოდ პროკურორის წერილის საფუძველზე, რომელშიც იგი ითხოვდა სასამართლო-სამედიცინო ექპსერტიზის ატარებას (პაციენტის მდგომარეობის შეფასება ჯერ დაწყებულიც არ იყო). კიდევ ერთი პაციენტის მიმართ, რომელიც არანებაყოფლობით მკურნალობაზე იმყოფებოდა 1999 წლიდან 2001 წლამდე, პროკურორმა 2007 წელს გასცა განკარგულება მისი "იზოლაციისათვის სასამართლო-სამედიცინო განყოფილებაში"; ამ შემთხვევაშიც, ჯერ არ იყო დაწყებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ზემოხსენებული შემთხვევები ცხადყოფს, რომ სასამართლო-სამედიცინო განყოფილებაში მოთავსებული ზოგიერთი პაციენტის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითნებურ დაკავების რისკს. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ომები იმისათვის, რომ გადაიხედოს იმ პაციენტთა მდგომარეობა, რომელთა მიმართაც უკანასკნელ პერიოდში არ მიღებულა არანებაყოფლობითი მოთავსების გადაწყვეტილება (და, დაუყოვნებლივ ჩატარდეს პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასამართლო-სამედიცინო ექპსერტიზები)**.

113. არანებაყოფლობითი სტაციონარული მოთავსების შესახებ თავდაპირველი განკარგულება არ განსაზღვდავდა კონკრეტულ ვადას; არანებაყოფლობითი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილება გადაიხედებოდა ყოვლ ექვს თვეში ერთხელ საავადმყოფოს ფსიქიატრიული კომისიის მიერ (მთავარი ექიმი, რომელსაც ეხმარებოდა ორი მოწვეული ფსიქოლოგი). ეს იყო შიდა ადმინსიტრაციული აქტები, რომელნიც არ გადაეცემოდა სხვა ორგანოებს (სასამართლოს ან პროკურატურას).[93] გარდა ამისა, პაციენტები არ ესწრებოდნე კომისიის ზეპირ მოსმენას და მათთვის შეუძლებელი იყო თვისნთი აზრის დაფიქსირება (ან გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებით სარგებლობა). დამატებით სირთულეს ქმნიდა ის ფაქტი, რომ პაციენტის სამედიცინო ანკეტაში არ მოიძებნებოდა ჩანაწერი პაციენტისათვის არანებაყოფლობითი სტაციონარული მოთავსების გახანგრძლივების მიზეზების შესახებ.

114. ქალთა და მამაკაცთა განყოფილებებში არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტების[94]

91 იხილეთ აგრეთვე წპკ-ს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტები (CPT/Inf/E (2002) 1 Rev 2006, 62-68-ე გვერდები).

92 ეს პირი იყო დ.ა, პაციენტი, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი სტატუსი და რომელთან დაკავშირებითაც საავადმყოფოში ვერ შეძლეს სასამართლოს ან პროკურორის მიერ გამოცემული ვერანაირი საბუთის წარდგენა წპკ-ს დელეგაციისთვის.

93 სასამართლოს ან პროკურატურას გადაეცემოდა მხოლოდ გადაწყვეტილება არანაბაყოფლობითი სტაციოანრული მოთავსების შეწყვეტის შესახებ.

94 ნებაყოფლობითი მოთავსების დროს, პაციენტს არ მოეთხოვებოდა რაიმე ადმინისტრაციული აქტის გაფორმება და იგი ხელს არ აწერდა რაიმე ადმინისტრაციულ ფორმას (ან მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის ფორმას).

მდგომარეობა გაცილებით ნათელი იყო. პაციენტთა სტაციონარში მოთავსება ხდებოდა უბნის ექიმის რეკომენდაციით ან საავადმყოფოს რომელიმე ფსიქიატრის მიერ ამბულატორული ან ნებაყოფლობითი პაიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში პაციენტის თავსდებოდა დაკვირვების ქვეშ; თავდაპირველ გადაწყვეტილებას იღებდა სამი ექიმისაგან შემდგარი "კონსილიუმი", რომელსაც 72 საათის განმავლბაში უნდა მიეღო გადაწყვეტილება პაციენტის სტაციონარული მოთავსების ან გაწერის შესახებ. ზოგადად, გადაწყვეტილება 24 საათის განმავლობაში მიიღებოდა. გადაწყვეტილება იწერებოდა პაციენტის სამედიცინო ანკეტაში; იქვე, მოკლედ იყო მითითებული გადაწყვეტილების მიღების მიზეზები (მაგ. პაციენტი საფრთხეს უქმნიდა საკუთარ თავს და გარშემო მყოფთ). არანებაყოფლობითი მოთავსების შესახებ ამგვარი გადაწყვეტილება წინასწარ არ აწესებდა ვადებს. პაციენტის გაწერის შესახებ (ან ნებაყოფლობით მკურნალობაზე გადასვლის შესახებ) გადაწყვეტილებას რთულ შემთხვევებში იღებდა კონსილიუმი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში - მოწვეული ფსიქიატრი ან, ძირითადად, მთავარი ექიმი. პაციენტებს არ გააჩნდათ გადაწყვეტილების გასაჩირების ფორმალური შესაძლებლობა.[95]

115. შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში "სასამართლო-სამედიცინო" თუ "სამოქალაქო" რეჟიმში მყოფი პაციენტებისათვის არადამაკმაყოფილებლად იყო უზრუნველყოფილი დაცვის გარანტიები. ეს შეფასება ეხება როგორც მიღების, ისე, გადაწყვეტილებების გადახედვისა და გაწერის პროცედურებს. ეს პრობლემა ცნობილი იყო და მიიღებოდა ზომები იმისათვის, რომ სამართლებრივად უფრო გამართული ყოფილიყო ფსიქიკური ჯანდაცვის სფერო და პაციენტებისათვის უზრუნველყოფილიყო დაცვის უკეთესი გარანტიები. **წპკ** მიესალმება ამ ძალისხმევას. **წპკ-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე: ფსიქიატრიული პაციენტებისათვის არანებაყოფლობით სტაციონარული მოთავსების პროცედურები; არანებაყოფლობითი პაციენტების მიერ სტაციონირების გასაჩივრების უფლება; არანებაყოფლობითი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების რეგულარული გადახედვის პროცედურები; არანებაყოფლობითი პაციენტებისათვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა; დაცვის გარანტიები არანებაყოფლობითი მოთავსების დროს, ასევე ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში და შეზღუდვის მეთოდების გამოყენებისას, და; გასაჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.**[96]

116. **წპკ**-ს დელეგაიმ დაადგინა, რომ 20 პაციენტი ყოველგვარი თერაპიული ჩვენების გარეშე აგრძელებდა საავადმყოფოში ყოფნას იმისა გამო, რომ <u>დაწესებულების გარეთ</u> არ არსებობდა მათთვის დახმარების გაწევის რაიმე <u>მექანიზმი/სტრუქტურა</u>. დაწესებულების გარეთ ამგვარი პაციენტებისათვის დახმარების არარსებობის გამო თავისუფლების შეზღუდვის პირობებში საავადმყოფოში დარჩენა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. **უნდა გადაიდგას ნაბიჯები დაწესებულებებს გარეთ ამგვარი პაციენტების დახმარების გაწევისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად**.

117. ფსიქიატრიული პაციენტებისატვის დაცვის კიდევ ერთი გარანტია არი მათთვის <u>ინფორმაციის</u> მიწოდება მათი ჯანმრთელობისა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტებს მხოლოდ ზეპირად აცნობდნენ აღნიშნულ ინფორმაციას. ზოგიერთმა პაციენტმა გადანაცადა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია თავიანთი მდგომარეობის რიგი ასპექტების შესახებ, მაგალითად როგორიცაა მათი სტაციონირების დაგეგმილი ხანგრძლივობა, მათთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება და დაწესებულებაში მათი ყოველდღიური ცხოვრების წესები, **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ შემუშავდეს გაცნობითი ბროშურა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება პაციენტთა უფლებები და დაწესებულებაში არსებული წესები. ბროშურა პაციენტის დაწესებულების მიღებისას უნდა გადაეცეს თავად პაციენტსა და მისი ოჯახის წევრებს. ყველა იმ პაციენტს, რომელიც ვერ გაიგებს ბროშურის შინაარს, უნდა გაეწიოს შესაბამისი დახმარება**.

118. ასევე მნიშვნელოვანია <u>გარე სამყაროსთან კონტაქტის</u> შენარჩუნება არა მხოლოდ არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით, არამედ თერაპიული თვალსაზრისითაც. პაციენტს უნდა ჰქონდეთ კორესპონდენციის გაგზავნისა და მიღების უფლება, ტელეფონზე ხელმისაწვდომობა, ოჯახის წევრებთნ და მეგობრებთა პაემნების უფება. ასევე გარანტირებული უნდა იყოს ადვოკატზე კონდიფენციალური ხელმისაწვდომობა. **წპკ**-მ დაადგინა, რომ დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაკმაყოფილებული იყო ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

119. დაბოლოს, **წპკ** განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დამოუკიდებელი ორგანოს (მაგალიტად, მოსამართლე, ან საზედამედველო კომისია) მიერ ფსიქიატრიული დაწესებულებების რეგულარულ მონიტორინგს <u>პაციენტთა მკურნალობის ინსპექტირების</u> მიზნით. ამ ორგანოს უნდა <u>ჰქონდეს</u> პაციენტებთნ კონფიდენციალური გასაუბრების, საჩივრების მიღებისა და სათანადო

95 თუმცა, ზოგიერთი მაინც მიმართავდა პროკურორს წერილობით.

96 ეს სია არ არის ამომწურავი. არანებაყოფლობით სტაციონარულ მოთავსებასთან დაკავშირებული პრინციპები ჩამოყალიბებულია "წპკ-ს სტანდარტების" მე-5 თავში, CPT/Inf (2002) 1 Rev.2006.

რეკომენდაციების გაწევის უფლებამოსილება. როგორც **წპკ**-მ დაადგინა, დრანდას ფსიქიატრიუ დაწესებულებაში მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო განყოფილების ინსპექტირება ხორციელდებოდა (პროკურორის მიერ). **დამოუკიდებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს ფსიაიქტრიული დაწესებულების მთელს ტერიტორიაზე ინსპექტირების ჩატარების უფლებამოსილება**.

ე. სოხუმის სამხედრო გარნიზონის დაკავების დაწესებულება

120. **წპკ**-ს დელეგაციამ მოინახულა სოხუმის სამხედრო გარნიზონის დაკავების დაწესებულება. კომიტეტს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეს აფხაზეთში არსებული ერთადერთი სამხედრო დაკავების დაწესებულება იყო. პასუხისმგებელი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აწესებულება იმდენად სავალალო მგომარეობაში იყო, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება (და შესაბამისი თანხებიც იყო გამოყოფილი) ახალი დაწესებულების ასაშენებლად. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ აღნიშნულ მიენიჭოს პრიორიტეტი და მას სურს მიიღოს დეტალური ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ**.

121. დაკავების დაწესებულება სამ ფუნქციას ასრულებდა: სამხედრო დისციპლინის დამრღვევი ჯარისკაცებისა და ჩინის გარეშე მყოფი ოფიცრების მაქსიმუმ შვიდი დღის სამარტოო საკანში მოთავსება; ოც დღეზე ნაკლები ვადით ყველა რანგის სამხედრო მოსამსახურეთა მოთავსება, რომელიც ეჭვმიტანილნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულში და რომელნიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან (წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანის ან გათავისუფლების მოლოდინში); სავადებულო სამხედრო სამსახურში მყოფ პირთა დაკავებისათვის, რომელთაც ერთ თვეზე ნაკლები ვადით პატიმრობა მიესაჯათ სისხლის სამართლის დანაშაულზე. ამ სამი კატეგორიის პატიმრები ცალ-ცალკე იყვნენ მოთავსებულნი.

122. დაკავეის დაწესებულების ოფიციალური ლიმიტი იყო 20 ადგილი. დელეგაციის ვიზიტის დროს, დაწესებულებაში იმყოფებოდა 15 პირი (მათგან ექვსი იყო დაკავებული ადმინისტარციული წესით, ხოლო ცხრა იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში).

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციას არ მოუსმენია რაიმე საჩივარი დაწესებულების საზედამხედველო სამხედრო პერსონალის მხრიდან დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ.

123. დაკავების დაწესებულებაში იყო ორი დისციპლინური სკანი, სამი საკანი სხვა დაკავებულთათვის და ერთი პატარა სასადილო (ერთი მაგიდითა და ორი ძელსკამით). ვიზიტის დროს დაკავებული იყო ოთხი საკანი. საერთო სანიტარული კვანძები (ორი თურქული ტიპის საპირფარეშო და აბაზანა, სანიტარულ კვანძში არ იყო შხაპი) მდებარეობდა კორიდორის ბოლოს და იყო საშინლად ბინძური.

12 $მ^2$ ფართობის საკნებში ხუთ პატიმრამდე იყო მოთავსებული. საკანში არსებული ერთადერთი ნივთი იყო ხის ძელსკამი. ბუნებრივი განათება (კარს ზემოთ არსებული გისოსების საშუალებით) და ვენტილაცია, ისევე როგორც ხელოვნური განათება, არადამაკმაყოფილებელი იყო. საკნები არ თბებოდა; იყო ნესტიანი და ჭუჭყიანი. მხოლოდ ერთ პატიმარს ჰქონდა ლეიბი. დანარჩენებს საუკეთესო შემთხვევაში ჰქონდათ მხოლოდ საბნები.

პატიმრებს დღეში სამჯერ შეეძლოთ საკნის დათოვება საპირფარეშოსა და სასადილოში გასასვლელად. აშკარა იყო, რომ იქ მყოფი არცერთი პატიმრისათვის არ შეუთავაზებიათ გარეთ გასეირნება და ვარჯიში მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი უკვე თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა დაწესებულებაში.

შეჯამების სახით რომ ვთქვათ, სოხუმის სამხედრო გარნიზონის დაკავების დაწესებულებაში ძალიან ცუდი ვითარება იყო.

124. სოხუმის სამხედრო გარნიზონის დაკავების დაწესებულების ახალ შენობაში გადასვლამდე, **წპკ**-ს რეკომენდაციაა, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები იმისათვის რომ:

– შეწყდეს სამზე მეტი პატიმრის მოთავსება 12 $მ^2$ ფართობის საკანში;

– საკნებში გაუმჯობესდეს ბუნებრივი სინათლის, ზელოვნური განათების, ვენტილაციისა და გათბობის ხელმისაწვდომობა;

– ყველა საკანში საწოლების დადგმა და პატიმართა უზრუნველყოფა ლებებით, სუფთა საბნებით, ბალიშებითა და თეთრეულით;

– პატიმრებისათვის კვირაში ერთხელ ცხელი შხაპის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოდა და მათი მომარაგება პირადი ჰიგიენური საგნებით.

– სამხედრო რანგის განურჩევლად, ყველა პატიმრისათვის დღეში არანაკლებ ერთი საათით გარეთ გასერნებისა და ვარჯიშის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა.

125. დელეგაციას შეატყობინეს, რომ დაწესებულებაში გადაყვანამდე ყველა პატიმარმა გაიარა სამედიცინო შემოწმება თავის შესაბამის ნაწილში. გარდა ამისა, გამოძახების შემთხვევაში დაწესებულებაში მიდიოდა "ფელშერი". სამეხდრო ექიმს მხოლოდ სერიოზული შემთხვვების დროს იძახებდნენ და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო პატიმართა გადაყვანა სამხედრო ჰოსპიტალში.

126. რაც შეეხება ინსპექტირების პროცედურას, **წპკ**-ს დელეგაციას შეატყობინეს, რომ კვირში ერთხელ დაწესებულებაში მიდიოდა სამხედრო პროკურორი.

<u>დანართი</u>

წპკ-ს რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოთხოვნილ ინფორმაციათა ჩამონათვალი

თანამშრომლობა

<u>კომენტარები</u>

– მიღებულ უნდა იქნას ზომები მომავალში **წპკ**-ს მოთხოვნის დასაცავად, რათა უზრუნველყოფილი იყოს **წპკ**-ს დელეგაციის დაუბრკლებლად შესვლა თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ადგილას, ასევე დაწესებულებების შიგნით თავისუფლად და შეზღუდვების გარეშე გადაადგილების უფლება (მე-5 პუნქტი).

<u>დრანდას ციხე</u>

წინასწარი შენიშვნები

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– **წპკ**-ს სურს მიიღოს ზუსტი ინფორმაცია იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პატიმრების მოთავსება დრანდას ციხეში ან მათი ყოფნის გახანგრძლივება დროებითი მოთავსების იზოლატორში (მე-9 პუნქტი).

არასათანადო მოპყრობა

<u>რეკომენდაციები</u>

– მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ვერცერთმა პატიმარმა ვერ შეძლოს სხვა პატიმრებზე კონტროლის დაწესება დრანდას ციხეში (მე-11 პუნქტი);

– მე-12 პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით, მიღებულ იქნას ზომები დრანდას ციხეში პატიმართა შორის ძალადობის პრევენციისათვის. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა (მე-12 პუნქტი).

დაკავების პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

– უზრუნველყოფილ იქნას პატიმრების მომარაგება ჰიგიენური და საწმენდი საშუალებებით, რათა მათ შეძლონ თავიანთ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ჰიგიენური და სისუფთავის დამაკმაყოფილებელი სტანდარტების შენარჩუნება (მე-14 პუნქტი);

– დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ დრანდას ციხეში არსებული ელექტრული სისტემა მიუახლოვდეს ნორმალურ სტანდარტს და შემუშავდეს ხანძარსაწინააღმდეგო გეგმა. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს თანამშრომლებისათვის მკაფიო ინსტრუქციების გაცემას, ხანძრის შემთხვევაში სათადარიგო გასასვლელების დაგეგმვას და დაწესებულებაში ხანძრის ჩამქრობი მოწყობილობების მომარაგებას (მე-17 პუნქი);

– გადადგმულ იქნას ნაბიჯები აღნიშნული ნაკლოვანების გამოსასწორებლად (მე-18 პუნქტი);

– დაუყოვნებლივ გაუქმდეს ადმინისტრაციული შნობის პირველ სართულზე არსებული რამდენიმე ე.წ. "მოსაცდელი ჯიხური" (მე-19 პუნქტი);

– მოიძებნოს გრძელვადიანი გამოსავალი პრობლემისათვის სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად (მე-20 პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები, რათა 22-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით, პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იყოს თუნდაც მინიმალური აქტივობები (22-ე პუნქტი);

– ციხის ევროპული წესების თანახმად (103-ე და 104-ე წესები), შემუშავდეს სქემა, რომლის მიხედვით დაწესებულებაში შესაძლებელი იქნება პატიმართა კლასიფიკაცია და დიფერენციაცია (23-ე პუნქტი);

– პრიორიტეტი მიენიჭოს პირველ სართულზე მდებარე სავარჯიშო და სასეირნო ეზოებს და დაუყოვნებლივ დასრულდეს სპორტულ მოედანზე მიმდინარე სამუშაოები (24-ე პუნქტი);

– დრანდას ციხეში მოთავსებული არასრულწლოვნებისათვის დაუყოვნებლივ იქნეს უზრუნველყოფილი მათი ასაკის საჭიროებისათვის შესაფერისი საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტივობები. აღნიშნულ აქტივობათა დიდი წილი უნდა მოდიოდეს ფიზიკურ განვითარებაზე (25-ე პუნქტი);

– 26-ე პუნქტში ჩმოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით, გადაიხედოს გრძელვადიანი პატიმრებისათვის მოპყრობა (26-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– მნიშვნელობანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი რესურსების გამოყოფა, რათა პატიმრებს არ დაჭირდეთ ოჯახის წევრებისგან დახმარების მიღება (მე-15 პუნქტი);

– კონკრეტული ზომები უნდა იქნას მიღებული იმ პატიმრებთან დაკავშირებით, რომელთაც არ აქვთ დამატებითი საკვების შეძენის საკმარისი შესაძლებლობა ან საკვების ოჯახის წევრებისგან მიღების საშუალება (21-ე პუნქტი);

– აქსიომაა, რომ არასრულწლოვნები ზრდასრული პატიმრებისგნ განცალკევებით უნდა იყვნენ მოთავსებულნი, და იმ საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვნები იმყოფებიან ზრდასრულთა დაწესებულებაში, დაუშვებელია მათი ერთ საკანში მოთავსება (25-ე პუნქტი);

ჯანდაცვის მომსახურება

<u>რეკომენდაციები</u>

– დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები, რათა ის პატიმრები, რომელთაც არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა და რომელნიც ვერ იღებენ დახმარებას თავიანთი ოჯახებიდან, უზრუნველყოფილნი იყვნენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მედიკამენტებით (27-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ დრანდას ციხეში მთავრი ექიმის მოვალეობას ასრულებდეს კვალიფიციური ექიმი (29-ე პუნქტი);

– პატიმრებისათვის უზრუნველყოფილ იქნას სათანადო სტომატოლოგიური მკურნალობა (30-ე პუნქტი);

– გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაწესებულების თანამშრომელთა ჯანდაცვის მომსახურების უზრუნველყოფა არ უნდა მოხდეს პატიმრების ხარჯზე (32-ე პუნქტი);

– გაგრძელდეს სარემონტო სამუშაოები და სამედიცინო სამსახურში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ჰიგინური პიროები და სათანადო სისუფთავე (33-ე პუნქტი);

– დრანდას ციხეში უზრუნველყოფილი იქნას, რომ დაწესებულებაში მიღებისას თითოეულმა პატიმარმა გარიაროს შემოწმება და გასაუბრენა ექიმთან რაც შეიძლება მალე (34-ე პუნქტი);

– დაწესებულებაში პატიმრების მიღებისთანავე, თითოეული პატიმრისათვის გაიხსნას ინდივიდუალური და კონფიდენციალური სამედიცინო ანკეტა, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ, ასევე მის მიერ გავლილი ნებისმიერი გამოკვლევის შესახებ. თუ გამონაკლისის სახით ეს დაუშვებელი არ არის თერაპიული თალსაზრისით, პატიმარს უნდა ჰქონდეს თავისი სამდიცინო ანკეტის გაცნობის შესაძლებლობა და უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს, რომ აღნიშნული ინფორმაცია გააცნონ მისი ოჯახის წევრებსა და ადვოკატს. პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, სამედიცინო ანკეტა უნდა გადაეცეს მიმღებ დაწესებულებას (35-ე პუნქტი);

– ყველა სახის სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მიყურადების გარეშე და, თუ ცალკეულ შემთხვევაში ექიმი საწინააღმდეგოს არ მოითხოვს, მათი თვალთახედვის არის მიღმა. იგივე ეხება ექთნის მიერ ჩატარებულ გასაუბრებას (36-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ციხეებში ჯანდაცვის მომსახურების ყოვლსმომცველი პოლიტიკის შემუშავებას (28-ე პუნქტი);

– სასურველია, რომ შეკეთდეს და რაც შეილება მალე დაბრუნდეს ექსპლუატაციაში მობილური რენტგენისა და ფლუოროგრაფიის განყოფილება (რომელიც მწყობრიდან იყო გამოსული ვიზიტის დროს) (38-ე პუნქტი);

– მნიშვნელოვანია, რომ რეგიონიდან "ექიმები საზღვრებს გარეშე' ორგანიზაციების გასვლას მოყვეს რეგიონში არსებული ჯანდაცვის მომსახურების შესაძლებლობის გაძლიერება პრევენციის და სამკურნალო პროგრამების კუთხით. ნებისმიერი არაკოორდინირებული ქმედება შეიძლება დასრულდეს დაავადებს პროგრესითა და ყველაზე სახიფათო - მულტირეზისტენტულ ფორმაში გადასვლით (38-ე პუნქტი).

სხვა საკითხები

<u>რეკომენდაციები</u>

– დაუყოვნებლივ იქნას უზრუნველყოფილი კვალიფიცირებული პირთა მოძიება და დაწესებულების თანამშრომელთა თავისუფალი საშტატო ერთეულების შევსება (40-ე პუნქტი);

– უნდა გადაიხედოს და გაიზარდოს დაწესებულების საშტატო ერთეულთა რაოდენობა, უზ-

რუნველყოფილი უნდა იყოს დაწესებულების თანამშრომელთათვის ხელფასების დროულად გაცემა (40-ე პუნქტი);
– უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულების თანამშრომელთათვის გაცნობითი ტრენინგების პროგრამის შემუშავება და განხორციელება (40-ე პუნქტი);
– ნამდვილად ამოიღონ არსებული დისციპლინური საკნები გამოყენებიდან (42-ე პუნქტი);
– პატირებისათვის დაწესდეს საჩივრების წარდგენის ოფიციალური პროცედურები 45-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>
– უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწესებულების თანამშრომელთათვის ხელფასების დროულად გაცემა (40-ე პუნქტი);
– სასურველი იქნებოდა, რომ შემუშავებულიყო პაემნების ისეთი სისტემა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა პაემნების დანიშვნა შაბათ-კვირის დღეებშიც და გრძელვადიანი პაემნების მოწყობა თანაცხოვრებაში მყოფი წყვილებისათვის რა არა მხოლოდ დაქორწინებულთათვის (44-ე პუნქტი);
– როგორც მსჯავრდებულთა, ისე ბრალდებულთა პაემნებისათვის გამოყოფილი დრო - თვეში ერთი საათი, უნდა გაიზარდოს და გახდეს კვირაში ერთი საათი (44-ე პუნქტი);
– ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთან კონფიდენციალური მიმოწერის უფლება (44-ე პუნქტი);
– სასურველი იქნებოდა ბრალდებული პატიმრებისატვის სატელეფონო ზარეის განხორციელების შესაძლებლობის მიცემა; რა თქმა უნდა, შესაძლებელია სატელეფონო ზარებზე შესაბამისი კონტროლოს დაწესება (44-ე პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>
– **წპკ**-ს სურს მიიღოს დამატებით ინფორმაცია, 2009 წლის ბოლომდე დისციპლინური სახდელების გამოყენების არსებული მონაცემების შესახებ (41-ე პუნქტი).

<u>გალის, სოხუმის, ტყვარჩელისა და უშიშროების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორები (დმი)</u>

წინასწარი შენიშვნები

<u>რეკომენდაციები</u>
– დაუყვნებლივ შეწყდეს მსჯავრდებულ პატიმართა სოხუმის დმი-ში მოთავსების პრაქტიკა და აღნიშნული პატიმრები გადაყვანილ იქნან დრანდას ციხეში (48-ე პუნქტი);
– საშუალო ვადიანი მიზანი უნდა იყოს რამდენიმე კვირაზე მეტი ხნით წინასწარ პატიმრობში მყოფი პირების გადაყვანა წიანსწარი პატიმრობის დაწესებულებაში (48-ე პუნქტი);

არასათანადო მოპყრობა
<u>რეკომენდაციები</u>
– დაუყოვნებლივ გაუქმდეს სიკვდილით დასჯის განაჩენი (50-ე პუნქტი);
– დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას:
• პატიმრისათვის ყოველდღიური კონტაქტი სხვა პატიმრებთან, რომელთა შერჩევაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია უსაფრხოების ზომების გათვალისწინებით;
• პატიმრისათვის საცხოვრებელი უფრო დიდი ფართი (რისთვისაც სხვა ზომების გარდა, საკნიდან გატანილ იქნას მორე საწოლი) და საკანში კარადის/ტუმბოს განთავსება, თავისი ნივთების ჩასაწყობად;
• საკანში ვენტლაციისა და დღის სინათლის შეღწევადობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება რკინის დარაბების მოხსნისა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა უსაფრთხო საშუალების დამონტაჟების გზით, რომელიც არ შეუშლის საკანში ვენტილაციისა და დღის სინათლის შეღწევას;
• საკანში ხელოვნური განათების გაუმჯობესება და საპირფარეშოს შეკეთება;
• პატიმრისათვის ყოველდღიურად არანაკლებ ერთი საათით ჰაერზე გასეირნებისა და ვარჯიშის შესაძლებლობა მთელი კვირის განმავლობაში ისეთ ტერიტორიაზე, სადაც იგი შეძლებს ფიზიკურად განტვირთვას;
• პატიმრისათვის იმ პაემნის რეჟიმით სარგებლობა, რომელიც გათვალისწინებულია მსჯავრდებული პატიმრებისათვის;
• პატიმრის სრულფასოვანი სამედიცინო შემოწმება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მკურნალობა;
• პატიმრისათვის მისი სამართლებრივი მდგომარეობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციისა მიწოდება (51-ე პუნქტი).

პატიმრობის პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

– ტყვარჩელის დმი-ს საერთოდ გაუქმება (52-ე პუნქტი);

– 53-ე პუნქტში ჩამოყალიბებული კრიტერიუმის გათვალისწინებით, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიხედოს თითოეულ პატიმარზე გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართი (53-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში ვენტლაციისა და დღის სინათლის შეღწევადობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების კუთხით რკინის დარაბების მოხსნისა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა უსაფრთხო საშუალების დამონტაჟების გზით, რომელიც არ შეუშლის საკანში ვენტილაციისა და დღის სინათლის შეღწევას. გარდა ამისა, საკნებში უნდა შეკეთდეს და გაძლიერდეს ხელოვნური განათება (54-ე პუნქტი);

– გალის დმი-ში აუცილებლად გაუქმნდეს უფანჯრო №5 და №7 საკნები (54-ე პუნქტი);

– პატიმრებისათვის რეგულარულად იქნეს უზრუნველყოფილი პირველადი მოხმარებისპირადი ჰოგიენის ნივთები (მათ შორის საპნით, კბილის პასტითა და ჯაგრისით, ტუალეტის ქაღალდით და ა.შ.) (55-ე პუნქტი);

– ყველა დაკავებული პირისათვის უზრუნველყოფილი იყოს სუფთა ლეიბი, საბანი, ბალიში და ლოგინის თეთრეული დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში (56-ე პუნქტი);

– უშიშროების სამსახურის დმი-ს ყველა საკანში დაიდგას მაგიდა და სკამები (56-ე პუნქტი);

– მონახულეულ დმი-ებში დაუყოვნებლივ უქნას უზრუნველყოფილი საშხაპე ინფრსატრუქურის შეკეთება და ექსპლუატაციაში შეყვანა (57-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები დროებითი მოთავსების იზოლატორების ყველა საკნის გათბობით სათანადო უზრუნველსაყოფად (58-ე პუნქტი);

– ქალი პატიმრებისათვის ურუნველყოფილი პირად ჰიგიენურ საგნებს შორიის უნდა იყოს ჰიგიეუნრი პაკეტები (59-ე პუნქტი);

– დმი-ებში უზრუნველყოფილი იყოს სასეირნო ეზოები, რომლებიც მისცემენ პატიმრებს ჰაერზე სეირნობისა და ვარჯიშის სათანადო შესაძლებლობას. ეზოები სასურველია განლაგებული იყოს პირველ სართულზე და იყოს შესაბამისი ფართის რათა საკმარისი იყოს დიდი რაოდენობის პატიმრებისათვის (60-ე პუნქტი);

– ყველა პატიმრისათვის, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა, უზრუნველყოფილი იყოს ყოველდღიური გასეირნება და ვარჯიში არანაკლებ ერთი დღეში ერთი საათით, კვირაში შვიდი დღის განმავლობაში და ისეთ ტერიტორიაზე, სადაც პატიმრები შეძლებენ სრულ ფიზიკურ განტვირთვას (62-ე პუნქტი);

– ყველა დმი-ში უზრუნელყოფილი და მოწყობილი იყოს სარეკრეაციო/საერთო ოთახი, სადაც ბრალდებული პირებს, რომელთაც სასამართლომ არ მიუსაჯა იზოლაცია და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირებს, შეეძლებათ პატარა ჯგუფებით შეკრება და ერთმანეთთან კონტაქტი დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში. აღნიშნულ ოთახში შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სამაგიდო თამაშები, ტელევიზორი და ა.შ. (63-ე პუნქტი);

– უზრუნველყოფილი იყოს დმი-ებში მყოფ პატიმართა საკმარისი და სათანადო ხარისხის საკვებით მომარაგება საკვაბისათვის გამოყოფილ ჩვეულებრივ დროს (64-ე პუნქტი);

– შეწყდეს უშიშროების სამსახურის დმი-ში დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესების პრაქტიკა (65-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– თოთოელულ პატიმარზე გათვლილ საცხოვრებელ ფართთან, საკნების ვენტილაციასა და განათებასთან, ასევე გათბობასთან დაკავშირებით გაწეული რეკომენდაციები თანაბრად ეხება ქალ პატიმრებსაც (59-ე პუნქტი).

ჯანდაცვის სამსახურები

<u>რეკომენდაციები</u>

– დროებითი მოთავსების იზოლატორებში მყოფი პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იყოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი სათანადო ჯანდაცვის მომსახურება (სომატური და ფსიქიატრიული) (66-ე პუნქტი);

– ყველა სახის სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მიყურადების გარეშე და, თუ ცალკეულ შემთხვევაში ექიმი საწინააღმდეგოს არ მოითხოვს, მათი თვალთახედვის არის მიღმა. იგივე ეხება ექთნის მიერ ჩატარებულ გასაუბრებას. ასევე, დაწესებულებების არასამედიცინო პერსონალს არ უნფა ჰქონდეს სამედიცინო დოკუმენტაციაზე წვდომა (66-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ისევე როგორც ციხეებში დაცული უნდა იყოს სამედიცინო კონფიდენციალურობა (66-ე პუნქტი).

პერსონალი

<u>რეკომენდაციები</u>

– დმი-ში დასაქმებული თანამშრომლებისათვის შემუშავდეს სპეციალური ტრენინგების პროგრამა. ასევე უნდა გამოსწორდეს ქალი თანამშრომლების არარსებობის პრობლემა და უშიშროების სამსახურის დმი-ში გაიზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა (67-ე პუნქტი).

დისციპლინა

<u>კომენტარები</u>

– დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული დისციპლინური საკნები გამოყენების გარეშე უნდა დარჩეს (68-ე პუნქტი).

გარე სამყაროსთან კონტაქტი

<u>რეკომენდაციები</u>

– ქალი პატიმრებისათვის უზრუნველყოფილ იქნას იმვე ხანგრძლივობის პაემნები, როგორც მამაკაცი პატიმრებისათვის (69-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– პატიმრობაში ხანგრძლივი პერიოდით მყოფ ბრალდებულებს უნდა ჰქონდეთ პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს ვიზიტები შეიძლება დაექვემდებაროს ცალკეულ ზომებს (მაგალითად "დახურული" ტიპის პაემანი, პაემნის დროს მონიტორინგი და ა.შ.) (69-ე პუნქტი);

– ყველა დაკავებულ თუ პატიმრობაში მყოფ პირს, მისი სამათლებრივი სტატუსის მიუხედავად, უნდა ჰქონდეს ადვოკატთან კონფიდენციალური მიმოწერის უფლება (69-ე პუნქტი);

საჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები

<u>რეკომენდაციები</u>

– დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაწესდეს ოფიციალური გასაჩივრების პროცედურები (70-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– დმი-ებში ისპექტირების მიზნით პროკურორის ვიზიტის შემდეგ, როგორც სჩანს, არ იწერებოდა არანაირი ანგარიში ან წერილობითი მოხსენება (70-ე პუნქტი).

<u>პოლისიის მიერ დაკავება და შესაბამისი დაცვის გარანტიები</u>

წინასწარი შენიშვნები

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– **წპკ**-ს სურს 2009 წელთან დაკავშირებით მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

• პოლიციის ოფიცერთა წინააღმდეგ წარდგენილი, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა და აღიშნული საჩივრების შედეგად დაწყებული სისხლისსამართლებრივი/ ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა;

• არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივ/ ადმინისტრაციულ საქმეებზე დამდგარი შედეგი და დაწესებული სანქციები (72-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს სურს დეტალური ინფორმაციის მიღება საჩივრებისა და დისციპლინური პროცედურების შესახებ პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის განხორციელების შემთხვევაში, მათი ობიექტურობის უზრუნველმყოფი გარანტიების ჩათვლით (72-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს სურს მიიღოს ინფორმცია პოლიციის თანამშრომელთათვის გათვალისწინებული ტრენინგების შესახებ (73-ე პუნქტი);

არასათანადო მოპყრობისაგან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის გარანტიები

<u>რეკომენდაციები</u>

– პოლიციის მიერ ნებისმიერ მიზეზით (სისხლის სამართის დანაშაულში ეჭმის მიტანა, ადმინისტრაციული პატიმრობა და ა.შ.) თავისუფლებაათკვეთილ პირს უნდა მიცეს უფლება დაკავების ფაქტის შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავს ან ის მიერ არჩეულ მესამე პირს დაკავების საწყისი მომენტიდანვე (ანუ იმ მომენტიდან, როდესაც პირი ვალდებულია დარჩეს პოლიციაში) (75-ე პუნქტი);

– ის შემთხვევევი, როდესაც გამონაკლისი სახით შესაძლებელია შეიზღუდოს დაკავებული პირის უფლება, დაკავების ფაქტის შესახებ შეატყობინოს ახლო ნათესავსა თუ მის მიერ არჩეულ მესამე პირს, ცალსახად და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თან უნდა ახლდეს დაცვის გარანტიები და მკაცრად უნდა იყოს დროში შეზღუდული (76-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ პირებისათვის, რომელთაც უწევთ პოლიციის განყოფილებაში მისვლა ან დარჩენა (მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულზე "მოწმის" სახით დაბარებული ან ადმინისტაციულ გადაცდომაში ეჭვმიტანილები) იმავე წესით იყოს უზრუნველყოფილი ადვიკატზე უფლება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისათვის (77-ე პუნქტი);

– პოლიციის მიერ თავიუფლებააღკვეთილი პირების უფლება ექიმის ხელმისაწვდომობაზე ოფიციალურად იყოს გარანტირებული თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე (79-ე პუნქტი);

– **წპკ**-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას სათანადო ზომები, რათა პოლიციის მიერ ნებისმიერი მიზეზით დაკავებულ პირები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების (75-ე და 79-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული უფლებების ჩათვლით) შესახებ დაკავების საწყისი მომენტიდანვე; გარდა ამისა, დაკავებიდან უმოკლეს დროში (ანუ პოლიციის დაწესებულებაში მიყვანისთანავე) პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს უნდა გადაეცეთ სტანდარტული ფორმა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს რამდენიმე ენაზე (80-ე პუნქტი);

– დაკავებულ პირებს უნდა მოეთხოვოთ დამადასტურებელი ცნობის ხელმოწერა, რომ მათ გაეცნეს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ (80-ე პუნქტი).

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

– **წპკ**-ს სურს მიიღოს ინფორმაცია დაკავებულ პირთათვის იურიდიული დახმარების მექანიზმის არსებობის შესახებ აფხაზეთში (79-ე პუნქტი);

<u>დრანდას ფსიქიატრიული საავადმყოფო</u>

პაციანტთა საცხოვრებელი პირობები და მკურნალობა

<u>რეკომენდაციები</u>

– 89-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შენიშვნების გათვალისწინებით დაუყოვნებლივ მიექცეს ყურადღება აღნინშნული პაციენტის მდგომარეობას (89-ე პუნქტი);

– 94-ე პუნქტში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით ყურადღება მიექცეს დრანდას ციხეში მოთავსებულ პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობებს. განსაკუთრებული ძალისხმავაა საჭირო დაწესებულების შენობის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის (ფანჯრებში შუშების ჩასმა), ჰიგიენური პირობების დაცვისა (განსაკუთრებით საპირფარეშოში) და გათბობის უზრუნველყოფისათვის (94-ე პუნქტი);

– პაციენტებისათვის უნდა იქნას უზრუნველყოფილი ისეთი ადგილის გამოყოფას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთერი პირადი ნივთების ჩაკეტვას და პირადი სივრცის შეგრძნებას (94-ე პუნქტი);

– დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები საავადმყოფოში სპეციალური დიეტური რაციონის უზრუნველსაყოფად (95-ე პუნქტი);

– დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უზრუნველყოფილ იქნას 98-ე პუნქტში მითითებული პრინციპების განხორციელება, რომლებიც ეხება ინდივიდუალური სამკურნალო გეგმის შემუშავებასა და სამედიცინო ანკეტების კონფიდენციალურობას (98-ე პუნქტი);

– საავადმყოფოში უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო, თუ შესაძლებელია - ახალი თაობის მედიკამენტების მუდმივი მომარაგება (99-ე პუნქტი);

– უკიდურესად აუცილებელია 99-ე პუნქტში აღიშნული პაციენტის ფარმაკოლოგიური მკურნალობის გადახედვა და ზომების მიღება მისი თერაპიული მკურნალობის უზრუნველყოფისათვის (99-ე პუნქტი);

– ერთობლივი ძალისხმევით უნდა შემუშავდეს რიგი თერაპიული აქტივობებისა, რომლებიც შეავსებენ ფარმაკოლოგიურ მკურნალობას და უზრუნველყოფილი იქნას გრძელვადიანი პაციენ-

ტების ჩართვა სარეაბილიტაციო ფსიქო-სოციალურ აქტივობებში, რათა ისინი მომზადდნენ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თავიანთ ოჯახებში დაბრუნებისათვის (101-ე პუნქტი);

– ყველა სახის სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მიყურადების გარეშე და, თუ ცალკეულ შემთხვევაში ექიმი საწინააღმდეგოს არ მოითხოვს, მათი თვალთახედვის არის მიღმა. იგივე ეხება ექთნის მიერ ჩატარებულ გასაუბრებას (104-ე პუნქტი).

კომენტარები

– დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები სამზარულოში ღუმელის შესაკეთებლად (95-ე პუნქტი);

– ინფორმირებული თანხმობის ცნების ფუნდამენტური პრინციპები განხილულ უნდა იქნას ფსიქიატრების მიერ (103).

პერსონალი

რეკომენდაციები

– მნიშვნელოვნად გაიზარდოს დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ექთნების რაოდენობა (107-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ სასამართლო-სამედიცინო განყოფილებაში იმყფებოდნენ ექთნები და იწარმოებოდეს სპეციალური ჟურნალი (107-ე პუნქტი);

– დრანდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიხედოს სამედიცინო პერსონალის საშტატო ერთეულების რაოდენობა იმისათვის რომ გამოსწორდეს დაწესებულებაში ოკუპციური თერაპევტის არარსებობა და საქმდნენ შესაბამისი სპეციალისტები (108-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ყველა პაციენტისათვის, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მკურნალობის დაფარვის ფინანსური შესაძლებლობა თუ ოჯახებიდან დახმარება, უზრუნველყოფილი იყოს სტომატოლოგიურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა (109-ე პუნქტი).

შეზღუდვის საშუალებები

რეკომენდაციები

– **წპკ**-ს რეკომენდაციაა, შეზღუდვის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს ნათლად განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

• უნდა დაკონკრეტდეს შეზღუდვისათვის გამოსაყენებელი დასაშვები საშუალებები; მათი გამოყენების პირობები და გარემოებები; მათი პრაქტიკული გამოყენების წესი, ჯანდავის პერსონალის მხრიდან ზედამხედველობის აუცილებლობა და შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შეწყვეტის შემოდგომი ზომები;

• პაციენტის ფიზიკური და/ან ქიმიური შეზღუდვისა გამოყენებისა (მანუალური კონტროლი, მექანიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენება და ა.შ.) და იზოლირების თითოეული შემთხვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ამ მიზნით ნაწარმოებ სოეციალურ ჟურნალში და პაციენტის სამედიცინო ანკეტაში. ჩნაწერი უნდა შეიცავდეს შეზღუდვის დაწყებისა და შეწყვეტის დროს, გამოყენების მიზეზსა და გარემოებებს, ნებართვის გამცემი ექიმის ვინაობას და პაციენტის ან თაამშრომლიე მიერ მიღებულ ნებისმიერ დაზიანებას (111-ე პუნქტი);

– ჯანდაცვის პერსონალმა ცალკე ჟურნალში აღრიცხოს დაწესებულებაში მომხდარი ყველა ინციდენტი (პერსონალის ან სხვა პაციენტის მიმართ ძალადობა, თვითდაზიანების შემთხვევები, თვითმკვლელობის მცდელობა და ა.შ.) (111-ე პუნქტი);

დაცვის გარანტიები

რეკომენდაციები

– დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ომები იმისათვის, რომ გადაიხედოს იმ პაციენტთა მდგომარეობა, რომელთა მიმართაც უკანასკნელ პერიოდში არ მიღებულა არანებაყოფლობითი მოთავსების გადაწყვეტილება (და, დაუყოვნებლივ ჩატარდეს პროკუროეის მიერ მოთხოვნილი სასამართლო-სამედიცინო ექპსერტიზები) (112-ე პუნქტი);

– მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ შემუშავდეს გაცნობითი ბროშურა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება პაციენტთა უფლებები და დაწესებულებაში არსებული წესები. ბროშურა პაციენტის დაწესებულების მიღებისას უნდა გადაეცეს თავად პაციენტსა და მისი ოჯახის წევრებს. ყველა იმ პაციენტს, რომელიც ვერ გაიგებს ბროშურის შინაარს, უნდა გაეწიოს შესაბამისი დახმარება (117-ე პუნქტი).

<u>კომენტარები</u>

– იმისათვის, რომ სამართლებრივად უფრო გამართული იყოს ფსიქიკური ჯანდაცვის სფერო ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე: ფსიქიატრიული პაციენტებისათვის არანებაყოფლობით სტაციონარული მოთავსების პროცედურები; არანებაყოფლობითი პაციენტების მიერ სტაციონირების გასაჩივრების უფლება; არანებაყოფლობითი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების რეგულარული გადახედვის პროცედურები; არანებაყოფლობითი პაციენტებისათვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა; დაცვის გარანტიები არანებაყოფლობითი მოთავსების დროს, ასევე ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში და შეზღუდვის მეთოდების გამოყენებისას, და; გასაჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (115-ე პუნქტი);

– უნდა გადაიდგას ნაბიჯები დაწესებულებებს გარეთ პაციენტების დახმარების გაწევისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად, რათა პაციენტებს არ მოუწიოთ საავადმყოფოში თერაპიული ჩვენებების გარეშე დარჩენა (116-ე პუნქტი);

– ინსპექტირების განმახორციელებელ დამოუკიდებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს ფსიაიქტრიული დაწესებულების მთელს ტერიტორიაზე ინსპექტირების ჩატარების უფლებამოსილება (119-ე პუნქტი).

<u>სოხუმის სამხედრო გარნიზონის დაკავების დაწესებულება</u>

<u>რეკომენდაციები</u>

– პრიორიტეტი მიენიჭოს ახალი სამხედრო დაკავების დაწესებულების მშენებლობას (120-ე პუნქტი);

– დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები იმისათვის რომ:

• შეწყდეს სამზე მეტი პატიმრის მოთავსება 12 m^2 ფართობის საკანში;

• საკნებში გაუმჯობესდეს ბუნებრივი სინათლის, ხელოვნური განათების, ვენტილაციისა და გათბობის ხელმისაწვდომობა;

• ყველა საკანში საწოლების დადგმა და პატიმართა უზრუნველყოფა ლებებით, სუფთა საბნებით, ბალიშებითა და თეთრეულით;

• პატიმრებისათვის კვირაში ერთხელ ცხელი შხაპის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოდა და მათი მომარაგება პირადი ჰიგიენური საგნებით.

• სამხედრო რანგის განურჩევლად, ყველა პატიმრისათვის დღეში არანაკლებ ერთი საათით გარეთ გასერნებისა და ვარჯიშის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა (124-ე პუნქტი);

<u>გამოთხოვილი ინფორმაცია</u>

დეტალური ინფორმაცია ახალი სამხედრო დაკავების დაწესებულების მშენებლობის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით იხილეთ 120–ე პუნქტში

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოში 2010 წლის 5-15 თებერვალს ვიზიტის შესახებ

ანგარიში ქვეყნდება საქართველოს ხელისუფლების თხოვნით

სტრასბურგი, 2010 წლის 21 სექტემბერი

წერილი (ასლი), რომლის საფუძველზეც გადაიცა წპკ-ს ანგარიში. 226

I. შესავალი 226
ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა 226
ბ. მონახულებული დაწესებულებები 227
გ. დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და თანამშრომლობა. 227
დ. დელეგაციის მიერ გამოვლენილი ფაქტები, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად....228
ე. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბება. 229

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შესაბამისი რეკომენდაციები 229
ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები 229
1. წინასწარი შენიშვნები 229
2. წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები 230
3. დაცვის გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ....234
4. დაკავების პირობები 236
ბ. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები 238
1. წინასწარი შენიშვნები....238
2. არასათანადო მოპყრობა. 239
3. პატიმრობის პირობები 241
ა. საცხოვრებელი პირობები პატიმრობისას 241
I. განმეორებითი ვიზიტი თბილისის №7 საპყრობილეში.. 241
II. თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილე. 242
III. ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულება 243
IV. გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულება 244
ბ. აქტივობების პროგრამა 246
4. ჯანმრთელობის დაცვა 247
ა. ჯანდაცვის მომსახურება დათვალიერებულ საპყრობილეებში 247
I. პერსონალი, ინფრასტრუქტურა და ფარმაკოლოგიური საშუალებები....247
II. სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში შესვლისას 249
III. სამედიცინო ჩანაწერები და კონფიდენციალურობა 249
IV. ინფექციური დაავადებები 249
V. ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური დახმარება 250
VI. ნარკომანია 250
ბ. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება, თბილისი (გლდანი) 251
5. **წპკ**-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები 252
ა. ციხის თანამშრომლები 252
ბ. კონტაქტი გარე სამყაროსთან 253
გ. დისციპლინა 254
დ. საჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები 256
ე. პატიმრებისთვის ინფორმაციის მიწოდება 256
გ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები 257
1. ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი 257
ა. წინასწარი შენიშვნები 257
ბ. არასათანადო მოპყრობა. 257
გ. პაციენტების საცხოვრებელი პირობები 258
დ. პერსონალი და პაციენტების მოვლა 258
ე. შეზღუდვის მეთოდები 260
ვ. სამართლებრივი დაცვის გარანტიები 260
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი, ძევრი 262
ა. წინასწარი შენიშვნები 262
ბ. ბინადართა საცხოვრებელი პირობები.. 263
გ. პერსონალი და ბინადრების მოვლა 263
დ. შეზღუდვის მეთოდები 264
ე. სამართლებრივი დაცვის გარანტიები 265

დანართი I. წპკ-ს რეკომენდაციები, შენიშვნები და მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით 266

დანართი II. საქართველოს სამთავრობო ორგანოები და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებთანაც წპკ-ს დელეგაციამ ვიზიტის განმავლობაში კონსულტაცია გაიარა 275

წერილი (ასლი), რომლის საფუძველზეც გადაიცა წპკს ანგარიში

ბ-ნ ანტონ ქელბაქიანს
სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
საქართველო
თბილისი
გორგასლის ქ. №83ა
სტრასბურგი, 2010 წლის 29 ივლისი

ბატონო ანტონ,
წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ამ წერილს ვურთავ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (შემდგომში: "**წპკ**") ანგარიშს საქართველოს ხელისუფლებისთვის საქართველოში 2010 წლის 5-იდან 15 თებერვლამდე კომიტეტის ვიზიტის შესახებ. **წპკ**-მ ანგარიში 2010 წლის 5-9 ივლისს გამართულ თავის 72-ე სხდომაზე მიიღო.

I დანართში მოცემულია **წპკ**-ს რეკომენდაციები, შენიშვნები და ინფორმაციის მოთხოვნები. რაც შეეხება კონკრეტულად კომიტეტის <u>რეკომენდაციებს</u> კონვენციის მე-10 მუხლის გათვალისწინებით, კომიტეტი სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, **ექვსი თვის განმავლობაში** წარუდგინოს პასუხი, რომელშიც სრულად ჩამოაყალიბებს კომიტეტის რეკომენდაციების განსახორციელებლად გატარებულ ზომებს.

წპკ იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება თავის პასუხში ასევე წარმოადგენს რეაგირებას წინამდებარე ანგარიშში ჩამოყალიბებული <u>შენიშვნების მიმართ და</u> მოგვაწოდებს <u>მოთხოვნილ ინფორმაციას</u>.

წპკ გთხოვთ, რომ ქართულ ენაზე მიწოდებულ პასუხებს, თან ახლდეს თარგმანი ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე. კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება პასუხის ასლს ელექტრონული ფორმით მოგვაწვდის.

თუ რაიმე კითხვები გაგიჩნდებათ **წპკ**-ს ვიზიტის შესახებ ანგარიშთან ან სამომავლო პროცედურასთან დაკავშირებით, თქვენს სამსახურში მიგულეთ.

პატივისცემით,

მაურო პალმა,
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების
შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის
ევროპული კომიტეტის თავმჯდომარე

I. შესავალი

<u>ა. ვიზიტის თარიღები და დელეგაციის შემადგენლობა</u>

1. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის თავიდან აცილების შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „კონვენცია") მე-7 მუხლის შესაბამისად, **წპკ**-ს დელეგაცია საქართველოში 2010 წლის 5-იდან 15 თებერვლამდე იმყოფებოდა. კომიტეტის 2010 წლის პერიოდული ვიზიტების პროგრამის ფარგლებში. ეს საქართველოში **წპკ**-ს უკვე მეოთხე ვიზიტი იყო[97].

2. ვიზიტში **წპკ**-ს შემდეგ წევრები მონაწილეობდნენ:

- ტიმ დალტონი, დელეგაციის ხელმძღვანელი

- ჰარიტინი დიპლა

- ლატიფ ჰუსეინოვი

- მარზენა ქსელი

- მარკ ნევე

97 პირველი პერიოდული ვიზიტი ჩატარდა 2001 წელს, მეორე – 2003 წლის ნოემბერში / 2004 წლის მაისში, ხოლო მესამე – 2007 წლის მარტში / აპრილში. **წპკ**-ის ანგარიშები ამ ვიზიტებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა საქართველოს ხელისუფლების თხოვნით (იხ. CPT/Inf (2002) 14, CPT/Inf (2005) 12 და CPT/Inf (2007) 42). ასევე, გამოქვეყნდა საქართველოს ხელისუფლების პასუხები 2001 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშზე (იხ. CPT/Inf (2004) 1).

- ჟან-პიერ რესტელინი

მათ ეხმარებოდნენ **წპკ**-ს სამდივნოს შემდეგი წევრები:

- პეტია ნესტოროვა, განყოფილების უფროსი

- იზაბელ სერვოზ-გალუჩი

ასევე:
- კატრინ პოლეტი, ფსიქიატრი, რეგიონული სამედიცინო და ფსიქოლოგიური ცენტრი, ბაუმეტის ციხე, მარსელი (საფრანგეთი) (ექსპერტი)

- ლალი დუგლას-ჰამილტონი (თარჯიმანი)

- ნინო ღუდუშაური (თარჯიმანი)

- თინა გელეყვა (თარჯიმანი)

- თინათინ ხარჩილავა (თარჯიმანი)

- თამარ მიქაძე (თარჯიმანი)

მარიამ წაქაძე (თარჯიმანი)

ბ. <u>მონახულებული დაწესებულებები</u>

3. დელეგაციამ მოინახულა შემდეგი დაწესებულებები:
<u>შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები:</u>

- დროებითი მოთავსების იზოლატორი, ქუთაისი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი, მცხეთა;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი №1, თბილისი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი №2, თბილისი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის №1 განყოფილება, თბილისი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის №2 განყოფილება, თბილისი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება, თბილისი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილების მე-4 დეპარტამენტი, თბილისი;
- თბილისის აეროპორტის სასაზღვრო პოლიციის განყოფილება;
- დროებითი მოთავსების იზოლატორი, ზესტაფონი.

<u>სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები:</u>

- სასჯელაღსრულების დაწესებულება №7, ქსანი;
- სასჯელაღსრულების დაწესებულება №8, გეგუთი;
- საპყრობილე №7, თბილისი;
- საპყრობილე №8, თბილისი (გლდანი);
- სამედიცინო დაწესებულება პატიმრებისათვის, თბილისი (გლდანი).

<u>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები:</u>

- ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტი, თბილისი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი, ძევრი.

გ. <u>დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და თანამშრომლობა</u>

4. ვიზიტის მსვლელობისას **წპკ**-ს დელეგაციამ კონსულტაციები გამართა სასჯელაღსრულების,

პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან, ხათუნა კალმახელიძესთან, იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილესთან, თინათინ ბურჯალიანთან, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან, ეკატერინე ზღულაძესთან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის პირველ მოადგილესთან, ირაკლი გიორგობიანთან, ასევე, აღნიშნული სამინისტროების სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან. გარდა ამისა, დელეგაცია შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეს, ტატა ხუნწარიას, და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის[98] უფროსს, ნათია იმნაძეს.

წპკ დახმარებისათვის მადლობას უხდის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს, ბ-ნ ანტონ ქელბაქიანს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დელეგაციის საკონტაქტო პირად დანიშნა.

ამას გარდა, გაიმართა შეხვედრები იმ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებთან, რომლებიც **წპკ**-ს საქმიანობის სფეროში მუშაობენ.

წინამდებარე ანგარიშის II დანართში მოცემულია სია საქართველოს ხელისუფლების იმ ორგანოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებსაც დელეგაცია ვიზიტის განმავლობაში შეხვდა.

5. ზოგადად ძალზე მაღალი დონის თანამშრომლობა აღინიშნა როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ისე იმ დაწესებულებების თანამშრომელთა მხრიდან, რომლებსაც დელეგაცია ეწვია. დელეგაციას ჰქონდა შესაძლებლობა ვიზიტის დროს, დაყოვნების გარეშე შესულიყო დაწესებულებებში, (მათ შორის იმ დაწესებულებებშიც, რომლებიც წინასწარ არ იყვნენ გაფრთხილებული), და განცალკევებით გასაუბრებოდა თავისუფლებააღკვეთილ პირებს კონვენციის (რომლის საფუძველზეც დაარსდა **წპკ**) დებულებების შესაბამისად. გარდა ამისა, მის განკარგულებაში იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია; სწრაფად კმაყოფილდებოდა მისი მოთხოვნები დამატებით ინფორმაციასთან დაკავშირებით. დელეგაცია განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს იმის გამო, რომ მას მიეწოდა დეტალური ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში განახორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მიუხედავად თანამშრომლობის ზოგადად პოზიტიური შეფასებისა, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის №7 საპყრობილეში დელეგაციამ ძნელად მოიპოვა ინფორმაცია, ამ დაწესებულებაში კრიტიკულ მდგომარეობაში მიღებული პატიმრის შესახებ, რომელიც საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა (იხ. მე-19 და მე-20 პუნქტები). დაწესებულების დირექტორსა და ექიმს არ მოუწოდებიათ არავითარი ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ აღნიშნული ფაქტის შესახებ და დაიკითხნენ ამ საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში. **წპკ** ხაზს უსვამს, რომ თანამშრომლობის პრინციპი გულისხმობს ვიზიტით მყოფი დელეგაციისთვის ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

6. როგორც **წპკ**-ს ადრეც აღუნიშნავს, კონვენციის მე-3 მუხლში ჩამოყალიბებული თანამშრომლობის პრინციპი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ზომებით, რომლებიც ტარდება ვიზიტით ჩამოსული დელეგაციის ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით. ის ასევე მოითხოვს, რომ განხორციელდეს აქტიური ქმედებები კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის. 2010 წლის ვიზიტის დროს **წპკ**-ს მიერ შენიშნულია პოზიტიური ძვრებიც, როგორებიცაა: პოლიციის დაწესებულებებში დაკავების პირობების თანდათანობითი გაუმჯობესება, პოლიციის მიერ დაკავებულ პირთათვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა და ახლად აშენებულ დაწესებულებებში არსებული პირობები. კომიტეტი იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ამ კურსით სვლას.

წპკ შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ წინსვლა არ შეინიშნება სხვა სფეროებში. ეს ძირითადად ეხება ციხეების სისტემაში გადატვირთულობის, პატიმართა აქტივობის ნაკლებობის ზოგად პრობლემებსა და ფსიქიატრიულ პაციენტთა მდგომარეობას თბილისის ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სიტუაციის გასაუმჯობესებლად გაატაროს ქმედითი ზომები კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, კონვენციის ერთ-ერთი მთავარი - თანამშრომლობის - პრინციპის შესაბამისად.

დ. დელეგაციის მიერ გამოვლენილი ფაქტები, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

7. ვიზიტის დასასრულს **წპკ**-ს დელეგაცია შეხვდა მთავრობის მაღალჩინოსნებს, რათა გაეცნო მათთვის ვიზიტის განმავლობაში გამოვლენილი ძირითადი ფაქტები. ამ შეხვედრისას დელეგაციამ წარადგინა ორი გამოვლენილი ფაქტი, რომლებიც კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებდა.

პირველი ფაქტი ეხებოდა ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებას, სადაც პატიმარ-

98 ასრულებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს გაერო-ს წამების პრევენციის კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT) შესაბამისად.

თა უმრავლესობის პირობები არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ტოლფასად შეიძლება შეფასდეს. დელეგაციამ სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, სამი თვის ვადაში ეცნობებინა **წპკ**-სთვის, თუ რა კონკრეტულ ზომებს გაატარებდა ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების არსებული შენობების მაქსიმალურად მოკლე ხანში გასაუქმებლად და პატიმრების სხვა, მისაღებ პირობებში გადასაყვანად და ითხოვა ამ ზომების განხორციელების განრიგის შეტყობინება და ქსანში მშენებარე ციხის ახალი შენობის სავარაუდო გამოყენების დეტალური აღწერა.

მეორე გამოვლენილი ფაქტი ეხებოდა თბილისის ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტს, სადაც ვიზიტის დროს ტემპერატურა პაციენტების ოთახებში და სანიტარიულ კვანძებში დაახლოებით 11^{0}ჩ იყო. დელეგაციამ სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ მიეღო ზომები ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პაციენტებისთვის სათანადო გათბობის უზრუნველსაყოფად და ერთი თვის ვადაში ეცნობებინა **წპკ**-სთვის გატარებული ზომების შესახებ.

8. ზემოაღნიშნულ ფაქტებს, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებდა, შემდგომში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი 2010 წლის 2 მარტის წერილში. 2010 წლის 21 მარტის, 2 აპრილისა და 11 მაისის წერილებში საქართველოს ხელისუფლებამ კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც გატარდა დელეგაციის მიერ მითითებული საკითხების სასწრაფოდ მოსაგვარებლად და დელეგაციის ვიზიტის დასრულებისას გაკეთებულ განცხადებაში მოცემულ სხვა შენიშვნებთან დაკავშირებით. ეს ზომები ანგარიშში ქვემოთ იქნება განხილული.

ე. <u>პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბება</u>

9. **წპკ**-მ აღნიშნა, რომ 2007 წელთან შედარებით მიღწეულია წინსვლა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო გაერო-ს კონვენციის ფაკულტატური ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. 2009 წლის ივლისიდან ეს ფუნქცია დაეკისრა საქართველოს სახალხო დამცველს, რომელსაც დაექვემდებარა მის მიერვე შექმნილი სპეციალური უწყება, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი. ამ უწყებამ დაიწყო რეგულარული ვიზიტების ჩატარება თავისუფლების აღკვეთის ყველა ტიპის დაწესებულებაში და უკვე გამოაქვეყნა ანგარიშები. ეს პოზიტიური მოვლენაა.

II. ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები და შესაბამისი რეკომენდაციები

ა. <u>შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

10. 2009 წლის ოქტომბერში ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების მიუხედავად, 2010 წლის ვიზიტის დროს პოლიციის მიერ <u>სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილების</u> თავისუფლების აღკვეთის მარეგულირებელი წესები ძირითადად ისეთივე იყო, როგორიც 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღწერილი. ხელახლა უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი პოლიციამ შეიძლება მაქსიმუმ 72 საათი დააკავოს. ეჭვმიტანილს 48 საათის განმავლობაში უნდა წაუყენონ ბრალდება ან გაათავისუფლონ. ამ ეტაპზე ეჭვმიტანილი ბრალდებული ხდება. მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს წინასწარი დაკავების პროცედურული პრევენციული ან სხვა იძულებითი ზომის გამოყენების თაობაზე. წინასწარ დაკავებაში მყოფი ადამიანები გადაჰყავთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ციხეებში.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბერს შედის ძალაში, ინარჩუნებს პოლიციის მიერ დაკავების 72-საათიან ლიმიტს, მაგრამ აუქმებს „ეჭვმიტანილისა“ და „განსასჯელის“ სტატუსს და ამკვიდრებს „ბრალდებულის“ საერთო სტატუსს.

სათანადო ჩანაწერების შემოწმებამ არ გამოავლინა პოლიციის მიერ დაკავების რაიმე სამართლებრივი ნორმების დარღვევა, არც დაკავებული პირების საჩივრები შემოსულა ამ თვალსაზრისით. 2007 წლის ვიზიტთან შედარებით აღნიშნული მნიშვნელოვანი წინსვლაა, რომ პოლიციის განყოფილებებში აღარ არის საკნები და, როგორც წესი, დაკავებული პირები ახლა სწრაფად გადაჰყავთ დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

11. 2010 წლის ივლისიდან კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე <u>ადმინისტრაციული წესით პატიმრობაში მყოფი პირები</u> შეიძლება იმყოფებოდნენ დროებით მოთავსების იზოლატორებში 3 თვემდე პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ისეთსავე პირობებში, როგორშიც სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილები არიან.

12. მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიზიტის დროს დელეგაციამ მიაკვლია ად-

მინისტრაციული წესით დაკავებული ერთი პირის საქმეს (დაკავების ოქმის მიხედვით 9 თებერვალს, საღამოს 11 საათზე). იგი იზოლატორში მიიყვანეს 10 თებერვალს, დილის 3 საათზე. მეორე დღეს იგი გამომძიებელმა დაკითხა და გადაწყვიტა, სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდება წაეყენებინა მისთვის. შედგა დაკავების ახალი ოქმი, რომელშიც მითითებული იყო, რომ აღნიშნული პირი დააპატიმრეს 10 თებერვალს, დღის 2.55 საათზე. იზოლატორის პერსონალმა დანამდვილებით ვერ გვითხრა, რა მომენტიდან დაიწყო პოლიციის მიერ დაკავების 72-საათიანი ლიმიტი. **წპპ-ს სურს განმარტების მიღება ამ საკითხთან დაკავშირებით.**

2. წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები

13. იმ ადამიანების უმრავლესობამ, რომელსაც დელეგაცია გაესაუბრა და რომელიც პოლიციის მიერ იყო დაკავებული ან ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა პატიმრობაში, განაცხადა, რომ მათ კორექტულად ექცეოდნენ. დელეგაციამ მიიღო მხოლოდ რამდენიმე საჩივარი პოლიციის მხრიდან არასათანადო ფიზიკური მოპყრობის შესახებ. მათგან უმრავლესობა ეხებოდა ძალის გამოყენებას დაკავების დროს (დარტყმები და მუჯლუგუნები). თუმცა რამდენიმე საჩივარი ეხებოდა არასათანადო მოპყრობას დაკითხვის დროს. მაგალითად, ერთმა ადამიანმა განაცხადა, რომ თებერვლის დასაწყისში დააკავეს და ერთი ღამე თბილისის ერთ-ერთი რაიონული პოლიციის განყოფილებაში გაატარა, სადაც პოლიციელები ურტყამდნენ და მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ მისგან დანაშაულის აღიარების მისაღებად. მეორე ადამიანი კი ამბობდა, რომ დაკავების შემდეგ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში წაიყვანეს, სადაც ხელჯოხები ურტყეს და სცემეს.

14. 2010 წლის ვიზიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტები ადასტურებს იმ დადებით შთაბეჭდილებას, რომელიც წინა პერიოდული ვიზიტის შემდეგ დაგვრჩა, კერძოდ, რომ მდგომარეობა პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის თვალსაზრისით საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესდა. იგივე დაადასტურა სხვადასხვა პირმა, ვისთანაც დელეგაციამ შეხვედრები გამართა ვიზიტის განმავლობაში (მათ შორის სახალხო დამცველის სამსახურის თანამშრომლებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა).

ცხადია, რომ ადრე დამკვიდრებული არასათანადო მოპყრობის ფენომენის აღსაკვეთად, საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში გატარებულმა ზომებმა ნაყოფი გამოიღო. ზოგიერთი მათგანი გაშუქებულია 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში[99], სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2008 და 2009 წლებში წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმის კონტექსტში[100], როგორიც არის, მაგალითად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნა გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისად, პოლიციის გამჭვირვალობისა და საჯაროობის გაზრდა და საზოგადოების ინფორმირება წამების აბსოლუტურ აკრძალვასთან დაკავშირებით.

15. 2010 წლის ვიზიტის დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ინფორმაცია მიაწოდა **წპპ**-ს დელეგაციას პოლიციის თანამშრომლების პროფესიონალიზმის ასამაღლებლად გატარებული ზომების შესახებ. პირველ რიგში, გაუმჯობესდა ახალი კადრების შერჩევა სამსახურში მიღების საკონკურსო პროცედურისა და ფსიქოლოგიური ტესტირების შემოღებით. ამასთან, მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩაიდო როგორც საწყის, ასევე მიმდინარე ტრენინგებში, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია ატარებს. ტრენინგის ძირითადი კურსის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძალის გამოყენების საკითხს, სპეცსაშუალებებს და ცეცხლსასროლ იარაღს. გარდა ამისა, 2009 წლიდან მოყოლებული პოლიციის ყველა თანამშრომელს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ხელახალი ტრენინგი ადამიანის უფლებებისა და ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, 2009 წლის ბოლოს შემოვიდა „სპეციალური საშუალებების გამოყენების, შენახვისა და ტარების სახელმძღვანელო." რაც შეეხება დროებითი მოთავსების იზოლატორებში მომუშავე პერსონალს, მათთვის სპეციალიზებულ ტრენინგს უზრუნველყოფს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო. დაინერგა ახალი სისტემა, რომლის თანახმად დაწინაურების ერთ-ერთი პირობა, პოლიციის თანამშრომელის მიერ გადამზადების კურსის გავლაა. მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესების შემოღება და სამსახურებრივი ზრდის პერსპექტივის გაჩენა, თანამშრომლების ხელფასის მნიშვნელოვან მომატებასთან ერთად, ხელს უწყობს პოლიციის თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ამაღლებას და, შესაბამისად, პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას.

16. **წპპ** მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ გადამჭრელ ზომებს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის აღსაკვეთად. მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკის შესამცირებლად; მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საჩივრის განმეორება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუ-

99 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის მე-12 პუნქტი, რომელიც, *ინტერ ალია*, ეხება სისხლის სამართლის კოდექსში წამების ახალი განმარტების შემოტანას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესწორებების შეტანას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში აღიარებაზე დაყრდნობის შემცირების თვალსაზრისით, პოლიციის ეთიკის კოდექსის მიღებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორების დაქვემდებარებას შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოსთვის.

100 იხ. ანგარიში 2008-2009 წლების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ (2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 31 ივლისამდე).

ფლება ფხიზლად უნდა იყოს. შესაბამისად, **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელოს პოლიციის მთელი პერსონალისთვის მკაცრი გზავნილის - „ნულოვანი ტოლერანტობა“ არასათანადო მოპყრობის მიმართ - მიწოდება, მათ შორის მიმდინარე ტრენინგების საშუალებით. ამ გზავნილში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ის, რომ არასათანადო მოპყრობაში შემჩნეული აგრეთვე, მსგავსი ქმედებების მიმართ გულგრილი და მათი წამახალისებელი პირები, უმკაცრეს სანქციებს დაექვემდებარებიან. გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომლები ტრენინგებს უნდა გადიოდნენ დაკავების დროს ძალადობის აღკვეთისა და მინიმუმამდე დაყვანის თვალსაზრისით. ძალის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში მათ უნდა შეეძლოთ ისეთი პროფესიული ტექნიკის გამოყენება, რომელიც შეძლებისდაგვარად ამცირებს პირთა დაკავებისას ზიანის მიყენების რისკს.**

17. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული მონაცემების მიხედვით 2009 წლის განმავლობაში დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული 20,619 პირიდან 5,901-ს სხეულის დაზიანება[101] ჰქონდა, ხოლო 77-მა საჩივარი შეიტანა პოლიციის თანამშრომლების წინააღმდე[102]. დელეგაციას მიაწოდეს, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურის სტატისტიკური მონაცემები. 2009 წელს დისციპლინარული დევნა აღიძრა 13 საქმეზე[103] და შედეგად ყველა მათგანს დისციპლინარული სანქციები მოჰყვა (მათ შორის 6 სამსახურიდან გათავისუფლება), თუმცა არც ერთი მათგანი არ გადაეცა პროკურატურას სისხლის სამართლის დანაშაულის ელემენტების არარსებობის გამო.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, 2009 წელს 16 გამოძიება დაიწყო პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლით (წამება); აქედან 5 გამოძიება დასრულდა და არც ერთი მათგანი არ გადასცემია სასამართლოს. იმავე წელს 1 გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა). გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომლების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (ოფიციალური უფლებამოსილების გადამეტება) 62 გამოძიება დაიწყო, რომელთაგან არც ერთს არ მოჰყოლია მსჯავრდება. რაც შეეხება 2008 წელს, 17 გამოძიება ჩატარდა პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ 144^1 და 144^3 მუხლებით, რომელთაგან არც ერთს არ მოჰყოლია მსჯავრდება.

ამ კონტექსტში **წპკ**-ს საგანგებოდ სურს აღნიშნოს, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვის სარწმუნოობას ძირს უთხრის ის შემთხვევები, როდესაც ამგვარი დანაშაულის ჩამდენ ოფიციალურ პირებს საკუთარი ქმედებებისთვის პასუხი არ მოეთხოვებათ. დელეგაციასთან შეხვედრისას ზოგიერთი პირი აღნიშნავდა, რომ არასათანადო მოპყრობის მიმანიშნებელ ინფორმაციას იშვიათად მოჰყვებოდა სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, რაც ნიადაგს უქმნიდა დაუსჯელობის კლიმატს. მათი თქმით, არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრების უმეტესი ნაწილი უარყოფილია ან უკეთეს შემთხვევაში, შესაბამის თანამშრომლებს დისციპლინარული ზომები შეეფარდათ. აღინიშნა, რომ არასათანდო მოპყრობის საჩივრებზე პროკურატურა იშვიათად აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო თუ ასეთი საქმეები მაინც აღიძვრებოდა, უმეტესად ეს ხდებოდა არა სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით, არამედ 333-ე მუხლით. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ პროცესები ჭიანურდებოდა და ძალზე იშვიათად ხდებოდა მსჯავრდება, რაც საჩივრების გამოძიების სისტემის მიმართ ნდობას ამცირებდა.

ზემოხსენებული სტატისტიკური ინფორმაცია ართულებს სიტუაციის ზუსტი სურათის შექმნას. სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება თვითმიზანი არ არის. სწორი შეგროვებისა და ანალიზის შემთხვევაში მას შეუძლია მიგვანიშნოს ტენდენციების შესახებ და დაგვეხმაროს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურას შორის აშკარად საჭიროა უფრო მეტი კოორდინაციის არსებობა. **წპკ საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, შემოიღოს ერთიანი ეროვნული სისტემა პოლიციის თანამშრომლების მიმართ საჩივრების, დისციპლინარული და სისხლის სამართლის სამართალწარმოებისა და სანქციების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისთვის. საზოგადოების ინფორმირება პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებაზე, ხელს შეუწყობს მოსახლეობაში დაუსჯელობის განცდის შემცირებას.**

18. დაუსჯელობის განცდის თავიდან ასაცილებლად ძალზე მნიშვნელოვანია შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას გამოძიებისა და პროკურატურის ორგანოებმა ეფექტიანი ღონისძიებები გაატარონ.

“ეფექტიანად” კვალიფიცირებული კრიტერიუმები განისაზღვრა ადამინის უფლებათა ევრო-

101 დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებისას დაკავებული პირები მოწმდებიან სხეულზე ნებისმიერი ხილული დაზიანების, მათ შორის ოპერაციის შემდეგ დარჩენილი ძველი ნაიარევების, ნაფხაჭნების, ალერგიის ნაკვალევისა და ა.შ. არსებობაზე. ამის შედეგია „სხეულის დაზიანების“ აღრიცხულ შემთხვევათა დიდი რაოდენობა.

102 2007 წელს პოლიციის მიერ 24,680 პირი იყო დაკავებული, რომელთაგან 4,328-მ გვაჩვენა სხეულის დაზიანება, ხოლო 186-მა საჩივარი შეიტანა. 2008 წლის შესაბამისი მონაცემებით, 23,196 პირი იყო დაკავებული, რომელთაგან 5,436-ს ჰქონდა სხეულის დაზიანება, ხოლო 50-მა საჩივარი შეიტანა.

103 2007 და 2008 წლების მონაცემები იყო 19 დისციპლინარული სანქცია (მათ შორის 8 განთავისუფლება სამსახურიდან) და 34 დისციპლინარული სანქცია (მათ შორის 14 განთავისუფლება სამსახურიდან).

პული სასამართლოს მდიდარი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე და ჩამოყალიბდა **წპკ**-ს მე-14 ზოგად ანგარიშში. კერძოდ, გამოძიება უნდა იყოს ძალზე დეტალური და ვრცელი, სწრაფად უნდა ჩატარდეს და მის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი აღნიშნულ მოვლენებში ჩართულ პირებთან. გარდა ამისა, გამოძიება და მისი შედეგები საზოგადოებრივ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, რაც მოიცავს სავარაუდო დაზარალებულთა მონაწილეობას პროცესში და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რათა ანგარიშვალდებულება პრაქტიკულადაც და თეორიულადაც უზრუნველყოფილი იყოს.

ამ თვალსაზრისით ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ნათლადაა ჩამოყალიბებული, რომ საჯარო მოხელეების ხელში მყოფი პირის დაზიანების მიღებისას ჩნდება ძლიერი ვარაუდი მის მიმართ არასათანადო მოპყრობისა. სათანადო თანამდებობის პირების მოვალეობაა, დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტების წარმოდგენა დაზიანების გაჩენასთან დაკავშირებით.

19. თბილისის №7 საპყრობილეში ვიზიტის დროს დელეგაციამ შეიტყო პატიმარ "ა"-ს საქმის შესახებ, რომელიც 2009 წლის სექტემბერში დაწესებულებაში მოხვედრიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა თავის ქალისა და ტვინის ტრავმით. როგორც უკვე აღინიშნა მე-5 პუნქტში, ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ რეალურად რა მოხდა "ა"-ს შემთხვევაში, რადგან №7 საპყრობილის ხელმძღვანელობა და ექიმი არ იძლეოდნენ ინფორმაციას (იხ. პუნქტი 5). საქმის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, დელეგაცია ეწვია ციხის საავადმყოფოს თბილისში (გლდანში) და ღუდუშაურის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს და შეხვდა პროკურატურის წარმომადგენელს.

იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც დელეგაციამ ბოლოს და ბოლოს მოიპოვა, "ა"* თბილისის №7 საპყრობილეში შეიყვანეს 2009 წლის 19 სექტემბერს, დილის 2.20 საათზე, მას შემდეგ, რაც ბათუმის სასამართლომ აჭარაში წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა 18 სექტემბერს. ამას წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს მიერ "ა"-ს დაპატიმრება 15 სექტემბერს. №7 საპყრობილეში მისი შეყვანისას შედგენილ სამედიცინო დასკვნაში[104] აღნიშნულია „სისხლჩაქცევები მუცლის წინა და მარცხენა მხარეს, მარცხენა მაჯის ზევით და იდაყვზე, დიდი და მრავალრიცხოვანი სისხლჩაქცევები ორივე მუხლზე და წვივებზე; მოყავისფრო ნაკაწრი მარცხენა მუხლზე; სისხლჩაქცევები ორივე ბეჭზე; ნაოპერაციევი ნაკერი აპენდიციტის არეში; ორი პარალელური ნაოპერაციევი ნაკერი მარცხენა ბეჭზე." ციხის ექიმის თქმით, "ა"-ს არ დაუზუსტებია ამ დაზიანებების წარმომავლობა. მას ტკივილგამაყუჩებელი და სპაზმის საწინააღმდეგო საშუალებები გაუკეთეს და საკანში მოათავსეს.

ცოტა ხნის შემდეგ, 19 სექტემბერს, დღის განმავლობაში, "ა", როგორც ჩანს, უგრძნობლად იპოვეს საკანში და დღის 3 საათსა და 20 წუთზე თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სამედიცინო ისტორიაში, *ინტერ ალია,* მითითებული იყო „ტვინისა და თავის ქალის ტრავმა, შინაგანი სისხლდენა, კომა (სამი ქულა კომის განსაზღვრის გლაზგოს სტანდარტით), ორმხრივი ენდობრონქიტი. "ა" მოათავსეს ინტენსიური თერაპიის პალატაში და საღამოს ცხრა საათზე გადაიყვანეს ღუდუშაურის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, სადაც თავის ტვინის წარუმატებელი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. საავადმყოფოს მთავარი ექიმის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელისთვის გაგზავნილი წერილის მიხედვით ირკვევა, რომ "ა" 2009 წლის 21 სექტემბერს გარდაიცვალა საღამოს 9 საათზე. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზი გახდა ტვინში ფართო სისხლჩაქცევა ბლაგვი საგნით მიყენებული ტრავმის შედეგად.

20. 2010 წლის 15 თებერვალს პროკურატურის წარმომადგენელთან შეხვედრისას, დელეგაციას აცნობეს, რომ 2009 წლის 21 სექტემბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველომ წინასწარი გამოძიება დაიწყო. ვიზიტის დროისათვის გამოძიებას დაკითხული ჰყავდა "ა"-ს დედა და და, აგრეთვე, მისი მეგობარი ქალი, რომელიც, როგორც ჩანს, მის დაპატიმრებას შეესწრო 15 სექტემბერს ქობულეთში (ქალაქი აჭარაში, ბათუმის ახლოს). ამ მეგობრის განცხადებით, ის "ა"-ს და მეორე მამაკაცის, "ბ"-ს*, თანხლებით რესტორანში იყო 15 სექტემბერს. ეს ორი მამაკაცი რესტორნიდან გავიდა და გარკვეული დროის შემდეგ რომ აღარ დაბრუნდა, ქალი გარეთ გამოვიდა მათ მოსაძებნად და დაინახა ნიღბიანი მამაკაცები, რომლებიც თეთრ მიკროავტობუსში სხდებოდნენ. მოგვიანებით მას აცნობეს, რომ "ა" და "ბ" პოლიციამ დააპატიმრა.

გამოძიებისას ასევე დაიკითხა ექიმი, რომელმაც გასინჯა "ა" 2009 წლის 19 სექტემბერს თბილისის №7 საპყრობილეში შეყვანისას. ვიზიტის დროს წინასწარი გამოძიება კვლავაც მიმდინარეობდა.

ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ მოითხოვა "ა"-ს საქმის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია. 2010 წლის 11 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ დაკითხული იყო ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრის ნეიროქირურგიული დეპარტამენტის დი-

104 * კონვენციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ზოგიერთი გვარი ამოღებული იქნა.

სამედიცინო ანგარიში არასწორად იყო დათარიღებული 2009 წლის 20 სექტემბრით, რამაც თავიდან გაუგებრობა გამოიწვია. * კონვენციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ზოგიერთი გვარი ამოღებულია.

რექტორიც, რომელმაც "ა"-ს ოპერაცია გაუკეთა 2009 წლის 19-იდან 20 სექტემბრის ღამეს. მისი თქმით, პაციენტს თავზე დაზიანებები სულ მცირე, 24 საათის წინ მიაყენეს. ამასთან, სასამართლო მოსმენის ოფიციალური ოქმის თანახმად, რომელიც ეხებოდა 2009 წლის 18 სექტემბერს "ა"-ს წინასწარ დაკავებას, დაზიანებებთან დაკავშირებით საკითხი არ წამოჭრილა არც თავად დაკავებულის და არც მისი ადვოკატის მხრიდან და არც მოსამართლეს შეუმჩნევია დაზიანებები აღნიშნული პირისთვის.

21. "ა"-ს საქმის გამოძიებამ გამოავლინა გარკვეული ნაკლოვანებები წინასწარი გამოძიების ჩატარებაში. 2010 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე (ანუ წინასწარი გამოძიების დაწყებიდან ხუთი თვის შემდეგ) განხორციელებულ სხვადასხვა საგამოძიებო საქმიანობის პროცესში არ დაკითხულან პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებმაც "ა" დააპატიმრეს, არც აჭარაში დროებითი მოთავსების იზოლატორში მომუშავე პერსონალი, სადაც "ა" იყო მოთავსებული, და არც ის პერსონალი, რომელმაც ტრანსპორტით გადაიყვანა აჭარიდან თბილისის №7 საპყრობილის იზოლატორში. გარდა ამისა, არ დაკითხულა ის პირი, რომელიც, როგორც ჩანს, "ა"-სთან ერთად დააკავეს, ანუ მე-18 პუნქტის შესაბამისი „ეფექტიანი" გამოძიების ძირითადი მოთხოვნები არ დაკმაყოფილებულა. **წპკ** იმედოვნებს, რომ საქმის ასეთი მდგომარეობა გამოსწორდება; **მას სურს დეტალური ინფორმაცია მიიღოს ა"-ს სიკვდილის მიზეზების გამოძიების მსვლელობასთან და შემდგომ კი - მის შედეგთან დაკავშირებით.**

უფრო ზოგადად კი, წპკ რეკომენდაციას იძლევა, გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არასათანადო მოპყრობის ნიშნების მქონე ყველა საქმის გამოძიება, სრულად აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებულ „ეფექტიანი" გამოძიების კრიტერიუმებს.

22. 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშის მე-15 პუნქტში გამოთქმული რეკომენდაციის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ნებისმიერი პირის მოსამართლის წინაშე წარდგომისას, ეკითხებიან, ხომ არ მიმართეს მის წინააღმდეგ რაიმე უკანონო ქმედებას. დაკავებული პირის ყველა განცხადებას იწერენ სასამართლოს ოქმში. თუ რომელიმე პირი განაცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ ან აღინიშნება არასათანადო მოპყრობის რაიმე ნიშნები, მოსამართლე მოითხოვს საქმის გამოძიებას პროკურატურის მიერ. გამოძიების პროცესში ტარდება სასამართლო ექსპერტიზა.

მიუხედავად ამისა, 2010 წლის ვიზიტის დროს დელეგაციის მიერ გამოკითხულმა გარკვეულმა პირებმა განაცხადეს, რომ მოსამართლეებმა ანგარიში არ გაუწიეს მათ საჩივრებს პოლიციის მხრიდან არამართლზომიერი ქმედებების შესახებ. შესაბამისად, **წპკ რეკომენდაციას იძლევა, სათანადო არხების საშუალებით მოსამართლეებს შეახსენონ, რომ მათ უნდა დაიცვან ზემოხსენებული პროცედურა.**

23. **წპკ**-ს წარსულში არაერთხელ აღუნიშნავს ექიმების როლი არასათანადო მოპყრობის პრევენციაში. დროებითი მოთავსების იზოლატორებში ახლად შემოსული პირების სამედიცინო შემოწმების პროცედურა ისეთივე დარჩა, როგორიც აღწერილია წინა, 2007[105] წლის, ვიზიტის შესახებ ანგარიშში. თბილისის ორ იზოლატორში ასეთ პირებს სინჯავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაქირავებული ექიმი. დანარჩენ იზოლატორებში სხეულის თავდაპირველი გარეგანი დათვალიერების ფუნქციას მორიგე ოფიცერი ასრულებდა. დაკავებული პირის მოთხოვნით ან თუ პერსონალი საჭიროდ ჩათვლიდა, იძახებდნენ სასწრაფო დახმარების სამსახურის ექიმს (რომელიც დამოუკიდებელია შინაგან საქმეთა სამინისტროსგან). შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2009 წელს სასწრაფო სამედიცინო სამსახური გამოიძახეს 1,929 შემთხვევაში (სულ წლის განმავლობაში 20,619 პირი დააკავეს) და 168 პირი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თბილისის ორ იზოლატორში ექიმის მიერ გასინჯვას პოლიციის თანამშრომლები ესწრებოდნენ. ასეთმა პრაქტიკამ შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანს სიმართლის აღიარებაში, კერძოდ, აღწეროს პოლიციის მხრიდან მის მიმართ არასათანადო მოპყრობა. ეს პრაქტიკა აგრეთვე არღვევს დროებითი მოთავსების იზოლატორების შესახებ ახალ წესს, რომლის თანახმად დაკავებულებმა სამედიცინო შემოწმება ცალკე ოთახში უნდა გაიარონ სხვა დამსწრე პირების გარეშე. გარდა ამისა, დელეგაციამ აღნიშნა, რომ სამედიცინო შემოწმების შედეგები (მათ შორის შესაბამისი პირების ნებისმიერი განცხადებები) ხელმისაწვდომი იყო პოლიციის თანამშრომლებისთვის.

დაკავებული პირების სხეულზე გამოვლენილი ნებისმიერი დაზიანება ან მათ მიერ გამოთქმული ნებისმიერი საჩივარი იწერება სპეციალურ ჟურნალში და, არასათანადო მოპყრობაზე ეჭვის გაჩენისას, დაკავებულის გარეგანი დათვალიერების ოქმი, რომელიც გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურას. დაკავებულ პირებსა და მათ ადვოკატებს აქვთ აღნიშნული ოქმის ასლის მიღების უფლება. რაც შეეხება ექიმის დასკვნას, თუ რამდენად შეესაბამება ერთმანეთს დაკავებული პირების განცხადებები და ობიექტური სამედიცინო დასკვნები, საქა-

105 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის მე-16 პუნქტი.

რთველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ის არ არის მითითებული, რადგან „ეს სამედიცინო ექსპერტიზის საქმეა, რომელიც დანიშვნისთანავე ტარდება ექპერტების მიერ."

იმისათვის, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანილი პირების სამედიცინო შემოწმების პროცედურამ ნამდვილად შეიტანოს წვლილი არასათანადო მოპყრობის აღკვეთაში, ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამგვარ დაწესებულებებში შეყვანილი პირების სამედიცინო შემოწმების უზრუნველსაყოფად კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ სისტემატურად და სრულფასოვნად. **წპკ განმეორებით იძლევა რეკომენდაციას, რომ გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებების შემოწმების გაუმჯობესებისთვის, კერძოდ, ამისათვის უნდა უზრუნველყონ:**

- სამედიცინო შემოწმების ჩატარება არასამედიცინო პერსონალის დასწრებისა და მიყურადების გარეშე, თუ ამას ექიმი არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში;

- სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვა.

ამასთან, როდესაც დაკავებული პირი დაზიანებებს წარმოადგენს და განაცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ ან საფიქრებელია არასათანადო მოპყრობის სხვა საფუძველი, შესაბამისი პირი დაუყოვნებლივ უნდა გასინჯოს კვალიფიციურმა დამოუკიდებელმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა. მანვე უნდა მოამზადოს დასკვნები, მათ შორის იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება საჩივრები ობიექტურ სამედიცინო ჩვენებებს. ექიმის ჩანაწერები დაზიანებების შესახებ, რომლებიც შეესაბამება პირის მიერ გამოთქმულ საჩივრებს არასათანადო მოპყრობის შესახებ (ან რომლებიც საჩივრების არარსებობის შემთხვევაშიც მიანიშნებს არასათანადო მოპყრობაზე), დაუყოვნებლივ უნდა გააცნონ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს - პროკურატურასა ან სასამართლო ორგანოებს.

24. ამასთან დაკავშირებული საკითხია ვადების განსაზღვრა და სასამართლო სამედიცინო შემოწმების ხელმისაწვდომობა. 2008 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 იანვარს. ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული, რომელიც განახორციელებს სხვადასხვა ანაზღაურებად საქმიანობას. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა[106] ითვალისწინებს, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლს ან მის ადვოკატს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამედიცინო შემოწმება სასამართლო ექიმის დასკვნის/ცნობის მისაღებად. შემოწმება ტარდება პირის ინიციატივით და მისსავე ხარჯზე. ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ პირს არ სჭირდება პროკურატურის ან მოსამართლის წინასწარი ნებართვა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გარდა, არის სასამართლო ექსპერტიზის რამდენიმე კერძო ბიურო. **წპკ** მიესალმება ამგვარ ინიციატივას.

3. დაცვის გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

25. 2007 წლის ვიზიტის დროს სამათლებრივი კანონის დებულებები, რომლებიც ეხებოდა პოლიციის მიერ თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის გარანტიებს (კერძოდ, დაკავებული პირების უფლებას, შეატყობინონ თავიანთი მდგომარეობის შესახებ ახლო ნათესავს ან სხვა მესამე მხარეს, ისარგებლონ ადვოკატის მომსახურებით და მიმართონ ექიმს), ძირითადად დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული. სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო კოდექსი იძლევა „ეჭვმიტანილის" უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს (თავი 73), ზემოაღნიშნული სამი უფლების ჩათვლით. ამის მსგავსად, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის (რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბერს შედის ძალაში) 38-ე თავში მოცემულია „ბრალდებულის" იმ უფლებათა ჩამონათვალი, რომლებიც მოქმედებს თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან. ამასთან, **წპკ**-ს წინა, 2007 წლის, ვიზიტის შემდეგ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავს პოლიციის მიერ დაკავებული პირების უფლებებს, შეავსო ძალაში შესულმა კანონმა იურიდიული დახმარების შესახებ.

მიუხედავად ამისა, 2010 წლის ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები მიუთითებს, რომ პრაქტიკაში ხანდახან ვერ აისახება კანონის დებულებები.

26. რაც შეეხება <u>დაკავების შეტყობინებას</u>, დელეგაციის მიერ გამოკითხული დაკავებული პირების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ოჯახებისთვის სწრაფად ეცნობებინათ თავიანთი მდგომარეობის შესახებ. თუმცა დელეგაციასთან შეხვედრისას რამდენიმე პირმა განაცხადა, რომ მათმა ოჯახის წევრებმა გარკვეული დაგვიანებით (მაგ. დაკავებიდან მეორე დღეს) მიიღეს შეტყობინება, ან ინფორმირებულნი არ იყვნენ შეტყობინების მიღების შესახებ. ის ფაქტი, რომ დაკავების შესახებ ახლო ნათესავებს შეატყობინეს პოლიციის თანამშრომლებმა და არა თავად დაკავებულებმა, იმის უშუალო მიზეზი გახდა, რომ ზოგიერთ დაკავებულს ეჭვი გაუჩნდა, შეტყობინების მიღების თაობაზე.

წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაატაროს ზომები იმის

106 იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის პირველი პუნქტი (ალტერნატიული სამედიცინო-სასამართლო შემოწმება).

უზრუნველსაყოფად, რომ დაკავებულ პირებს აცნობონ, მიეწოდა თუ არა მათი დაკავების შესახებ ინფორმაცია ახლო ნათესავს ან სხვა პირს.

27. დაცვის უფლება მოქმედებს პოლიციის მიერ დაკავების მომენტიდან და მოიცავს ადვოკატთან განცალკევებით საუბრის უფლებას და ადვოკატის დასწრებას დაკითხვისას. დაკავებულ პირებს, რომლებსაც უჭირთ და არ შეუძლიათ ადვოკატის დაქირავება, აქვთ პოლიციის მიერ მათი დაკავების შემდეგ *სახა ზინო* ადვოკატისგან კონსულტაციის დაუყოვნებლივ მიღების უფლება[107]. 2007 წლის ვიზიტის შემდეგ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ უფასო იურიდიული დახმარების სისტემა ეფექტიანად ფუნქციონირებდეს პრაქტიკაში. იურიდიული დახმარების შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის 11 რეგიონული ბიურო, რომლებშიც 90-მდე ადვოკატი მუშაობს. დელეგაციას აცნობეს, რომ 2009 წელს უფასო იურიდიული დახმარება 10,000 საქმეს გაეწია.

მიუხედავად ასეთი სასიკეთო ძვრებისა, დელეგაცია შეხვდა რამდენიმე პირს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პირველად ადვოკატს მხოლოდ სასამართლოში შეხვდნენ; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანები პოლიციის მიერ დაკავების პირველივე საათებიდან ადვოკატის მომსახურებით კვლავ შედარებით იშვიათად სარგებლობენ. გარდა ამისა, კვლავაც პრობლემაა ადვოკატის დახმარება ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისათვის, რომელთა ნაწილისთვის, როგორც გვითხრეს, არ უცნობებიათ ამ უფლების შესახებ ან არ შეუქმნიათ პირობები მის გამოსაყენებლად (განსაკუთრებით ქუთაისში).

წპპ რეკომენდაციას იძლევა, გატარდეს სათანადო ზომები, რათა ადვოკატის ნახვის უფლება სრულად უზრუნველყონ ყველა დაკავებულისათვის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან.

28. პოლიციაში პატიმრობის დროს ექიმის მიერ მონახულების უფლება ძირითადად კარგად მოქმედებს; თუმცა იხილეთ შენიშვნები და რეკომენდაციები 23-ე პუნქტში.

ფსიქიკური აშლილობის მქონე ან ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის დიდი ხნის მომხმარებელი დაკავებული პირები განსაკუთრებით დაუცველი არიან დაკავების პირობებში. ასეთი პირების დაკავება 72 საათამდე დროის განმავლობაში სრულიად საკმარისია მნიშვნელოვანი კლინიკური პრობლემების ჩამოსაყალიბებლად (მაგ. აბსტინენციის სინდრომი). თუმცა, როგორც ჩანს, იმ პერსონალს, რომელსაც დელეგაცია შეხვდა, არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა ამის შესახებ. მაგალითად, თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში დელეგაცია შეხვდა დაკავებულ პირს, რომელსაც აშკარად ესაჭიროებოდა ფსიქიატრიული დახმარება, მაგრამ ის ფსიქიატრს არ გაუსინჯავს. **წპპ რეკომენდაციას იძლევა, რომ გადაიდგას სათანადო ნაბიჯები, რათა მსგავს ვითარებაში უზრუნველყონ საჭირო სამედიცინო ჩარევა, მათ შორის სპეციალისტის მიერ მკურნალობა.**

29. რაც შეეხება ინფორმაციას უფლებების შესახებ, დელეგაციის მიერ გამოკითხული პირების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ასეთი ინფორმაცია მათ დაკავების მომენტში სიტყვიერად მიაწოდეს. თუმცა ირკვევა, რომ დაკავებულ პირებს სისტემატურად არ აძლევდნენ „დაკავების ოქმს“ (რომელშიც მოცემულია შესაბამისი უფლებების ჩამონათვალი). გარდა ამისა, უცხოელ მოქალაქეებს არ უზრუნველყოფდნენ ინფორმაციით მათთვის გასაგებ ენაზე. დელეგაცია შეხვდა რამდენიმე უცხოელ პატიმარს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ არ იცოდნენ თავიანთი უფლებების შესახებ და არ ესმოდათ ის დოკუმენტები, რომლებზეც ხელის მოწერა მოსთხოვეს (თუმცა დაკითხვის დროს ჩვეულებრივ თარჯიმნებიც ესწრებოდნენ). ჩვენ მიერ ნანახი დროებითი მოთავსების იზოლატორების დერეფნებში გაკრული პლაკატები, რომლებშიც დაკავებული პირების უფლებები მითითებულია ხუთ ენაზე: სომხურად, აზერბაიჯანულად, ინგლისურად, ქართულად და რუსულად, პოზიტიური მოვლენაა, თუმცა ვერ შეცვლის თითოეული პირისათვის დაკითხვის ჩატარებამდე წერილობითი ინფორმაციის მიწოდებას.

წპპ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შემდგომი ნაბიჯები გადადგას პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირისათვის თავისი უფლებების შესახებ ინფორმირების უზრუნველსაყოფად. ეს გულისხმობს თავისუფლების აღკვეთის მომენტში (ანუ როდესაც ეს პირები ვალდებულნი ხდებიან, პოლიციასთან დარჩნენ) გასაგები სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც პირველი შესაძლებლობისთანავე (პოლიციის შენობაში პირველად შესვლისთანავე) უნდა დაემატოს წერილობითი ინფორმაცია უფლებების შესახებ, იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს რამდენიმე გავრცელებულ ენაზე.

30. 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპპ**-მ არასრულწლოვნებთან[108] დაკავშირებით ჩამოაყალიბა სამართლებრივი პროცედურების გასაუმჯობესებელი ზომები. ვიზიტის შემდეგ შემუშავდა ახალი კონცეფცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. მისი ნაწილი იყო 2009 წელს ორგანიზებული არასრულწლოვანთა დაკითხვის საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური ტრენინგების სერია, რომელშიც 430 გამომძიებელი იყო ჩართული. ასევე, შემუშა-

107 იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი.
108 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის მე-20 პუნქტი.

ვდა არასრულწლოვანთა დაკითხვის სახელმძღვანელო. რაც შეეხება არასრულწლოვანთა დაკითხვას, სავალდებულოა მასზე ადვოკატის დასწრება[109], ხოლო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანის დაკითხვის დროს სავალდებულოა კანონიერი წარმომადგენლის (ანუ ახლო ნათესავის ან მეურვის) ან ფსიქოლოგის დასწრებაც.

წპკ მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გატარებულ ზომებს. **იგი მოუწოდებს ხელისუფლებას, შემოიღოს არასრულწლოვანთა უფლებების შესახებ სპეციალური, გასაგები ენით ჩამოყალიბებული საინფორმაციო ფორმა, რომელშიც მითითებული იქნება დაკითხვის დროს ადვოკატისა და კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო დასწრების შესახებ. საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის დეტალურ განმარტებას მისი სრულყოფილი აღქმისთვის.**

31. საქართველოში წინა ვიზიტების შესახებ შედგენილ ანგარიშებში **წპკ** იძლეოდა რეკომენდაციას, ჩამოყალიბებულიყო პოლიციელთათვის დაკავებულთა დაკითხვის წარმოების ქცევის კოდექსი, რომელშიც დეტალურად იქნებოდა მითითებული პროცედურა რამდენიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით[110]. 2010 წლის ვიზიტის დროს დელეგაციას აცნობეს, რომ პოლიციის აკადემიამ შეიმუშავა სახელმძღვანელო დაკითხვის მეთოდების შესახებ და დაკითხვის ტექნიკის კურსს ისწავლებოდა ძირითადი და მიმდინარე ტრენინგების ფარგლებში. გარდა ამისა, როგორც ეს წინა პუნქტში აღინიშნა, დამტკიცდა არასრულწლოვანთა დაკითხვის სახელმძღვანელო და ტრენინგი ჩაუტარდათ გამომძიებლებს. ეს მისასალმებელი ცვლილებებია.

32. 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში მნიშვნელოვან გაუმჯობესებად მიიჩნევა სტანდარტიზებული დაკავების რეესტრის შემოღება, რომელშიც აღირიცხებაბა მთელი შესაბამისი ინფორმაცია. 2010 წლის განმავლობაში დროებითი მოთავსების იზოლატორების დათვალიერების საფუძველზე დელეგაციამ აღნიშნა, რომ დაკავებაში ყოფნის პერიოდი კარგად იყო დოკუმენტირებული. გარდა ამისა, 2009 წელს შემოღებულია მონაცემთა ცენტრალიზებული კომპიუტერული ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის დროებითი მოთავსების იზოლატორებში რეესტრის მონაცემებს ქვეყნის მასშტაბით (გარდა ორი იზოლატორისა, რომლებიც მოშორებით არის განლაგებული და სადაც არ არის მუდმივი ინტერნეტი).

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორ რაიონულ განყოფილებაში, რომლებსაც დელეგაცია ვიზიტის დროს ეწვია, რეესტრი ასევე კარგად იყო წარმოებული. რეესტრი არ მოიპოვებოდა თბილისის აეროპორტის სასაზღვრო პოლიციის განყოფილებაში. **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ ეს ნაკლი გამოსწორდეს.**

4. დაკავების პირობები

33. 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **წპკ** აღნიშნავდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავების პირობები ის სფეროა, რომელშიც ყველაზე ნაკლები წინსვლა აღინიშნა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მას შემდეგ გარკვეული ნაბიჯები გადადგა დაკავების პირობების გასაუმჯობესებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით. დელეგაციას აცნობეს, რომ დროებითი დაკავების 26 იზოლატორი (მათ შორის 2007 წლის ვიზიტის ანგარიშში გაკრიტიკებული ხობისა და ზუგდიდის იზოლატორები) გარემონტდა და ხელახლა აღიჭურვა; დანარჩენი 14 იზოლატორი კვლავაც გასარემონტებელია. ორი იზოლატორი (ოზურგეთსა და ამბროლაურში) პოლიციის ახლად აშენებულ შენობებში განთავსდა. გარდა ამისა, დელეგაციას აცნობეს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებთან დაკავშირებით ახალი წესები შემოიღეს.

როგორც მე-10 პუნქტში აღინიშნა, ყველა დაკავების საკანი პოლიციის სამმართველოებში/განყოფილებებში გაუქმდა და გადაკეთდა საწყობად. პოლიციის ახლად აშენებულ შენობებში ამგვარი საკნები აღარ არის.

34. დათვალიერებული დაწესებულებებიდან სამი **წპკ**-ს ადრე ჰქონდა ნანახი (დროებითი მოთავსების ორი იზოლატორი თბილისში და ერთი ქუთაისში). თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი გაუმჯობესდა 2007 წლის ვიზიტის შემდეგ ჩატარებული რემონტის შედეგად და იქ ნორმალურ პირობები შეიქმნა. თუმცა დელეგაციას აცნობეს, რომ დაკავებულებს ადრე ხელმისაწვდომი ზოგიერთი რამ (ბალიშები, ზეწრები, ტაბურეტი, სამაგიდო თამაშები) აღარ ჰქონდათ ახალი წესების შემოღების გამო. **წპკ-ს სურს ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების კომენტარების მიღება.**

თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორი და ქუთაისის იზოლატორი არ გარემონტებულა და იქ კვლავაც მრავალი ნაკლოვანება აღინიშნება. ორივე ამ დაწესებულებაში საკნები ცუდად ნათდებოდა და გაპარტახებული იყო. ქუთაისში საკნები არ თბებოდა (გათბობა მხოლოდ დერეფნებში იყო) და 2010 წლის 11 თებერვალს გაზომილი ტემპერატურა 14Xჩ იყო. თბილისის №2 იზოლატორის საკნების უმეტესობაში პატიმრებს ფიცარნაგზე ეძინათ (და არა საწოლებზე). ორივე იზოლატორში საკნის შიგნით არსებული ტუალეტები ან არ იყო გადატიხ-

109 იხ. სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი და სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი.
110 იხ. CPT/Inf (2002) 14-ის 50-ე პუნქტი, CPT/Inf (2005) 12-ის 37-ე პუნქტი და CPT/Inf (2007) 42-ის 21-ე პუნქტი.

რული, ან დაბალი ტიხრები ჰქონდა, რაც საკმარისი არ იყო. თუმცა დაკავებულ პირებს ჰქონდათ ლეიბები და საბნები.

35. რაც შეეხება პირველად დათვალიერებულ ორ დაწესებულებას, 2009 წლის დეკემბერში, სერიოზული რემონტის შემდეგ, ხელახლა გაიხსნა მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი. ოთხი საკანი კარგად იყო გარემონტებული და თბებოდა. საკანში იყო ორსართულიანი საწოლები ლეიბებითა და საბნებით. იქვე იყო დაბალი ტიხრით გამოყოფილი ტუალეტი. თუმცა საკანი კარგად არ ნათდებოდა. ფანჯრების მეტისმეტად პატარა ზომის გამო საკნებს შეზღუდულად მიეწოდებოდა ბუნებრივი განათება და ხელოვნური განათებაც არასაკმარისი იყო. გარდა ამისა, საკნებში მოთავსებულ პირთა ოფიციალური რაოდენობა ზედმეტად მაღალი იყო (მაგალითად, ოთხი საწოლი 10m^2 ფართობის საკანში და ექვსი საწოლი – 13 m^2 ფართობის საკანში).

ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორი ჯერ არ გარემონტებულა და განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო. 7-8.5 m^2 ფართობის ოთხი საკანი, რომლებიც გამოიყენებოდა, გათვლილი იყო ორი-სამი ადამიანის მოსათავსებლად. ორ საკანს არ ჰქონდა ბუნებრივი განათება. ყველა საკანი ცუდად ნიავდებოდა, არ თბებოდა და იქ არაჰიგიენური პირობები იყო. საკნებში იდგა ფიცარნაგები, რომლებზეც ლეიბები და საბნები ეწყო. საერთო ტუალეტს რაც შეეხება, ის უბრალოდ ამაზრზენი იყო.

36. ყველა ნანახ იზოლატორში, გარდა ზესტაფონის იზოლატორისა, იყო საშხაპე ოთახი. თუმცა გაირკვა, რომ შხაპით სარგებლობა მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისთვის შეიძლებოდა (კვირაში ერთხელ). ზოგიერთ იზოლატორში დაკავებულ პირებს ამარაგებდნენ საპნითა და ტუალეტის ქაღალდით. რაც შეეხება პირადი ჰიგიენის ნივთებს, დაკავებულები უმეტესწილად ოჯახების იმედად არიან.

37. ყველა იზოლატორში დაკავებულ პირებს საკვები დღეში სამჯერ ეძლეოდათ. ეს მისასალმებელი ცვლილებაა 2007 წლის მდგომარეობასთან შედარებით.

38. დროებითი მოთავსების იზოლატორების ახალი წესების თანახმად, სუფთა ჰაერზე გასვლას მხოლოდ იმ პირებს სთავაზობენ, რომლებიც 15 დღეზე მეტი ხნით არიან დაკავებული (მაშინაც კი, თუ იზოლატორს ეზო აქვს, როგორც ეს მცხეთასა და თბილისშია); რაც შეეხება ქუთაისისა და ზესტაფონის იზოლატორებს, მათ არ აქვთ სასეირნო ეზოები. დაკავებული პირებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ სუფთა ჰაერზე გასვლის ნებას ძნელად თუ ვინმეს აძლევენ, რაც დაუშვებელია.

39. რაც შეეხება ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს (რომლებიც ახლა 3 თვემდე პერიოდის განმავლობაში შეიძლება იყვნენ დროებითი მოთავსების იზოლატორში), მათთვის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ისინი კვლავაც მოკლებული არიან რაიმე აქტივობას, კონტაქტს გარე სამყაროსთან. მათთვის არც სუფთა ჰაერზე გასვლა იყო შესაძლებელი, თუ 15 დღეზე ნაკლები დროით იყვნენ დაკავებულები.

40. **წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელოს დროებითი მოთავსების იზოლატორების გარემონტება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თბილისის №2, აგრეთვე, ქუთაისისა და ზესტაფონის იზოლატორებს.**

გარდა ამისა, უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორში:

- ისეთ საკნებში, სადაც ბევრი პატიმარია, თითოეულ დაკავებულ პირზე უნდა მოდიოდეს სულ მცირე 4 m^2 საცხოვრებელი ფართობი;

- საკნებში სათანადო (სასურველია, ბუნებრივი) განათება იყოს;

- საკნები კარგად თბებოდეს;

- ყველასთვის, ვინც 24 საათზე მეტი ხნით არის დაკავებული, უზრუნველყონ შხაპით სარგებლობის შესაძლებლობა;

- დაკავებული პირები უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის ნივთებით.

კომიტეტი აგრეთვე რეკომენდაციას იძლევა საქართველოს ხელისუფლებამ ცვლილებები შეიტანოს წესებში, რათა უზრუნველყოს, 24 საათზე მეტი დროის განმავლობაში დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი ნებისმიერი პირისთვის, სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობა. დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორს უნდა ჰქონდეს სასეირნო ეზოები.

რაც შეეხება ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს, წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ მათ რაიმე ტიპის აქტივობა შესთავაზონ (მაგ. წიგნები, გაზეთები და მაგიდის თამაშები), ხოლო მათი ოჯახის წევრებს პაემნების ნება დართონ.

41. თბილისის აეროპორტის სასაზღვრო პოლიციის განყოფილებას ორი ოთახი ჰქონდა (თითოეული დაახლოებით 8 m^2), სუფთა და კარგად მოწყობილი. თითოეულ ოთახში იყო ორსართულიანი საწოლი სუფთა თეთრეულითა და სანიტარიული კვანძი შხაპით, ტუალეტითა და ხელსაბანი ნიჟარით. ოთახებს არ ჰქონდა ბუნებრივი განათება, მაგრამ კარგი ვენტილაცია და ნორმალური ხელოვნური განათება იყო. აღნიშნული განყოფილების საკნები უკვე დაახლოებით ერთი წელი არსებობდა, მაგრამ მისი გამოყენების საჭიროება ჯერ არ დამდგარა.

ბ. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები

1. წინასწარი შენიშვნები

42. დელეგაციამ პირველად მოინახულა თბილისის №8 საპყრობილე (გლდანი), ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებები. განმეორებითი ვიზიტი შედგა თბილისის №7 საპყრობილეში.

ასევე, დელეგაციამ პირველად მოინახულა გლდანის პატიმრებისთვის განკუთვნილი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის მთავარი სამედიცინო დაწესებულებაა. ამ დაწესებულებაზე ცალკე ვისაუბრებთ ნაწილში „ჯანდაცვის მომსახურება“.

43. **წპკ**-ს საქართველოში 2007 წლის ვიზიტის შემდგომ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება განაგრძობდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროცესს. 2008 წელს პროკურატურა შეუერთდა იუსტიციის სამინისტროს, ასევეშეიქმნა ახალი სამინისტრო სახელწოდებით „სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო“, რომელსაც ექვემდებარება სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, იურიდიული დახმარების სამსახური და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

რეფორმის ფარგლებში მიიღეს ახალი კანონები, მათ შორის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ და კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“. გარდა ამისა, მიმდინარეობდა კონსულტაციები პატიმრობის კოდექსთან დაკავშირებით, რომლის პროექტი 2007 წელს დაიწერა. პროექტი განსახილველად და შესაფასებლად გადაეცა ევროპის საბჭოს მიერ შერჩეულ ექსპერტთა ჯგუფს. საბოლოოდ, ის დამტკიცდა 2010 წლის 9 მარტს და ძალაში შევა 2010 წლის 1 ოქტომბერს.

44. საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ პრიორიტეტთაგან ერთ-ერთია სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირება და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამ კონტექსტში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა (ათმაგი ზრდა 6 წლის განმავლობაში) და დიდი ინვესტიციებიც ჩაიდო ახალი დაწესებულებების მშენებლობასა და არსებულების რეკონსტრუქციაში. **წპკ**-ს წინა, 2007 წლის, ვიზიტის შემდეგ (2008 წლის დასასრულს) დაინგრა თბილისის №5 საპყრობილე, რომელიც კომიტეტმა ადრე მკაცრად გააკრიტიკა; 2007 წლის ბოლოს გაიხსნა ახალი სასჯელაღსრულების კომპლექსი გლდანში, აშენდა ახალი ნაგებობა გეგუთის №8 საპყრობილის ტერიტორიაზე და 2009 წლის ოქტომბერში ამოქმედდა ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულება. ამას გარდა, მიმდინარეობს რამდენიმე დაწესებულების მშენებლობა, კერძოდ, ქსანში (იხ. 68-ე პუნქტი), ლაითურსა და რუსთავში, ასევე, შენდება ქალებისთვის განკუთვნილი დაწესებულებაც.

წპკ დადებითად აფასებს საქართველოს ხელისუფლების მიერ სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებისა და კომიტეტის ადრინდელი რეკომენდაციების შესასრულებლად გატარებულ თუ დაგეგმილ ღონისძიებებს. საპყრობილეთა გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევის შედეგად, რა თქმა უნდა, ბევრი პატიმრისათვის გამოსწორდა საცხოვრებელი პირობები. დელეგაციის წევრები თავად გახდნენ ამის თვითმხილველი თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილესა და გეგუთის ახალ, №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვიზიტის დროს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2.5 m^2 ფართობი ერთ პატიმარზე ძალიან ცოტაა საერთო საკნისთვის, სტანდარტი სულ მცირე 4 m^2-ია.

45. მიუხედავად სასჯელაღსრულების დაწესებულებების მასობრივი მშენებლობისა, პატიმართა რაოდენობის შეუჩერებელი ზრდა აბრკოლებს ხელისუფლების მცდელობებს, უფრო ჰუმანური გახადოს სასჯელაღსრულების სისტემა. 2010 წლის თებერვლის ვიზიტის დროს საქართველოში სულ 21,532 პატიმარი იყო (მათ შორის 2,835 წინასწარ პატიმრობაში), მაშინ, როცა 2007 წლის მარტში საქართველოს 16,500, ხოლო 2004 წლის მაისში 7,000 პატიმარი ჰყავდა. 2010 წლის თებერვლის შემდეგ, არსებული ინფორმაციით, პატიმართა რაოდენობა გაიზარდა და 31 მარტისთვის 22,238 შეადგინა. საპყრობილეთა გადატვირთვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო დელეგაციის მიერ დათვალიერებულ რამდენიმე დაწესებულებაში, მათგან ყველაზე მძიმე სიტუაცია ქსნის №7 დაწესებულებაში იყო. საპყრობილეთა გადატვირთვა დღესაც მნიშვნელოვანი გადასაჭრელი პრობლემაა საქართველოს ხელისუფლებისთვის.

46. პატიმართა რაოდენობა[111] საქართველოში ძალზე მაღალია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით და, როგორც ეს 2007 წლის ანგარიშში[112] აღინიშნა, დამაჯერებლად ვერ აიხსნება მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობით ქვეყანაში. თუ არ გატარდება ზომები საპყრობილეში გასაგზავნ პირთა რაოდენობის შესამცირებლად, ნებისმიერი სახის წამოწყება პატიმრო-

111 პატიმრობაში აყვანის ამჟამინდელი მაჩვენებელი, დაანგარიშებული როგორც პატიმართა რაოდენობა 100,000 მოსახლეზე, შეადგენს 500-ს (მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელია 150).
112 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის 32-ე პუნქტი.

ბის პირობების გასაუმჯობესებლად გარდაუვალად წარუმატებელი იქნება. მართლია, სისხლის სამართლის ნორმები საქართველოს ხელისუფლების საქმეა და არა კომიტეტისა, მაგრამ კომიტეტი მაინც მიიჩნევს, რომ კანონმდებლობის გარკვეული დეტალები მათაც უნდა განიხილონ და შეისწავლონ, ვინაიდან, როგორც ჩანს, ციხეების გადატვირთვის პრობლემაში მათაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით. ყველაზე აქტუალური მათ შორის ის ფაქტია, რომ კანონის მიხედვით იმ ცალკეული ელემენტების მიმართ, რაც შეიძლება ხშირად დანაშაულის ერთ ეპიზოდად დაკვალიფიცირდეს, გამოიყენება უფრო სასჯელის შეკრებითობის, ვიდრე შთანთქმის პრინციპი. ამის შედეგია პატიმრობის უფრო ხანგრძლივი ვადები ისეთი დანაშაულებისთვის, რომლებსაც ნაკლებვადიან სასჯელს შეუფარდებდნენ უმეტეს ქვეყანაში. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ეს დეტალი ამჟამად იცვლება[113], რასაც კომიტეტი მიესალმება.

დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, აგრეთვე, რომ საქართველოში ფიქრობენ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ნორმების ცვლილებაზეც, რამაც უნდა მიგვიყვანოს საპატიმროებში ამ კატეგორიის დამნაშავეთა რაოდენობის შემცირებამდე. **წპკ-ს სურს მიიღოს დეტალური ინფორმაცია სავარაუდო რეფორმების შესახებ.**

47. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან თავდაპირველი საუბრის დროს გაირკვა, რომ საქართველოში ცდილობენ პრობაციის უფრო ფართოდ გამოყენებას.[114] რაც შეეხება პირობით განთავისუფლებას, ის 2008 წელს 1,055 შემთხვევაში გამოიყენეს და 2009 წელს კი - 740 შემთხვევაში. დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში ტარდება ზომები ალტერნატიული არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების ხელშესაწყობად. მაგალითად, მთავარ პროკურატურაში პროკურორებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მიზანია, უზრუნველყონ პროკურორების მიერ წინასწარი პატიმრობის მოთხოვნა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევებში. ამას გარდა, კომიტეტის ხელთ არსებული ინფორმაციით, არ დარღვეულა წინასწარი პატიმრობის კანონით დადგენილი 9-თვიანი ვადა.

კომიტეტს სურს განმეორებით განაცხადოს, რომ პატიმართა რაოდენობის სტაბილური შემცირების სტრატეგია უნდა მოიცავდეს მრვალგვარ ღონისძიებას, რათა უზრუნველყოს პატიმრობის უკიდურეს შემთხვევაში გამოყენება. პირველ რიგში, ეს გულისხმობს ყურადღების გამახვილებას არასაპატიმრო სანქციებზე სასჯელის დაკისრებამდე პერიოდში. ამას გარდა, განსაკუთრებით კი ნაკლებად მძიმე საქმეებისთვის სასამართლოებისთვის უნდა არსებობდეს ალტერნატიული სასჯელების დაკისრების შესაძლებლობა და სასამართლოებს უნდა მოეწოდოთ აღნიშნულის გაკეთება. დაბოლოს, თავისუფლებააღკვეთილი პირების საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას შეიძლებოდა შეემცირებინა მათ მიერ განთავისუფლების შემდეგ დანაშაულის ხელახლა ჩადენის მაჩვენებელი.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააორმაგოს საპატიმროების გადატვირთულობის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა ისეთი პოლიტიკის გატარებით, რომელიც მიმართული იქნება საპატიმროში მოსათავსებული პირების რაოდენობის შემცირებისკენ ან რეგულირებისკენ. ამისთვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციებით: Rec(99)22 რეკომენდაცია ციხის გადატვირთულობისა და პატიმართა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით; Rec(2000)22 რეკომენდაცია სათემო სანქციებისა და ზომების შესახებ ევროპული წესების შესრულების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით; Rec(2003)22 რეკომენდაცია პირობით (ვადამდელ) განთავისუფლებასთან დაკავშირებით და Rec(2006)13 რეკომენდაცია წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ამას გარდა, საჭიროა მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენების შესახებ სასწავლო კურსების უფრო ინტენსიურად ჩატარება. დაბოლოს, უფრო მეტად უნდა გამოიყენებოდეს პირობით ვადამდე ადრე განთავისუფლების სისტემა.

წპკ რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, რომ შეძლებისდაგვარად მალე გადახედოს კანონმდებლობის იმ ნორმებს, რომლებიც ადგენს პატიმრისთვის გამოყოფილი ფართობის მოცულობას და უზრუნველყოს სულ მცირე 4მ² ფართობი თითოეულ პატიმარზე საერთო სარგებლობის საკანში სასჯელაღსრულების სისტემის ნებისმიერ დაწესებულებაში.

2. არასათანადო მოპყრობა

48. *თბილისის №7 საპყრობილეში* განმეორებითი ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ამ დაწესებულების თანამშრომელთა მიერ პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ნიშნები. გარდა

113 2010 წლის 9 თებერვალს პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებები, რომელთა საფუძველზე იცვლება სასჯელის მისჯა და მისი შემდგომი მოხდა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 12-იდან 14 წლამდე იზრდება. ეს ცვლილებები მოსამართლეებს აძლევს მეტ თავისუფლებას მრავალჯერადი სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებით.

114 ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2010 წლის თებერვალში პრობაციაში იყო 27,220 ადამიანი (2007 წლის მარტში - 10,000 ადამიანი).

ამისა, *ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებების* პატიმართა უმრავლესობამ დელეგაციასთან საუბრისას განაცხადა, რომ ამ დაწესებულებათა თანამშრომლები მათ კორექტულად ექცეოდნენ.

თუმცა, ქსნის საპყრობილეში რამდენიმე პატიმარი ამტკიცებდა, რომ საპყრობილეში მიღების დროს მათ თანამშრომლებმა სცემეს.

გეგუთის დაწესებულებაში დელეგაციასთან გასაუბრებისას რამდენიმე პატიმრები ამტკიცებდნენ, რომ მათ თანამშრომლები კეტებითაც კი სცემდნენ და თანაც დისციპლინარული სასჯელის მოხდის დროს ე.წ. „კარცერში", რომელშიც საკმაოდ ხშირად ათავსებდნენ პატიმრებს (2009 წელს — დაახლოებით 1,500-ჯერ). დაწესებულების ადმინისტრაციამ კატეგორიულად უარყო კეტების არსებობა თავის ტერიტორიაზე. ზოგიერთი პატიმარი ჩიოდა, რომ მათ სცემეს ციხეში მიღებისას. ამას გარდა, პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ თანამშრომლები ზოგჯერ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ. **წპკ**-სთვის ცნობილი გახდა, რომ გეგუთის დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ, 2010 წლის 26 თებერვალს რამდენიმე პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა „კარცერში" გარდაცვლილი პატიმრის გამო და ზოგადად, მათ მიმართ შეურაცხმყოფელი მოპყრობის გასაპროტესტებლად. როგორც იტყობინებოდნენ, ქსნის საპყრობილეში გაიგზავნა სწრაფი რეაგირების დანაყოფი, რომლის წევრებმა ფიზიკური ძალა იხმარეს მოშიმშილე პატიმრებზე. ამის შემდეგ დაახლოებით 200 პატიმარი სხვადასხვა დაწესებულებაში გადაიგზავნა. 2010 წლის 19 მარტს გეგუთის საპყრობილეში მივიდნენ სახალხო დამცველის სამსახურის წარმომადგენლები, რომელთაც იქ მოპოვებული მასალები მთავარ პროკურატურაში გააგზავნეს რეაგირებისთვის.

49. *გლდანის №8 საპყრობილეში* ვიზიტის დროს კომიტეტს პრაქტიკულად არ მოუსმენია ჩივილები არასათანადო მოპყრობის შესახებ. თუმცა მოგვიანებით სხვა დაწესებულებებში განთავსებულმა რამდენიმე პატიმარმა განუცხადა დელეგაციის წევრებს, რომ მათ გლდანის საპყრობილეში ყოფნისას არასათანადოდ ექცეოდნენ თანამშრომლები, განსაკუთრებით კი „კარცერსა" და საშხაპეებში, ასევე დაწესებულებაში მიღების დროს. როგორც პატიმრები ამტკიცებდნენ, ფიზიკური შეურაცხყოფა (კეტით, მუშტით, წიხლით ცემა) მოჰყვებოდა ისეთ დარღვევებს, როგორიცაა საკნის კარზე დაკაკუნება, ხმამაღალი ლაპარაკი ან სხვა საკნებში განთავსებულ პატიმრებთან გამოლაპარაკება. დელეგაციამ თავის მხრივ აღნიშნა, რომ გლდანის საპყრობილეში ვიზიტის დროს საკნებში უჩვეულო სიჩუმე სუფევდა.

50. წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილის, ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებების შესაბამისმა ადმინისტრაციებმა განახორციელონ სათანადო ზომები იმისთვის, რომ ციხის თანამშრომლებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება და არასათანადოდ არ მოეპყრან პატიმრებს. სასწავლო-მოსამზადებელი კურსის გავლისას ციხის თანამშრომლებს ნათლად უნდა გააგებინონ, რომ პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა მიუღებელია და რომ ამისთვის თანამშრომლები მკაცრად დაისჯებიან. ამას გარდა, უნდა გამოიძიონ პატიმრების საჩივრები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, მათ შორის ის საჩივრები, რომლებშიც პატიმრები ამტკიცებენ, რომ გეგუთის №8 დაწესებულებასა და გლდანის №8 საპყრობილეში პატიმრების საცემად კეტებს იყენებდნენ (ციხის თანამშრომლებს კეტებს ოფიციალურად არ ურიგებენ).

რაც შეეხება გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებას, წპკ-ს სურს ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიმართა პროკურატურამ თანამშრომელთა და სწრაფი რეაგირების დანაყოფის წევრთა მხრიდან პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, ასევე, სურს მიიღოს 2010 წლის თებერვალში „კარცერში" გარდაცვლილი პატიმრის საქმეზე ჩატარებული გამოძიების დასკვნა.

ამას გარდა, ქვეყნის მასშტაბით პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ სრული სურათის შესამნელად, **წპკ-ს სურს მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია 2008 და 2009 წლებისათვის საქართველოს ყველა ციხესთან დაკავშირებით:**

- წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის გამო ციხის პერსონალის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობის შესახებ;

- ამ საჩივრების შედეგად აღძრული სისხლის სამართლის ან დისციპლინარულ საქმეთა რაოდენობისა და დაკისრებულ სანქციათა შესახებ.

51. რაც შეეხება *გლდანის სამედიცინო დაწესებულებას*, დელეგაციას არ მოუსმენია საჩივარი პატიმრებისგან დაწესებულებაში ვიზიტის დროს. თუმცა სხვა დაწესებულებებში ჩატარებული შეხვედრების დროს გლდანის სამედიცინო დაწესებულებაში ადრე მოთავსებული პატიმრებისგან დელეგაციის წევრებისთვის ცნობილი გახდა, რომ სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრებთან გარედან შედიოდნენ გამომძიებლები, დაჰკითავხდნენ სამედიცინო პერსონალის დაუსწრებლად და ზოგჯერ არასათანადოდაც ექცეოდნენ. **წპკ-ს სურს საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღოს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.**

52. გლდანის №8 საპყრობილეში ვიზიტისას დელეგაციის წევრები შეხვდნენ ადამიანებს, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან მუხროვანის სამხედრო ბაზაზე 2009 წელს მომხდარ ინციდენტ-

თან დაკავშირებით. ისინი უხალისოდ საუბრობდნენ და ინარჩუნებდნენ სამხედრო მანერებს. მაგრამ დელეგაციის წევრებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ ყოფილი სამხედროები ანერვიულებული და შეშფოთებულიც კი იყვნენ საკუთარი უსაფრთხოების გამო. მიუხედავად იმისა, რომ დელეგაციას მათგან არ მიუღია კონკრეტული საჩივარი, **წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზომები გაატარა საქართველოს ხელისუფლებამ ამ პატიმრების პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**

3. პატიმრობის პირობები

ა. საცხოვრებელი პირობები პატიმრობისას

I. განმეორებითი ვიზიტი თბილისის №7 საპყრობილეში

53. **წპკ**-მ თბილისის №7 საპყრობილე 2007 წელს მოინახულა და შეიმუშავა რიგი რეკომენდაციებისა.[115] 2010 წლის განმეორებითი ვიზიტის მიზანი იყო ამ რეკომენდაციების განხორციელების შეფასება. საპყრობილე ოფიციალურად ისევ 108 პატიმრისთვის არის გათვალისწინებული. ვიზიტის დროს მასში 39 მსჯავრდებული მამაკაცი იყო განთავსებული (მათ შორის ორი სამუდამო პატიმრობას იხდიდა). ეს მკაცრი რეჟიმის საკნებიანი საპყრობილეა (ერთი საკნის პატიმრებს აკრძალული აქვთ მეორე საკანში განთავსებულ პატიმრებთან ურთიერთობა), რომელშიც მოთავსებულნი არიან შავი სამყაროს ლიდერები (ე.წ „კანონიერი ქურდები"), სახელმწიფო დამნაშავეები და მასშტაბურ ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციაში მხილებული პირები. პატიმართა შორის 22 პირი „კანონიერ ქურდად" მიიჩნეოდა. სამი პატიმარი, რომლებსაც დაწესებულების დასუფთავება და საკვების დარიგება ევალებოდა, ჩვეულებრივ რეჟიმში იხდიდა სასჯელს.

პატიმრებს ამ დაწესებულებაში განათავსებენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ერთ წლამდე ვადით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს. სარეგისტრაციო ჟურნალების შესწავლისა და პატიმრებთან გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი უკვე მეხუთე წელს ატარებდა იქ ხანმოკლე წყვეტებით, როდესაც რუსთავის №6 საპყრობილეში რამდენიმე დღით გადაჰყავთ.

54. საპყრობილეში გაცილებით ნაკლები პატიმარი იმყოფებოდა, ვიდრე დაწესებულებაზეა გათვლილი, ამიტომ გადატვირთვა უმთავრეს პრობლემას არ წარმოადგენდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ 17.5 $მ^2$ ფართობის საკანში ექვსი პატიმარი იხდიდა სასჯელს.

დაწესებულებაში შეიმჩნეოდა ვითარების გაუმჯობესება, მაგალითად, შეიღება თითქმის ყველა საკანი, დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა და როზეტები (რაც საშუალებას აძლევს პატიმრებს, ისარგებლონ ჩაიდნითა და ვენტილატორით). გაუმჯობესდა განათება, დამონტაჟდა ელექტრონათურები სანიტარიულ კვანძებშიც. ამას გარდა, ყველა საკანში დგას რადიო და ტელევიზორი. დელეგაციის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე საკნებში გამოცვალეს ლეიბები და ლოგინის თეთრეული.

თუმცა, დღის სინათლე 1-ლი და მე-2 დონის საკნებში შემოდის პატარა ფანჯრებიდან, რომლებიც ისევეა დაფარული სქელი მავთულხლართებით, როგორც 2007 წელს.

ზოგიერთ საკანში პატარა თაროებია, მაგრამ კარადები არ დგას და პატიმრები თავიანთ ნივთებსა და საკვებ პროდუქტებს იატაკზე მოთავსებულ ჩანთებში ან თავისუფალ საწოლებზე ინახავენ. აღსანიშნავია, რომ მე-2 დონის ყველა საკანში არ იყო ტახტი ან სკამები, რაც იმას ნიშნავს, რომ პატიმრებს დღის განმავლობაში თავიანთ საწოლებზე უწევთ ჯდომა.

ამას გარდა, საკანში მოთავსებული ტუალეტები ნახევრად დანგრეულია და არც ჩამრეცხი მუშაობს გამართულად.

55. პატიმრებს <u>საშხაპით</u> სარგებლობა კვირაში მხოლოდ ერთხელ შეეძლოთ. შხაპის მიღების ამ არასაკმარის სიხშირესთან დაკავშირებით დელეგაციამ ბევრი საჩივარი მიიღო.

პოზიტიურია ის, რომ დაწესებულების <u>საკვებთან</u> დაკავშირებით დელეგაციას საჩივარი არ მიუღია.

56. განსაკუთრებით აღსანიშნავია საცხოვრებელი პირობები იმ სამი პატიმრისთვის, რომლებიც <u>მუშაობენ</u> დაწესებულებაში, საკნებს ალაგებენ და საკვებს არიგებენ. მათი საკნები სხვა ტერიტორიაზე მდებარეობს. ერთ-ერთი ამ საკნის ფართობი 3 $მ^2$-ია და დღის სინათლე იქ არ შედის. მეორე, რომელშიც ორი პატიმარი ცხოვრობს, 3.5 $მ^2$-ია. საბედნიეროდ, ეს პატიმრები დღის განმავლობაში ღია კარის რეჟიმით სარგებლობენ.

57. **წპკ-ს რეკომენდაციაა, გატარდეს ზომები თბილისის №7 საპყრობილეში, რათა:**

- შემცირდეს საკნებში პატიმართა რაოდენობა, რათა საერთო საკნებში თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს სულ მცირე 4 $მ^2$ საცხოვრებელი ფართობი;

- 1-ლი და მე-2 დონის საკნებში შევიდეს დღის სინათლე;

115 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის 61-ე, 64-ე და 65-ე პუნქტები.

- გარემონტდეს საკნებში არსებული ტუალეტები;

- ყველა საკანში დაიდგას კარადები და დასაჯდომი საშუალებები;

- გადაიხედოს დაკავების პირობები იქ მომუშავე მსჯავრდებულებისათვის. 6 m^2-ზე ნაკლები ფართობის საკნები გადიდდეს ან გაუქმდეს მათი გამოყენება.

უნდა განიხილონ აგრეთვე, „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 წესის გათვალისწინებით შხაპის მიღების სიხშირის გაზრდის საკითხიც.[116]

II. თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილე

58. თბილისის №8 საპყრობილე სასჯელაღსრულების სისტემის ახლად აშენებული კომპლექსია. ის 2007 წლის დეკემბერში გაიხსნა დედაქალაქის გარეუბანში, გლდანის რაიონის მახლობლად და დიდ ფართობს მოიცავს, რომელზეც განთავსებულია პატიმართა საცხოვრებელი 4 ბლოკი და რამდენიმე დამხმარე ნაგებობა. სამედიცინო დაწესებულებაც იმავე ტერიტორიაზეა, მაგრამ შემოღობილია პერიმეტრზე.

საპყრობილის ოფიციალური ტევადობა 3,672-ია (დაანგარიშებულია თითო პატიმარზე 2.5 m^2-ის საფუძველზე). დელეგაციის ვიზიტის პირველ დღეს დაწესებულებაში 3,580 მამაკაცი პატიმარი იყო; მათგან 1,846 ბრალდებული იყო, ხოლო დანარჩენი - მსჯავრდებული. დელეგაციის წევრებს უთხრეს, რომ №8 საპყრობილეში, რომელიც საზოგადოდ ბრალდებულებისათვისაა გათვალისწინებული, მსჯავრდებულის განთავსების მიზეზი სხვა დაწესებულების გადატვირთულობა იყო. პატიმართა რიგებში იყო აგრეთვე 147 მსჯავრდებული, რომლებიც იქვე მუშაობდნენ და სასჯელს ჩვეულებრივ რეჟიმში იხდიდნენ.

59. №8 საპყრობილე ახლად აშენებული დაწესებულებაა და აქ პატიმრებისათვის კარგი საცხოვრებელი პირობებია. საკნები სუფთაა, დიდი ფანჯრებიდან მზის სინათლე შემოდის, სავენტილაციო, შიდა განათებისა და გათბობის სისტემები გამართულად მუშაობს. საკნებში მოთავსებული იყო ორსართულიანი საწოლები, პატიმრებს საკუთარი კარადები, მაგიდა, ტახტი, რადიო და მთლიანად გამოყოფილი სანიტარიული კვანძიც აქვთ. საკნებში დამონტაჟებულია აგრეთვე გამოსაძახებელი ზარები, თუმცა ისინი ხანდახან არ მუშაობს (მაგ. მე-2 ბლოკში).

ბრალდებულები განთავსებულნი არიან 1-ლ და მე-2 ბლოკებში. თითოეული შედგება ორი სიმეტრიული ფრთისგან ოთხ სართულზე. მართალია, საქართველოს სტანდარტებით ამ საპყრობილეში გადატვირთულობა არ არის, მაგრამ საკანთა უმეტესობა არ აკმაყოფილებს კომიტეტის 4 m^2-ის სტანდარტს თითო პატიმარზე ერთ საერთო საკანში. პატიმართა უმრავლესობა მოთავსებული იყო 19-20 m^2 ფართობის საკანებში, რომლებიც 6 ადამიანისთვისაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, იყო 8-9 m^2 ფართობის რამდენიმე საკანი ორი პატიმრისთვის და 16 m^2 ფართობის საკნები – ოთხი პატიმრისთვის.

მსჯავრდებულები ცხოვრობდნენ მე-3 ბლოკში, რომელიც სამი ერთნაირი ფრთისგან შედგება. ცხოვრების პირობები ბრალდებულების ბლოკში არსებულის მსგავსია.

60. საპყრობილეში მომუშავე მსჯავრდებული პირები ცხოვრობენ განცალკევებულ ბლოკში და დღის განმავლობაში სარგებლობენ ღია კარის რეჟიმით. 240 ადამიანზე გათვლილ ბლოკში დელეგაციის ვიზიტის დროს 147 პატიმარი ცხოვრობდა. საკნები ექვს ადამიანზეა გათვლილი, მაგრამ რეალურად იქ ნაკლები ცხოვრობდა. რადიოს გარდა, დასაქმებულ პატიმრებს თავიანთ საკნებში ტელევიზორის შეტანის უფლებაც აქვთ.

61. „საკარანტინო ბლოკი“, რომელსაც ახლად მიღებული პატიმრებისთვის იყენებენ 14 დღის ვადით, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზეა განთავსებული და რვა საკნისგან შედგება. ამ ბლოკში ისეთივე პირობებია, როგორიც ჩვეულებრივ საკნებში, მაგრამ ოდნავ უფრო ნაკლები ფართობია გათვალისწინებული ერთ პატიმარზე (15 m^2 6 პატიმარზე).

ციხის მისაღები განყოფილების ზონაში, „საკარანტინო“ ბლოკის სიახლოვეს, რამდენიმე პატარა, 1X1,5 მ ფართობის გადატიხრული კაბინაა. როგორც დელეგაციას უთხრეს, მათ „კარანტინში“ მოთავსებული პატიმრების ნივთების შესანახად ხმარობენ, მაგრამ როგორც ახლად შემოსული პატიმრების შემმოწმებელ სამედიცინო პერსონალთან საუბრისას გაირკვა, ამ კაბინებს ზოგჯერ პატიმრების დროებით მოსათავსებლადაც იყენებენ. **წპპ-ს მიაჩნია, რომ ზემოთ აღწერილი კაბინები, მათი სივიწროვის გამო, პატიმრების მოსათავსებლად საერთოდ არ უნდა გამოიყენებოდეს, იმის მიუხედავად, თუ რა დროით ათავსებენ ადამიანებს ამ კაბინებში.**

62. კეთილმოწყობილი საშხაპეები განლაგებულია საცხოვრებელი ბლოკების ყველა სართულზე. პატიმრებს კვირაში ერთხელ შეუძლიათ საშხაპით სარგებლობა (იქ დასაქმებულ მსჯავრდებულებს კი შეუზღუდავად შეუძლიათ საშხაპით სარგებლობა).

საპყრობილეს კარგად აღჭურვილი სამრეცხაო აქვს, სადაც ლოგინის თეთრეული (თეთრეული ორ კვირაში ერთხელ იცვლება) და პატიმრების სამუშაო ტანსაცმელი ირეცხება. საკუთარ ტანსაცმელს კი პატიმრები, ჩვეულებრივ, საკნებში რეცხავენ. ციხის ადმინისტრაცია ამარაგებს

116 წესი 19.4: „უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო საშუალებები, რათა ყოველ პატიმარს შეეძლოს აბაზანის ან შხაპის მიღება კლიმატური პირობებისთვის შესაფერის ტექმპერატურაზე, თუ შესაძლებელია, ყოველდღიურად, მაგრამ სულ მცირე კვირაში ორჯერ (ან, თუ აუცილებელია, უფრო ხშირად), ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე“.

მათ საპნით, სარეცხი და გამწმენდი საშუალებებით. პირადი ჰიგიენისთვის საჭირო საგნები იყიდება საპყრობილის მაღაზიაში ან პატიმრების ოჯახების წევრებს მოაქვთ.

63. რაც შეეხება საკვებს, პატიმართა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საკვები საკმარისი აქვთ და ის დამაკმაყოფილებელი ხარისხისაა. საქართველოს საპყრობილეებს კონტრაქტი აქვთ გაფორმებული კერძო კომპანიასთან, რომელსაც საკუთარი პერსონალი ჰყავს და ცენტრალიზებულად უზრუნველყოფს საკვების მიწოდებას და ხარისხის კონტროლს. დელეგაციას აცნობეს, რომ დღიური დანახარჯი საკვებზე ერთ პატიმარზე შეადგენდა 3 ლარს, ხოლო ენერგიის ყოველდღიური მოხმარება მერყეობდა 2,500 და 3,000 კალორიას შორის, საკვები რაციონის გათვალისწინებით. თევზისა და ხორცის ნაწარმი პატიმრებს ყოველდღე მიეწოდებოდათ, თუმცა კვერცხი და ახალი ხილი მენიუში არ იყო. პატიმრები თავიანთ საკვებს საპყრობილის მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტებით ავსებენ ან ამანათებს იღებენ თავიანთი ოჯახებიდან. საპყრობილის მაღაზია კარგად მარაგდება.

64. **წპკ-ს რეკომენდაციაა, გადაიდგას ნაბიჯები, რათა თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილეში:**

- შემცირდეს პატიმართა რაოდენობა საკნებში, საერთო საკნებში თითოეული პატიმრისთვის უზრუნველყონ სულ მცირე 4 m^2 ფართობი (იხ. ასევე პუნქტი 47);

- ყველა ბლოკში გამართულად მუშაობდეს გამოსაძახებელი ზარები;

- ხელმოკლე პატიმრები უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის საგნებისა და საშუალებების უფრო ფართო არჩევანით და გამოსწორდეს პატიმრების ტანსაცმლის რეცხვის საქმე.

ასევე, უნდა განიხილონ საშხაპით უფრო ხშირად სარგებლობის საკითხი, „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 წესის გათვალისწინებით.

III. ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულება

65. №7 სასჯელაღსრულების დაწესებულება თბილისიდან 30 კმ-ის დაშორებით, დაბა ქსნის შემოგარენში მდებარეობს. ის 1950 წელს ამოქმედდა და 2007 წლიდან დღემდე გამოიყენება, როგორც საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის. დაწესებულება შედგება ერთი „ღია“ ნაწილისგან, სადაც პატიმრებს თავისუფლად შეუძლიათ იმოძრაონ დღის განმავლობაში და ცალკე შემოღობილი შენობისგან, რომელიც საპყრობილის რეჟიმში მყოფი პატიმრებისთვისაა განკუთვნილი. დაწესებულების ოფიციალური ტევადობა 1,600 პირია. დელეგაციის ვიზიტის პირველ დღეს კი იქ 2,895 პატიმარი იმყოფებოდა, რომელთაგან 2,733 „ღია“ ნაწილში იყო განთავსებული (1,311-ზე საერთო რეჟიმი, ხოლო 1,422-ზე მკაცრი რეჟიმი ვრცელდებოდა), 162 პატიმარი კი - საპყრობილის რეჟიმში.

ვიზიტის დროს №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების სიახლოვეს შენდებოდა ახალი შენობა 2,200 პირის ტევადობით (იხ. 68-ე პუნქტი). ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან საუბრიდან გაირკვა, რომ ახალი დაწესებულების გახსნის შემდეგ ძველი შენობების გარკვეული ნაწილი ისევ იმოქმედებდა.

66. <u>„ღია“ ნაწილში</u> პატიმრები განაწილებულნი იყვნენ ორ შენობაში (ერთ-ერთ მათგანში ადრე სასადილი იყო) და რამდენიმე დიდ კარავში. ამ შენობებისა და ტერიტორიის სიძველემ და მძიმე მდგომარეობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შენობები არ გარემონტებულა ათწლეულების განმავლობაში, სახურავის ნაწილები გადამძვრალი იყო და უამრავ ფანჯარას მინა არ ჰქონდა. პატიმრებს შენობებისა და კარვების სივრცეები გადაღობილი ჰქონდათ საბნებით, ნაჭრებითა და მუყაოთი, რაც ლაბირინთის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თითოეული გადაღობვის მიღმა, კუპეში, სამ-ოთხრიგად ეწყო საწოლები, რომლებსაც პატიმრებს მორიგეობით ეძინათ. დელეგაციას აქ ისეთი სიტუაცია დახვდა, რომ აზრი არ ჰკონდა საცხოვრებელი ფართობის სტანდარტებზე საუბარს. ცენტრალური გათბობა არ არსებობდა და მის მაგივრად პატიმრები ღია სპირალებით თბებოდნენ, რაც საშიში და არასაიმედოა (იხ. 70-ე პუნქტი).

სანიტარიული პირობები „ღია“ ნაწილში განთავსებული 2,700 პატიმრისთვის გულისხმობდა განცალკევებით მდგომ შენობაში დაახლოებით 30 ფეხსადგილს, ამავე რაოდენობის პირსაბანს და 11 შხაპს. ეს სანიტარიული საშუალებები საზარელი სანახავი იყო, ყველაფერი ჭუჭყიანი და დაშლილი, ციოდა და განმარტოების საშუალებაც არ იყო. თეორიულად პატიმრებს შეეძლოთ შეუზღუდავად ესარგებლათ საშხაპეებით, მაგრამ საეჭვოა, რომ ბევრი მათგანი იყენებდა ამ შესაძლებლობას.

67. <u>დაწესებულების საპყრობილის ნაწილი</u> შედგებოდა 25 საკნისგან, რომლებიც 4-16 პატიმარზეა გათვალისწინებული. საკანთა გარკვეული რაოდენობა გადატვირთული იყო (მაგ. 10 პატიმარი 32 m^2 ფართობის საკანში). დღის სინათლე ცუდად შემოდიოდა; განათება და სავენტილაციო სისტემა ცუდად მუშაობდა. საკნების კედლები ჩამონგრეული იყო და იქაურობა სავსე იყო ტარაკნებითა და სხვა სახის პარაზიტებით. მაგრამ იყო პოზიტიური მომენტიც, კერძოდ, ყოველ საკანში სრულად გამოყოფილი სანიტარიული კვანძი და საშხაპე ოთახი (რვა ადამიანისთვის) დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო.

68. დელეგაციის ვიზიტის დროს მთავრდებოდა ახალი საცხოვრებელი შენობის მშენებლობა. ოთხსართულიან შენობას სამი ფრთა ჰქონდა, რომლებიც ცენტრალური საკონტროლო წერტილიდან იშლებოდა. საკნებს დიდი ფანჯრები და მაღალი ჭერი ჰქონდა (დაახლ. 3 მეტრის სიმაღლისა); თითოეული საკნის (გადატიხრული სანიტარიული კვანძით) ფართობი 19 m^2-ს შეადგენდა და ისინი 6 პატიმრისთვის იყო გათვლილი. 16საკნიანი დისციპლინარული განყოფილება ბოლო სართულზე იყო განთავსებული (ეს საკნები მხოლოდ ფანჯრების სიმცირით განსხვავდებოდა დანარჩენი ჩვეულებრივი საკნებისგან). გარდა ამისა, ერთ-ერთი ფრთის პირველ სართულზე, როგორც ჩანს, სამკურნალო ცენტრი განთავსდება. საკნებისა და ოფისების კეთილმოწყობა ჯერ არ დაწყებულიყო და ამიტომ ძნელი სათქმელია, იქნება თუ არა ამ საპყრობილეში სახელოსნოები ან სპორტულ-გამაჯანსაღებელი ოთახები.

69. ზემოთ აღწერილი „ღია“ ნაწილის პირობები იმდენად საზარელია, რომ თავისუფლად შეიძლება მათი გათანაბრება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასთან. შენობების განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა, უსაშველო გადატვირთულობა და სახიფათო და არაჰიგიენური პირობები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს წარმოშობს როგორც პატიმრებისთვის, ისე იქ მომუშავე პერსონალისთვის და უზარმაზარ პოტენციას შეიცავს ინფექციური დაავადებების გასავრცელებლად და ძალადობის ხელშესაწყობად. თანამშრომელთა ნაკლებობისა და აქტივობის საშუალებების არარსებობის გამო, პატიმრები საკუთარი თავის ანაბარა არიან მიტოვებულნი.

როგორც მე-7 პუნქტში აღვნიშნეთ, ვიზიტის დასასრულს დელეგაციამ გადაუდებელი რეაგირება მოითხოვა საქართველოს ხელისუფლებისგან კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და სთხოვა მას, ეცნობებინა კომიტეტისთვის, თუ რის გაკეთებას აპირებდა ქსნის №7 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ექსპლუატაციიდან დაუყოვნებლივ ამოღებისა და იქ განთავსებული პატიმრების სხვა, დამაკმაყოფილებელ დაწესებულებებში გადაყვანის მიზნით; კომიტეტმა მოითხოვა, ამ მოქმედებათა განხორციელების განრიგისა და ახალი შენობის გამოყენების დაწვრილებითი აღწერილობის წარმოდგენაც.

70. **წპკ** ძალზე შეაშფოთა მისი ვიზიტის დამთავრებიდან ცოტა ხანში, კერძოდ, 2010 წლის 6 მარტს, ქსნის №7 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მომხდარმა ხანძარმა. ხანძრის შედეგად დაიღუპა ერთი პატიმარი და განადგურდა საცხოვრებელი შენობის ნაწილი. საქართველოს ხელისუფლებისათვის 12 მარტს მიწერილ წერილში კომიტეტმა მოითხოვა სრული ინფორმაცია ინციდენტისა და ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების შესახებ, კერძოდ, კომიტეტს აინტერესებს, დაიწყო თუ არა გამოძიება/მოკვლევა, სურს მიიღოს ინფორმაცია იმ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც დამწვარ შენობაში იყვნენ განთავსებულნი, ასევე - ინფორმაცია იმის შესახებ, მიმდინარეობს თუ არა ახალი შენობის მშენებლობა ქსანში.

71. 2010 წლის 11 მაისის წერილში საქართველოს ხელისუფლებამ **წპკ**-ს გაუგზავნა ინფორმაცია, რომ ქსანში ახალი შენობა ოფიციალურად 2010 წლის 19 აპრილს გაიხსნა და იქ 2,200 პატიმარი განთავსდა. დაახლოებით 700 პატიმარი ისევ ძველ შენობაში ცხოვრობდა და რუსთავის ახალი დაწესებულების დამთავრებას ელოდა. ამას გარდა, შენობა, რომელსაც ხანძარი არ შეხებია, მთლიანად გარემონტდა და მასში შეიძლებოდა პატიმრების დროებით განთავსება.

რაც შეეხება ხანძარს, ის ყოფილი სასადილო ოთახის შენობაში ძაბვის თამაშის შედეგად მოკლე ჩართვის გამო გაჩნდა. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ერთ-ერთი პატიმარი გარდაიცვალა მხუთავი გაზით მოწამვლის შედეგად. წერილში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, აღიძრა თუ არა სისხლის სამართლის საქმე ამ ინციდენტთან დაკავშირებით. **წპკ-ს სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება ამ საქმეზე.**

წპკ მიესალმება ქსანში ციხის ახალი შენობის ექსპლუატაციაში შესვლის ფაქტს და **სურს დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება მისი ფუნქციონირების შესახებ (პატიმრების განთავსება საკნებში, საცხოვრებელი პირობები, აქტივობათა პროგრამები, მომსახურე პერსონალი და ა.შ.).**

წპკ-ს სურს, აგრეთვე, დამატებითი ინფორმაციის მიღება საპყრობილის რეჟიმის შენობის სამომავალოდ გამოყენებასთან დაკავშირებით. მისი ექსპლუატაციაში დატოვების შემთხვევაში, კომიტეტის რეკომენდაცია იქნებოდა საკნების საფუძვლიანად გარემონტება და დღის სინათლის პრობლემის მოგვარება, ასევე განათებისა და სავენტილაციო სისტემების გამართვა.

IV. გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულება

72. გეგუთის №8 სასჯელაღსრულებითი დაწესებულება ქუთაისიდან 20 კმ-ის დაშორებით, გეგუთში მდებარეობს. დაწესებულების ოფიციალური ტევადობა 2,600 პატიმარია, დელეგაციის ვიზიტისას კი იქ 2,921 მსჯავრდებული მამაკაცი იმყოფებოდა, რომელთაგან 1,214 საერთო რეჟიმით, ხოლო დანარჩენი მკაცრი რეჟიმით იხდიდა სასჯელს. გეგუთის საპყრობილე გეოგრაფიულად იზოლირებულია, ცუდი, ოღროჩოღრო გზა კი კიდევ უფრო ძნელად მისასვლელს ხდის მას.

დაწესებულების დიდი ტერიტორია დაყოფილია ორ ნაწილად: „ძველი“ ნაწილი მოიცავს ხუთ ორსართულიან საცხოვრებელ ბლოკს, რომელიც 1960 წელს აშენდა და რამდენიმე დამხმარე შენობას, ხოლო „ახალ“ ნაწილში ახალი, ოთხსართულიანი ბლოკია, რომელიც 2009 წელს გაიხსნა (ტევადობა - 970 ადგილი).

73. ახალი ბლოკის საცხოვრებელი პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ აქაც ერთ პატიმარზე გათვლილი სივრცე გაცილებით ნაკლები იყო 4 m^2-ის სტანდარტზე. ახალი ბლოკის ყველა საკანი ერთნაირია - თითოეული დაახლოებით 14 m^2 ფართობისა, და 6 პატიმარზეა გათვლილი (მაგრამ ზოგჯერ იქ 6-ზე ნაკლები პატიმარიც ცხოვრობს). საკნებში დღის სინათლე შედიოდა, განათება და სავენტილაციო სისტემა გამართულად მუშაობდა, საკნები სათანადოდ თბებოდა. ავეჯი შედგებოდა ორსართულიანი საწოლების, ინდივიდუალური კარადების, მაგიდისა და ტახტისგან. პატიმრებს ტელევიზორებიც ჰქონდათ და გამოყოფილი სანიტარიული კვანძიც.

74. გეგუთის დაწესებულების ძველი საცხოვრებელი შენობები ახლახან გარემონტდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ტევადობის საერთო საცხოვრებლები იმდენად გადატვირთული იყო, რომ პატიმრებს მორიგეობით ეძინათ (მაგ. 300 m^2 ფართობის საერთო საცხოვრებელში, სადაც 140 საწოლი იყო, 175 პატიმარი იყო განთავსებული; მეორე, 200 m^2 ფართობის ოთახში, სადაც 84 საწოლი იდგა, 108 პატიმარი ცხოვრობდა). საკნებში იყო მიჯრით ჩამწკრივებული ორსართულიანი საწოლები, ინდივიდუალური ჩასაკეტი კარადები, რამდენიმე მაგიდა და ტელევიზორები. ზოგიერთ საერთო საცხოვრებელში დელეგაციის წევრებმა შენიშნეს, რომ კედლები ნესტიანი იყო და ამის გამო ალაგ-ალაგ ჩამონგრეულიც. სანიტარიული კვანძი ყველა საცხოვრებელს ჰქონდა, თუმცა ტუალეტებისა და პირსაბანების რაოდენობა საკმარისი არ იყო იქ მცხოვრები პატიმრებისთვის. მე-4 ბლოკში არსებული სანიტარიული კვანძი რემონტს საჭიროებდა.

75. საშხაპეები დამონტაჟებული იყო ყველა ბლოკში[117] და პატიმრებს შეუზღუდავად შეეძლოთ შხაპის მიღება, რაც პოზიტიური მომენტია. თუმცა დელეგაციამ მოისმინა რამდენიმე პრეტენზია ცხელი წყლის უქონლობასთან დაკავშირებით. გეგუთის დაწესებულება არ უზრუნველყოფს პატიმრებს პირადი ჰიგიენის ნივთებითა თუ საშუალებებით (პატიმრებს რეგულარულად საპონსაც არ აძლევენ).

პატიმრებს არ უზრუნველყოფენ არც თეთრეულით, ხოლო 1-ლ ბლოკში არსებულ საერთო საცხოვრებელში ბალიშებიც არ იყო.

სამრეცხაოს უქონლობის გამო პატიმრები თავად რეცხავენ ტანსაცმელსა და თეთრეულს თავიანთ საცხოვრებელ ადგილას და ეზოში აშრობენ.

76. საკვებთან დაკავშირებით დელეგაციას კონკრეტული საჩივარი არ მიუღია (გეგუთის საპყრობილეს საკვებით სხვა დაწესებულების მომმარაგებელი კომპანია უზრუნველყოფს). ციხის მაღაზია ნორმალურად იყო მომარაგებული.

დაწესებულების „ძველ“ ნაწილში მდებარე სასადილო ოთახი 400 პატიმარს ემსახურება ერთდროულად, რაც პრაქტიკაში იმას ნიშნავს, რომ ყველა პატიმრის გამოკვებას ორი საათი სჭირდება ყოველ ჭამაზე. ის, ვინც არ ჭამს, ან რიგში დგას და ან საკანშია, ეს კი ჰაერზე ყოფნის დროს სამ საათამდე ამცირებს.

77. ზემოხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით, **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გატარდეს ზომები, რათა:**

- თითოეულ პატიმარს თავისი დასაძინებელი ადგილი ჰქონდეს;

- შემცირდეს პატიმართა რაოდენობა საერთო საცხოვრებლებსა და საკნებში, რათა თითოეული პატიმარი უზრუნველყონ სულ მცირე 4 m^2 ფართობით (იხ., აგრეთვე, 47-ე პუნქტი);

- ყველა პატიმარი უზრუნველყონ ლოგინის თეთრეულით, რომელიც უნდა გაირეცხოს სათანადო ინტერვალებით, ანუ სულ მცირე თვეში ორჯერ; ამისათვის დაწესებულებაში უნდა მოეწყოს სამრეცხაო;

- პატიმრებს მიეწოდოთ პირადი ჰიგიენის ნივთები სათანადო რაოდენობით;

- გარემონტდეს სანიტარიული კვანძები მე-4 ბლოკში;

- გადაიხედოს სასადილოში კვების წესები, რათა ისინი გავლენას არ ახდენდეს პატიმრების ჰაერზე ყოფნაზე.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეაკეთოს გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებისკენ მიმავალი გზა.

ამას გარდა, წპკ-ს მიაჩნია, რომ შესასწავლია, შესაძლებელია თუ არა გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უფრო მცირე მოცულობის საცხოვრებლების ამოქმედება. კომიტეტს ადრეც აღუნიშნავს, რომ დიდ საერთო საცხოვრებლებში პატიმრებს საერთოდ არა აქვთ განმარტოების საშუალება. უფრო მეტიც, ასეთ საცხოვრებელში გაცილებით იზრდება პატიმრების დაშინებისა და მათზე ძალადობის რისკი. ეს გარემოება ხელს უწყობს მჩაგვრელის ქვეკულტურის განვითარებას და ძალზე ართულებს, თუ საერთოდ შეუძლებელს არ ხდის, ადმინისტრაციის მხრიდან ნორმალურ კონტროლს. ასეთ საცხოვრებელში, ასევე, თითქმის შეუძლებე-

117 მე-4 ბლოკში არ იყო საშხაპე და პატიმრები საბანაოდ სხვა ბლოკებში დადიოდნენ.

ლია პატიმრების ინდივიდუალურად განთავსება, თითოეული მათგანისთვის რისკებისა და საჭიროებების შეფასების გათვალისწინებით.

ბ. აქტივობების პროგრამა

78. საქართველოს საპყრობილეებში პატიმრებისთვის განკუთვნილი საქმიანობების პროგრამების შექმნის თვალსაზრისით მდგომარეობა ისევ ძალზე არადამაკმაყოფილებელია.

როგორც წესი, მონახულებულ დაწესებულებებში სამუშაო მხოლოდ მსჯავრდებულებს ჰქონდათ. მათ ძირითადად დაწესებულების შიგნით დალაგება, დასუფთავება, ცხობა და ა.შ. ევალებოდათ (მაგალითად, სამი პატიმარი მსგავს სამუშაოს ასრულებდა თბილისის №3 საპყრობილეში; 147 – გლდანის №8 საპყრობილეში; 75 – ქსნის №7 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში; 143 – გეგუთის №8 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში). გეგუთის დაწესებულებაში სამი პატიმარი ახლად გახსნილ საცხობში მუშაობდა, ხოლო ორი ხატებს აკეთებდა. მაგრამ მსჯავრდებულთა უმეტესობას და მთლიანად ბრალდებულებს მუშაობის შესაძლებლობა არა აქვთ.

მსგავსი სურათია განათლებასა და პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებით, რომელთა ხელმისაწვდომობა ძალზე შეზღუდულია. გლდანის დაწესებულებაში დაახლოებით 30 პატიმარი გადიოდა სამთვიან კურსს კომპიუტერის შესასწავლად. სასწავლო კურსი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა 2009 წლიდან (24 პატიმარს უკვე დამთავრებული ჰქონდა კურსი და სერტიფიკატებიც აეღო).

79. რაც შეეხება დასვენებასა და გართობას, დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში იყო ბიბლიოთეკები (ძირითადად, ძველი წიგნებით). ქსნის დაწესებულებაში პატარა სპორტული დარბაზი იყო გახსნილი, სადაც სიმძიმის ასაწევი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული. იქვე იყო „კინოს“ ოთახი, სადაც პატიმრებს ფილმების ნახვა შეეძლოთ ფართოეკრანიან ტელევიზორში. გლდანის საპყრობილეში დასაქმებულ პატიმრებსაც ჰქონდათ კინოფილმების ნახვის შესაძლებლობა თავიანთ ბლოკში.

დელეგაციის 2007 წლის ვიზიტის შემდეგ თბილისის №7 საპყრობილის საკნებში ტელევიზორები და რადიომიმღებები იყო დადგმული. მაგრამ, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რადიოთი მხოლოდ მუსიკის მოსმენა, ხოლო ტელევიზიით ადმინისტრაციის მიერ შერჩეული ფილმის ნახვა შეიძლებოდა. ამას გარდა, ამ ვიზიტის დროს დელეგაციამ აღმოაჩინა, რომ 2007 წელს ნებადართული მაგიდის თამაშები აეკრძალათ. **წპკ-ს სურს, საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღოს ახსნა-განმარტება ამ საკითხებთან დაკავშირებით.**

უნდა აღინიშნოს, რომ №8 საპყრობილეში დასაქმებული პატიმრების გარდა, ტელევიზორის ყურების უფლება არავის ჰქონდა (თუმცა რადიოს მოსმენა შეეძლოთ).

80. რაც შეეხება სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებას, ქსნის დაწესებულების პატიმრებს (საპყრობილის რეჟიმში მოთავსებულთა გარდა) და გეგუთის პატიმრებს (ახალ შენობაში მოთავსებულთა გარდა) საშუალება ჰქონდათ, ჰაერზე ფეხბურთი ან ფრენბურთი ეთამაშათ რამდენიმე საათი.

თბილისის №7 და №8 საპყრობილეებში სუფთა ჰაერზე ყოფნა იყო ერთადერთი აქტივობა პატიმრებისთვის (დასაქმებული პატიმრები ამასაც ვერ ახერხებდნენ). აღმოჩნდა, რომ ჰაერზე სეირნობა მხოლოდ 20-30 წუთს გრძელდებოდა და პატიმრები არც შაბათ-კვირას გაჰყავდათ გარეთ. ამას გარდა, №7 საპყრობილეში პატიმრებმა დაიჩივლეს, რომ ჰაერზე გასეირნება შეიძლებოდა დიდი ხნით შეწყვეტილიყო. როგორც ჩანს, ეს კოლექტიური დასჯის ერთგვარი ფორმა იყო (მაგალითად, თვითნაკეთი ჭადრაკის შენახვის გამო). სუფთა ჰაერზე გასეირნების სარეგისტრაციო ჟურნალის დათვალიერების შემდეგ დელეგაციამ დაადგინა, რომ ჰაერზე გასვლა არ ხდებოდა ზედიზედ 7 დღის განმავლობაში 2010 წლის თებერვალში და ზედიზედ 4 დღის განმავლობაში – 2010 წლის იანვარში (იხ., აგრეთვე, 114-ე პუნქტი).

უფრო მეტიც, ერთ-ერთი პატიმარი 2009 წლის სექტემბრიდან არ გაუყვანიათ ჰაერზე (დაწესებულების დირექტორის თქმით, ეს ზომა პატიმრის პირადი უსაფრთხოების მიზნით გამოიყენეს). **წპკ-ს სურს, საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღოს კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით.**

81. №7 საპყრობილეში არაფერი გაკეთებულა სასეირნო ეზოების მოსაწესრიგებლად (მაღალი კედლებით შემოღობილი, მავთულხლართებით გადახურული დაახლოებით 12.5 m^2 ფართობის ბეტონის მოედნები ერთი ეზოს სკამით).

№8 საპყრობილეში სასეირნოო მოედნები თითოეული შენობის სახურავზე იყო გამოყოფილი. ეს მოედნები რკინის გისოსებით გადახურულ, უჭერო საკანს ჰგავდა. სავარჯიშო მოწყობილობებიც არ იყო. „ეზოები“ ისე იყო დაპროექტებული, რომ პატიმარი ცის გარდა ვერაფერს ხედავდა, რაც დამთრგუნველ გარემოს ქმნიდა. სახურავზე განლაგებული მოედნების ფართობი 36-48 m^2 იყო (გარდა მე-3 ბარაკის სახურავზე განთავსებული მოედნისა, რომელიც 96 m^2-ს აღწევდა). რამდენიმე მოედანს არ ჰქონდა გადახურული ადგილი, სადაც ცუდი ამინდის დროს პატიმრები თავს შეაფარებდნენ.

82. პატიმართა არაადექვატური უზრუნველყოფა სხვადასხვა აქტივობებით **წპკ**-ს რეკომენ-

დაციათა თემა იყო ადრინდელი ვიზიტების ანგარიშებში. მართალია, შეინიშნება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გარკვეული მცდელობა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააააქტიუროს ძალისხმევა მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისთვის აქტივობათა პროგრამების შესამუშავებლად. პროგრამების მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ ორივე კატეგორიის პატიმრებმა დღის განმავლობაში გარკვეული გონივრული დრო (8 საათი ან მეტი) საკნებს გარეთ გაატარონ და დაკავდნენ სხვადასხვა სახის საქმიანობით. რაც შეეხება კონკრეტულად სამუშაოს, პატიმართა დასაქმების საკითხის მოგვარებას და ამ პრობლემისადმი მიდგომას ძირეული ცვლილება დასჭირდება. პატიმართა დასაქმება მიმართული უნდა იყოს მათი შემდგომი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისკენ და არა ფინანსური სარგებლის მიღებისკენ.

გარდა ამისა, კომიტეტის რეკომენდაციაა, გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ თბილისის №7 და №8 საპყრობილეებში ნებისმიერ პატიმარს შეეძლოს სუფთა ჰაერზე არანაკლებ ერთი საათით გასვლა ყოველდღიურად, შაბათ-კვირის ჩათვლით და ისეთ პირობებში, რომ ისინი ფიზიკურად დაიხარჯონ. №8 საპყრობილის დიდი ტერიტორია უფრო ფართო სასეირნო ეზოებისა და სპორტული მოედნების მოწყობის საშუალებას იძლევა.

ამ კონტექსტში წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილოს ახლად აშენებულ ან გარემონტებულ საპყრობილეებში სასეირნო ეზოების სხვაგვარად მოწყობის საკითხი. ჰაერზე სასეირნო ადგილები შეძლებისდაგვარად მიწის დონეზე უნდა მოეწყოს და საკმარისად დიდი და ფართო უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებმა მაქსიმალური ენერგია დახარჯონ (ჩაკეტილ სივრცეში ნაბიჯით სიარულისგან განსხვავებით).

კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ნება დართოს თბილისის №8 საპყრობილის პატიმრებს, საკნებში ჰქონდეთ ტელევიზორები.

4. ჯანმრთელობის დაცვა

ა. ჯანდაცვის მომსახურება მონახულებულ საპყრობილეებში

I. პერსონალი, ინფრასტრუქტურა და ფარმაკოლოგიური საშუალებები

83. 2007 წლის შემდეგ *თბილისის №7 საპყრობილეში* მთელი რიგი დადებითი ცვლილებები განხორციელდა სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებით. სრულ შტატზე მომუშავე ექიმის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი) გარდა, რომელიც წინა ვიზიტის დროსაც მუშაობდა, დაიქირავეს მეორე ექიმი (კარდიოლოგი) და ორი ექთანი. ექთნები 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ. დელეგაციას აცნობეს, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობდა შერჩევის პროცესი კიდევ ერთი ექიმისა (თერაპევტის) და ორი ექთნის სამუშაოზე ასაყვანად. ფარმაცევტის ადგილი იმ დროისათვის თავისუფალი იყო. კომისიისთვის მოწოდებული ინფორმაციით, საპყრობილეში შესაძლებელი იყო მოწვეული კონსულტანტი სტომატოლოგისა და სხვა სპეციალისტებისგან სამედიცინო დახმარება.

84. *თბილისის №8 (გლდანის) საპყრობილეში* მუშაობდა 15 ექიმი (4 თერაპევტი, 4 ქირურგი, 1 სტომატოლოგი, 1 ფტიზიატრი, 1 კარდიოლოგი, 1 ტრავმატოლოგი და 1 ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტი) და 15 ექთანი საპყრობილეში მოთავსებულ 3,600 პატიმარზე. საპყრობილის თითოეულ ბლოკში 24 საათის განმავლობაში მორიგეობს ერთი ექიმი და ერთი ექთანი. დელეგაციამ შეიტყო, რომ საპყრობილეში სხვა დროს მედიცინის სხვა დარგების სპეციალისტებიც დადიოდნენ, მაგრამ ამჟამად მათი ხელშეკრულებების ვადა ამოწურულია.

85. არცთუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა სიტუაცია *ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში,* სადაც სამედიცინო პერსონალი შედგებოდა მხოლოდ 3 ექიმისგან, ერთი სტომატოლოგისა და 5 ექთნისაგან. დაწესებულებაში ვაკანტური იყო ორი ექიმისა და სამი ექთნის ადგილი. ექიმები და ექთნები მუშაობდნენ 24-საათიანი ცვლებით - თითო ცვლაში ერთი ექიმი და ერთი ექთანი (დაახლოებით 2,900 პატიმარზე). დელეგაციას აცნობეს, რომ თანამშრომლებს ადვილად ვერ ქირაობდნენ დაწესებულების სიშორის გამო. გარდა ამისა, დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არ მოდიოდნენ მედიცინის სხვადასხვა დარგების სპეციალისტები.

დელეგაცია შეხვდა ორ პატიმარს (რომლებსაც ზოგადი პრაქტიკოსი ექიმის მომზადება ჰქონდათ), რომლებიც მუშაობდნენ ჯანდაცვის სამსახურში სამედიცინო პერსონალის ნაკლებობის გამო. ისინი მოთავსებულნი იყვნენსამედიცინო კაბინეტის გვერდით მდებარე საკანში.

86. ჯანდაცვის რესურსები ასევე არასაკმარისი აღმოჩნდა *გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში,* სადაც პატიმართა რაოდენობა 2,900-ს აღწევს. პერსონალი შედგებოდა 4 ექიმისგან, ერთი სტომატოლოგისა და 5 ექთნისაგან. დაწესებულებაში იყო ერთი ექიმის ვაკანტური

ადგილი. Iსევე როგორც ქსანში, ექიმი და ექთანი აქაც მუშაობენ 24 საათის განმავლობაში. გარდა ამისა, დღის მანძილზე აუცილებლად იმყოფება უფროსი ექთანი. სტომატოლოგი მუშაობს კვირაში სამ დღეს. როგორც გაირკვა, მოწვეული კონსულტანტები პერიოდულად ოპერაციებს ატარებენ.

87. დელეგაციის მიერ მონახულებულ ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, გარდა №7 საპყრობილისა (სადაც მხოლოდ 39 პატიმარია), ხშირად ფერხდება ან რთულია ექიმთან, განსაკუთრებით კი სხვადასხვა სამედიცინო დარგის სპეციალისტებთან მოხვედრა. გარდა ამისა, ბევრი პატიმარი, რომლებსაც დელეგაციის წარმომადგენლები გაესაუბრნენ, უჩიოდა სამედიცინო მომსახურების დაბალ დონეს. რაც შეეხება სტომატოლოგიურ დახმარებას იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ კბილის ამოღებით.

მთელი რიგი საჩივრებისა გამოითქვა გლდანის საპყრობილიდან პატიმრების სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის დაგვიანებასთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში დელეგაციამ შენიშნა რომ გადაყვანის ნებართვის გაცემის პროცედურა – რომელიც სხვათაშორის დამოკიდებულია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტზე – ძალიან გაწელილია დროში და ასევე არის ტრანსპორტირების პრობლემები.

88. ზემოაღნიშნული შენიშვნების კონტექსტში **წპკ იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს ზომები, რათა:**

- სათანადოდ გაძლიერდეს ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებების ექიმებისა და ექთნების შემადგენლობა. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეივსოს ვაკანტური ადგილები, რისთვისაც აუცილებელია პერსონალის ასაყვანად და შესანარჩუნებლად მიმზიდველი სამუშაო პირობების შექმნა. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ექიმების და ექთნების დამატებითი შტატები;

- გაიზარდოს თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილეში მომუშავე ექთნების რაოდენობა;

- კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პატიმრების სტომატოლოგიური დახმარება, რაც უნდა მოიცავდეს კონსერვატიულ მკურნალობას; ამისათვის საჭიროა სტომატოლოგების სამუშაო საათების რაოდენობის გაზრდა;

- შესაძლებელი გახდეს მონახულებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მედიცინის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების რეგულარული ვიზიტების ორგანიზება;

- უზრუნველყონ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში იმ პატიმრების დაუყოვნებელი გადაყვანა, რომლებიც საჭიროებენ სადიაგნოსტიკო გამოკვლევას და/ან სტაციონარულ მკურნალობას.

წპკ ასევე აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებები და საპყრობილეები არ უნდა იყენებდნენ პატიმრებს სამედიცინო დახმარების გასაწევად იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათ აქვთ სამედიცინო განათლება. პატიმრები არ უნდა იყვნენ ჩართულნი ჯანდაცვის მომსახურების ყოველდღიურ საქმიანობაში და მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავალებდნენ მედიკამენტების დარიგებას. **კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ ზემოთ მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით გადაიხედოს ჯანდაცვის მომსახურებაში ჩართული პატიმრების ფუნქციები ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (და ასევე სხვა დაწესებულებებში, სადაც შეიძლება იგივე ხდებოდეს).**

89. 2007 წლის ვიზიტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო <u>ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის</u> გასაუმჯობესებლად. ყველა მონახულებულ დაწესებულებაში იყო ახალთახალი სტომატოლოგიური იარაღი და უახლესი აღჭურვილობა (თუმცა ერთ-ერთი კაბინეტი ქსნის დაწესებულებაში არ იყო მიერთებული წყალგაყვანილობასთან). მიუხედავად ამისა, დელეგაცია აღნიშნავს, რომ სტერილიზაციისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა ცხელი ჰაერის გამოყენებით არ შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს (მაგალითად, იგი უძლურია ჩ ჰეპატიტის წინააღმდეგ). **წპკს რეკომენდაციაა, გამოსწორდეს აღნიშნული შეუსაბამობა.**

90. <u>მედიკამენტებით</u> მომარაგება განსხვავდებოდა ერთმანეთისგან სხვადასხვა დაწესებულებაში. თბილისის (გლდანი) №8 საპყრობილეში აფთიაქი კარგად იყო მომარაგებული სათანადო მედიკამენტებით. მედიკამენტების მარაგი დელეგაციის მიერ მონახულებულ სხვა დაწესებულებებში შედარებით მწირი იყო. ბევრმა პატიმარმა დელეგაციას შესჩივლა, რომ მათთვის ყველაზე საჭირო მედიკამენტებს ისინი მხოლოდ თავიანთი ოჯახებიდან იღებდნენ. სამედიცინო პერსონალის თქმით, ყოველთვიურად ბიუჯეტიდან მედიკამენტების შეძენისთვის გამოიყოფა სულ რაღაც 1.50 ლარი თითო პატიმარზე.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს ზომები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებებისთვის საკმარისი რაოდენობის მედიკამენტების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

II. სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში მიღებისას

91. სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში შესვლისას განსხვავებულია სხვადასხვა დაწესებულებაში. გლდანის №8 და თბილისის №7 საპყრობილეებში ამგვარ შემოწმებას ატარებდა მორიგე ექიმი ახალი პატიმრის შემოყვანის შემდეგ. პირველად შემოწმებაში შედიოდა პატიმრის სხეულის დათვალიერება სხეულის დაზიანებების ან კანის დაავადებების გამოსავლენად, პატიმრის აწონა, მისთვის კითხვების დასმა სამედიცინო ისტორიასთან დაკავშირებით და პატიმრის სამედიცინო ისტორიის გათვალისწინებით, კლინიკური შემოწმება.

ამისგან განსხვავებით, ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ არსებობდა რაიმე მიღებული სამედიცინო დათვალეირებაა ახლად შემოსული პატიმრებისთვის და არც სისტემატური შემოწმება ტარდებოდა ტუბერკულოზის ან სხვა ინფექციურ დაავადებათა და, ასევე, ფსიქიკური აშლილობის გამოსავლენად. ასეთი მდგომარეობა არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ექიმებისა და ექთნების არასაკმარის რაოდენობას. **წპკ იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს გადაუდებელი ზომები, რათა უზრუნველყონ ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყველა ახლად შემოსული პატიმრის შემოწმება სამედიცინო სამსახურის პერსონალის მიერ მათი შემოსვლიდან 24 საათის განმავლობაში. სამედიცინო შემოწმება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შემოსვლისას უნდა იყოს ყოვლისმომცველი, მათ შორის უნდა ტარდებოდეს შესაბამისი შემოწმება ინფექციურ დაავადებათა და სხეულის დაზიანებათა აღმოჩენის მიზნით.**

III. სამედიცინო ჩანაწერები და კონფიდენციალურობა

92. დელეგაციამ დადებითად შეაფასა პატიმრების სამედიცინო ისტორიების შემოღება (2009 წლის ბოლოდან). მიუხედავად ამისა, ქსნის დაწესებულებაში, პატიმრების დიდი რაოდენობისა და ექთნების ნაკლებობის გამო პირადი ისტორიების შედგენის პროცესი ძალიან ნელი იყო.

რაც შეეხება სხვა სამედიცინო ჩანაწერების წარმოებას, იგი კვლავაც არ აკმაყოფილებდა სტანდარტს და ხშირად არ იყო დეტალური, ეს ეხება ასევე ტრავმებთან დაკავშირებულ ჩანაწერებს. მაგალითად, გეგუთის №8 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დელეგაციამ ჟურნალში ვერ მიაკვლია 2005 წლის შემდგომ დათარიღებულ რაიმე ჩანაწერს ტრავმებთან დაკავშირებით. ამავე დროს, „განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ ჩანაწერებში" აღინიშნებოდა თვითდაზიანებისა და პატიმართა შორის ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების რამდენიმე შემთხვევა. გარდა ამისა, თბილისის №7 საპყრობილეში გაძნელდა სამედიცინო ჩანაწერებში ინფორმაციის მიღება იმ პატიმარზე, რომელიც გადაიყვანეს საავადმყოფოში და მოგვიანებით გარდაიცვალა (იხ. მე-19 პუნქტი).

წპკ იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს ზომები სამედიცინო ჩანაწერების წარმოების გასაუმჯობესებლად.

93. წარსულის მსგავსად სამედიცინო პერსონალი და პატიმრები კონტაქტს ამყარებდნენ სარეჟიმო სამსახურის წარმომადგენლების თანდასწრებით, ყოველგვარი სამედიცინო კონფიდენციალურობის დაცვის გარეშე. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს კომიტეტისგან დიდი ხნის წინათ მიღებული რეკომენდაცია, ყველა სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს არასამედიცინო პერსონალის დასწრებისა და მიყურადების გარეშე, თუ ამას ექიმი არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში.**

IV. ინფექციური (ტრანსმისიული) დაავადებები

94. ტუბერკულოზის გავრცელება სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოს ხელისუფლებისთვის. წლების განმავლობაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დიდი დახმარებით მიღწეული პროგრესი რისკის ქვეშ აღმოჩნდა პატიმართა რაოდენობის მომატებისა და, აქედან გამომდინარე, საპყრობილეთა გადატვირთვის გამო.

დელეგაციამ შეშფოთებით აღნიშნა, რომ პატიმრების შემოსვლისას სტანდარტული სამედიცინო შემოწმების არარსებობის პირობებში ქსნის №7 და გეგუთის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ ტარდებოდა პატიმრების შემოწმება ტუბერკულოზზე. ტუბერკულოზის გამოვლენა ეფუძნებოდა პასიურ მეთოდს (რომელიც, ძირითადად, ნიშნავს მოლოდინს, როდის მოითხოვს ტუბერკულოზის ნიშნების მქონე პატიმარი ექიმთან შეხვედრას).

გარდა ამისა, დელეგაციამ აღნიშნა, რომ ქსნის დაწესებულებაში ტუბერკულოზის ჩხირების მატარებლებად გამოვლენილი პატიმრები, არ გააცალკევეს ჯანმრთელებისაგან მათ სამედიცინო დაწესებულებაში სამკურნალოდ გადაყვანამდე. გეგუთის დაწესებულებაში ტუბერკულოზის ჩხირების მატარებელი პატიმრები მოათავსეს ცალკე საკანში, მაგრამ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას ისინი ერთი ან მეტი თვის განმავლობაში ელოდებოდნენ, რაც აგვიანებდა მკურნალობის დაწყებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქსნის და გეგუთის დაწესებულებებსა და გლდანის №8 საპყრობილეში არ მოხდა იმ პატიმრების შემოწმება, რომლებთანაც ტუბერკულოზის ჩხირების მატარებელ პატიმრებს ჰქონდათ ურთიერთობა ჩხირების აღმოჩენამდე.

95. **წპკ**-სთვის ცნობილია, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის გაფორმებულია წლიური თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელშიც აღწერილია მხარეთა ძირითადი პასუხისმგებლობები და მიზნები - განახორციელონ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტრატეგიაზე - „შევაჩეროთ ტუბერკულოზი" - დაფუძნებული ამოცანები. ხელშეკრულებას თან ერთვის დაწვრილებითი ტექნიკური ოქმები, რომლებიც ეხება ციხეებში ტუბერკულოზის კონტროლის გადაცემას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისგან სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთვის.

წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ტუბერკულოზის კონტროლის თშ მეთოდის შესაბამისად, პატიმრების სისტემატური სკრინინგისა და მკურნალობის გზით გააგრძელოს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა სასჯელაღსრულების სისტემაში. ამ კონტექსტში კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს ზომები იმისათვის, რომ ტუბერკულოზის ჩხირების მატარებელი პატიმრები დაუყოვნებლივ გადაიყვანონ სამკურნალო დაწესებულებაში და ასევე მოხდეს იმ პატიმრების დაუყოვნებელი შემოწმება, რომლებიც კონტაქტში იმყოფებოდნენ ზემოხსენებულ პატიმრებთან.

96. რაც შეეხება <u>სხვა ინფექციურ დაავადებებს</u>, 2009 წლის ოქტომბერში გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაიწყო ფონდ „გლობალის" მიერ დაფინანსებული აივ-სკრინინგის პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში დაიქირავეს ექთანი და ლაბორანტი და, როგორც დელეგაციას აცნობეს, მათ მიერ პროექტის დაწყებისას 300 პატიმრისგან აიღეს მათი თანხმობით სისხლის ნიმუში. გარდა ამისა, თითოეულ დათვალიერებულ დაწესებულებაში პატიმართა გარკვეული რაოდენობა გადიოდა ანტირეტროვირალურ თერაპიას.

დელეგაციისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ჩამოყალიბდა ახალი სტრატეგია საპყრობილეში მოთავსებულ პატიმართა შორის ჩ ჰეპატიტის გავრცელების წინააღმდეგ. **წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სურვილია, უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს აღნიშნულის თაობაზე.**

V. ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური დახმარება

97. **წპკ**-სთვის კვლავაც შემაშფოთებელია პატიმრებისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი. ყველა დათვალიერებულ დაწესებულებაში აღმოჩნდა ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პატიმრების გარკვეული რაოდენობა. მიუხედავად ამისა, არსად არ იყო ფსიქიატრის კაბინეტი და, როგორც ჩანს, კონსულტანტების ვიზიტებიც არ იყო რეგულარული. 2007 წლის ვიზიტის მსგავსად, დელეგაციამ თბილისის №7 საპყრობილეში გამოავლინა პატიმრები, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა გაევლოთ სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი, მაგრამ მათთვის არანაირად არ უმკურნალიათ. შემთხვევათა უმეტესობაში ფსიქიატრიული მკურნალობის მიღების ერთადერთ შანსს წარმოადგენდა ავადმყოფების გადაყვანა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში (იხ. პუნქტი 102).

გარდა ამისა, რამდენადაც დელეგაციამ შეძლო დაედგინა, არც ერთ მონახულებულ დაწესებულებას არ ჰყავდა შტატში ფსიქოლოგები.

წპკ საქართველოს ხელისუფლებას აძლევს რეკომენდაციას, სასწრაფოდ გაატაროს ზომები პატიმრებისთვის ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ:

- ორგანიზება გაუწიოს ციხეში ახლად შემოსული პატიმრების შემოწმებას ფსიქიკური აშლილობების გამოვლენისა და მათი ფსიქიატრების მიერ რეგულარული კონტროლისათვის;

- უზრუნველყოს ფსიქოტროპული მედიკამენტების ხელმისაწვდომობა საკმარისი რაოდენობით;

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობას, დაუყოვნებელივ გადაიყვანოს სათანადო აღჭურვილობის მქონე საავადმყოფოში შესაბამისი გამოცდილების პერსონალით;

- შემოიღოს ციხის ფსიქოლოგის პროფესია.

VI. ნარკომანია

98. საქართველოს ციხეებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრების რაოდენობის ზრდა კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა ციხეების ადმინისტრაციისთვის როგორც ტოქსიკური ნივთიერებების კონტროლის, ისე შესაბამისი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით. **წპკ**-ს მიაჩნია, რომ ასეთი მომსახურება სხვადასხვა სახის უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს სამედიცინო დეტოქსიფიკაციას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგ უნარებსა და სარეაბილიტაციო და ჩანაცვლებით პროგრამებს ნარკოტიკებზე დამოკიდებული პაციენტებისთვის. გარდა ამისა, ეს მომსახურება დაკავშირებული უნდა იყოს პრევენციის პოლიტიკასთან.

დელეგაციამ დადებითად შეაფასა თბილისის (გლდანი) №7 საპყრობილეში „მეტადონით დეტოქსიფიკაციის“ პროგრამის შეტანა. ეს ღონისძიება დაფინანსდა ფონდ „გლობალის“ გრანტით, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები (ერთი ნარკოლოგი, ორი სხვა ექიმი და სამი ექთანი) მიემატნენ საპყრობილის ჯანდაცვის პერსონალს. ვიზიტის დროს მეტადონით მკურნალობდა 40 პატიმარი (მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 4-45 დღეა). დელეგაციას აცნობეს, რომ პროგრამის დაწყების შემდეგ, (2008 წლის დეკემბერს) 320-მდე პატიმარმა მიიღო მასში მონაწილეობა.

სხვა მონახულებულ დაწესებულებებში არაფერი კეთდებოდა (ციხის ტრადიციული უსაფრთხოების გარდა) ნარკოტიკებზე დამოკიდებული პატიმრების დასახმარებლად. არც ერთ მონახულებულ დაწესებულებაში არ იყო ზიანის პრევენციისკენ მიმართული ზომები (მაგალითად, სადეზინფექციო ხსნარების მიწოდება, ასევე ნემსების გასტერილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება) და არ არსებობდა არც ფსიქოსოციალური-საგანმანათლებლო დახმარება.

წპკ იძლევა რეკომენდაციას, შემუშავდეს და დაინერგოს ყოვლისმომცველი სტრატეგია ნარკოტიკებზე დამოკიდებული პატიმრებისთვის მკურნალობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ბ. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება, თბილისი (გლდანი)

99. გლდანის სასჯელაღსრულების კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარე თბილისის (გლდანი) მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება შეუდარებლად გაუმჯობესებული ვარიანტია ციხის ცენტრალური საავადმყოფოსი, რომელიც **წპკ**-მ 2001 და 2004 წლებში მოინახულა. დელეგაციაზე ძალზე პოზიტიური შთაბეჭდილება მოახდინა აღნიშნულმა დაწესებულებამ, რომელიც 2008 წლის ბოლოს გაიხსნა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც სრული ძალით ამოქმედდა. 258 ადგილზე გათვლილ დაწესებულებაში ვიზიტის დროს მოთავსებული იყო 231 პაციენტი – ყველა მამაკაცი.

დაწესებულებაში ხუთი განყოფილებაა: ქირურგიული, ფსიქიატრიული, ინფექციურ დაავადებათა, შიდა ორგანოებისა და ინტენსიური მკურნალობის/რეანიმაციისა. გარდა ამისა, დაწესებულებაში არის მისაღები, რენტგენის კაბინეტი, სტომატოლოგიური კაბინეტი, ლაბორატორია, ენდოსკოპიისა და ფიზიოთერაპიის ოთახები, აფთიაქი.

100. სადიაგნოსტიკო <u>აღჭურვილობა</u> თანამედროვე და მოქმედია. დაწესებულება პატიმრებს სათანადო <u>მკურნალობას</u> სთავაზობს სტაციონარულ პირობებში. გარდა ამისა, შესაძლებელია ავადმყოფი პატიმრების გადაყვანა სხვა სამკურნალო დაწესებულებებში იმ დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის, რომელთა დადგენაც შეუძლებელი იყო სამკურნალო დაწესებულების პირობებში (საშუალოდ 5 ამგვარი გადაყვანა კვირაში).

101. <u>კლინიკის პერსონალის</u> რაოდენობა საკმარისია (სულ 129 ექიმი და ექთანი). მათ აქვთ სათანადო განათლება. გარდა ამისა, მთელი რიგი მოწვეული კონსულტანტებისა (ნეიროფსიქიატრი, ნეიროქირურგი და სხვ.) პერიოდულად ატარებს ოპერაციებს.

102. <u>ფსიქიატრიული განყოფილების</u> 43 საწოლი განაწილებულია ათ ოთახში. ვიზიტის დროს განყოფილებაში იყო 25 ფსიქიატრიული პაციენტი, განყოფილების ოთხი ოთახი გამოიყენებოდა სომატური პრობლემების მქონე პაციენტების მკურნალობისთვის.

პერსონალში შედიოდა 3 ფსიქიატრი, ერთი ნარკოლოგი, ერთი ფსიქიატრი, 6 ექთანი და 3 სანიტარი. განყოფილებას სხვა არაფრის შეთავაზება არ შეეძლო პაციენტებისთვის, გარდა ფარმაკოლოგიური მკურნალობისა. პაციენტები 23 საათის განმავლობაში გამოკეტილი იყვნენ საკნებში და შეეძლოთ მხოლოდ კითხვა და რადიოს მოსმენა; არ არსებობდა თერაპევტული, სარეაბილიტაციო თუ რეკრეაციული საშუალებები.

დელეგაციას აცნობეს, რომ დაწესებულებაში არ ხდება პაციენტების იზოლირება. პაციენტების შეზღუდვა შესაძლებელია „სუსტი ფიქსაციით“ (პაციენტების მაჯის, წელისა და კოჭების მიბმით საწოლზე ტილოს ნაჭრებით). ამგვარი შეზღუდვების შესახებ არსებული ჩანაწერების სიმცირის გამო შეუძლებელი იყო შეზღუდვის გამოყენების სიხშირის დადგენა.

103. რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს პაციენტების ოთახებში, იქ საკმარისი იყო ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ვენტილაცია, სისუფთავე, თუმცა ოთახების ფართობი არ იყო საკმარისი (მაგალითად, ექვსი პატიმარი 20 m^2 ფართობზე, სანიტარიული კვანძის ჩათვლით).

104. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს ზომები ფსიქიატრიული პაციენტებისთვის მთელი რიგი თერაპევტული და საერაბილიტაციო აქტივობების, მათ შორის შრომითი თერაპიის, ჯგუფური და ინდივიდუალური ფსიქოთერაპიის უზრუნველსაყოფად. ამისათვის საჭირო იქნება სპეციალური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და დამატებითი კვალიფიციური პერსონალის დაქირავება. რამდენადაც შესაძლებლობისამებრ, ასევე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს შესაბამისი აქტივობები და სარეაბილიტაციო საშუალებები სხვა პაციენტებისთვისაც, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ხანგრძლივად უწევს საავადმყოფოში ყოფნა.**

გარდა ამისა, კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, ფსიქიატრიულ განყოფილებაში შეიქმნას სპეციალური ჟურნალი, რომელშიც ჩაიწერება პაციენტთა შეზღუდვის (როგორც ფიზიკური, ასევე ქიმიური) თითოეული შემთხვევა.

პატიმრებისთვის ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ზემოთ მითითებული პრობლემების გათვალისწინებით (იხ. პუნქტი 97) **ნპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილოს ფსიქიატრიული განყოფილების ზოგიერთი ოთახის სომატური პაციენტებისთვის გამოყენების საკითხი.**

****

105. დაბოლოს, **ნპკ**-მ იცის, რომ 2013 წელს განხორციელდება გეგმა, რომლის მიხედვითაც ციხეებში ჯანდაცვის მომსახურება გადაეცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს. 2010 წლის დასაწყისში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში შეიქმნა სამედიცინო დეპარტამენტი, რომელიც მიზნად ისახავდა სათანადოდ მოქმედი ციხეების ჯანდაცვის მომსახურების სისტემის დანერგვას და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთვის მის გადასაცემად მომზადებას. თუმცა, კვლავაც გაურკვეველია ამ გადაცემის პირობები.

ნპკ-ს სურს გაეცნოს პატიმართა ჯანდაცვის მომსახურების გადაცემის საკითხთან დაკავშირებულ კონკრეტულ გეგმებს, მათ შორის ამ გეგმების განხორციელების განრიგს.

5. ნპკ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ა. ციხის თანამშრომლები

106. დელეგაციის მიერ მონახულებულ დაწესებულებებში პატიმართა საცხოვრებელ ზონაში მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა ზოგადად დაბალი იყო, თუმცა არსებობდა ვაკანსიები. გლდანის №8 საპყრობილეში ოფიციალურად 384 საშტატო ერთეული ირიცხებოდა, თუმცა 39 მათგანი ვაკანტური იყო. დაახლოებით 3,500 პატიმარზე ყოველ 24საათიან ცვლაში მუშაობს 75-80 ოფიცერი და „კონტროლიორი“[118]. როგორც დელეგაციას აცნობეს, ქსნის №7 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, მუშაობდა 107 თანამშრომელი და იყო 30 ვაკანსია; ყოველ ცვლაში იყო 32 ოფიცერი და „კონტროლიორი“ 2,900 პატიმარზე. გასაგებია, რომ ამგვარ პირობებში კონტროლი თანამშრომლების მხრიდან ყოვლად შეუძლებელია. განზრახული იყო დამატებითი პერსონალის აყვანა ციხის ახალი შენობისთვის, თუმცა ვიზიტის დროს ახალი თანამშრომლების აყვანის პროცესი ჯერ დაწყებული არ იყო. რაც შეეხება გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებას, იქ მუშაობდა 139 თანამშრომელი, 23 ადგილი კი თავისუფალი იყო, თითოეულ ცვლაში მუშაობდა 21 ოფიცერი და 22 „კონტროლიორი“. თანამშრომელთა ზემოაღნიშნულ რაოდენობაში არ იყო გათვალისწინებული პერიმეტრის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დაცვა. ამ ფუნქციას ასრულებდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული ჯარისკაცები, რომლებიც სხვა სტრუქტურაში შედიან.

24საათიანი ცვლა, რომელსაც 72საათიანი დასვენება მოჰყვებოდა, ციხის თანამშრომლებს აძლევდა შესაძლებლობას, დასვენების პერიოდში სხვაგანაც ემუშავათ და ამით შეევსოთ თავიანთი ხელფასები. მცირე რაოდენობის თანამშრომლები და ცვლების ამგვარი განრიგი უარყოფითად მოქმედებს პროფესიულ სტანდარტებზე და შეუძლებელს ხდის დინამიური უსაფრთხოების დაცვას. ქსნისა და გეგუთის დაწესებულებებში პერსონალი პატიმრებს გზავნილებსა და ინფორმაციას გადასცემდა მათი გვარების გამოძახებით ხმის გამაძლიერებლის საშუალებით, რაც დაუშვებელია.

107. 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში **ნპკ**-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფა და პატიმრებისთვის აქტივობების შემოღება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული თანამშრომელთა ადექვატური რაოდენობის არსებობაზე. პერსონალის საერთო ნაკლებობა და/ან თანამშრომლების სამსახურში დასწრების სპეციფიკური სისტემა, რომელიც ამცირებს პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობას პატიმრებთან, ხელს უშლის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ქმნის რისკიან გარემოს როგორც პერსონალისთვის, ასევე პატიმრებისთვის. გარდა ამისა, პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს აქტივობათა შემუშავებული პროგრამის ხარისხზე.

შესაბამისი კვალიფიციური პერსონალის უზრუნველყოფისათვის ხელისუფლება მზად უნდა იყოს დაქირავებისა და ტრენინგის პროცესში ადექვატური რესურსების ინვესტირებისთვის. **ნპკ საქართველოს ხელისუფლებას აძლევს რეკომენდაციას, განახორციელოს ზომები პერსონალის რაოდენობის გაზრდისთვის და შეცვალოს თანამშრომლების სამსახურში დასწრების სისტემა ზემოთ მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით.**

118 საპატიმროს თანამშრომლები დაბალი კატეგორიით.

ბ. კონტაქტი გარე სამყაროსთან

108. მდგომარეობა <u>წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანების</u> *პაემნების, სატელეფონო ზარებისა და კორესპონდენციის მიღების* უფლებების მხრივ ძირითადად არ განსხვავდებოდა 2007 წლის ანგარიშში აღწერილისგან.[119] პაემნებისთვის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს კვლავ სჭირდებოდათ ნებართვა კომპეტენტური საგამოძიები ორგანოსგან ან სასამართლოსგან; ამგვარი ნებართვის მიღების შემთხვევაში პაემანი შესაძლებელი იყო მხოლოდ თვეში ორჯერ. დელეგაციამ შენიშნა, რომ გლდანის №8 საპყრობილეში (სადაც ყველაზე მეტი რაოდენობით არიან წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები) ამგვარი პატიმრები იშვიათად იღებდნენ პაემნის უფლებას. გარდა ამისა, წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანებს არ ჰქონდათ ტელეფონზე დარეკვის ან წერილების გაგზავნისა თუ მიღების უფლება.

პატიმრობის ახალმა კოდექსმა, რომელიც ძალაში 2010 წლის ოქტომბერში შედის, უნდა შეცვალოს არსებული წესი, ანუ პაემანი იქნება ნებადართული და აიკრძალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების საჭიროებებით დასაბუთდება. კოდექსის პროექტის მიხედვით, რომელსაც დელეგაცია 2010 წლის თებერვალში გაეცნო, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს ექნებათ თვეში ოთხი პაემნის უფლება ზედამხედველის თანდასწრებით. ეს არის უფლება, რომლის შეზღუდვას შეძლებს მხოლოდ პასუხისმგებელი გამომძიებელი ან პროკურორი. გარდა ამისა, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს ყოველთვიურად ექნებათ სამი თხუთმეტწუთიანი სატელეფონო ზარის უფლება. ეს მოხდება პატიმრის ხარჯით, თუ ამ უფლებას არ შეზღუდავს გამომძიებელი ან პროკურორი.

წპკ მიესალმება ასეთ ცვლილებას, რომელიც შეესაბამება კომიტეტის დიდი ხნის წინანდელ რეკომენდაციებს და „ციხის ევროპულ წესებს". პატიმრობის ახალი კოდექსის დანერგვასთან დაკავშირებით **კომიტეტს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ პაემნის, სატელეფონო ზარების ან კორესპონდენციის მიღების აკრძლვა კონკრეტულად უნდა იყოს დასაბუთებული გამოძიების საჭიროებებით, ეს აკრძალვა უნდა დაამტკიცოს ორგანომ, რომელიც არ არის დაკავშირებული მოცემულ საქმესთან. იგი უნდა მოქმედებდეს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში; აუცილებელია მიზეზების მითითება. გარდა ამისა, პატიმარსა და მის ადვოკატს უნდა შეეძლოთ აკრძალვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობა. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიცვალოს შესაბამისი კანონმდებლობა და წესები.**

109. რაც შეეხება მსჯავრდებულ პატიმრებს, *პაემანის უფლება* განსხვავდებოდა რეჟიმის ტიპიდან გამომდინარე და დამოკიდებული იყო იმაზე, პატიმარი პირველად იყო მსჯავრდებული თუ განმეორებით არღვევდა კანონს (მაგალითად, ორი პაემანი თვეში იმ პატიმრებისთვის, რომლებიც სასჯელს იხდიან საერთო რეჟიმის საპატიმროში; ერთი პაემანი თვეში – მკაცრი რეჟიმის საპატიმროში მყოფი პატიმრებისთვის). პატიმრების მხრიდან საჩივრების ძირითადი მიზეზი იყო ხანგრძლივი პაემნების არარსებობა, რაც ყველა კატეგორიის პატიმრისთვის 2006 წლიდან აიკრძალა. კონტაქტს გარე სამყაროსთან ართულებდა ის ფაქტი, რომ მრავალი პატიმარი სასჯელს თავისი სახლიდან ძალიან შორს იხდიდა.

პატიმრობის ახალი კოდექსი აღადგენს ხანგრძლივ პაემნებს (48 საათამდე) არასრულწლოვანი პატიმრებისთვის და შესაძლებელს ხდის მსჯავრდებული პატიმრებისთვის ციხის დატოვებას 5 დღით. რაც შეეხება ხანმოკლე პაემნებს, კოდექსის პროექტის თანახმად, რომელსაც დელეგაცია 2010 წლის თებერვალში გაეცნო, მსჯავრდებულებს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ქნებათ, სულ მცირე, ერთი ხანმოკლე პაემნის უფლება თვეში, ხოლო ნახევრად ღია ტიპის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებაში მსჯავრდებულებს – ორი ხანმოკლე პაემანის უფლება თვეში.

წპკ-მ 2007 წლის ანგარიშში უკვე აღნიშნა, რომ სისტემა, სადაც გარე სამყაროსთან პატიმრის კონტაქტის ზომის განმსაზღვრელი მისთვის მისჯილი სასჯელის ნაწილია, თავიდანვე მცდარია. ყველა მსჯავრდებულს ერთნაირად უნდა შეეძლოს კონტაქტი გარე სამყაროსთან და უნდა ჰქონდეს თავის ოჯახთან და მეგობრებთან, განსაკუთრებით კი თავის მეუღლესთან და შვილებთან ურთიერთობის შენარჩუნების საშუალება. ეს ურთიერთობები შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ადამიანებისთვის, განსაკუთრებით პატიმრების სოციალური რეაბილიტაციის თვალსაზრისით. სახელმძღვანელო პრონციპი უნდა იყოს გარე სამყაროსთან რაც შეიძლება ხშირი კონტაქტის ხელშეწყობა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს განსაკუთრებულ შემთხვევებში აშკარა საფრთხის არსებობას ან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოწვეულ მოსაზრებებს. რაც შეეხება პატიმრებისთვის ციხიდან გარკვეული პერიოდით გასვლის ნებართვის გაცემას, იგი, ალბათ, ვერ შეცვლის გრძელვადიანი პაემნების უკმარისობას.[120]

წპკ საქართველოს ხელისუფლებას უწევს რეკომენდაციას, შეცვალოს კანონმდებლობა მსჯავრდებულთათვის პაემნების ნების დართვასთან დაკავშირებით ზემოთ მოცემული <u>შენიშვნებისა</u> და „ციხის ევროპული წესების" 24.1 წესის გათვალისწინებით,[121] თვეში ერთი

119 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის 89-ე პუნქტი.

120 გეგუთის 8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2009 წლის 1 იანვრიდან მხოლოდ 9 პატიმარი იყო დროებით გაშვებული.

121 წესი 24.1: „პატიმრებს უნდა მიეცეთ ნება, რაც შეიძლება ხშირი ურთიერთობა ჰქონდეთ წერილობით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა

პაემნის უფლება არ არის საკმარისი პატიმრისთვის თავის ოჯახთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ამგვარი შეხვედრების რაოდენობა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს (მაგალითად, სულ მცირე, ერთი პაემანი კვირაში).

110. მონახულებული დაწესებულებების <u>პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახებში</u> პირობები განსხვავდებოდა. ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პაემანი იმართებოდა პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახში, სადაც იდგა რამდენიმე მაგიდა სკამებით, ხოლო მომუშავე მსჯავრდებული პატიმრები გლდანის №8 საპყრობილეში თავიანთ ნათესავებს ჩვეულებრივ ოთახებში, მაგიდის გარშემო მსხდომნი ხვდებოდნენ. რაც შეეხება პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახებს სხვა დაწესებულებებში, იქ მოწყობილია პატარა ოთახი (მაგალითად, 28 ოთახი გლდანის №8 საპყრობილეში და 14 – გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში), სადაც მნახველები და პატიმრები გამოყოფილნი არიან ერთმანეთისგან დამცავი მინით და ერთმანეთს ტელეფონით, ყოველგვარი ფიზიკური კონტაქტის გარეშე ელაპარაკებიან.

წპპ საქართველოს ხელისუფლებას უწევს რეკომენდაციას, გააუმჯობესოს პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახები თბილისის №7 საპყრობილეში, გლდანის №8 საპყრობილესა და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რათა პატიმრებმა შეძლონ შეხვედრა ახლობლებთან ღია პირობებში. ღია პაემნის მოწყობა წესად უნდა იყოს მიღებული, ხოლო დახურული შეხვედრებისა – გამონაკლისად, რაც დაეფუძნება კარგად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კონკრეტული პატიმრის ან სტუმრის მიერ გამოწვეული პოტენციური რისკის შეფასების შემდეგ. ამ კონტექსტში გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების პაემნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა უნდა გაფართოვდეს, რათა დააკმაყოფილოს პატიმართა მოთხოვნილებები.

კომიტეტს სურს მიიღოს ინფორმაცია პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახების შესახებ ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების ახალ შენობაში.

111. მომუშავე მსჯავრდებულებს შეეძლოთ *ტელეფონით* სარგებლობა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. რაც შეეხება დაუსაქმებელ მსჯავრდებულ პატიმრებს, მათ მხოლოდ ერთი ზარის უფლება ჰქონდათ კვირის განმავლობაში (ერთი სატელეფონო ზარი თვეში თბილისის №7 საპყრობილეში). მიუხედავად ამისა, ტელეფონების ნაკლებობის გამო ტელეფონის მისაწვდომობა ძალიან დაბალი იყო ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.[122] მრავალი პატიმარი დაწესებულებებში ჩიოდა, რომ, საუკეთესო შემთხვევაში, ისინი თვეში ერთხელ თუ ახერხებდნენ ტელეფონით სარგებლობას. გარდა ამისა, პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ შეუძლებელი გახდა დარეკვა საზღვარგარეთ (საზღვარგარეთ დარეკვისთვის აუცილებელი „8“, როგორც ჩანს, გათიშული იყო უკვე რამდენიმე თვე). **კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას უწევს რეკომენდაციას, გაატაროს ზომები მსჯავრდებული პატიმრებისთვის კანონმდებლობის ფარგლებში ტელეფონის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით და შესაძლებელი გახადოს მათთვის საერთაშორისო ზარების განხორციელება.**

112. გარკვეული გაუმჯობესება შეიმჩნეოდა მსჯავრდებული პატიმრების მიერ *წერილების* გაგზავნის შესაძლებლობაში. სოციალური მუშაკები ამარაგებდნენ პატიმრებს ქაღალდითა და კონვერტებით. აღნიშნული მასალის შეძენა ასევე შესაძლებელი იყო ციხის მაღაზიაში.

გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დელეგაციის გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პატიმრებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წერილის გაგზავნაში 84 ლარს ახდევინებდნენ (წერილის გაგზავნა საქართველოს ფარგლებში 2.20 ლარი ღირს). **წპპ-ს სურს ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებისგან ახსნა-განმარტების მიღება.**

გ. დისციპლინა

113. 2010 წლის ვიზიტისას „პატიმრობის შესახებ“ კანონში მოცემული <u>დისციპლინარული წესები და პროცედურები</u>, ძირითადად, არ განსხვავდებოდა 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღწერილისგან. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის ახალი კოდექსი ძალაში შედის 2010 წლის ოქტომბერში, კომიტეტს მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება ყურადღების ახალ დებულებებზე გამახვილება.

კანონი იძლევა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების დისციპლინარულ საკანში მაქსიმუმ 10 დღით, ხოლო მსჯავრდებულების - 20 დღით მოთავსების უფლებას. პატიმრებს აქვთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია თავიანთ სახდელთან დაკავშირებით მათთვის გასაგებ ენაზე, ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მომზადებისთვის, მოისმინონ ზეპირი განხილვა, წარმოდგენილნი იქნენ ადვოკატის მიერ (მათ შორის აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ უფასო იურიდიული დახმარება), მოითხოვონ მოწმეთა დაკითხვა და ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით.

საშუალებებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარეშე ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, ასევე, უნდა ჰქონდეთ ზემოხსენებული პირების მიერ მონახულების უფლება.“

122 მაგალითად, გეგუთში მხოლოდ 5 ტელეფონი იყო „ძველ“ ნაწილში მოთავსებული, დაახლოებით 2,000 პატიმრისათვის.

გარდა ამისა, პატიმარს უნდა გადაეცეს დისციპლინარული გადაწყვეტილების ასლი და მას უნდა შეეძლოს დისციპლინარული ზომები გასაჩივრება სასამართლოში 10 სამუშაო დღის განმავლობაში (გასაჩივრებას არ შეუძლია სანქციის შეჩერება). აღნიშნული ახალი დებულებები ზოგადად დამაკმაყოფილებელია.

114. დელეგაციის მიერ თბილისის №7 საპყრობილეში, გლდანის №8 საპყრობილესა და ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოპოვებული ინფორმაცია (შესაბამისი დოკუმენტაციისა და ჩანაწერების განხილვის ჩათვლით) მიუთითებს, რომ დისციპლინარულ საკანში მოთავსება ხორციელდებოდა ზომიერად,[123] 48-ე პუნქტში აღნიშნულისაგან განსხვავებით, გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დისციპლინარული საკანი ძალიან ხშირად გამოიყენებოდა (2009 წელს პატიმრები იქ 1500-ჯერ მოხვდნენ). **წპკ-ს რეკომენდაციაა, გადაიხედოს გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დისციპლინარული საკნის გამოყენების პრაქტიკა.**

როგორც მე-80 პუნქტში აღინიშნა, თბილისის №7 საპყრობილეში დელეგაციას უთხრეს, რომ პატიმრებს დიდი ხნის განმავლობაში არ აძლევდნენ ჰაერზე გასვლის უფლებას და რომ ეს იყო არაოფიციალური კოლექტიური სასჯელის ერთ-ერთი ფორმა (მაგალითად, თვითნაკეთი ჭადრაკის აღმოჩენისთვის). გარდა ამისა, გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბევრი პატიმარი ჩიოდა, რომ რამდენიმე პატიმრის ხმაურის გამო შესაძლებელი იყო, მთელს ნაწილში პატიმრებისათვის აეკრძალათ ტელევიზორის ყურება. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუღებელია კოლექტიური დასჯის ნებისმიერი ფორმა,[124] გარდა ამისა, ყველა დისციპლინარული სასჯელი უნდა დაეკისროს ოფიციალური პროცედურების სრული დაცვით. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ თბილისის №7 საპყრობილეში და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გატარდეს ზომები აღნიშნული პრინციპების შესრულების უზრუნველსაყოფად.**

115. 2010 წლის ვიზიტის დროს დისციპლინარულ საკნებში მოთავსებული პატიმრები ავტომატურად კარგავდნენ გარე სამყაროსთან კონტაქტის საშუალებას (პაემნის, დარეკვისა თუ წერილის გაგზავნის უფლებას). **წპკ საქართველოს ხელისუფლებას უწევს რეკომენდაციას, გაატაროს ზომები, რომ პატიმრის დისციპლინარულ საკანში მოთავსება არ აკარგვინებდეს მას ოჯახთან კონტაქტის საშუალებას.[125] ნებისმიერი აკრძალვა ოჯახთან კონტაქტისა, როგორც სასჯელის ფორმა, უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარ კონტაქტებს დანაშაული უკავშირდება.**

116. 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას გაუწია რეკომენდაცია, გადაეხედა ციხის ექიმების როლისთვის დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით, რათა ისინი აღარ ყოფილიყვნენ დაკავშირებული პატიმრების დისციპლინარულ საკანში გადაყვანის სანქცირებასთან. მაგრამ 2010 წლის ვიზიტის დროისთვის სიტუაცია არ იყო შეცვლილი. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ დიდი ხნის წინათ გაცემული რეკომენდაცია და ამ პროცესში გაითვალისწინოს „ციხის ევროპული წესები" (კერძოდ, 43.2 წესი[126]) და კომიტეტის მე-15 ზოგად ანგარიშში ჩამოყალიბებული შენიშვნები (იხ. CPT/Inf (2005) 17-ის 53-ე პუნქტი).**

117. რაც შეეხება პირობებს მონახულებული დაწესებულებების <u>დისციპლინარულ საკნებში</u>, გლდანის №8 საპყრობილეში საკნის ფართობი შეადგენდა 7 m^2-ს. საკანში იდგა ორსართულიანი საწოლები ლეიბებით, ბალიშებითა და საბნებით, მაგიდა და იატაკზე დამაგრებული სკამი. საკანში ასევე იყო ნახევრად გადატიხრული სანიტარიული კვანძი. დამაკმაყოფილებელი იყო ბუნებრივი და ხელოვნური განათება და ვენტილაცია. ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დისციპლინარული საკნები, რომლებიც განლაგებულია საპყრობილის რეჟიმის შენობაში, გადატვირთული (მაგალითად, ოთხი პატიმარი 13 m^2 ფართობის ოთახში) და ნახევრად დანგრეული და ჭუჭყიანი იყო, ისევე, როგორც პატიმრების დანარჩენი სახცოვრებელი ტერიტორია მთელ შენობაში. გეგუთის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არის 15 დისციპლინარული საკანი, რომელთა ფართობი მერყეობს 5.5-იდან 13 m^2-მდე. აღნიშნული საკნები გათვლილია ერთიდან ოთხამდე პატიმრისთვის. საკნები კარგად იყო განათებული ბუნებრივი სინათლით, ასევე საკმარისი იყო ხელოვნური განათება და ვენტილაცია; იქ იდგა ორსართულიანი საწოლები და ნახევრად გადატიხრულიი სანიტარიული კვანძი.

წპკ-ს რეკომენდაციაა, გატარდეს ზომები, რათა:

- მონახულებულ დაწესებულებათა დისციპლინარულ საკნებში უზრუნველყონ სულ მცირე 4 m^2 საცხოვრებელი ფართობი თითოეულ პატიმარზე; 7 m^2 ფართობის საკნებში არ უნდა მოათავსონ ერთ პატიმარზე მეტი;

123 თბილისის 7 საპყრობილეში 2008 წელს დისციპლინარულ საკანში არავინ მოუთავსებიათ, ხოლო 2009 წელს მხოლოდ 3 ადამიანი მოათავსეს. გლდანის №8 საპყრობილეში 2009 წელს დაახლოებით 300 ადამიანი მოათავსეს დისციპლინარულ საკანში.

124 იხ., აგრეთვე, „ციხის ევროპული წესების" 60.3 წესი, რომლის თანახმად: „უნდა აიკრძალოს ... კოლექტიური სასჯელი".

125 იხ., აგრეთვე, „ციხის ევროპული წესების" 60.4 წესი.

126 წესი 43.2: „ექიმმა ან კვალიფიციურმა მედდამ, რომელიც ამ ექიმს ექვემდებარება, საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოს განმარტოებულ პატიმრობაში მყოფი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობას, ყოველდღიურად უნდა მოინახულოს ეს პატიმრები და უზრუნველყოს მათთვის სწრაფი სამედიცინო დახმარება და მკურნალობა ამ პატიმრების ან ციხის თანამშრომლების მოთხოვნისთანავე."

- გარემონტდეს ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების დისციპლინარული საკნები.

118. რაც შეეხება დისციპლინარული სასჯელისთვის განკუთვნილ საკნებში მოთავსებული პატიმრების რეჟიმს, მათ შეეძლოთ სუფთა ჰაერზე გასვლის უფლებით სარგებლობა და გაზეთებისა და წიგნების კითხვა. თუმცა ისინი ჰაერზე ვერ გადიოდნენ შაბათსა და კვირას, სხვა დროს კი ჰაერზე სეირნობა ერთ საათზე ნაკლებხანს გრძელდებოდა. **წპკ საქართველოს ხელისუფლებას უწევს რეკომენდაციას, გაატაროს ზომები აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.**

დ. საჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები

119. დელეგაციამ აღნიშნა გარკვეული გაუმჯობესება პატიმრების მიერ კონფიდენციალური საჩივრების გაგზავნის შესაძლებლობის თვალსაზრისით. სახალხო დამცველის აპარატმა დაარიგა კონვერტები და ფორმები, რომელთა გამოყენებაც პატიმრებს შეუძლიათ კონფიდენციალური საჩივრის შედგენის სურვილის შემთხვევაში. გარდა ამისა, დათვალიერებულ დაწესებულებებში დამონტაჟებული იყო სპეციალური ყუთები საჩივრებისთვის, რომელთა გახსნა შეეძლოთ სოციალურ მუშაკებს.

პატიმრობის ახალ კოდექსში მოცემულია საჩივრების წარდგენის პროცედურა, რომლის თანახმადაც პატიმრებს შეუძლიათ ადვოკატის დახმარების მიღება საჩივრის შედგენისას. ყველა დაწესებულებაში უნდა იდგეს საჩივრებისთვის განკუთვნილი დაკეტილი ყუთები, რომლებსაც ყოველდღე გახსნის სოციალური მუშაკი დაწესებულების დირექტორის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით. დირექტორის სახელზე დაწერილ საჩივარზე პასუხი უნდა გაიცეს 5 დღის განმავლობაში, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სახელზე დაწერილ საჩივარზე – 10 დღის განმავლობაში (განსაკუთრებულ შემთხვევებში გათვალისწინებულია აღნიშნული ვადის გაგრძელება ერთ თვემდე). წამებასთან და არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები უნდა გაიგზავნოს დირექტორის ან პრევენციის ეროვნული მექანიზმის სახელზე 24 საათის განმავლობაში. ამგვარი საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ. საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციული პროცედურის დაცვით. ხელმძღვანელობამ პატიმრები უნდა უზრუნველყოს საჩივრის შედგენისთვის საჭირო მასალით (ქაღალდი, კონვერტი, კალმისტარი და ა.შ.). გარდა ამისა, დაუშვებელია პატიმრების დასჯა საჩივრის შედგენისთვის. **წპკ** მიესალმება საჩივრის წარდგენის პროცედურის შემოღებას და **სურს ახსნა-განმარტების მიღება იმ წესებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება პატიმრების საჩივრების გახსნასა და მათ წაკითხვას.**

120. რაც შეეხება ინსპექტირების პროცედურას, როგორც მე-9 პუნქტში უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ასრულებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს გაერო-ს წამების პრევენციის კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისად, რეგულარულ ვიზიტებს ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ამავე დროს, სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის ადრე მოქმედი საბჭო გაუქმდა და არასამთავრობო ორგანიზაციებს აღარ მოეთხოვებათ საპყრობილეების მონიტორინგი (თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მუშაობენ ექსპერტებად პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის).

ე. პატიმრებისთვის ინფორმაციის მიწოდება

121. **წპკ**-სთვის კვლავაც დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ პატიმრებს არასაკმარისად მიეწოდებათ ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და მათთვის ნებადართული პროცედურების შესახებ, კერძოდ, პატიმრების უფრო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. 53-ე პუნქტი), მსჯავრდებული პატიმრები გადაჰყავთ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით (რომელიც ძალაშია ერთ წლამდე პერიოდის განმავლობაში და შეიძლება გადაიხედოს) იმ საპყრობილის დირექტორის ანგარიშის საფუძველზე, სადაც პატიმარი თავდაპირველად მიიყვანეს. ბევრმა პატიმარმა, რომლებსაც შეხვდა დელეგაცია თბილისის №7 საპყრობილეში და ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების საპყრობილის რეჯიმში, განაცხადა, რომ მათთვის არ შეუტყობინებიათ მათი გადაყვანის მიზეზები, არ გაუცვნიათ გადაწყვეტილების შინაარსი და რომ მათ არ იცოდნენ, რომ ჰქონდათ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. გარდა ამისა, მკაცრ რეჟიმში ხანგრძლივად (მაგალითად, რამდენიმე წელიწადი) დატოვებაც არ იყო უცხო პატიმრებისთვის. ამ პერიოდში ისინი შეიძლება მხოლოდ მოკლე ვადით გადაეყვანათ სხვა საპყრობილეებში.

წპკ კიდევ ერთხელ იმეორებს 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს:

- პატიმარი, რომელსაც ათავსებენ უფრო მკაცრ რეჟიმში ან რომლის ყოფნა ამგვარ რეჟიმში გახანგრძლივდება, ინფორმირებული უნდა იყოს წერილობით ასეთი ზომების გამომ-

წვევი მიზეზების შესახებ (გასაგებია, რომ წარდგენილი მიზეზები შეიძლება არ მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც უსაფრთხოების მიზნით არ ატყობინებენ პატიმარს), ასევე, ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ, თუ იგი გადაწყვეტს მის მიმართ განხორციელებული ზომის გასაჩივრებას;

- პატიმარს, რომლის მიმართაც გათვალისწინებულია ამგვარი ზომა, უნდა მიეცეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გამოხატვის საშუალება;

- პატიმარი ასეთ რეჟიმში უნდა თავსდებოდეს რაც შეიძლება მოკლე ვადით და მისი საკითხი უნდა განიხილებოდეს სულ მცირე სამ თვეში ერთხელ.

გარდა ამისა, კომიტეტს სურს მოისმინოს საქართველოს ხელისუფლების კომენტარები ზემოთ აღნიშნულ პრაქტიკასთან, კერძოდ, პატიმრების მკაცრ რეჟიმში ხანგრძლივად დაკავებასთან დაკავშირებით.

<u>გ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

1. ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსიტუტი

ა. წინასწარი შენიშვნები

122. ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს დელეგაცია განმეორებითი ვიზიტით ესტუმრა, რაც მიზნად ისახავდა 2007 წელს დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ გატარებული ცვლილებების შეფასებას.[127] საავადმყოფოში საწოლების რაოდენობა შემცირდა 300-იდან 250-მდე, ვიზიტის დროს იქ განთავსებული იყო 230 ზრდასრული პაციენტი (134 მამაკაცი და 96 ქალი).[128] არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტების რაოდენობა, მოწოდებული ინფორმაციით, იყო 17. პაციენტები განაწილებული იყვნენ შვიდ სამკურნალო განყოფილებაში სამი იყო მამაკაცებისთვის (ორი მოკლევადიანი მკურნალობისთვის[129] და ერთი გრძელვადიანი მკურნალობისთვის[130]), სამი - ქალებისთვის (ორი მოკლევადიანი მკურნალობისთვის, ხოლო ერთი გრძელვადიანი მკურნალობისთვის) და ერთი – შერეული სქესის პაციენტებისთვის. გერიატრიული პალატები გაუქმებული იყო. როგორც დელეგაციას აცნობეს, სტაციონარში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა შემცირდა ერთ თვემდე, რაც ძირითადად განპირობებული იყო ახალი თაობის ნეიროლეპტიკური საშუალებების ხელმისაწვდომობით.

123. 2007 წელს **წპკ**-ს დელეგაციის ვიზიტის შემდგომ პერიოდში კანონს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" (რომელიც 2007 წლის იანვარში შევიდა ძალაში) დაემატა განხორციელებასთან დაკავშირებული დადგენილებები. 2009 წლის მარტში მიიღეს ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა და მისი შესრულებისათვის საჭირო სახსრები (10.2 მილიონი ლარი) გათვალისწინებული იქნა 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. 2007 წელს შემუშავებული „სამკურნალო სექტორის განვითარების გენერალური გეგმის" მიხედვით, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტი უნდა გარდაიქმნას. ეს გულისხმობს 120 საწოლის დამატებას თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში (რომელიც მდებარეობს გლდანში) და საავადმყოფოს მშენებლობას, სადაც უმკურნალებენ მწვავე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებს (ტევადობა – 100 საწოლი), ასევე, თავშესაფრის აშენებას თბილისში ქრონიკული ფსიქიკური დაავადებების მქონე პაციენტების ხანგრძლივი მკურნალობისათვის (ტევადობა – 100 საწოლი). როგორც დელეგაციას აცნობეს, მიმდინარეობს კონსულტაციები ახალი ობიექტების ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით, ხოლო პროექტის განხორციელებისათვის გამოცხადებულია ტენდერი.

წპკ-ს სურვილია, მიიღოს დეტალური ინფორმაცია აღნიშნული პროექტების განხორციელების გრაფიკის შესახებ და ასევე შეიტყოს, იგეგმება თუ არა ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან არსებული საავადმყოფოს დახურვა.

ბ. არასათანადო მოპყრობა

124. დელეგაციას საავადმყოფოში არ შეუტყვია თანამშრომლების მხრიდან პაციენტების მიმართ <u>არასათანადო მოპყრობის</u> შემთხვევების შესახებ. პაციენტები დადებითად ახასიათებდნენ თანამშრომლების დამოკიდებულებას, საერთო მდგომარეობაც მშვიდი იყო. როგორც ჩანს, არც პაციენტებს შორის ძალადობა იყო პრობლემა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოს სავალალო მდგომარეობა, რომელიც დროთა განმავლობაში უარესდება, არ არის შესაფერისი პაციენტების მისაღებად და ქმნის არაადამიანურ და ღირსების შემლახველ პირობებს.

127 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის 105-ე და *et seq.* პუნქტები.
128 ვიზიტის დროს ექვსი პაციენტი იყო დროებით გაშვებული
129 45 დღემდე.
130 6 თვეზე მეტხანს.

გ. პაციენტების საცხოვრებელი პირობები

125. ვიზიტის დასაწყისში ინსტიტუტის დირექტორმა დელეგაციას შეატყობინა ბიუჯეტის მცირედი გაზრდით შესახებ და, რომ წყლისა და ელექტროენერგიის გადასახადები ახლა იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2007 წლის ვიზიტის შემდეგ ჩატარდა გარკვეული სარემონტო სამუშაოები: სამი შენობიდან ორის სახურავი შეკეთდა, შეიცვალა წყლის მილები, მე-2 და მე-3 განყოფილებებში შეინიშნებოდა კოსმეტიკური რემონტის ნიშნები (მაგალითად, გადაღებილი ოთახები, შეკეთებული ფანჯრები, აღდგენილი იატაკი). ამ გაუმჯობესების მიუხედავად, პაციენტების საცხოვრებელი პირობები მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია. ყველაზე ცუდი პირობები მე-7 განყოფილებაში აღინიშნება: დაბზარული კედლები, ჭერიდან ჩამოკიდებული ელექტროგაყვანილობა, დაზიანებული იატაკი.

დადებითი ცვლილება ის იყო, რომ თითო ოთახში პაციენტების რაოდენობა ზოგადად შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს (მაგალითად, ოთხიდან ექვსამდე პაციენტი პალატებში, რომელთა ფართობი 25–40 $მ^2$-ია). 2007 წელს დაფიქსირებული სიტუაციისგან განსხვავებით, პაციენტებს აღარ ეძინათ დერეფნებსა და სასადილოებში, ხოლო თეთრეული საკმარისი რაოდენობით იყო უზრუნველყოფილი საავადმყოფოს მიერ. ამისდა მიუხედავად, პაციენტები კვლავ ცხოვრობენ ასკეტურ და არაპირადულ გარემოში არსებული ავეჯი ძირითადად საწოლებით შემოიფარგლება.

126. ცენტრალური გათბობის არარსებობის გამო ტემპერატურა განყოფილებებში ძალიან დაბალი იყო: ვიზიტის დღეს (2010 წლის 9 თებერვალს) ტემპერატურა პაციენტების ოთახებში დაახლოებით 11°C იყო, ხოლო სანიტარიულ ნაწილში - 8.6°ჩ. პაციენტებს ჰქონდათ პატარა ელექტროგამათბობლები, რომლებიც აშკარად არასაკმარისი იყო განყოფილებების გასათბობად. როგორც მე-7 პუნქტში აღინიშნა, დელეგაციამ გამოავლინა ფაქტი, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებდა და მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, მიეღო გადაუდებელი ზომები ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პაციენტებისთვის ადექვატური გათბობის უზრუნველსაყოფად. ამ მითითების საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს, რომ პაციენტებს მიეწოდათ დამატებით 20 ელექტროგამათბობელი. ეს არ არის საკმარისი კომიტეტის მიერ დასმული საკითხის გადასაჭრელად, თუ გავითვალისწინებთ საცხოვრებელი შენობების ფართობს.

127. სანიტარიული კვანძები ყველა განყოფილებებში აღჭურვილი იყო საქვაბეებით. მაგრამ 2007 წლის ვიზიტის შემდეგ ძირეული სარემონტო სამუშაოები არ შესრულებულა და პალატების უმრავლესობაში სანიტარიული კვანძები მძიმე ამორტიზაციის სტადიაში იყო (ტუალეტებს არ ჰქონდა ჩასარეცხი სისტემა, ზოგიერთს კი არ ჰქონდა კარი; საშხაპეებს არ ჰქონდა სასხურები; ფანჯრები ჩატეხილი ან მოხსნილი იყო №2 და №4 განყოფილებებში. პერსონალის თქმით, ისინი არ სთავაზობენ პაციენტებს შხაპის მიღებას, რადგან ამ ნაგებობებში ტემპერატურა ძალზე დაბალია. ზოგიერთ განყოფილებაში იყო საპონი და ტუალეტის ქაღალდი, მაგრამ, როგორც წესი, პირადი ჰიგიენის საშუალებების მხრივ პაციენტები თავიანთ ოჯახებზე იყვნენ დამოკიდებულნი. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, ვიზიტის შემდეგ პაციენტებს დაურიგდათ პირადი ჰიგიენის საშუალებები.

128. საკვების ხარისხსა და რაოდენობაზე პრეტენზიები არ გამოთქმულა. დელეგაციამ აღნიშნა, რომ სასადილო ოთახებში დამატებული იყო სკამები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სასადილო ოთახში მაინც არ იყო საკმარისი რაოდენობის მაგიდა და დასაჯდომი ადგილი (მაგალითად, №2 და №6 განყოფილებებში).

129. ხანგრძლივი გაურკვევლობა, რომელიც უკავშირდება ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შესაძლო გარდაქმნას, არ უნდა იყოს გამოყენებული იმის გასამართლებლად, რომ პაციენტები ამყოფონ ასეთ სავალალო პირობებში. აღნიშნული პროექტების განხორციელების მოლოდინში **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, აღმოფხვრას პაციენტების საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული ზემოთ მითითებული ნაკლოვანებები. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს:**

- №7 განყოფილებაში აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას;

- მთელ საავადმყოფოში (მათ შორის სანიტარიულ კვანძებში) გათბობის გაუმჯობესებას და გამათბობელი დანადგარების უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

- სანიტარიული კვანძების აღდგენას დამაკმაყოფილებელ მდგომარეობამდე.

წპკ ასევე იმედოვნებს, რომ გაგრძელდება ჰიგიენის აუცილებელი საშუალებების რეგულარულად მიწოდება პაციენტებისთვის.

დ. პერსონალი და პაციენტების მოვლა

130. ვიზიტის დროს ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ირიცხებოდა 298 თანამშრომელი, მათ შორის 37 ფსიქიატრი, 51 ექთანი და 88 სანიტარი (ყველა სრულ განაკვეთზე).[131] საავადმყოფომ დაიქირავა სხვა სპეციალისტებიც (ქირურგი, ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტი, რენტგენოლოგი, ნევროლოგი, ა.შ.). თითოეულ განყოფილებაზე მიმაგრებული იყო ერთი ფსიქიატრი, სამი ექთანი და სამი სანიტარი დღის განმავლობაში, ხოლო ღამე და შაბათ-კვირას – ერთი ექთანი და სამი სანიტარი. იყო ასევე სრულ შტატზე მომუშავე ოთხი ფსიქოლოგი.[132] ამას გარდა, დელეგაციამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საავადმყოფოში დაქირავებული იყვნენ 5.5 სრული განაკვეთის ეკვივალენტი შრომითი თერაპევტები და ერთი სოციალური მუშაკი.[133] ვიზიტის მომენტში დაწესებულებაში ვაკანტური პოზიციები არ იყო. თანამშრომლებისა და პაციენტების თანაფარდობა უკეთესი იყო, ვიდრე 2007 წლის ვიზიტისას. თუმცა კლინიკური ფსიქოლოგების, შრომითი თერაპევტებისა და სოციალური მუშაკების მეტი ჩართულობისა კარგი იქნებოდა მრავალდარგობრივი მიდგომის დანერგვისათვის.

131. დაწესებულებაში პაციენტების <u>მკურნალობა</u> თითქმის მთლიანად ეფუძნებოდა კვლავ ფარმაკოთერაპიას. მედიკამენტებით მომარაგება და მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული იყო 2007 წლის ვიზიტის შემდეგ, ახალი თაობის ნეიროლეპტიკური საშუალებების სათანადო რაოდენობა რეგულარულად მიეწოდებოდა. სამედიცინო ჩანაწერების გაცნობისა და თანამშრომლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრეპარატები გადამეტებით არ გამოყენებულა. პაციენტებს ფსიქიატრები რეგულარულად სინჯავდნენ, დელეგაციას მოახსენეს, რომ საავადმყოფოში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში პაციენტების მკურნალობას ერთი და იგივე ექიმი ხელმძღვანელობდა – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი სხვა განყოფილებაში გადაჰყავდათ – რაც თითოეული შემთხვევის უკეთეს ზედამხედველობას უზრუნველყოფდა. იმართებოდა ყოველდღიური შეხვედრები თითოეულ განყოფილებაში პასუხისმგებელი ექიმის მეთვალყურეობით, პაციენტის ავადმყოფობის მიმდინარეობის განხილვის მიზნით. გასინჯვის შედეგები იწერებოდა პაციენტის ისტორიაში, რომელიც კარგად ინახებოდა, თუმცა ყველა ისტორიაში არ იყო მოცემული მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა.

132. <u>არაფარმაკოთერაპიული მკურნალობისა და სარეაბილიტაციო</u> <u>საქმიანობის</u> გამოყენება კვლავ ძალიან შეზღუდული იყო. დაახლოებით 20 პაციენტი მონაწილეობდა არტ-თერაპიაში (ხატვა, მუსიკით თერაპია) და კომპიუტერულ კურსებში. რაც შეეხება რეკრეაციულ ღონისძიებებს, ისინი უმთავრესად შემოიფარგლებოდა ტელევიზორის ყურებით ან სამაგიდო თამაშებით. ყველა პალატაში იდგა პიანინო, ხოლო ერთ-ერთ პალატაში იყო მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. ამასთანავე, წიგნებისა და გაზეთების გარკვეული რაოდენობა ხელმისაწვდომი იყო იმ პაციენტებისთვის, რომლებიც გაწევრიანებულნი იყვნენ არტ-თერაპიის ცენტრში. მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში კვლავ არ არის ბიბლიოთეკა.

133. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **წპკ იმეორებს 2007 წლის ვიზიტის შემაჯამებელ ანგარიშში გაკეთებულ რეკომენდაციებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომ მან გაატაროს ზომები, რათა:**

- გაიზარდოს თერაპიული შესაძლებლობების არჩევანი და ხანგრძლივი ვადით მოთავსებული უფრო მეტი პაციენტი ჩაერთოს სარეაბილიტაციო ფსიქოსოციალურ აქტივობაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მათი მომზადებისა და ოჯახებში დაბრუნების მიზნით; შრომითი თერაპია უნდა წარმოადგენდეს სარეაბილიტაციო პროგრამის განუყოფელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციას, სწავლის გაგრძელების სურვილს და ურთიერთობის უნარების ჩამოყალიბებას, სპეციფიკური ცოდნის შეძენასა და თვითრწმენის გაუმჯობესებას;

- დაიქირავონ უფრო მეტი კვალიფიციური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო ფსიქოსოციალურ აქტივობას (შრომითი თერაპევტები, კლინიკური ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები), მრავალდარგობრივი მიდგომის დანერგვისათვის ხელის შესაწყობად;

- თითოეული პაციენტისთვის მომზადდეს მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა (მწვავე, ხანგრძლივი ვადით დაკავებული და სისხლის სამართლის დამნაშავე პაციენტების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით), რომელშიც უნდა მიეთითოს მკურნალობის მიზნები, თერაპიული საშუალებები და პასუხისმგებელი თანამშრომლები. პაციენტები მონაწილეობას უნდა იღებდნენ თავიანთი მკურნალობის ინდივიდუალური გეგმების შედგენასა და შესრულების მიმდინარეობის შეფასებაში;

- პაციენტებს შესთავაზონ სარეკრეაციო საქმიანობების უფრო ფართო სპექტრი, კერძოდ, უზრუნველყონ ყველა მათგანინ წიგნებითა და გაზეთებით.

ამასთან, **ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მომუშავე ფსიქიატრ-**

131 33 ექიმი, 49 მედდა და 90 სანიტარი 2007 წელს.

132 2007 წელს იყო 5 ფსიქოლოგი.

133 2007 წელს არსებული ოთხი შრომითი თერაპევტი და სოციალური მუშაკი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იყვნენ დაქირავებულნი.

თა რაოდენობის გათვალისწინებით წპკ მიიჩნევს, რომ ისინი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ პაციენტებისთვის ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო აქტივობების შემუშავებაში.

134. ინსტიტუტის მომავალთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ ხელი შეუშალა შენობის გარეთ სათანადო სასეირნო ტერიტორიების მოწყობას. მართალია, დელეგაციის მიერ გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ მათ შეეძლოთ შენობებიდან გასვლა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არასოდეს დაუტოვებიათ შენობები. **უნდა გატარდეს დამატებითი ზომები, რათა ყოველდღიურად მოხდეს იმ პაციენტების გაყვანა შენობის გარეთ, რომელთა ჯანმრთელობაც იძლევა ამის საშუალებას.**

135. პაციენტები გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას დაწესებულებაში მიღებისას, ასევე, ეწყობოდა პერიოდული სამედიცინო შემოწმებები. დელეგაციას აცნობეს, რომ სომატურ მზრუნველობასთან დაკავშირებული პრობლემები გადაჭრილი იყო საერთო პროფილის ორ საავადმყოფოსთან გაფორმებული კონტრაქტების წყალობით. თუმცა ეს შეთანხმება, როგორც ჩანს, მხოლოდ მწვავე შემთხვევებს შეეხება; ქრონიკულ პაციენტებს თავად უხდებოდათ სტაციონარში მოთავსების ხარჯების გადახდა. ამასთან, მკურნალობის გარკვეული ძვირად ღირებული სახეობები, სავარაუდოდ, არ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. **წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია ქრონიკული სომატური დაავადებებით დაავადებული ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობის პროცედურასთან დაკავშირებით.**

136. 2009 წელს საავადმყოფოში დაფიქსირდა პაციენტთა გარდაცვალების 13 შემთხვევა.[134] როგორიც დელეგაციას აცნობეს, ყველა გარდაცვლილ პაციენტს ჩაუტარდა აუტოფსია. ამისდა მიუხედავად, საავადმყოფოს ჩანაწერებში არ არის მითითებული არც ერთი პაციენტის სიკვდილის მიზეზი, რადგან, როგორც ჩანს, ექსპერტიზის შედეგები არ გადაეცემოდა ინსტიტუტს. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ ინსტიტუტში წარმოებდეს ჩანაწერები პაციენტების გარდაცვალების კლინიკური მიზეზების შესახებ, ხოლო ექპსერტიზის ჩატარების შემთხვევაში დასკვნები სისტემატურად მიეწოდებოდეს ინსტიტუტს.**

137. თანამშრომელთა ტრენინგთან დაკავშირებული სიტუაცია ისეთივე რჩებოდა, როგორც აღწერილი იყო 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში. ექთნებსა და სანიტრებს არ სთავაზობდნენ რაიმე სახის ტრენინგს სამუშაოდან მოუწყვეტლად. გარდა ამისა, ინსტიტუტის დირექტორი გამოთქვამდა შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა ექიმებისთვის ყოველ ხუთ წელიწადში 100 საათის ოდენობის ტრენინგის ჩატარების ვალდებულება მათი პროფესიული ლიცენზიის ხელახლა დამტკიცების მიზნით.

წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, შეიმუშაოს სპეციალიზებული ტრენინგის – როგორც საწყისი, ისე მიმდინარე – პროგრამა სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლებისთვის ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ასევე ქვეყანაში მოქმედ სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

ე. შეზღუდვის მეთოდები

138. ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურა და დაცვის საშუალებები იგივე რჩება, რაც ეს 2007 წლის ვიზიტის შემაჯამებელ ანგარიშშია აღწერილი.[135] ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსიტიტუტში არ გამოიყენებოდა ინდივიდუალური იზოლაცია. ფიზიკური შეზღუდვა გულისხმობდა მიბმას საწოლზე ტილოს სახვევებით, რაც, ჩვეულებრივ, გრძელდებოდა 15 წუთიდან სამ საათამდე;[136] ეს ის დროა, რომლის განმავლობაშიც მოქმედებას იწყებს პაციენტისთვის გაკეთებული სედატიური საშუალებები. ამ ზომის გამოყენების შესახებ მითითებას იძლეოდა ექიმი ან ექთანი; უკანასკნელ შემთხვევაში დაუყოვნებლივ იძახებდნენ მორიგე ექიმს, რომელიც ადასტურებდა გადაწყვეტილებას. როგორც დელეგაციამ დაადგინა, პაციენტები არ ეხმარებოდნენ პერსონალს სხვა პაციენტების ფიზიკურ შებოჭვაში. თუმცა პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის პროცედურა კვლავ სხვა პაციენტების თვალწინ სრულდებოდა.

დელეგაციამ დადებითად აღნიშნა 2007 წლის ბოლოს სპეციალური ჟურნალის შემოღება, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შესახებ თითოეული განყოფილებისათვის (შეზღუდვის ზომის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი, მიზეზები, პაციენტის მდგომარეობა შეზღუდვის ეპიზოდის დაწყების, მისი მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ, ასევე მონაცემები კლინიკური მონიტორინგის შესახებ, რომელიც ყოველ 15 წუთში ტარდება).

წპკ დადებითად აფასებს ამ წინ გადადგმულ ნაბიჯს, თუმცა **იმეორებს 2007 წლის ვიზიტის ანგარიშში გაკეთებულ რეკომენდაციას, რომ პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენება არასოდეს არ უნდა ხდებოდეს სხვა პაციენტების წინაშე.**

ვ. სამართლებრივი დაცვის გარანტიები

139. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადამიანის მოთავსებისას გამოყენებული სამართლებრივი

134 2007 წელს იყო გარდაცვალების 19 შემთხვევა, ხოლო 2008 წელს – 20.

135 იხ. CPT/Inf (2007) 42)-ის 130-ე პუნქტი.

136 შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ფიზიკური შეზღუდვა ერთ საათზე ნაკლებ ხანს გრძელდებოდა. მხოლოდ ორ შემთხვევაში 2009 წელს შეზღუდვა 13 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

პროცედურები, რომლებიც მოცემულია 2006 წლის კანონში „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, აღწერილია 2007 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში,[137] რომელშიც აღნიშნულია, რომ კანონი ადგენს სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვან ზომებს არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტებისთვის.

2010 წლის ვიზიტის დროს ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში იმყოფებოდა 17 პაციენტი, რომლებიც აქ სამოქალაქო სასამართლო პროცესის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების ძალით არანებაყოფლობით მოათავსეს.[138] პაციენტებთან გასაუბრებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვის შედეგად დადგინდა, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურა დაცული იყო. სასამართლო მოსმენას (რომელიც ტარდებოდა საავადმყოფოში, თუ პაციენტს არ შეეძლო სასამართლოში წასვლა) ესწრებოდნენ პაციენტი, მისი იურიდიული წარმომადგენელი,[139] ექიმი და ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის წევრი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პაციენტის სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ. ზოგიერთ გამოკითხულ პაციენტს ხელთ ჰქონდა სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი.

პაციენტების ისტორიების განხილვის შედეგად გაირკვა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების გადახედვა არ ხდებოდა სისტემატურად ყოველთვე, როგორც ეს კანონითაა გათვალისწინებული, არამედ სასამართლოს მიერ თავდაპირველად მიღებულ გადაწყვეტილებაში შეთავაზებული პერიოდის ბოლოს (რაც შეიძლება ექვს თვეს აღწევდეს).

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაატაროს ზომები, რათა უზრუნველყოს გადახედვის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების სათანადოდ შესრულება და სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებების რეალურად მოქმედება.

140. ორ შემთხვევაში პაციენტებმა განაცხადეს, რომ მათ სურდათ სასამართლოს მიერ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, მაგრამ, ერთის თქმით, მან არ იცოდა, როგორ გაეკეთებინა ეს, ხოლო მეორემ, როგორც ჩანს, მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაცემიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ანუ როდესაც უკვე გასული იყო გასაჩივრების ვადა (ე.ი. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 48 საათის განმავლობაში). **წპკ-ს სურს საქართველოს ხელისუფლების კომენტარის მიღება აღნიშნულ საკითხზე.**

141. ვიზიტისას გაირკვა, რომ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის[140] შემადგენლობაში შედიოდნენ სამართლებრივ საკითხებზე პასუხისმგებელი ფსიქიატრი-ექსპერტი, რომელიც მიმაგრებული იყო ინსტიტუტში, მიმღები ექიმი და პაციენტის განყოფილების მთავარი ექიმი. **წპკ**-ს აზრით, სტაციონარში არანებაყოფლობითი მოთავსებისა და ამ გადაწყვეტილების გადახედვის კონტექსტში (ასევე ნებაყოფლობითი მკურნალობიდან სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებაზე გადასვლისას) მნიშვნელოვანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი იქნებოდა იმ საავადმყოფოს გარეთ მომუშავე ფსიქიატრის დასკვნა, რომელშიც მოთავსებულია პაციენტი. **კომიტეტს სურს იცოდეს, ითვალისწინებს თუ არა არსებული პროცედურები შესაძლებლობას, რომ გარეშე ფსიქიატრს ეთხოვოს დამოუკიდებელი აზრის გამოხატვა და არის თუ არა მიღებული პრაქტიკაში, რომ მოსამართლემ მოითხოვოს ასეთი რამ.**

142. პაციენტის თანხმობა მკურნალობაზე რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის 19 მარტის 108/06 ბრძანებით. ამ ბრძანების მე-14 მუხლის თანახმად, მკურნალობაზე თანხმობის ფორმა ივსება ერთობლივად ექიმისა და პაციენტის მიერ მკურნალობის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად გაცნობის შემდეგ. თუ პაციენტს თავად არ შეუძლია თანხმობის მიცემა, ფორმას ავსებს მისი ნათესავი ან იურიდიული წარმომადგენელი.

მრავალი პაციენტის ისტორიაში დელეგაციამ მკურნალობაზე თანხმობის ფორმა გამოავლინა, რაც პოზიტიურ ცვლილებას წარმოადგენს 2007 წლის ვიზიტისას არსებულ სიტუაციასთან შედარებით. დელეგაციის მიერ გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობამ, მაგრამ არა ყველამ, განაცხადა, რომ მათ მიღებული ჰქონდათ ინფორმაცია მკურნალობის შესახებ. **ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა უნდა გააუმჯობესონ ყველა პაციენტისთვის (ხოლო თუ პაციენტი ქმედუუნაროა, მისი იურიდიული წარმომადგენლისთვის) ინფორმაციის მიწოდების ხარისხი მათი მდგომარეობისა და მათთვის დანიშნული მკურნალობის შესახებ. მკურნალობაზე თანხმობის სპეციალური ფორმა სისტემატურად უნდა იყოს ხელმოწერილი პაციენტის ან, თუ იგი ქმედუუნაროა, მისი იურიდიული წარმომადგენლის მიერ.**

მკურნალობაზე უარის თქმის შემთხვევაში პაციენტის იურიდიული სტატუსი იცვლებოდა ნებაყოფლობითიდან არანებაყოფლობითზე. როგორც 2007 წლის ვიზიტის ანგარიშშია აღნიშნული, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი ადგენს, რომ პაციენტებს აქვთ

137 იხ. CPT/Inf (2007) 42-ის 134-135 პუნქტები.

138 2009 წელს, 1,751 მიღებული პაციენტიდან, სტაციონარში არანებაყოფლობითი მოთავსების 76 შემთხვევა იყო.

139 შემთხვევათა უმრავლესობაში *ex officio* ადვოკატი და/ან ნათესავი.

140 „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ 2006 წლის კანონის 18(5) მუხლის შესაბამისად.

უფლება, უარი განაცხადონ მკურნალობაზე, გარდა სტაციონარში არანებაყოფლობითი მოთავსების შემთხვევებისა. **წპკ** დიდი ხანია მიუთითებს, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ადამიანის მიღება არანებაყოფლობით საფუძველზე არ უნდა გამორიცხავდეს მისგან მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის მიღების მცდელობის გაგრძელებას. ყველა ქმედუნარიანი პაციენტი, იმისდა მიუხედავად, ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობითაა მოთავსებული სტაციონარში, უნდა იყოს სრულად ინფორმირებული მისთვის დასანიშნი მკურნალობის შესახებ და მას უნდა მიეცეს საშუალება, უარი თქვას მკურნალობაზე ან ნებისმიერ სხვა სახის სამედიცინო ჩარევაზე. ამ ფუნდამენტური პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა უნდა ემყარებოდეს კანონს და უკავშირდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ნათლად და მკაცრად გამოხატულ განსაკუთრებულ გარემოებებს. **წპკ-ს სურს საქართველოს ხელისუფლების კომენტარის მიღება აღნიშნულ საკითხზე.**

143. რაც შეეხება ინფორმაციას უფლებების შესახებ, დელეგაციამ შენიშნა ზოგიერთ განყოფილებაში საინფორმაციო დაფაზე გამოკრული პაციენტთა უფლება-მოვალეობები. თუმცა ამ ჩამონათვალში არ იყო ინფორმაცია საჩივრების შეტანის წესების შესახებ. **წპკ იმეორებს თავის რეკომენდაციას, რომ გამოიცეს ბროშურა პაციენტთა უფლებების შესახებ (რომელშიც იქნება ინფორმაცია საჩივრების მიმღები ორგანოების, პროცედურებისა და იურიდიული დახმარების შესახებ) და სისტემატურად ურიგდებოდეს პაციენტებსა და მათი ოჯახების წევრებს ასათიანის სახელობის სამცენიერო კვლევით ინსტიტუტში მიღებისას.**

144. <u>გარე სამყაროსთან კონტაქტისათვის</u> არსებულ პირობებთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები არ ყოფილა. პაციენტებს შეეძლოთ ყოველდღიურად მიეღოთ მნახველები და სატელეფონო ზარები. ამ მხრივ პრეტენზიები არ გამოთქმულა. მაგრამ ორი განყოფილების გარდა, სადაც გამოყოფილია ოთახი შეხვედრებისთვის, პაციენტები თავიანთ მნახველებს, ჩვეულებრივ, დერეფნებში ან საერთო ოთახებში ხვდებოდნენ. **წპკ იმეორებს თავის რეკომენდაციას, რომ უნდა გატარდეს ზომები, რათა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამოიყოს სათანადო ადგილები, სადაც პაციენტები შეძლებენ თავიანთ ნათესავებთან შეხვედრას.**

145. რაც შეეხება <u>გარეშე ზედამხედველობას</u>, **წპკ** დადებითად აფასებს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ რეგულარულ ვიზიტებს გაერო-ს წამების პრევენციის კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატით. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც მოინახულეს. პაციენტებს შეეძლოთ ამ პირებთან განმარტოებით შეხვედრა და დელეგაციას აცნობეს, რომ რამდენიმე პაციენტმა შეიტანა საჩივარი სახალხო დამცველის აპარატში.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი, ძევრი

ა. წინასწარი შენიშვნები

146. დელეგაცია პირველად ეწვია სოციალური მზრუნველობის სახლს, კერძოდ, სოფელ ძევრში მდებარე დაწესებულებას შეზღუდული შესაძლებლობების მკონე პირთათვის. მას უკავია დიდი კომპლექსი, რომელიც შედგება 50-იან წლებში აშენებული რამდენიმე შენობისგან, რომელთაგან ზოგიერთი მიტოვებული იყო დაწესებულების ქმედუნარიანობის მზარდი შემცირების გამო. დაწესებულების ოფიციალური ტევადობა 95 საწოლია, ვიზიტის დროს მასში 20-იდან 84 წლამდე ასაკის 65 ბინადარი[141] იმყოფებოდა (31 კაცი და 34 ქალი). ამ ბინადრებს არ ჰქონდათ დაწესებულების დატოვების უფლება, ხოლო მათ, ვინც შეეცდებოდა გაქცევას, აკავებდნენ და უკან აბრუნებდნენ.

147. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციას არ მიუღია ცნობები პერსონალის მხრიდან ბინადართა მიმართ <u>არასათანადო მოპყრობის</u> შესახებ. დაწესებულებაში მშვიდი გარემო სუფევდა და დელეგაციამ შენიშნა, რომ თანამშრომლები მზრუნველობითა და პატივისცემით ექცეოდნენ ბინადრებს. ის ფაქტი, რომ დაწესებულების ბინადრები შერეული სქესისა იყვნენ, ასევე განაპირობებდა დადებითი ატმოსფეროს შექმნას.

148. როგორც დელეგაციას აცნობეს, 2009 წლის დეკემბერში მიღებულია სახელმწიფო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობისათვის, ასევე - 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2008 წლის კონცეფციის განხორციელების შესახებ. სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი დეკლარირებული მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრებისა და საზოგადოებრივი მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთან, 2009 წლის ბოლოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ ჩამოყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მოხუცებულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააგენტო, რომლის მიზანია, განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკა სოციალური დახმარების სფეროში და ქვეყანაში არსებულ ყველა სოციალური დახმარების ცენ-

141 ვიზიტის დროს იქ მცხოვრები სამი პირი იყო დროებით გაშვებული.

ტრში მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობა.[142] ამან გავლენა იქონია სოციალური დახმარების ცენტრების დაფინანსების სისტემაზე, რომლებიც ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან თითოეული ბინადრის შენახვის სტანდარტული ხარჯის საფუძველზე (რაც განსხვავდება წარსულში დეცენტრალიზებული ბიუჯეტისგან, რომელიც თითოეული დაწესებულების დონეზე იმართებოდა).

ძევრის დაწესებულებაში ვიზიტის დროს არ არსებობდა პროგრამები სოციალური სახლების ბინადართა დეინსტიტუციონალიზაციისთვის. ამის შედეგად ზოგიერთი ბინადარი დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა დაწესებულებაში, ერთ შემთხვევაში კი 49 წელი ცხოვრობდა. ამასთანავე, დაწესებულების ხელმძღვანელობა გამოთქვამდა წუხილს დაფინანსების ახალი სისტემის გამო, რომელიც აშკარად ქმნიდა გაურკვევლობას, განსაკუთრებით საკვებით მომარაგებასთან დაკავშირებით.

დელეგაციამ ასევე შეიტყო ახლო მომავალში შეზღუდული ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობის მქონე მოზრდილთათვის სხვა დაწესებულების აშენების გეგმების შესახებ.

წპკ-ს სურს მიიღოს მეტი ინფორმაცია ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის განკუთვნილი დაწესებულებების სისტემის რეორგანიზაციის გეგმის შესახებ, განსაკუთრებით კი ისეთი ობიექტების შექმნის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ასეთი პირების დეინსტიტუციონალიზაციას, ასევე, ინფორმაცია შეზღუდული ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ახალი დაწესებულების მშენებლობის გეგმის შესახებ. გარდა ამისა, კომიტეტს სურს მიიღოს უფრო დეტალური ინფორმაცია სოციალური ზრუნვის დაწესებულებების დაფინანსების ახალი სისტემის შესახებ.

ბ. ბინადართა საცხოვრებელი პირობები

149. დელეგაციას ზოგადად დადებითი შთაბეჭდილება დარჩა ბინადრების საცხოვრებელ პირობებზე. საცხოვრებელი განთავსებული იყო ორსართულიან შენობაში, რომელიც ფუნდამენტურად გარემონტდა 2009 წელს (მათ შორის დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა და ცხელი წყლის გაყვანილობა) -შენობას ორი ფრთა ჰქონდა, ერთი მამაკაცებისთვის, ხოლო მეორე ქალებისთვის. ოთახების ფართობი, რომლებშიც ცხოვრობდა ერთიდან სამ ადამიანამდე, დაახლოებით 14 – 16.5m^2 იყო. ოთახებს ჰქონდა სათანადო განათება, გათბობა და ვენტილაცია, იყო საჭირო ავეჯი და ოთახები ლამაზადაც იყო მოწყობილი. ამავე დროს, განხორციელდა ზომები ბინადრებში დამოუკიდებლობის გრძნობის გაძლიერებისთვის: მაგალითად, მათ ჰქონდათ თავიანთი საძინებლებისა და პირადი კარადების გასაღებები.

დაწესებულებაში იყო ერთი საერთო ოთახი, სადაც იდგა ტელევიზორი და V ფლეერი, ასევე სავარძელი, მაგიდა და სკამები, იყო ასევე ცენტრალური დარბაზი, რომელიც გამოიყენებოდა საერთო თავშეყრის ადგილად და იქ იყო ტელევიზორი, მაგიდები და სკამები.

როგორც ზოგადი, ისე ბინადრების პირადი ჰიგიენის ნორმები მაღალი ხარისხით იყო დაცული. ბინადრებს შეეძლოთ ორივე ფრთაში განთავსებული, თანამედროვედ მოწყობილი და მოქმედი საშხაპეებითა და საერთო ტუალეტით შეუზღუდავად სარგებლობა.

150. საკვების მიმართ პრეტენზიები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციულ შენობაში განლაგებული სამზარეულო და სასადილო სუფთა იყო და კარგად მოვლილი; მაგრამ სასადილოს ტერიტორიაზე არ იყო გათბობა და შეზღუდული იყო ფართობი. დელეგაციას აცნობეს, რომ ახლო მომავალში იგეგმებოდა სამზარეულოსა და სასადილოს რემონტი. **წპკ-ს სურს შეიტყოს დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გრაფიკი, მათ შორის სასადილო ოთახში გათბობის სისტემის დამონტაჟების ვადები.**

151. დაწესებულების ტერიტორიაზე დელეგაციამ შენიშნა რამდენიმე მიტოვებული და დანგრეული შენობა და გამოუყენებელი აუზი, რომელთაც შეიძლებოდა საფრთხე შეექმნათ ბინადრებისთვის. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებები.**

გ. პერსონალი და ბინადრების მოვლა

152. მთლიანობაში დაწესებულებაში 36 თანამშრომელი იყო დაკავებული. რაც შეეხება უშუალოდ ბინადრების მომვლელ პერსონალს, აქ მუშაობდა თერაპევტი, ფსიქიატრი, ექვსი ექთანი, თორმეტი სანიტარი და შრომითი თერაპევტი, ყველა სრულ განაკვეთზე. ღამით მუშაობდა ერთი ექთანი და სამი სანიტარი. ექიმები გამოძახებაზე იყვნენ ყოველ მეორე შაბათ-კვირას, ხოლო ღამით და უქმე დღეებში ასევე შესაძლებელი იყო დაწესებულების დირექტორისა და მისი მოადგილის (რომელსაც ფსიქიატრიის კურსი ჰქონდა გავლილი) გამოძახება. მთლიანად, საკადრო რესურსები საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, ამის მიუხედავად, **ბინადრების რაოდენობის გათვალისწინებით განსახილველია ღამის ცვლაში მომუშავე სანიტრების რაოდენობის გაზრდის საკითხი.**

153. ბინადართა თითქმის 15-20%-ს უტარდებოდა ფსიქო-ფარმაკოლოგიური მკურნალობა. მედიკამენტების დონე შესაბამისი ჩანდა და წამლების მარაგიც საკმარისი იყო. სომატური მზრუნვე-

142 ჩვენი ინფორმაციით, ვიზიტის დროს საქართველოში სოციალური ზრუნვის 28 დაწესებულება იყო.

ლობის მხრივაც არ ყოფილა განსაკუთრებული პრობლემები ისევე, როგორც სპეციალისტებთან კონსულტაციასა და გარე საავადმყოფოებში გადაყვანის თვალსაზრისით. სამედიცინო ჩანაწერები და ჟურნალები სათანადო წესით იყო წარმოებული და დასაბუთებული. მაგრამ პრაქტიკაში არ დგებოდა თითოეული პაციენტის მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა ან ბინადართა საჭიროებები პერიოდულად არ შეფასდებოდა.

154. დღის განმავლობაში ბინადრები სარგებლობდნენ ღია კარის რეჟიმით. თუმცა აქტივობები რამდენადმე შეზღუდული იყო და ძირითადად ტელევიზორის ყურებით შემოიფარგლებოდა. მხოლოდ რვა ბინადარი იყო ჩართული შრომით თერაპიაში (მებაღეობა და ფერმერობა). ასევე, ზოგიერთი ბინადარი მღეროდა გუნდში, რომელიც დროდადრო გამოდიოდა სოფელში. გარდა ამისა, 10-დან 20 ბინადარს[143] შეეძლო მონაწილეობის მიღება ყოველწლიურ ორკვირიან დასასვენებელ ტურში ზღვის სანაპიროზე.

155. **წპკ** მიიჩნევს, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მკურნალობა უნდა მოიცავდეს ფართო სპექტრის თერაპიულ, სარეაბილიტაციო და რეკრეაციულ საქმიანობებს, შრომით თერაპიას, ჯგუფურ თერაპიას, ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიას, ხელოვნებას, დრამატულ ხელოვნებას, მუსიკასა და სპორტს. ბინადრებისთვის რეგულარულად ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისად აღჭურვილი სარეკრეაციო ოთახები. ასევე, სასურველია მათთვის განათლებისა და შესაფერისი სამუშაოს შეთავაზება, რათა ისინი მოამზადონ დამოუკიდებელი ან, სულ მცირე, უფრო ავტონომიური ცხოვრებისთვის.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ სისტემატურად და რეგულარულად ტარდებოდეს ბინადართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება მათი საჭიროებების შესაბამისად მათთვის ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო აქტივობების შეთავაზების მიზნით. თითოეული ბინადრისათვის უნდა შედგეს ინდივიდუალური მკურნალობისა და რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მკურნალობის მიზნებს, ფსიქოლოგიურ დახმარებასა და აუცილებელ სოციალურ აქტივობას. ამ თვალსაზრისით გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალურად მომზადებული პერსონალის (მაგალითად, პედაგოგების, სოციალური მუშაკების) დაქირავება.**

156. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების ბინადართა სქესი შერეული იყო, რამდენიმე მათგანს ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა ერთმანეთთან. როგორც დელეგაციას აცნობეს, რეპროდუქციული ასაკის ქალებს წარსულში უყენებდნენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშვილოსნოსშიდა აპარატს. ამ კონტრაცეფციული ზომის მიუხედავად, 2006 წელს ერთ-ერთი ბინადარი დაორსულდა და გააჩინა ბავშვი, რომელიც მალე გარდაიცვალა. როგორც გადმოცემით ირკვევა, კონტრაცეფციის გამოყენებამ გამოიწვია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მწვავე რეაქცია და დაწესებულების დირექტორი შეიცვალა. ამის შემდეგ ბინადრებს აღარ სთავაზობდნენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, დაიბადა რამდენიმე ბავშვი,[144] ხოლო ვიზიტის დროს ორსულად იყო ერთი ბინადარი.

დაწესებულების თანამშრომლები აშკარად შეშფოთებული იყვნენ ამ სიტუაციით. არსებული მიდგომა ითვალისწინებდა ორსულობის ბოლომდე მიყვანას და ახალშობილების ბავშვთა სახლში გაგზავნას. მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ ფსიქიკური და ფიზიკური პრობლემების მქონე პირთა სექსუალურ გრძნობებსა და საჭიროებებს, ბინადართა შორის სქესობრივი ურთიერთობები ბევრ ზნეობრივ და სამართლებრივ კითხვას ბადებს (მათ შორის იმასთან დაკავშირებით, აქვთ თუ არა ბინადრებს უნარი, გამოხატონ თანხმობა სქესობრივ ურთიერთობაზე, აგონ პასუხი ორსულობისა და მშობიარობის შედეგებზე და აირჩიონ კონტრაცეფცია ან აბორტი). ამას უკავშირდება ასევე ის საკითხი, რომ არ არსებობს გამჭვირვალობა ბინადართა იურიდიული უფლებამოსილებისა და მათ კეთილდღეობაზე გადაწყვეტილებების მიმღები კომპეტენტური ორგანოს თაობაზე (იხ. პუნქტი 161). **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეიმუშაოს კომპლექსური პოლიტიკა ამ მიმართულებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოთ მითითებული შენიშვნები. ამ პოლიტიკის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ფსიქიკური და ფიზიკური უუნარობის მქონე ბინადრებისთვის კონსულტაციების გაწევა სქესობრივ ურთიერთობებსა და მშობლის მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.**

დ. შეზღუდვის მეთოდები

157. ძევრის დაწესებულებაში აღნიშნავდნენ, რომ იქ არ გამოიყენებოდა ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები და პრიორიტეტი ენიჭებოდა აღელვებულ მდგომარეობაში მყოფ ბინადრებთან კონტაქტს და საუბარს. დასამშვიდებლად ზოგჯერ ბინადრებს სთხოვდნენ ოთახში დარჩენას გარკვეული ხნით. ასევე, აღელვებული ბინადრებისთვის ექიმს შეეძლო გამოეწერა დიაზეპამი (აბების ან ინექციის სახით); ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო და დასაბუთებული იყო ექთნის ჟურნალსა და ბინადრების პირად ისტორიებში.

დელეგაციამ მიიღო რამდენიმე ცალკეული ცნობა იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა ბინა-

143 ხელმისაწვდომი სახელმწიფო დაფინანსების მიხედვით.

144 მცხოვრებთა ბავშვები მოთავსებული იყვნენ მეზობლად ეკლესიის ბავშვთა სახლში, სადაც მათ დედებსა და მამებს (თუ მათი ვინაობა ცნობილი იყო) შეეძლოთ მათი რეგულარულად მონახულება.

დრების მიბმას საწოლზე ტილოს სახვევებით რამდენიმე საათით. თანამშრომლების განცხადებით, ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები არ ყოფილა გამოყენებული 2006 წლიდან, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ.

158. **წპკ-ს რეკომენდაციაა, გატარდეს ზომები ძევრის დაწესებულებაში, რათა უზრუნველყონ ფიზიკური და/ან ქიმიური შეზღუდვის ზომების ყველა შემთხვევის აღნუსხვა სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ჟურნალში (ექთნის ჟურნალზე და პაციენტის ისტორიაზე დამატებით). ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს გატარებული ზომის დაწყებისა და დასრულების დრო, საქმის გარემოებები, მოცემული მეთოდის გამოყენების მიზეზები, იმ ექიმის ვინაობა, რომელმაც გასცა ბრძანება ან დაადასტურა პროცედურა, ასევე, ანგარიში რაიმე სახის დაზიანებების შესახებ, რაც განიცადა პაციენტმა ან პერსონალმა.**

ე. სამართლებრივი დაცვის გარანტიები

159. „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ადამიანი შეიძლება მოთავსდეს სპეციალიზებულ დაწესებულებაში საკუთარი ან ოჯახის წევრის, იურიდიული წარმომადგენლის, მუნიციპალური ორგანოს, სასამართლოს ან მეურვის განცხადების საფუძველზე. გადაწყვეტილებას მოთავსების შესახებ იღებს მუნიციპალური ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (რომელიც ექვემდებარება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს). „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლში და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარების შესახებ“ 1995 წლის კანონის მე-4 მუხლში არის ზოგადი დებულება, რომლის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. ასეთ საქმეებს განიხილავს მოსამართლე ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. ამასთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის მიერ უკანასკნელ პერიოდში დამტკიცებული ბრძანება განმარტავს სპეციალიზებულ დაწესებულებებში განთავსებისა და იქიდან გამოწერის წესებსა და პირობებს.[145]

160. ძევრის დაწესებულებაში დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ ყველა ბინადარი მოთავსებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, რომელიც გაიცა ოჯახის წევრის ან იმ ბავშვთა სახლის თხოვნის საფუძველზე, სადაც ადამიანი ცხოვრობდა 18 წლის ასაკამდე. იშვიათად გადაწყვეტილებას დაწესებულებაში მოთავსების შესახებ თან ერთვოდა საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობა ბინადრის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული დაწესებულების მოთავსების ვადები და დელეგაციას აცნობეს, რომ გადაწყვეტილების გადახედვა შეეძლო სამინისტროს კონკრეტული ბინადრის თხოვნის საფუძველზე და დაწესებულების ხელმძღვანელობის ხელშეწყობით.[146]

სახელმწიფო ორგანოების მიერ ადამიანის *ex officio* მოთავსება სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში[147] ყოველთვის უნდა მოიცავდეს სამართლებრივი დაცვის შესაბამის მექანიზმებს. განსაკუთრებით ის პროცედურა, რომლითაც წყდება ამგვარი იძულებითი მოთავსება უნდა უზრუნველყოფდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიას და უნდა ემყარებოდეს ობიექტურ სამედიცინო, ფსიქოსოციალურ და პედაგოგიურ ცოდნას. **წპკ-ს სურს მიიღოს ინფორმაცია, არის თუ არა უზრუნველყოფილი ასეთი ცოდნის სპეციალისტების გამოყენება.**

კომიტეტი ასევე მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში არანებაყოფლობით მოთავსებულ პირებს უნდა ჰქონდეთ საქმის სასამართლოში აღძვრის უფლება, რითაც მათი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერებას მოკლე ვადაში დაადგენს სასამართლო. ამასთან დაკავშირებით **წპკ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, გაატაროს ზომები, რათა უზრუნველყოს სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული პირებისთვის წერილობითი შეტყობინების მიწოდება სოციალური დახმარების დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მოთავსების გადაწყვეტილების შესახებ და მათი ინფორმირება გადაწყვეტილების მიზეზებისა და საჩივრის შეტანის საშუალებისა და ვადების შესახებ.**

ასევე, რეგულარულად უნდა გადაიხედებოდეს დაწესებულებაში მოთავსების აუცილებლობა, რა დროსაც დაცული უნდა იყოს იგივე გარანტიები, რომლებიც გათვალისწინებულია მოთავსების პროცედურის დროს.

161. ბინადრების ისტორიების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ჩამოერთვა ქმედუნარიანობის სტატუსი სასამართლოს გადაწყვეტილებით. რაც შეეხება დანარჩენ ბინადრებს, მათთვის არ ჩამოურთმევიათ ეს სტატუსი და ამიტომ ოფიციალურად არ ჰყავდათ დანიშნული მეურვეები,[148] იმის მიუხედავად, რომ ბევრ მათგანს ადეკვატურად არ ესმოდა მოთავსების ხასიათი და ამასთან დაკავშირებული პროცედურები. **წპკ-ს რეკომენდაციაა, გატარდეს ზომები ამ ხარვეზის გამოსასწორებლად.**

162. არ არსებობდა კონკრეტული პირობები ბინადრების ინფორმირებისთვის დაწესებულებაში

145 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება №52 „სპეციალურ დაწესებულებებში ადამიანების მოთავსებისა და მათი იქიდან გაწერის წესებისა და პირობების დამტკიცება“.

146 2008 წელს სამინისტრომ დაუშვა დაწესებულებიდან ისეთი პირის გაწერა, რომელიც თავის ოჯახთან მიდიოდა საცხოვრებლად.

147 ან ხელისუფლების გადაწყვეტილებები დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ოჯახის წევრის ან მეურვის ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე.

148 დაწესებულებაში მცხოვრები პირები მიიჩნეოდნენ „სახელმწიფოს ზრუნვას დაქვემდებარებულ პირებად.“

მათი ყოფნის შესახებ. **წპკ** მიიჩნევს, რომ მიღებისთანავე ყველა ბინადარს, ასევე მათ ოჯახებსა და მეურვეებს უნდა გადაეცეთ გაცნობითი ხასიათის ბროშურა, რომელშიც აღწერილი იქნება დაწესებულებაში არსებული რეჟიმი, მიღებისა და გაწერის წესები, ბინადრების უფლებები, იურიდიული დახმარების მიღებისა და სპეციალურად დანიშნულ გარეშე ორგანოებში ფორმალური საჩივრების შეტანის შესაძლებლობა, კონფიდენციალურობის დაცვით. ისეთ ბინადრებს, რომელთაც არ შეუძლიათ ინფორმაციის აღქმა, უნდა გაეწიოთ სათანადო დახმარება. **წპკ-ს რეკომენდაციაა, მომზადდეს ასეთი ბროშურა და სისტემატურად დაურიგდეს ბინადრებს, მათ ოჯახებსა და მეურვეებს.**

163. ბინადრების გარე სამყაროსთან კონტაქტისათვის არსებული პირობები დამაკმაყოფილებელი იყო. მონახულება დაშვებული იყო ყოველდღე და არ არსებობდა პრობლემები ტელეფონით სარგებლობასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს სამი ბინადარი იმყოფებოდა შვებულებაში თავიანთ ოჯახებში. ასევე, გარკვეული ზომები გატარდა კონტაქტის გასაძლიერებლად ბინადრებსა და მათ შვილებს შორის, რომლებიც ახლომდებარე ობოლთა თავშესაფარში ცხოვრობდნენ. ამისდა მიუხედავად, დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია, რომ მხოლოდ რამდენიმე ბინადარს ჰქონდა რეგულარული კონტაქტი ოჯახთან, ვინაიდან უმეტეს მათგანს ან არ ჰქონია აღიარებული ნათესავური კავშირები, ან დაკარგა კონტაქტი ნათესავებთან წლების განმავლობაში. **წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა ბინადრებმა შეინარჩუნონ კონტაქტი გარე სამყაროსთან (მაგალითად, მოხალისე მნახველების, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.).**

164. რაც შეეხება ინსპექტირებას, ძევრის დაწესებულება 2009 და 2010 წლებში მოინახულეს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, ასევე, 148-ე პუნქტში მოხსენიებული სააგენტოს წარმომადგენლებმა და რეგიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

დანართი I

წპკ-ს რეკომენდაციები, შენიშვნები და მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები

წინასწარი შენიშვნები

მოთხოვნილი ინფორმაცია

– განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მომენტიდან დაიწყო პოლიციის მიერ დაკავების 72-საათიანი ლიმიტი მე-12 პუნქტში მოხსენიებულ საქმეში (პუნქტი 12).

წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები

რეკომენდაციები

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს პოლიციის მთელი პერსონალისთვის მკაცრი გზავნილის - „ნულოვანი ტოლერანტობა“ არასათანადო მოპყრობის მიმართ - მიწოდება, მათ შორის მიმდინარე ტრენინგების საშუალებით. ამ გზავნილში მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი ის აზრი, რომ არასათანადო მოპყრობაში შემჩნეული პირები, აგრეთვე ისინი, ვინც გულგრილნი არიან მსგავსი ქმედებების მიმართ ან წაახალისებენ მათ, უმკაცრეს სანქციებს დაექვემდებარებიან. გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომლები ტრენინგებს უნდა გადიოდნენ დაკავების დროს ძალადობის აღკვეთის და მინიმუმამდე დაყვანის თვალსაზრისით. იმ შემთხვევებში, როდესაც ძალის გამოყენება აუცილებელი ხდება, მათ უნდა შეეძლოთ ისეთი პროფესიული ტექნიკის გამოყენება, რომელიც შეძლებისდაგვარად ამცირებს დაკავებისას პირებისათვის ზიანის მიყენების რისკს (პუნქტი 16);

– უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა იმ საქმის გამოძიება, რომლებშიც არასათანადო მოპყრობის ნიშნებია, სრულად აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებულ „ეფექტიანი“ გამოძიების კრიტერიუმებს (პუნქტი 21);

– სათანადო არხების საშუალებით მოსამართლეებს უნდა შეახსენონ, რომ თუ რომელიმე პირი განაცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ და/ან თუ აღინიშნება არასათანადო მოპყრობის რაიმე ნიშნები, მათ უნდა დაიცვან დადგენილი პროცედურა (პუნქტი 22);

– უნდა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებების შემოწმების გაუმჯობესებისთვის, კერძოდ, ამისათვის უნდა უზრუნველყონ:

• სამედიცინო შემოწმების ჩატარება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პერსონალის დასწრებისა და მოსმენის გარეშე, თუ ამას ექიმი არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში;

• სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვა (პუნქტი 23);

- როდესაც დღეებითი მოთავსების იზოლატორში მოხვედრისას დაკავებული პირი დაზიანებებს წარმოადგენს და განაცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ, ან როდესაც სხვა საფუძველი არსებობს იმის საფიქრებლად, რომ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, შესაბამისი პირი დაუყოვნებლივ უნდა გასინჯოს სასამართლო მედიცინაში კვალიფიციურმა დამოუკიდებელმა ექიმმა. აღნიშნულმა ექიმმა უნდა მოამზადოს დასკვნები, მათ შორის იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება საჩივრები ობიექტურ სამედიცინო ჩვენებებს. როდესაც ექიმი აკეთებს ჩანაწერებს დაზიანებების შესახებ, რომლებიც შეესაბამება პირის მიერ გამოთქმულ საჩივრებს არასათანადო მოპყრობის შესახებ (ან რომლებიც საჩივრების არარსებობის შემთხვევაშიც მიანიშნებს არასათანადო მოპყრობაზე), აღნიშნული ჩანაწერი დაუყოვნებლივ უნდა გააცნონ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს - პროკურატურასა და სასამართლო ორგანოებს (პუნქტი 23).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ** საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, შემოიღოს ერთიანი ეროვნული სისტემა პოლიციის თანამშრომლების მიმართ საჩივრების, დისციპლინარული და სისხლის სამართლის სამართალწარმოებისა და სანქციების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისთვის. საზოგადოების ინფორმირება იმ საჩივრების გამოძიების თაობაზე, რომლებიც პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას უკავშირდება, ხელს შეუწყობს მოსახლეობაში დაუსჯელობის განცდის შემცირებას (პუნქტი 17).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია უშანგი გ.-ს სიკვდილის მიზეზების გამოძიების მსვლელობა მის შედეგთან დაკავშირებით (პუნქტი 21).

დაცვის გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაკავებულ პირებს აცნობონ, მიაწოდეს თუ არა მათი დაკავების შესახებ ინფორმაცია მათ ახლო ნათესავსა ან სხვა პირს (პუნქტი 26);

- უნდა გატარდეს სათანადო ზომები, რათა ადვოკატის ნახვის უფლება სრულად უზრუნველყონ ყველა დაკავებულისათვის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან (პუნქტი 27);

- უნდა გადაიდგას სათანადო ნაბიჯები, რათა ფსიქიკური აშლილობის მქონე ან ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის დიდი ხნის მომხმარებელი პირების დაკავების შემთხვევაში უზრუნველყონ საჭირო სამედიცინო ჩარევა, მათ შორის სპეციალისტის მიერ მკურნალობა (პუნქტი 28);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას შემდგომი ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირი სრულად იყოს ინფორმირებული თავისი უფლებების შესახებ. ეს გულისხმობს გასაგები სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდებას თავისუფლების აღკვეთის მომენტში (ანუ როდესაც ეს პირები ვალდებულნი ხდებიან, პოლიციასთან დარჩნენ), რასაც პირველი შესაძლებლობისთანავე (პოლიციის შენობაში პირველად შესვლისთანავე) უნდა დაემატოს წერილობითი ინფორმაცია. წერილობითი ინფორმაცია უფლებების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს რამდენიმე გავრცელებულ ენაზე (პუნქტი 29);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შემოიღოს დაკავების შესახებ ჩანაწერების წარმოება თბილისის აეროპორტის სასაზღვრო პოლიციაში (პუნქტი 32).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შემოიღოს არასრულწლოვანთა უფლებების შესახებ სპეციალური, გასაგები ენით ჩამოყალიბებული საინფორმაციო ფორმა, რომელშიც მითითებული იქნება დაკითხვის დროს ადვოკატის და კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო დასწრების შესახებ. საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის დეტალურ განმარტებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მისი სრულფასოვანი გაგება (პუნქტი 30).

დაკავების პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს დროებითი მოთავსების იზოლატორების შეკეთება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თბილისის №2, აგრეთვე ქუთაისისა და ზესტაფონის იზოლატორების მოდერნიზაციას (პუნქტი 40);

- უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორში:

• ისეთ საკნებში, სადაც ბევრი პატიმარია, თითოეულ პატიმარზე უნდა მოდიოდეს სულ მცირე 4 m^2 საცხოვრებელი ფართობი;

• საკნებში სათანადო (სასურველია, ბუნებრივი) განათება იყოს;

• საკნები კარგად თბებოდეს;

• ყველასთვის, ვინც 24 საათზე მეტი ხნით არის დაკავებული, უზრუნველყონ შხაპით სარგებლობის შესაძლებლობა;

• დაკავებული პირები უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის ნივთებით (პუნქტი 40).

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეასწოროს წესები, რათა უზრუნველყოს ნებისმიერი პირისთვის, რომელიც 24 საათზე მეტი დროის განმავლობაში უნდა იყოს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სუფთა ჰაერზე გასეირნების შესაძლებლობა. დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორს უნდა ჰქონდეს სუფთა ჰაერზე სასეირნო მოედნები (პუნქტი 40).

- ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შესთავაზოს რაიმე ტიპის აქტივობა (მაგ. წიგნები, გაზეთები და მაგიდის თამაშები), ხოლო მათი ოჯახის წევრებს ვიზიტების ნება დართოს (პუნქტი 40).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- კომენტარი საქართველოს ხელისუფლებისგან თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული დაკავებული პირებისთვის ადრე ხელმისაწვდომი ზოგიერთი ნივთის ამოღებასთან დაკავშირებით (პუნქტი 34).

<u>სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u>

წინასწარი შენიშვნები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააორმაგოს საპატიმროების გადატვირთულობის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა ისეთი პოლიტიკის გატარებით, რომელიც მიმართული იქნება საპატიმროში მოსათავსებელი პირების რიცხვის შემცირების ან რეგულირებისკენ. ამისთვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციებით, კერძოდ, ღეც(99)22 რეკომენდაციით ციხის გადატვირთულობისა და პატიმართა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით; Rec(2000)22 რეკომენდაციით სათემო სანქციებისა და ზომების შესახებ ევროპული წესების შესრულების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით; Rec(2003)22 რეკომენდაციით პირობით (ვადამდელ) განთავისუფლებასთან დაკავშირებით და Rec(2006)13 რეკომენდაციით წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით (პუნქტი 47);

- საჭიროა პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენების შესახებ მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის სასწავლო კურსების უფრო ინტენსიურად ჩატარება. ასევე, უფრო მეტად უნდა გამოიყენებოდეს პირობითი განთავისუფლება (პუნქტი 47);

- საქართველოს ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად მალე უნდა გადახედოს კანონმდებლობის იმ ნორმებს, რომლებიც ადგენს პატიმრისთვის გამოყოფილი ფართობის მოცულობას და უზრუნველყოს სულ მცირე 4m^2 ფართობი თითოეულ პატიმარზე საერთო საკანში სასჯელაღსრულების სისტემის ნებისმიერ დაწესებულებაში (პუნქტი 47).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ნორმების სავარაუდო ცვლილებაზე (პუნქტი 46).

არასათანადო მოპყრობა

<u>რეკომენდაციები</u>

- თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილის, ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებების შესაბამისმა ადმინისტრაციებმა უნდა განახორციელონ სათანადო ზომები იმისათვის, რომ ციხის თანამშრომლებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება და არასათანადოდ არ მოეპყრან პატიმრებს. სასწავლო-მოსამზადებელი კურსის გავლისას ციხის თანამშრომლებს ნათლად უნდა გააგებინონ, რომ პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყ-

რობა მიუღებელია და რომ ამისთვის თანამშრომლები მკაცრად დაისჯებიან. ამას გარდა, უნდა გამოიძიონ პატიმრების საჩივრები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, მათ შორის ის საჩივრები, რომლებშიც პატიმრები ამტკიცებენ, რომ გეგუთის №8 დაწესებულებასა და გლდანის №8 საპყრობილეში პატიმრების საცემად კეტებს იყენებდნენ (ციხის თანამშრომლებს კეტებს ოფიციალურად არ ურიგებენ) (პუნქტი 50).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიმართა მთავარმა პროკურატურამ გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თანამშრომელთა და სწრაფი რეაგირების დანაყოფის წევრთა მხრიდან პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, რომელზეც 48-ე პუნქტშია საუბარი და 2010 წლის თებერვალში „კარცერში" გარდაცვლილი პატიმრის საქმეზე ჩატარებული გამოძიების დასკვნა (პუნქტი 50);
- შემდეგი სახის ინფორმაცია 2008 და 2009 წლებისათვის საქართველოს ყველა ციხესთან დაკავშირებით:
• წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის გამო ციხის პერსონალის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობის შესახებ;
• ამ საჩივრების შედეგად აღძრული სისხლის სამართლის ან დისციპლინარულ საქმეთა რაოდენობისა და დაკისრებულ სანქციათა შესახებ (პუნქტი 50);
- კომენტარი საქართველოს ხელისუფლებისგან 51-ე პუნქტში მოხსენიებულ, არასათანადოდ მოპყრობის შესახებ განცხადებებთან დაკავშირებით (პუნქტი 51);
- ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზომები გაატარა საქართველოს ხელისუფლებამ 52-ე პუნქტში მოხსენიებული პატიმრების პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით (პუნქტი 52).

დაკავების პირობები

<u>რეკომენდაციები</u>

- უნდა გატარდეს ზომები თბილისის №7 საპყრობილეში, რათა:
• შემცირდეს საკნებში პატიმართა რაოდენობა და საერთო საკნებში თითოეულ პატიმარზე მოდიოდეს სულ მცირე 4 m^2 საცხოვრებელი ფართობი;
• 1-ლი და მე-2 დონის საკნებში შევიდეს დღის სინათლე;
• გარემონტდეს საკნებში არსებული ტუალეტები;
• ყველა საკანში დაიდგას კარადები და დასაჯდომი საშუალებები;
• გადაიხედოს პატიმრობის პირობები მსჯავრდებული პატიმრებისთვის, რომლებიც იქ მუშაობენ. 6 m^2-ზე ნაკლები ფართობის საკნები გადიდდეს ან საერთოდ აღარ გამოიყენებოდეს (პუნქტი 57);
- უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილეში:
• შემცირდეს პატიმართა რაოდენობა საკნებში და საერთო საკნებში თითოეული პატიმრისთვის უზრუნველყონ სულ მცირე 4 m^2 ფართობი;
• ყველა ბლოკში გამართულად მუშაობდეს გამოსაძახებელი ზარები;
• ხელმოკლე პატიმრები უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის საგნებისა და საშუალებების უფრო ფართო არჩევანით და გამოსწორდეს პატიმრების ტანსაცმლის რეცხვის საქმე (პუნქტი 64);
- ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების საპყრობილის შენობის ექსპლუატაციაში დატოვების შემთხვევაში უნდა გატარდეს გადაუდებელი ზომები საკნების საფუძვლიანად გასარემონტებლად და დღის სინათლის პრობლემის მოსაგვარებლად, ასევე, განათებისა და სავენტილაციო სისტემების გასამართავად (პუნქტი 71);
- გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გატარდეს ზომები, რათა:
• თითოეულ პატიმარს თავისი დასაძინებელი ადგილი ჰქონდეს;
• შემცირდეს პატიმართა რაოდენობა საერთო საცხოვრებლებსა და საკნებში და თითოეული პატიმრისთვის უზრუნველყონ სულ მცირე 4 m^2 ფართობი;
• ყველა პატიმრისთვის უზრუნველყონ ლოგინის თეთრეული, რომელიც უნდა გაირეცხოს სათანადო ინტერვალებით, ანუ სულ მცირე თვეში ორჯერ; ამისათვის დაწესებულებაში უნდა მოეწყოს სამრეცხაო;
• პატიმრებს მიეწოდოთ პირადი ჰიგიენის ნივთები სათანადო რაოდენობით;
• გარემონტდეს სანიტარიული კვანძები მე-4 ბლოკში;
• გადაიხედოს სასადილოში კვების წესები, რათა ისინი გავლენას არ ახდენდეს პატიმრების ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობაზე (პუნქტი 77);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააააქტიუროს ძალისხმევა მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისთვის აქტივობათა პროგრამების შესამუშავებლად. პროგრამების მიზანი უნდა

იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ ორივე კატეგორიის პატიმრებმა დღის განმავლობაში გარკვეული გონივრული დრო (8 საათი ან მეტი) საკნებს გარეთ გაატარონ და დაკავდნენ სხვადასხვა სახის საქმიანობით. რაც შეეხება კონკრეტულად სამუშაოს, პატიმართა დასაქმების საკითხის მოგვარებას ამ პრობლემისადმი მიდგომაში ძირეული ცვლილება დასჭირდება. პატიმართა დასაქმება მიმართული უნდა იყოს უფრო მეტად მათი შემდგომი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისკენ და არა ფინანსური სარგებლის მიღებისკენ (პუნქტი 82);

- უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ თბილისის №7 და №8 საპყრობილეებში ნებისმიერ პატიმარს შეეძლოს ჰაერზე გასვლა სულ მცირე ერთი საათით ყოველდღიურად, შაბათ-კვირის ჩათვლით, და ისეთ პირობებში, რომ ისინი ფიზიკურად დაიხარჯონ. №8 საპყრობილის დიდი ტერიტორია უფრო ფართო სასეირნო და სპორტული მოედნების მოწყობის საშუალებას იძლევა (პუნქტი 82);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განიხილოს ახლად აშენებულ ან გარემონტებულ საპყრობილეებში სასეირნო მოედნების სხვაგვარად მოწყობის საკითხი. ჰაერზე სასეირნო ადგილები შეძლებისდაგვარად მიწის დონეზე უნდა მოეწყოს და საკმარისად დიდი და ფართო უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებმა მაქსიმალური ენერგია დახარჯონ (ჩაკეტილ სივრცეში ნაბიჯით სიარულის განსხვავებით). (პუნქტი 82).

<u>შენიშვნები</u>

- უნდა განიხილონ თბილისის №7 და №8 საპყრობილეებში პატიმრების მიერ შხაპის მიღების სიხშირის გაზრდის საკითხი, „ციხის ევროპული წესების“ ახალი რედაქციის 19.4 წესის გათვალისწინებით (პუნქტები 57 და 64);

- პატარა ოთახები თბილისის №8 (გლდანი) საპყრობილის მისაღები განყოფილების ზონაში, მათი სივიწროვის გამო, პატიმრების მოსათავსებლად საერთოდ არ უნდა გამოიყენებოდეს, იმის მიუხედავად, თუ რა დროით ათავსებენ ადამიანებს ამ კაბინებში (პუნქტი 61);

- **ნპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეაკეთოს გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებისკენ მიმავალი გზა (პუნქტი 77);

- უნდა შეისწავლონ, არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ამოქმედდეს უფრო მცირე ფართობის საცხოვრებლები (პუნქტი 77);

- **ნპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ნება დართოს თბილისის №8 საპყრობილის პატიმრებს, საკნებში ჰქონდეთ ტელევიზორები (პუნქტი 82).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დამატებითი ინფორმაცია 2010 წლის 6 მარტს ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ ხანძართან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის გამოძიების შესახებ (პუნქტი 71);

- დეტალური ინფორმაცია ქსანში ციხის ახალი შენობის ფუნქციონირების შესახებ (პატიმრების განთავსება საკნებში, საცხოვრებელი პირობები, აქტივობათა პროგრამები, მომსახურე პერსონალი და ა.შ.) (პუნქტი 71);

- დამატებითი ინფორმაცია ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების საპყრობილის შენობის სამომავლო გამოყენების შესახებ (პუნქტი 71);

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი თბილისის №7 საპყრობილეში დასვენებისა და გართობის აქტივობათა შეზღუდვასთან დაკავშირებით (პუნქტი 79);

- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი კომიტეტის მიერ მიღებულ ინფორმაციათან დაკავშირებით, რომ თბილისის №7 საპყრობილეში ერთი პატიმარი 2009 წლის სექტემბრიდან არ გაუყვანიათ ჰაერზე (პუნქტი 80).

ჯანმრთელობის დაცვა

<u>რეკომენდაციები</u>

- უნდა გატარდეს ზომები, რათა:

• სათანადოდ გაძლიერდეს ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებების ექიმებისა და ექთნების შემადგენლობა. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეივსოს ვაკანტური ადგილები, რისთვისაც აუცილებელია პერსონალის ასაყვანად და შესანარჩუნებლად მიმზიდველი სამუშაო პირობების შექმნა. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ექიმების და ექთნების დამატებითი შტატები;

• გაიზარდოს თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილეში მომუშავე ექთნების რაოდენობა;

• კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პატიმრების სტომატოლოგიური დახმარება, რაც უნდა მოიცავდეს კონსერვატიულ მკურნალობას; ამისათვის საჭიროა სტომატოლოგების სამუშაო საათების რაოდენობის გაზრდა;

• შესაძლებელი გახდეს მონახულებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მედიცინის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების რეგულარული ვიზიტების ორგანიზება;

• უნდა უზრუნველყონ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში იმ პატიმრების დაუყოვნებელი გადაყვანა, რომლებიც საჭიროებენ სადიაგნოსტიკო გამოკვლევას და/ან სტაციონარულ მკურნალობას. (პუნქტი 88);

- უნდა გადაიხედოს ჯანდაცვის მომსახურებაში ჩართული პატიმრების ფუნქციები ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (და ასევე სხვა დაწესებულებებში, სადაც შეიძლება იგივე ხდებოდეს) (პუნქტი 88);

- დათვალიერებულ დაწესებულებებში სტომატოლოგიური იარაღების სტერილიზაციისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა უნდა მოიყვანონ თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში (პუნქტი 89);

- უნდა გატარდეს ზომები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებებისთვის საკმარისი რაოდენობის მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით (პუნქტი 90);

- უნდა გატარდეს გადაუდებელი ზომები, რათა უზრუნველყონ ქსნის №7 და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შემოსული ყოველი ახალი პატიმრის შემოწმება სამედიცინო სამსახურის პერსონალის მიერ 24 საათის განმავლობაში მათი შემოსვლიდან. სამედიცინო შემოწმება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შემოსვლისას უნდა იყოს ყოვლისმომცველი, მათ შორის უნდა ტარდებოდეს შესაბამისი შემოწმება ინფექციურ დაავადებათა და სხეულის დაზიანებათა აღმოჩენის მიზნით (პუნქტი 91);

- 92-ე პუნქტში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით უნდა გატარდეს ზომები სამედიცინო ჩანაწერების წარმოების გაუმჯობესების მიზნით (პუნქტი 92);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს კომიტეტისგან დიდი ხნის წინათ მიღებული რეკომენდაცია, რომ ყველა სამედიცინო შემოწმება ისე ჩატარდეს, რომ არასამედიცინო პერსონალი არ ესწრებოდეს და არ ისმენდეს მას, თუ ამას ექიმი არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში (პუნქტი 93);

- საქართველოს ხელისუფლებამ, ტუბერკულოზის კონტროლის თშ მეთოდის შესაბამისად პატიმრების სისტემატური სკრინინგისა და მკურნალობის გზით, უნდა გააგრძელოს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა სასჯელაღსრულების სისტემაში. ამ კონტექსტში კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, გატარდეს ზომები იმისათვის, რომ ტუბერკულოზის ჩხირების მატარებელი პატიმრები დაუყოვნებლივ გადაიყვანონ სამკურნალო დაწესებულებაში და მოხდეს იმ პატიმრების ასევე დაუყოვნებელი სკრინინგი, რომლებიც კონტაქტში იმყოფებოდნენ ზემოხსენებულ პატიმრებთან (პუნქტი 95);

- საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გაატაროს ზომები პატიმრებისთვის ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ:

• ორგანიზება გაუწიოს ციხეში ახლად შემოსული პატიმრების შემოწმებას მათი ფსიქიკური აშლილობების გამოვლენისა და ფსიქიატრების მიერ რეგულარული კონტროლის მიზნით;

• უზრუნველყოს ფსიქოტროპული მედიკამენტების ხელმისაწვდომობა საკმარისი რაოდენობით;

• ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობას, დაუყოვნებელივ გადაიყვანოს სათანადო აღჭურვილობის მქონე საავადმყოფოში შესაბამისი გამოცდილების პერსონალით;

• შემოიღოს ციხის ფსიქოლოგის პროფესია. (პუნქტი 97);

- უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ყოვლისმომცველი სტრატეგია ნარკოტიკებზე დამოკიდებული პატიმრებისთვის მკურნალობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით (პუნქტი 98);

- უნდა გატარდეს ზომები მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ფსიქიატრიული პაციენტებისთვის მთელი რიგი თერაპევტული და საერაბილიტაციო აქტივობების, მათ შორის შრომითი თერაპიის, ჯგუფური და ინდივიდუალური ფსიქოთერაპიის უზრუნველყოფის მიზნით. ამისათვის საჭირო იქნება სპეციალური საშუალებების უზრუნველყოფა და დამატებითი კვალიფიციური პერსონალის დაქირავება. რამდენადაც ეს შესაძლებელია, შესაბამისი აქტივობები და სარეაბილიტაციო საშუალებები ასევე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სხვა პაციენტებისთვისაც, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ხანგრძლივად უწევს საავადმყოფოში ყოფნა (პუნქტი 104);

- თბილისში მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში უნდა შეიქმნას სპეციალური ჟურნალი, რომელშიც ჩაიწერება პაციენტთა შეზღუდვის (როგორც ფიზიკური, ასევე ქიმიური) თითოეული შემთხვევა (პუნქტი 104).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განიხილოს თბილისში მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ფსიქიატრიული განყოფილების ზოგიერთი ოთახის

სომატური პაციენტებისთვის გამოყენების საკითხი (პუნქტი 104).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- ინფორმაცია პატიმართა შორის C ჰეპატიტის გავრცელების საწინააღმდეგოდ შემუშავებული ახალი სტრატეგიის თაობაზე (პუნქტი 96);

- კონკრეტული გეგმები პატიმართა ჯანდაცვის მომსახურების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ამ გეგმების განხორციელების განრიგი (პუნქტი 105).

წპპ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ზომები პერსონალის რაოდენობის გაზრდისთვის და შეცვალოს თანამშრომელთა სამსახურში დასწრების სისტემა 107-ე პუნქტში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით (პუნქტი 107);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს კანონმდებლობა მსჯავრდებულთათვის პაემნების ნების დართვასთან დაკავშირებით 109-ე პუნქტში გამოთქმული შენიშვნებისა და „ციხის ევროპული წესების“ 24.1 წესის გათვალისწინებით. თვეში ერთი პაემნის უფლება არ არის საკმარისი პატიმრისთვის თავის ოჯახთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ამგვარი შეხვედრების რაოდენობა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს (მაგალითად, სულ მცირე, ერთი პაემანი კვირაში) (პუნქტი 109);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააუმჯობესოს პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახები თბილისის №7 საპყრობილეში, გლდანის №8 საპყრობილესა და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რათა პატიმრებმა შეძლონ შეხვედრა ახლობლებთან ღია პირობებში. ღია პაემნის მოწყობა წესად უნდა დამკვიდრდეს, ხოლო დახურული შეხვედრებისა – გამონაკლისად, რაც დაეფუძნება კარგად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მას შემდეგ, რაც შეფასდება კონკრეტული პატიმრის ან სტუმრის მიერ გამოწვეული პოტენციური რისკი. ამ კონტექსტში გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების პაემნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა უნდა გაფართოვდეს, რათა დააკმაყოფილოს პატიმართა მოთხოვნილებები (პუნქტი 110);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები მსჯავრდებული პატიმრებისთვის კანონმდებლობის ფარგლებში ტელეფონის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით და შესაძლებელი გახადოს მათთვის საერთაშორისო ზარების განხორციელება (პუნქტი 111);

- უნდა გადაიხედოს გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დისციპლინარული საკნის გამოყენების პრაქტიკა (პუნქტი 114);

- თბილისის №7 საპყრობილეში და გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გატარდეს ზომები 114-ე პუნქტში აღწერილ დისციპლინარულ სასჯელთან დაკავშირებული პრინციპების შესრულების უზრუნველსაყოფად (პუნქტი 114);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები იმისათვის, რომ პატიმრის დისციპლინარულ საკანში მოთავსება არ ნიშნავდეს მისთვის ოჯახთან კონტაქტის დაკარგვას. ოჯახთან კონტაქტის ნებისმიერი აკრძალვა, როგორც სასჯელის ფორმა, დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარ კონტაქტებთან დანაშაულია დაკავშირებული (პუნქტი 115);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს დისციპლინარულ საკითხებთან დაკავშირებით ციხის ექიმების როლის შესახებ **წპპ**-ს მიერ დიდი ხნის წინათ გაცემული რეკომენდაცია და ამ პროცესში გაითვალისწინოს „ციხის ევროპული წესები“ (კერძოდ, 43.2 წესი) და კომიტეტის მე-15 ზოგად ანგარიშში ჩამოყალიბებული შენიშვნები (პუნქტი 116);

- უნდა გატარდეს ზომები, რათა:

• დათვალიერებულ დაწესებულებათა დისციპლინარულ საკნებში უზრუნველყონ სულ მცირე 4 m^2 საცხოვრებელი ფართობი თითოეულ პატიმარზე; 7 m^2 ფართობის საკნებში არ უნდა მოათავსონ ერთ პატიმარზე მეტი;

• გარემონტდეს ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების დისციპლინარული საკნები (პუნქტი 117);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები 118-ე პუნქტში მითითებული, დისციპლინარული სასჯელისთვის განკუთვნილ საკნებში მოთავსებული პატიმრებისთვის სუფთა ჰაერზე გასვლასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად (პუნქტი 118);

- მკაცრ რეჟიმში მყოფი პატიმარი ან რომლის ყოფნა ამგვარ რეჟიმში გახანგრძლივდება, წერილობით ინფორმირებული უნდა იყოს ასეთი ზომების გამომწვევი მიზეზების შესახებ (გასაგებია, რომ წარდგენილი მიზეზები შეიძლება არ მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც უსაფრთხოების მიზნით არ ატყობინებენ პატიმარს), ასევე - ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ, თუ იგი გადაწყვეტს მის მიმართ განხორციელებული ზომის გასაჩივრებას (პუნქტი 121);

- პატიმარს, რომლის მკაცრ რეჟიმში მოთავსებაა გათვალისწინებული, უნდა მიეცეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გამოხატვის საშუალება (პუნქტი 121);
- პატიმარი მკაცრ რეჟიმში უნდა თავსდებოდეს რაც შეიძლება მოკლე ვადით და მისი საკითხი უნდა განიხილებოდეს სულ მცირე სამ თვეში ერთხელ (პუნქტი 121).

<u>შენიშვნები</u>
- პაემნის, სატელეფონო ზარების ან კორესპონდენციის მიღების აკრძლვა კონკრეტულად უნდა იყოს დასაბუთებული გამოძიების საჭიროებებით, ეს აკრძალვა უნდა დაამტკიცოს ორგანომ, რომელიც არ არის დაკავშირებული მოცემულ საქმესთან და იგი უნდა მოქმედებდეს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში; აუცილებელია მიზეზების მითითება. გარდა ამისა, პატიმარსა და მის ადვოკატს უნდა შეეძლოთ აკრძალვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობა. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიცვალოს შესაბამისი კანონმდებლობა და წესები (პუნქტი 108).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>
- ინფორმაცია პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახების შესახებ ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების ახალ შენობაში (პუნქტი 110);
- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი იმასთან დაკავშირებულ განცხადებებზე, რომ გეგუთის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წერილის გასაგზავნად 84 ლარს ახდევინებდნენ (პუნქტი 112);
- ახსნა-განმარტება იმ წესებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება პატიმრების საჩივრების გახსნას და მათ წაკითხვას (პუნქტი 119);
- საქართველოს ხელისუფლების კომენტარები პატიმრების მკაცრ რეჟიმში ხანგრძლივად დაკავების პრაქტიკასთან დაკავშირებით (პუნქტი 121).

<u>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებები</u> ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

<u>რეკომენდაციები</u>
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აღმოფხვრას 125-128 პუნქტებში მითითებული პაციენტების საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს:
• №7 განყოფილებაში აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას;
• მთელ საავადმყოფოში (მათ შორის სანიტარიულ კვანძებში) გათბობის გაუმჯობესებას და გამათბობელი დანადგარების უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
• სანიტარიული კვანძების აღდგენას დამაკმაყოფილებელ მდგომარეობამდე (პუნქტი 129);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები იმისათვის, რომ:
• გაიზარდოს თერაპიული შესაძლებლობების არჩევანი და ხანგრძლივი ვადით მოთავსებული უფრო მეტი პაციენტი ჩაერთოს სარეაბილიტაციო ფსიქოსოციალურ აქტივობაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მათი მომზადებისა და ოჯახებში დაბრუნების მიზნით; შრომითი თერაპია უნდა წარმოადგენდეს სარეაბილიტაციო პროგრამის განუყოფელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციას, სწავლის გაგრძელების სურვილს და ურთიერთობის უნარების ჩამოყალიბებას, სპეციფიკური ცოდნის შეძენასა და საკუთარი თვითრწმენის გაუმჯობესებას;
• უნდა დაიქირავონ უფრო მეტი კვალიფიციური პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სარეაბილიტაციო ფსიქოსოციალურ აქტივობას (შრომითი თერაპევტები, კლინიკური ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები), რათა ხელი შეეწყოს მრავალდარგობრივი მიდგომის დანერგვას;
• თითოეული პაციენტისთვის მომზადდეს მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა (მწვავე, ხანგრძლივი ვადით დაკავებული და სისხლის სამართლის დამნაშავე პაციენტების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით), რომელშიც უნდა მიეთითოს მკურნალობის მიზნები, თერაპიული საშუალებები და პასუხისმგებელი თანამშრომლები. პაციენტები მონაწილეობას უნდა იღებდნენ თავიანთი მკურნალობის ინდივიდუალური გეგმების შედგენაში და შესრულების მიმდინარეობის შეფასებაში;
• პაციენტებს უნდა შესთავაზონ სარეკრეაციო საქმიანობების უფრო ფართო სპექტრი, კერძოდ, უზრუნველყონ ყველა მათგანი წიგნებითა და გაზეთებით (პუნქტი 133);
- უნდა გატარდეს დამატებითი ზომები, რათა ყოველდღიურად გაიყვანონ შენობის გარეთ ის პაციენტები, რომელთა ჯანმრთელობაც იძლევა ამის საშუალებას (პუნქტი 134);
- ინსტიტუტში უნდა წარმოებდეს ჩანაწერები პაციენტების გარდაცვალების კლინიკური მიზეზების შესახებ, ხოლო ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში დასკვნები სისტემატურად უნდა მიეწოდებოდეს ინსტიტუტს (პუნქტი 136);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს სპეციალიზებული ტრენინგის – როგორც

საწყისი, ისე მიმდინარე – პროგრამა სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლებისთვის ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ასევე ქვეყანაში მოქმედ სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (პუნქტი 137);

- პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდებს არასოდეს არ უნდა იყენებდნენ სხვა პაციენტების თვალწინ (პუნქტი 138);
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები, რათა უზრუნველყოს დაწესებულებაში არანებაყოფლობით მოთავსების გადახედვის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების სათანადოდ შესრულება და სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებების რეალურად მოქმედება (პუნქტი 139);
- უნდა გამოიცეს ბროშურა პაციენტთა უფლებების შესახებ (რომელშიც იქნება ინფორმაცია საჩივრების მიმღები ორგანოების, პროცედურებისა და იურიდიული დახმარების შესახებ) და სისტემატურად ურიგდებოდეს პაციენტებსა და მათი ოჯახების წევრებს ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მიღებისას (პუნქტი 143);
- უნდა გატარდეს ზომები, რათა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამოიყოს სათანადო ადგილები, სადაც პაციენტები შეძლებენ თავიანთ ნათესავებთან შეხვედრას (პუნქტი 144).

<u>შენიშვნები</u>

- **ნპკ** იმედოვნებს, რომ გაგრძელდება ჰიგიენის აუცილებელი საშუალებების რეგულარულად მიწოდება პაციენტებისთვის (პუნქტი 129);
- ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მომუშავე ფსიქიატრთა რაოდენობის გათვალისწინებით, **ნპკ** მიიჩნევს, რომ ისინი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ პაციენტებისთვის ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო აქტივობების შემუშავებაში (პუნქტი 133);
- ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს უნდა მოეწოდოთ, რომ მათ განაგრძონ ყველა პაციენტისთვის (ხოლო თუ პაციენტი ქმედუუნაროა, მისი იურიდიული წარმომადგენლისთვის) ინფორმაციის მიწოდება მათი მდგომარეობისა და მათთვის დანიშნული მკურნალობის შესახებ. მკურნალობაზე თანხმობის სპეციალური ფორმა სისტემატურად უნდა იყოს ხელმოწერილი პაციენტის ან, თუ იგი ქმედუუნაროა, მისი იურიდიული წარმომადგენლის მიერ (პუნქტი 142).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- დეტალური ინფორმაცია 123-ე პუნქტში მითითებული პროექტების განხორციელების გრაფიკის შესახებ და ასევე ინფორმაცია, იგეგმება თუ არა ასათიანის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან არსებული საავადმყოფოს დახურვა (პუნქტი 123);
- ინფორმაცია ქრონიკული სომატური დაავადებებით დაავადებული ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობის პროცედურასთან დაკავშირებით (პუნქტი 135);
- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი სასამართლოს მიერ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ პაციენტების განცხადებებთან დაკავშირებით (პუნქტი 140);
- ინფორმაცია იმის შესახებ, ითვალისწინებს თუ არა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მოთავსების არსებული პროცედურები შესაძლებლობას, რომ გარეშე ფსიქიატრს ეთხოვოს დამოუკიდებელი აზრის გამოხატვა და არის თუ არა მიღებული პრაქტიკაში, რომ მოსამართლემ მოითხოვოს ასეთი რამ (პუნქტი 141);
- საქართველოს ხელისუფლების კომენტარი 142-ე პუნქტში მოხსენიებული მკურნალობაზე თანხმობის საკითხთან დაკავშირებით (პუნქტი 142).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი, ძევრი

<u>რეკომენდაციები</u>

- სისტემატურად და რეგულარულად უნდა ტარდებოდეს ბინადართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება მათი საჭიროებების შესაბამისად მათთვის ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო აქტივობების შეთავაზების მიზნით. თითოეული ბინადრისათვის უნდა შედგეს ინდივიდუალური მკურნალობისა და რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მკურნალობის მიზნებს, ფსიქოლოგიურ დახმარებას და აუცილებელ სოციალურ აქტივობას. ამ თვალსაზრისით გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალურად მომზადებული პერსონალის (მაგალითად, პედაგოგების, სოციალური მუშაკების) დაქირავება (პუნქტი 155);
- ძევრის დაწესებულებაში უნდა გატარდეს ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფიზიკური და/ან ქიმიური შეზღუდვის ზომების ყველა შემთხვევის დაფიქსირება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ჟურნალში (ექთნის ჟურნალზე და პაციენტის ისტორიაზე დამატებით). ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს გატარებული ზომის დაწყებისა და დასრულების დრო, საქმის გარემოებე-

ბი, მოცემული მეთოდის გამოყენების მიზეზები, იმ ექიმის ვინაობა, რომელმაც გასცა ბრძანება ან დაადასტურა პროცედურა, ასევე - ანგარიში რაიმე სახის დაზიანებების შესახებ, რაც განიცადა პაციენტმა ან პერსონალმა (პუნქტი 158);

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები, რათა უზრუნველყოს სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული პირებისთვის წერილობითი შეტყობინების მიწოდება სოციალური დახმარების დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მოთავსების გადაწყვეტილების შესახებ და მათი ინფორმირება გადაწყვეტილების მიზეზებისა და საჩივრის შეტანის საშუალებებისა და ვადების შესახებ (პუნქტი 160);

- რეგულარულად უნდა გადაიხედებოდეს დაწესებულებაში მოთავსების აუცილებლობა, რა დროსაც დაცული უნდა იყოს იგივე გარანტიები, რომლებიც გათვალისწინებულია მოთავსების პროცედურის დროს (პუნქტი 160);

- უნდა გატარდეს ზომები ბინადრების ქმედუნარიანობის სტატუსის საკითხის გადასახედად (პუნქტი 161);

- უნდა მომზადდეს საინფორმაციო ბროშურა და სისტემატურად დაურიგდეს ბინადრებს, მათ ოჯახებსა და მეურვეებს (პუნქტი 162).

<u>შენიშვნები</u>

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, აღმოფხვრას 151-ე პუნქტში მითითებული ნაკლოვანებები (პუნქტი 151);

- ბინადრების რაოდენობის გათვალისწინებით უნდა განიხილონ ღამის ცვლაში მომუშავე სანიტრების რაოდენობის გაზრდის საკითხი (პუნქტი 152);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეიმუშაოს კომპლექსური პოლიტიკა ბინადართა სქესობრივი ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება 156-ე პუნქტში მითითებული შენიშვნები. ამ პოლიტიკის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს შეზღუდული ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ბინადრებისთვის კონსულტაციების გაწევა სქესობრივ ურთიერთობებსა და მშობლის მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებში (პუნქტი 156);

- **წპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა ბინადრებმა შეინარჩუნონ კონტაქტი გარე სამყაროსთან (მაგალითად, მოხალისე მნახველების, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) (პუნქტი 163).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- ინფორმაცია ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის განკუთვნილი დაწესებულებების სისტემის რეორგანიზაციის გეგმის შესახებ, განსაკუთრებით კი ისეთი ობიექტების შექმნის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ასეთი პირების დეინსტიტუციონალიზაციას, ასევე ინფორმაცია შეზღუდული ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ახალი დაწესებულების მშენებლობის გეგმის შესახებ (პუნქტი 148);

- უფრო დეტალური ინფორმაცია სოციალური ზრუნვის დაწესებულებების დაფინანსების ახალი სისტემის შესახებ (პუნქტი 148);

- 150-ე პუნქტში მოხსენიებული დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გრაფიკი, მათ შორის საადილო ოთახში გათბობის სისტემის დამონტაჟების ვადები (პუნქტი 150).

<u>დანართი II.</u>

საქართველოს სამთავრობო ორგანოები და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებთანაც წპკ-ს დელეგაციამ ვიზიტის განმავლობაში კონსულტაცია გაიარა

ა. <u>ხელისუფლების ორგანოები</u>

<u>სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო</u>

ქ-ნი ხათუნა კალმახელიძე	მინისტრი
ბ-ნი გიორგი ხოჯევანიშვილი	თანამშრომლობის დირექტორატის უფროსი
ბ-ნი დავით ასათიანი	სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი ირაკლი კობიძე	იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი
ბ-ნი თეიმურაზ იობიძე	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი
ბ-ნი გიორგი თვაური	გენერალური ინსპექციის ადამიანის უფლებათა განყოფილების უფროსი

ქ-ნი ნატო გუგავა	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენ-ტრის ხელმძღვანელი
ბ-ნი ანტონ ქელბაქიანი	სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომა-რის თანაშემწე, წამების პრევენციის კომიტეტთან თანამშრომლობის კოორდინატორი

<u>იუსტიციის სამინისტრო</u>

ქ-ნი თინათინ ბურჯალიანი	მინისტრის პირველი მოადგილე
ქ-ნი თამარ თომაშვილი	საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი

<u>შინაგან საქმეთა სამინისტრო</u>

ქ-ნი ეკატერინე ზღულაძე	მინისტრის პირველი მოადგილე
ბ-ნი შოთა ხიზანიშვილი	ადმინისტრაციის უფროსი
გიორგი კიკნაძე	ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი
ბ-ნი შალვა კვინიხიძე	საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარი სამმართ-ველოს უფროსი
ქ-ნი ნინო გახარია	საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის განყოფილების უფროსი, საერთაშორისო ურთიერ-თობათა მთავარი სამმართველო
ბ-ნი ლაშა დარახველიძე	გენერალური ინსპექციის დისციპლინარული დევნის განყოფილების უფროსის მოადგილე

<u>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო</u>

ბ-ნი ირაკლი გიორგობიანი	მინისტრის პირველი მოადგილე
ქ-ნი ეკა ადამია	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამე-ბის განყოფილების მთავარი სპეციალისტი

<u>სახალხო დამცველის აპარატი</u>

ქ-ნი ტატა ხუნწარია	სახალხო დამცველის მოადგილე
ქ-ნი ნათია იმნაძე	პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი არჩილ თალაკვაძე	სახალხო დამცველის თანაშემწე

ბ. <u>საერთაშორისო ორგანიზაციები</u>

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაცია თბილისში
ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

გ. <u>არასამთავრობო ორგანიზაციები</u>

„ემპათია“ - წამების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრი
„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“
საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში
ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი
„ციხის საერთაშორისო რეფორმა“

ანგარიში
საქართველოს მთავრობას
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (წპკ) საქართველოში ვიზიტის შესახებ

19-23 ნოემბერი, 2012

საქართველოს მთავრობამ ითხოვა ანგარიშისა და მასზე პასუხის გამოქვეყნება. მთავრობის პასუხი მოცემულია CPT/Inf (2013) 19 დოკუმენტში.

2013 წლის 31 ივლისი, სტრასბურგი

წპკ-ს ანგარიშის გადაცემის წერილი. 279

I. შესავალი.. 279
ა. ვიზიტის თარიღები, კონტექსტი და დელეგაციის შემადგენლობა. 279
ბ. **დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და მიღებული თანამშრომლობა.. ..... 280**
II. ვიზიტის დროს აღმოჩენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები.. 280
ა. პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება 280
ბ. ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაზე 284

გ. **წპკ**-ს დელეგაციის მიერ შეფასებული სიტუაცია სასჯელაღსრულებისდაწესებულებებში, სადაც განხორციელდა ვიზიტები.. 286
1. **წინასწარი შენიშვნები. 286**
2. არასათანადო მოპყრობა 287
3. **პატიმრობის პირობები.. ..... 288**
4. ჯანდაცვა 290
ა. შესავალი 290
ბ. ციხის ჯანდაცვის სამსახურის როლი არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით 290
გ. ციხის ჯანდაცვის სამსახურის სხვა ასპექტები. 292
5. **წპკ**-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები. 293

დანართი I:
წპკ-ს რეკომენდაციების ჩამონათვალი, კომენტარები და ინფორმაციის მოთხოვნა. 296

დანართი II:
ეროვნული ხელისუფლების იმ ორგანოების ჩამონათვალი, რომლებთანაც წპკ-ს დელეგაციას ჰქონდა კონსულტაციები.. 299

წპკ-ს ანგარიშის გადაცემის წერილი

ბატონი გიგი ხოჯევანიშვილი
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტროს
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
ალექსანდრე ყაზბეგის 42
2013 წლის 21 მარტი, სტრასბურგი

ბატონო გიგი,
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1 პარაგრაფის შესაბამისად, თანდართული ანგარიში საქართველოს მთავრობისათვის, რომელიც შეადგინა წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (შემდგომში: **წპკ**), 2012 წლის 19-23 ნოემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ. კომიტეტმა ანგარიში მიიღო მე-80 სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 2013 წლის 8-14 მარტს.

კომიტეტის მიერ შემუშავებული სხვადასხვა რეკომენდაციები, კომენტარები და ინფორმაციის მიწოდებაზე მოთხოვნები ჩამოყალიბებულია I დანართში. რაც შეეხება უფრო კონკრეტულად კომიტეტის <u>რეკომენდაციებს</u>, კონვენციის მე-10 მუხლის გათვალისწინებით, კომიტეტი სთხოვს საქართველოს მთავრობას, **სამი თვის განმავლობაში** მიაწოდოს პასუხი რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებულ ყველა ღონისძიებების შესახებ. კომიტეტი იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობისათვის შესაძლებელი იქნება, აღნიშნულ პასუხში მოიცვას წინამდებარე ანგარიშში ჩამოყალიბებულ კომენტარებზე მთავრობის მხრიდან განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია, ისევე როგორც პასუხი მოთხოვნილ ინფორმაციაზე.

პასუხის ქართულ ენაზე გადაგზავნის შემთხვევაში, კომიტეტი გთხოვთ, რომ მას თან ახლდეს ინგლისურენოვანი ან ფრანგულენოვანი თარგმანი.

თქვენს განკარგულებაში ვარ, თუ რაიმე შეკითხვა გექნებათ კომიტეტის ვიზიტის ანგარიშთან ან შემდგომ პროცედურებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ლატიფ ჰუსეინოვი
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების
შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო
ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი

I. შესავალი

ა. ვიზიტის თარიღები და კონტექსტი და დელეგაციის შემადგენლობა

1. წამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად (შემდგომში ხსენებული, როგორც ,,კონვენცია"), კომიტეტის დელეგაცია საქართველოს ეწვია 2012 წლის 19-23 ნოემბერს.[149] ვიზიტი იყო ერთ-ერთი, რომელიც კომიტეტმა განახორციელა ,,საჭირო გარემოებებიდან გამომდინარე" (იხ. კონვენციის მე-7 მუხლი, 1 პარაგრაფი).

2. 2012 წლის 18 სექტემბერს, საჯარო სივრცეში განთავსდა <u>ვიდეომასალა</u>, რომელიც შეიცავს თბილისის (გლდანი) სასჯელაღსრულების 8 დაწესებულების პატიმართა არასათანადო მოპყრობის (მათ შორის სექსუალური ძალადობის) ამსახველ სცენებს.[150]

2012 წლის 19 სექტემბრის განცხადებაში, საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ „ისინი, ვინც ორგანიზება გაუკეთა, ჩაიდინა და დაუშვა ამ დანაშაულების ჩადენა, დაისჯებიან სასტიკად" და რომ ამგვარი ქცევა არ იქნება შეწყნარებული. კომიტეტი მიესალმება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე გაკეთებულ ამგვარ განცხადებას.

იმავე დღეს, საქართველოს პროკურატურამ განაცხადა, რომ დაიწყო გამოძიება გლდანის თანამშრომელთა მიერ პატიმართა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]მუხლის (წამება) და 144[3]მუხლის (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მიხედვით, და რომ თბილისის სასჯელაღსრულების 8 დაწესებულების 10-ზე მეტ თანამშრომელს უკვე წაეყენა ბრალი აღნიშნული მუხლების შესაბამისად. პროკურატურის განცხადების თანახმად, გამოძიება მიმდინარეობდა ეჭვმიტანილთა გამოვლენის მიზნით.

3. 2012 წლის 20 სექტემბერს, კომიტეტის პროცედურული წესების[151] 28-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, **წპკ**-მ გაუგზავნა წერილი საქართველოს ხელისუფლებას. კომიტეტმა გამოხა-

149 წპკ-მ საქართველოში ადრე განახორციელა ოთხი პერიოდული ვიზიტი (2001 წლის მაისში; 2003 წლის ნოემბერში/2004 წლის მაისში; 2007 წლის მარტში/აპრილში და 2010 წლის თებერვალში), ისევე როგორც აფხაზეთში, საქართველო 2009 წლის აპრილში/მაისში. ანგარიშების აღნიშნული ვიზიტების თაობაზე და საქართველოს ხელისუფლების პასუხები ხელმისაწვდომია კომიტეტის ვებსაიტზე (http://www.cpt.coe.int).
150 იხილეთ, მაგალითად, www.civil.ge/eng/article.php?id=25220.
151 აღნიშნული დებულების გამოყენება სახელმწიფოსათვის ცხადყოფს, რომ წპკ განიხილავს ვიზიტის განხორციელების საკითხს.

ტა ღრმა შეშფოთება აღნიშნულ ვიდეო მასალასთან დაკავშირებით, ამ კონტექსტში მოიხსენია, რომ 2010 წლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიშში კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლების ყურადღება მიაპყრო იმ დარღვევებზე, რომლებიც მათ მიიღეს თბილისის (გლდანი) სასჯელაღსრულების 8 დაწესებულების პატიმართა არასათანადო მოპყრობის შესახებ და რეკომენდაციები მისცა მას, რომ განხორციელებულიყო სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოუყენებლობასა და ამგვარი ქმედებების ჩაუდენლობას.[152]

2012 წლის 27 სექტემბრისათვის **წპკ**-მ მოითხოვა გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი, არასათანადო მოპყრობის ხსენებულ საქმეებთან დაკავშირებით, წინასწარი გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება, მათ შორის, სასამართლო ექსპერტიზის მოხსენების ასლები. კომიტეტმა ასევე მოითხოვა სრული ანგარიშის მიწოდება თბილისის 8 ან სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში მსგავსი დარღვევების განმეორების პრევენციის მიზნით, სხვა განხორციელებული ან გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.

4. **წპკ**-ს წერილზე საქართველოს მთავრობის პასუხი მიღებულ იქნა 2012 წლის 27 სექტემბერს. საქართველოს მთავრობამ ასევე გამოიყენა ეს შესაძლელობა მიეწვია კომიტეტი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარების შესახებ უმაღლეს დონეზე სასაუბროდ. 2012 წლის 5 ოქტომბრის წერილით, **წპკ**-მ მიიღო მოწვევა; მაგრამ, დაამატა, რომ იმ დროისათვის არსებული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე,[153] უმაღლესი დონის მოლაპარაკებების გამართვის თარიღების შეთანხმებამდე უმჯობესი იქნებოდა მოცდა.

5. 2012 წლის 5 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებისათვის გაგზავნილი წერილით, კომიტეტმა აცნობა მას თავისი განზრახვის შესახებ, განახორციელოს საქართველოში ვიზიტი 2012 წლის 19 ნოემბერს. ვიზიტი დაიწყო საქართველოს ხელისუფლებასთან (ხელისუფლების წევრებთან მოლაპარაკებებით) <u>უმაღლესი დონის მოლაპარაკებებით.</u> მოლაპარაკებების მიზანს წარმოადგენდა მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გამოძიების მიმდინარეობის (მსვლელობის) საკითხისა (საკითხთა) და სხვა დამატებითი ზომების განხილვა, რომლებიც მიზნად ისახავს ინსტიტუტებში (დაწესებულებებში) არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციას. გარდა ამისა, **წპკ**-ს წარმომადგენლებმა მოისმინეს (მიიღეს) ინფორმაცია ახალი მთავრობის გეგმების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ციხის სისტემის რეფორმასა და ზოგადად სისხლის სამართლის სისტემის რეფორმასთან.

უმაღლესი მოლაპარაკებების შემდეგ, კომიტეტის დელეგაციამ განიხილა <u>გლდანის 8 სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში</u> მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტები.[154]

6. ვიზიტი განახორციელეს **წპკ**-ს შემდეგმა წევრებმა:

- ლატიფ ჰუსეინოვი, **წპკ**-ს პრეზიდეტნი (დელეგაციის ხელმძღვანელი)
- ჰარიტინი დიპლა, **წპკ**-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი
- ჯორჯ ალემპიევიჩი
- კელსო დას ნევეს მანატა
- მარჟენა კსელ
- ანა რაქუ

დელეგაციას თან ახლდა **წპკ**-სამდივნოს განყოფილების ხელმძღვანელი ბ-ნი ბორის ვოდსი.

დელეგაციის ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ:

- ლალი დუგლას-ჰემილტონი (თარჯიმანი)
- თამრიკო მიქაძე (თარჯიმანი)
- მარა წაქაძე (თარჯიმანი)

ბ. დელეგაციის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და მიღებული თანამშრომლობა

7. უმაღლესი დონის მოლაპარაკებების ფარგლებში, **წპკ**-ს დელეგაციამ ჩაატარა კონსულტა-

152 იხილეთ CPT/Inf (2010) 27-ის 49-ე და 50-ე პარაგრაფები.
153 საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემდეგ, რომელიც ჩატარდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, ახალი მთავრობა კვლავ ყალიბდება.
154 იხილეთ მე-17 პარაგრაფი.

ციები იუსტიციის მინისტრთან, ქალბატონ თეა წულუკიანთან, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან, ბატონ სოზარ სუბართან და საქართველოს მთავარ პროკურორთან, ბატონ არჩილ კბილაშვილთან.

გარდა ამისა, დელეგაციამ დისკუსია გამართა სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელთან, ქალბატონ ტატა ხუნწარიასთან, სახალხო დამცველის ოფისის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან.[155] ასევე, დელეგაციამ ცალკე შეხვედრები გამართა ეკა ბესელიასა და ჩიორა თაქთაქიშვილთან, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილესთან.

წპკ მადლიერია აღნიშნული პირების მიერ დელეგაციისათვის დათმობილი დროისა და შეხედულებების კონსტრუქციულად გაცვლისათვის.

იმ პირთა სრული სია, რომლებთანაც ჩატარდა კონსულტაციები ვიზიტის განმავლობაში მოცემულია ანგარიშის II დანართში.

8. <u>ვიზიტის განმავლობაში მიღებული თანამშრომლობა</u> - ადგილობრივი ხელისუფლებისგან და გლდანის 8 სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულების მენეჯმენტისა და თანამშრომლებისგან იყო მაღალი სტანდარტის. კონვენციის დებულებათა შესაბამისად, დელეგაციას ჰქონდა დაუყოვნებელი წვდომა ადგილებთან, რომლებსაც ეწვივნენ და შესაძლებლობა განცალკევებით ესაუბრათ თავისუფლებააღკვეთილ პირებთან. გარდა ამისა, დელეგაციას ჰქონდა წვდომა ყველა საჭირო დოკუმენტთან.

განსაკუთრებული მადლობა გიგი ხოჯევანიშვილს, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს, **წპკ**-ს ლიაიზონი ოფიცერს.

9. როგორც კომიტეტმა ცხადყო წარსულში, თანამშრომლობის პრინციპი ლიმიტირებული არ არის გადადგმული ნაბიჯებით, რომელიც მიზნად ისახავს დავალება გაუადვილოსვიზიტის განმახორციელებელ დელეგაციას. ის ასევე მოითხოვს, რომ კომიტეტის რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები. ამ თვალსაზრისით, კომიტეტი გამოთქვამს მწუხარებას და აღნიშნავს, რომ 2010 წლის ვიზიტის შემდეგ შემუშავებული რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია საქართველოს ციხის სისტემასთან დაკავშირებით (კერძოდ, რეკომენდაციები, რომლებიც ეხება გადატვირთულობას, ციხეში მყოფ პირთათვის ღონისძიებათა პროგრამასა და ციხის ჯანდაცვის სამსახურს) დარჩა განუხორციელებელი.

მაღალი დონის მოლაპარაკებების ფარგლებში, რომელიც გაიმართა ვიზიტის დროს, საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა ინფორმაცია მთელი რიგი ამბიციური ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს ციხის გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრას.[156] თუმცა, <u>ღონისძიებებმა ასევე უნდა გადაჭრას ორი სხვა ზემოაღნიშნული საკითხი, წინამდებარე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.</u>

II. ვიზიტის დროს აღმოჩენილი ფაქტები და შეთავაზებული ქმედებები

ა. <u>პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიება</u>

10. როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ დროებითი ვიზიტის განხორციელებისა და,განსაკუთრებით, უმაღლესიდონის მოლაპარაკებების წარმოებისა,**წპკ**-სთვის იყო მოეპოვებინა განახლებული ინფორმაცია გამოძიების შესახებ იმ საქმეების თაობაზე, რომელიც მოიცავს პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, რომელიც დაიწყო მე-2 პარაგრაფში აღნიშნული ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ. აღნიშნული წარმოადგენდა ბატონ არჩილ კბილაშვილთან კომიტეტის წარმომადგენლების შეხვედრის მთავარ საგანს.

11. ბატონმა კბილაშვილმა შეხვედრა დაიწყო იმის ხაზგასმით, რომ 2012 წლის 31 ოქტომბერს მისი დანიშვნის შემდეგ, მან მოუწოდა ყველა პირს, რომელიც თავს მიიჩნევდა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლად, წარედგინა <u>საჩივარი</u> საქართველოს მთავარ პროკურატურაში. **წპკ**-ს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროისათვის (2012 წლის 19 ნოემბერი), მიღებული იყო დაახლოებით 3000 ამგვარი საჩივარი, აქედან 50%-ზე მეტი თვალნათლივ ეხებოდა პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობას (განსაკუთრებით გლდანის და ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში). ბატონმა კბილაშვილმა დაამატა, რომ მის ოფისში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებიდან გამომდინარე,[157] აღნიშნული საჩივრების განხილვას სავარაუდოდ დაჭირდებოდა გარკვეული დრო. **<u>წპკ-ს სურს ინფორმირებული იყოს აღნიშნული საჩივრების გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე, რამდენადაც ისინი დაკავშირებულია თავისუფლებააღკვეთილი პირების სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან. კომიტეტს ასევე სურს დროულად იყოს ინფორმირებული ნებისმიერი ოიციალური დაწყებული გამოძიების შედეგების თაობაზე, მათ შორის გამოყენებული სისხლის სამართლებრივი და/ან დისციპლინური სანქციების შესახებ.</u>**

155 რომელიც ასრულებს ეროვნული პრევენციული მექანიზმის ფუნქციას OPCAT-ის შესაბამისად.

156 ვიზიტის დროს, საქართველოში დაფიქსირდა ევროპაში მე-2 პატიმართა რაოდენობის უმაღლესი მაჩვენებელი (473 პატიმარიყოველ 100,000 ეროვნულ მოსახლეზე). 2012 წლის ოქტომბრის მონაცემები, წყარო: ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრი, www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb country.php?country=122.

157 უმაღლესი დონის მოლაპარაკებების დროს, მთავარი პროკურატურის თბილისის სათავო ოფისში დასაქმებული იყო 14 გამომძიებელი და სხვა 43 რეგიონებში. გეგმა იყო დროის მოკლე მონაკვეთში თბილისში სამუშაოდ მოეწვიათ კიდევ 11 გამომძიებელი და დამატებით 10 გამომძიებელი საშუალო ვადაში (ისე რომ სათავო ოფისში მომუშავე გამომძიების რაოდენობას მიეღწია) 35-მდე).

12. უფრო კონკრეტულად, გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა საავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამომძიებასთან დაკავშირებით, ბატონმა კბილაშვილმა დაადასტურა, რომ გამომძიება მიმდინარეობს და 12 პირი, რომლებიც დაკავებულ იქნენ გამომძიებასთან დაკავშირებით (მათ შორის, გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულების ყოფილი დირექტორი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვამაღალი თანამდებობის პირები) ყველანი რჩბოდნენ პატიმრობაში.[158] როგორცმან აღნიშნა, დადგინდა, რომ გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან პატიმართა არასათანადო მოპყრობის ფაქტები წარმოადგენდა ,,ყოველდღიურ, სისტემატურ პრაქტიკას". ყველაჩართული პირი-თანამშრომლები ისევე, როგორც პატიმრები უკვე გამოკითხულნი იყვნენ და ყველამ დაადასტურა ეს მტკიცება. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული არასათანადო მოპყრობის ფაქტების მიზანი იყო პატიმართა მორჩილების მოპოვება ციხის ადმინისტრაციასთან მიმართებით და მათთან თანამშრომლობის სარწმუნოება, ისევე როგორც პატიმართა არაფორმალური ძალოვანი სტრუქტურების რაიმე გავლენის განადგურება. ბატონმა კბილაშვილმა განაცხადა, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების უმრავლესობას ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლიდან ცოტა ხანში (როგორც წესი იმ დღეს, როცა პატიმარი ,,კარანტინის" საკნიდან გადადიოდა ჩვეულებრივ სამყოფელში) და 40 წლამდე ასაკის პატიმრები წარმოადგენდნენ განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას.

13. შეგროვებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, **ნპკ**-ს წარმომადგენლებს ბატონმა კბილაშვილმა აცნობა, რომ მისი სამსახურის განზრახვა არ იყო დაეყრდნოს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს და ბრალდებულის განცხადებებს. კომიტეტის წარმოამდგენლებთან მის შეხვედრამდე ცხრა სასამართლო ექსპერტიზის მოხსენებაზე გაკეთდა მოთხოვნა. ერთმა საავარაუდო მსხვერპლმა უარი თქვა სასამართლო სამედიცინო შემოწმების გავლაზე, ერთი სასამართლო სამედიცინო დასკვნა უკვე იყო შედგენილი, ხოლო შვიდი იყო მომზადების პროცესში. **ნპკ**-ს სურს, რომ უზრუნველყონ რვავე სასამართლო ექსპერტიზის მოხსენების ასლებით უახლოეს შესაძლო ვადაში.

14. **ნპკ-ს** წარმომადგენლებს შესთავაზეს შესაძლებლობა, განეხილათ აღნიშნული გამოძიებების მიმდინარეობა უშუალოდ იმ უფროს გამომძიებლებთან, რომლებიც მუშაობენ ამ საკითხებზე. მათ აცნობეს **ნპკ**-ს წევრებს, რომ გლადნის საქმესთან დაკავშირებული მასალები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამხარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გადაიგზავნა მთავარ პროკურატურაში 2012 წლის სექტემბრის ბოლოს. აღნიშნული მასალების მიხედვით გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები, მათ შორის ბატონი ვლადიმერ ბედუკაძე,[159] აწამებდნენ და სასტიკად არასათანადოდ ეპყრობოდნენ პატიმრებს.

რაც შეეხება თავად ვიდეომასალებს, გამომძიებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათი შეხედულებით იქ იყო სამი კატეგორიის ვიდეოები. ვიდეომასალის ერთი ნაწილი ეხებოდა არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, რომელსაც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადგილი ჰქონდა 2011 წლის განმავლობაში. მეორე ნაწილმა (დათარიღებული 2012 წლის აგვისტომდე), საავარაუდოდ, აჩვენა პატიმართა არასათანადო მოპყრობის ფაქტები ე.წ. ,,კარანტინის დაშლის"[160] დროს, რომლის დროსაც ითქვა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ წარმოგენილნი. მესამე ნაწილი გავრცელებული ინფორმაციით შედგენილია წინა ხელისუფლების მიერ, მას შემდეგ რაც შეიტყვეს მეორე კატეგორიის ვიდეო კადრების არსებობის შესახებ. როგორც გამომძიებლებმა აღნიშნეს, მესამე კატეგორიის ვიდეო კადრების მიზანი (რომელიც ასევე გავრცელებული ინფორმაციით შეიცავდა პატიმართა არასათანადო მოპყრობის სცენებს) იყო შეექმნა შთაბეჭდილება, რომ არასათანადო მოპყრობა წარმოადგენდა იზოლირებულ ინციდენტს, სწრაფად გამოვლენილსა და სათანადოდ გადაჭრილს წინა ხელისუფლების მიერ.[161]

ეს იყო ,,გაყალბებული" კადრები, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით 2012 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მეორე კატეგორიის კადრებამდე რამდენიმე საათით ადრე, გავრცელებული ინფორმაციით ბატონი ბედუკაძისგან წარმოშობილი,[162] გავრცელებულ იქნა ორი სატელევიზიო არხის მეშვეობით (მაესტრო და მე-9 არხი). 2012 წლის 18 სექტემბრის განცხადებაში შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ადგილი ჰქონდა თამაზ თამაზაშვილის წაქეზებისა და გადახდის საფუძველზე[163] (რომელიც შემდეგ იხდიდა სასჯელს გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იარაღის უკანონო ტარებისათვის), ქართული ციხის სისტემისა და ზოგადად ხელისუ-

158 მხედველობაშია მე-13 პირი, რომელმაც მოახერხა ქვეყნის დატოვება და ბრალი წაეყენა დაუსწრებლად, იხილეთ მე-14 პარაგრაფი ქვემოთ.

159 2012 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნებული ვიდეომასალის ავტორი.

160 ესე იგი ყოველკვირეული პრეცედურა ახალად შემოსულ პატიმრის ,,კარანტინიდან" ჩვეულებრივ სამყოფელში გადასვლისას.

161 2012 წლის 21 დეკემბერს, მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითად ხსენებული ,,გაყალბებული" კადრები საჯარო გახდა მაშინდელი იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის (რომელმაც საქართველო დატოვა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მალევე) ბრძანების საფუძველზე. ბატონ ადეიშვილს ბრალი წაეყენა მაშინდელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის ბრძანების მიცემისათვის ორგანიზება მოეხდინა პატიმართა ცემისა და მათი გადაღების. 2012 წლის 29 დეკემბერს, დაუსწრებლად აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბატონ ადეიშვილის წინააღმდეგ ,,პატიმართა არაადამიანური მოპყრობის ორგანიზებასთან", უფლებამოსილების გადაჭარბებასთან, არასათანადო მოპყრობასთან, დანაშაულის პროვოკაციასა და მტკიცებულებების გაყალბებასთან დაკავშირებით.ბატონი ადეიშვილი ამჟამად არის საერთაშორისო დაკავების ორდერის სუბიექტი.

162 ბატონი ვლადიმერ ბედუკაძე დაბრუნდა საქართველოში 2013 წლის იანვარში; თავდაპირველად ის იქნა დაპატიმრებული, ხოლო შემდეგ გაათავისუფლეს გირაოთი.

163 ბატონი თამაზაშვილი იყო კახეთის რეგიონში ყოფილი პოლიციის უფროსი, და ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, ამჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი და შემდეგ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ახლო კომპანიონი (ოპოზიციური კოალიცია ქართული ოცნების ლიდერი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი).

ფლების დისკრედიტაციის მიზნით საპარლამენტო არჩევნების ტურამდე.

15. საქმეში უშულოდ ჩართულმა გამომძიებლებმა **წპკ**-ს წარმომადგენლებს აცნობეს, რომ ახალი მთავარი პროკურორის დანიშვნამდე (2012 წლის 31 ოქტომბერი), გლდანის საქმის საგამოძიებო მოქმედებები ფოკუსირებული იყო სასჯელაღსრულების დაწესებულების ოფიცერთა დაპატიმრებასა და დაკითხვაზე, რომლებიც ჩანდნენ ,,გაყალბებულ" ვიდეომასალებში. გარდა ამისა, მაესტრო TV-სა და მე-9 არხის მიერ მეორე კატეგორიის კადრების გამოქვეყნების შემდეგ, მაღალი რანგის თანამდებობის პირები, რომლებიც ფიგურირებდნენ ვიდეოში დააპატიმრეს, დაკითხეს და ბრალი წაუყენეს. სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც წინ უსწრებდა ბატონი კბილაშვილის მთავარ პროკურორად დანიშვნას, მოიცავდა: არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლების (პატიმართა) დაკითხვა, ყველა ვიდეო კადრის შემოწმება, ხუთი სასამართლო სამედიცინო დასკვნის მოთხოვნა, ისევე როგორც სასამართლო ხმის მოთხოვნა (,,ფონოსკოპური ექსპერტიზა").

16. ბატონი კბილაშვილის დანიშვნის შემდეგ (და საქმის უფროსი გამომძიებლებისათვის გადაცემის შემდეგ, 2012 წლის 5 ნოემბერი), გამოძიების ფოკუსი შეიცვალა. იმ ქმედებებზე დამატებით, რომელიც მიზნად ისახავდა გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენას, საგამოძიებო გუნდმა თავისი ყურადღება გაამახვილა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის პრობლემის ,,სისტემურ" ხასიათზე და წინა ხელისუფლების მიერ ვიდეო მასალის,,გაყალბებაზე".

შედეგად, 2012 წლის 5 ნოემბრის შემდეგ განხორციელებული აქტიური საგამოძიებო ქმედებები არსებითად შედგებოდა ოთხი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირთა დაკითხვისგან, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ვიდეო კადრების გაყალბება, და მცდელობებისაგან იდენტიფიცირება მომხდარიყო დამატებითი პირებისა მეორე კატეგორიის ვიდეომასალაში (ფონოსკოპური და სახის ექსპერტიზის მეშვეობით). სხვა მცდელობები მიმართული იყო დაედგინათ ხსენებული თანამდებობის პირები ჩართულები იყვნენ თუ არა სხვა უკანონო ქმედებებში, მასშტაბურობის და სისტემატურობის დამტკიცების მიზნით.

ერთმა უფროსმა გამომძიებელმა აღნიშნა, რომ გლდანის საქმესთან დაკავშირებული სისხლის სამართლის გამოძიებათითქმის დასრულებულია. მოსალოდნელი იყო, რომ საბრალდებო ოქმები დაკავშირებული ვიდეო კადრების ცალკეულ ეპიზოდთან სასამართლოს წარედგინებოდა 2013 წლის იანვრის პირველ ნახევარში, მაშინ როცა გამოძიება პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის სისტემურ ხასიათზე და მაღალი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გაგრძელდებოდა შემდეგ. **წპკ**-ს სურს მიიღოს განახლებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე (როგორც ნაჩვენებია 2012 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნებულ ვიდეო კადრებში), ისევე როგორც გამოძიების სხვა ასპექტებზე.

17. ბატონ კბილაშვილთან და პასუხისმგებელ უფროს გამომძიებლებთან შეხვედრის დროს, **წპკ**-ს წარმომადგენლები ასევე დაინტერესდნენ <u>სახელმწიფო გამოძიებით იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელსაც აშკარად ადგილი ჰქონდა ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში</u>.[164] **წპკ**-ს თანამოსაუბრეებმა დააასტურეს ინფორმაცია (უკვე მოცული 2012 წლის 27 სექტემბრის წერილში), რომ დაკავებულ იქნენ და სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 (წამება) და 144^3 მუხლების (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) შესაბამისად ბრალი წაეყენათ ზემოხსენებული დაწესებულების თანამშრომელთა ოთხ უმაღლეს წევრს (მათ შორის ყოფილ დირექტორს). თუმცა, ვინაიდან საქმის გამოძიებას აწარმოებდა დასავლეთ საქართველოს პროკურატურა, პასუხისმგებელ უფროს გამომძიებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა კომიტეტის წარმომადგენლები უზრუნველეყოთ რაიმე სახის დეტალური ინფორმაციით (გარდა დადასტურებისა, რომ 2012 წლის 27 სექტემბრიდან სხვა დამატებით პირებს არ წარდგენიათ ბრალი ამ საქმესთან დაკავშირებით).

<u>წპკ-ს სურს მიიღოს განახლებული ინფორმაცია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით (მათ შორის ფაქტების შეჯამება და იმ დროისათვის განხორციელებული ყველა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ისევე როგორც დროულად გამოძიებისა და სხვა სისხლის სამართლებრივი ან დისციპლინური სანქციების შესახებ ინფორმაცია.</u>

18. უფრო ზოგადი შენიშვნის სახით, კომიტეტს არ შეუძლია გაექცეს შთაბეჭდილებას, რომ 2012 წლის 5 ნოემბრიდან, გლდანის მოვლენების გამოძიებაზე პასუხისმგებელის შეცვლის შემდეგ, კომპეტენტური სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო უფრო მეტად ფოკუსირებულია <u>პატიმართა არასათანადო მოპყრობის ,,სისტემატური" ხასიათის თეზისის</u> და <u>ვიდეო კადრების ,,გაყალბების"</u> მტკიცებაზე (და, შესაბამისად, ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე), ვიდრე პირველად დაადგინოს მოხდა თუ არა და თუ მოხდა, რა კონკრეტულ ფიზიკურ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ჰქონდა რეალურად ადგილი გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. **წპკ** მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებას.

19. ბატონმა კბილაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიზანია მიიღოს მაქსიმალურად გამჭვირვალე დამოკიდებულება და ჰქონდეს კომუნიკაცია საჯარო და სამოქალაქო საზოგადოებასთან აღნიშნული გამოძიების დროს.

164 მოხსენიებული წპკ-სთვის საქართველოს ხელისუფლების წერილში, დათარიღებული 2012 წლის 27 სექტემბრით.

ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 24 სექტემბერს, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეულმა ჯგუფმა[165] გააკეთა ერთობლივი განცხადება, რომელშიც *მათ შორის* საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა დაენიშნათ ერთი უფროსი პროკურორი – მთავარი პროკურატურიდან, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე. ამგვარ პროკურორს, რომელიც ისარგებლებდა ,,საზოგადოების მაღალი ნდობით", ეფექტური გამოძიების საწარმოებლად მის განკარგულებაში გადაეცემოდა ყველა საჭირო იურიდიული, ადამიანური და ტექნიკური რესურსი. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში იყო ასევე შეთავაზება, რომ სამოქალაქო საზოგადოებას უნდა მისცემოდა შესაძლებლობა წარედგინათა კანდიდატურა აღნიშნულ პოზიციაზე.

უფრო მეტიც, ,,გამოძიების პროცესში, ისევე როგორც მონიტორინგში საზოგადოების მაღალ დონეზე ჩართულობის უზრუნველსაყოფად", არასამთავრობო ორგანიზაციებმა მთავარ პროკურატურას შესთავაზეს საბჭოს შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა შესაბამისი პროფესიონალებით - იურისტებით, ექიმებითა და ფსიქოლოგებით. საბჭოს წევრები აწარმოებდნენ პატიმართა გამოკითხვებს საქართველოს მასშტაბით, შეეგროვებდნენ და უზრუნველყოფდნენ მტკიცებულებათა წარდგენას პროკურორისთვის და მეთვალყურეობას გაუწევდნენ მთელი გამოძიების პროცესს. გარდა ამისა, ორგანიზაციებმა რეკომენდაცია მისცეს პროკურატურას, რომ საზოგადოება მუდმივად და აქტიურად ყოფილიყო ინფორმირებული გამოძიებასთან დაკავშირებით.[166]

წპკ-ს სურს მიიღოს არასამთავრობო ორგანიზაციების აღნიშნულ შეთავაზებაზე საქართველოს ხელისუფლების შენიშვნები.

ბ. ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაზე

20. როგორც მე-5 პარაგრაფში აღინიშნა, 2012 წლის საქართველოში დროებითმა ვიზიტმა **წპკ**-ს მისცა შესაძლებლობა გაცნობოდა ახალი კომპეტენტური ხელისუფლების გეგმებს სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაციის მოწოდება უზრუნველყო საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, ბატონმა სოზარ სუბარმა, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკა ბესელიამ.

21. საქართველოს ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ აღიარებულ პრიორიტეტს წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი ამნისტია. ეს ძირითადად გამართლებული იყო ქვეყანაში არსებული პატიმართა დიდი რაოდენობით,[167] ისევე როგორც სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პირობებით, რომელშიც სასჯელს იხდიდნენ პატიმრები და რომელიც, ახალი მთავრობის თვალსაზრისით, უტოლდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივასა და შემდგომ უწყებათაშორის კონსულტაციებს მოჰყვა 2012 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ ამნისტიის აქტის მიღება, რომლიც ძალაში შევიდა 2013 წლის 12 იანვარს. აქტი ითვალისწინებს რამდენიმე ფორმის ამნისტიას, როგორებიცაა გათავისუფლება, სასჯელის განახევრება ან შემცირება ერთი მესამედით ან ერთი მეოთხედით (დანაშაულის კატეგორიისა და პატიმრის ქცევის მიხედვით). ამნისტია ეხება იმ პირებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 2012 წლის 2 ოქტომბრამდე. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს გაანგარიშების მიხედვით, ამნისტია შეეხებოდა ერთჯერადად ან სხვა 17,000 პირს.[168]

22. ეჭვგარეშეა, რომ ამნისტიის აქტს (სხვა ღონისძიებებთან ერთად, როგორებიცაა საპრეზიდენტო შეწყალება და პირობით გათავისუფლება) უკვე ჰქონდა ძალიან დადებითი გავლენა საქართველოს პენიტენციურ სისტემაზე, მიაღწია რა პატიმართა რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას. მაგრამ, **წპკ**-ს არ შეუძლია მიესალმოს ამგვარ თამამ ღონისძიებებს, რომელიც გამართლებული იყო სერიოზული დონის ციხის გადატვირთულობის მოტივით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გადატვირთულობისა და პატიმართა რაოდენობის ზრდის პრობლემა არ შეიძლება გადაჭრილ იქნას ყოვლისმომცველი და მტკიცე გზით, ასეთი განსაკუთრებული ზომების გამოყენების მეშვეობით.

სიჩქარეს, რომლითაც განხორციელდა ამნისტია და გათავისუფლებისათვის მოუმზადებლობას, შესაბამისი მხარდამჭერი სტრუქტურების ნაკლებობასთან ერთად, განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები, თან ახლავს რისკი, დროის მოკლე მონაკვეთში გათავისუფლებულ პირთა დიდი რაოდენობით უკან ციხეში დაბრუნებისა.[169]

165 მათ შორის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ციხის საერთაშორისო რეფორმა, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, ემპათია, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი და ადამიანის უფლებათა ცენტრი.

166 აღნიშნული შეთავაზებები განმეორდა სხვა განცხადებებში, რომელიც გამოიცა 2013 წლის 4 თებერვალს, რომელშიც იგივე არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ,,მიუხედავად გამოძიებასთან დაკავშირებით არსებული უჩვეულოდ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, არ გადაიდგა სათანადო ნაბიჯები. გამომძიებლებს არ დაუწყიათ პატიმართა აქტიური დაკითხვები ინფორმაციის შეგროვების მიზნით და საზოგადოება არ არის სათანადოდ ინფორმირებული გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე.

167 როგორც ბატონმა სუბარმა აღნიშნა, 2011 წლის ბოლოსთვის ქართველ პატიმართა რაოდენობამ მიაღწია 25,000–ს. მას შემდეგ რაოდენობა შემცირდა, თუმცა კვლავ რჩება ძალიან მაღალი. წპკ-ს ვიზიტის დროს პატიმართა რიცხი იყო 21,000.

168 2013 წლის 21 თებერვლისთვის, ამნისტიის აქტის თანახმად გათავისუფლებულ იქნა 7,688 პირი, მათ შორის 304 ქალი.

169 მითითება უნდა გაკეთდეს საქართველოს ხელისუფლების განცხადებაზე, რომ არ დაუშვებს ქვეყანაში კრიმინალური სიტუაციის გაუარესებას.

წპკ-ს სურს გაიმეოროს თავისი შეხედულება, რომ პატიმრების რაოდენობის მდგრადი შემცირების სტრატეგია უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ნაბიჯს, რათა უზრუნველყოფილ იქნასპატიმრობის გამოყენება, როგორც უკანასკნელი ზომა. ეს გულისხმობს, უპირველს ყოვლისა, არასაპატიმრო ღონისძიებების ხაზგასმას სასჯელის დაკისრებამდე და ალტერნატიული საპატიმრო ღონისძიებების ხელმისაწვდომობასსასამართლო სისტემაში, განსაკუთრებით ნაკლებად სერიოზული საქმეების შემთხვევაში, წახალისებასთან ერთად გამოყენებულ იქნას ეს არჩევანი. გარდა ამისა, ზომების მიღებამ, რომლთა მიზანია ხელი შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილი პირების საზოგადოებაში რეინტეგრაციას, უნდა შეამციროს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რაოდენობა.

23. საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა **წპკ**-ს დელეგაციას დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, რომელიც განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა დაეხმაროს ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევას, რომელიც გულისხმობს პატიმართა რაოდენობის მდგრად შემცირებას.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება, ქალბატონი წულუკიანის განცხადებით, იქნება სისხლის სამართლის კოდექსიდან „შეკრებითობის" (კუმულატიური) სასჯელის პრინციპის ამოღება, რომელიც შემოღებულ იქნა 2004 წელს და წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გადატვირთულობის ერთ-ერთ მიზეზს.[170] იუსტიციის მინისტრის განცხადების თანახმად, დაწესდებოდა სასჯელის შთანთქვის წესი. გარდა ამისა, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდებოდა რეტროაქტიული ეფექტის მისაცემად, რათა აღნიშნული წესი გავრცელებულიყო ყველა პატიმარზე ვინც ამჟამად სასჯელს იხდიდა. შედეგად, ბევრი პატიმარი, განსაკუთრებით ახალგაზრდები გათავისუფლდებოდნენ.

სხვა ინიციატივა, რომლის შესახებაც ისაუბრა ბატონმა სუბარმა, იყო ადრეული პირობითი გათავისუფლების მექანიზმის შეცვლა. წინათ, პირობით გათავისუფლების საბჭო იკრიბებოდა თვეში ერთხელ, განიხილავდნენ 30-დან 40-მდე განცხადებას. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამხარების საკითხთა მინისტრად ბატონი სუბარის დანიშვნის შემდეგ, აღნიშნული საბჭოს ფორმატი შეიცვალა. ამჟამად, საბჭო იკრიბება თვეში ორჯერ და ყოველჯერზე განიხილავს 100-ობით განცხადებას.[171]

გარდა ამისა, ქალბატონმა წულუკიანმა განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ გამოსცეს პროკურორებისათვის სახელმძღვანელო, რომელიც უკეთეს მოტივირებას გაუკეთებს მათ მოთხოვნებს. სასამართლოს მიმართ გამოყენებულ იქნას წინასწარი პატიმრობის პრევენციული ზომები და უფრო ხშირად მოთხოვნები გაკეთდეს არასაპატიმრო პრევენციულ ღონისძიებებზე (როგორიცაა გირაო და პირადი თავდებობა); მან ასევე დაგეგმა ეთხოვა კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლებისათვის მსგავსი ტიპის სახელმძღვანელოების გამოცემა მოსამართლეთათვის.

წპკ მიესალმება აღნიშნულ გეგმებს და **თხოვს საქართველოს ხელისუფლებას აცნობოს მას აღნიშნულის იმპლემენტაციის თაობაზე. ამ თვალსაზრისით, მითითება უნდა გაკეთდეს 2010 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშის 47-ე პარაგრაფზე (CPT/Inf (2010) 27)[172]. რეკომენდაცია Rec(2010)1 ევროპის საბჭოს პრობაციის წესებზე, ასევე უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.**

24. ციხის შენობასთან/ქონებასთან დაკავშირებით, ბატონმა სუბარმა აცნობა დელეგაციას, რომ ლაითურის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ამჟამად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია) გადაკეთდებოდა ზოგადი-რეჟიმის დაწესებულებად, მოკლე და საშუალო ვადით განსათავსებლად და მისი განსაზღვრული მოცულობა შემცირდებოდა 4,300-დან 1,2000 ადგილამდე. იმ დროისათვის არ იყო შესაძლებელი თქმა ზუსტად როდის დასრულდებოდა მშენებლობა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრმა ასევე ისაუბრა ღია ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებების[173] აშენების გეგმებზე და შერეული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შექმნის თაობაზე გლდანში 100 ადგილით. **წპკ** სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას უზრუნველყოს ის დროულად, უფრო დეტალური ინფრმაციით, ამ გეგმების თაობაზე და კერძოდ, მომავალ ლაითურის სასჯელაღსრულების დაწესებულების შესახებ (მოცულობა, გეგმა, საქმიანობა, თანამშრომლები, ექსპლოატაციის მოსალოდნელი თარიღი და ა.შ). გარდა ამისა, ბათუმისა და ზუგდიდის სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან მიმართებით 2004 და 2007 წლებში განხორციელებული ვიზიტების[174] შესახებ ანგარიშში გაკეთებული კრიტიკული კომენტარების გათ-

170 აღნიშნული წესი კომიტეტმა გააკრიტიკა 2010 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშის 46-ე პარაგრაფში (CPT/Inf (2010) 27.

171 აღნიშნული ცვლილების საილუსტარციოდ ბატონმა სუბარმა აღნიშნა, რომ მხოლოდ 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე პერიოდში 400-მდე პატიმარს მიენიჭა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება. გარდა ამისა, იმ პირებს, რომელთა განცხადებებიც უარყოფილ იქნა, ახლა შეუძლიათ გაასაჩივრონ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების კომისიაში, რომელიც სამინისტროს, სამოქალაქო საზოგადოების, იუსტიციის უმარლესი საბჭოს და ადგილობრივი თვითმმართველობის (as in the lower-level Councils) წარმომადგენლების გარდა შედგება პარლამენტის ორი წევრისაგან (ერთი უმრავლესობისგან; მეორე ოპოზიციისგან).

172რეკომენდაციაიკითხებაშემდეგნაირად:„წპკმოუწოდებსსაქართველოსხელისუფლებასგააორმაგოსთავისიმცდელობაიბრძოლოსსასჯელაღსრუელბის დაწესებულებების გადატვირთულობის წინააღმდეგ პოლიტიკის მიღების მეშვეობით, რომელიც მიზნად ისახავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაგზავნილ პატიმართა რაოდენობის ლიმიტირებას ან მოდულაციას. ასეთ მემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(99)22 რეკომენდაციით, რომელიც ეხება სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გადატვირტულობასა და პატიმართა ინფლაციას, Rec(2000)22 რეკომენდაციით საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების შესახებ ევროპული წესების იმპლემენტაციის გასაუმჯობესებლად, Rec(2003)22 რეკომენდაციით პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების (შეწყალების) შესახებ და Rec(2006)13 რეკომენდაციით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ.გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს მცდელობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსამართლეთა და გამომძიებელთა დატრენინგება, პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, უფრო მეტად უნდა გამოიყენებოდეს პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება."

173 ეს პირველ რიგში მოითხოვს პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანას.

174 იხილეთ CPT/Inf (2005) 12-ის 76-ე და 82-ე პარაგრაფებიდა CPT/Inf (2007) 42-ის 66-ე და 75-ე პარაგრაფები.

ვალისწინებით, კომიტეტს სურს არსებული საქართველოს ხელისუფლებისაგან მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულებების მომავალთან დაკავშირებული გეგმების თაობაზე.[175]

25. უფრო ზოგადად, **ნპკ**-ს მოსაზრების თანახმად, საქართველოს ხელისუფებამ უნდა გამოიყენოს საპრეზიდენტო შეწყალებებითა[176] და ამინისტიით უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, და შედეგად პატიმართა რაოდენობის შესამჩნევი შემცირება, რათა საბოლოოდ მოახდინოს კომიტეტის გრძელვადიანი რეკომენდაციის იმპლემენტირება, რომელიც ეხება საცხოვრებელი ფართის სამართლებრივ სტანდარტებს თითო პატიმარზე მრავალადგილიან საკნებში. **ნპკ** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაგვიანების გარეშე, განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ისე, რომ თითო პატიმარზე განისაზღვროს არანაკლებ 4მ^2 საცხოვრებელი ფართის სტანდარტი (ტუალეტისათვის გამოყოფილი ადგილის ჩათვლის გარეშე).

26. სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრებსა და ქონებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ან უკვე იმპლემენტირებული ღონისძიებებისგან განსხვავებით, ცოტა გაკეთდა, თუ საერთოდ გაკეთდა, მიზნობრივი პროგრამის, პატიმართათვის კამერის გარე საქმიანობების შემუშავებისთვის. 2012 წლის დროებითი ვიზიტის ფარგლებში ორ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრები (როგორც მსჯავრდებულები, ასევე წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები) დღის უმეტესი ნაწილი ჩაკეტილები იყვნენ თავიანთ კამერებში, იძულებით უსაქმურ მდგომარეობაში. გარე სამყაროსთან კონტაქტისა და კავშირის შეზღუდვასთან ერთად აღებული, ეს წარმოადგენდა რეპრესიულ რეჟიმს.

ნპკ-ს პერიოდული ვიზიტების შესახებ წინა ანგარიშებში უკვე ხაზგასმულია პატიმართა მიმართ განხორციელებული არასაკმარისი ღონისძიებების თაობაზე[177]. **ნპკ კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გადადგას მკვეთრი ნაბიჯები მსჯავრდებულ და წინასწარ პატიმრობაში მყოფ პატიმართათვის ღონისძიებათა პროგრამის განვითარების მიზნით. მათი მიზანს უნდა წარმოადგენდეს პატიმრებისათვის შესაძლებლობის მიცემის უზრუნველყოფა, დღის მნიშვნელოვანი ნაწილი (8 საათი ან მეტი) გაატარონ თავიანთი საკნების გარეთ, ჩაერთონ სხვადასხვა სახის მიზნობრივ საქმიანობაში (სამუშაო, განათლება, სპორტი და ა.შ.) თითოეული კატეგორიის პატიმრის საჭიროებების გათვალისწინებით (ზრდასრული წინასწარი პატიმრობა მისჯილი ან სასჯელდაკისრებული პატიმრების, პირების, რომლებიც იხდიან სასჯელს სიცოცხლის ბოლომდე, ქალი პატიმრების, არასრულწლოვნების და ა.შ.).[178] რაც შეეხება კონკრეტულად მუშაობას, მიდგომა საჭიროებს ფუნდამენტურ ცვლილებებს, პატიმართა სამუშაოს შინაარსზე დაყრდნობით, რომელიც უფრო მეტად მიმართულია რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისაკენ, ვიდრე ფინანსურ მოგებაზე.**

<u>გ. ნპკ-ს დელეგაციის მიერ შეფასებული სიტუაციები ციხეებში, სადაც განხორციელდა ვიზიტები</u>

1. წინასწარი შენიშვნები

27. დელეგაციის ვიზიტი გლდანის (თბილისი) N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და ქუთაისის N2 საჯელაღსრულების დაწესებულებაში იყო მონყვლადი ხასიათის, ვინაიდან იგი უპირატესად ფოკუსირებული იყო არასათანადო მოპყრობის საკითხებზე და დაკავშირებულ საგნებზე, არასათანადო მოპყრობის პრევენციაში ციხის სამედიცინო ჯანდაცვის სამსახურის როლზე. სხვა ასპექტები გადახედილ იქნა ნაკლებად დეტალურად.

გლდანის (თბილისი) N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კომიტეტის პირველი ვიზიტი განხორციელდა 2010 წელს; ამდენად დაწესებულების აღწერილობაზე მინიშნება გაკეთდა ამ ვიზიტის შესახებ ანგარიშის 58-ე და 64-ე პარაგრაფებზე.[179] 2012 წლის დროებითი ვიზიტის პირველ დღეს, დაწესებულებაში (ოფიციალური მოცულობით 3,600, გაანგარიშებული ყოველ პატიმარზე 2.5მ^2 საცხოვრებელი ფართის სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით) იმყოფებოდა 2,846 პატიმარი. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის (და შესაბამისი დოკუმენტაციის) თანახმად, პატიმართა რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას ჰქონდა ადგილი დელეგაციის ვიზიტამდე რამდნეიმე კვირით ადრე.[180]

პატიმართა უმრავლესობას წარმოადგენდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი ზრდასრული მამაკაცები. ასევე, დაწესებულებაში დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ მსჯავრდებული ზრდასრული მამაკაცები (მათი უმრავლესობა არ იყო ცალკე განთავებული წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრებისგან) მათ შორის ყოფილი სამართალდამცავები და პატიმრები ტუბერკულოზით (ორივე აღნიშნული კატეგორია განცალკევებით იყო განთავსებული სხვა დანარჩენი პატიმრებისაგან). გარდა ამისა, დაწესებულებაში დროებით და განცალკევებულ ბლოკში იმყოფებოდა 41 <u>არასრულწლოვანი</u> (14-დან 18 წლამდე ასაკის პირები).[181]

175 წარსულში, საქართვეოლს ხელისუფლებამ განაცხადა გეგმების შესახებ დაეხურა ზუგდიდისა და ბათუმის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, მაშინ როცა ლაითურის სასჯელაღსრულების დაწესებულება შევიდოდა ექსპლუატაციაში.

176 2012 წლის 12 დეკემბრის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის განცხადებით, დაახლოებით 880 პირი იქნა შეწყალებული საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან 2012 წლის დეკემბრის დასაწყისამდე მოცემულ პერიოდში.

177 იხილეთ CPT/Inf (2005) 12)-ის 58-ე პარაგრაფი, CPT/Inf (2007) 42-ის 33-ე პარაგრაფი და CPT/Inf (2010) 27-ის 82-ე პარაგრაფი.

178 ამ თვალსაზრისით , განსაკუთრებული მითითება უნდა გაკეთდეს წევრ სახელმწიფოთათვის 2006 წლის 11 იანვარს მიღებულ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2006)2 რეკომენდაციაზე ევროპული ციხის წესები (შემდგომში მოხსენიებული როგორრც „ევროპული ციხის წესები").

179 CPT/Inf (2010) 27.

180 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში, გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა 3,316 პატიმარი.

181 არასრულწლოვნები გადაყვანილები იყვნენ გლდანში (და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მათ შორის ქუთაისში), მას შემდეგ რაც

ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულება არის შედარებით ახალი (გაიხსნა 2005 წელს) დახურული-რეჟიმის დაწესებულება. სიდიდით საქართველოს მეორე ქალაქში მდებარე დაწესებულებაში, რომელშიც ძირითადად ათავსებენ პატიმრებს ცენტრალური და დასავლეთ საქართველოდან, დელეგაციის ვიზიტის დროს იმყოფებოდა 1,330 პატიმარი შედარებით ოფიციალურ მოცულობასთან, რომლიც არის 1,900. პატიმართა უმრავლესობას წარმოადგენდნენ ზრდასრული მამაკაცები (წინასწარ პატიმრობაში მყოფნი, ისევე როგორც მსჯავრდებულები, მათ შორის ზოგიერთი იხდიდა გრძელვადიან სასჯელს), მაგრამ იქ ასევე განთავსებული იყო ექვსი ქალი[182] ცხრა არასრულწლოვანი (მოთავსებულები იყვნენ ცალკე განყოფილებაში). წინასწარ პატიმრობაში მყოფ 200 პატიმართაგან უმრავლესობა (მაგრამ არა ყველა) განთავსებული იყო მსჯავრდებულ პატიმართაგან განცალკევებით.

წპკ-ს სწამს, რომ პატიმართა რაოდენობის მიმდინარე შემცირება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ხელისუფლებას მიაღწიოს სრულ განცალკევებას წინასწარ პატიმრობაში მყოფ პატიმრებისა და მსჯავდებულ პატიმრებს შორის (იმ ორ დაწესებულებაში, რომელშიც კომიტეტმა განახორციელა ვიზიტები, და საჭიროების შემთხვევაში, სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც) ევროპული ციხის წესების 18.8.ა წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.[183]

2. არასათანადო მოპყრობა

28. სასჯელაღსრულების ორდაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე გამოკითხულმა პატიმრებმა თითქმის არ დააფიქსირეს ბრალდებები სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან რაიმე ახალი[184] სავარაუდო ფიზიკური არასათანადო მოპყრობის ფაქტების თაობაზე[185]. რეალურად, პატიმართა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა, რომ 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ ამ ორ დაწესებულებაში მენეჯმენტისა და თანამშრომელთა მხრიდან (და ზოგადად ატმოსფერო) დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა უკეთესობისაკენ. რამდენიმე პატიმარი ამ ფაქტს უკავშირებდა ორივე სასჯელაღსრულების დაწესებულების მენეჯმენტის შეცვლას, ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ საპატიმრო ოფიცრების გათავისუფლებას[186] ან მათი მოვალეობების შეცვლას (რომლის დროსაც მათ აღარ ჰქონდათ პირდაპირი შეხება პატიმრებთან).

პირიქით, დელეგაციასმიეწოდა დიდი რაოდენობის ინფორმაცია სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, რომელთაც როგორც ითქვა ადგილი ჰქონდა 2012 წლის 18 სექტემბრამდე; სავარაუდოდ, ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების მაგალითები ძირითადად შეესაბამება იმას, რაც უკვე აღნერილია მე-12 პარაგრაფში.[187] ცხადია ეს ბრალდებები საჭიროებს დიდ ყურადღებას და საფუძვლიან განხილვას კომპეტენტური საგამოძიებო და სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელისუფლების მხრიდან. ვიზიტის დროს დელეგაციას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ამგვარი საქმიანობა ჭეშმარიტად კეთილსინდისიერად ხორციელდება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის მიერ.

29. იმისათვის, რომ შეიქმნას სრული და განახლებული სიტუაციის შეფასება, **წპკ-ს სურს 2012 წელთან დაკავშირებით და 2013 წლის პირველ კვარტალში მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:**

- **წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა წინააღმდეგ შეტანილ სარჩელთა რაოდენობა;**
- **სისხლის სამართლებრივი და დისციპლინური დევნის რაოდენობა, რომელიც გაიხსნა აღნიშნული სარჩელების შედეგად და დაწესებული სანქციების რაოდენობა.**

გარდა ამისა, **წპკ იძლევა რეკომენდაციას, რომ პენიტენცური დაწესებულებების მენეჯმენტმა და თანამშრომლებმა მიიღონ რეგულარული, ნათელი მითითებები იმის თაობაზე, რომ არასათანადო მოპყრობის ყველა ფორმა არის მიუღებელი და სათანადოდ იქნება დასჯილი. ამ ყოველივეს ასევე ხაზი უნდა გაესვას სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა საწყისი და მიმდინარე ტრენინგების კონტექსტში**.

30. ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, დელეგაციის მიერ გამოკითხულმა რამდენიმე პატიმარმა თქვა, რომ მათ ეშინიათ გარკვეული საპატიმრო ოფიცრების, რომლებიც მათ ბრალი დადეს, რომ ჩართულები იყვნენ 2012 წლის 18 სექტემბრამდე პატიმართა არასათანადო მოპყრობაში და რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. დელეგაციამ თავისი ვიზიტის

ხანძარმა ნაწილობრივ გაანადგურა არასრულწლოვანთა დაწესებულება ავჭალაში (თბილისთან ახლოს). სარეკონსტრუქციო სამუშაოები ავჭალაში დასრულდა 2013 წლის თებერვალში და არასრულწლოვანთა უკან გადაყვანა დაიწყო მალევე.

182 ქალთა ახალი განყოფილება 37 საწოლით იყო მშენებლობის პროცესში.

183 პატიმრობის კოდექსის 9 (2) ნაწილი.

184 ეს ეხება მე-2 პარაგრაფში აღნიშნული ვიდეოების გამოქვეყნების შემდეგ პერიოდს.

185 ერთი გამონაკლისი შემთხვევა იყო ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსმენილი ბრალდება, რომელშიც პატიმარმა დელეგაციას უთხრა, რომ თანამშრომელმა მას რამდენჯერმე უკბინა დაწესებულების „კარანტინის" განყოფილებაში 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.

186 სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ აცნობა დელეგაციას, რომ გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთაგან სულ მცირე 11 გათავისუფლებულ იქნა წპკ-ს ვიზიტამდე 10 დღით ადრე. გარდა ამისა, ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა (ახლად დანიშნულმა) უთხრა დელეგაციას, რომ მან პატიმართაგან მიიღო დაახლოებით 20 საჩივარი, მის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე 2012 წლის 18 სექტემბრამდე. მან განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის გადააგზავნა საჩივრები კომპეტენტურ პროკურატურაში. ასევე აღსანიშნავია, რომ ბატონ სუბარის წინამორბედმა 2012 წლის 20 სექტემბერს მისი დანიშვნის შემდეგ გაათავისუფლა მრავალი სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელი (მათ შორის მაღალი თანამდებობის პირები).

187 სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები მოიცავს პანღურის ამორტყმას, მუშტის დარტყმასა და წყლით სავსე პლასტიკური ბოთლების დარტყმას.

დასასრულს აღნიშნული საკითხის თაობაზე აცნობა დაწესებულების დირექტორს. **წპკ-ს სურს მიეწოდოს ინფორმაცია, ამ თვალსაზრისით ქუთაისის 2 საჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობამ განახორციელა თუ არა შესაბამისი ღონისძიებები.**

31. არცერთ დაწესებულებაში ვიზიტისას არ ყოფილა ბრალდებები პატიმართაშიდა ძალადობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების ორივე დაწესებულების[188] ,,ინციდენტების რეგისტრში" (ისევე როგორც სამედიცინო დოკუმენტაციაში) დელეგაციამ შენიშნა მრავალი მასალა, რომელიც მიუთითებდა გავრცელებული ინფორმაციის თანახმად შემთხვევით მომხდარ[189] ახალ დაზიანებებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ციხის ექიმებმა მიიჩნიეს, რომ აღწერილი დაზიანებების ტიპი და ადგილი არ შეესაბამებოდა პატიმრის მიერ მოცემულ განმარტებას და ჩაწერეს შესაბამის დოკუმენტაციაში.[190]

დაწესებულებებში, რომლებშიც განხორციელდა ვიზიტი ღიად იქნა აღიარებული მენეჯმენტისა და თანამშრომლების მიერ, და რამდენიმე პატიმრის მიერ დადასტურდა, რომ 2012 წლის 18 სექტემბერს ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ (და განსაკუთრებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ) კონტროლის დონე და დისციპლინა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მნიშვნელოვნად შემცირდა[191]. ეს შესაძლოა იყო გარდაუვალი რეაქცია, წინა რეჟიმის გადაჭარბებულობის გათვალისწინებით. თუმცა, **წპკ**-მ უნდა აღნიშნოს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელისუფლებამ არასოდეს უნდა დაუშვას პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა კონტროლის იმდენად შემსუბუქება, რომ საფრთხე შეექმნას პატიმართა უსაფრთხოებას (ისევე როგორც თანამშრომელთა).

წპკ რეკომენდაციას იძლევა, რომ ყველა პენიტენციური დაწესებულების მენეჯმენტი და თანამშრომლები საქართველოში გაიწვრთნას, რათა განახორციელონ მუდმივი სიფხიზლე და გამოიყენონ მათ ხელთარსებული ყველა საშუალება შიდა პატიმართა ძალადობის, დაშინების პრევენციისა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს უნდა მოიცავდეს პატიმართა ქცევის მონიტორინგს (მათ შორის სავარაუდო დამნაშავეთა და მსხვერპლთა გამოვლენას), პატიმართა შიდა დაშინება–ძალადობის დადასტურებული და საეჭვო საქმეების შესახებ შესაბამის ანგარიშგებას და ყველა ინციდენტის საფუძვლიან გამოძიებას. ამ კონტექსტში კომენტარებსა და რეკომენდაციებზე მითითება გაკეთებულია 45-ე და 50-ე პარაგრაფებში.

3. პატიმრობის პირობები

32. თბილისში, გლდანის 8სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული დაკავების მატერიალური პირობები დეტალურად არის აღწერილი **წპკ**-ს 2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში[192]; პირობები ვიზიტის შემდეგ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და კვლავ შეიძლება შეფასდეს, როგორც, ზოგადად, ადექვატური. აღნიშვნას იმსახურებს მხოლოდ საერთო ყოველდღიურობა, რაც სულ უფრო ცხადი ხდება დაწესებულებაში (კერძოდ, საკნებში, რომლებიც უკეთესი იქნებოდა, რომ განახლებულიყო) და მდგომარეობა - ლეიბების არასაკმარისი მარაგი[193]. **წპკ** დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად აუცილებლად გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები.

ზოგადი მატერიალური პირობები, ასევე, კარგი იყო ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში: საკნებში[194] იყო კარგი ბუნებრივი განათება, ასევე, ხელოვნული განათება და სავენტილაციო სისტემა, იყო საკმაოდ მისაღები მდგომარეობა და სისუფთავე. საკნის აღჭურვილობას შეადგენდა ერთადგილიანი ან რამდენიმე ადგილიანი საწოლი (ქვეშაგებით), ერთი მაგიდა, რამდენიმე სკამი, კარადა, და სრულიად განცალკევებული საკნის შიდა ჰიგიენურ–სანიტარული ნაწილი.

33. ორივე იმ საპყრობილეში, რომლებიც იქნა მონახულებული, პატიმართა ბოლო დროს შემცირებულმა რაოდენობამ (და იმ ფაქტმა, რომ ისინი უკვე კარგად ფუნქციონირებდნენ ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებში) გამოიწვია პატიმრობაში დარჩენილი თითოეული პატიმრისთვის განკუთვნილი სივრცის გაზრდა.უნდა ითქვას, რომ დელეგაციას ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ენახა რადენიმე საკანი, სადაც პატიმრებს უხდებოდათ ყოფნა გადავსებული საკნების პირობებში (მაგ: გლდანის საპყრობილის საკანში, რომლის მოცულობა 20მ^{2}იყო, იმყოფებოდა 6 პატიმარი; ხოლო, ქუთაისის საპატიმროში, 12მ^2 საკანში ოთხი პატიმარი იმყოფებოდა); გარდა ამისა, საკნებში, ჩვეულებრივ იყო იმდენი საწოლი, რაც შესაბამისობაშია სამართლებრივად დადგენილ სტანდარტთან: ორნახევარი მ^{2}საცხოვრებელი ფართი ერთ პატიმარზე. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ გლდანისა და ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრები განაწილდნენ უფრო ხალვათად, კერძოდ, რამდენიმე პატიმრიან საკანში თითოეულ პატიმარს ჰქონდეს მინიმუმ 4მ^2 ფართი; შესაბამისად, საკნები უნდა გათავისუფლდეს ზედმეტი საწოლებისგან.გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე, ოცდამეხუთე პარაგრაფში აღნიშნული რეკომენდაცია.**

34. ორივე საპატიმროს, რომლებიც მოინახულა დელეგაციამ, აქვს საკმარისი რაოდენობის

188 სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მითითებული როგორც ,,ტელეფონოგრამათა რეგისტრები" .

189 მაგალითად ,,საწოლიდან გადმოვარდნით", ,,მაგიდაზე დარტყმით" (ან სხვა ავეჯზე), ,,საპირფარეშოში ძილით" და ა.შ.

190 დელეგაცია შეეცადა შეედარებინა ინციდენტების რეგისტრში და სამედიცინო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია პატიმართა მიერ მიწოდებულ ინფორმაცია. თუმცა, პატიმართა სრული უმრავლესობა, რომელსაც დაესვა ეს შეკითხვა იყო ძალიან უხალისო – ესაუბრა იმ გარემოებებზე, რომელშიც მას მიადგა თავისი დაზიანებები.

191 იხილეთ ასევე პარაგრაფი 53.

192 იხილეთ CPT/Inf (2010) 27, პარაგრაფი 58 – 61.

193 დელეგაციას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ახალი ლეიბების მიღება უკვე მიმდინარეობს ციხეში.

194 საკნების უმრავლესობა განკუთვნილი იყო ორი, ოთხი და ექვსი პატიმრისთვის; იყო, ასევე, ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი საკნები და მცირე რაოდენობით, 10 პატიმარზე გათვლილი საკნებიც.

კარგად მოწყობილი საშხაპე ოთახები. დელეგაციამ სიამოვნებით აღნიშნა, ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრებს მიეცემათ უფლება (იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობა იქნება ტექნიკური თვალსაზრისით), რომ მიიღონ შხაპი კვირაში ორჯერ. საკნის მკვიდრები ასევე მოამარაგეს (საჭიროების მიხედვით)საკნების დასალაგებლად საჭირო პირადი ჰიგიენური საშუალებებითა და პროდუქტით. თუმცა, დელეგაციას მოუხდა ზოგიერთი პატიმრისგან საჩივრების მოსმენა იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი რაოდენობა ჰიგიენური საშუალებებისა, არ იყო საკმარისი; აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ქალი პატიმრები უჩიოდნენ მენსტრუალური ციკლისთვის აუცილებელ სანიტარული საშუალებების ნაკლებობას. **წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისთვის.**

35. რაც შეეხება საკვებს, ორივე დაწესებულებაში მყოფი პატიმრების უმრავლესობამ განაცხადა, რომ საკვები საკმარისი რაოდენობითიყო. დელეგაციამ ასევე აღნიშნა ბოლოდროინდელი პოზიტიური გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ, იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრებს მიეცეთ საკანში ჩაისა და ყავის მომზადების უფლება.

36. ორივე საპატიმროში, დელეგაციამ ნახა მრავალი პატარა ზომის საწოლი (საიდანაც ბევრი მათგანის ზომა იყო 2მ^2 ნაკლები), რომლებიც დროებით გამოყენების მიზანს ემსახურებოდა (რამდენიმე საათამდე). როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ასეთი მცირე ზომის საწოლები საერთოდ არ უნდა გამოიყენებოდეს პატიმრებისთვის, მიუხედავად იმისა, რა დროით იყენებს მას პატიმარი. ჩთ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ დაუყოვნებლივ ამოიღოს მოხმარებიდან აღნიშნული საწოლები.

37. დელეგაციამ აღნიშნა, რომ პატიმართა დიდ რაოდენობას შესაძლებლობა აქვს, შენობის გარეთ ივარჯიშოსყოველდღე (კვირაში შვიდი დღე) დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში.[195] დელეგაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ზოგიერთმა პატიმარმა (განსაკუთრებით, გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში) განაცხადა, რომ ვარჯიშისთვის განკუთვნილი დრო რეალურად შესაძლოა, ყოფილიყო ერთ საათზე ნაკლებიც და ზოგიერთ დღეებში, მაგალითად აბაზანის დღეებში, ვარჯიში საერთოდ ვერ ხერხდებოდა. გარდა ამისა, დელეგაციას მიეწოდა ინფორმაცია, რომ შენობის გარეთ ვარჯიში არ შესთავაზეს ახალმისულ პატიმრებს, რომლებიც მოათავსეს „კარანტინის" განყოფილებაში და ასევე, იმ პატიმრებს, რომლებიც დისციპლინარული იზოლაციის საკნებში (კარცერი) იყვნენ მოთავსებული.[196]

წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებული იქნას შესაბამისი ზომები გლდანისა და ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (ისევე, როგორც საქართველოში არსებულ ყველა დანარჩენ პენიტენციალურ დაწესებულებაში) იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას შენობის გარეთ ვარჯიშის შესაძლებლობა ყველა პატიმრისთვის მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში ყოველდღიურად.

ყველა სავარჯიშო ეზო გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში(და განსაკუთრებით, ქუთაისის ნომერ მეორე საპატიმროში)[197] განთავსებული იყო შენობების სახურავებზე. თითქმის გამონაკლისის გარეშე, ეს ეზოები იყო მცირე ზომის, ცარიელი/უბრალო და მკაცრი დიზაინის (მაღალი კედლები მხოლოდ ცის ხედით, გადახურული მეტალის ბადით). გარდა ამისა, ზოგიერთ ეზოს არ ჰქონდა ცუდი ამინდის დროს თავის შესაფარებელი ადგილი. **კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ განიხილოს სავარჯიშო ადგილების პროექტის საკითხი კიდევ ერთხელ ყველა ახლად აშენებული (ან განახლებული) საპატიმრო დაწესებულებისთვის. რამდენადაც ეს შესაძლებელია, შენობის გარეთ სავარჯიშო მოწყობილობა მოთავსებული უნდა იყოს მიწის ზედაპირის დონეზედა იყოს საკმარისად ფართო იმისთვის, რომ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, ფიზიკურად დატვირთონ საკუთარი თავი (შემოღობილ სივრცეში სეირნობისგან განსხვავებით). დაუყოვნებლივი ნაბიჯები უნდა იქნას მიღებული იმისთვის, რომ ყველა სავარჯიშო ეზო რაიმე ფორმით იყოს დაცული ცუდი ამინდისგან.**

გარდა ამისა, **ყველა ახლადაშენებული (ან განახლებული) ციხე უნდა აღიჭურვოს სპორტული მოწყობილობებით.**

38. **წპპ**-ს მიერ 2010 წელს მონახულებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობით, შენობის გარეთ ვარჯიში ფაქტიურად ერთადერთი საკნისგარეთ საქმიანობა იყო პატიმრებისთვის ორივე დაწესებულებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, და როგორც ეს უკვე აღნიშნულ იქნა 26-ე პარაგრაფში, სიტუაცია აქტივობების პროგრამების კუთხით ქართულ ციხეებში მეტად არადამაკმაყოფილებელი რჩება. იმ ორივე დაწესებულებაში, რომელიც მონახულებული იქნა 2012 წლის ნოემბერში, მცირე რაოდენობით სამუშაო ადგილი იქნა გამოყოფილი იმ პატიმრებისთვის, ვისაც დაევალათ მომსახურებითი დავალებების განხორცელება, რაც შეეხება პატიმართა დიდ უმრავლესობას, და წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, მათ მუშაობისთვის რაიმე შესაძლებლობა არ გააჩნიათ.აღნიშნულის მსგავად, განათლებისა და პროფესიული ტრენინგების ხელმისაწვდომობა ძალიან შეზღუდული იყო.[198]

პოზიტიური კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში

195 ქალებისა და არასრულწლოვნებისთვის გათვალისწინებულია 1.5 საათი.

196 თუმცა, 14 დღემდე პერიოდისთვის კიდევ უფრო მცირეა პრაქტიკაში.

197 ეზო, რომელიც ეკუთვნოდა ქუთაისის დაწესებულების D შენობას, განთავსებული იყო პირველ სართულზე.

198 ერთადერთ (შედარებით) დადებით გამონაკლისად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას არასრულწლოვანი პატიმრები, რომელთაც ჰქოდნათ, ევლოთ სკოლებში კვირაში სამი დღე და ვარჯიშზე.

დელეგაციის მიერ გამოკითხულ პატიმართაგან თითქმის ყველა გამოთქვამდა კმაყოფილებას ციხის ადმინისტრაციის მიერ ბოლო დროს მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მას ნებას რთავდა, რომ ეყურებინათ ტელევიზორისთვის და მოესმინათ რადიოსთვის საკუთარ საკნებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრად მეტია გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, **გლდანის 8 სასჯელაღსრულების დაწესებულებისდა ქუთაისის 2 დაწესებულების დაცულ ტერიტორიაზე არსებული დიდი რაოდენობის აუთვისებელი მონაკვეთები უნდა გარდაიქმნას დიდფართობიან სავარჯიშო ეზოებად და სპორტულ დაწესებულებებად**. რაც შეეხება შემდგომ ნაბიჯებს, გათვალისწინებული უნდა იქნას 26-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები.

4. ჯანდაცვა

ა. შესავალი

39. მაღალი დონის ოფიციალურ პირებს შორის საუბრებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამსახურების ხელმისაწვდომობა პატიმრებისთვის კვლავაც წარმოადგენდა მთავარ პრობლემას სამინისტროსთვის. მან ისაუბრა აღნიშნული სამსახურების დაფინანსების იმ მნიშვნელოვან ზრდაზე, რაც განხორციელდა 2012 წლის სექტემბრის ბოლოს, მისი წინამორბედის დანიშვნის შემდგომ,[199] მან ასევე განაცხადა, რომ ციხეში ჯანდაცვის ბიუჯეტი, რომელიც მოთხოვნილ იქნა 2013 წელს, სამჯერ აღემატებოდა 2012 წლის ბიუჯეტს.

ბატონი სუბარის განცხადებით, მრავალი წინააღმდეგობა არსებობს, მაგალითად, შეწყალებით გათავისუფლების პროცედურების რეფორმა (იმ მიზნით, რომ შემცირდეს ციხეში სიკვდილიანობისმაღალი მაჩვენებელი)[200], ქსნის სპეციალური სასჯელაღსრულების დაწესებულების (რე)კონსტრუქციის დასრულება[201], მთავარი ჯანდაცვის პუნქტების შექმნა საქართველოს ყველა პენიტენციალურ დაწესებულებაში და - ბოლო მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი - ჯანდაცვის მიმართულებით დასაქმებულთა ხელფასების გაზრდა. სამინისტრო ასევე გეგმავდა ციხის ჯანდაცვაში დასაქმებულ პირთა პროფესიული დამოუკიდებლობის გაზრდას.

დამატებით, ბატონმა სუბარმა აღნიშნა, რომ ციხეში ჯანდაცვის სამსახურების საჭიროებათა ანალიზი ჩატარდებოდა ახლო მომავალში იმ მიზნით, რომ შექმნილიყო საფუძველი მომავალში დაგეგმილი რეფორმისთვის. ამ სიტუაციიდან ერთ-ერთ გამოსავლად მიიჩნეოდა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის გარდაქმნა დამოუკიდებელ იურიდიულ პირად; ამ გზით, ციხის სამედიცინო პერსონალი გახდებოდა სამართლებრივად და ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი ციხის დირექტორებისგან. რეფორმის კიდევ ერთი მიზანი უნდა ყოფილიყო იმის უზრუნველყოფა, რომ ციხის ყველა სამედიცინო სამსახურს გააჩნია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი მოქმედი სერტიფიკატი (რასაც ჯერ ადგილი არ ჰქონია).[202]

სასურველია, **წპკ**-ს ინფორმირება მუდმივად ხდებოდეს ზემოთ აღნიშნული გეგმის იმპლემენტაციის პროცესთან დაკავშირებით.

40. ექიმებმა და ექთნებმა, რომლებსაც გაესაუბრა დელეგაცია იმ ორივე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც განხორციელდა ვიზიტი, განაცხადეს, რომ მათი სამუშაო პირობები და პაციენტებთან ურთიერთობა (პატიმრებთან) შეიცვალა უარესობისკენ 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ. პატიმრებმა დაიწყეს უამრავი მოთხოვნის წამოყენება ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის წინაშე (გამოკვლევებთან, პრეპარატებით მკურნალობასთან დაკავშირებით, ავამდყოფობის შესახებ ცნობის გაცემის და ციხის გარეთ საავადმყოფოში გადაყვანის საჭიროების შესახებ ცნობის, ან შეწყალებით გათავისუფლების შესახებ და სხვა.). სამედიცინო პერსონალის განცხადებით, ამ მოთხოვნებიდან ზოგიერთის დაკმაყოფილება მართლაც, რეალურად იყო შესაძლებელი და გამართლებული. თუმცა, პატიმრების დიდმა რაოდენობამ დაიწყო ავადმყოფობის გამოგონება/სიმულაცია, და მუქარა და ზეწოლაც კი სამედიცინო პერსონალზე. მომდევნო შეტევა ექიმებსა და ექთნებზე იყო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, რადგან სამედიცინო პერონალის ზოგიერთმა პროფესიონალმა კადრმა დატოვა სამუშაო ციხის ჯანდაცვის სამსახურში 2012 წლის 18 სექტემბრის შემდგომ პერიოდში, სხვადასხვა საფუძვლით (იხილეთ, ასევე, 50-ე პარაგრაფი).

წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და ციხის მენეჯმენტმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისთვის, რომ დაცულები იყვნენ ციხეში მომუშავე ექიმები და ექთნები გაუმართლებელი მუქარისა და ზეწოლისგან.

ბ. ციხის ჯანდაცვის სამსახურის როლი არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით

41. **წპკ**-მ წარსულშიც არაერთხელ აღნიშნა იმ როლის შესახებ, რაც ციხის ჯანმრთელობაზე ზრუნვის სამსახურმა უნდა შეასრულოს პატიმრების მიმართარასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით.[203] მთლიანი კონტექსის გათვალისწინებით (იხილეთ პარაგრაფი 2), დელეგაციამ, რომელმაც განახორციელა სპეციალური ვიზიტი საქართველოში 2012 წელს, გაამახვილა განსა-

199 მაგალითად, წპკ-ს ვიზიტამდე 2 თვით ადრე პერიოდში მკურნალობაზე დახარჯული ფული, იყო იმაზე მეტი, ვიდრე ჯამურად 2012 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში.

200 ეს დაახლოებით 140 იყო 2011 წლის განმავლობაში.

201 ბატონმა სუბარმა წპკ-ს წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ქსნის ახალი ციხე, 700 ადგილით, ახლო მომავალში გაიხსნებოდა.

202 წპკ-ს წარმომადგენლებს შეატყობინეს, რომ დიდი ხნის მანძილზე განხილვაში არსებული საკითხი ციხის ჯანდაცვის სამსახურების ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადასვლასთან დაკავშირებით, უკე განხილვას აღარ ექვემდებარებოდა.

203 მაგალითისთვის იხილეთ CPT/Inf (2010) 27-ის 23-ე და 91-ე პარაგრაფები, და, CPT/Inf (2007) 42-ის მე-16 პარაგრაფი.

კუთრებული ყურადღებააღნიშნულ საკითხზე.

42. აღსანიშნავია, რომ მაღალი ოფიციალური რანგის პირების საუბრებში **ნპკ**-ს წარმომადგენლებს ბატონმა სუბარმა განაცხადა, რომ პატიმრების მიერ მიღებული დაზიანებების აღწერა და რეპორტინგი არა მხოლოდ ციხეში მისვლის დროს, არამედ მათი საპატიმროში ყოფნის დროსაც, სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა. ამის მიღწევა სხვა საშუალებებთან ერთად შესაძლებელი იქნებოდა ციხის ექიმებისა და ექთნების პროფესიული დამოუკიდებლობის გაზრდით, მათი პროფესიული გადამზადების დონის გაუმჯობესებითა და ციხის მონიტორინგისკენ ნაბიჯის გადადგმით (იმ მიზნით, რომ, როგორც ბატონმა სუბარმა განაცხადა, მოეხდინათ ციხის ჯანდაცვის პერსონალის „მოტივაცია" იმისთვის, რომ უკეთ მომხდარიყო პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის საქმეების უკეთ იდენტიფიცირება.

43. როგორც **ნპკ**-ს დელეგაციას განუცხადა გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობამ, 8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიისინი მოინახულეს ექიმებმა და ექთნებმა, ციხეში მისვლიდან მოკლე ხანში (როგორც წესი, იმავე ან მომდევნო დღეს)[204]. ამ წინასწარ გამოკვლევაზე ექიმები ასევე ამოწმებდნენ, ჰქონდა თუ არა პატიმარს დაზიანებები სხეულზე, და თუ ჰქონდა, ხდებოდა ამის რეგისტრაცია და სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაცია შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს.

44. გლდანის ციხესა და ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაცია მოიცავდა ტრავმატული დაზიანებების რეესტრს. აქედან ერთი ეხებოდა ახლად მიღებული პატიმრების დაზიანებებს და მეორე ეხებოდა პატიმრების მიერ მიღებულ ისეთ დაზიანებებს, რასაც ადგილი ჰქონდა პატიმრის დაწესებულებაში მისვლის შემდეგ.[205] დელეგაციამ აღნიშნა, რომ განხილული რეესტრებიმოიცავდა დაზიანებათა მეტ-ნაკლებად დაწვრილებით აღწერას.როგორც დელეგაციას განუცხადეს, პატიმართა განმარტებები მიღებული დაზიანებების შესახებ, როგორც წესი, არ შეიტანებოდა რეესტრში. გარდა ამისა, არ ინახებოდა/არ მოიპოვებოდა ჯანდაცვის პერსონალის დასკვნები სამედიცინო მიგნებების წინააღმდეგ გამოთქმული თანმიმდევრული ბრალდებების შესახებ. დელეგაციამ აგრეთვე აღნიშნა, რომ პატიმართა ყველანაირ სამედიცინო გამოკვლევას იმ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც განხორციელდა ვიზიტი, ადგილი ჰქონდა არასამედიცინო მომსახურე პერსონალის თანდასწრებით; რაც წარმოადგენს სამედიცინო კონფიდენციალურობის აშკარა დარღვევას და მხოლოდ შეიძლება ეჭვი გააჩინოს ასეთი შემოწმების ეფექტიანობასთან დაკავშირებით არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით, საპატიმროს შიგნით.

45. თუ პატიმრის სამედიცინო შემოწმების პროცედურის- ციხეში მისვლისას თუ მოგვიანებით ეტაპზე - მიზანია, რომ ნაყოფიერად იმუშავოს არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით, მაშინუნდა გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთ პირთა გამოკვლევა ხდებოდეს სისტემატურად და შესაბამისი წესის დაცვით. გარდა ამისა, ასეთ გამოკვლევათა (და შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობა უნდა იქნას დაცული..

შესაბამისად, **ნპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ გადადგას დაუყოვნებლიბი ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ:**

• ყველანაირი სამედიცინო გამოკვლევა ჩატარდეს მოსმენის გარეშე და თუ შესაბამისი ექიმი აშკარად არ მოითხოვს სხვაგვარად- არასამედიცინო პერსონალის დასწრების გარეშე;

• სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობა მკაცრად კონტროლდებოდეს.

დამატებით, **ციხის ჯანდაცვის სამსახურის პერსონალი უნდა მონაწილეობდეს შესაბამის პროფესიული გადამზადების ტრენინგებში და იღებდეს ნათელ/გასაგებ ინსტრუქციებსსამედიცინო ჩანაწერებისა და მათ შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ, სამედიცინო ჩანაწერი უნდა შეიცავდეს როგორც მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: იმ განცხადების მონაცემები, რომელიც გააკეთა ისეთმა პირმა, რომელიც ექვემდებარება სამედიცინო გამოკვლევას (მათ შორის, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერა თავად ამ პირის მიერ და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ნებისმიერი ბრლადება), (ii) საფუძვლიან სამედიცინო კვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნის სრული მონაცემები (iii) ჯანმრთელობაზე ზრუნვის სპეციალისტის მოსაზრებები (i) და (ii)-ს შესახებ, სადაც მითითებულია ნებისმიერ ბრლადებასა და დადგენილ სამედიცინო დასკვნას შორის თანმიმდევრულობა.**

გარდა ამისა, **როდესაც ხდება დაზიანებების დაფიქსირება მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ბრალდებას (ან როცა ბრალდების გარეშეც, დაზიანება მიუთითებს არასათანადომოპყრობაზე), ამის შესახებ დაუყოვნებლივ და სისტემატურად უნდა მოხსენდეს შესაბამის პროკურორს, მიუხედავად შესაბამისი პატიმრის სურვილისა.**

204 როგორც დელეგაციის ექიმებმა დაკვირვების შედეგად აღმოაჩინეს, წინასწარი პროცედურა მოიცავდა კლინიკურ გამოკვლევას ტუბერკულიოზზე კვლევას (ნახველისანალიზი დარენტგენიეჭვის არსებობის შემთხვევაში), შიდსი (სისხლის ანალიზი კეთდებოდა მას შემდეგ, რაც ახლად მოსული პატიმარი ხელს მოაწერდა წერილობითი თანხმობისფორმას) და C ჰეპატიტი (სისხლის ანალიზი ტარდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ანამნეზი იყო დადებითი). ტუბერკულოზზე გამოკვლევა მეორებოდა ყოველ სამ თვეში (და როდესაც ხდებოდა მისი დიაგნოზირება, პატიმარი იგზავნებოდა სპეციალიზებურ დაწესებულებაში).

205 დელეგაციას აცნობეს, რომ 2012 წლის მაისში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოცემული ბრძანების შესაბამისად, დაზიანებათა შესახებ უკვე არსებულ რეესტრს, რომელიც მხოლოდ ახლად მოსულ პატიმრებს აკვირდებოდა, დაემატა მეორე რეესტრიც, რომელიც ციხეში მიღებულ დაზიანებებს აღრიცხავდა.

გ. ციხის ჯანდაცვის სამსახურის სხვა ასპექტები

46. **წპკ**-ს 2010 წლის ვიზიტის შემდეგ, დელეგაციის დაკვირვებით, გლდანის ციხეში სიტუაცია გამოსწორდა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პერსონალის რაოდენობის კუთხით. 2012 წლის სპეციალური ვიზიტის დროს ციხეში მუშაობდა ცხრამეტი სრულ-განაკვეთიანი ექიმი და ჩვიდმეტი სრულ-განაკვეთიანი ექთანი[206]. ციხეში ასევე იყო ე.წ. „პირველადი ჯანდაცვის გუნდი" (თითოეულ მათგანში შედიოდა ერთი ექიმი და ერთი ექთანი)[207] და სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები (სტომატოლოგი, პედიატრი, ფლიტვების სპეციალისტი, ფსიქიატრი[208], ქირურგი, კარდიოლოგი და სხვა), ისევე, როგორც ფარმაცევტი.

გარდა ამისა, დაწესებულებაში ხშირად მიდიოდნენ სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან სპეციალისტების ჯგუფი (ნევროპათოლოგი, ოფთალმოლოგი, დერმატოლოგი, ურولოგი და რენტგენის სპეციალისტი, რომელიც ასევე ასრულებდა რადიოლოგის ფუნქციებს.ასევე, პრიციპში იყო სერიოზული დაავადების მქონე პატიმრების ახლომდებარე ციხის საავადმყოფოში გადაყვანის შესაძლებლობა (პატიმრებისთვის არსებული სამედიცინო დაწესებულება);თუმცა, შესაძლებელია მტკიცება, რომ გადაყვანის ორგანიზება პრაქტიკაში ძალიან პრობლემატურია.[209]

დელეგაციას დარჩა საერთო შთაბეჭდილება, რომ გლდანის ციხის პატიმრებს შედარებით მარტივი ხელმისაწვდომობა აქვთ ზოგად სამედიცინო მომსახურებასთან. თუმცა, სპეციალისტების ხელმისაწვდომობა (მაგალითად: სტომატოლოგი, ოფთალმოლოგი, ურولოგი) შესაძლოა დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვან დაყოვნებასთან[210], იგივე უნდა ითქვას ციხის საავადმყოფოში გადაყვანის შესაძლებლობაზეც იმ პატიმრებისთვის, ვისაც ჰოსპიტალიზაცია ესაჭიროვებათ. **წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.**

წპკ ასევე, რეკომენდაციას იძლევა, რომ გლდანის ციხის ექთნების რაოდენობა გაიზარდოს, რადგანაც 17 ექთნისგან შემდგარი ჯგუფი არ არის საკმარისი 2,800-ზე მეტი პატიმრისთვის.

47. ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ჯანდაცვის ჯგუფი შედგებოდა (მოქმედი) მთავარი ექიმისგან (ძირითადად ჩართულია ადმინისტრაციულ ფუნქციებში) და შვიდი სხვა ექიმისგან,[211] ასევე, ცხრა საერთო ექთნისგან (საიდანაც რვა მათგანი 24 საათიანი განაკვეთით მუშაობდა) და ერთი ფსიქიატრი ექთანი. გარდა ამისა, დაწესებულებაში მუშაობდა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტი: ფსიქიატრი,[212] სტომატოლოგი[213] და ფარმაცევტი. ჯანდაცვის პერსონალში ასევე იყო ოთხი „პირველადი ჯანდაცვის გუნდი", რომლებიც უკვე გადამზადებული იყვნენ; გარდა ამისა, დაგეგმილი იყო ოთხი ექთნის გადამზადება ახლო მომავალში, ხოლო ერთი ექიმი უკვე გადიოდა გადამზადების კურსს ციხეში ვიზიტს ახორციელებდნენ კონსულტანტ-სპეციალისტებიც (ქირურგი, ონკოლოგი, ნევროლოგი, ურولოგი, ოფთალმოლოგი, ექოსკოპისტი, დერმატოლოგი, რენტგენოლოგი და ნევროპათოლოგი, ასევე ორი ტუბერკულოზის ექთანი ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრიდან (რომლებიც ატარებდნენ ტუბერკულოზზე შემოწმებას). საჭიროების შემთხვევაში, გინეკოლოგ კონსულტანტთან ვიზიტის უზრუნველყოფაც შესაძლებელი იყო ქალაქის ერთ.-ერთ სამოქალაქო საავადმყოფოში.

როგორც ჩანს, ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიხელმისაწვდომი იყო სამედიცინო სამსახური, როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური; უნდა ითქვას, რომ სიტუაცია მსგავსი იყო გლდანის ციხის შემთხვევაშიც და **წპკ-ს რეკომენდაცია იქნება, რომ გადაიდგას ნაბიჯები მეტი ექთნის ასაყვანად.** ასეთი განახლება *inter alia* შესაძლებელს გახდის, რომ სამედიცინო სამსახური ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს პატიმრებისთვის პროფესიონალ გადამზადებულ ექიმებთან ერთად (რაც დღეს არ ხდება).

წპკ ასევე შეშფოთებას გამოხატავს 24 საათიან რეჟიმში მომუშავე მედდებთან დაკავშირებით. 24 საათიან სამუშაო რეჟიმს აუცილებლად ექნება უარყოფითი გავლენა პროფესიულ სტანდარტებზე და შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს პატიმრების ჯანმრთელობა. **კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ გადაიდგას ნაბიჯები ასეთი განაკვეთით მუშაობის შემცირებისკენ და უზრუნველყოფილი იქნას, რომ ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიასეთი სამუშაო განაკვეთები აღმოიფხვრას, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ციხეებში.**

48. სამედიცინო პრეპარატების მარაგი ზოგადად ადექვატური იყო ორივე დაწესებულებაში, სადაც განხორციელდა ვიზიტი[214]. უფრო მეტიც, პატიმრებს ან მათ ნათესავებს შეუძლიათ, იყიდონ დამატებითი მედიკამენტები (უფრო ძვირი და/ან ახალი გამოშვებული) აფთიაქებში, რომლებიც ეკუთვნიან კერძო კომპანიას (ავერსი), რომელმაც გაიმარჯვა შესაბამისი ტენდერი 2011 წლის ნოემბერში. ყიდვის პროცედურა მოითხოვდა ციხის ექიმის რეცეპტს და პატიმრის ანგარიშიდან ელექტრონული გადარიცხვის განხორციელებას.

206 2010 წელთან შედარებით, როდესაც იყო 15 ექიმი და 15 ექთ იხილეთ CPT/Inf (2010) 27-ის პარაგრაფი 84.

207 ამ ჯგუფის წევრებმა გაიარეს სპეციალური გადამზადების კურსები საოჯახო მედიცინაში ICRC-ის დახმარებით, და ჩააბარეს ამ სპეციალობით ეროვნული გამოცდები.

208 რომელიც იღებდა დღეში საშუალოდ ცხრა პატიმარს.

209 იხილეთ 49-ე პარაგრაფი.

210 დელეგაციას აცნობეს, რომ ოფთალმოლოგისგან და ურولოგისგან კონსულტაციის მიღებისთვის მოსაცდელი დრო დაახლოებით ერთი თვე იყო.

211 ოთხი მათგანი მუშაობდა დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, ორი მათგანი ციხეში მოდიოდა შაბათს და კვირას და ერთი მათგანი მუშაობდა კვირის განმავლობაში.

212 მუშაობდა კვირაში სამი დღე და იღებდა 15-დან 25-მდე პატიმარს ყოველ სამუშაო დღეს. ის ასევე, პასუხსიმგებელი იყო მეტადონის პროგრამაზე (რომელსაც აფინანსებდა Global Fund-ი), რომელშიც მონაწილეობდა შვიდი პატიმარი დელეგაციის ვიზიტის პერიოდში.

213 ასევე მუშაობდა კვირაში სამი დღე. ის იღებდა საშუალოდ 20 პაციენტს ყოველ ოპერაციაზე, რისთვისაც ლოდინის დრო იყო დაახლოებით ერთი კვირა.

214 დელეგაციას აცნობეს, რომ 8,000 ლარი იქნა გამოყოფილი გლდანის ციხისთვის მკურნალობის მიზნით 2012 წელს, თუმცა ბიუჯეტი კიდევ გაიზარდა 12,000 ლარამდე 2012 წლის ექტემბრიდან.

რაც შეეხება ჯანდაცვის სამსახურის შენობებსა და მოწყობილობას,ზოგადად, ის ხელმისაწვდომია გლდანში,[215] რასაც შესძლებელია ეწოდოს გაუჯობესება 2010 წლის ვიზიტის დროს არსებულ სიტუაციასთან შედარებით. ამის საწინააღმეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სამსახურს ქუთაისში არ გააჩნია შესაბამისი შენობა/ფართი: კონსლტაციებისა და გამოკვლევების ყველა ოთახი იყო მცირე ზომის, ცუდი განათებითა და ვენტილაციით, არანაირი კონფიდენციალურობა. **წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ გადაიდგას ნაბიჯები აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად.**

სამედიცინო ჩანაწერები და სხვა დოკუმენტაცია ზოგადად, კარგად იყო შენახული, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო კონფიდენციალურობა არ იყო დაცული, რამდენადაც დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო ციხის არასამედიცინო პერსონალისთვისაც. **წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრას.**

49. **წპპ**-ს დელეგაცია ასევე ესტუმრა გლდანის ციხის საავადმყოფოს, რომელიც მდებარეობს გლდანის ციხის მეზობლად არსებულ შენობაში, იგივე პერიმეტრზე, მაგრამ სხვა ადმინისტრაციით.[216] დელეგაციამ შენიშნა, რომ საავადმყოფო გადავსებული იყო: ოფიციალური მონაცემებით 180 კაციანი საავადმყოფო (გამოთვლილია შემდეგი გაანგარიშებით: 3,5მ^2 ფართი თითოეული პირისთვის)[217], იტევდა 200 პაციენტს ვიზიტის დროს. ასეთ სიტუაციებში, გასაკვირი არ იყო, რომ დიდი სიძნელეები იყო დაკავშირებული აღნიშნულ საავადმყოფოში პატიმრის გადაყვანასთან. **წპპ-ს რეკომენდაციაა, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მიღებული იქნას ზომები გლდანის ციხის საავადმყოფოს ფართის გაზრდით და/ან დაავადებული პატიმრების სხვა (სამოქალაქო) საავადმყოფოებში გადაყვანის ორგანიზება.**

5. წპპ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

50. მონახულებულ ორივე ციხეში დირექტორებმა დელეგაციას შეატყობინეს, რომ გამოცხადებული იყო მრავალი ვაკანსია, განსაკუთრებით, ციხის პერსონალის თანამდებობებზე[218]. მათ არ დამალეს, რომ აღნიშნული სიტუაცია უკავშირდებოდა იმ ატმოსფეროს, რაც შეიქმნა დაწესებულებებში 2012 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნებული ვიდეო მასალის შემდეგ და ციხის პერსონალის სამსახურიდან გაშვებით, დაპატიმრებებით, რომელიც მოყვა აღნიშნული ვიდეოების გამოქვეყნებს.[219] ორივე დირექტორმა განუცხადა დელეგაციას, რომ დაგეგმილი იყო ახალი პერსონალის აყვანა და ამ ცვლილების მხარდასაჭერად, ციხის თანამშრომელთა ხელფასები, ბოლი დროს გაიზარდა.

წინა ვიზიტების შესახებ ანგარიშებში **წპპ** აღნიშნავს, რომ პერსონალსა და პატიმრებს შორის კარგი ურთიერთობის დამყარება მეტწილად დამოკიდებული იქნება დაკავების არეალში სამედიცინო პერსონალის ადეკვატურ რაოდენობაზე ნებისმიერ მოცემულ მომენტში. სამედიცინო პერსონალის მუდმივი სიმცირე აფერხებს პოზიტიური ურთიერთოების განვითრებას პატიმრებსა და პერსონალს შორის და წარმოშობს არადაცულ გარემოს როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ასევე, პატიმრებისთვის.დამატებით უნდა ითქვას, რომ პერსონალის სიმცირე უარყოფითად აისახება დაწყებული აქტივობების პროგრამის ხარისხსა და დონეზე.[220]

წპპ იმეორებს თავის რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ღონისძიებები თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდის მიზნით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ამ შენიშვნების ფონზე.

51. დელეგაციამ აღნიშნა, რომ ახლადდანიშნული დირექტორები ორივე დაწესებულებაში, სადაც განხორციელდა ვიზიტი, იყვნენ ყოფილი პოლიციის ოფიცრები, რომლებსაც არ ჰქონიათ ციხეში მუშაობის გამოცდილება აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნამდე. **წპპ**-მ უნდა აღნიშნოს, რომ ციხის მართვის ფუნქცია საკმაოდ რთულია და მოითხოვს ადეკვატურ უნარებს, თვისებებსა და გამოცდილებას. ციხის მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ხელმძღვანელობის მნიშვნელობა ასევე ხაზგასმულია ციხის ევროპულ წესებში.[221] **წპპ-ს სურვილია, რომ საქართველოს მთავრობამ წარადგინოს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.**

52. ორივე იმ ციხეში, სადაც განხორციელდა ვიზიტი, **წპპ**-ს დელეგაციამ შენიშნა, რომ ციხის პერსონალი უნიფორმას არ ატარებდა, რაც ართულებდა მათი პატიმრებისგან გარჩევას. არ არის ცხადი, ეს იყო ახალი პოლიტიკის ნაწილი თუ დროებითი მდგომარეობა (ბოლო დროს მიღებული თანამშრომლებისთვის ახალი უნიფორმების დამზადებასთან დაკავშირებით). **წპპ ისურვებდა, რომ მიეღო ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები საქართველოს ხელისუფლებისგან.**[222]

გარდა ამისა, დელეგაციამ შენიშნა მონახულებულ ციხეების პერსონალში ქალი ოფიცრების არარსებობა (გარდა ქალთა განყოფილებებისა).ციხეში ზოგადი ატმოსფეროსთვის შერეული სქესის თანამშრომელთა არსებობის პოტენციური სარგებლიანობიდან გამომდინარე, **წპპ მოუ-**

215 სადაც სამედიცინო აღჭურვილობას სხვებთან ერთად შეადგენდა სამი ელექტროკარდიოგრამა, ორი USG დანადგარი, სამი ჟანგბადის ბალიში და ერთი დეფიბრილატორი.

216 გლდანის ციხის საავადმყოფო უკვე მოინახულა წპკ-მ 2010 წელს, იხილეთ პარაგრაფები 99 და 104, CPT/Inf (2010) 27.

217 ეს 180 საწოლი განაწილებული იყო ხუთ პალატაში: 40 საწოლი შინაგანი დაავადებების განყოფილებაში, 66 ქირურგიულ პალატაში, 40 ინფექციურ დაავადებათა პალატაში, 26 საწოლი ფსიქიატრიულ პალატაში, ხოლო 8 საწოლი ინტენსიური თერაპიის პალატაში.

218 მაგალითისთვის, არასრულწლოვანთა ზედამხედველობის სამსახურის პერსონალში (მაკონტროლებლები), გამოცხადებული იყო 57 ვაკანსია და 28 ვაკანსია სრულწლოვანთა დაწესებულებების პერსონალისთვის (ოფიცრები) გლდანის ციხეში.

219 ქუთაისის ნომერ მეორე დაწესებულებაში დლეგაციას აცნობეს, რომ დაახლოვებით 30 თანამშრომელმა დატოვა სამსახური 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ.

220 იხილეთ ასევე 26-ე პარაგრაფი.

221 წესი 84.1.

222 2012 წლის 18 სექტემბრამდე ციხის ზედამხედველობის ყველა თანამშრომელი ატარებდა უნიფორმას.

წოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ განიხილოს შესაბამისი ზომების მიღება საქართველოს ციხეების სისტემაში ქალი პერსონალის დასაქმებასთან დაკავშირებით; კერძოდ, შერეული სქესის პერსონალი უნდა იყოს არასრულწლოვანთა განყოფილებებში. გარდა ამისა, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ განყოფილებას, სადაც იმყოფება ქალი პატიმარი, ჰყავდეს ქალი თანამშრომლები ნებისმიერ დროს საკმარისი რაოდენობით.

53. გლდანის ციხეში შესაბამისი რეესტრის შემოწმების შემდეგ, დელეგაციამ შენიშნა, რომ 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ არცერთი პატიმარი დასჯილა დისციპლინური იზოლაციით („კაარცერი"), რაც აშკარა წინააღდმეგობაშია ამ თარიღამდე არსებულ მდგომრეობასთან.[223] ციხის დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული უეცარი და რადიკალური ცვლილება პრაქტიკისა, გამოწვეული იყო იმ ექსტრაორდინალური ატმოსფეროთი, რაც შეიქმნა ციხეში მეორე პარაგრაფში ნახსენები ვიდეო მასალის გამოქვეყნების შემდეგ; მან დაამატა, რომ დაწესებულების ამჟამინდელი მენეჯმენტის სურვილი იყო, თავიდან აერიდებინა პატიმრების გადამეტებული რეაქცია ციხეში დისციპლინის დაცვის ნებსმიერ მცდელობასთან დაკავშირებით.

ამკარაა, რომ 2012 წლის 18 სექტემბრამდე გლდანის ციხეში მოქმედი პოლიტიკა ზედმეტად მკაცრი იყო დისციპინურ სასჯელებთან დაკავშირებით, არაპროპორციული და გაუმართლებელი[224]. **წპკ** მიესალმება იმ ფაქტს, რომ ასეთი პოლიტიკა ციხეში აღარ გამოიყენება. თუმცა, **გლდანის ციხის მენეჯმენტი და თანამშრომლები მუდმივად მზად უნდა იყვნენ, რომ ჩაერიონ როცა ამის საჭიროება იქნება, რათა დაიცვან დისციპლინა და წესრიგი დაწესებულებაში, და დაიცვან როგორც პატიმართა, ასევე, თანამშრომელთა უფლებები** (იხილეთ ასევე პარაგრაფი 31).

გლდანის ციხისგან განსხვავებით, ასეთი უეცარი ცვლილება ვერ შენიშნა დელეგაციამ ქუთაისის N2 საპატიმრო დაწესებულებაში, თუმცა, დისციპლინური სანქციების რაოდენობა და სიმძიმე გარკვეული დოზით აქაც შემცირებული იყო 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ. საერთო შთაბეჭდილება იყო, რომ დისციპლინური სანქციები (მათ შორის, „კარცერში" მოთვსება)არ გამოიყენებოდა გადაჭარბებულად და არაპროპორციულად ამ დაწესებულებაში.

54. იმ მრავალრიცხოვანი დისციპლინური საქმეებიდან გამომდინარე, რაც დელეგაციამ ნახა ორივე ციხეში, ჩანდა, რომ 2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშის 113-ე პარაგრაფში აღწერილი (და პოზიტიურად შეფასებულ) *პროცედურა*[225] დაცული იქნა, სულ მცირე,*ფორმალურად მაინც* (ფაქტობრივად, თითქმის ყველა პატიმარს ჰქონდა დაწერილი განცხადება იმის შესახებ, რომ არ სურდათ ზეპირი მოსმენა და სამართლებრივი დახმარება).[226]

თუმცა, **2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშის 115-ე და 116-ე პარაგრაფებში მოცემული რეკომენდაციები დისციპლინურ საკნებში მოთავსებული პატიმრების მიერ გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ და ციხის ექიმების როლი დისციპლინური პროცედურის კონტექსტში, რჩება სრულად გამოსაყენებელი.**[227]

55. „კარცერულ" საკნებში არსებული *მატერიალური პირობები,* რაც ნახა დელეგაციამ ორივე ციხეში, ზოგადად დამაკმაყოფილებელი იყო და არ საჭიროებდა რაიმე დამატებით კომენტარს. რაც შეეხება *რეჟიმს,* მთავარი დარღვევა ამ კუთხით იყო გარეთ/ჰაერზე ვარჯიშის შესაძლებლობის სიმცირე, რაზეც უკვე იყო საუბარი 37-ე პარაგრაფში.

56. რაც შეეხება პატიმრების უფლებას, ვიზიტზე, სატელეფონო ზარზე და კორესპონდენციაზე, 2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში გაწერილი წესები კვლავ ძალაში რჩება.[228]

ამ კონტექსტში, **წპკ**-მ კიდევ ერხთელ ხაზი უნდა გაუსვას, რომ სისტემა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება პატიმრის გარე სამყაროსთან ურთიერთობის ფარგლები, მიიჩნევა სასჯელის ნაწილად, ფუნდამენტურად დარღვეულია. პრინციპში, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პატიმარს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, რომ იკონტაქტოს გარე სამყაროსთან და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ შენარჩუნოს ოჯახური კავშირები და მეგობრები, და განსაკუთრებით, კავშირი მეუღლესა და შვილებთან.

ასეთი ურთიერთეობების გაგრძელებას, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ყველა ზემოთ აღნიშნულისთვის, განსაკუთრებით კი, პატიმრების სოციალური რეაბილიტაციის კონტე-

223 2012 წლის 22 მაისიდან 17 სექტემბრამდე „კარცერში" მოთავსების 356 შემთხვევა დაფიქსირდა (როგორც წესი, 4 – 5 დღით).

224 როგორც „კარცერში" მოთავსების რეესტრის ჩანაწერებიდან ირკვევა, პატიმრები სისტემატურად ისჯებოდნენ დისციპლინური სანქციებით წესების მცირედი დარღვევებისთვისაც კი (მაგალითად, „ხმამაღლა საუბარი", „ხმაური", „პირადი ჰიგიენის დაუცველობა" და სხვა).

225 აღნიშნულ პატიმრებს უფლება აქვთ, რომ აცნობონ ბრალდება იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით, ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რომ მოემზადონ საკუთარი თავის დაცვისთვის, ჰქონდეთ ზეპირი მოსმენა, წარმოდგენილი იქნანს ადვოკატის მიერ (მათ შორის, უფასო სამართლებრივი დახმარების უფლება), მოითხოვონ მოწმეთა დაკითხვა და ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით. გარდა ამისა, პატიმრებს უნდა მიეცეთ დისციპლინური გადაწყვეტილების ასლი და მისი გასაჩივრება უნდა შეეძლოთ სასამართლოში 10 სამუშაო დღის განმავლობაში (გასაჩივრება, რომელსაც არ აქვს შეჩერების ეფექტი).

226 დელეგაციის მიერ გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობამ, რომლებიც ბოლო დროს მოთავსებული იყვნენ „კარცერში", ზოგადად დაადასტურა, რომ აცნობეს საკუთარი უფლებები დისციპლინური პროცედურის ფარგლებში, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება, რომ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობა და ადვოკატის დაჟინებული მოთხოვნა იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ „დროის ფუჭად დაკარგვა" საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის გარეშე.

227 CPT/Inf (2010) 27-ის 115-ე პარაგრაფი იკითხება შემდეგნაირად: წპკ-ს რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრების დისციპლინურ საკნებში მოთავსება არ გულისხმობს ოჯახის წევრებთან კონტატის სრულ აკრძალვას. ნებისმიერი შეზღუდვა ოჯახის წევრებთან კონტაქტისა, როგორც სასჯელის ფორმა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნას გამოყენებული, თუ დანაშაული უკავშირდება ასეთ კონტაქტს. „აღნიშნული დოკუმენტის 116-ე პარაგრაფში CPT მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ დანერგოს დიდი ხნის წინ მიღებული რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ გადაიხედოს ციხის ექიმის როლი დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას ის, რომ მათ აღარ მოეთხოვოთ პატიმრების დისციპლინურ საკაწში განთავსების დამოწმება. ამავდროულად, ყურადღება უნდა მიექცეს ციხის ევროპულ წესებს (კერძოდ, 43.2-ე წესს) და მე-15 ზოგად მოხსენებაში წპკ-ს მიერ გაკეთებულ კომენტარებს (იხილეთ CPT/Inf (2005)17)-ის პარაგრაფი 53.

228 იხილეთ CPT/Inf (2010) 27ის 108 და 109 პრაგრაფები.

ქსტში. წამყვანი პრინციპი უნდა იყოს გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობა და წახალისება, რაც შეიძლება ხშირად; ნებისმიერი შეზღუდვა ასეთ კონტაქტებზე უნდა ეფუძნებოდეს ექსკლუზიურად უსაფრთხოების მიზანს მოქმედი წესის შესაბამისად ან ხელმისაწვდომ რესურსებთან დაკავშირებულ ინტერესებს.

შესაბამისად, **წპპ კვლავაც იმეორებს შემდეგ რეკომენდაციებს:**

• შეიცვალოს მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა იმ კუთხით, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრისთვის ვიზიტის სატელეფონო ზარისა და კორესპოდენციის აკრძალვას ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოძიებისთვის, საჭიროებდეს ისეთი პირის მიერ დამოწმებას, რომელსაც კავშირი არ აქვს საქმესთან და გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ განსაზღვრული პერიოდით, დასაბუთებასთან ერთად; გარდა ამისა, აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება ხელისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი პირისა და მისი ადვოკატისთვის.

• რომ პატიმრობამისჯილი პატიმრების მიერ ვიზიტის უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა შეიცვალოს ზემოთ აღნიშნული შენიშვნების შესაბამისად და მხედველობაში მიღებული იქნას ციხის ევროპული წესების 24.1 წესი[229]. თვეში ერთი ვიზიტის უფლება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პატიმარმა შეძლოს ოჯახთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება, შესაბამისად ვიზიტების რაოდენობა უნდა გაიზარდოს (მაგალითად კვირაში სულ მცირე ერთი ვიზიტი).

57. კომიტეტი არ აპირებს, აღწეროს დეტალურად ის სიტუაცია, რაც უკავშირდება პატიმრების შესაძლებლობას, რომ გააგზავნონ კონფიდენციალური საჩივრები ციხის გარეთ ხელისუფლების ორგანოებში. საკმარისი იქნება იმის თქმაც, რომ ეს იყო ყველა ასპექტში იდენტური 2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშის 119-ე პარაგრაფში აღწერილ სიტუაციასთან (ანუ, ზოგადად დამაკმაყოფილებელი).[230] თუმცა, 2012 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნებული ვიდეოების გამო შექმნილი ზოგადი კონტექსტიდან გამომდინარე, **წპპ-ს რეკომენდაცია იქნება, რომ გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრები, რომლებიც იყენებენ საჩივრების პროცედურას, არ იქნან დასჯილი ასეთი საქციელის გამო; გარდა ამისა, ასეთი საჩივრების კონფიდენციალური ხასიათი უნდა იქნას დაცული და პატივი უნდა სცეს ციხის ადმინისტრაციამ.**

58. რაც შეეხება ციხისინსპექციას და მონიტორინგს,სამინისტრომ შეატყობინა **წპპ**-ს დელეგაციას, სამინისტროს გეგმების შესახებ, მათ შორის სამინისტროს გენერალური ინსპექტორების პერსონალის მანდატის გაძლიერებისა და რაოდენობის გაზრდის შესახებ (რომელიც უნდა ჩანაცვლებულიყო პირდაპირ საკუთარი ბრძანების საფუძველზე). გარდა ამისა, უნდა გაძლიერებულიყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საკუთარი მონიტორინგის სამსახური, უფრო ინტენსიური გამხდარიყო მისი გუნდის მუშაობა და განეხორციელებინა წინასწარ შეუთახმებელი ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში.[231]

რაც შეეხება გარეშე მონიტორინგს, საქართველოს ხელისუფლება მუშაობდა და ეძებდა გზებს იმისთვის, რომ გაეძლიერებინა არსებული საკანონმდებლო ჩარჩო (მათ შორის, სახალხო დამცველის ოფისის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი). ჯერ კიდევ არ იყო ცხადი, კონკრეტულად რა ნაბიჯები გადაიდგმებოდა ამ კუთხით.[232]

აღნიშვნას იმსახურებს ისიც, რომ ბატონი სუბარის წინამორბედის მიერ 2012 წლის 16 ოქტომბერს გამოცემული ბრძანების მიხედვით, 51 პირს (მათ შორის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, იურისტები და ჟურნალისტები) მიეცათ უფლება, რომ შესულიყვნენ ციხეში ნებისმიერ დროს, სპეციალური ნებართვის გარეშე, მოენახულებინათ ყველა შენობა და დალაპარაკებოდენ პატიმრებს განცალკევებით. ბატონმა სუბარმა დელეგაციას განუცხადა, რომ სავარაუდოდ, ზემოთ ნახსენები ბრძანება შეიცვლებოდა იმგვარად, რომ გამორიცხული ყოფილიყო მედიის წარმომადგენლები.

229 წესი 24.1: „პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ კომუნიკაცია იქონიოს საკუთარ ოჯახთან, სხვა პირებთან და გარეშე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან იმ სიხშირით, რაც შესაძლებელია, წერილის, ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით და მიიღოს ვიზიტები ამ პირებისგან“.

230 თუმცა, ერთი მნიშვნელოვნი დათქმით: როგორც ეს ცხადი გახდა 2012 წლის 18 სექტემბრის შემდეგ, პტიმრები უიმედოდ უყურებდნენ საჩივრების სისტემას შესაძლო შევიწროვების გამო (მათ შორის, ფიზიკური შეურაცხყოფა).

231 რის შესახებაც ტრენინგი დაიწყო 2012 წლის 26 ნოემბერს.

232 თუმცა, ბატონი სუბარის პირადი აზრი იხრებოდა „ომბუდსმენი პლუსი“ მოდელისკენ (ანუ ორგანო, რომელიც შედგება სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებისგან.

წპკ ისურვებდა, რომ მიიღოს განახლებული ინფორმაცია ყველა ზემოთ აღნიშნულ გეგმებთან დაკავშირებით.

დანართი I
წპკ-ს რეკომენდაციების ჩამონათვალი, კომენტარები და ინფორმაციის მოთხოვნა

პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება

მოთხოვნილი ინფორმაცია
- იმ პირთა მიერ, რომლებიც თავს მიიჩნევდნენ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ჩადენილი დანაშაულების, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლებად, მთავარი პროკურორის ოფისისთვის წარდგენილი საჩივრების განხილვის პროგრესის შესახებ, რამდენადაც ასეთი საჩივრები ეხება სავარაუდო არასათანადო მოპყრობას იმ პირების მიმართ, რომლებსაც თავისუფლება ჰქონდათ აღკვეთილი (პარაგრაფი 11);
- დროულად, ნებისმიერი ფორმალური გამოძიების შედეგი, რომელიც დაწყებული იქნა მე-11 პარგრაფში აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით, მათ შორის, სისხლის სამართლებრივი და / ან დისციპლინური სანქციების გამოყენება (პარაგრაფი 11);
- პირველივე შესაძლებლობისთანავე, რვა სასამართლო ექპსერტიზის მოხსენების ასლები, რომლებიც ჩატარდა გლდანის ციხეში პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით (პარაგრაფი 13);
- განახლებული ინფორმაცია, როგორც გლდანის ციხის პატიმრების არასათანადო მოპყრობის გამოძიებასთან (როგორც ეს ნაჩვენებია 2012 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნებულ ვიდეოში) ასევე, მე-15 და მე-16 პარაგრაფებში ნახსენებ სხვა საკითხებთან დაკავშირებით არსებული გამოძიების შესახებ (პარაგრაფი 16);
- განახლებული ინფორმაცია იმ ინციდენტის გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელსაც სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში(მათ შორის, ფაქტებისა და ყველა საგამოძიებო აქტივობის შეჯამება, რაც განხორციელდა დღემდე, ისევე, როგორც - დროულად - გამოძიების შედეგებისა და გამოყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი თუ დისციპლინური სანქციების შესახებ ინფორმაცია) (პარაგრაფი 17);
- საქართველოს ხელისუფლების მოსაზრება **წპკ**-ს მიერ მე-18 პარაგრაფში გაკეთებულ კომენტარებთან დაკავშირებით, გლდანის მოვლენების გამოძიებაზე აქცენტის გაკეთებით (პარაგრაფი 18);
- საქართველოს ხელისუფლების მოსაზრება, არასამთარობო ორგანიზაციების შეთავაზებასთან დაკავშირებით პატიმართა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ, რომელიც მე-19 პარაგრაფშია ნახსენები(პარაგრაფი 19).

ზომები, რომლებიც გავლენას მოახდენს საქართველოს ციხეების სისტემაზე

რეკომენდაციები
- საქართველოს ხელისუფლებამ, დაგვიანების გარეშე, განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ისე, რომ თითო პატიმარზე განისაზღვროს არანაკლებ 4m^2 საცხოვრებელი ფართის სტანდარტი (ტუალეტისათვის გამოყოფილი ადგილის ჩათვლის გარეშე) (25-ე პარაგრაფი);
- გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული, რათა განვითარდეს აქტივობების პროგრამები ორივე დაწესებულებისთვის და წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის. მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმრებს შეუძლიათ დღის მნიშვნელოვანი ნაწილის გატარება (8 საათი ან მეტი) საკნის გარეთ, სხვადასხვა ტიპის მიზნობრივ საქმიანობაში ჩართულებს (სამუშაო, განათლება და სხვა), რაც მორგებულია პტიმართა თითოეული კატეგორიის საჭიროებებზე (სრულწლოვანი წინასწარ პატიმრობაში მყოფი ან თავსუფლებააღკვეთილი პატიმრები, პატიმრები, რომელთაც მუდმივი პატიმრობა აქვთ მისჯილი, ქალი პატიმრები, არასრულწლოვნები და სხვა). რაც შეეხება კონკრეტულად სამუშაოს, ფუნდამენტური ცვლილებებია საჭირო, რომელიც დაეყრდნობა პატიმართა სამუშაოს წარმართვას მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით და არა ფინანსური სარგებელის კუთხით (პარაგრაფი 26).

კომენტარები
- ციხეების გადატვირთულობასთან დაკავშირებული პრობლემა და ციხის მოსახლეობის მუდმივი ზრდავერ გადაიჭრება ყოვლისმომცველი და ხანგრძლივი გზით, გამონაკლისი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა ამინისტია და პრეზიდენტის მიერ შეწყალება (პარაგრაფი 22);
- დაგეგმილი მრავლაფეროვანი ღონისძებების კონტექსტში, რომელიც ნახსენებია 23-ე პარაგრაფში, ყურადღება უნდა გამახვილდეს 2010 წელს საქართველოში განხორციელებული პერიოდული ანგარიშის 47-ე პარაგრაფში აღნიშნულ რეკომენდაციაზე (CPT/Inf (2010) 27) ისევე, როგორც ევროსაბჭოს პრობაციის წესების რეკომენდაცია Rec(2010)1-ზე (პარაგრაფი 23).

მოთხოვნილი ინფორმაცია

- განახლებული ინფორმაცია დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რაც ნახსენებია 23-ე პარაგრაფში (პარაგრაფი 23);
- დროულად, უფრო დეტალური ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების გეგმებთან დაკავშირებით ციხის ქონების შესახებ, კერძოდ, მომავალი ლაიტურის ციხესთან დაკავშირებით (ტევადობა, გეგმა, აქტივობები, პერსონალი, ამოქმედების სავარაუდო თარიღი და სხვა) (პარაგრაფი 24);
- საქართველოს ხელისუფლების გეგმა, ბათუმისა და ზუგდიდის მომავალ ციხეებთან დაკავშირებით (პარაგრაფი 24);

<u>სიტუაცია, რომელიც დააფიქსირა წპკ-ს დელეგაციამ მონახულებულ ციხეებში</u>

წინასწარი შენიშვნები

<u>კომენტარები</u>
- **წპკ**-ს სწამს, რომ ციხის მოსახლეობის მიმდინარე შემცირება საქართველოს ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს, რომ მიაღწიოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრების სრულ გამიჯვნას თავისუფლებააღკვეთილი პატიმრებისგან (იმ ორ დაწესებულებაში, რომელიც მოინახულა კომიტეტმა, და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაწესებულებებშიც) ციხის ევროპული წესების 18.8.ა წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (პარაგრაფი 27).

არასათანადო მოპყრობა

<u>რეკომენდაციები</u>
- რეგულარულად დაეგზავნოთ ცალსახა და ნათელი მესიჯები პენიტენციური დაწესებულებების მენეჯმენტსა და პერსონალს იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა ფორმის არასათანადო მოპყრობა პატიმრებთან მიმართებაში, მიუღებელია და დაისჯება შესაბამისად. ამას ასევე ხაზი უნდა გაესვას ციხის პერსონალის დასაწყებ და მიმდინარე ტრენინგებზე (პარაგრაფი 29);
- ყველა პენიტენციური დაწესებულების მენეჯმენტი და პერსონალი საქართველოში უნდა იქნა იმგვარად გადამზადებული, რომ მუდმივად იყოს ფხიზლად და მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი კომპეტენციის ფარგლებში, რომ აღმოფხვრან და ებრძოლონ ციხის შიგნით ძალადობას და მწვალებლობას. ეს უნდა მოიცავდეს პატიმრის ქცევის მიმდინარე მონიტორინგს (რათა დადგინდეს სავარაუდო მოძალადე და მსხვერპლი), შესაბამის რეპორტინგს ციხის შიგნით ძალადობის დადასტურებულ და საეჭვო საქმეებთან დაკავშირებით და ყველა ინციდენტის გულდასმით გამოძიებას (პარაგრაფი 31).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>
- 2012 წლისა და 2013 წლის პირველ მეოთხედთან დაკავშირებით:
• წამების ან სხვა ტიპის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა, რომელიც შევსებულია ციხის პერსონალის წინააღმდეგ;
• ასეთი საჩივრების საფუძველზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური პროცესის რაოდენობა და გამოყენებული სანქციების შესახებ მონაცემები (პარაგრაფი 29);
- იქნა თუ არა რაიმე ზომა მიღებული ქუთაისის ნომერ მეორე საპყრობილის მენეჯმენტის მიერ, მას შემდეგ, რაც **წპკ**-სდელეგაციამ გადასცა მენეჯმენტს პატიმრების შეშფოთება ციხის ზოგიერთ ოფიცერთან დაკავშირებით (პარაგრაფი 30).

პატიმრობის პირობები

<u>რეკომენდაციები</u>
- გლდანისა და ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრები განთავსებულ იქნან უფრო ხალვათად დაწესებულებებში, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას თითოეული პატიმრისთვის სულ მცირე 4მ^2 საცხოვრებელი სივრცე რამდენიმე პატიმრიან საკანში; ზედმეტი საწოლები გატანილ იქნას საკნებიდან (პარაგრაფი 33);
- გადაიდგას ნაბიჯები იმისთვის, რომ ჰიგიენური საშუალებების მარაგი ორივე ციხეში შეივსოს, მათ შორის, ქალების თვიურ საჭიროებასთან დაკავშირებული საშუალებები (პარაგრაფი 34);
- მცირე ზომის საწოლები (მრვალი მათგანი 2მ^{2}მცირე ზომისაა), რომლებიც გამოიყენება ორივე ციხეში პატიმრის დროებითი განთავსებისთვის, ამოღებული იქნას ხმარებიდან დაუყოვნებლივ (პარაგრაფი 36);
- გლდანისა და ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებებშო შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაიდგას (ისევე, როგორც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში) რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა პატიმარს აქვს გარეთ ვარჯიშის შესაძლებლობა სულ მცირე <u>დღეში ერთი საათით</u> (პარაგრაფი 37);
- საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გადახედოს სავარჯიშო ადგილების პროექტის საკითხს ყველა ახლად აშენებული (ან განახლებული) საპატიმრო დაწესებულებისთვის. რამდე-

ნადაც ეს შესაძლებელია, შენობის გარეთ სავარჯიშო მოწყობილობა მოთავსებული უნდა იყოს მიწის ზედაპირის დონეზე და იყოს საკმარისად ფართო იმისთვის, რომ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, ფიზიკურად დატვირთონ საკუთარი თავი (შემოღობილ სივრცეში სეირნობისგან განსხვავებით). დაუყოვნებლივი ნაბიჯები უნდა იქნას მიღებული იმისთვის, რომ ყველა სავარჯიშო ეზო რაიმე ფორმით იყოს დაცული ცუდი ამინდისგან (პარაგრაფი 37);

- ყველა ახლადაშენებული (ან განახლებული) ციხე უნდა აღიჭურვოს სპორტული დარბაზებით (პარაგრაფი 37).

<u>კომენტარები</u>

- **ნპკ**-ს სჯერა, რომ გადაიდგმება იმისთვის, რომ აღმოიფხვრას თბილისში (გლდანის) 8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული ხარვეზები დაკავების პირობებთან დაკავშირებით (პარაგრაფი 32);

- გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიარსებული დიდი მოცულობის აუთვისებელი მიწა, რომელიც მოთავსებულია დაცულ პერიმეტრზე, უნდა გარდაიქმნას სავარჯიშო ეზოებად და სპორტულ დარბაზებად (პარაგრაფი 38).

ჯანდაცვა

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ და ციხის მენეჯმენტმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისთვის, რომ დაცულები იყვნენ ციხეში მომუშავე ექიმები და ექთნები გაუმართლებელი მუქარისა და ზეწოლისგან (პარაგრაფი 40);

- გადაიდგას დაუყოვნებლიბი ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

• ყველანაირი სამედიცინო გამოკვლევა ჩატარდეს მოსმენის გარეშე და თუ შესაბამისი ექიმი აშკარად არ მოითხოვს სხვაგვარად- არასამედიცინო პერსონალის დასწრების გარეშე;

• სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობა მკაცრად კონტოლდებოდეს (პარაგრაფი 45);

- დამატებით, ციხის ჯანდაცვის სამსახურის პერსონალი უნდა მონაწილეობდეს შესაბამის პროფესიული გადამზადების ტრენინგებში და იღებდეს ნათელ/გასაგებ ინსტრუქციებს სამედიცინო ჩანაწერებისა და მათ შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ, სამედიცინო ჩანაწერი უნდა შეიცავდეს როგორც მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: (i) იმ განცხადების მონაცემები, რომელიც გააკეთა ისეთმა პირმა, რომელიც ექვემდებარება სამედიცინო გამოკვლევას (მათ შორის, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერა თავად ამ პირის მიერ და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ნებისმიერი ბრლადება), (ii) საფუძვლიან სამედიცინო კვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნის სრული მონაცემები (iii) ჯანმრთელობაზე ზრუნვის სპეციალისტის მოსაზრებები (i) და (ii)-ს შესახებ, სადაც მითითებულია ნებისმიერ ბრლადებასა და დადგენილ სამედიცინო დასკვნას შორის თანმიმდევრულობა (პარაგრაფი 45);

- როდესაც ხდება დაზიანებების დაფიქსირება მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ბრალდებას (ან როცა ბრალდების გარეშეც, დაზიანება მიუთითებს არასათანადო მოპყრობაზე), ამის შსახებ დაუყოვნებლივ და სისტემატურად უნდა მოხსენდეს შესაბამის პროკურორს, მიუხედავად შესაბამისი პატიმრის სურვილისა (პარაგრაფი 45);

- მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები გლდანის ციხეში იმ მიზნით, რომ გადაილახოს სირთულე, რაც დაკავშირებულია სპეციალისტების ხელმისაწვდომობასა და ციხის საავადმყოფოში გადაყვანასთან (პარაგრაფი 46);

- ექთნების პერსონალის რესურსი გაძლიერდეს გლდანის ციხეში (პარაგრაფი 46);

- გადაიდგას ნაბიჯები ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიდამატებითი ექთების ასაყვანად (პარაგრაფი 47);

- გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ 24 საათიანი განაკვეთები შეჩერებული იქნას ქუთაისის ნომერ მეორე დაწესებულებაში და საქართველოს სხვა დაწესებულებებში, სადაც ეს პრობლემა დგას (პარაგრაფი 47);

- გადადიგას ნაბიჯები იმ მიზნით, რომ ქუთაისის 2 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურს გამოეყოს შესაბამისი ფართი (პარაგრაფი 48);

- დაცული იქნას სამედიცინო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტაიის კონფიდენციალურობა (პარაგრაფი 48);

- გადაიდგას ნაბიჯები იმ სირთულეების აღმოსაფხვრელად, რაც დაკავშირებულია იმ ავადმყოფი პატიმრების გადაყვანასთან, რომლებიც საჭიროებენ ჰოსპიტალიზაციას, გლდანის ციხის საავადმყოფოს გაფართოვებით და/ან ციხის გარეთ საავადმყოფოებში ასეთი პატიმრების გადაყვანით (პარაგრაფი 49);

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- 39-ე პარაგრაფში აღნიშნული ჯანდაცვის სხვადასხვა გეგმის განხორციელების პროგრესი (პარაგრაფი 39).

- წპკ-ს მანდატთან დაკავშირებული სხვა საკითხები

<u>რეკომენდაციები</u>

- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ციხის პერსონალის დაკომპლექტების დონის გაუმჯობესებისთვის (პარაგრაფი 50);
- შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს კანონმდებლობაში იმ მიზნით, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის ვზიტების, სატელეფონო ზარების ან კორესპოდენციის სხვა საშუალებების აკრძალვა ეფუძნებოდეს გამოძიების არსებით საჭიროებებს, მიუკერძოებელი მხარის დამოწმებას, გამოიყენებოდეს მხოლოდ განსაზღვრული ვადით; გარდა ამისა, აკრალვის შესახებ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სესაბამისი პატიმრისა და მისი ადვოკატისთვის (პარაგრაფი 56);
- კანონმდებლობა ვიზიტებზე თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებასთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს იმგვარად, როგორც ეს მითითებულია 56-ე პარაგრაფში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ციხის შესახებ ევროპული წესების 24.1 წესი. თვეში ერთი ვიზიტის უფლება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პატიმარმა შენარჩუნოს ოჯახთან კარგი ურთიერთობა, შესაბამისად, უნდა გიაზარდოს (მაგალითად, სულ მცირე, კვირაში ერთი ვიზიტი) (პარაგრაფი 56);
- უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრები, რომლებიც იყენებენ გასაჩივრების უფლებას, ამის გამო არ იქნან დასჯილები; გარდა ამისა, ასეთი საჩივრების კონფიდენციალობა უნდა იქნას დაცული ციხის ადმინისტრაციის მიერ (პარაგრაფი 57).

<u>კომენტარები</u>

- საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ განიხილონ ზომების მიღება ქალი პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით საქართველოს ციხეების სისტემაში; კერძოდ, შერეული სქესის პერსონალი უნდა იქნას უზრუნველყოფილი არასრულწლოვნების დაწესებულებებში. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ნებისმიერ განყოფილებაში, სადაც მოთავსებულია ქალი პატიმარი, იყოს საკმარისი რაოდენობის მდედრობთი სქესის პერსონლი მუდივად (პარაგრაფი 52);
- გლდანის ციხის მენეჯმენტი და პერსონალი მუდმივად მზად უნდა იყოს და მომართული იყოს იმისთვის, რომ ჩაერიოსროდესაც კი ეს საჭიროა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს დისციპლინისა და წესრიგის დაცვა დაწესებულებაში და დაიცვას როგორც პატიმრების, ასევე ციხის თანამშრომლების უფლებები (პარაგრაფი 53);
- 2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშის 115-ე და 116-ე პარაგრაფებში აღნიშნული რეკომენდაციები დისციპლინურ საკნებში მოთავსებული პატიმრის გარე სამყაროსთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, და ციხის ექიმის როლი დისციპლინურ პროცესებში, რჩება სრულად გამოსაყენებელი (პარაგრაფი 54).

<u>მოთხოვნილი ინფორმაცია</u>

- ციხის დირექტორების აუცილებელ უნარებთან, თვისებებთან და გამოცდილებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მოსაზრება (პარაგრაფი 51);
- ციხის თანამშრომლების მიერ უნიფორმის ტარებასთან დაკავშირებული საკითხის დაზუსტება (პარაგრაფი 52);
- განახლებული ინფორმაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გეგმების შესახებ ციხის ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმის შესახებ (პარაგრაფი 58).

<u>დანართი II</u>

ეროვნული ხელისუფლების იმ ორგანოების ჩამონათვალი, რომელთანაც წპკ-ს დელეგაციას ჰქონდა კონსულტაციები

<u>იუსტიციის სამინისტრო</u>

ქალბატონი თეა წულუკიანი	მინისტრი

<u>სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო</u>

ბატონი სოზარ სუბარი	მინისტრი
ქალბატონი სოფო ჯაფარიძე	მინისტრის მოადგილე
ქალბატონი მაია (ზოია) ხასია	სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი
ქალბატონი ნათია ლანდია	სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
ბატონი გიგი ხოჯევანიშვილი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი

ბატონი ლაშა ჩახავა	**წპკ**-ს საკონტაქტო პირი, უფროსი სპეციალისტი პროტოკოლის საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

<u>პარლამენტი</u>

ქალბატონი ეკა ბესელია	თავმჯდომარე, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
ბატონი გედევან ფოფხაძე	თავმჯდომარის მოადგილე, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი	თავმჯდომარის მოადგილე, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

<u>მთავარი პროკურორის ოფისი</u>

ბატონი არჩილ კბილაშვილი	მთავარი პროკურორი

<u>სახალხო დამცველის ოფისი</u>

ქალბატონი ტატა ხუნწარია	მოქმედი სახალხო დამცველი
ქალბატონი ნათია იმნაძე	სპეციალური პრევენციის ჯგუფის ხელმძღვანელი

საკონტაქტო ინფორმაცია:
წამების პრევენციის კომიტეტის სამდივნო
ევროპის საბჭო
F-67075 სტრასბურგი CEDEX
საფრანგეთი
ვებგვერდი: www.cpt.coe.int
ელექტრონული ფოსტა: cptdoc@coe.int
ტელ.: +33 (0)3 88 41 39 39
ფაქსი: +33 (0)3 88 41 27 72

სტრასბურგი, დეკემბერი, 2013 წელი
ფოტო გარეკანზე: © CICR / FEDELE, Cristina